



აფხაზეთის, საქართველო, შინაგარეო, ისტორიული, პოლიტიკური
და სპეციალური საკითხები

აფხაზეთის, საქართველო, შინაგარეო:
ისტორიული, პოლიტიკური
და სპეციალური საკითხები

ISBN 978-9941-461-95-8



9 789941 461958



აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო

აფხაზეთის, საქართველო, ტრაგედია:

ისტორიული, პოლიტიკური და

სამართლებრივი ასპექტები

თბილისი
2017

4DC(უაკ) 327(749.22:470)

94(479.22:479.224),,1993-94“

94(479.224)+343.337

პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი – ჯემალ გამახარია

მთავარი კონსულტანტი – აკადემიკოსი ლევან ალექსიძე

სარედაქციო საბჭო: აკაკი გასვიანი, გიორგი დგებუაძე, მურმან კვარაცხელია, ანზორ ლაცუზბაია, გივი ლომინაძე, გოგი მაისურაძე, ნუგზარ მგალობლიშვილი, თამარ სარჯველაძე, მერაბ ტურავა, თამაზ ხუბუა, თამარ ჯაფარიძე, ზურაბ ჯგუბურია, დაზმირ ჯოჯუა.

რეცენზენტი – ანზორ ნონონავა

რედაქტორ-გამომცემელი – ხვიჩა ქარდავა

რუსულენოვანი მასალები თარგმნეს ოლგა ქავთარიამ, გიორგი გვასალიამ და თამაზ სანიკიძემ

ნიგნში გაშუქებულია რეგიონის მოკლე პოლიტიკური ისტორია, რუსულ-ქართული ურთიერთობები პოსტსაბჭოთა პერიოდში, კრემლის ანექსიონისტურ პოლიტიკასთან და აფხაზეთის დეოკუპაციასთან დაკავშირებული საკითხები; 1992-1993 წლების ომი და მასში საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის შეიარაღებული ძალების უშუალო მონაწილეობა. ქვეყნდება აფხაზეთში მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის – გენოციდისა და ეთნიკური წმენდის მსხვერპლთა, აგრეთვე უგზო-უკვლოდ დაკარგულთა და ზუსტებული სახელობითი სია ქალაქებისა და სოფლების მიხედვით. დიდი ყურადღება ეთმობა აღნიშნული დანაშაულის სამართლებრივ ანალიზს. გაკეთებულია დასაბუთებული დასკვნა, რომ 1992-1993 და შემდგომ წლებში აფხაზეთში წინასწარი განზრახვით განხორციელდა ადგილობრივი ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა, გენოციდი, რომელიც დღემდე გრძელდება.

ტექნიკური რედაქტორი – ლევან თითმერია

გამომცემლობა „საარი“, 2017

გამოიცა აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამის დაფინანსებით.

ISBN 978-9941-461-92-7

სარჩევი

შესავალი (ჯემალ გამახარია).....	5
I. აფხაზეთი, საქართველო: ისტორიისა და პოლიტიკის საკითხები (ჯემალ გამახარია)	18
I.1. ისტორიული აფხაზეთი და ისტორიული აფხაზები	18
I.2. ახალი აფხაზეთი და აფსუა-აფხაზები	52
I.3. აფხაზეთი – რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.....	56
I.4. აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიური ერთეული	72
I.5. საქართველოს ანექსია ბოლშევიკური რუსეთის მიერ და საბჭოთა აფხაზეთი.....	79
I.6. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და მოსკოვის მიერ „აფხაზური კარტის“ გათამაშება.....	88
I.7. რუსეთის სადამსჯელო ზომები დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ და ომი აფხაზეთში.....	92
I.8. აფხაზეთის ოკუპაციისა და მცოცავი ანექსიის რუსული პოლიტიკა.....	103
II. რუსეთი და 1992-1993 წლების ომი აფხაზეთში (დაზმირ ჯოჯუა)	121
II.1. შესავალი.....	121
II.2. რუსეთის როლი აფხაზეთში ომის წინამძღვრების შექმნაში	122
II.3. 1992-1993 წლების ომი აფხაზეთში: რუსეთის ჩარევის კონიუნქტურა და ფაქტურა.....	139
II.4. ომის შედეგები.....	184
III. 1992-1993 წლებში შეიარაღებული კონფლიქტის დროს და შემდგომ პერიოდში აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი გენოციდის დანაშაულის სამართლებრივი ანალიზი (თამარ ჯაფარიძე).....	189
III.1. შესავალი.....	189
III.2. გამოძიების დაწყება	192
III.3. ფაქტები	208
III.4. 1992-1993 და შემდგომ წლებში ჰქონდა თუ არა აფხაზეთში ადგილი გენოციდის დანაშაულის ჩადენას?.....	227
III.5. ეწინააღმდეგება თუ არა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 65 ¹ მუხლის (გენოციდი) რეტროაქტიულად გავრცელება ლეგალურობის პრინციპს.....	250

III.6. დასკვნა	259
IV. აფხაზეთში ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა-გენოციდის მსხვერპლთა სახელობითი სია	265
IV.1. გაგრის რაიონი	265
IV.2. გუდაუთის რაიონი	285
IV.3. ქალაქი სოხუმი	292
IV.4. სოხუმის რაიონი	346
IV.5. გულრიფშის რაიონი.....	364
IV.6. ოჩამჩირის რაიონი	402
IV.7. ქალაქი ტყვარჩელი	435
IV.8. გალის რაიონი.....	436
IV.9. დანართი. 1992-1993 წლებში ქართული უკონტროლო სამხედრო ფორმირებებისა და კრიმინალების მიერ დაზოცილი აფხაზური და სხვა ეროვნების მშვიდობიანი მოქალაქეების სახელობითი სია (ირაკლი გუჩუა)	494
IV.10. უგზო-უკვლოდ დაკარგულ მშვიდობიან მოქალაქეთა სია	498
V. დანართი. აფხაზეთის, საქართველო, ტერიტორიაზე განხორციელებული ეთნიკური წმენდის, გენოციდის პოლიტიკის გამოვლენილი ფაქტების და სათანადო სასამართლო პროცესის საერთაშორისო პრინციპების შესაბამისად ბრალდებული პირების მართლმსაჯულებისთვის გადაცემის აუცილებლობის შესახებ.....	511

შესავალი

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში 1992-1993 და შემდგომ წლებში მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს თავისი მასშტაბებით, სისასტიკით, ადამიანთა წამების, მასობრივი ხოცვა-ჟლეტის მეთოდების მრავალფეროვნებით ანალოგი არ მოეპოვება მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ევროპაში. როგორც ქვემოთ მოტანილი კონკრეტული მაგალითები მონიშნავენ, თვით გერმანელი ფაშისტებიც კი უფრო „გულმონყალენი“ იყვნენ, ვიდრე აფხაზეთის საზარელი ტრაგედიის ავტორები – რუსი ოკუპანტები და მათი მარიონეტები – სეპარატისტები თუ დაქირავებული მკვლევები. სამწუხაროდ, მსოფლიო საზოგადოებრიობამ ცოტა რამ თუ იცის მათი ველურობისა და კაციჭამიობის შესახებ. ამ გამხეცვლულ ავაზაკთა სინდისზეა სრულიად დაუცველი მშვიდობიანი მოქალაქეების, მათ შორის ქალების, ბავშვების, პედაგოგების, ექიმების, კულტურისა და ხელოვნების მუშაკების, ხანდაზმული, ავადმყოფი თუ უნარშეზღუდული ადამიანების ეთნიკური ნიშნით მასობრივი განადგურება, მრავალი ქართული დასახლებული პუნქტის აღგვა პირისაგან მიწისა.

აფხაზეთის ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული თავის დროზე დაგმეს თვით ოკუპანტი ქვეყნის შემოქმედებითი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელებმაც (ო. ეფრემოვი, ო. ტაბაკოვი და სხვები). რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინისადმი მიმართვაში, რომელიც აფხაზეთის ტრაგიკული მოვლენების ცხელ კვალზე გამოქვეყნდა, ისინი წერდნენ: „ორმოცი წლის წინ ფაშისტების მიერ განადგურებული დასახლებების – ორადურის (საფრანგეთი – ჯ. გ.), ლიდიცეს (ჩეხეთი – ჯ. გ.), ხატინის (ბელორუსი – ჯ. გ.) – ტრაგიკული სია ახლა აფხაზეთის სოფლებისა და რაიონების უმრავლესობის სახელწოდებებით შეიძლება შეივსოს. გვესმის რა გენოციდისაგან დაზარალებულთა მდგომარეობა, გონივრულად და გამართლებულად მიგვაჩნია გულისწყრომის ბუნებრივი გრძნობა კანონის ჩარჩოში მოექცეს და ამით თვითგასამართლებები და კანონსაწინააღმდეგო ქმედებები აღიკვეთოს. ამიტომაც საჭიროდ ვთვლით, აფხაზეთში მშვიდობიანი მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით მასობრივი განადგურების ფაქტების გამოძიების ჩატარებას, დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემას და როგორც სამხედრო დამნაშავეების, ისე მათ დასჯას“¹. ბორის ელცინისადმი მიმართვა, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, დარჩა ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა. კრემლის მესვეურებს, ანუ აფხაზეთის ტრაგედიის მთავარ

1. Независимая Газета, 1993, 30 ноября.

შემოქმედო, არც უფიქრიათ დამნაშავეთა დასჯაზე. პირიქით, ისინი მფარველობდნენ მათ და ახალი დანაშაულის ჩადენისკენ აქეზებდნენ.

ძალიან მალე, 1994 წლის ივნისში, აფხაზეთში „მშვიდობისმყოფელად“ გამწესებული რუსეთის ხელისუფლების მეცადინეობითა და ქართული მხარის არათანმიმდევრული ქმედებების გამო, ვერ მოხერხდა აფხაზეთის მოვლენების ობიექტური შეფასება. რუსეთის ჰიბრიდული ომი საქართველოს წინააღმდეგ, რომელმაც მისი კატასტროფული შედეგები განაპირობა, ქართულ-აფხაზურ კონფლიქტად შეირაცხა; აგრესორსა და მოძალადეს კი „მშვიდობისმყოფელის“ სტატუსი მიენიჭა. ამავე დროს, ოკუპანტის მიერ აფხაზეთში ადგილობრივი ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებულ გენოციდს მხოლოდ ეთნიკური წმენდა დაერქვა, შესაბამისად, მთელი ყურადღებაც იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემებზე იქნა გადატანილი. პირველ რიგში, ასეთი იყო საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო, ეუთო და სხვ.) პოლიტიკა. ისინი ეთნიკური წმენდის კვლითი კაცობით შემოიფარგლნენ, თანაც მთავარი პასუხისმგებლობა არა „სამშვიდობო ძალად“ ტრანსფორმირებულ რუს ოკუპანტებს, არამედ მარტო სეპარატისტებს დაეკისრა, რაც იყო და არის დიდი შეცდომა. გაუგონარი მეთოდებით მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი განადგურების თემამ უკანა პლანზე გადაიწია და, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, საქართველოს მთავარ პროკურატურაში გენოციდის მუხლით დღემდე მიმდინარე გამოძიებას, თანდათანობით აქტუალობაც დაკარგა. ამით სარგებლობს ოკუპანტი და უკვე დიდი ხანია ცდილობს თვით იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნას, რაზეც ყენევის დისკუსიებზე, გაეროში და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში მისი დესტრუქციული პოზიცია მიუთითებს. ეს ყოველივე გახლავთ ლოგიკური შედეგი აფხაზეთთან დაკავშირებით თავის დროზე გაკეთებული მცდარი შეფასებებისა და მათი შესაბამისი ასევე მცდარი პოლიტიკისა, რომელსაც საქართველო წლების განმავლობაში აწარმოებდა.

აქვე უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა მოწვევის საქართველოს პარლამენტმა და მთავრობამ აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიას სავსებით მართებულად გენოციდის კვალიფიკაცია მისცეს. ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა დროს მიღებული აქტები (იხილეთ აქვე ნაწილი I. 7), სამწუხაროდ, ქალაქებზე დარჩა, რადგანაც, სუბიექტური და ნაწილობრივ ობიექტური მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა სწორი პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასებების პრაქტიკული პოლიტიკის რანგში აყვანა. უკვე დადგა აღნიშნული აქტებისა და მათში მოცემული შეფასებების მიმდინარე პოლიტიკის დღის წესრიგში დაბრუნების ჟამი, რაც იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიას

უნდა მიეცეს ნამდვილი კვალიფიკაცია – ქართული მოსახლეობის მიზანმიმართული გენოციდი, რომლის უკან დგას რუსეთის ფედერაცია. საქართველოს პარლამენტის მხრიდან სათანადო მიმართვის გაგზავნის შემთხვევაში არა ერთი და ორი ცივილიზებული სახელმწიფო აღიარებს აფხაზეთში განხორციელებული გენოციდის ფაქტს. არ უნდა გამოირიცხოს გენოციდის დანაშაულის (რომელსაც ხანდაზმულობის ვადა არ გააჩნია) ჩამდენთა მიმართ საერთაშორისო სისხლის სამართლებრივი დევნის დანყების პერსპექტივაც.

ეს ყოველივე კი ხელს შეუწყობს ოკუპირებული ტერიტორიების საკითხისადმი მიძღვნილ საერთაშორისო მოლაპარაკებებზე საქართველოს პოზიციების გაძლიერებას, არაღიარების პოლიტიკის შემდგომ წარმატებას. ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ უხეშ ფიზიკურ ძალაზე ორიენტირებული ოკუპანტი სახელმწიფოს ყოველი მარცხი საერთაშორისო არენაზე, მის წინააღმდეგ პოლიტიკურ, დიპლომატიურ თუ სამართლებრივ სარბიელზე განხორციელებული ყოველი წარმატებული შეტევა არა თუ ზედმეტად არ გაამწვავებს ისედაც გამწვავებულ ურთიერთობას აფხაზ ხალხთან, არამედ, პირიქით, ახალ პოზიტიურ დინამიკას შესძენს მასთან შერიგების, ნდობის აღდგენის ერთადერთ სწორ ქართულ სახელმწიფო პოლიტიკას. აფხაზთა ბუნებისა და ეროვნული ფსიქოლოგიის ელემენტარულ დონეზე მცოდნე ადამიანს ამ შემთხვევაში დამატებითი შეკითხვა არ გაუჩნდება ან არ უნდა გაუჩნდეს.

რუსეთმა მშვენივრად იცის მის მიერ აფხაზეთში ჩადენილი უმძიმესი დანაშაულის შესახებ – იმ დანაშაულის შესახებ, რომელსაც ხანდაზმულობის ვადა არ გააჩნია. ამიტომაც მიმართავს იგი გაღმა შედავების პოლიტიკას. რუსეთი არა მხოლოდ მავთულხლართებით მიჯნავს აფხაზეთს დანარჩენი საქართველოსაგან, არამედ იქვე ცდილობს ტოტალური დეზინფორმაციის კედლის აღმართვას. ამ კედლის დანგრევის, ოკუპანტის მხილების, აფხაზეთის ტრაგედიის შესახებ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე ობიექტური სურათის დამკვიდრებისა და დეოკუპაციის სახელმწიფო პოლიტიკის გააქტიურებისთვის ხელის შეწყობის მიზანს ემსახურება წინამდებარე წიგნი.

1992-1993 და შემდგომ წლებში აფხაზეთში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების, ცალკეული ფაქტების აღწერას, მათი პოლიტიკური და სამართლებრივი ანალიზი ყოველთვის წარმოადგენდა და ამჟამადაც წარმოადგენს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას. ოკუპირებული რეგიონების თანდათანობითი ანექსიის თანამედროვე რუსული პოლიტიკის ფონზე ამ საქმიანობამ უკანასკნელი წლების მანძილზე ახალი დინამიკა შეიძინა, ის უფრო ღრმა, კომპლექსური და მასშტაბური გახდა. რაც

მთავარია, წინ წამოიწია გენოციდის მივიწყებულმა თემამ. ინგლისურ და რუსულ ენებზე უკვე მომზადდა და საკმაოდ ფართოდ ვრცელდება გამოცემები, რომელიც მსოფლიო საზოგადოებრიობას, მათ შორის ოკუპანტი ქვეყნის საღად მოაზროვნე მოქალაქეებს რუსეთის სახელმწიფოსა და სეპარატისტთა მცირე ჯგუფის მიერ აფხაზეთის ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი უმძიმესი დანაშაულის სათანადოდ გაცნობიერებისა და გათავისების საშუალებას აძლევს².

წინამდებარე წიგნი „აფხაზეთის, საქართველო, ტრაგედია: ისტორიული, პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტები“ ძირითადად ქართველი მკითხველისთვის, პირველ რიგში, პოლიტიკური და სამეცნიერო-საექსპერტო წრეებისთვის არის განკუთვნილი. იგი ოთხი ნაწილისაგან და ვრცელი დანართისაგან შედგება. პირველ ნაწილში „აფხაზეთი, საქართველო: ისტორიისა და პოლიტიკის საკითხები“ მოკლედ არის გაშუქებული აფხაზეთის პოლიტიკური ისტორია უძველესი დროიდან დღემდე. ყურადღება გამახვილებულია საკამათო საკითხებზე, რომელთა ფალსიფიკაციასაც ეწევიან როგორც სეპარატისტები, ისე რუსეთის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელები ვ. პუტინისა და ს. ლავროვის ჩათვლით. წიგნში მოტანილი მასალები ამხელენ რა ფალსიფიკატორებს, ცალსახად ადასტურებენ საქართველოს ისტორიულ უფლებას თავის ძირძველ ტერიტორიაზე, ამასთანავე არანაირად არ უგულვებელყოფენ აფხაზთა კანონიერ პოლიტიკურ უფლებებს.

პირველ ნაწილში საუბარია აგრეთვე 1992 – 1993 წლების ომამდე და ომის შემდგომ პერიოდში აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, პოსტსაბჭოთა პერიოდის რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე, ომის შედეგად ავტონომიურ რესპუბლიკაში დატრიალებულ ტრაგედიაზე (რომელიც დღემდე გრძელდება), რუსეთის იმპერიალისტური, ანექსიონისტური პოლიტიკის გააქტიურებაზე, ავტონომიური რესპუბლიკის დეოკუპაციისკენ მიმართული დამატებითი ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე და ა. შ.

წიგნის მეორე ნაწილი – „რუსეთი და 1992-1993 წლების ომი აფხაზეთში“ – ეხება სეპარატისტებთან და სხვა უკანონო ბანდიტურ შეიარაღებულ ფორმირებებთან ერთად რუსეთის საჯარისო ნაწილების უშუალო მონაწილეობას აფხაზეთის ომში. განხილულია ამ მონაწილეობის სამხედრო-სტრატეგიული, პოლიტიკური და დიპლომატიური პარამეტრები, აგრეთვე გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული

2. International society to bring a verdict on the tragedy of Abkhazia/Georgia. Jemal Gamakharia, Tamar Jafaridze, Ketevan Chigogidze. Tbilisi, 2015; <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/117908>. Трагедия Абхазии, Грузия, на суд Российской общественности. Джемал Гамахария, Леван Алексидзе, Тамар Джапаридзе, Дазмир Джоджуа. Тбилиси, 2016. <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/180785>.

შედეგები. გაკეთებულია დასაბუთებული დასკვნები იმის შესახებ, რომ ომის ტრაგიკული შედეგები სწორედ რუსეთის ფაქტორმა განაპირობა; რომ თავისი ხასიათით ის იყო არა იმდენად ქართულ-აფხაზური ეთნოკონფლიქტი, არამედ სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტი რუსეთსა და საქართველოს შორის; რომ აფხაზეთში გაჩაღებული რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს წინააღმდეგ ტიპოლოგიური თვალსაზრისით წარმოადგენდა სინთეტიკური ხასიათის ჰიბრიდულ ომს მრავალნახნაგოვანი და მრავალგანზომილებიანი ფორმატით.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წიგნის მესამე ნაწილს – „1992-1993 წლებში შეიარაღებული კონფლიქტის დროს და შემდგომ პერიოდში აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი გენოციდის დანაშაულის სამართლებრივი ანალიზი“. ეს არის არა „საბრალებო დასკვნა“, არამედ პოლიტიკურ-სამართლებრივი შინაარსის გამოკვლევა, რომელიც ააშკარავებს აფხაზეთში ჩადენილი დანაშაულის ხასიათს. სამართლებრივი ანალიზი ჩატარებულია ამ საკითხზე საქართველოს გენერალური პროკურატურის დასკვნისა და დიდძალი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე, რომელიც წინამდებარე წიგნის მეოთხე ნაწილში ქვეყნდება. საერთაშორისო სისხლის სამართლებრივი ნორმების, აგრეთვე საერთაშორისო ტრიბუნალებისა და ეროვნული სასამართლოების მდიდარ გამოცდილებაზე დაყრდნობით გამოტანილია დასაბუთებული დასკვნა, რომ 1992-1993 და შემდგომ წლებში აფხაზეთში ჩადენილი დანაშაული წარმოადგენს ქმედებას 1948 წლის 9 დეკემბრის გაეროს „გენოციდის თავიდან აცილებისა და დასჯის კონვენციის“ მე-2 მუხლის (გენოციდის დანაშაული) ფარგლებში. განხილულია საკითხი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 1993 წლის 8 ივლისის დამატების სახით შეტანილი 65¹-ე მუხლის (სისხლის სამართლის მოქმედი კოდექსის 407-ე მუხლი) მანამდე ჩადენილი დანაშაულების მიმართ რეტროაქტიულად გავრცელების შესაძლებლობის შესახებ. მესამე ნაწილის მომზადებისას მის ავტორს თამარ ჯაფარიძეს დიდად დაეხმარა სოლიდური პირადი გამოცდილება, რომელიც მან ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში შეიძინა, სადაც იგი ამჟამადც მუშაობს.

მეოთხე ნაწილს შეადგენს „აფხაზეთში ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა-გენოციდის მსხვერპლთა სახელობითი სია“. იგი შედგენილია აფხაზეთის რაიონების, ქალაქებისა და სოფლების მიხედვით. დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების თანახმად, სიაში შეტანილია ოკუპანტებისა და სეპარატისტების მიერ უმოწყალოდ დახოცილი 5 ათასზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე. შესაბამისი მასალების შეგროვება და ამგვარი სიის შედგენა ომის პირველი დღეებიდანვე დაიწყო და კვლავაც გრძელდება. აღნიშნული საკითხით

დაკავებული იყვნენ და დღესაც დაკავებული არიან როგორც საქართველოს მთავარი (გენერალური) პროკურატურა, ისე დევნილობაში მოქმედი აფხაზეთის ხელისუფლების ლეგიტიმური სტრუქტურები. ეთნიკური წმენდა/გენოციდის მსხვერპლთა შესახებ სათანადო ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების მიზნით, თავის დროზე უმაღლეს საბჭოსთან და აგრეთვე რაიონულ ადმინისტრაციებთან სპეციალური სამსახური შეიქმნა. 1992 წლიდან თითქმის ათი წლის განმავლობაში აღნიშნული კუთხით ადამიანთა დიდი ჯგუფის, მათ შორის უმაღლესი საბჭოს ცალკეული წევრების მიერ განეული მუშაობის შედეგები ასახულია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე უმაღლესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის ავტორობით ან რედაქტორობით შესრულებულ პუბლიკაციებში და სხვა გამოცემებში³.

2012 წლიდან, როცა მიზნად იქნა დასახული აფხაზეთში ოკუპანტებისა და სეპარატისტების მიერ ჩადენილი დანაშაულის სამართლებრივი შეფასება, გააქტიურდა საქმიანობა ეთნონმენდა/გენოციდის მსხვერპლთა აღრე შედგენილი სიების დასახუტებლად და შესავსებად. ამ კუთხით განეული მუშაობის შედეგებმა ასახვა ჰპოვეს 2015 და 2016 წლებში ინგლისურ და რუსულ ენებზე შესრულებულ გამოცემებში⁴. ეთნონმენდა/გენოციდის მსხვერპლთა სიების გადამონმებამ გამოავლინა სერიოზული ხარვეზები. მათი გამოსწორების აუცილებლობის შესახებ ამ სტრიქონების ავტორმა 2016 წლის 11 ნოემბერს ოფიციალური წერილით მიმართა აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს ბ-ნ ვახტანგ ყოლბაიას. წერილში ნათქვამია:

„ბატონო ვახტანგ,

გიდასტურებთ რა ღრმა პატივისცემას, შეგახსენებთ იმ დიდი მუშაობის თაობაზე, რომელიც აფხაზეთში დახოცილი მშვიდობიანი მოსახლეობის შესახებ მონაცემების მოსაპოვებლად საქართველოს მთავარ პროკურატურაში, აფხაზეთის უმაღლეს საბჭოსა და აღმასრულებელ ხელისუფლებაში ომის პირველი დღეებიდანვე მიმდინარეობდა. ამ საკითხით იყვნენ დაკავებული ჩვენი რაიონული ადმინისტრაციები, აფხაზეთის სახალხო დამცველის აპარატი, ამ უკანასკნელის რეორგანიზაციის შემდეგ-უმაღლეს საბჭოსთან არსებული იგპ-თა უფლებების დაცვის სამსახური, რომელიც შემდგომში

3. თამაზ ნადარეიშვილი. შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ. თბილისი, 1998; **Тамаз Надареишвили. Геноцид в Абхазии. Тбилиси, 1998**; ვლადიმერ ჭანტურია. სისხლიანი დღეები სამურხაყანოში (გალის რაიონი). ზუგდიდი, 1998; **Black book of Abkhazia. Tbilisi, 2001** და ა. შ.

4. **International society to bring a verdict on the tragedy of Abkhazia/Georgia, p. 129-391; Трагедия Абхазии, Грузия на суд Российской общественности, с. 224-487.**

აფხაზეთის იუსტიციის დეპარტამენტში გადავიდა. 2000 წლამდე ჩატარებული მუშაობის შედეგები არაერთხელ გამოიკა ან განსვენებული თ. ნადარეიშვილის სახელით.

2012 წლიდან დაიწყო ახალი პროექტის განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავდა და ისახავს არა იმდენად სიების შედგენას, არამედ აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის, მისი პოლიტიკური და განსაკუთრებით სამართლებრივი ასპექტების თაობაზე საერთაშორისო საზოგადოებრიობის ინფორმირებას, ეთნიკური წმენდისა და გენოციდის თემის წინ წამოწევას. აღნიშნული პროექტის ფარგლებში 2015 წელს ინგლისურ ენაზე გამოიკა წიგნი „აფხაზეთის, საქართველო, ტრაგედია საერთაშორისო საზოგადოებრიობის სამსჯავროზე.“ პროექტის განხორციელებაში მეცნიერების, პრაქტიკოსებისა და ლეგიტიმური ხელისუფლების ორივე შტოს წარმომადგენელთა დიდი ჯგუფი მონაწილეობდა. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო დევნილთა დეპარტამენტის, აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის, ასევე ცალკეული პიროვნებების თანადგომა და მხარდაჭერა. მათი ძალისხმევით, წარმოჩინდა ადრე დაშვებული სერიოზული ხარვეზები თავისი არსით ტექნიკური ხასიათის, მაგრამ ამავე დროს ძალიან მნიშვნელოვანი სამუშაოს ჩატარებაში, კერძოდ, ეთნონმენდა-გენოციდის მსხვერპლთა სიის შედგენასა და დალუპულთა შესახებ მონაცემების შეგროვებაში. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ადრე შედგენილი სიები არასრულია; ამავე დროს, გაირკვა, რომ არც თუ ისე ცოტა რაოდენობით მასში მოხვდნენ ცოცხალი ადამიანებიც, აგრეთვე სამხედროები; არის შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის ადამიანი სხვადასხვა სახელით (ოფიციალურით და მოფერებითი სახელებით) სიაში ორჯერ ფიგურირებს; ხშირად მონაცემები დალუპულთა შესახებ ძალზე მწირია (არ არის მითითებული ასაკი, დალუპვის თარიღი და გარემოებები...); ზოგიერთი დალუპული სხვა მისამართზეა (სხვა სოფელში) დაფიქსირებული. ნათესავებთან შეთანხმებით, გასარკვევია უგზოუკვლოდ დაკარგულთა საკითხი...

ზემოხსენებული პროექტის განხორციელებაში ჩართული ადამიანების რუდუნებამ შესაძლებელი გახადა ამ და სხვა ხარვეზების მხოლოდ ნაწილობრივ გამოსწორება, რაც აისახა კიდევაც ახლახან განხორციელებულ რუსულენოვან გამოცემაში „აფხაზეთის, საქართველო, ტრაგედია რუსეთის საზოგადოებრიობის სამსჯავროზე.“ წიგნის ხუთ ეგზემპლარს აქვე გაახლებთ. მასში მოტანილი მონაცემები ამ დროისათვის ყველაზე სრული და ზუსტია, მაგრამ ის ვერ იქნება და არც არის თავისუფალი ზემოაღნიშნული ხარვეზებისაგან. წიგნში წარმოდგენილ სიასაც შემდგომი შევსება, დახვეწა სჭირდება. საამისოდ აუცილებელი სამუშაოები დღეს თუ არ შესრულდა,

ახლო მომავალში, გასაგები მიზეზების გამო, იგი ვერც შესრულდება. დარწმუნებული ვარ, თქვენ ვერ და არ შეურიგდებით იმ სავალალო და სამარცხვინო ფაქტს, როდესაც ომის დამთავრებიდან 23 წლის შემდეგაც, მიზეზთა გამო, ჩვენ არ გაგვაჩნია ეთნიკური წმენდა-გენოციდის მსხვერპლთა სრულყოფილი სახელობითი სია შესაბამისი მოკლე მონაცემებით თითოეულ დაღუპულზე.

ამასთან დაკავშირებით, გთხოვთ, აფხაზეთში ეთნიკური წმენდა-გენოციდის მსხვერპლთა მაქსიმალურად სრულყოფილი სიის შედგენის მიზნით, სათანადო დავალებები მისცეთ დევნილთა დეპარტამენტსა და სამთავრობო რეგიონალურ წარმომადგენლობებს. ისინი უნდა მივიდნენ აფხაზეთის თითოეული დასახლებული პუნქტის დევნილ ხელმძღვანელამდე ან ყოფილ ხელმძღვანელამდე, იგბ-თა თითოეულ ჩასახლებამდე და, საჭიროების შემთხვევაში, თითოეულ დევნილამდეც კი, რათა მათი დახმარებით მოხდეს სიების გადამოწმება...

დღეს მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი ჩვენს თანამემამულეთა მეხსიერებას ჯერ კიდევ შემორჩენილი მონაცემების შეკრება და, საბოლოო ჯამში, ისეთი სიის დადება, როგორიც ეკადრება ეთნიკური წმენდა – გენოციდის მსხვერპლთა სამარადისო ხსოვნას, როგორიც ეკადრება აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას“.

აღნიშნულ წერილობით მიმართვას აფხაზეთის მთავრობის მხრიდან მყისიერი და ადექვატური რეაგირება მოჰყვა. მეორე დღესვე, 2016 წლის 10 ნოემბერს, მთავრობის ხელმძღვანელმა აფხაზეთის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის უფროსს შემდეგი დავალება მისცა: „ბატონ კ. კუჭუხიძეს, გთხოვთ, მიიყვანოთ ბოლომდე დაწყებული საქმე. ჩავრთოთ ჩვენი წარმომადგენლობა. ვ. ყოლბაია“. დავალების შესრულების მიზნით, დეპარტამენტის უფროსმა ბ-ნმა კოტე კუჭუხიძემ 2016 წლის 18 ნოემბერს გამოსცა სპეციალური ბრძანება, რომელშიც ნათქვამია:

„1. 1992-1993 და შემდგომ წლებში აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში განხორციელებული ეთნიკური წმენდისა და გენოციდის მსხვერპლთა მონაცემების დახვეწა-დაზუსტების მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) კონსტანტინე კუჭუხიძე – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის უფროსი;

ბ) ბულისკერია გიორგი – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;

გ) დემურ კეკელია – აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

დ) ზაზა ჩაჩავა – იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ე) ალექსანდრე ჩიკვაიძე – სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ვ) მევლუდ ჯაჭვლიანი – ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ზ) რომან კოკაია – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის წარმომადგენლობების მართვის, კოორდინაციისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

თ) მურმან ჩხოტუა – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის სპეციალისტი (შტატგარეშე მოსამსახურე), სამუშაო ჯგუფის წევრი;

2) დაევალოს ჯგუფის წევრებს (წარმომადგენლობის ხელმძღვანელებს) მთავრობის წარმომადგენლობებში ანალოგიური მიზნით სამუშაო ჯგუფების შექმნა და მუშაობის წარმართვა;

3) დაევალოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს გიორგი ბულისკერიას შექმნილი სამუშაო ჯგუფების კოორდინაცია და მათ მიერ განეული მუშაობის ანალიზი;

4) დაევალოს ადმინისტრაციული განყოფილების უფროსს (ჯ. არქანია) აღნიშნული ბრძანების კანონით დადგენილი წესით დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა;

5) ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად...“
ეთნიკური წმენდა, გენოციდის მსხვერპლთა სიის გადამოწმება-დაზუსტებას აფხაზეთის დევნილთა საქმეების დეპარტამენტმა თითქმის ერთწლიანი ინტენსიური მუშაობა მოანდომა. შედგა ამ დროისათვის ყველაზე სრულყოფილი სია, რომელშიც 5 ათასზე მეტი მხოლოდ მშვიდობიანი მოქალაქეა შეტანილი. დაზუსტდა აგრეთვე უგზო-უკვლოდ დაკარგულ მშვიდობიან მოქალაქეთა სიაც, რომელშიც 263 ადამიანია შეყვანილი. მომზადებულ სიებში არ არის შეყვანილი სამხედრო მოსამსახურეები, აგრეთვე ოკუპანტების მიერ დახოცილი ასობით სამხედრო ტყვე.

დევნილთა საქმეების დეპარტამენტში შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრთა გარდა, სიების დაზუსტებაში, აგრეთვე ამასთან დაკავშირებული სხვადასხვა ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში დიდი

დახმარება აღმოგვიჩინეს რაისა ქარაიამ, ვახტანგ კაჭარავამ, როსტომ შამუგიამ, ზურაბ მებონიამ, ოთარ ჩარკვიანმა, ზურაბ გახარიამ, დალი ჯონჯუამ, დინარა დარსალიამ, მზია ომანაძემ, დავით ჟვანიამ, გივი როგავამ, ნონა შონიამ, ასმათ დვალიშვილმა, ირაკლი გუჩუამ, ლამა სახელაშვილმა, ნაურ ჯიქიამ, გურამ ჯიქიამ, ნელი კოპალიანმა, ალექსანდრე ქვარცხავამ, ჯამბულ გიგინეიშვილმა, თინათინ ხარბედიამ, მურმან გოგიამ, ლევან ბარათელმა და სხვებმა, რისთვისაც სარედაქციო საბჭო მათ მადლობას მოახსენებს. მიუხედავად განუწესილი მუშაობისა, მონაცემთა ბაზა გენოციდის მსხვერპლთა შესახებ ჯერ კიდევ სრული არ არის. მისი შემდგომი შევსება და სრულყოფა შესაძლებელია აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, აგრეთვე ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა დახმარებით. დამატებითი მონაცემები აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს აპარატს უნდა მიენდოს.

მომზადებული სიები, რომლებსაც თან ახლავს მოკლე ანოტაციები დალუპულთა შესახებ, ცალსახად ადასტურებენ, რომ 1992-1993 და შემდგომ წლებში ოკუპანტებმა და სეპარატისტებმა აფხაზეთში ჩაიდინეს დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ, ყველაზე ველური მეთოდებით მოაწყვეს მშვიდობიანი მოსახლეობის ეთნიკური წმენდა, გენოციდი.

„აფხაზეთში ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა, გენოციდის მსხვერპლთა სახელობით სიას“ თან ერთვის „1992-1993 წლებში ქართული უკონტროლო სამხედრო ფორმირებებისა და კრიმინალების მიერ დახოცილი აფხაზური და სხვა ეროვნების მშვიდობიან მოქალაქეთა სია“ (IV. 9). მასში შეტანილია მონაცემები ასამდე საქართველოს მოქალაქის დალუპვის შესახებ, მათ შორს არის 60-მდე აფხაზი, 25 სომეხი, რამდენიმე ქართველი, თურქი და სხვა ეროვნების წარმომადგენელი. სია შედგენილია აფხაზეთის დე-ფაქტო პროკურატურის მასალების მიხედვით. ეს მასალები ჯერ კიდევ 1993 წელს, ომის დასრულებისთანავე, მოსკოვში გამოქვეყნდა, მოგვიანებით კი შეივსო და დე-ფაქტო პროკურატურის ვებ-გვერდზე განთავსდა⁵. სამწუხაროდ, სია არ შეიცავს სრულყოფილ მონაცემებს დალუპულ მშვიდობიან მოქალაქეთა შესახებ. მასში საბრძოლო მოქმედებების დროს დალუპული აფხაზი მეომრებიც არიან შეყვანილი⁶; ყოველთვის არ არის მითითებული გვარები ან სახელები, აგრეთვე ზუსტი მისამართები, დალუპვასთან დაკავშირებული გარემოებები. მითითებული ხარვეზებისთვის პასუხისმგებელია აფხაზეთის დე-ფაქტო პროკურატურა. ჩვენ კი იძულებული ვართ დავეყრდნოთ ამ უკანასკნელის

5. Белая книга Абхазии. Документы, материалы, свидетельства. Москва, 1993; www.abkhaziya.org.

6. Белая книга Абхазии, с. 143-146.

მიერ არაპროფესიონალურად დამუშავებულ მასალებს, რადგანაც არ გვაქვს მათი გადამოწმების შესაძლებლობა.

აღნიშნული სიის გამოქვეყნებით, პირველ რიგში, პატივს მივაგებთ ომის პერიოდში ქართველ „ბოევიკთა“ და სხვა კრიმინალთა ხელით დახოცილი უდანაშაულო აფხაზი და სხვა ეროვნების მშვიდობიან მოქალაქეთა ნათელ ხსოვნას. მათი სიცოცხლის მოსპობაში მხილებული პირები ქართულმა სახელმწიფომ მკაცრად დასაჯა როგორც ომის პერიოდში, ისე საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ. ეს ფაქტი, განსაკუთრებით კი აფხაზეთის უკანონო პროკურატურის მასალების საფუძველზე შედგენილი სია, დამაჯერებლად უარყოფს სეპარატისტულ მითს ქართველების მიერ აფხაზეთისთვის მონყობილი გენოციდის შესახებ.

„უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სია“ საფუძვლიანად არის გადამოწმებული და გადამუშავებული. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მასში 263 მხოლოდ მშვიდობიანი მოქალაქეა შეყვანილი. ომის დასრულებიდან მეოთხედი საუკუნის გასვლის შემდეგ სიაში მითითებული ადამიანების უდიდესი ნაწილის ცოცხლად გადარჩენის ალბათობა მიზეზრულია. ჩვენი აზრით, ეს ადამიანებიც გენოციდის მსხვერპლად უნდა იქნენ განხილული.

დანართის სახით ქვეყნდება მოხსენება „აფხაზეთის, საქართველო, ტერიტორიაზე განხორციელებული ეთნიკური წმენდის/გენოციდის პოლიტიკის გამოვლენილი ფაქტების და სათანადო სასამართლო პროცესის საერთაშორისო პრინციპების შესაბამისად ბრალდებული პირების მართლსაჯულებისთვის გადაცემის აუცილებლობის შესახებ“. იგი წარმოადგენს „აფხაზეთში, საქართველო, ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ ეთნიკური წმენდის, გენოციდის ფაქტების დადგენისა და მასალების საერთაშორისო ტრიბუნალისთვის გადაცემის მიზნით შექმნილი სახელმწიფო კომისიის დასკვნას“. სახელმწიფო მეთაურის განკარგულებით, შესაბამისი სახელმწიფო კომისია ომის დამთავრებისთანავე, 1993 წლის 6 ოქტომბერს, შეიქმნა. მის შემადგენლობაში შედიოდნენ პროფესორი ლევან ალექსიძე (სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე), ჯამლეთ ბაბილაშვილი (საქართველოს გენერალური პროკურორი), თედო ნინიძე (საქართველოს იუსტიციის მინისტრი), ალექსანდრე კავსაძე (საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე), ირაკლი ბათიაშვილი (საქართველოს საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსი), გივი ლომინაძე (საქართველოს პარლამენტის წევრი), ავთანდილ იოსელიანი (საქართველოს შს მინისტრის პირველი მოადგილე), ვალერიან ვაშაკიძე (საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარე), შალვა


ნათელაშვილი (საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომისიის თავმჯდომარე), ნიკო ჭავჭავაძე (საქართველოს პარლამენტის წევრი), ლონდერ ცაავა (სახელმწიფო მეთაურის აპარატის რეგიონების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე), ავთანდილ დემეტრაშვილი (სახელმწიფო მეთაურის აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი), დავით კობახიძე (სახელმწიფო კომისიის მდივანი, თსუ-ს საერთაშორისო სამართლის კათედრის თანამშრომელი) და სხვები⁷. კომისია წლების განმავლობაში მუშაობდა. მისი სახელით დასკვნა პროფესორმა ლევან ალექსიძემ მოამზადა, რასაც წინ უძღოდა საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 6 იანვრის ბრძანებულება „ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე და რუანდაში ჩადენილი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დარღვევისათვის პასუხისმგებელ პირთა სასამართლო დევნისათვის შექმნილ საერთაშორისო ტრიბუნალებთან საქართველოს აქტიური თანამშრომლობის უზრუნველყოფის შესახებ“ და პრეზიდენტის იმავე წლის 1 თებერვლის განკარგულება „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1997 წლის 30 იანვრის №1096 რეზოლუციიდან გამომდინარე გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“⁸.

სახელმწიფო კომისიის წინამდებარე დასკვნა იმავე წლის აპრილში გაეროს გენერალური ასამბლეის დოკუმენტის სახით გავრცელდა. მასში დასაბუთებულია, რომ აფხაზეთში განხორციელდა დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ – განხორციელდა მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა, გენოციდი. დასმულია საკითხი დამნაშავეთათვის წარსადგენი ბრალდებების დასაზუსტებლად საქართველოში გაეროს ექსპერტთა ჯგუფის მოვლინების შესახებ. „ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ ეთნიკური წმენდა-გენოციდის ფაქტების საერთაშორისო დონეზე დადასტურების შემდეგ, -ნათქვამია დასკვნაში, – გაერომ უნდა დაიწყოს ქმედებები, რომელთა მიზანი იქნება ამ დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირების სამართალში მიცემა, სათანადო სასამართლო პროცესის საერთაშორისო პრინციპების შესაბამისად“.

კონფლიქტის სამართლიანი დარეგულირების მეტისმეტად გაჭიანურების და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულს ხანდაზმულობის ვადა არ გააჩნია, სახელმწიფო კომისიის მიერ ბ-ნ ლევან ალექსიძის ხელმძღვანელობით მომზადებული დასკვნის სულისკვეთება და ძირითადი დებულებები დღესაც ინარჩუნებენ აქტუალობას. აღნიშნული დოკუმენტი, აგრე-

7. აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში, ნაწ. I. ვ. ყოლბაია, თ. ჩახრაკია, რ. გელანტია, დ. ლაცუზბაია. თბილისი, 2000, გვ. 278-279.

8. აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში. ნაწ. II. ვ. ყოლბაია, თ. ჩახრაკია, რ. გელანტია, დ. ლაცუზბაია. თბილისი, 2000, გვ. 135-136, 140-142.



ნუგზარ მგალობლიშვილი

თვე „1992-1993 წლებში შეიარაღებული კონფლიქტის დროს და შემდგომ პერიოდში აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი გენოციდის დანაშაულის სამართლებრივი ანალიზი“, რომელიც აქვე ქვეყნდება (ნაწილი III), ერთმანეთს ავსებენ და წარმოადგენენ საკმარის საფუძველს აფხაზეთში ქართველთა გენოციდის საერთაშორისო აღიარებისა და დამნაშავე პირთა დასჯის მიზნით საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნის შესახებ საკითხის დასაყენებლად.

ამასთანავე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მრავალტანჯული აფხაზი ხალხი, რომლის სახელითა და მონაწილეობით იქნა ჩადენილი გენოციდის დანაშაული ქართველთა წინააღმდეგ, ვერ იქნება მასზე სრულად პასუხისმგებელი, რადგანაც იგი თავად არის ვითომ მოპოვებული „გამარჯვების“ მსხვერპლი.

წინამდებარე წიგნი, რომლის მთავარი მიზანი არის აფხაზეთის დეოკუპაციისა და არაღიარების პოლიტიკისთვის ხელის შეწყობა, ამ პოლიტიკაში ქართული მოსახლეობის გენოციდის „მივიწყებული“ თემის კვლავ შემოტანა, განკუთვნილია სამეცნიერო და პოლიტიკური წრეებისთვის, აგრეთვე აღნიშნული პრობლემით დაინტერესებული ფართო მკითხველისთვის.

I. აფხაზეთი, საქართველო: ისტორიისა და პოლიტიკის საკითხები

I.1. ისტორიული აფხაზეთი და აფხაზეთი

ქართული სახელმწიფოებრიობა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისტორიისათვის მცირე პერიოდს – 1801-1917 წლებს – სხვადასხვა ფორმით თითქმის 3.5 ათასი წელიწადი აგრძელებდა და აგრძელებს უწყვეტად არსებობას. ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში ჩამოყალიბებული ლეგენდარული კოლხეთის სამეფო საქართველოს თანამედროვე ტერიტორიის მეტ ნაწილს მოიცავდა. მის შემადგენლობაში შემოდიოდა ენგურ – ფსოუს მონაკვეთიც, რომელსაც შემდგომში აფხაზეთი ეწოდა. მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ეს ტერიტორია ქართველებით იყო დასახლებული და შედიოდა სხვადასხვა ეპოქაში არსებული ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში ან წარმოადგენდა გარეშე დამპყრობთა შემოსევების შედეგად თუ სხვა მიზეზით დროებით დაქუცმაცებულ საქართველოში აღმოცენებული ქართული პოლიტიკური ერთეულების (ეგრისი, ლაზიკა, აფხაზეთის სამეფო, იმერეთის სამეფო) ორგანულ ნაწილს.

„ქართლის ცხოვრების“ პირველივე სტრიქონები იუწყებიან კავკასიელ ხალხთა ნათესაობისა და მათი ეპონიმების შესახებ. როგორც ამ ცნობის ავტორი ლეონტი მროველი აღნიშნავს, ტერიტორია სურამის მთებიდან შავ ზღვამდე და მდინარე მცირე ხაზარეთამდე (თანამედროვე მდ. ყუბანი) წილად ხვდა ეგროსს – ეგრების (მეგრელების) ეპონიმს. ანტიკური ხანიდან რომაული და განსაკუთრებით ბიზანტიური მწერლებისთვის კარგად ცნობილი აფშილები და აბაზგები, ანუ ისტორიული აფხაზები, ძველქართულ მატრიანეში წარმოდგენილი არიან არა უცხო ეთნოსად, არამედ დასავლელ ქართველთა ორგანულ ნაწილად. იგივე მოსაზრებას იზიარებდა უკლებლივ ყველა რომაელი თუ ბიზანტიელი ავტორი, ვინც მსოფლიოს ხალხთა გენეოლოგიის თემას ეხებოდა. მათ შორის იყვნენ იპოლიტე რომაელი (III ს.), ევსევი ანტიოქელი (280-360 წლები), „Liber generationis“-ს ავტორი (334 წ.), ევსევი კესარიელი (გარდაიცვალა 340 წელს), ეპიფანე კვიპრელი (314-403 წლები), პასქალური ქრონიკის შემდგენელი (630-640 წლები), გიორგი სინგლოზი (VIII-IX სს.), ლეონ გრამატიკოსი (XI ს.), გიორგი კედრენე (XI ს.), იოანე ზონარა (XII ს.) და სხვები. თავიანთ გენეოლოგიურ სქემებში ისინი ერთხელაც კი არ უთითებენ მათთვის კარგად ცნობილ აფსილებსა და აბაზგებს, რომლებიც ზოგიერთი ავტორის მიერ, სათანადო დასაბუთების გარეშე, თანამედროვე აფხაზთა წინაპრებად არიან მიჩნეული. ბიზანტიელი ავტორები მსოფლიოს ხალხთა გენეოლოგიურ სქემებში აფსილებსა და აბაზგებს ქართველებად –

კოლხებად, იბერებად, ხალიბებად, ტიბარენებად, მოსინიკებად, ლაზე-ბად, ეგრებად, სანებად, კოლხებად მოიხსენიებენ⁹.

დასავლეთ საქართველოში, ენგურ-ფსოუს მონაკვეთის ჩათვლით, არქეოლოგები ერთიან ქართულ (კოლხურ) კულტურას აფიქსირებენ. ამ ერთიანი კულტურის შიგნით, კოლხეთის სხვადასხვა რეგიონებში, მათ შორის თანამედროვე აფხაზეთის ჩრდილო – დასავლეთ ნაწილში დაფიქსირებული თავისებურებები კი უფრო განსხვავებული ბუნებრივ – კლიმატური პირობებით აიხსნება, ვიდრე ეთნიკური მრავალფეროვნებით. აფხაზეთში ავტოქტონური ქართული მოსახლეობის მკვიდრობის შესახებ მეტყველებენ ანტროპოლოგიისა და ლინგვისტიკის მონაცემები¹⁰. იგივეს ადასტურებენ ძველბერძნული, რომაული, ბიზანტიური და აღმოსავლური წყაროები. მაგალითად, ბერძენი ლოგოგრაფოსები ჰეკათე მილეთელი (ძვ. წ. VI ს.), სკილაკს კარიანდელი (ძვ. წ. VI ს.), ჰელანიკე მიტილენელი (ძვ. წ. V ს.), ჰეროდოტე (ძვ. წ. V ს.) დღევანდელი აფხაზეთის ფარგლებში, მათ შორის დიოსკურისთან (სოხუმთან) მხოლოდ ქართულ მოსახლეობას – კოლხებს, კორაქსებს, კოლებს, მოსხებს – უთითებენ¹¹.

სტრაბონის “გეოგრაფიის” მიხედვით (I საუკუნის დასაწყისი), დიოსკურია (სოხუმი) და ბიჭვინთა კოლხური, ანუ ქართული ქალაქებია. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ცნობას სოხუმის ირგვლივ სვანთა ძლიერი ტომის დომინირების შესახებ¹². პლინიუს უფროსიც (I ს.) თანამედროვე სოხუმს კოლხურ ქალაქად მიიჩნევს¹³. ფლავიუს

9. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 1. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი, 1961, გვ. 11-20, 35, 39-41; გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 4, წ. 1. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი, 1941, გვ. 6-9, 61-63; გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 5. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი, 1963, გვ. 3-4, 10; გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 6. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი, 1966, გვ. 191.
10. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი. თბილისი, 2007, გვ. 9-27, 173-196.
11. ნ. ლომოური. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები საქართველოს შესახებ. – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 35. თბილისი, 1963, გვ. 3-35; თ. ყაუხჩიშვილი. ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი, 1960, წიგნი I, 104; წიგნი IV, 37.
12. თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი, 1957, გვ. 120-121, 125-126.
13. თ. არბოლიშვილი. პლინიუს უფროსის „ბუნების ისტორია“ როგორც საქართველოს ისტორიის წყარო. თბილისი, 2006, გვ. 147-149.

არიანეს „მოგზაურობაში შავი ზღვის გარშემო“ (II ს.) აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ტრაპიზონიდან (დღევანდელი თურქეთი) ქალაქ ძველ ლაზიკამდე (მდებარეობდა დღევანდელი რუსეთის შავიზღვისპირა ქალაქ ტუაფსეს ჩრდილო – დასავლეთით) ამკარად ქართული სამყაროა წარმოდგენილი, რომელიც წვრილ – წვრილ თემებად არის დაყოფილი. მათ შორის სახელდებიან აფსილები (აფშილები) და აბაზგები¹⁴. აღნიშნული თემების ეთნიკური ვინაობა დაზუსტებულია კლავდიოს პტოლემეაიოსთან (II ს.) და V საუკუნის ანონიმთან. კლავდიოს პტოლემეაიოსი თანამედროვე გაგრისა და სოჭის მიდამოებში ქართველ „სუანო – კოლხებს“ ასახელებს; მათი სამხრეთ – აღმოსავლეთითაც (მათ შორის აფსილ-აბაზგების განსახლების არეალში) კაბადოკიამდე იგივე ქართველები – ლაზები, მანრალეები (მეგრელები) და ეკრეკტიკის (ეგრისის) მცხოვრებნი არიან წარმოდგენილი¹⁵. ამკარაა, რომ აფსილები და აბაზგები, კლავდიოს პტოლემეაიოსის მიხედვით, ცალკე ეთნოსებს არ წარმოადგენენ და ლაზ-მეგრელ-ეგრისელთა თემებად განიხილებიან.

V საუკუნის ანონიმი სიტყვა-სიტყვით იმეორებს ფლავიუს არიანეს ცნობას და ტრაპიზონიდან დიოსკურიის ანუ სოხუმის ჩათვლით რამდენიმე წვრილ – წვრილ თემს ასახელებს. მათ აღწერას ავტორმა, ფლ. არიანესაგან განსხვავებით, დაუროთ განმარტება, რომლის მიხედვითაც ქ. სოხუმიდან (სებასტოპოლისი) მდინარე ჭოროხამდე „წინათ ცხოვრობდა ის ხალხი, რომლებსაც კოლხები ეწოდებოდათ და (მერე) გადაერქვათ ლაზები“¹⁶. როგორც ვხედავთ, V საუკუნის ანონიმისთვისაც, ისევე როგორც კლავდიოს პტოლემეაიოსისთვის, აფსილები და აბაზგები ქართველები ანუ ლაზები (კოლხები) არიან. აღნიშნული ცნობა კიდევ იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ავტორი აკონკრეტებს თვით ისტორიულ კოლხთა ისედაც კარგად ცნობილ ვინაობას. ავტორი ცალსახად აიგივებს მათ დასავლეთ საქართველოს იმჟამინდელ მოსახლეობასთან – ლაზებთან და არა თანამედროვე აფხაზთა წინაპრებთან, როგორც ამის შესახებ წერენ ისტორიის გამყალბებლები, მათ შორის სეპარატისტები¹⁷. კოლხებსა და ლაზებს აიგივებენ აგრეთვე ისეთი ცნობილი ბიზანტიელი ავტორები, როგორებიც იყვნენ პროკოპი კესარიელი, იოანე ლიდე (VI საუკუნე),

14. ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუქა ნათელა კეჭაყმაძისა. თბილისი, 1961, გვ. 42-44, 52-53.

15. ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემეაიოსი. „გეოგრაფიის სახელმძღვანელო“. ცნობები საქართველოს შესახებ. – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32. თბილისი, 1955, გვ. 43-45.

16. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 2. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაუროთ ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი, 1952, გვ. 6.

17. О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии. Сухуми, 2015, с. 45-51.

გიორგი სინგელოზი (VIII-IX სს.), იოანე ცეცე (1110-1180 წლები), VII საუკუნის სომეხი ანონიმი გეოგრაფი და სხვები. კოლხებს//ლაზებს აფსუა-აფხაზთა წინაპრებთან არც ერთი დღემდე ცნობილი ისტორიული წყარო არ აიგივებს.

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ფლავიუს არიანეს მიერ დასახელებული თემები (აბსილები, აბაზგები, სანიგები და ა. შ.) ქართველებად მიაჩნიათ არა მხოლოდ კლავდიოს პტოლემეაიოსსა და V საუკუნის ანონიმს. IV საუკუნის ლათინური ავტორი რუფიუს ფესტ ავიენიც ამგვარ მოსაზრებას უჭერს მხარს. იგი ამტკიცებს, რომ ზიგების სამხრეთ-აღმოსავლეთით, ანუ საქართველოს შავიზღვისპირეთში აფხაზეთის ჩათვლით, მხოლოდ „ენერგიული კოლხები“ და „მკაცრი იბერები“ ცხოვრობენ¹⁸. IV-V საუკუნეებში, „დაყავი და იბატონეს“ რომაულ-იმპერიული პოლიტიკის შესაბამისად, ისინი აფსილებად, აბაზგებად და სანიგებად არიან დაყოფილები. მათი მმართველები ლაზიკის (ეგრისის) მეფის ვასალები არიან. აბაზგებს ორი მმართველი ჰყოლიათ, რაც აბაზგიის დაბალი სტატუსის მაჩვენებელია. აფშილეთი ცალკე ადმინისტრაციული ერთეულის სახით უშუალოდ ლაზიკა-ეგრისის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა და მას მეფის მიერ დანიშნული მაგისტროსები მართავდნენ. ადგილობრივ ციხე-სიმაგრეებშიც ეგრისელთა გარნიზონები იდგნენ¹⁹.

VI საუკუნეში მთელი დასავლეთ საქართველო ბიზანტია – ირანის დაპირისპირების ასპარეზად იქცა. ეგრისის სამეფო ორ დამპყრობელს შორის ლავირების პოლიტიკას ატარებდა. იგი ხან ბიზანტიისკენ, ხან კიდევ ირანისკენ იხრებოდა. 549 წელს ეგრისიდან განდევნილი ირანელები ბიზანტია-ეგრისისაგან განდგომილ აბაზგიაში ცდილობენ დამკვიდრებას. ამ ისტორიული მოვლენების ფონზე მოხდა აბაზგების ქრისტეს რჯულზე მოქცევა. როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველოში (მათ შორის, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე), როგორც ღმრთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში, ღმრთისმშობლისვე თხოვნითა და დავალებით, ქრისტიანობა ჯერ კიდევ I საუკუნეში მოციქულებმა ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა იქადაგეს. როგორც V საუკუნის ავტორი გელასი კვიზირელი, გელასი კესარიელის ცნობებზე დაყრდნობით წერდა, ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე I-ის დროს (306-337 წლები) დროს „ღმერთის მცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მდებარე მინა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა“, რასაც იგი „ტყვე დედაკაცის“, ანუ წმინდა ნინოს დამსახურებად მიიჩნევდა²⁰. ყოველივე ამის შემდეგ ქრისტიანობა

18. В. Латышев. Известия древних писателей о Скифии и Кавказе, т. II, выпуск 2. Санкт – Петербург, 1906, с. 358 – 359.

19. გეორგიკა, ტ. 2, გვ. 128, 133, 162-165.

20. გეორგიკა, ტ. 1, გვ. 186, 245-246.

მთელს დასავლეთ საქართველოში გავრცელდა. ამაზე მიუთითებს ნიკეის პირველ საეკლესიო კრებაზე (325 წელი) ბიჭვინთის ეპისკოპოს სტრატოფილეს, აგრეთვე ტრაპიზონის ეპისკოპოს დომნუსის დასწრებაც²¹. გარდა ბიჭვინთისა და მისი შემოგარენისა, ძლიერი ქრისტიანული თემები არსებობდნენ კომანში, ნებელდაში და სხვა რეგიონებში. ვახტანგ გორგასლის ეპოქაში (V საუკუნე) საქართველო გაერთიანდა, შესაბამისად ერთიანი და ავტოკეფალური იყო ეკლესიაც; ნირვა-ლოცვაც ქართულ ენაზე აღველინებოდა.

მიუხედავად ამისა, აბაზგიაში ქრისტიანობის პოზიციების განმტკიცებაზე უარყოფითად იმოქმედეს სკვითების, გუთების, ბოსფორელებისა და სარმატების (III საუკუნე), აგრეთვე ჰუნების (IV ს. 70-იანი წლები) ლაშქრობებმა, რომელთა შედეგად არაერთგზის იქნა დარბეული ქრისტიანული სალოცავები, პირველ რიგში, ბიჭვინთის საეპისკოპოსო კათედრა. ამ კუთხით ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებდა ბიზანტია-ირანის დაპირისპირება დასავლეთ საქართველოში, რაც რეგიონის სარწმუნოებრივ მდგომარეობაზეც აისახებოდა. ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე პირველის (527-565 წლები) მიერ აბაზგთა მოქცევა (დაახლოებით 542-548 წლები), ტაძრის აშენება, სებასტოპოლის ეპარქიის დაფუძნება და სხვა ღონისძიებები პირდაპირ უკავშირდებოდა ბიზანტია-ირანის დაპირისპირებას რეგიონში, ემსახურებოდა დასავლეთ საქართველოში ბიზანტიის პოზიციების განმტკიცების, კავკასიის ზეკარების ჩაკეტვის გზით მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებს.

გატარებულმა სარწმუნოებრივმა ღონისძიებებმა სასურველი შედეგები ვერ გამოიღეს, აბაზგები ვერ იქცნენ ბიზანტიისა და ეგრისის ერთგულ ვასალებად. პროკოფი კესარიელის ცნობით, მათ კვლავ საკუთარი მმართველები (ოფსიტე და სკეპარნა) დაიყენეს და სპარსელებთან ფარული კავშირიც გააბეს. ამის გამო იუსტინიანემ 550 წელს აბაზგებს დიდძალი ჯარი მიუსია და ისინი სასტიკად დასაჯა, მათი მიწა-წყალი კი უდაბნოდ აქცია. ბიზანტიამ კონტროლი აბაზგიაზე განამტკიცა, რის გამოც მან განკერძოებული მდგომარეობა დაიკავა ეგრისის მხარეთა შორის, თუმცა კვლავაც მის შემადგენელ ნაწილად რჩებოდა. VII საუკუნის 20-იან წლებში ბიზანტიამ ჰერაკლე კეისრის (610-641 წლები) სარდლობით ირანი დაამარცხა და ამიერკავკასიაზე თავისი ჰეგემონია დაამყარა. ერთდროულად ეგრისის შემადგენლობიდან აბაზგია გამოიყვანა და უშუალოდ დაიქვემდებარა, ანაკოფიაში კი თავისი არქონტი – ქართული წყაროების „აფხაზეთის ერისთავი“ დასვა. იმავე პერიოდში უნდა მომხდარიყო ეკლესიური გამიჯვნაც, რასაც ჰერაკლეს მმართველობის დროს

21. გეორგიკა, ტ. 1, გვ. 1-10.

შედგენილი პირველი ნოტიცია – კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს კათედრათა წუსხები – ადასტურებს. აღნიშნული ნოტიციის მიხედვით, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში დაფიქსირებულია ჯიქეთის ეპარქიაში შემავალი ნიკოფსიის ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო და აბაზგიის ეპარქიაში შემავალი სებასტოპოლისის ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო. იმჟამინდელი „ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო“ ნიშნავდა არა თანამედროვე გაგებით ეკლესიურ დამოუკიდებლობას, არამედ უშუალოდ კონსტანტინოპოლისადმი დაქვემდებარებულ საეკლესიო ცენტრს. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს შემადგენლობაში ოთხ ათეულზე მეტი ასეთი „ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო“ შედიოდა²².

VII საუკუნის შუახანებსა და მის მეორე ნახევარში აფხაზეთში არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ წარმოდგენას გვიქმნის იერუსალიმელი მონაზონი თეოდოსი განგრელი. მისი თხზულებიდან ვიგებთ, რომ ეგრისი და აბაზგია ბიზანტიას დაქვემდებარებული პოლიტიკური ერთეულებია, რომლებსაც კონსტანტინოპოლიდან დანიშნული პატრიკიოსები მართავდნენ. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია მდინარე გუმისთამდე თუ ანაკოფიამდე, ასევე კოდორის ხეობა ეგრისის შემადგენლობაშია. აბაზგიაც და ეგრისიც მათი პატრიკიოსების ჩათვლით ქრისტესმოყვარენი არიან.

VII საუკუნის შუახანებიდან საქართველო და მისი ერთ-ერთი პროვინცია – აფხაზეთი არაბული საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. ამის თაობაზე ქართულ ისტორიულ წყაროებში და ლიტერატურაში საკმარისი ცნობები მოიპოვება. როგორც კი ქართლში არაბებმა ფეხი მტკიცედ მოიკიდეს, 697 წელს ეგრისის პატრიკიოსი სერგი ბარნუკისძე ბიზანტიელებს აუჯანყდა და თავისი სამფლობელო არაბებს გადასცა. VIII საუკუნის დასაწყისში მთელი დასავლეთ საქართველო აბაზგიის ჩათვლით არაბთა ხელში აღმოჩნდა. ბიზანტიამ სცადა დასავლეთ საქართველოდან არაბების განდევნა. ამ მიზნით კეისარმა ვარდან ფილიპიკოსმა (711-713 წლები) ქართლის ერისმთავარ სტეფანოზ III-ს (710-738 წლები) დასავლეთ საქართველოს ერისმთავრობაც უბოძა და არაბთა წინააღმდეგ ბრძოლა უბრძანა. 712 წელს სტეფანოზი და მისი უფროსი ვაჟი მირი ეგრისში გადმოვიდნენ და არაბთა წინააღმდეგ ომში ჩაებნენ. მოგვიანებით მათ შემოუერთდა არაბებს გამოქცეული ქართლის ერისმთავარი არჩილიც – სტეფანოზის უმცროსი ვაჟი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ 712 წელს საფუძველი ჩაეყარა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს კვლავ გაერთიანების პროცესს, რომელიც დადებით შედეგს მოგვიანებით გამოიღებს.

22. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 83-85.

არსებობს დასაბუთებული მოსაზრება, რომ VIII ს. მეორე და მესამე ათწლეულებში არაბებმა ორჯერ ილაშქრეს აფხაზეთის რეგიონში²³. პირველი ლაშქრობა, სტეფანოზის დასჯის მიზნით, 714 წელს განხორციელდა. ხაზარეთიდან მობრუნებული არაბთა ჯარი მასლამა იბნ აბდ-ალ-მალიქის სარდლობით ჯერ აღმოსავლეთ საქართველოში შემოიჭრა, იქიდან დასავლეთ საქართველოში გადავიდა და აფხაზეთში, კერძოდ, ანაკოფიაში (დღევანდელი ახალი ათონი) გამაგრებულ ქართველებს შეუტია. ამ ბრძოლაში ქართველებმა გაიმარჯვეს. ამასთანავე მათ ხელი შეუწყვეს ალანიიდან მობრუნებულ კონსტანტინოპოლის ელჩს ლეონ ისავრიელს თავისი ერთ-ერთი მისიის (აფხაზეთზე გავლენის აღდგენა) შესრულებაში და სამშობლოში მშვიდობიანად გამგზავრებაში. 717-718 წლებში, როდესაც კეისრის ტახტი უკვე ლეონ III ისავრიელს ეკავა (717-741 წლები), მირს და არჩილს მან ამაგი დაუფასა და ეგრისისა და ქართლის სამეფო გვირგვინები გამოუგზავნა. ამ აქტით გადაიდგა კიდევ ერთი ნაბიჯი საქართველოს ერთიანობის აღდგენის გზაზე.

არაბთა მეორე ლაშქრობა საქართველოში მარვან იბნ მუჰამედის (744-750 წლებში ხალიფა მარვან II) სარდლობით დაახლოებით 735-737 წლებში განხორციელდა. არაბებმა ჯერ აღმოსავლეთ საქართველო ააოხრეს, 736 წელს თბილისის საამირო დაარსეს, რომელმაც სხვადასხვა ფორმით 1122 წლამდე იარსება. 737 წელს მათ დასავლეთ საქართველოშიც ილაშქრეს. მაშინ შეიპყრეს და აწამეს არგვეთის ერისთავები დავითი და კონსტანტინე მხეიძეები, აიღეს ციხე-გოჯი (თანამედროვე ნოქალაქევი), მოაოხრეს შიდა ეგრისი, გადალახეს მდინარე კელასური და ქალაქი ცხუმი (სოხუმი) გაანადგურეს. ამის შემდეგ არაბები ანაკოფიის ციხეს (თანამედროვე ახალი ათონი) მიადგნენ, სადაც დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების მირისა და არჩილის სარდლობით ქართული ჯარი იყო გამაგრებული. ანაკოფიის ციხის აღება მარვან იბნ მუჰამედმა ვერ მოახერხა, თუმცა ამ ბრძოლაში მეფე მირი მძიმედ დაიჭრა. ანაკოფიის ბრძოლებამდე და შემდგომში მიღწეული წარმატებების მიუხედავად, როგორც ქართული წყაროები იუწყებიან, არაბთა ჯარის პირადი შემადგენლობის დიდი ნაწილი ჯერ ანაკოფიასთან ეპიდემიამ, შემდეგ კი მდინარე ცხენისწყალთან სტიქიამ იმსხვერპლა. მურვან ყრუმ მის მიერ დარბეული საქართველო დატოვა²⁴.

23. მ. სანაძე. ერისმთავრები არჩილი და მირი და „ქართლის ცხოვრება“. – ყურნ. მესხეთი, 2001, IV, გვ. 71-88; მ. სანაძე, თ. ბერაძე. VIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართლისა და ეგრისის პოლიტიკური ისტორიიდან. – ქართული წყაროთმცოდნეობა, 2004, X, გვ. 70-81.

24. ქართლის ცხოვრება, ტ. 1. ტექსტი დაგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, 1955, გვ. 234-239, 245-248; ქართლის

არაბთა შემოსევების ისტორიის განხილვისას ჩვენთვის ამ კონკრეტულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მეფეები, ძმები მირი და არჩილი, არაბებისაგან თავს იცავდნენ საკუთარ სამფლობელოში, რომელსაც აფხაზეთის საერისთავო ერქვა. არაბებთან ბრძოლისას დაჭრილი ეგრისის მეფე მირის გარდაცვალების შემდეგ ეგრისის სამეფო გვირგვინის მფლობელი გარდაცვლილი მეფის ქალიშვილის მეუღლე, აფხაზეთის ერისთავი ლეონ I გახდა. მისმა მემკვიდრემ ლეონ II-მ ისარგებლა რა VIII საუკუნის ბოლოსთვის შექმნილი ხელსაყრელი საგარეო და საშინაო ვითარებით, მთელი დასავლეთ საქართველო გააერთიანა, უწოდა მას აფხაზეთი და იგი ბიზანტიის ქვეშევრდომობისაგან გაანთავისუფლა. დასავლეთ საქართველოს სამეფოს ლეონ II და მისი მემკვიდრეები აფხაზეთა მეფის მეფის ტიტულით მართავდნენ²⁵. ამის კანონიერ უფლებას მას აძლევდა ზემოაღნიშნული ისტორიული აქტი – არაბებთან ბრძოლის შემდეგ გარდაცვლილი მირის კუთვნილი დასავლურქართული სამეფო გვირგვინის აფხაზეთის ერისთავ ლეონისთვის გადაცემა.

ასე ჩამოყალიბდა აფხაზეთის ანუ დასავლეთ საქართველოს სამეფო დედაქალაქით ქუთაისში. ამიერიდან ტერმინები „აფხაზეთი“ და „აფხაზი“ დასავლეთ საქართველოსა და მის ქართულ მოსახლეობას აღნიშნავდნენ. თანამედროვე სეპარატისტები სპეკულირებენ აფხაზეთის სამეფოს თემით, მიიჩნევენ მას არა ქართულ, არამედ თანამედროვე გაგებით აფხაზურ (აფსუურ) სახელმწიფოდ. მსგავსი მოსაზრება ძალიან შორსაა სიმართლისაგან. სეპარატისტები მალავენ იმ ფაქტს, რომ აფხაზეთის სამეფოს მთელი პოლიტიკური და, რაც განსაკუთრებით ნიშანდობლივია, ჩვენამდე მოღწეული მდიდარი და უნიკალური კულტურული მემკვიდრეობა არის მხოლოდ ქართული. ამ უნიკალურ ქართულ კულტურას ოკუპანტები და სეპარატისტები დღეს ფიზიკურად ანადგურებენ ან იერსახეს უცვლიან.

არაქართული ეთნოსის, მათ შორის თანამედროვე აფსუა-აფხაზეთა წინაპრების მოღვაწეობის არანაირი კვალი არ ჩანს აფხაზეთის სამეფოს იმ ნაწილშიც კი, რომელსაც აფხაზეთის საერისთავო ეწოდებოდა და ანაკოფიის (ახალი ათონი) ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა. აღნიშნულ ტერიტორიაზეც მხოლოდ ქართული კულტურა ფიქსირდება. აფხაზეთის სამეფოში შემავალი აფხაზეთის საერისთავოს ფარგლებში, კერძოდ, ბიჭვინთაში იმყოფებოდა დასავლეთ საქართველოს, ანუ აფხაზეთის ქართული საკათოლიკოსო კათედრა.

ცხოვრება, ტ. 4. ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, 1973, გვ. 124-126, 320, 373, 695, 753, 776, 777.

25. ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 251.

ისტორიაში კარგად არის ცნობილი აფხაზეთის კათოლიკოსების ეთნიკური კუთვნილება – ყველა ქართველი იყო. ღმრთისმსახურებაც ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, რაზეც ბიჭვინთის XII საუკუნის ოთხთავი და მრავალი სხვა ისტორიული წყარო მიუთითებს. ცნობილია აგრეთვე აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიის ფარგლებში XVI – XVII საუკუნეებში მცხოვრები აფხაზეთის საკათოლიკოსოს კუთვნილი გლეხების ასობით გვარი და სახელი, რომელიც ასევე მთლიანად ქართულია²⁶.

საქართველოს ისტორიის გაყალბებისა და მითვისების მიზნით, სეპარატისტები და ოკუპანტები საგულდაგულოდ უმაღავენ საკუთარ მოსახლეობასაც კი ზემოაღნიშნულ, აგრეთვე სხვა მრავალრიცხოვან უტყუარ მონაცემებს, რადგანაც ისინი ამტკიცებენ, რომ აფხაზთა სამეფო ქართულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. თანამედროვე აფხაზთა (აფსუათა) წინაპრებს კი მასთან არავითარი შეხება არ ჰქონიათ. საპირისპირო მოსაზრების დამადასტურებელი ისტორიული საბუთი სამეცნიერო მიმოქცევაში და თვით ბუნებაშიც კი არ არსებობს. XI საუკუნის დასაწყისში ქართულ ენაზე შედგენილი უნიკალური ისტორიული წყაროს „აფხაზ მეფეთა დივანის“ მონაცემები ადასტურებენ ამ მეფეთა ეროვნულ კუთვნილებას, მათ ქართველობას. იგივეს ამტკიცებს აფხაზეთის მეფეთა ან მათი სახელით შესრულებული მრავალრიცხოვანი ქართული ეპიგრაფიკული მასალა²⁷. სეპარატისტების მხრიდან ისტორიის უხეში ფალსიფიკაციის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ „აფხაზ მეფეთა დივანის“ რუსულენოვან დოკუმენტად გასაღების სასაცილო მცდელობა²⁸.

სავსებით კანონზომიერად, სწორედ აფხაზეთის სამეფო წარმოადგენდა იმ მთავარ პოლიტიკურ და სამხედრო ძალას, რომელმაც X საუკუნის ბოლოს კვლავ გააერთიანა უცხოელი დამპყრობლების მიერ დაქუცმაცებული საქართველო. ერთიანი სახელმწიფოს სათავეში ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის წარმომადგენლები მოექცნენ. საფუძველი მას ჩაუყარა აფხაზთა მეფემ ბაგრატ III (978 – 1014 წლები), რომლის ხელმძღვანელობითაც ერთიანი ქართული სახელმწიფოს აღდგენა მოხდა. ამიტომ საქართველოს მეფეთა ტიტულატურა გამაერთიანებელი მეფის პირვანდელი ტიტულატურით იწყებოდა: „მეფე აფხაზთა...“ შემდგომში ბაგრატ III-სა და მის მემკვიდრეთა ტიტულატურაში აისახა სხვა ქართული რეგიონებისა და ეთნოგრაფიული ჯგუფების ჩამონათვალი იმ თანმიმდევრობით, რა

26. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 165-167.

27. ლია ახალაძე. აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო. ლაპიდარული და ფრესკული წარწერები. თბილისი, 2005; ლია ახალაძე. ეგრის-აფხაზეთის („აფხაზთა“) მეფეთა წარწერები. – აფხაზეთი, I. თბილისი, 2004, გვ. 56.

28. О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии. Сухуми, 2015, с. 134.

თანმიმდევრობითაც მოხდა გაერთიანებული საქართველოს იურის-დიქციის ქვეშ მათი მოქცევა. მაგალითად, ბაგრატ III-ის სრულმა ტიტულატურამ, რომელიც ქვეყნის გაერთიანების პროცესში ცალკეული რეგიონების შემოერთების კვალობაზე თანდათანობით ჩამოყალიბდა, საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო: „მეფე აფხაზთა და ქართველთა, მეფე ტაოსისა და რანთა, კახთა და ყოვლისა აღმოსავლეთის დიდი კურაპალატი“²⁹. მეფეთა ტიტულატურის ჩამოყალიბების პროცესი კარგად არის ასახული ქართულ მატთანებში.

უცხოელი ავტორები ერთიანი საქართველოს მეფეებს ხშირად არა სრული ტიტულატურით, არამედ შემოკლებით „აფხაზთა მეფეებად“, ხოლო ქვეყანას აფხაზეთად მოიხსენიებდნენ. ამიერიდან ტერმინების „აფხაზეთი“-სა და „აფხაზი“-ს სემანტიკა კიდევ უფრო გაფართოვდა და მათ „საქართველო“-სა და „ქართველი“-ს მნიშვნელობა შეიძინეს. სათანადო მაგალითები მრავლად მოიპოვება როგორც ბიზანტიურ, ისე აღმოსავლურ წყაროებში, რაც წარმოადგენს შუა საუკუნეებში ცნებების „აფხაზი“ და „ქართველი“, „აფხაზეთი“ და „საქართველო“ იდენტირობის მყარ მტკიცებულებას. სეპარატისტები კი აღნიშნულ გარემოებას საქართველოს ისტორიის თანამედროვე აფხაზთა ისტორიად გასაღების მიზნით იყენებენ.

XI-XV საუკუნეების ბიზანტიელი ავტორები „საქართველოსა“ და „ქართველის“ აღსანიშნავად ხშირად იყენებდნენ ტერმინებს „აფხაზეთი//აბაზგია“ და „აფხაზი//აბაზგი“³⁰. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ XI საუკუნის ავტორები გიორგი კედრენე, მიხეილ ატალიატე, XII საუკუნის ავტორი იოანე ზონარა, XIII – XIV საუკუნეების ქრონოგრაფი ექვთიმე და სხვები³¹. ვატიკანის არქივში დღემდე ინახება საქართველოს მეფის რუსუდანის 1224 წლის წერილი რომის პაპის ჰონორე მესამის (1216-1227) სახელზე. პაპის კანცელარიაში წერილი ასე დაასათაურეს: „აფხაზეთის მეფის წერილი“³².

აზერბაიჯანულ ლიტერატურაში (ხაყანი, ნიზამი და სხვ.) მოხსენიებული „აფხაზეთი“, „აფხაზი“ სრულიად საქართველოს და ქართველს ან დასავლეთ საქართველოს აღნიშნავს, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში – თანამედროვე აფხაზეთს და აფსუა-აფხაზებს.

29. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 119.

30. ნოდარ ლომოური. საქართველოს სახელწოდებანი ბიზანტიურ წყაროებში. – საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბილისი, 1993, გვ. 82-83.

31. შესაბამისი დოკუმენტები კომენტარებით იხილეთ: Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия - историческая область Грузии. Тбилиси, 1997, с. 199, 217, 557-558, 562-563, 586-587 და ა. შ.

32. ილია ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და ნიგნოსაცავებში, ნიგნი I. თბილისი, 1984, გვ. 176 – 177.

მაგალითად, ხაყანი შირვანელი (XII ს.) წერს: «აფხაზეთში დავესახლე და ქართულად ვლაპარაკობ»³³. ხაყანის ეკუთვნის ასეთი სიტყვებიც: „ერთ მშვენიერ დღეს ფეხს დაკვრავ და აფხაზეთს გავალ, ღიად დამხვდება ქართველების კარები, მჯერა“³⁴. ნიზამი განჯელიც (XII – XIII საუკუნეები) არაერთხელ იყენებს ტერმინებს „აფხაზი“ და „აფხაზეთი“ მხოლოდ „ქართველისა“ და „საქართველოს“ მნიშვნელობით. მაგალითად, ჰქონდა რა მხედველობაში მისი თანამედროვე საქართველოს მეფე თამარის რუს უფლისწულზე გათხოვების ფაქტი, ნიზამი წერდა: „Приди на помощь, о шах, от притеснения руссов, которые в колыбелях Абхазии требуют невесту“³⁵.

პოემაში «Хосров и Ширин» ნიზამი განჯელი აღნიშნავდა, რომ ადგილობრივი ათაბაგის ილდეგიზის სანადირო ადგილები იყო აფხაზი და დარუბანდი. აზერბაიჯანელი ისტორიკოსების აზრით, ქალაქი აფხაზი, რომელიც აგრეთვე სპარსულ და არაბულ წყაროებშიც მოიხსენიება, აზერბაიჯანის ხაჩმაზის რაიონში ან თანამედროვე ქალაქ ქუბის ადგილას მდებარეობდა³⁶. უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეებში ამგვარი სახელწოდების ქალაქი ჩრდილო – დასავლეთ საქართველოშიც, კერძოდ, ამჟამად რუსეთის შემადგენლობაში შემავალ ქალაქ სოჭთან ახლოსაც მდებარეობდა. ამის თაობაზე მრავალი სხვა წერილობითი და კარტოგრაფიული წყარო მიუთითებს. მათ შორის დავასახელებთ XIII საუკუნის ვენეციურ რუკას, პეტრუს ვესკონტეს (1318 წ.), ძმები პიციგანების (1367 წ.), სოლერისა (1385 წ.) და სხვათა რუკებს³⁷. იმ პერიოდში ორივე ქალაქი აფხაზი საქართველოს ფარგლებში იყო მოქცეული. ერთი ქვეყნის ორ რეგიონში საერთო სახელწოდების მქონე ორი ქალაქის არსებობა, ჩვენი აზრით, აღნიშნული ქალაქების საერთო ფუნქციურ დანიშნულებაზე უნდა მიუთითებდეს. ეს არ იყო ერთადერთი გამონაკლისი შემთხვევა. მაგალითად, საქართველოს ჩრდილო – აღმოსავლეთი საზღვრის უკიდურეს წერტილს წარმოადგენდა კასპიისპირა დარუბანდი, რაც „რკინის კარს“ ნიშნავს. ქალაქი დარუბანდი ნამდვილად ასრულებდა „რკინის კარის“ ფუნქციას. საინტერესოა, რომ საქართველოს ჩრდილო – დასავლეთ საზღვარზე მდებარე შავიზღვისპირა ქალაქი გაგრაც ცალკეულ ავტორებთან დარუბანდის, ანუ „რკინის კარის“ სახელით მოიხსენიება. ეს ფაქტი უეჭველად იმაზე მიუთითებს, რომ ერთი ქვეყნის ფარგლებში არსებულ ორ „დარუბანდს“, მსგავსად

33. მაგალი თოდუა. სპარსული პოეზიის შედევრები, ტ. II. თბილისი, 2010, გვ. 10.

34. იქვე, გვ. 12.

35. Низами Гянджеви. Искандер - наме. Баку, 1983, с. 285.

36. Историческая география Азербайджана. Баку, 1987, с. 73.

37. Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия - историческая область Грузии. Тбилиси, 1997, с. 820 - 830 da a. S.

ზემოაღნიშნული ორი „აფხაზისა“, ანალოგიური ფუნქციები გააჩნდათ³⁸. სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ შუასაუკუნეების კასპიისპირა და შავიზღვისპირა ქალაქებთან „აფხაზი“ და „დარუბანი“, თანამედროვე აფხაზთა წინაპრებს – აფსუებს არავითარი კავშირი არ ჰქონდათ.

XII – XIII საუკუნეების სპარსულ წყაროებში, როგორც წესი, საქართველო და მისი მეფეები აფხაზეთად და აფხაზეთის მეფეებად მოიხსენიებიან. ასეთი წყაროების რიცხვს მიეკუთვნება 1126 წელს შედგენილი უცნობი ავტორის ისტორიული თხზულება, სადაც სამხრეთ კავკასიაში თურქ-სელჯუკთა პირველი ლაშქრობის შესახებ არის მოთხრობილი; იბნ ფუნდუყის (1168 წ.), იბნ ისფენდიარის (XII-XIII სს.), იბნ ბიბის (XIII საუკუნის დასასრული) და სხვა ავტორთა თხზულებები³⁹. იბნ მოჰამედ ჯუვეინი (1226-1283 წლები), რომელიც გვანდის ცნობებს 1226 წელს საქართველოში ჯალალ ად-დინის ლაშქრობის შესახებ, აგრეთვე XIV-XV საუკუნეების ავტორები, რომლებიც 1386-1403 წლებში საქართველოში თემურ ლენგის ლაშქრობების შესახებ მოგვითხრობენ (მოიხ ად-დინ ნათანზი, ნეზამ ად-დინი, შარაფ ად-დინი, ჰაფეზუ აბრი და სხვები) ტერმინ აფხაზეთის ქვეშ დასავლეთ საქართველოს გულისხმობენ⁴⁰.

სეპარატისტი-ფალსიფიკატორები „გატაცებული“ არიან არარსებული „აფხაზურ-სომხური“ ისტორიული ურთიერთობებით. სომხური წყაროების (იოვანეს დრასხანაკერტელი, სტეფანოზ ტარონელი, უხტანესი) მოშველიებით ისინი ცდილობენ დასავლეთ საქართველოს ისტორიის მისაკუთრებას⁴¹. შუა საუკუნეების სომხურ წყაროებში მოხსენიებული „აფხაზეთი“ და „აფხაზი“ კი მხოლოდ „დასავლეთ საქართველოსა“ და „ქართველის“ მნიშვნელობით გამოიყენება და, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ ავტორთან თანამედროვე აფხაზთა (აფსუათა) წინაპრებს არ აღნიშნავს⁴². ასე

38. იხ. ამის შესახებ: Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия - историческая область Грузии. Тбилиси, 1997, с. 577-578.

39. კარლო ტაბატაძე. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები X-XV საუკუნეების სპარსული წყაროების მიხედვით. – საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბილისი, 1993, გვ. 218-222; Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия-историческая область Грузии, с. 217, 585-586.

40. კარლო ტაბატაძე. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები X-XV საუკუნეების სპარსული წყაროების მიხედვით, გვ. 245-251.

41. О.Бгажба, С. Лакоба. История Абхазии. Сухуми, 2015, с. 160-163.

42. იხ. ვრცლად: ელენე ცაგარეიშვილი. „ქართველისა“ და „საქართველოს“ აღმნიშვნელი ტერმინები სომხურ წერილობით წყაროებში. – საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბილისი, 1993, გვ. 153-208.

მაგალითად, ისტორიკოსი იოვანეს დრასხანაკერტელი (IX-X სს.) თავის „სომხეთის ისტორიაში“ აფხაზეთის სამეფოს ეგერიად (ეგრი-სად), მის მეფეს კი ეგერიის (ეგრისის) მეფედ მოიხსენიებს. სტეფანოზ ტარონელისთვის (XI ს.) ეგრისი და აფხაზეთი სინონიმებია – დასავლეთ საქართველოს მეფეს კონსტანტინე III-ს იგი ხან ეგერიის, ხან კიდევ აფხაზეთა მეფეს უწოდებს. ფსევდო შაპუხ ბაგრატიუნის (X ს.) მიხედვით, ლაზთა მეფე არის იგივე აფხაზეთა მეფე. კიდევ ერთი სომეხი ისტორიკოსის ვარდან ვარდაპეტის (XIII ს.) მონაცემებით, აფხაზეთის მეფეები V საუკუნის საქართველოს დიდი მეფის ვახტანგ გორგასალის შთამომავლები არიან. ამიტომაც XIII საუკუნის მეორე ნახევრის ავტორი მხითარ აირავანეცი აფხაზეთის მეფეს საქართველოს მეფეს უწოდებს⁴³. ამრიგად, სომხური წყაროების თანახმად, თანამედროვე აფსუათა წინაპრებს აფხაზეთა სამეფოსთან არანაირი კავშირი არ ჰქონდათ.

არაბული წყაროების „ალ-აბხაზ“, „ალ-აქხაზ“, „ალ-აბხას“ არის „ქართველის“, სრულიად საქართველოს ან დასავლეთ საქართველოს აღმნიშვნელი ტერმინები, რომლებიც არაბულ ენაში ქართულის მეშვეობით დამკვიდრდნენ. მაგალითად, ალ-მასუდის ნაშრომში „აფხაზი“ ნიშნავს ქართველს დასავლეთ საქართველოდან; აბუ ალ-კასიმის „აფხაზეთის ქვეყანა“ და „აფხაზი“ ასევე დასავლეთ საქართველოსა და მის ქართულ მოსახლეობას აღნიშნავს; ალ-ისფაჰანისა და იბნ ალ-ადიმის მიხედვით კი „აფხაზი“ არის როგორც ქართველი დასავლეთ საქართველოდან, ისე ზოგადად ქართველი. ალ-ჰუსაინისა და ან – ნასავის ცნობებში ტერმინები „საქართველო“ და „აფხაზეთი“ („ქურჯისთან“, „ბილად ალ-ქურჯ“, „ბილად ალ-აბხაზ“) ერთმანეთთან არის გაიგივებული. გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს მეფეები გიორგი I (1014-1027 წლები), ბაგრატ IV (1027-1072 წლები), დავით IV (1089-1125 წლები), დემეტრე I (1125-1156 წლები), გიორგი III (1156-1184 წლები) ისეთ არაბ ავტორებთან, როგორებიც არიან იაჰია ანტიოქელი, ალ-ჰუსაინი, ალ-ისფაჰანი, ალ-ფარიკი, აფხაზეთა ან აფხაზეთა და ქართველთა მეფეებად იხსენიებიან. არაბი გეოგრაფი იაკუთი თავის ლექსიკონში „მუჯამ ალ-ბულდანში“ ტერმინ „აბხაზის“ განმარტებისას აღნიშნავს, რომ ეს არის ერთ-ერთი რეგიონის სახელი კაპკის (კავკასიის) მთაზე, ემეზობლება ალ-ლანის ქვეყანას, „დასახლებულია ქრისტიანი ხალხით, რომლებსაც ქურჯებს უწოდებენ. აქ შეიკრიბნენ ისინი (ქურჯები), დაემგნენ თბილისის სანახებისკენ, განდევნეს იქიდან მუსლიმები, დაეუფლნენ მას 517/1122 წელს და არ შეუწყვეტიათ მისი გამგებლობა. აბხაზი მათი (ქურჯების)

43. სომხური წყაროები კომენტარებით იხილეთ: Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия - историческая область Грузии. Тбилиси, 1997, с. 192-193, 196-197, 208-209, 216-217, 550-551, 554-556, 572-573, 584-585.

თავშესაფარი იყო, ისე რომ, როცა 621/1226 წელს გაემართა მათკენ ხვარაზმშაპი ჯალალ ად-დინი, თავს დაესხა მათ და ცდილობდა გაენთავისუფლებინა მათგან თბილისი, მაშინ გაიქცა დედოფალი მათი აბხაზს და არ დარჩენილა სამეფო სახლიდან არავინ მის გარდა⁴⁴. იაკუთის მიერ მოხსენიებული ქართველი დედოფალი არის საქართველოს მეფე რუსუდანი (1223-1245 წლები), რომელიც ჯალალ ად-დინის თბილისზე თავდასხმის გამო 1226 წელს დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ქუთაისში გადავიდა. ამრიგად, იაკუთისთვის და მთლიანად აღმოსავლური ისტორიოგრაფიისთვის⁴⁵ შუა საუკუნეების „აბხაზ“, პირველ რიგში, ნიშნავს დასავლეთ საქართველოს თავისი ქართული მოსახლეობით და არა იმ ტერიტორიას, რომელსაც დღეს აფხაზეთი ჰქვია. როგორც დავინახეთ, ხშირად იგივე ტერმინით აღნიშნებოდა სრულიად საქართველო და ქართველი.

უცხოურ წყაროებში ტერმინ „აფხაზეთის“ საქართველოს მნიშვნელობით გამოყენების მრავალრიცხოვან ფაქტებს, როგორც ზემოთ ითქვა, სეპარატისტები საკუთარი მიზნებისთვის – აფხაზეთის სამეფოსა (დასავლეთ საქართველოს) და სრულიად საქართველოს ისტორიის უხეში ფალსიფიკაციისთვის, მისი მითვისებისთვის იყენებენ. სეპარატისტთა მხრიდან ქართველთა შუასაუკუნეების ისტორიის თანამედროვე აფსუა-აფხაზთა წინაპრების ისტორიად გასაღების ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს IV საუკუნის ავტორის აგათანგელოსის ბერძნულენოვანი ნაშრომის გვიანდელი ვერსიის არაბული თარგმანის სათავისოდ გამოყენების მცდელობა. აღნიშნული ნაშრომი ეხება წმინდა გრიგოლის მიერ ქრისტეს რჯულზე სომეხთა, ქართველთა და ალანთა მოქცევის ისტორიას. მისი არაბული თარგმანი 1902 წელს სინას მთის მონასტრის წიგნსაცავში ცნობილმა აღმოსავლეთმცოდნემ ნიკო მარმა აღმოაჩინა. მან იგი რუსული თარგმანითა და ვრცელი გამოკვლევით 1905 წელს პეტერბურგში გამოაქვეყნა⁴⁶. აღმოჩნდა, რომ აგათანგელოსის არაბულ თარგმანში ეთნონიმი „ლაზი“ ჩანაცვლებული იყო ტერმინით „აფხაზი“. ნიკო მარმა თავის გამოკვლევაში დასაბუთებულად და ხაზგასმით აღნიშნა,

44. გოჩა ჯაფარიძე. ძიებანი საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში, ტ. I, გვ. 19-24; იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ნაკვ. I. არაბული ტექსტი ქართული თარგმანით და შესავლით გამოსცა ეთერ სიხარულიძემ. თბილისი, 1964, გვ. 1; Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия-историческая область Грузии, с. 193-196, 210, 215, 552-553, 574, 583.

45. იხილე აგრეთვე: გოჩა ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII საუკუნეების პირველ მესამედში. თბილისი, 1995, გვ. 28, 106, 114, 116, 189.

46. Записки Восточного Отделения Императорского Русского Археологического Общества, т. 16, выпуск 2-3. С.-Петербург, 1905, с. 63-211.

რომ „არაბულ ტექსტში საუბარია სწორედ ლაზებზე და ლაზიკაზე და არა დღევანდელ აფხაზებზე“⁴⁷. ბერძნულ ორიგინალშიც მითითებულია „ლაზი“. ერთი სიტყვით, ამ შემთხვევაშიც არაბი თარჯიმანი, სხვა არაბი ავტორების მსგავსად, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას მოიხსენიებს ტერმინით აზხაზი. ყოველივე ამის შესახებ მშვენივრად იციან თანამედროვე აფსუა-აფხაზმა ისტორიკოსებმაც. მიუხედავად ამისა, ისინი შეგნებულად ამახინჯებენ საქართველოს ისტორიას და ამტკიცებენ, რომ აგათანგელოსის არაბულ თარგმანში არა ლაზთა ქართული ტომი, არამედ თანამედროვე აფსუა-აფხაზთა წინაპრები იგულისხმებიან, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება⁴⁸.

გაყალბებული ისტორიის მეშვეობით სეპარატისტები ცდილობენ ანტიქართული ფსიქოზის გამოწვევას, აფხაზური მოსახლეობის იდეოლოგიურ დამუშავებას, საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფის ისტორიულ დასაბუთებას. დასახული მიზნების მისაღწევად სეპარატისტი ისტორიკოსები თვით ისტორიული წყაროების დამახინჯებასა და აშკარა ტყუილებსაც კი არ ერიდებიან. მოვიტანთ მხოლოდ ერთ მაგალითს. თავიანთ გამოცემებში სეპარატისტები ხშირად იმონებენ მეთავე საუკუნის სომეხ ავტორს უხტანესს და წერენ, რომ შავიზღვისპირა ტომი ალორძინდა, გამრავლდა, „მოედო იმ მხარეს და გავრცელდა სომეხთა და ალბანთა (აზერბაიჯანი – ავტ.) საზღვრებამდე. შეიქმნა ფრიად მრავალრიცხოვანი ხალხი და იმ ქვეყანას აფხაზეთი ეწოდება“. სეპარატისტები ამ ადგილას წყვეტენ უხტანესის ტექსტის ციტირებას და საკუთარ ხალხს უმტკიცებენ, რომ X საუკუნის სომეხი ავტორი თითქოს თანამედროვე აფსუა-აფხაზთა წინაპრებსა და მათ ქვეყანას გულისხმობს⁴⁹. ამით სეპარატისტები უხეშად ამახინჯებენ სომხური წყაროს შინაარსს. უხტანესის ნაშრომში, რომელიც ქართველთა და სომეხთა შორის ეკლესიური განხეთქილების თემას ეხება, თანამედროვე აფხაზთა წინაპრები საერთოდ არ მოიხსენიებიან. ავტორი საუბრობს მხოლოდ ქართველებზე და საქართველოზე. უხტანესის აზრით, შავი ზღვის სანაპიროზე ალორძინდნენ, გამრავლდნენ და სომეხთა – აზერბაიჯანის საზღვრებამდე გავრცელდნენ აღმოსავლეთიდან მოყვანილი „ტყვე იბერიელი ტომები“. უხტანესის მიხედვით, ქვეყანაში, რომელსაც „აფხაზეთი ეწოდება“, ცხოვრობს „ტომი, რომელსაც თავის პირველ ქვეყანაში ვერიას (ივერია – ავტ.) უწოდებენ, აქ ქართველნი

47. იქვე, გვ. 165-166.

48. ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა. თბილისი, 2005, გვ. 48-50; გონა ჯაფარიძე. ძიებანი..., გვ. 18-19.

49. М. Гумба. Абхазия в первом тысячелетии. Сухуми, 1989, с. 12; О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии. Сухуми, 2015, с. 163, da a. S.

ენოდებათ“⁵⁰. სეპარატისტები ცდილობენ მოტანილი ციტატის ამ ბოლო და მთავარი ნაწილის მიჩქმალვას. ეს არის ტიპიური მაგალითი, თუ როგორ აყალბებენ სეპარატისტები ისტორიას, როგორ ცდილობენ საქართველოს ისტორიის მითვისებას, საკუთარი ხალხისა და საერთაშორისო საზოგადოების მოტყუებას. მსგავსი მაგალითები კი ბევრია.

გაერთიანებული საქართველოს ფარგლებში არსებული აფხაზეთის საერისთავო, რომელსაც შერვაშიძეთა გვარი ფლობდა, ანაკოფიის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა. ამუნელისძეთა (ამანელისძეთა) გამგებლობაში მყოფი ცხუმის საერისთავო კი სამეგრელოს შემადგენლობაში შედიოდა და ანაკოფიამდე ტერიტორიას მოიცავდა. გიორგი პირველმა დადიანმა (გარდაიცვალა 1323 წელს) „მიიტაცა“ ანუ დაიკავა „საერისთო ცხომისაცა და დაიპყრა თვით სრულიად ოდიში ანაკოფიამდე“⁵¹. აქედან ჩანს, რომ ანაკოფია სრულიად ოდიშის ნაწილია. ცხუმის საერისთავო ანაკოფიამდე დადიანებს 1330 წელს გიორგი მეხუთე ბრწყინვალემ (1318-1346 წლები), ხოლო 1396 წელს გიორგი VII-მაც (1393-1407 წლები) კიდევ ერთხელ დაუმტკიცა⁵². საქართველოს ძლიერების ჟამს დადიანების ძალაუფლება აფხაზეთის საერისთავოზე და მის ჩრდილო-დასავლეთით ნიკოფსიამდეც ვრცელდებოდა. ამის თაობაზე თამარის ისტორიკოსი („ისტორია და აზმანი შარავანდედთანი“-ს ავტორი) წერს, რომ ვარდან დადიანი (თამარის თანამედროვე) იყო „მსახურთუხუცესი, ლიხთ აქით პატრონი ორბეთის და კაენისა, ლიხთ იქით ნიკოფსამდის უცილობელად ქონებისა“⁵³. ამრიგად, აფხაზეთი იმჟამად იყო არა სახელმწიფოს განაპირა მხარე, არამედ შიდა რეგიონი. დე-იურე ასეთად რჩებოდა იგი XIX საუკუნის დასაწყისამდე – რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამდე.

საქართველოს სამეფოს ჩრდილო – დასავლეთი საზღვარი XIV საუკუნის შუახანებამდე მაინც ნიკოფსიამდე აღწევდა. ანტიკურ ხანაში, დაახლოებით V საუკუნემდე, მას ძველი ლაზიკა ერქვა და დღევანდელი რუსეთის ფედერაციის შავიზღვისპირა ქალაქ ტუაფსეს ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა. აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე, ფუნქციონირებდა და განვითარების მაღალ დონეს მიაღწია მხოლოდ ქართულმა კულტურამ. ამავე დროს, აღნიშნულ

50. უხტანესი. ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან. სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზაზა ალექსიძემ. თბილისი, 1957, გვ. 57.

51. ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 801.

52. იქვე, გვ. 258, 269.

53. ქართლის ცხოვრება, ტ. 2. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, 1959, გვ. 49.

რეგიონში არაქართული მოსახლეობის, მათ შორის აფსუა – აფხაზების პოლიტიკური და კულტურული მოღვაწეობის კვალი (წერილობითი წყაროები, არქიტექტურული ძეგლები, ტოპონიმია და ა. შ.), როგორც ზემოთ ითქვა, არ არსებობს. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ XII საუკუნის მეორე ნახევრიდან მონღოლთა მონოლის შედეგად აფსუები (აზზოა), რომლებიც I საუკუნეში, პლინიუს უფროსის ცნობით, ვოლგისპირეთში ასტრახანის ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ⁵⁴, დაიძრნენ სამხრეთ – დასავლეთის მიმართულებით, შემოვიდნენ საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ რეგიონებში, მაგრამ ჯერ ვერ მიაღწიეს აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიამდე.

მონღოლთა ასწლოვანი ბატონობის პერიოდში (XIII ს. შუახანებიდან XIV ს. შუახანებამდე) იწყება ერთიანი ქართული სახელმწიფოს დეზინტეგრაციის პროცესი. ჯერ წარმოიშვა იმერეთის სამეფო – ისტორიული აფხაზეთის სამეფოს სამართალმემკვიდრე. მისგან დაიწყო გამოცალკეება სამეგრელოსა და გურიის სამთავროებმა. სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა აფხაზეთის საერისთავო, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას ანაკოფიიდან (ახალი ათონიდან) მდინარე ბზიფამდე, რაც დაახლოებით, თანამედროვე გუდაუთის რაიონის (ნაწილობრივ გაგრის რაიონის) ტერიტორიას შეადგენს. საქართველოს სახელგანთქმულმა მეფე გიორგი V ბრწყინვალემ (1313-1346 წლები) ქვეყანა მონღოლთა უღლისაგან გაანთავისუფლა და იგი კვლავ გააერთიანა. მისი ჩრდილო – დასავლეთი საზღვარი ამჯერადაც ნიკოფსიამდე ვრცელდებოდა და თავის ფარგლებში აფხაზეთის საერისთავოსაც მოიცავდა. გიორგი V ბრწყინვალეს მემკვიდრეებმა, განსაკუთრებით ალექსანდრე I-მა (1412-1443 წლები), შეინარჩუნეს და განამტკიცეს ქვეყნის ერთიანობა. აფხაზეთის საერისთავო კვლავაც მის შემადგენლობაში შემოდიოდა. ანაკოფია, ქალაქი ცხუმი და მათი სამხრეთ-აღმოსავლეთით მდინარე ენგურამდე მდებარე მიწები სამეგრელოს სამთავროს ორგანულ ნაწილს შეადგენდნენ. ამ უტყუარ ფაქტს ადასტურებენ მრავალრიცხოვანი ქართული და უცხოური, მათ შორის რუსული წერილობითი თუ კარტოგრაფიული წყაროები.

მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიტანოთ ცნობები XIII – XIV საუკუნეების არაბი ისტორიკოსის, გეოგრაფის, ასტრონომის, ექიმისა და პოეტის აბულ – ფიდას „გეოგრაფიდან“. როგორც ის წერს, შავი ზღვა ტრაპიზონის „ჩრდილოეთით ქართველთა ქალაქ სოხუმამდე აკეთებს რკალს აღმოსავლეთისაკენ“; ქალაქი აფხაზი კი, რომელიც თანამედროვე სოჭთან იყო დაფიქსირებული, ასევე „არის ქართველთა

54. В. В. Латышев. Известия древних писателей, т. II, выпуск I. Санкт-Петербург, 1904, с. 180.

ერთ-ერთი პორტი⁵⁵. ქალაქი ცხუმი აბულ-ფიდას „სოხუმი“-ს ფორმით აქვს მოხსენიებული. კიდევ ერთი არაბი ისტორიკოსის ალ – მუჰიბის (XIV ს.) ცნობების მიხედვით, „ქართველებს ჰყავთ ორი მეფე – დავითი და დადიანი (დადიანი – ავტ.) – მეფე, რომელიც განაგებს სოხუმსა და აბხაზს“. იგივეს იმეორებს XV საუკუნის არაბი ისტორიკოსი და ენციკლოპედისტი ალ – კალკამანდი⁵⁶.

ქალაქ სოხუმის სამეგრელოსადმი კუთვნილება და იქ ქართული მოსახლეობის მკვიდრობა დადასტურებულია ქალაქში არსებული გენუელთა სავაჭრო ფაქტორიის (1354-1475 წლები) მასალებში⁵⁷. სასურველია, აღნიშნულ თემაზე მოკლედ შევჩერდეთ.

შეგნებულად აყალბებენ რა ისტორიას, სეპარატისტები ცდილობენ თავი მოიწონონ ადრე შუასაუკუნეებში ევროპასთან და, კერძოდ, გენუასთან თანამედროვე აფსუა – აფხაზთა წინაპრების სავაჭრო – ეკონომიკური კავშირების არსებობით⁵⁸. საქმის ვითარება კი სულ სხვანაირად იყო. როგორც ცნობილია, XIII-XIV საუკუნეებში შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან ვაჭრობაში იტალიელები აქტიურობდნენ. მათ შორის თავდაპირველად ვენეციელები გამოირჩეოდნენ, რომლებსაც 1319 წლიდან ტრაპიზონში, 1333 წლიდან კი ტანაში (ქ. აზოვი) საკუთარი ფაქტორიები ჰქონდათ. იტალიური წყაროების მიხედვით, აღნიშნულ ფაქტორიებთან სოხუმელი ქართველებიც ვაჭრობდნენ.

XIII საუკუნის 60 -იანი წლებიდან შავ ზღვაზე ვაჭრობაში პირველობა თანდათანობით გენუელთა ხელში გადავიდა. საქართველოს შავი ზღვისპირეთი, განსაკუთრებით ქალაქი სოხუმი//სევასტოპოლი იმთავითვე გენუელთა ინტერესების სფეროში მოექცა. ამ ქალაქში იტალიელთა ყოფნა 1280 წელს არის დამოწმებული, როდესაც ერთმა გენუელმა მეორისაგან სავაჭრო ხომალდი „მუგეტტო“ შეიძინა. ყიდვა – გაყიდვის აქტი იტალიელმა ნოტარიუსმა სოხუმშივე დაამტკიცა. XIV საუკუნის დასაწყისიდან ქალაქის კათოლიკური მოსახლეობა იმდენად მრავალრიცხოვანი ყოფილა, რომ სოხუმში კათოლიკე ეპისკოპოსებიც კი ინიშნებოდნენ. მათი ვინაობა ცნობილია.

ჩვენამდე მოაღწია ეპისკოპოს პეტრუს გერალდის მიერ სოხუმიდან 1330 წელს ინგლისში კენტერბერის არქიეპისკოპოსისადმი გაგზავნილმა წერილმა. ავტორი აღნიშნავს, რომ ის იმყოფება სევასტოპოლში//სოხუმში, „ქვემო საქართველოში“ (inferioris Georgiane); რომ ქალაქში

55. Джамал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии. Тбилиси, 1997, с. 220-221, 589-590.

56. XIV-XV საუკუნეების არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ. არაბულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო დიტო გოჩალეიშვილმა. თბილისი, 1988, გვ. 53, 56.

57. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 139-145.

58. О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии. Сухуми, 2015, с. 174-180.

ქართველები ცხოვრობენ, რომლებიც განაც კვირაობით ის შემონიშნულობებს იღებს; რომ იმ ქვეყნის მბრძანებელი, სადაც ის მოღვაწეობს, იმავდროულად „სრულიად საქართველოს მხედართმთავარიც არის“, და ა. შ.⁵⁹ პეტრუს გერალდი გულისხმობდა სამეგრელოს სამთავროს (რომელსაც ეკუთვნოდა სოხუმი) და მის მთავარს მამია I დადიანს (1323-1345 წლები); იგი ნამდვილად იყო დასავლეთ საქართველოს ჯარების სარდალიც. პეტრუს გერალდი და სოხუმის სხვა კათოლიკე ეპისკოპოსები, რომლებიც XV საუკუნის ბოლომდე ინიშნებოდნენ, თანამედროვე აფხაზთა წინაპრებს საერთოდ არ იცნობდნენ, რადგანაც იმ ქალაქში ისინი ჯერ კიდევ არ ცხოვრობდნენ.

სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები გენუასა და საქართველოს შორის ბევრად უფრო ინტენსიური გახდა 1354 წლიდან, როდესაც სამეგრელოს მთავრის გიორგი II დადიანის (1345-1384 წლები) ნებართვით, გენუელებმა სოხუმის თვითმმართველი ფაქტორია დაარსეს. იგი 1475 წლამდე წარმატებით ფუნქციონირებდა და სხვა შავიზღვისპირა ფაქტორიებთან ერთად გენუაში არსებულ სპეციალურ უწყებას „ოფიცუმ გაზარია“-ს ექვემდებარებოდა. 1398 წლიდან „ოფიცუმ გაზარია“ შავიზღვისპირა ფაქტორიებს კაფას კონსულის მეშვეობით მართავდა. სოხუმის კონსულსაც ეს უკანასკნელი ნიშნავდა. 1453 წლის ნოემბრიდან გენუელთა ფაქტორიების მართვის უფლება „წმინდა გიორგის ბანკს“ გადაეცა. გენუელთა სოხუმის ფაქტორიის საქმიანობის შესახებ არაერთი იტალიური წყარო მოგვითხრობს. ისინი ერთმნიშვნელოვანად ადასტურებენ, რომ შავიზღვისპირეთში მოვაჭრე გენუელებს სოხუმში ურთიერთობა მხოლოდ ქართველებთან ჰქონდათ, მათთან აგვარებდნენ სადაო საკითხებსაც. ასე იყო სოხუმის ფაქტორიის დაარსებიდან მის გაუქმებამდე. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს. 1465 წლის მაისში „წმ. გიორგის ბანკის“ პროტექტორები კაფას კონსულისაგან მოითხოვდნენ, რომ სოხუმში ფრთხილად ემოქმედათ, არ გაეკეთებინათ „ისეთი რამ, რაც სამეგრელოსთან ვაჭრობის საქმეს გააფუჭებს“. იმავე ბანკიდან 1472 წლის ივნისში კაფაში გაგზავნილი ინსტრუქცია, ქართველებსა და გენუელებს შორის კონფლიქტის მოგვარების მიზნით, მოითხოვდა „ელჩის გაგზავნას ბატონ ბენდიანოს შვილთან“. „წმ. გიორგის ბანკის“ პროტექტორები 1472 წლის 15 დეკემბრის ინსტრუქციაში, რომელიც ასევე კაფაში გაიგზავნა, კმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმასთან დაკავშირებით, „რომ თქვენ ბატონ ბენდიანთან, სამეგრელოს მთავართან, ზავის დადების იმედი გაქვთ“⁶⁰ ბანკის მიერ 1475

59. ვ. კიკნაძე. ლათინური წყარო XIV საუკუნის საქართველოს შესახებ. – თსუ-ს შრომები. ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია. ტ. 243. თბილისი, 1983, გვ. 101-103.

60. Т. Берадзе. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии.

წლის 4 დეკემბერს კაფაში გაგზავნილი ინსტრუქციიდან ირკვევა, რომ მხარეებს კონფლიქტი უკვე მოუგვარებიათ. მასში ნათქვამია: „თქვენ კარგად მოაგვარეთ საქმე ბენდიანთან, სამეგრელოს მთავართან“⁶¹. იტალიური დოკუმენტების „ბენდიანო“ და „ბენდიანოს შვილი“ ნამდვილად არიან სამეგრელოს მთავრები ლიპარიტი I დადიანი (1414-1470 წლები), მისი მემკვიდრე შამადავლე დადიანი (1470-1474 წლები) და ვამეყ II დადიანი (1474-1482 წლები).

ვენეციელი ვაჭარი და დიპლომატი იოსოფატ ბარბარო, რომელიც 1436 – 1451 წლებში ტანაში (ქალაქი აზოვი) იმყოფებოდა, წერდა, რომ „სამეგრელოს ხელმწიფე ბენდიანად იწოდება და შავ ზღვაზე ფლობს ორ დიდ სიმაგრეს – ბათუმსა და სოხუმს“⁶². ამ უკანასკნელს იგი ანტიკური პერიოდის სახელით – სევასტოპოლად მოიხსენიებს.

ამრიგად, უტყუარი იტალიური დოკუმენტების მიხედვითაც, XIII – XV საუკუნეების სოხუმი სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში შემავალი ქართული ქალაქია, სადაც თვითმმართველი სავაჭრო ფაქტორია, მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიები ფუნქციონირებდნენ. შესაბამისად, ვენეციელები და გენუელები ურთიერთობდნენ სოხუმელ ქართველებთან, რეგიონის მმართველ დადიანებთან და არა თანამედროვე აფხაზთა წინაპრებთან, როგორც ამის თაობაზე ცრუობენ ამჟამინდელი სეპარატისტები.

ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის აღების (1453 წ. 29 მაისი) შემდეგ ვითარება შავი ზღვის აუზში მკვეთრად შეიცვალა. სოხუმს თავს ესხმოდნენ და ძარცვავდნენ როგორც ოსმალები, ისე „ავოგაზები“ – თანამედროვე აფხაზთა წინაპრები. იმჟამად ისინი აფხაზეთის დღევანდელი ტერიტორიის მიღმა ცხოვრობდნენ (იხილე 1318 წლის პეტრუს ვესკონტეს, 1367 წლის ძმების პიციგანების, 1563 წლის ჯაკომო დე მაჯალოს და სხვათა რუკები)⁶³. ოსმალებისა და ავოგაზების თავდასხმის შესახებ ცნობას შეიცავს სოხუმის გენუელი კონსულის ჯერარდო პინელის მიერ 1454 წლის მეორე ნახევარში იტალიაში გაგზავნილი წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „მე ჩავიბარე სევასტოპოლის (სოხუმის-ჯ.გ.) კონსულობა... დავეყავი აქ მცირე ხანი... მოულოდნელად მას თავს დაესხნენ ავოგაზები და მოსახლეობა მთლიანად გაიქცა, რათა თავი გადაერჩინა. მეც მათ მივბაძე. ავოგაზებს უნდოდათ უმეტესობა ტყვედ წაეყვანათ. გარდა ამისა, გაცნობებთ, რომ ჩემს ჩასვლამდე თურქები თავს დაესხნენ და ეს ქალაქი გაძარცვეს“⁶⁴.

Тбилиси, 1989, с. 110.

61. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 144.

62. Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия - историческая область Грузии, с. 226-227, 595-597.

63. Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия - историческая область Грузии, с. 823-835.

64. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 135-136.

1475 წელს ოსმალებმა კაფასა და ყირიმში არსებული გენუელთა ფაქტორიები დაიკავეს. ამის შემდეგ სოხუმის ფაქტორიამაც არსებობა მალევე შეწყვიტა. მისი საქმიანობის ამსახველი იტალიური მასალები, შუასაუკუნეების აფხაზეთის ეთნოპოლიტიკური ისტორიის ანგარიშგასანევ პირველწყაროს წარმოადგენს. ისინი ცალსახად მიუთითებენ, რომ მაშინდელი სოხუმი დადიანებს ეკუთვნოდათ და იქ ქართველები ცხოვრობდნენ. სწორედ მათ ჰქონდათ სავაჭრო – ეკონომიკური კავშირები გენუელებთან. თანამედროვე აფხაზთა წინაპრების „ურთიერთობა“ გენუელებთან მათზე თავდასხმაში და ძარცვაში გამოიხატა, რამაც სხვა მიზეზებთან ერთად სოხუმის გენუელთა ფაქტორიის დახურვა განაპირობა.

XV საუკუნის ბოლოსათვის საქართველოს სახელმწიფო დე-ფაქტო რამდენიმე სამეფოდ და სამთავროდ დაიშალა. აფხაზეთის საერისთავო, აგრეთვე ქალაქი სოხუმი ჯერ კიდევ სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში რჩებოდნენ. XVI საუკუნის 30 -იან წლების ერთ – ერთ თურქულ სამთავრობო დოკუმენტში საქართველოსკენ მიმავალი გზები და მის შიგნით არსებული რეგიონებია თანმიმდევრულად და ზუსტად მითითებული. დოკუმენტში ჯერ საუბარია აღმოსავლეთ საქართველოზე, რომლის „ქვევით ხეობაში ქუთაისის ქვეყანა... უფრო ქვევით არის გურია, რომელიც ტრაპიზონს ესაზღვრება. იმის იქით სოხუმამდე დადიანის ქვეყანაა. იგი (სოხუმი) ძველ დროში ნავსადგური ყოფილა. მასთან ეშვება იალბუზის მთის კალთა. იმის იქით კი არის აფხაზეთის ქვეყნები. მთების უკან მდებარეობს ჩერქეზეთის ქვეყანა“⁶⁵.

საქართველოს სხვა საერისთავოების მსგავსად, აფხაზეთიც მეტი თავისუფლებისთვის იბრძოდა. XVI ს. შუახანებისთვის აფხაზეთის მფლობელებმა წარმართი და ნაწილობრივ მაჰმადიანი მთიელების დახმარებით თავიანთი მდგომარეობა განიმტკიცეს. იმ პერიოდში მთიელთა მასობრივმა ჩამოსახლებამ მთლიანად შეცვალა აფხაზეთის საერისთავოს მოსახლეობის ეთნიკური სურათი. შექმნილ ვითარებაში აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოსი ევდემონ პირველი (ჩხეტიძე) იძულებული გახდა აფხაზეთის საერისთავო დაეტოვებინა და საკათოლიკოსო რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში გადაეტანა. ფუნქციონირება შეწყვიტეს თანამედროვე გუდაუთისა და გაგრის რაიონების ტერიტორიაზე მოქმედმა ოცდაათამდე ეკლესია – მონასტერმა.

აფხაზეთის საერისთავოში განვითარებული მოვლენები არახელსაყრელი საგარეო ფაქტორებითა და საქართველოს დასუსტებით იყო

65. თურქული წყაროები XVI საუკუნის პირველი მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის. თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევისა და შენიშვნებით გამოსცა ცისანა აბულაძემ. თბილისი, 1983, გვ. 57.

განპირობებული. 1555 წლის 29 მაისს ირანმა და თურქეთმა ქალაქ ამასიაში გააფორმეს ზავი, რომლის საფუძველზე მხარეებმა საქართველო გაინაწილეს. ირანის გავლენის სფეროში აღმოსავლეთ საქართველო მოექცა, თურქეთის გავლენა კი ქვეყნის დასავლეთ ნაწილზე ვრცელდებოდა. 1578 და 1580 წლებში თურქეთის ჯარი მუსტაფა ფაშას სარდლობით საქართველოში შემოიჭრა და სოხუმი დაიკავა. როგორც ისტორიკოსი J. Boissard თავის წიგნში „Vitae et ikones Sultanorum, Prinzipum Persarum“ (Francfurti, 1581) წერდა, მუსტაფა ფაშამ „ქართველი იბერიელების დამოუკიდებლობის ასალაგმავად ბათუმსა და სოხუმში თავისი ბეგლარბეგები და დევთერდარები დანიშნა“⁶⁶. 1578 წელს სოხუმის ბეგლარბეგად ჩერქეზული წარმოშობის ჰეიდარ ფაშა დაინიშნა. იმავე პერიოდში ოსმალები სოხუმში ციხე-სიმაგრის აგებას შეუდგნენ, რისთვისაც ანტიკური ხანის გამაგრებული პუნქტის ნანგრევები გამოიყენეს. 1581 წელს ოსმალებმა სოხუმი დატოვეს, მაგრამ ქალაქი აფხაზეთის ერისთავებს – შარვაშიძეებს გადასცეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანდათანობით ხდებოდა ქალაქის ისტორიული ქართული სახელწოდების, „ცხუმი“-ს, მისი არაბიზებულ და თურქიზებული ფორმით – „სოხუმი//სუხუმი“- თ ჩანაცვლება. ქალაქი ცხუმი, როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, „სოხუმი“-ს ფორმით XIV საუკუნის დასაწყისში აბუ ლ-ფიდასთან მოიხსენიება. XV – XVI საუკუნეებიდან სულ უფრო და უფრო ფენს იკიდებს ქალაქის ეს ახალი სახელწოდება. სპეციალისტების აზრით, ეს იყო თურქული ენის თავისებურებებით გამოწვეული. სიტყვის დასაწყისში თურქული ორ თანხმოვანს არ იცნობს. მასში არც „ც“ აფრიკატი მოიპოვება. ყოველივე ამან განაპირობა „ცხუმი“-ს ჩანაცვლება მისი თურქიზებული ფორმით „სოხუმი//სუხუმი“. ქათიბ ჩელების „ჯიჰან – ნუმა“-ში ჩართულ კავკასიის რუკაზე იგი „სხუმის“ ფორმით არის აღნიშნული.⁶⁷ „ცხუმი“-ს ეს სახეცვლილი ფორმა – „სოხუმი//სუხუმი“ – XIX საუკუნიდან ქართულ და რუსულ ენებშიც საბოლოოდ დამკვიდრდა.

XVI საუკუნის ბოლოსათვის სამეგრელოს მთავრებმა აფხაზეთის სამთავროზე საკუთარი გავლენა კვლავ აღადგინეს. საერისთავოზე სრული კონტროლის აღდგენა კი სამეგრელოს მთავარმა ლევან მეორე დადიანმა (1611 – 1657 წლები) მოახერხა. 1669 – 1707 წლებში იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი, რომელიც არაერთხელ სტუმროდა საქართველოს და მშვენივრად ფლობდა არაბულ და ქართულ ენებს, მოგვითხრობს ლევანისდროინდელი აფხაზეთის შესახებ. მისი ცნობით, „ლევანმა, რომელიც იქ (აფხაზეთში-ჯ.გ.)

66. ციტირებულია წიგნიდან: ილია ტაბალუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში. წიგნი 1. XIII-XVI საუკუნეები. თბილისი, 1984, გვ. 113-114.

67. თამაზ ბერაძე, კოკა თოფურია, მანანა სანაძე, ბუჟან ხორავა. საქართველოს ისტორიული ატლასი. აფხაზეთი. თბილისი, 2013, გვ. 56, 99.

დიდხანს მეფობდა, 1600 წლის შემდეგ 40 ათასი აფხაზი მონათლა ... და მათ ეპისკოპოსიც მისცა⁶⁸. ქრისტეს მოციქულების დროიდან არაერთხელ მონათლული და ამასთანავე ქრისტიანული ტაძრებით მოფენილი აფხაზეთის საერისთავოს მოსახლეობის კიდევ ერთხელ მასობრივად მონათვლა რეგიონში მომხდარი დემოგრაფიული ცვლილების ერთ-ერთი დამადასტურებელი საბუთია.

ლევან II დადიანის მმართველობის პერიოდში დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსებს ბიჭვინთის რეზიდენციაში სტუმრობის შესაძლებლობა მიეცათ. კათოლიკე მისიონერის ჯოვანი ლუკას მონაზონებით, 1629 წელს ბიჭვინთის საკათედრო ტაძარში ღმრთისმსახურებას ქართველი მღვდელი ქართულ ენაზე ალავლენდა. მისიონერი აღნიშნავს, რომ აფხაზეთს ორი მთავარი ჰყავს, იქ არ არის ქალაქები, მოსახლეობა მთიან სოფლებში ან ზღვისპირას არის მიმოფანტული. ცხოვრების წესი იგივეა, რაც ჩერქეზეთში; აფხაზებს არა აქვთ დაწერილი კანონები, არა აქვთ დამწერლობა; აფხაზები ქრისტიანები არიან, მაგრამ ქრისტიანულ რიტუალებს არ ასრულებენ⁶⁹. ასეთი სავალალო ვითარება შეიქმნა რეგიონში, სადაც ანტიკური ხანის დასასრულიდან ქრისტიანობა ბატონობდა, სადაც მაღალი ქრისტიანული კულტურა არსებობდა შესანიშნავი ტაძრებით, ქართული ღმრთისმსახურებით, ქართული დამწერლობითა და ლიტერატურით. ჯოვანი ლუკას ცნობები კი ადასტურებენ, რომ დემოგრაფიული ცვლილებების შედეგად აფხაზეთი კულტურულად და ეკონომიკურად დაწინაურებული ქართული ქრისტიანული რეგიონიდან ყველა თვალსაზრისით დაქვეითებულ წარმართ მთიელთა მხარედ იქცა.

XVII საუკუნის შუახანების საქართველოს, მათ შორის აფხაზეთის შესახებ საინტერესო ცნობებს გვანვდის სახელგანთქმული თურქი მოგზაური, მწერალი, გეოგრაფი და ისტორიკოსი ევლია ჩელები (1611 – 1683 წლები). აღნიშნული ცნობები თავმოყრილია მისი „მოგზაურობის წიგნი“ ათტომეულის მეორე ტომში, რომელიც ქართულ ენაზეც არის თარგმნილი⁷⁰. თავისი მოგზაურობა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ევლია ჩელებიმ 1641 წელს განახორციელა. პირველი აბაზური ტომი ჩაჩის სახელწოდებით მან თანამედროვე ლიხნში – შარვაშიძეების (ჩაჩების) რეზიდენციის მიდამოებში იხილა მხოლოდ. ამ ტომის ხალხი ერთმანეთში ქართული ენის მეგრულ დიალექტზე საუბრობდა და სხვადასხვა სარწმუნოება ჰქონდათ. ამკარაა, რომ ჩაჩის ტომი ევლია

68. М. Селезнев. Руководство к познанию Кавказа, кн. I. Санкт-Петербург, 1947, с. 28.

69. ილია ტაბალუა. საქართველო ევროპულ არქივებსა და წიგნთსაცავებში, ტომი, 3. თბილისი, 1986, გვ. 155-171.

70. ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, ტომი II. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ. ნაკვეთი I. თბილისი, 1971, გვ. 95-109.

ჩელების დროს შერეული, სხვადასხვა ენებისა და სარწმუნოების მატარებელი მეგრულ – აბაზური (აფსუური) მოსახლეობისაგან შესდგებოდა. ჩაჩის ტომის ჩრდილო-დასავლეთით თურქი მოგზაური არლანის ტომს სტუმრობდა. კიდევ უფრო ჩრდილო-დასავლეთით, თანამედროვე გაგრასთან ახლოს ის ჩანდებს შეხვდა. ამ ტომის ხალხს ევლია ჩელები სუფთა აბაზებად ანუ თანამედროვე გაგებით აფსუებად მიიჩნევენ. თურქი მოგზაური მოგვითხრობს სხვა აბაზური ტომების შესახებაც, რომლებიც რუსეთის თანამედროვე ტერიტორიაზე მდინარე ყუბანამდე ვრცელდებოდნენ (იყვნენ აგრეთვე მთიელი აბაზური ტომებიც). მთელს ამ ტერიტორიაზე ლიხნიდან მდინარე ყუბანამდე ევლია ჩელები მხოლოდ ერთი მეჩეთი ნახა აშგილის ტომის სოფელ ატმაში. იგი წერს, რომ აბაზები ყურანს არ იცნობენ და არც რაიმე სარწმუნოება აქვთ. ამასთანავე ქაფირი – გიაური, არამუსულმანი – არ უყვართ, მუსლიმს კი სულს აძლევენ. ისლამი რომ მიიღონ, ძალზე მორწმუნე და ერთი ღმერთის მიმდევარი იქნებიან. ანაპის ნავსადგურის აღწერისას, ევლია ჩელები აღნიშნავს, რომ აქ ციხესიმაგრის განახლების, მასში შეიარაღებისა და სამხედროების განლაგების შემთხვევაში გაადვილდებოდა აბაზებისა და ჩერქეზების დამორჩილება.

თურქი მოგზაურისა და მეცნიერის მიერ საკუთარი თვალთ ნახი რეალობა და ამის თაობაზე გაკეთებული ჩანაწერები უაღრესად სანდო პირველწყაროს წარმოადგენს და მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. ევლია ჩელების ცნობებიდან ნათელი ხდება, რომ მის მიერ დასახელებულ და აღწერილ არც ერთ აბაზურ – აფსუურ ტომს განვითარებული ქრისტიანული კულტურით ცნობილ აფხაზეთთან და ისტორიულ აფხაზეთთან, თვით ბიჭვინთის საკათოლიკოსო კათედრასთან არანაირი კავშირი არა აქვს. აღნიშნული ცნობები ამხელენ ისტორიის ფალსიფიკაციით დაკავებულ სეპარატისტებს, რომლებიც აფხაზეთის უძველესი ქრისტიანული ცივილიზაციის შემოქმედად არა ქართველებს, არამედ ევლია ჩელების მიერ აღწერილ წარმართ აბაზა – აფსუებს ასახელებენ, რომლებსაც XVII საუკუნის შუახანებშიც კი არ ჰქონდათ არც დამწერლობა (ჯოვანი ლუკა) და არც რაიმე სარწმუნოება. უსაფუძვლოა სეპარატისტთა მტკიცება თითქოს ქრისტიანობა აფხაზეთში არა ჩამოსახლებულმა აბაზა – აფსუებმა, არამედ თურქებმა გაანადგურეს; თითქოს მოსახლეობასაც იმავე თურქებმა ძალით თავს მოახვიეს მაჰმადიანური სარწმუნოება (თუმცა ყოველივე ამაში თურქეთს თავისი წვლილი მიუძღვის). ევლია ჩელების მიუკერძოებელი ცნობები უარყოფენ მსგავს მოსაზრებებს. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მან მხოლოდ ერთი მეჩეთი იხილა, ისიც რუსეთის თანამედროვე ტერიტორიაზე; მოსახლეობა კი ყურანს არ იცნობდა და საერთოდ ურწმუნო

იყო. ევლია ჩელების ცნობებიდან ვიგებთ აგრეთვე, რომ თურქეთი ვერ აკონტროლებდა აბაზებს და ჩერქეზებს, შესაბამისად, მას არ შეეძლო ამ ხალხებში ძალით მაჰმადიანობის გავრცელება, როგორც ამის შესახებ სეპარატისტები სრულიად უსაფუძვლოდ წერენ.

აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ქართველები, ქართული ისტორიული წყაროები აფხაზეთში ჩამოსახლებულ აბაზა – აფსუებს, მათი ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, იმთავითვე აფხაზებს უწოდებდნენ. ევლია ჩელები, აგრეთვე ყველა თურქი დღემდე მათ ნამდვილი სახელით – აბაზებად მოიხსენიებს. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ადრინდელ თურქულ წყაროებში „აფხაზისა“ და „აფხაზეთის“ აღსანიშნავად გამოიყენებოდა ტერმინი Apkaz (მაგალითად, „Dede kurqud Hikaueleri“, მუსტაფა აღის „ნუსრეთ ნამე“ და ა. შ.). XVI საუკუნის ბოლოდან თურქულ ოფიციალურ ენაში ტერმინ „აფხაზის“ ადგილს „აბაზა“ იკავებს. აღნიშნულის შესახებ გარკვევით წერდა ჯერ კიდე „ჯიჰან-ნუმას“ ჩანართის XVIII საუკუნის ავტორი აბუ ბექრიც. ამასთან დაკავშირებით თურქოლოგი ცისანა აბულაძე სავსებით მართებულად შენიშნავს, რომ აფხაზ//აბაზა ტერმინთა დადასტურების ქრონოლოგიას დოკუმენტის მტკიცება აქვს აწინდელ აფხაზეთში ჩერქეზულ-ადიღეური მოდგმის ხალხთა ჩამოსახლების ისტორიისათვის⁷¹.

არსებული მონაცემებით, თანამედროვე აფხაზთა აღმნიშვნელი ეთნონიმი „აბაზა“ არაბულ ლიტერატურაში XV საუკუნიდან ეგვიპტელი ისტორიკოსის ბადრ ად-დინ ალ-აინის (გარდაიცვალა 1451 წელს) თხზულებაში ფიქსირდება. ნაშრომი ჩერქეზული დინასტიის ეგვიპტის მამლუქ სულთანს ალ-მუაიად საიფ ად-დინ შეიხს (1412-1421 წლები) ეძღვნება. ავტორი ასახელებს კავკასიელ ხალხებს: აბხაზებს, ანუ ქართველებს, ჩერქეზულ ტომებს, მათ შორის აბაზებს, სქალუას (აშხარუას) დიალექტზე მოსაუბრე იგივე აბაზებს და ჯ.ლას, ანუ ჯიქებს⁷². ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ალ-ლაინის მიერ მოხსენიებული აბაზები აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიის მიღმა – ჩრდილოეთ კავკასიაში არიან დაფიქსირებული. როგორც ქვემოთ დავინახავთ, აფხაზეთში ისინი მხოლოდ მოგვიანებით ჩამოსახლდებიან. თანამედროვე აფხაზებმაც, ცხადია, შესანიშნავად იციან თავიანთი ჩრდილოკავკასიური წარმომავლობის შესახებ – იციან, რომ ისინი აფსუა – აბაზები არიან. ამის დასტურია აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ 2005 წელს მიღებული

71. ცისანა აბულაძე. საქართველოსა და მისი პოლიტიკური წარმონაქმნების სახელწოდებანი ოსმალურ წერილობით წყაროებში. – იხილე წიგნში: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბილისი, 1993, გვ. 274-275.

72. გოჩა ჯავარიძე. ძიებანი ..., გვ. 23-24.

ეგრეთ წოდებული კანონი მოქალაქეობის შესახებ. მის მეხუთე მუხლში აღნიშნულია, რომ აფხაზეთის მოქალაქეებად, პირველ რიგში, ითვლებიან „აფხაზური ეროვნების (აბაზა) პირები“.

არსებობს უამრავი სხვა ქართული და უცხოური წყარო, რომელიც ზუსტ წარმოდგენას გვიქმნის ისტორიული აფხაზეთისა და აფხაზეთის შესახებ. მათ შორისაა რუსული წყაროებიც. XVI – XVII საუკუნეებში ქართული სამეფო – სამთავროები ერთმორწმუნე რუსეთთან მეგობრული, სამფარველო ურთიერთობების დამყარებას ცდილობდნენ, მაგრამ ამაოდ. 1638 წლის 12 დეკემბერს რუსეთის მეფემ მიხეილ თევდორეს ძემ მოსკოვში ერთ-ერთი ქართული პროვინციის – სამეგრელოს ელჩი მიიღო, 1639 წლის ნოემბრიდან 1640 წლის მაისამდე კი სამეგრელოში რუსი ელჩები სტუმრობდნენ. ამ უკანასკნელთა მიერ შედგენილი ანგარიშები აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე არსებული ეთნოპოლიტიკური სიტუაციის მკაფიო სურათს გვინახავენ. ისინი დამაჯერებლად ამტკიცებენ, რომ XVII ს. შუახანებისთვის სამეგრელოს სამთავროს ეთნიკური საზღვარი, სულ ცოტა, კელასურამდე მაინც აღწევდა. ეს იქიდან ჩანს, რომ სამეგრელოში მოგზაურობისას, რუსმა ელჩებმა სოხუმთან ახლოს მდებარე დრანდის საკათედრო ტაძარიც დაათვალიერეს და ეს ტერიტორია მაშინ სამეგრელოს სამთავროს ეკუთვნოდა. სამთავროს მფლობელების – დადიანების პოლიტიკური ძალაუფლება თანამედროვე აფხაზეთის მთელს დანარჩენ ტერიტორიაზეც ვრცელდებოდა. ამაზე მიუთითებს მოსკოვში მყოფი სამეგრელოს ელჩის გაბრიელ გეგენავას ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სამეგრელოსა და მთლიანად დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსი ბიჭვინთაში ზის და მას სამეგრელოს მთავარი ლევან მეორე დადიანი ნიშნავს. ელჩობის მასალებში არაფერია ნათქვამი აფსუა-აფხაზებზე, თუმცა რუსმა ელჩებმა მოიარეს მთელი სამეგრელო, მათ შორის ამაჟამად უკვე აფხაზეთის შემადგენლობაში შემავალი გალის, ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიონები. რუსეთის ხელმწიფე მიხეილ თევდორეს ძე 1639 წლის 30 მაისის სიგელში ლევან II დადიანისადმი სამეგრელოს სამთავროს, რომელიც მაშინ აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიასაც მოიცავდა, ივერიის (საქართველოს) ქვეყანას უწოდებდა. საპასუხო სიგელში (1640 წ. 15 მაისი) ლევან II დადიანი რუსეთის ხელმწიფეს აცნობებდა, რომ ის იმყოფება „ივერიის ქვეყნის სამეგრელოს ოლქში“⁷³. ამრიგად, აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორია ოფიციალურმა რუსეთმა პირველად გაიცნო როგორც ივერიის ქვეყნის, ანუ საქართველოს ნაწილი.

73. გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები. 1636-1640 წლები. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიაშვილმა. თბილისი, 2014, გვ. 67-95, 223-233, 264-266, 294-297, 326-333.

რუსი ელჩების უტყუარი მონაცემები დადასტურებულია სხვა, მათ შორის არაბული წყაროებითაც. XVII საუკუნის 50-60-იან წლებში აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე არსებული ეთნოპოლიტიკური და სარწმუნოებრივი ვითარება ასახულია არაბულენოვან ლიტერატურაში, რომელთა ავტორები არიან არაბი სასულიერო მოღვაწეები – ანტიოქიის პატრიარქი 1647-1672 წლებში მაკარიოს III (მაკარიოსი იბნ ალ-ზაიმ ალ ჰალაბი ალ-ანტაქი) და 1669 წელს თბილისში გარდაცვლილი მისი შვილი არქიდიაკონი პავლე ალექსანდროვი. ცნობილია, რომ მთავარდიაკონმა პავლემ გარკვეულ დონეზე იცოდა ქართული ენაც, რომელსაც იგი ჯერ კიდევ საქართველოში ჩამოსვლამდე დაუფლებია. ამაზე შემდეგი ფაქტი მიუთითებს. რუსეთში ყოფნისას, კერძოდ, 1656 წლის 19-20 იანვარს, მაკარიოს მესამე და არქიდიაკონი პავლე პირადად ხელმწიფის ალექსი მიხეილის ძის (1654-1676 წლები) მიწვევით წმინდა საბა – სტოროუეცკის მონასტერში (მდებარეობს მოსკოვის ოლქში ქალაქ ზვენეგოროდთან) წირვას ესწრებოდნენ. არქიდიაკონმა პავლემ ხელმწიფე გააოცა ბიბლიის წაკითხვითა და კვერექსების წარმოთქმით ჯერ არაბულ, ბერძნულ, რუსულ ენებზე, შემდეგ კი ქართულადაც. ამის თაობაზე წერს თავად არქიდიაკონი პავლე და იქვე აღნიშნავს, რომ ქართულად კითხვა მან ადრე ისწავლა⁷⁴. მაკარიოს მესამე და არქიდიაკონი პავლე საქართველოში პირველად 1664-1666 წლებში იმყოფებოდნენ; 1666 წელს რუსეთში გაემგზავრნენ და 1669 წლის იანვარში კვლავ საქართველოში დაბრუნდნენ. არქიდიაკონი პავლე იმავე წლის 30 იანვარს 32 წლის ასაკში თბილისში გარდაიცვალა. მაკარიოს მესამე კიდევ ნახევარი წლის განმავლობაში ძირითადად დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა, სადაც მან შექმნა ნაშრომი საქართველოს შესახებ.

არქიდიაკონ პავლეს ჩანაწერების მიხედვით, ბედია, მოქვი, ილორი და დრანდა, ანუ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია თითქმის ქალაქ სოხუმამდე XVII საუკუნის 60-იან წლებში ჯერ კიდევ ქართულ რეგიონს წარმოადგენდა, რომელიც ეკლესიურად და ადმინისტრაციულად სამეგრელოს სამთავროს ეკუთვნოდა. სოხუმი და მის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ტერიტორიები კი შეადგენდნენ აფხაზეთის საერისთავოს, სადაც უკვე არა აფხაზები (ქართველები), არამედ ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული წარმართი აბაზები ცხოვრობდნენ. არქიდიაკონი პავლე მათ „ურწმუნოებს“ უწოდებს. იგი წერს იმის შესახებაც, რომ ურწმუნო აბაზების აფხაზეთში დამკვიდრების გამო, დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსის რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში – იმერეთის ქართულ სამეფოში იქნა

74. Архидиакон Павел Алеппский. Путешествие Антиохийского Патриарха в Россию в половине XVII века, выпуск IV, книга XII, глава II.

გადატანილი. პავლე ალექსოვილი ყურადღებას ამახვილებს ბედიამი, მოქცესა და დრანდში დაცულ ქრისტიანულ სინმინდეებზე⁷⁵.

პატრიარქ მაკარის მიერ 1669 წელს საქართველოში დანერგილი არაბულენოვანი ნაშრომის მიხედვითაც, ტერიტორიები დრანდის ჩათვლით ეკლესიურად და ადმინისტრაციულად, ასევე ეთნიკურად სამეგრელოს სამთავროს ნაწილს წარმოადგენდა. ეხება რა სამეგრელოში გავრცელებულ მანკიერ ზნე-ჩვეულებებს, მაკარი აღნიშნავს, რომ დრანდაში მცხოვრები ერთი მდიდარი ქალი, რომელიც შვიდჯერ ყოფილა ბიძაშვილებზე გათხოვილი, მისი შიშით აფხაზეთში გაქცეულა. ანუ, სოხუმთან ახლოს მდებარე დრანდა ჯერ არ იყო მიტაცებული მთიელების მიერ. ანტიოქელი პატრიარქი მოუხიბლავს ბედიამი, მოქცესა და დრანდაში ნანახ სინმინდეებს⁷⁶.

არქიმანდრიტ პავლესა და პატრიარქ მაკარის ცნობები იმაზე მიუთითებენ, რომ აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვარი დრანდის ეპარქიის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა და ქალაქ სოხუმთან მდინარე კელასურზე გადიოდა. სწორედ აქ, სოხუმის სამხრეთ აღმოსავლეთით, XVII საუკუნის 70-იან წლებამდე ფუნქციონირებდა სამეგრელოს მთავრების მიერ აგებული საფორტიფიკაციო ნაგებობა – ე.წ. კელასურის კედელი, რომელიც გახდა ახალი ადმინისტრაციული საზღვარი სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის. კელასურის კედელი აღნიშნულია XVII საუკუნის პირველ ნახევარში სამეგრელოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერების არქანჯელო ლამბერტისა და ქრისტოფორო კასტელის მიერ შედგენილ სამეგრელოს რუკებზე შემდეგი წარწერით: „კედელი 60 ათასი ნაბიჯის (სიგრძისა) აბაზთა თავდასნმების მოსაგერიებლად“. კელასურის სასაზღვრო კედელი წარწერის გარეშე მითითებულია აგრეთვე ქათიბ ჩელების ზემოხსენებულ კავკასიის რუკაზეც, რომელიც მოთავსებულია ნაშრომში „ჯიჰან – ნუმა“. ნაშრომის გვიანდელი ჩანართის ავტორმა აბუ ბექრიმ იცოდა, რომ აფსუა-აბაზები მის დროს უკვე ფლობდნენ ტერიტორიას მდინარე ენგურამდე. ამასთანავე იგი აღნიშნავდა, რომ აბაზას თავდაპირველი საზღვრები სოჭიდან კელასურამდე და სოხუმამდე აღწევდა⁷⁷.

75. მასალები მე-17 საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის. საქართველოს აღწერილობა, შედგენილი პავლე ალექსოვილის მიერ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ნ. ასათიანმა. თბილისი, 1973, გვ. 71, 72, 83-84.

76. მაკარი ანტიოქელი. ცნობები საქართველოს შესახებ. – არმაღანი. აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები. შემდგენელი მაგალი თოდუა. თბილისი, 1982, გვ. 102-105, 111.

77. ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ. თბილისი, 1978, გვ. 58, 132-133.

XVI – XVII საუკუნეებში აფხაზეთში დამკვიდრებულ აფსუა-აბა-ზებს, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ქართველები აფხაზებს უწოდებდნენ. ქართველი თავადების შარვაშიძეების ხელმძღვანელობით ისინი თავს ესხმოდნენ სამეგრელოს, ცდილობდნენ საერისთავოს საზღვრების გაფართოებას და მთავრის ძალაუფლებისაგან განთავისუფლებას. იმავდროულად, აფხაზეთის მფლობელები საკუთარ თავს საქართველოს სახელმწიფოს მიაკუთვნებდნენ და ქართველ მეფეებს უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ. მაგალითად, 1661 წელს, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს მეფემ ვახტანგ V (შახნავაზი) დროებით ქვეყნის დასავლეთი ნაწილიც დაიქვემდებარა, აფხაზეთის მფლობელებმა მას სრული მორჩილება გამოუცხადეს. მეფისავე ბრძანებით, შარვაშიძეებმა სამეგრელოს მთავარის ძალაუფლებაც აღიარეს⁷⁸.

შემდგომ წლებში ვითარება ქვეყანაში შეიცვალა. ოსმალეთისა და ირანის მიერ 1555 წელს გადანაწილებული საქართველოს გაერთიანება ვერ მოხერხდა, გამწვავდა გარედან ინსპირირებული შიდაომები. სამეგრელოს ძვირად დაუჯდა რუსი ელჩების მიღებაც, რუსეთისკენ სწრაფვა, აგრეთვე ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი რუსი კაზაკებისთვის პერიოდულად დახმარების აღმოჩენა. ცდილობდა რა სამეგრელოს იზოლირებას რუსეთისაგან, ოსმალეთმა, ზოგიერთი ისტორიკოსის დასაბუთებული მტკიცებით, ხელი შეუწყო კავკასიელ მთიელებს სამეგრელოს წინააღმდეგ ბრძოლაში. დადიანებთან დაპირისპირებაში აფხაზეთის ერისთავები – შერვაშიძეებიც კავკასიელ მთიელებს ეყრდნობოდნენ. XVII ს. 80-იანი წლების დასაწყისში სამეგრელოს სამთავრო ტახტისთვის გაჩაღებულ ბრძოლაში ჩართულმა თავადმა აფხაზეთიდან სავარეხ (სორექ) შარვაშიძემ სწორედ მთიელთა დახმარებით მიაღწია წარმატებას. იგი მდინარე ენგურამდე ტერიტორიას დაეუფლა, რომელსაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში სამეგრელოს მთავრის ტიტულით მართავდა. ვინაიდან სავარეხ შარვაშიძემ ვერ შეძლო დანარჩენი სამეგრელოს დაკავება, ენგურამდე მდებარე მიწები მალე აფხაზეთის ნაწილად გამოცხადდა.

დაპყრობილი ტერიტორიის ახლადმოვლენილმა მფლობელებმა, უპირველეს ყოვლისა, დადიანთა ერთგული ქართული თავადაზნაურობისა და სამღვდელთა წარმომადგენლები გაანადგურეს, სასტიკად გაუსწორდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, რომლის დიდი ნაწილი მონებად და დევნილებად აქციეს ან ტყვედ გაყიდეს. დაკავებულ ტერიტორიაზე აბაზები, ყაზარდოელები და სხვა მთიელები ჩამოასახლეს, დაანგრეს ან ფუნქციონირება შეწყვიტეს საუკუნეების განმავლობაში მოქმედმა ქართულმა ეკლესია-მონასტრებმა. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ ზოგადქართული მნიშვნელობის შემდეგი

78. ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 836.

რელიგიური და კულტურული ცენტრები: ბიჭვინთის საკათალიკოსო კათედრა, დრანდისა და მოქვის საეპისკოპოსო კათედრები, აგრეთვე ქართული წარწერებით შემკული ლიხნის, ანუხვის, ანაკოფიის, ნე-ბელის, ქიაჩის, ჭალას (ჭლოუ), თილითის და სხვა ეკლესიები. ჯერ გაძარცვეს და მერე საერთოდ მოშალეს ბიჭვინთის საკათალიკოსოს კუთვნილი მეურნეობები⁷⁹. მხოლოდ მდინარეების ენგურისა და დალიძგის მონაკვეთზე, რომელიც XVIII საუკუნის დასაწყისში კვლავ დადიანების გამგებლობაში დაბრუნდა, მოხერხდა ბედიისა და ილორის მოქმედი ტაძრების შენარჩუნება.

აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე კავკასიელი მთიელების, ძირითადად აფსუა – აბაზების გვიან ჩამოსახლების ფაქტი, რომელსაც სეპარატისტული ისტორიოგრაფია არ აღიარებს, საყოველთაოდ ცნობილია. თითქმის ყველა აფსუა-აფხაზმა, ყველა აფსუურმა გვარმა იცის თავისი ჩრდილოკავკასიური წარმომავლობისა და აფხაზეთში ჩამოსახლებულ წინაპართა ისტორიული სამშობლოს მდებარეობის შესახებ. რაც მთავარია, კავკასიელ მთიელთა აფხაზეთში ჩამოსახლების ფაქტი დაფიქსირებულია XVIII – XIX საუკუნეებისა და უფრო გვიანდელი პერიოდის ქართველ (ვახუშტი ბაგრატიონი, დ. ბაქრაძე, ა. ხახანაშვილი და სხვ.), რუს (ვ.ნ. ტატიშჩევი, ა.ნ. დიაჩკოვ-ტარასოვი, ა. კურაევი და სხვ.) და ევროპელ (პ. – ს. პალასი, ი. კლაპროტი, ფრ. დიუბუა დე მონპერე, ე. სპენსერი და სხვა) ავტორთა შრომებში.

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს თანამედროვე აფხაზების, ანუ აფსუა – აბაზების წარმოშობის საკითხზე. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს გამოჩენილი თურქი ისტორიკოსის, გეოგრაფისა და მწერლის ქიათიბ ჩელების მოსაზრებები. აბაზებს იგი ებრაული წარმოშობის ხალხად, მათ უშუალო წინაპრებად კი ასტრახანის მოსახლეობას მიიჩნევდა⁸⁰. ებრაელებში თურქი ისტორიკოსი იუდაიზმის მიმდევარ ხაზარებს გულისხმობდა და არა საკუთრივ ებრაელებს. ყველაზე მეტად იუდაიზმი სწორედ ასტრახანელ ხაზარებში იყო გავრცელებული. ქიათიბ ჩელების მოსაზრება სრულ თანხმობაშია პირველი საუკუნის ავტორის პლინიუს უფროსის ზემოთმოტანილ ცნობასთან აბზოას ტომის კასპიის ზღვის ჩრდილოეთით ვოლგისპირეთში (სადაც მდებარეობს ქალაქი ასტრახანი) ბინადრობის შესახებ. XVI საუკუნის წერილობითი და კარტოგრაფიული წყაროების მიხედვით, აფსუა – აბაზების წინაპრები უკვე მდინარე ყუბანთან ჩანან. ამას ადასტურებდა სპეციალური დავალებით რუსეთში არაერთხელ ნამყოფი ცნობილი გერმანელი დიპლომატი სიგიზმუნდ გერბერშტეინი (1486-

79. ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 264-283.

80. ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 132, 133.

1566 წწ.) თავის ცნობილ წიგნში „ჩანაწერები მოსკოვის შესახებ“. მისი მონაცემებით, მდინარე ყუბანის გასწვრივ აპკვასი ხალხი ცხოვრობდა, ყუბანის სამხრეთით კი სამეგრელო მდებარეობდა⁸¹. ვენეციელი კარტოგრაფი ჯაკოპო გასტალდი (დაახლ. 1500-1565 წლები) მის მიერ 1561 წელს შედგენილ რუკაზე მდინარე ყუბანის შუა წელში აფიქსირებს **Abcvas regi-**ს, რომლის მთავარი ქალაქი იყო **Acua**. ფლამანდიელი კარტოგრაფი ჰერარდუს მერკატორი (1512-1594 წლები) ევროპის რუკაზე, რომელიც მან 1544 და 1572 წლებში გამოაქვეყნა, ასევე აღნიშნავს ქალაქ **Acua**-ს იმავე არეალში – მდინარე ყუბანთან. ორივე კარტოგრაფი თანამედროვე აფხაზეთის მთელს ტერიტორიას სამეგრელოდ მიიჩნევს, ქალაქი სოხუმი კი სევასტოპოლის ფორმით აქვთ აღნიშნული. სრულიად აშკარაა, რომ მოგვიანებით აფხაზეთში ჩამოსახლებულმა აფსუა-აბაზებმა თან ჩამოიტანეს თავიანთი მთავარი ქალაქის სახელწოდება – **Acua** და იგი აფხაზეთის მთავარ ქალაქს – ცხუმს/სოხუმს შეარქვეს.

აფხაზეთის ტერიტორიაზე მთიელთა ჩამოსახლების შესახებ, როგორც ზემოთ ითქვა, მრავალი ავტორი წერდა. ამ მოვლენის თითქმის თანამედროვე გახლდათ გამოჩენილი რუსი ისტორიკოსი ვ. ნ. ტატიშჩევი (1686-1750 წლები), რომლის შრომებს რუსული ისტორიოგრაფია წყაროს მნიშვნელობას ანიჭებს. იგი სავსებით სწორად წერდა, რომ აფხაზეთი (ავხეთი), არის „სამეგრელოს ჩრდილოეთი ნაწილი, რომელსაც თურქები და ყაბარდოელები აფხაზოსს ეძახდნენ, ჩვენი წინაპრები კი ობეზებს უწოდებდნენ. ამჟამად მისი უმეტესი ნაწილი ყუბანელებითაა დასახლებული“⁸². ვ. ნ. ტატიშჩევის განმარტებით, ობეზები ჩრდილოეთ სამეგრელოს (აფხაზეთის) უძველესი მაცხოვრებლები ანუ ქართველები არიან. „ივერიელი – იგივე ობეზია“, – ამბობს რუსული მატრიანე⁸³. ყუბანელები კი, რომლებიც აფხაზეთში გვიან შუა საუკუნეებში ჩამოსახლდნენ, რუსული მატრიანეების მიხედვით, ჩერქეზულ-ადიღური ტომების წარმომადგენლები არიან.

კიდევ ერთი ცნობილი რუსი ისტორიკოსი ა.ნ. დიაჩკოვ-ტარასოვი 1905 წელს წერდა: „აფხაზები ყოველთვის როდი მოსახლეობდნენ აქ. მათი გადმოცემები, ნეს-ჩვეულებები და მრავალი ისტორიული მონაცემი ადასტურებს, რომ ისინი ჩრდილოეთიდან მოვიდნენ და შეავიწროეს ქართული ტომები, სანამ ენგურთან არ შეჩერდნენ“. აფსუა-აფხაზების ჩრდილოეთიდან ჩამოსახლების შესახებ ა.ნ. დიაჩკოვ-ტარასოვი 1903, აგრეთვე 1909-1910 წლებშიც წერდა და აღნიშნავდა, რომ ეს

81. С. Герберштейн. Записки о Московии. Москва, 1988, с. 181.

82. В. Н. Татищев. История Российская, т. I. Москва-Ленинград, 1962, с. 171.

83. Полное собрание русских летописей, т. VI. Санкт-Петербург, 1853, с. 125, 152; Г. Пайчадзе. Название Грузии в русских письменных исторических источниках. Тбилиси, 1989, с. 13-21, 51-56.

ჩამოსახლება „მოხდა არც თუ ისე დიდი ხნის წინ, შესაძლოა, XVI-XVII საუკუნეებში“⁸⁴.

სავესებით სწორი მოსაზრებაა. მას მთლიანად იზიარებს თანამედროვე რუსი მეცნიერი ანდრია კურაევი. წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში აფხაზეთში იგი მისიონერულ საქმიანობას ეწეოდა, იმავდროულად რეგიონის ისტორიასაც სწავლობდა. 2013 წლის 26 ივნისს ერთ-ერთ კონფერენციაზე გამოსვლისას ანდრია კურაევმა დასვა „მეტად სერიოზული საკითხი: რა საერთო აქვთ აფხაზეთთან იმათ, ვისაც ჩვენ დღეს აფხაზებს ვუწოდებთ? ფაქტია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე არის გასაოცარი უძველესი ქრისტიანული მართლმადიდებლური ტაძრები, არსებობდა უძველესი მართლმადიდებელი აფხაზეთის სამეფო, არსებობდა აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესია. ყველაფერი ეს სიმართლეა! საქმე ის არის, თუ რა კავშირი აქვთ ამასთან იმათ, ვინც დღეს იქ ცხოვრობს? პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ ეს ადამიანები თავის თავს „აფსუას“ უწოდებენ, თავის ქვეყანას – „აფსნის“ და არა აფხაზეთს. სიტყვა «აფხაზეთი» კი ქართული სიტყვაა, ე.ი. ისინი, ვინც ოდესღაც თავის თავს აფხაზებს უწოდებდნენ, ქართული ეთნოსის ნაწილს წარმოადგენდნენ, როგორც მეგრელები და სხვანი. ვთქვათ, ქართველებიც, ქართველი ისტორიკოსებიც ასე ფიქრობენ. ისინი მიიჩნევენ, რომ აი, ის ავთენტური, ქართული ეკლესიის წიაღში და ქართველ ხალხთან გაერთიანებული მართლმადიდებელი აფხაზები თურქებმა გააფლიტეს და გამოდევნეს იქიდან, იმ სანაპიროდან მე-16-17 საუკუნეებში. ნაწილი გაქრა და ნაწილი აღმოსავლეთით, საქართველოს ღრმა მთიანეთში გაიხიზნა. ხოლო დაცარიელებულ სანაპირო ზოლში თურქულმა ხელისუფლებამ მთებიდან ჩერქეზები ჩამოსახლა და უთხრა: – ამიერიდან აქ იცხოვრეთ. ანუ გამოდის, რომ აფხაზეთის ამჟამინდელი მოსახლეობა დიდი ხანი არაა, რაც იქ არის; მაგრამ მათ ეამებათ თავიანთი თავი იმ უძველესი ტაძრების მშენებლებად და მემკვიდრეებად მიიჩნიონ როგორც, მაგალითად, ვალახები ნეტარებენ იმის გამო, რომ ჩვენ ძველი რომაელების მემკვიდრეები ვართო, თავის თავს რუმინელებს, რომეებს, რომანებს, უძველეს რომაელთა შთამომავლებს უწოდებენ; თუმცა დაკვებს რა კავშირი აქვთ რომთან – ძალიან, ძალიან შორეული. მაგრამ რუმინელები პატიოსნად მაინც აღიარებენ, რომ მათთან რუმინეთში იმპერატორ ტრაიანეს კულტია. რატომ? იმიტომ, რომ ტრაიანემ დაიპყრო დაკვები. და აი, გასაოცარი ისტორია: ე.ი. ერი თაყვანს სცემს თავის დამპყრობელს იმიტომ, რომ –

84. А. Н. Дьячков-Тарасов. Гагры и его окрестности. Тифлис, 1903, с. 36-37; А. Н. Дьячков-Тарасов. Бзыбская Абхазия. – В кн.: Известия Кавказского Отделения Русского Географического Общества (ИКОРГО), т. XVII. Тифлис, 1905, с. 85; А. Н. Дьячков-Тарасов. Абхазия и Сухум в XIX столетии. – ИКОРГО, т. XX. Тифлис, 1909-1910, с. 152, 210.

ჩვენ, ბარბაროსები, ამით ევროპულ ცივილიზაციას გვაზიარესო. აფხაზეთში საპირისპირო სიტუაციაა. ის ძირძველი აფხაზები მათ არ დაუმარცხებიათ, მათი დახმარების გარეშე მოხდა როგორც ეს დეპორტაცია. მათი მიწები კი დაისაკუთრეს, სახელიც ნაწილობრივ მიითვისეს, მაგრამ არა თავიანთთვის, არამედ ტურისტებისთვის. თავის თავს ისინი აფხაზებს არ უწოდებენ. ამას აკეთებენ მხოლოდ რუსულ ენაზე და უცხოელებთან, აგრეთვე ნაწილობრივ სხვა ისტორიაზე საუბრისას. მე თუ აფხაზებს ამის მოყოლას დავუწყებ, ისინი ძალიან განანწყენდებიან, ქართველების აგენტს დამარქმევენ⁸⁵.

ანდრია კურაევის მოსაზრება აფხაზთა ისტორიის შესახებ სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს. იგი ეფუძნება სხვადასხვა თაობის ქართველი, რუსი და ევროპელი მეცნიერების დასაბუთებულ დასკვნებს.

აფხაზეთს და აფხაზებს კარგად იცნობდა გერმანელი მეცნიერი პიეტრო – სიმეონ პალასი (1741 – 1811 წლები), რომელიც პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრიც იყო. 1793 – 1794 წლებში მან კავკასიაში იმოგზაურა და 1811 წელს ამ მოგზაურობის შესახებ პარიზში წიგნიც გამოსცა. ავტორი აფსუა-აფხაზებს „აბსნე“-ს სახელით მოიხსენიებს და მათ შესახებ წერს: „ეს ხალხი, როგორც ჩანს, წარმოშობით კავკასიის მთების ჩრდილო – დასავლეთი ნაწილიდანაა“⁸⁶.

აფხაზთა წარმოშობის შესახებ წერდა კიდევ ერთი გერმანელი მეცნიერი და მოგზაური ჰაინრიხ იულიუს კლაპროთი (1783 – 1835 წლები). კავკასიასა და საქართველოში 1807 – 1808 წლებში განხორციელებული მოგზაურობის შემდეგ გერმანულ და ფრანგულ ენებზე მან რამდენიმე ნაშრომი გამოსცა. ეყრდნობოდა რა მეცნიერთა შორის აფსუა-აფხაზთა (აბსნე) შესახებ გაბატონებულ მოსაზრებებს, 1812 წელს ის წერდა: „ფიქრობენ, რომ ისინი ჩრდილო – დასავლეთ კავკასიის აბორიგენები არიან და მოგვიანებით გავრცელდნენ სხვა რაიონებში“⁸⁷. იგივე მოსაზრება გაიმეორა კლაპროთმა 1823 წელს პარიზში გამოცემულ წიგნიც⁸⁸. 1827 წელს გამოცემულ ნაშრომში მან უფრო გარკვევით აღნიშნა, რომ აფსუა-აბაზები „ძალიან დიდხანს ცხოვრობდნენ კავკასიის ჩრდილო – დასავლეთ ნაწილში“⁸⁹.

სწორ დასკვნამდე მივიდა ფრანგული წარმოშობის შვეიცარიელი მეცნიერი, პარიზის აკადემიის წევრი ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე. კავკასიაში მოგზაურობისას, 1833 წელს ის აფხაზეთშიც იმყოფებოდა.

85. <http://www.youtube.com/watch?v=yjtMXbsPgH4>

86. Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, გვ. 285.

87. Klaproth Y. Reise in den Kaukasus und nach Georgien unternommen in den Jahren 1807 und 1808. Halle und Berlin, 1812, p. 447.

88. Voyage ou montdu Kaukaseet en Georgie par M. Jules Klaproth, I. Paris, 1823, p. 201.

89. Tableau historique, géographique, ethnographes entre la Russe et la Perse. Par M. Klaproth. Paris, 1827, p. 83.

თავის კაპიტალურ ნაშრომში, რომელიც ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ 1839 წელს პარიზში გამოსცა, წერდა იმის შესახებ, რომ სამეგრელოს ქართული პროვინცია, რომელსაც დადიანები მართავდნენ, შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ დაახლოებით ჯიქეთამდე ვრცელდებოდა. ფრანგი მეცნიერის აზრით, სამეგრელო მტერთა მუდმივი თავდასხმების ქვეშ იმყოფებოდა და შავი ზღვის „ამ მშვენიერი სანაპიროების გასწვრივ, ერთის მხრივ, ჩერქეზთა, მეორეს მხრივ, თურქთა სისხლიანი ხელი დასეირნობდა. მთავრებმა დადიანებმა, რომლებიც ორი საუკუნის წინ იძულებული გახდნენ თავიანთი საზღვრები ანაკოფიაში გადაეტანათ, ახლა მდინარე ლალიძგამდე დაიხიეს და აფხაზეთი, ეს ბედკრული ქვეყანა, ისეთივე ველური გახდა, როგორც ამერიკის ტყეები: ყველაფერი ნანგრევებად იქცა, ყველა ეკლესია ჩამოიქცა, ცივილიზაციის ყველა კვალი წაიშალა“⁹⁰. ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს დასკვნა ადასტურებს XVI-XVII საუკუნეებში ჩრდილო – დასავლეთ საქართველოში აფსუათა ჩამოსახლების უცილობელ ფაქტს. როგორც ვხედავთ, სეპარატისტთა მტკიცების მიუხედავად, აფსუა – აფხაზეთი ქართველთა მიერ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე საუკუნეების მანძილზე შექმნილი ქრისტიანული ცივილიზაციის არა შემოქმედნი, არა თანაშემოქმედნი, არამედ მისი გამანადგურებლები არიან. აფსუა-აფხაზეთი ამ ქრისტიანული ცივილიზაციის შემქმნელები რომ არ არიან, მტკიცდება მათ ენაში ქრისტიანული ტერმინოლოგიის (მათ შორის ისეთი ძირითადი ტერმინების, როგორიცაა ქრისტი, ქრისტიანი, ეკლესია, მღვდელი, ჯვარი, შობა, აღდგომა, ნათლობა და ა.შ.) არარსებობითაც. აფხაზეთურ ენაში მთელი ქრისტიანული ტერმინოლოგია ქართული ენიდანაა ნასესხები⁹¹.

ინგლისელი ედმუნდ სპენსერი აფხაზეტს რუსეთის შეურთებელ მტრებს უწოდებდა და წერდა (1851 წელი): „ისინი ნაწილობრივ ყირიმისა (ყაბარდოს – ავტ.) და ყუბანის ხანებისა და სულთნების ჩამომავლები არიან, რომლებიც თავის ტომებთან ერთად დასახლდნენ ამ ადგილებში“⁹².

ამრიგად, აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორია უძველესი დროიდან საქართველოს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა და ქართველებით იყო დასახლებული. საუკუნეების მანძილზე აქ შექმნილი სულიერი და მატერიალური კულტურაც მთლიანად ქართულია. გვიან შუასაუკუნეებამდე ენგურ-ფსოუს მონაკვეთზე სხვა ეთნოსების პოლიტიკური და კულტურული მოღვაწეობის კვალი მეცნიერებისთვის სრულიად

90. Фредерик Дюбуа де Монпере. Путешествие вокруг Кавказа, т. I. Перевод с французского Н.А. Данкевич-Пушиной. Сухуми, 1937, с. 149.

91. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 178-196.

92. კ. კოხისა და ე. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლ. მამაცაშვილმა. თბილისი, 1981, გვ. 135.

უცნობია ასეთი კვალის არარსებობის გამო. ოსმალეთის დახმარებით XVI-XVII საუკუნეებში წარმართი, ნაწილობრივ მაჰმადიანი აფსუა-აბაზების ჩამოსახლების, მათ მიერ ადგილობრივი ქართული მოსახლეობის განადგურების ან ასიმილაციის, მაღალგანვითარებული ქრისტიანული კულტურის მოსპობისა და სამეურნეო ცხოვრების მოშლის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი არავითარ ეჭვს არ იწვევს. XVII საუკუნის ბოლოდან აფხაზეთის ისტორიაში ახალი ხანა იწყება. საუბრობდა რა გვიან შუასაუკუნეებში აფსუა-აბაზების აფხაზეთში ჩამოსახლებასა და ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაციაზე, ნიკო ბერძენიშვილი წერდა, რომ „შეიქმნა ახალი აფხაზეთი“⁹³. თავისი ყოფა-ცხოვრებით, მეურნეობით, სარწმუნოებითა და კულტურით იგი განსხვავდებოდა ისტორიული აფხაზეთისაგან. ეს ყოველივე საკმაოდ სრულყოფილად არის ასახული ქართულ და უცხოურ წყაროებში.

1. 2. ახალი აფხაზეთი და აფსუა-აფხაზები

XVI-XVII საუკუნეებიდან, განსაკუთრებით კი XVII საუკუნის ბოლოდან და XVIII საუკუნის დასაწყისიდან აფხაზეთის ეთნიკური სურათი თანდათანობით შეიცვალა. ადგილობრივი ქრისტიანი ქართველებისა და გაბატონებულ მდგომარეობაში მყოფი ჩამოსახლებული, უპირატესად წარმართი, ნაწილობრივ მაჰმადიანი მთიელების შერწყმის შედეგად დღევანდელი აფხაზი (აფსუა) ერი ჩამოყალიბდა. მისი ფორმირების ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესი ძირითადად XIX საუკუნეში დასრულდა. ორი სხვადასხვა აღმსარებლობის ეთნოსის შერწყმამ თავისებური გავლენა მოახდინა ხალხის რელიგიურ მდგომარეობაზე (ქრისტიანობის, წარმართობისა და მაჰმადიანობის ნაზავი), ზნე-ჩვეულებებზე, რომელიც დიდწილად საერთოა ქართველებთან. რადიკალური დემოგრაფიული ცვლილებების მიუხედავად, აფხაზეთის მფლობელებად და მმართველებად დარჩნენ ქართველი თავადები შარვაშიძეთა გვარიდან. ისინი არასდროს გამიჯნულან ქართული სამყაროსაგან, უარი არ უთქვამთ ქართული ენისთვის, რომელიც ახალ აფხაზეთშიც საქმისწარმოებისა და ღმრთისმსახურების ერთადერთ ენას წარმოადგენდა. თავის მხრივ, დასავლეთ საქართველოს (იმერეთის) მეფეები აფხაზეთს მუდამ თავიანთ პროვინციად მიიჩნევდნენ, რაც კარტოგრაფიულ და წერილობით წყაროებშია ასახული. იმერეთის მეფე სოლომონ I (1752-1784 წლები) აფხაზ-იმერთა მეფის ტიტულს ატარებდა. 1776 წლის 26 აპრილით 93. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბილისი, 1990, გვ. 609-610.

დათარიღებულ ერთ-ერთ წერილში იგი საკუთარ თავს „აფხაზთა, იმერთა, გურიელთა და მთელი ქვემო ივერიის მფლობელად“ მოიხსენიებს⁹⁴. როგორც ზემოთ დავინახეთ, „ქვემო ივერია“ დასავლეთ საქართველოს, მათ შორის ქალაქ ცხუმსაც და მთლიანად აფხაზეთსაც მოიცავდა.

სამეგრელოს (ოდიშის) მთავრებს, რომლებსაც აფხაზეთზე რეალური კონტროლი დაკარგული ჰქონდათ, არასოდეს უთქვამთ უარი თავიანთი ძირძველი მიწების დაბრუნებაზე. ისინი „ოდიშის – ლეჩხუმის – სვანებისა და აფხაზების მპყრობელად“ იწოდებოდნენ. ასეთ ტიტულს ატარებდნენ სამეგრელოს მთავრები კაცია II დადიანი (1758-1788 წლები), გრიგოლ დადიანი (1788-1804 წლები) და სხვები⁹⁵. XVIII საუკუნის დასაწყისიდან მდ. ენგურსა და ლალიძგას შორის მდებარე ტერიტორია სამეგრელოს შემადგენლობაში დაბრუნდა და მალე მისი ერთ-ერთი მფლობელის მურზაყან შარვაშიძის საპატივცემულოდ ქართული სახელი სამურზაყანო ეწოდა.

XVII საუკუნის ბოლოდან თურქეთის გავლენა აფხაზეთზე საკმაოდ გაძლიერდა. ძლიერი იყო მისი პოზიციები მთლიანად დასავლეთ საქართველოშიც. ეს პოზიციები რამდენადმე შეირყა 1696 წელს აზოვის ციხის დაკარგვით და შავ ზღვაზე რუსეთის ფლოტის გამოჩენით. ამ ახალმა გარემოებამ სტიმული მისცა XVIII საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველოში გამანთავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას, რომელიც მიზნად ისახავდა თურქეთზე დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებას. განსაკუთრებით სამეგრელოსა და აფხაზეთის მმართველები აქტიურობდნენ. ერთიანი ძალებით ისინი თავს ესხმოდნენ რუხისა და ანაკლიის ციხეებში გამაგრებულ ოსმალებს. თურქეთმა გადამჭრელი ზომების მიღება გადაწყვიტა. მათ განხორციელებას და დასავლეთ საქართველოში სადამსჯელო ოპერაციების ჩატარებას 1703 წელს სამხედროთა აჯანყების შედეგად სტამბულში ხელისუფლების შეცვლამ შეუშალა ხელი. აფხაზეთისა და სამეგრელოს მმართველები კი თურქ მეციხოვნეებზე თავდასხმებს აგრძელებდნენ.

იმ პერიოდის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვანვდის XVIII საუკუნის პირველი მესამედის თურქი ისტორიკოსი მეჰმედ რაშიდი. იგი წერდა: „გურჯისტანის ქვეყნების მოსახლეობიდან მეგრელი, გურული და აბაზა აჯანყებულები ეს რამდენიმე ხანია უარს ამბობენ ჯიზიას გადახდაზე“⁹⁶. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ ყურადღებას

94 Д. Гамахария, Б. Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 649.

95 იქვე, გვ. 287, 650.

96 მეჰმედ რაშიდის ცნობები საქართველოსა და ზოგიერთი მეზობელი ქვეყნის

იმსახურებს თურქი ისტორიკოსის მიერ იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ, საქართველოს პოლიტიკური დაქუცმაცების მიუხედავად, აბაზე-ბით დასახლებული აფხაზეთი, „გურჯისტანის ქვეყნის“ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. ცხადია, ამის თაობაზე, ყველაზე კარგად ოსმალეთში იცოდნენ, რომლის გავლენის ქვეშ იმჟამად დასავლეთ საქართველო იმყოფებოდა.

XVIII საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში რუსეთმა ისარგებლა ირანში სეფიანთა დინასტიის დაცემით (1722 წელი) და კასპიის ზღვის მიმართულებით გააქტიურდა. ამ გარემოებამ ოსმალეთის შეშფოთება გამოიწვია. მანაც ისარგებლა შექმნილი ვითარებით და ირანის ცალკეული ოლქები დაიკავა. 1723 წელს ოსმალეთმა კასპიისპირეთში რუსეთის ლაშქრობის შეჩერება მოახერხა, იმავე წლის ივნისში თბილისიც აიღო. განსაკუთრებული ყურადღება ოსმალეთმა შავიზღვისპირა ციხეების გამაგრებას დაუთმო. ფოთსა და სოხუმში ახალი ციხეების მშენებლობა დაიწყო. ოსმალები იდგნენ ანაკოფიასა და ბიჭვინთაშიც. უნდა ითქვას, რომ სოხუმში თურქული ციხის მშენებლობა აფხაზთა მუდმივი თავდასხმების პირობებში მიმდინარეობდა.

აფხაზეთი იმ პერიოდში სხვადასხვა ჯურის ტყვეთა მსყიდველებისა და მძარცველების სათარეშო ადგილს წარმოადგენდა. საერისთავოს მფლობელები სიტუაციას ვერ აკონტროლებდნენ. XVIII საუკუნის 30 -იანი წლების ბოლოს აფხაზეთის მმართველი მანუჩარ შარვაშიძე ხელისუფლებას ჩამოაშორეს და ორ ძმასთან – ზურაბთან და შირვანთან ერთად ოსმალეთში გაამწესეს. მმართველის ადგილი ჯიქმა დიდგვაროვანმა ასლან ბეი გეჩიმ დაიკავა. ძმებმა შარვაშიძეებმა ოსმალურ მხარესთან საერთო ენა გამოიხატეს და მაჰმადიანობაც მიიღეს. 1744 წელს ზურაბ შარვაშიძე სოხუმის ბეგად დაინიშნა. სოხუმში კვლავ ძლიერი ოსმალური გარნიზონი იდგა.

1768-1774 წლებში რუსეთ-თურქეთის ომი მიმდინარეობდა. 1769 წელს საქართველოში რუსული საექსპედიციო კორპუსი შემოვიდა. იგი შავი ზღვის სანაპიროებიდან ოსმალების განდევნას ისახავდა მიზნად, მაგრამ მიზანს ვერ მიღწია. სოხუმის ბეგი ზურაბ შარვაშიძე თავიდან მხარს უჭერდა ოსმალებს, მაგრამ შემდეგ განუდგა მათ და დროებით სოხუმის ციხის დაკავებაც მოახერხა. 1774 წლის 21 ივლისს რუსეთსა და ოსმალეთს შორის დადებული ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულება უპირატესობას რუსეთს ანიჭებდა. გარდა გარკვეული ტერიტორიების შემოერთებისა, მისმა სავაჭრო ფლოტმა შავ ზღვაზე

შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ვ. ჩოჩიევმა. თბილისი, 1976, გვ. 21/35.

თავისუფალი ნაოსნობისა და სრუტეებზე გავლის უფლება მოიპოვა. ხელშეკრულების 23-ე მუხლის თანახმად, იმერეთის სამეფო ოსმალეთის სასარგებლოდ ხარკის გადახდის ვალდებულებისაგან განთავისუფლდა. მიუხედავად ამისა, ოსმალეთი ცდილობდა საქართველოში თავისი პოზიციების შენარჩუნებას და გამყარებას. 1780-იანი წლებიდან მის მთავარ დასაყრდენად აფხაზეთის ახალი მმართველი ქელემბეი იქცა. ოსმალეთის დახმარებით მან პოზიციები განიმტკიცა და საკუთარ ხელში ძალაუფლების ცენტრალიზაცია მოახდინა.

XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ქართული პოლიტიკური ერთეულების მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, რაც დაკავშირებულია 1783 წელს რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის გეორგიევსკის „სამფარველო“ ტრაქტატის გაფორმებასთან. ტრაქტატი, მართალია, რამდენადმე ზღუდავდა საქართველოს სუვერენიტეტს, მაგრამ ქვეყანა დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა და საერთაშორისო სამართლის სუბიექტად რჩებოდა. უფრო მეტიც, გეორგიევსკის ტრაქტატის მეოთხე საიდუმლო არტიკულის მიხედვით, რუსეთი ქართლ-კახეთის სამეფოსთვის სხვა ქართული ისტორიული ტერიტორიების მათი განთავისუფლების კვალობაზე შემოერთებისა და ქვეყნის გამთლიანებისთვის ბრძოლაში ხელშეწყობის ვალდებულებასაც იღებდა. შესაბამისად, 1783 წლის ტრაქტატი უშუალოდ აფხაზეთსაც ეხებოდა, რომელსაც რუსეთში კვლავ სამეგრელოს სამთავროსა და ამდენად სრულიად საქართველოს ნაწილად აღიარებდნენ. 1793 წელს შედგენილი „რუსეთის იმპერიის ისტორიული რუკის“ თანახმად, საქართველო ახლად მოპოვებულ ტერიტორიადაა მიჩნეული და მისი ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი აზოვის ზღვასთან ფიქსირდება⁹⁷. რუკაზე აღნიშნულია ქართული პროვინციებიც – იმერეთი და სამეგრელო. აფხაზეთი, რომელიც რუკაზე საერთოდ არ არის აღნიშნული, სამეგრელოს შემადგენლობაში იგულისხმება.

გეორგიევსკის ტრაქტატის მეოთხე საიდუმლო არტიკული საქართველოს სამეფოს აღდგენას სწორედ „რუსეთის იმპერიის ისტორიულ რუკაზე“ მითითებულ საზღვრებში ითვალისწინებდა. მაგრამ რუსეთმა იმედები გაუცრუა საქართველოს, რომელმაც ირწმუნა მისი და საკუთარი ბედიც მას მიანდო. რუსეთმა არა მხოლოდ არ შეასრულა „მფარველობასა“ და ერთიანი სამეფოს აღდგენასთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებები, არამედ 1801 წელს აღმოსავლეთ საქართველოს – ქართლ-კახეთის სამეფო საერთოდ გააუქმა და პირდაპირი რუსული მმართველობა შემოიღო. 1802 წელს

97 ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 368-369, რუკა № 16.

„საქართველოს მმართველობა“ დაფუძნდა. მის სათავეში კავკასიაში დისლოცირებული რუსული საოკუპაციო ჯარების სარდლები იდგნენ და მათ საქართველოს მთავარმართველებს უწოდებდნენ. შემოღებული მმართველობის სახელწოდებაში („საქართველოს მმართველობა“) უკვე იყო ჩადებული იმპერიის შემდგომი გეგმები საქართველოსთან მიმართებაში. სახელწოდებაში ტერმინ „საქართველო“-ს შენარჩუნებით რუსეთი, გეორგიევსკის ტრაქტატის IV საიდუმლო მუხლის თანახმად, ოსმალეთის მიერ ოკუპირებული და ანექსირებული სხვა ქართული რეგიონების განთავისუფლების, ერთიანი საქართველოს ვითომ აღდგენის „კანონიერ უფლებას“ ინარჩუნებდა, თუმცა ეს უკვე იქნებოდა არა ტრაქტატით გათვალისწინებული დამოუკიდებელი სახელმწიფო, არამედ რუსეთის პროვინცია.

1. 3. აფხაზეთი – რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში

რუსეთმა როგორც კი ფეხქვეშ გათელა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი და აღმოსავლეთ საქართველოს ანექსია მოახდინა, მაშინათვე გაააქტიურა მოქმედებები დასავლეთ საქართველოს, მათ შორის აფხაზეთის ხელში ჩასაგდებად. 1803 წლის დეკემბერში სამეგრელოს მთავარმა გრიგოლ დადიანმა, „ოდიშის, ლეჩხუმის, სვანეთის, აფხაზეთის და ოდითგანვე ჩემი წინაპრების კუთვნილი მიწების მპყრობელის“ ტიტულით ხელი მოაწერა „თხოვნას“ რუსეთის მფარველობის ქვეშ მიღების შესახებ მთელი თავისი „სამფლობელოთი, როგორც ზემოთ დასახელებულით, ისე სხვადასხვა მიზეზით მისგან გამოყოფილით“⁹⁸. წინაპრების კუთვნილ და სამეგრელოსაგან გამოყოფილ მიწებში, გარდა აფხაზეთისა, აშკარად ჯიქეთი და აზოვის ზღვამდე მდებარე სხვა ისტორიული ქართული მიწები იგულისხმებოდა. ეჭვსგარეშეა, გრიგოლ დადიანის „თხოვნა“ ადრე „მისგან გამოყოფილი“ მიწებითაც კი რუსეთის მფარველობის ქვეშ მიღების შესახებ დაინერა პეტერბურგში ან პეტერბურგიდან კარნახით და გეორგიევსკის ტრაქტატის IV არტიკულის გათვალისწინებით. აღნიშნული „თხოვნა“, აგრეთვე იმერეთის მეფესთან დადებული ხელშეკრულება რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა 1804 წლის 4 ივლისს დაამტკიცა. ამ აქტის საფუძველზე რუსეთმა აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის შემოერთებისათვის ბრძოლის „კანონიერი“ უფლება მოიპოვა.

დასავლეთ საქართველოში განვითარებულ პროცესებს ყურადღებით აკვირდებოდა აფხაზეთის მმართველიც. 1803 წლიდან ქელემ-ბეიმ

98 Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 287.

პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლაზე დაიწყო ფიქრი. რუსეთის ქვე-შევრდომობის სურვილს იგი ფარულად გამოთქვამდა და სამეგრელოს მთავრის მეშვეობით საქართველოს მთავარმართებელ პ. ციციანოვთან კავშირის დამყარებას ცდილობდა. 1803 წლის 27 ოქტომბერს პ. ციციანოვი სახელმწიფო კანცლერს გრაფ ა. ვორონცოვს ატყობინებდა: „ამასთანავე ჩემს მოვალეობად ვრაცხ, შევეხო ქელემ-ბეისა და მისი სამფლობელოს ისტორიას. XV საუკუნეში, კერძოდ, ქრისტეშობიდან 1414 წლამდე, როცა ივერია დაქუცმაცებული არ იყო, ის, ქელემ-ბეი, შარვაშიძის სახელით იყო ცნობილი, მისი სამფლობელო ივერიის ერთ-ერთ პროვინციას წარმოადგენდა“⁹⁹. ისტორიას იშველიებდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ბუდბერგი, როდესაც მან 1806 წლის 25 სექტემბერს საქართველოს ახალ მთავარმართებელს გენერალ ი. გუდოვიჩს აფხაზეთის შემოერთების თაობაზე იმპერატორის სურვილი შეატყობინა. თავის წერილში ა. ბუდბერგი გამოთქვამდა გონიოს, ბათუმის, ფოთის, ანაკლიის, ისგაურის (ტამიშთან), სოხუმისა და ანაპის ციხეების დაკავების სურვილს, რადგანაც „ეს ციხეები, – წერდა იგი, – უძველესი დროიდან საქართველოს სამეფოს ეკუთვნოდა, ამიტომ არ შეიძლება არ გვსურდეს ყველა ამ ადგილის რუსეთთან შეერთება“¹⁰⁰. როგორც ვხედავთ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მშვენივრად იცოდა არა თუ აფხაზეთის, არამედ მისგან თითქმის 300 კილომეტრით დაშორებული და ამჟამად რუსეთის შემადგენლობაში შემავალი ანაპის ისტორიული საქართველოსადმი კუთვნილების შესახებ. ეს გარემოება კი რუსეთს აფხაზეთისა და მის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მიწების შემოერთების „კანონიერ უფლებას“ აძლევდა.

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია, ისევე როგორც სხვა ქართული პროვინციები, ნაწილ-ნაწილ შევიდა რუსეთის „მფარველობის“ ქვეშ. 1805 წლის 9 ივლისს სოფ. ბანძაში (მარტვილის რაიონი) სამურზაყანოს მფლობელებმა ხელი მოაწერეს ქართულ ენაზე შედგენილ ფიცს რუსეთის ხელმწიფისა და სამეგრელოს მთავრის ერთგულებაზე. ფიცის ტექსტში სამურზაყანო აღიარებულია სამეგრელოს ისტორიულ ტერიტორიად. მასში ნათქვამია: „როგორც რომ ყოვლად უმოწყალესი ხელმწიფისა ყმა ვიყოფებით, აგრეთვე სამეგრელოს თვითმპყრობელი ლევან დადიანისა, რადგანაც ჩვენ ჩვენის ქვეყნით ძველიდგან ვყოფილვართ სამეგრელოს თვითმპყრობელი თავადი დადიანისა“¹⁰¹.

99 Акты, Собранные Кавказской Археографической Комиссией, т. 2. Под редакцией А. Д. Берже. Тифлис, 1868, с. 463.

100 Акты, Собранные Кавказской Археографической Комиссией, т. 3. Под редакцией А. Д. Берже. Тифлис, 1869, с. 525-526.

101 Акты, Собранные Кавказской Археографической Комиссией, т. 2, с. 527.

1806 წლის მაისში ქელემ ბეიმ საქართველოს რუსულ ადმინისტრაციას რუსეთის მფარველობაში მიღებისა და თურქეთის შესაძლო აგრესიისაგან დაცვის თაობაზე თხოვნით მიმართა. საერთაშორისო ვითარების გამო, პირველ რიგში, ოსმალეთის ფაქტორის გათვალისწინებით, რუსეთი არ ჩქარობდა საკუთარი „მფარველობის“ ქვეშ აფხაზეთის მიღებას.

აფხაზეთისათვის ბრძოლა რუსეთ-თურქეთის 1806-1812 წლების ომის პირობებში მიმდინარეობდა. საომარმა მოქმედებებმა დუნაის აუზი და ამიერკავკასია მოიცვა. 1807 წლის აგვისტოში მხარეებმა დროებითი ზავი დადეს, რომლის მოქმედება 1809 წლამდე გაგრძელდა. ამ პერიოდში აფხაზეთთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა. 1808 წლის 2 მაისს ქელემ ბეი, ოფიციალური ვერსიით, მისმა უფროსმა შვილმა ასლან ბეიმ მოკლა, რის შემდეგაც იგი აფხაზეთის ტახტს დაეუფლა და ოსმალეთის ქვეშევრდომობა აღიარა. საკუთარი თავი აფხაზეთის მთავრად გამოაცხადა ასევე ქელემ-ბეის ქრისტიანად მონათლულმა შვილმა საფარ-ბეიმ (ნათლობის სახელი – გიორგი), რომელიც სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის სიძე - დის ქმარი გახლდათ. გიორგი შარვაშიძემ ასლან-ბეის ომი გამოუცხადა და დახმარებისათვის საქართველოს რუსულ ადმინისტრაციას, ასევე სამეგრელოს დროებით მმართველს ნინო დადიანს (გრიგოლის მეუღლეს) მიმართა. ამ უკანასკნელმა აფხაზეთის ახალი მთავარი რუსეთის ერთგულებაზე დააფიცა. თავის მიმართვაში ნინო დადიანისა და სამთავრო ტახტის მცირეწლოვანი მემკვიდრისადმი – ლევან V დადიანისადმი (1804-1840 წლები), გიორგი შარვაშიძე ვალდებულებას იღებდა, რომ თავის ერთგულ ქვეშევრდომებთან ერთად საქართველოს მთავარმართველის ბრძანებებს დაემორჩილებოდა. მან იცოდა, რომ რუსეთის „მფარველობაში“ მიღების შემდეგ მისი სამფლობელო კვლავ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდებოდა, თუმცა მას უკვე არა ქართველი მეფეები, არამედ რუსი გენერლები მართავდნენ. თქვენ დამაფიცეთ იმპერატორის ერთგულებაზე, მიშუამდგომლეთ მის წინაშე რუსეთის მფარველობის ქვეშ აფხაზეთის მიღების თაობაზე, – ნერდა გიორგი შარვაშიძე ზემოხსენებულ წერილში და დასძენდა: „მაშასადამე თქვენდამი დამოკიდებულ არს, თუ ვითარ იგი იღწვით ჩემთვის ანუ ვითარ იგი განმიღებთ კარსა უთვითმპყრობელისასა ხელმწიფისა ჩვენისასა“¹⁰².

აფხაზეთის ბედის გადაწყვეტა სამეგრელოზე ნამდვილად იყო დამოკიდებული. მისი მმართველები რუსებს მუდმივად შეახსენებდნენ,

102 Акты, Собранные Кавказской Археографической Комиссией, т. 3, с. 205.

რომ აფხაზეთი ისტორიულად მათი სამფლობელოს ნაწილს წარმოადგენდა. 1808 წლის 8 ივნისს ნინო დადიანი, სთხოვდა რა იმპერატორ ალექსანდრე I-ს რუსეთის მფარველობის ქვეშ აფხაზეთის მიღების თაობაზე, არაორაზროვნად მიანიშნებდა: „თუმცაღა ჟამმან ცვლილებისამან და მეზობლის უთანხმობანამ განხადა მფლობელობისაგან სამთავროისა ჩვენისა ესე აფხაზეთი, გარნა უწინარეს იყო მკვიდრი ტახტი ნიკოპსისა, დადიანისა ლევანისა და წინაპართა მათთა და გარდაცვალებული კაცია დადიანი (1758-1788 წლები – ავტ.), მამა ახალგარდაცვალებულისა გრიგოლ დადიანისა, ახდევინებდა ხარკსა და არს უკვე წევრი სამეგრელოსა“¹⁰³. ნინოს აზრით, ეს იყო კარგი წინაპირობა და ხელსაყრელი მომენტი რუსეთის მფარველობაში აფხაზეთის მისაღებად. ამრიგად, რუსეთის მფარველობაში აფხაზეთი უნდა შესულიყო როგორც „ივერიის პროვინცია“, როგორც „წევრი სამეგრელოსა“.

ფორმალურად იცავდა რა ოსმალეთთან დადებული დროებითი ზავის პირობებს, რუსეთი აფხაზეთის შემოერთებისაგან ჯერ კიდევ თავს იკავებდა. მიუხედავად ამისა, 1808 წლის აგვისტოს დასაწყისში მან სცადა გიორგი შარვაშიძის ერთგული აფხაზური რაზმებისა და სამეგრელოს სახალხო ლაშქრის ერთობლივი ძალებით სოხუმის აღება. ამ ძალებს ზურგს უმაგრებდნენ რუსული რეგულარული სამხედრო ნაწილები. გაერთიანებული მხედრობა სოხუმამდე ჩავიდა, მაგრამ მისი აღება ვერ მოახერხა. ამის შემდეგ აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტა დაჩქარდა. 1808 წლის 12 აგვისტოს გიორგი შარვაშიძემ და მისმა ერთგულმა თავადაზნაურობამ ხელი მოაწერეს ქართულ ენაზე შედგენილ „სათხოვარ პუნქტებს“ რუსეთის მფარველობაში აფხაზეთის მიღების თაობაზე. აფხაზეთის მთავარი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამდა, რომ იქნებოდა „მორჩილ საქართველოსა უპირატეს მმართველისა ერთგულთა და სარწმუნო მონათა და ყმათა ჩემთათანა.“ „სათხოვარ პუნქტებს“ თან ერთვოდა გიორგი შარვაშიძის მიწაწერი, რომ მის მიერ ადრე გაგზავნილი წერილები და ეს თხოვნაც დაწერილია დადიანების კარის ეკლესიის წინამძღვრის „დეკანოზ იოანე იოსელიანის მიერ, რომელიც წრფელი გულით მირჩევდა საიმპერატორო ტახტის ქვეშევრდომი გამგზადრვიყავი“¹⁰⁴.

საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით, რუსეთი კვლავაც არ ჩქარობდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას. 1809 წლის მარტში ოსმალეთთან დროებითი ზავი დაირღვა და საომარი მოქმედებები

103 იქვე, გვ. 201.

104 იქვე, გვ. 209.

განახლდა. რუსეთმა იმავე წლის 15 ივნისს ანაპის, ხოლო 15 ნოემბერს ფოთის ალება მოახერხა. ყოველივე ამან აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტაც დააჩქარა. 1810 წლის 17 თებერვალს იმპერატორმა ალექსანდრე I აფხაზეთის მმართველის „სათხოვარი პუნქტები“ დაამტკიცა. იმავე წლის 10 ივლისს რუსებმა სოხუმის ციხეც აიღეს.

მოტანილი მასალები ნათლად გვიჩვენებენ, რომ რუსეთის „ქვეშევრდომობის“ ქვეშ აფხაზეთი შევიდა როგორც საქართველოს ისტორიული პროვინცია, როგორც სამეგრელოს ნაწილი. ამაში გადამწყვეტი როლი მიუძღვის სამეგრელოს დროებით მმართველს, საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ს ქალიშვილს ნინო ბაგრატიონს-დადიანისას. მას ამოძრავებდა რუსეთის დახმარებით საკუთარი სამთავროს შემადგენლობაში აფხაზეთის დაბრუნების სურვილი. საქართველოს მთავარმართველი ა.ნ. ტორმასოვი 1810 წლის 11 იანვარს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს გრაფ ნ.პ. რუმიანცევს წერდა, რომ სწორედ ნინოს „მონდომებას უნდა ვუმაღლოდეთ საფარ-ზეის (გიორგი შარვაშიძის – ავტ.) გადმობირებას, რათა ის მთელი თავისი სამფლობელოთი რუსეთის სამუდამო მფარველობაში და ქვეშევრდომობაში შემოსულიყო“¹⁰⁵.

ყოველივე ამის შემდეგ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებენ დღევანდელი რუსეთის მესვეურთა ხმამაღალი განცხადებები, რომლებიც თავიანთ უკანონო გადაწყვეტილებას აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარების შესახებ ამართლებენ ცრუისტორიით – რუსეთის შემადგენლობაში აფხაზეთის ვითომ საქართველოსაგან დამოუკიდებლად შესვლით. სინამდვილეში კი რუსეთის „მფარველობაში“ აფხაზეთი შევიდა როგორც საქართველოს პროვინცია. ამ საკითხზე რუსეთის ხელისუფლებასთან მთელს მიმონწერასაც გიორგი შარვაშიძე ქართულ ენაზე აწარმოებდა.

რუსეთ-თურქეთის ომი კვლავაც გრძელდებოდა. იგი 1812 წლის 28 მაისს ხელმოწერილი ბუქარესტის ზავით დასრულდა. ხელშეკრულების 6-ე მუხლი კავკასიას ეხებოდა. რუსეთი თმობდა ფოთსა და ანაპას, სამაგიეროდ მისი „მფარველობის“ ქვეშ რჩებოდა დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი – იმერეთი, გურია, სამეგრელო და აფხაზეთი.

აფხაზეთის მმართველს გიორგი შარვაშიძეს არ ემორჩილებოდა აფხაზეთის ისეთი რეგიონი, როგორცაა ნებელი (ნებელდა). ქართულ ენაზე შედგენილ ფიცს რუსეთის იმპერატორისა და სამეგრელოს მთავრის ერთგულებაზე ამ რეგიონის სახელით ხელი მოაწერეს ნებელის მფლობელმა მარშანიებმა. ლევან V დადიანის მიწვევით 1815

105 Акты, Собранные Кавказской Археографической Комиссией, т. 4. Под редакцией А. Д. Берже. Тифлис, 1870, с. 393.

წლის 29 ნოემბერს ისინი სამურზაანოში, კერძოდ, ოქუშში ჩავიდნენ. ხელმოწერილ დოკუმენტში ნათქვამია: „ჩვენ ქვემო ხელის მომწერელნი წებელის თემის ბატონები, თავადი მარშანიები მოგართმევთ ამ წერილს თქვენს უგანათლებულესობას მთავარს დადიანს ლეონს, ასე რომ ჩვენ მამა-პაპით თქვენის მამა-პაპის თუმცა მორჩილები და ეთგულები ვიყავით, მაგრამ რომელმანმე შემთხვეულმა შფოთებმა დაშორებულ ვიქმენით ერთმანეთისაგან, და აწი გინებებიათ ჩვენი თქვენდა მახლობლობა და პირველისამებრ სიყვარული და წყალობა განგვიახლეთ, და ჩვენ რწმუნებულ ვართ ამ თქვენის ჭეშმარიტის სიტყვით ჩვენდა დაჯერებას და ჩვენც ვფიცავთ ამას წმინდა ალყურანსა ზედა ესრეთ, რომელ პირველ ყოველთასა ვიყვნეთ არა რაისამე შინა წინააღმდეგომ მისის დიდებულების რუსეთის ხელმწიფისა იმპერატორის ალექსანდრე პავლეს ძისა და მისგან დაწესებულთა ამა მხარეთა მმართველთა საშუალობითა თქვენითა. და თქვენისაცა ბრძანებისა ჩვენგან შესაძლებელსა მორჩილ და შეძლებისამებრ მტერთა რუსეთისა და თქვენის უგანათლებულესობისათა წინააღმდეგომ ყოვლითა გზითა...“¹⁰⁶. ინტერესმოკლებული არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ წებელის გამაჰმადიანებულმა მფლობელებმა ქართველი მართლმადიდებელი სასულიერო პირების – ცაიშის მიტროპოლიტ გრიგოლის (ჩიქოვანი), არქიმანდრიტ გიორგისა (კუხალაშვილი) და დეკანოზ იოანე იოსელიანის წინაშე ყურანზე დაიფიცეს. მოტანილი დოკუმენტიდან, რომელიც მიტროპოლიტ გრიგოლის ბეჭდითაა დამოწმებული, კარგად ჩანს, რომ წებელის თემი, მის მფლობელთა აღიარებით (და სხვა მრავალი წყაროს მიხედვითაც), XVII საუკუნემდე სამეგრელოს შემადგენლობაში შედიოდა; ამიტომაც დაიფიცეს წებელის მფლობელებმა რუსეთისა და ლევან V დადიანის ერთგულებაზე.

„სათხოვარი პუნქტებისა“ და „ფიცის“ ტექსტების ხელმოწერის შემდეგაც აფხაზ ხალხს XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლომდე არ შეუწყვეტია წინააღმდეგობა, რომელიც არაერთხელ გადაიზარდა რუსეთის წინააღმდეგ უთანასწორო სისხლისმღვრელ ბრძოლაში. არც ოსმალეთი აპირებდა იოლად აფხაზეთისა და მთლიანად დასავლეთ საქართველოს დათმობას, ბუქარესტის საზავო ხელშეკრულების პირობების შესრულებას. თურქეთის ხელშეწყობითა და მოსახლეობის უმეტესობის მხარდაჭერით, 1813 წელს ასლან ბეიმ აფხაზეთში დაბრუნება სცადა, მაგრამ უშედეგოდ.

1817 წელს რუსეთ-კავკასიის ომის დაწყებამ აფხაზეთის ტერიტორიის სტრატეგიული მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზარდა.

106 Акты, Собранные Кавказской Археографической Комиссией, т. 5. Под редакцией А. Д. Берге. Тифлис, 1873, с. 507-508.

რუსეთი ფაქტობრივად მხოლოდ სოხუმს აკონტროლებდა თავისი 500 კაციანი გარნიზონით. მას კი აფხაზეთისა და მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის გაკონტროლება სჭირდებოდა, საიდანაც თავისუფლებისათვის მებრძოლი კავკასიელი მთიელები გარესამყაროს უკავშირდებოდნენ და დახმარებას ლეზულობდნენ. ამ სამართლიან ბრძოლაში კავკასიელთა ძირითადი მოკავშირეები ინგლისი და ოსმალეთი იყვნენ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, რუსეთი მხარს უჭერდა მის მიერ დამტკიცებულ აფხაზეთის მმართველს გიორგი შარვაშიძეს. აფხაზთა უმეტესობა კი მას არ ცნობდა. ასე იყო 1818 წელსაც, როდესაც რუსეთმა ამბოხებულ და დაუმორჩილებელ აფხაზთა დაშოშმინება ამჯერად უსისხლოდ მოახერხა. სისხლისმღვრელი ბრძოლები კი 1821 და 1824 წლებში გაიმართა. აჯანყებულ აფხაზებს ასლან ბეი ხელმძღვანელობდა. დიდი ძალისხმევის შედეგად, ეს აჯანყებები რუსეთმა სამხედრო ძალის გამოყენებით ჩაახშო.

მიუხედავად ამისა, აფხაზეთის მმართველები გიორგი შარვაშიძე (გარდაიცვალა 1821 წელს), მისი მემკვიდრეები დიმიტრი (გარდაიცვალა 1822 წელს) და სრულიად ახალგაზრდა მიხეილი (იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა 1823 წლის 14 თებერვალს დაამტკიცა) სიტუაციას ვერ აკონტროლებდნენ. რუსეთი ხვდებოდა, რომ აფხაზეთში სტაბილურობის დასამყარებლად სადამსჯელო სამხედრო ოპერაციების გარდა, აუცილებლობა მოითხოვდა სხვა ზომების გატარებასაც. პირველ რიგში, საჭირო იყო ოსმალეთთან ურთიერთობის გარკვევა, რადგანაც აფხაზთა ამბოხებების უკან სწორედ ის იდგა. რუსეთმა ისარგებლა იანიჩარების აჯანყების შედეგად ოსმალეთში შექმნილი რთული ვითარებით და სტამბული სამშვიდობო მოლაპარაკების განახლებაზე დაიყოლია. მოლაპარაკების შედეგად 1826 წლის 1 ივლისს ხელი მოეწერა აკერმანის კონვენციას. საქართველოსთან მიმართებაში იგი ზემოხსენებული ბუქარესტის საზავო ხელშეკრულების პირობებს ადასტურებდა. აკერმანის კონვენციას ოსმალეთი დროებით დათმობად განიხილავდა, თუმცა მისმა ხელმოწერამ გარკვეულწილად განაპირობა აფხაზეთში სიტუაციის რუსეთის სასარგებლოდ შემოტრიალება. 1827 წლის 20 დეკემბერს სულთანმა მეჰმედ მეორემ აკერმანის კონვენცია გააუქმა. ეს გახდა 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის ერთ-ერთი საბაბი. მისი დასრულების შემდეგ 1829 წლის 2 სექტემბერს ხელი მოეწერა ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებას. თურქეთი აღიარებდა იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთის, აგრეთვე ქალაქების ფოთის, ახალციხისა და ახალქალაქის რუსეთის ხელში გადასვლას.

XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს რუსეთის მიერ მიღწეულ-მა სამხედრო და დიპლომატიურმა წარმატებებმა წინააღმდეგობის მოძრაობა აფხაზეთში რამდენადმე შეასუსტა. ამბოხებათა თავკაცების დიდმა ნაწილმა რუსეთის წინააღმდეგ იარაღით ხელში ბრძოლაზე დროებით უარი თქვა და რუსეთის ერთგულებაზე დაიფიცა. შესაბამისად, მნიშვნელოვნად გაძლიერდა აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძის ძალაუფლებაც. ეს იყო პერიოდი, როდესაც რუსეთი კავკასიელ მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლის ახალ ტაქტიკაზე გადადიოდა. ახალი ტაქტიკა კი უპირატესობას ცალკეული სადამსჯელო ოპერაციების ჩატარებას ანიჭებდა. მსგავსი ოპერაციების ჩასატარებლად შავი ზღვის სანაპიროზე ანაპიდან ფოთამდე გამაგრებული სამხედრო პუნქტები იქმნებოდა. 30-იანი წლების დასაწყისში ასეთი პუნქტები აფხაზეთის ტერიტორიაზეც, კერძოდ, გაგრში, ბიჭვინთასა და ბომბორაში დაფუძნდა.

კავკასიელ მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ტაქტიკის განხორციელებაში, ანუ სადამსჯელო ოპერაციების ჩატარებაში რუსეთი აქტიურად იყენებდა აფხაზეთის მთავარს და მის დაქვემდებარებაში მყოფ აფხაზურ მილიციას. ასე, მაგალითად, 1837 წლის მაისში და 1840 წლის ივლისში აფხაზური მილიცია რუსებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა წებელის მოსახლეობის დაშოშმინებაში¹⁰⁷. 1841 წლის ოქტომბერში კი მიხეილ შარვაშიძემ 1500 კაციანი მილიციით რუსეთის ჯარებთან ერთად უშუალო მონაწილეობა მიიღო შაფსულებისა და ნატუხაელების დარბევაში, მათი სახლ-კარის გადანვასა და საცხოვრებელი ადგილებიდან განდევნაში. ამ „გმირობისათვის“ მიხეილ შარვაშიძემ რუსული სარდლობის ქებაც დაიმსახურა¹⁰⁸. სამწუხაროდ, რუსეთ-კავკასიის ომის პერიოდში აფხაზურ, ასევე ქართულ მილიციას არაერთხელ მიუღია მონაწილეობა მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. სამხედრო თვალსაზრისით, მილიცია სერიოზულ ძალას არ წარმოადგენდა, მაგრამ მსგავსი ფორმირების თუნდაც სიმბოლურ მონაწილეობას თანამოძმეთა წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთი დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა. ასეთი გზით იგი კავკასიელ ხალხებს შორის დაპირისპირებისა და განხეთქილების ჩამოგდებას ცდილობდა. უნდა ითქვას, რომ ამ მცდელობამ ნაყოფი გამოიღო და მის სავალალო შედეგებს კავკასია დღემდე იმკის.

107 Акты, Собранные Кавказской Археографической Комиссией, т.VIII. Под редакцией А. Д. Берже. Тбилиси, 1881, с. 457-463; Акты, Собранные Кавказской Археографической Комиссией, т. IX. Под редакцией А. Д. Берже. Тбилиси, 1884, с. 492-493.

108 Акты, Собранные Кавказской Археографической Комиссией, т. IX, с.513-519.

აფხაზეთის საკითხი აქტუალური გახდა აღმოსავლეთის ომის პერიოდში (1853-1856 წლები), რომელიც ასევე ყირიმის ომის სახელითაა ცნობილი. 1854 წლის მარტ-აპრილში რუსეთის სამხედრო ნაწილებმა მიხეილ შარვაშიძის დახმარებით აფხაზეთი დატოვეს. 1855 წლის მარტში კი სოხუმში თურქეთის ჯარი შევიდა. აფხაზთა დიდი ნაწილი თურქებს მიემხრო. როგორც ცნობილია, ყირიმსა და ბალკანეთში რუსეთი დამარცხდა, მაგრამ კავკასიაში წარმატებას მიაღწია. 1855 წლის სექტემბერში სოხუმში შემოსულმა 45 ათას კაციანმა თურქულმა სამხედრო დესანტმა ომერ ფაშას სარდლობით ვითარება ფრონტებზე რადიკალურად ვერ შეცვალა. დესანტის მიზანი იყო დასავლეთ საქართველოს გავლით ყარსის დამცველებისთვის დახმარების აღმოჩენა. 1855 წლის ნოემბერში რუსებმა ყარსის აღება მოახერხეს, რის შემდეგაც ომერ ფაშას ლაშქრობამ დასავლეთ საქართველოში აზრი დაკარგა. 1856 წლის თებერვალში ოსმალებმა აფხაზეთი და მთლიანად დასავლეთ საქართველო დატოვეს. იმავე წლის მარტში პარიზის საზავო ხელშეკრულების საფუძველზე რუსეთმა კავკასია შეინარჩუნა, მაგრამ ყარსისა და ბაიაზეთის საფაშოები ოსმალეთს დაუბრუნა. მას აგრეთვე შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტის განთავსება და შავი ზღვის ნავსადგურების გამაგრება აეკრძალა.

აღმოსავლეთის ომის შემდეგ რუსეთს ხელახლა მოუხდა აფხაზეთის დაპყრობა და შავიზღვისპირა ზოლში სამხედრო ნაწილების ჩაყენება. შემოღებულ იქნა აფხაზეთის ჯარების უფროსის თანამდებობა. ეს ზომა ერთდროულად სამთავროზე კონტროლის გაძლიერებასაც ისახავდა მიზნად. იმავე მიზანს ემსახურებოდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისთვის აფხაზეთის დამორჩილებაც. გარდა ამისა, იმპერიული ხელისუფლება აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა და ამ რეგიონში უშუალო რუსული მმართველობის შემოღების საკითხსაც აქტიურად იხილავდა. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება დროებით გადაიდო. რუსეთის წინაშე ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობის ამოცანა იდგა, რომლის გადასაწყვეტად რუსეთს ჯერ კიდევ აფხაზთა ლოიალობა და მიხეილ შარვაშიძის დახმარება სჭირდებოდა.

რუსეთ-კავკასიის ომის დასკვნით ეტაპზეც აფხაზეთის მთავარი და მისი ერთგული მილიცია რუსებთან ერთად კავკასიელ თანამოძმეებს ებრძოდა. ასე, მაგალითად, 1860 წლის აგვისტოში 3000 კაციანმა აფხაზურმა მილიციამ ფსხუს წინააღმდეგ ლაშქრობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო¹⁰⁹. 1864 წლის მაისში წებელდის აფხაზური მილიციის თავდასხმამ აიბგას თემის მოსახლეობა აიძულა

109 Акты, Собранные Кавказской Археографической Комиссией, т. XII. Под редакцией А. Д. Берже. Тбилиси, 1904, с. 859-860.

საკუთარი სახლები მიეცოვებინათ და თურქეთში გადასახლებული-
ყვნენ. რუსეთ-კავკასიის ომის დასრულების აღსანიშნავად იმავე წლის
21 მაისს კბადაში გამართულ „გამარჯვების“ აღლუმში რუსებთან
ერთად ქართული და აფხაზური მილიციაც მონაწილეობდა¹¹⁰. ისტორიის
გაყალბებაში დახელოვებული სეპარატისტი ისტორიკოსები
მუდმივად ხაზს უსვამენ რუსებთან ერთად კავკასიელთა წინააღმდეგ
ომში, აგრეთვე 1864 წლის 21 მაისის „გამარჯვების“ აღლუმში
მხოლოდ ქართული მილიციის მონაწილეობის ფაქტს¹¹¹. ამავე დროს
ისინი თავიანთ მკითხველებს, საკუთარ ხალხს უმაღავენ აფხაზური
მილიციის „გმირობის“ ამსახველ ზემოაღნიშნულ მრავალრიცხოვან
ფაქტებს – კავკასიელ თანამოძმეთა (შაფსულები, ნატუხაელები),
მათ შორის თვით ცალკეული აფხაზური საზოგადოებების (ნებელი,
ფსხუ, აიბგა) დარბევაში, მათი სახლების გადანვასა და მოსახლეობის
თურქეთში განდევნაში, აგრეთვე 1864 წლის 21 მაისის „გამარჯვების“
აღლუმში აფხაზეთის მმართველის მიხეილ შარვაშიძისა და მისდამი
დაქვემდებარებული აფხაზური რაზმების აქტიურ მონაწილეობას.
რუსებთან ერთად მთიელების წინააღმდეგ ომში აფხაზთა მონაწი-
ლეობას ადასტურებს თვით სამთავრო ტახტის მემკვიდრე გიორგი
შარვაშიძე. იგი უარყოფდა გავრცელებულ მოსაზრებას რუსეთის
წინააღმდეგ აფხაზთა ბრძოლის შესახებ და წერდა: „აფხაზეთის უკა-
ნასკნელი მფლობელი 30 წელიწადზე მეტი, 1864 წლის ჩათვლით,
მთავრობდა და ეხმარებოდა რუსეთს, მონაწილეობდა რა ლაშქრობებ-
ში მთიელებისა და თურქების წინააღმდეგ: 1822-24, 29-30, 35,-43,-44
და, ბოლოს, 54 წლებში“¹¹².

რუსეთ-კავკასიის ომის დასრულებამდე ორი თვით ადრე, 1864
წლის 27 მარტს, კავკასიის მეფისნაცვალმა მიხეილ რომანოვმა (იმ-
პერატორ ალექსანდრე მეორის ძმა), რუსეთის სამხედრო მინისტრის
წინაშე აფხაზეთის სამთავროს გაუქმების აუცილებლობისა საკითხი
დასვა. მისი წინადადებით, აფხაზეთის სამთავროს გაუქმებას ქუთაის-
ის გენერალ-გუბერნატორს დაქვემდებარებული სამხედრო ოკრუგის
შექმნა და მდინარე ენგურის შესართავამდე ზღვის მთელს სანაპი-
როზე კაზაკური დასახლებების დაფუძნება უნდა მოჰყოლოდა¹¹³. 1864
წლის აპრილში იმპერატორმა მოინონა მეფისნაცვლის წინადადებები.

110 Покорение Западного Кавказа и окончание кавказской войны. Исторический очерк. Составил С. Эсадзе. Тифлис, 1914, с. 167–174.

111 О. Бгажба, С. Лакоба. История Абхазии. Сухуми, 2015, с. 244.

112 გიორგი შარვაშიძე. თხზულებანი ორ ტომად. ქუთაისი, 2006, გვ. 289.

113 Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 329-333.

ამით 1810 წლის 17 თებერვლის მანიფესტმა რუსეთის მფარველობაში აფხაზეთის მიღების შესახებ იურიდიული ძალა დაკარგა.

რუსეთ-კავკასიის ომის დასრულების (1864 წლის 21 მაისი) შემდეგ აფხაზეთის სამთავროს ფუნქცია ამოიწურა და გადაწყვეტილება მისი გაუქმების შესახებ დაუყოვნებლივ იქნა სისრულეში მოყვანილი. 1864 წლის ივნისში აფხაზეთის მმართველი მიხეილ შარვაშიძე თანამდებობიდან გადააყენეს და რეგიონში რუსული მმართველობა შემოიღეს. შეიქმნა სოხუმის სამხედრო განყოფილება. 1883 წლიდან მას სოხუმის ოკრუგი ეწოდა და ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში შევიდა. 1903 წლიდან ოკრუგი უშუალოდ მეფისნაცვლის კანცელარიას ექვემდებარებოდა, თუმცა ადმინისტრაციული (საპოლიციო, სამობილიზაციო) და სასამართლო საკითხები კვლავაც ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის გამგებლობაში რჩებოდა. 1904 წელს სოხუმის ოკრუგს გაგრა ჩამოაჭრეს და შავი ზღვის გუბერნიას მიუერთეს.

აფხაზეთის სამთავროს გაუქმებამ და რუსული მმართველობის შემოღებამ მოსახლეობის მასობრივი უკმაყოფილება გამოიწვია, რაც 1866 წლის აჯანყების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა. ხელისუფლებამ სასტიკად ჩაახშო აჯანყება და 1867 წელს 20 ათასზე მეტი აფხაზი იძულებით თურქეთში გადაასახლა (მუჰაჯირობა). ეს იყო წინასწარ დაგეგმილი მიზანმიმართული აქცია, რომლის შესახებაც ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი დ. სვიატოპოლკ-მირსკი 1866 წლის 27 ოქტომბერს კავკასიის მთიელთა სამმართველოს უფროსს დ. სტაროსელსკის წერდა: „სოხუმის განყოფილების მხრიდან ჩვენთვის ყოველგვარი საფრთხის მოხსნის მხოლოდ ერთი რადიკალური საშუალება არსებობს – ეს არის აფხაზეთის მცხოვრებთა თურქეთში გადასახლება“. კავკასიის მეფისნაცვალმა მიხეილ რომანოვი (იმპერატორ ალექსანდრე II-ს ძმა) კი ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტავდა: „თურქეთში [აფხაზთა] გადასახლების განზრახვის მთავარი მიზანი ჩვენი საზღვრებიდან მოსახლეობის იმ ნაწილის განდევნაში მდგომარეობს, რომელიც ჩვენდამი ყველაზე უფრო მტრულად განწყობილ ელემენტებს შეიცავს“¹¹⁴. იგივე მიზანს ემსახურებოდა მასობრივი მუჰაჯირობის მორიგი ტალღა, რომელიც რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომს უკავშირდება. მაშინაც აფხაზთა უმეტესობამ ოსმალეთს დაუჭირა მხარი. ამის გამო „სახელმწიფო ლალატში“ დადანიშნულებულმა თითქმის 32 ათასმა აფხაზმა მშობლიური კერა იძულებით დატოვა და ოსმალეთში გადასახლდა. ეს იყო უდიდესი სახალხო ტრაგედია.

114 Очерки истории Грузии. Абхазия. Тбилиси, 2009, с. 406.

მუჰაჯირობის შედეგები ბევრად უფრო მძიმე იქნებოდა, რომ არა ქართული სამღვდელთაგანის წარმატებული მისიონერული მოღვაწეობა აფხაზეთში ეპისკოპოსების ალექსანდრესა (ოქროპორიძე) და გაბრიელის (ქიქოძე) ხელმძღვანელობით. ისინი ამჟამად ქართული სამოციქულო ეკლესიის წმინდანებად არიან შერაცხული. წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე 1851 წლიდან 1868 წლამდე აფხაზეთში მსახურობდა (1862 წლიდან – ეპისკოპოსად); წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი კი აფხაზეთის ეპარქიას 1869 წლიდან (ფაქტობრივად 1868 წლიდან) 1887 წლის დასაწყისამდე მართავდა. აფხაზეთში მათი მოღვაწეობა როგორც სამხედრო-პოლიტიკური, ისე სარწმუნოებრივი თვალსაზრისითაც უაღრესად მძიმე პერიოდს დაემთხვა. ოფიციალური ცარისტული ისტორიოგრაფიის შეფასებით, „აფხაზთა განმანსხვავებელ ნიშანთვისებას ქურდული მიდრეკილება, მტაცებლობა და მზაკვრობა წარმოადგენდა. ამასთანავე არანაირი მყარი რელიგიური რწმენა მათ არ ჰქონდათ“¹¹⁵. აფხაზთა დახასიათებისას კიდევ უფრო კატეგორიული იყო მეფისნაცვალის მიხეილ რომანოვი. 1864 წლის 27 მარტს რუსეთის სამხედრო მინისტრს გ. მილიუტინს იგი წერდა: „აფხაზი ხალხი, რომელსაც კავკასიის რეგიონის საუკეთესო ნაწილი უჭირავს, სიღარიბისა და ველურობის უკიდურეს დონემდე დაეცა. მისმა ნახევარმა მაჰმადიანობა მიიღო, მეორე ნახევარმა რელიგიურობის თითქმის ყოველგვარი შეგნება დაკარგა. რუსეთმა მადლიერი მოკავშირის ნაცვლად დაუმორჩილებელი და ვერაგი მონა შეიძინა, რომელიც მზად არის მის ნაპირებთან მომდგარი ყველი ჩვენი მტერი ხელებგაშლილმა გულში ჩაიკრას“¹¹⁶. რუსული ადმინისტრაციისაგან განსხვავებით, წმინდა მღვდელმთავრები ალექსანდრე და გაბრიელი აფხაზებს არა ველურებად და მზაკვრებად, არამედ ქართველთა მონათესავე ხალხად აღიქვამდნენ, მათ მიმართ ჭეშმარიტად ქრისტიანულ სიყვარულს და მამობრივ მზრუნველობას იჩენდნენ. ამიტომაც ორივე მღვდელმთავარმა აფხაზთა მხრიდან კეთილი განწყობის მოპოვება მოახერხა. შესაბამისად, მათი მისიონერული მოღვაწეობაც წარმატებული აღმოჩნდა. ეპისკოპოსებმა ალექსანდრემ და გაბრიელმა შეუძლებელი შეძლეს და რამდენიმე ათეული ათასი აფხაზი ქრისტეს რჯულზე მოაქციეს. ამ საქმეში მათ მთელი ქართული საზოგადოებაც მხარს უჭერდა. ყოველივე ამან იხსნა აფხაზი ხალხი ერთიანად ოსმლეთში განდევნისაგან, ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან რუსების მიერ

115 Утверждение русского владычества на кавказе, т. II. Составил Н. С. Аносов. Под редакцией В. А. Потто. Под руководством Н. Н. Белявского. Тифлис, 1902, с. 40.

116 Джемал Гамахрия, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 330.

გასახლებული კავკასიელი ხალხების მსგავსად, სრული ფიზიკური განადგურებისაგან. მდინარე ფსოუდან მდინარე ყუბანამდე მდებარე ტერიტორია რუსეთმა მთლიანად „განმინდა“ მკვიდრი მოსახლეობისაგან, იქ მცხოვრები კავკასიელები მან ფიზიკურად განადგურა ან თურქეთში გადაასახლა. იგივე ბედი აფსუა-აფხაზებმა თუ არ გაიზიარეს, უპირველეს ყოვლისა, ეს არის ქართული სამღვდელთა, მთელი ქართული საზოგადოების ისტორიული დამსახურება.

სამშობლოში დარჩენილი „არასაიმედო“ აფხაზების კიდევ უფრო მეტად შევიწროების მიზნით, რუსეთის მთავრობამ სხვა მკაცრ ზომებსაც მიმართა. იმპერატორ ალექსანდრე მეორის 1880 წლის 31 მაისის ბრძანებულებით, მთელი აფხაზობა „დამნაშავე ერად“ გამოცხადდა. ამან კი ხალხის დისკრიმინაცია, სოციალურ და პოლიტიკურ უფლებებში აფხაზური მოსახლეობის შეზღუდვები გამოიწვია.

კავკასიაში ომის ძლევამოსილად დამთავრების, მთელი ერების განადგურებისა და მშობლიური ადგილებიდან გასახლების, აფხაზთა დაშორებისა და უკიდურესად დასუსტების შემდეგ რუსეთმა გაამკაცრა იმპერიული და კოლონიური პოლიტიკა საქართველოში. აფხაზეთთან მიმართებაში ეს გამოიხატებოდა რუსებით, სომხებით, ბერძნებით და იმპერიისადმი ლოიალურად განწყობილი სხვა ხალხებით რეგიონის დაჩქარებულ კოლონიზაციაში. იმ პერიოდში აფხაზეთის შიდა რაიონებში ბრუნდებოდა აგრეთვე XVII საუკუნის ბოლოს იქიდან გამოდევნილი ქართველების შთამომავლებიც. იმპერიული და კოლონიური პოლიტიკის გამკაცრება გამოიხატა აგრეთვე სკოლისა და ეკლესიის რუსიფიკაციაში, ქართული მოსახლეობის შევიწროებაში, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროდან ქართული ენის განდევნაში, ქართველთა და აფხაზთა დაპირისპირების ხელოვნურად პროვოცირებაში.

აფხაზთა მიმართ მთავრობა „მათრახისა და თაფლისკვერის“ პოლიტიკას ატარებდა. მუჰაჯირობის შედეგად აფხაზობა იმდენად დასუსტდა, რომ რეალურ პოლიტიკურ ძალას და იმპერიისთვის საფრთხეს (მით უფრო ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ) ის უკვე აღარ წარმოადგენდა. ამ ვითარებაში მთავრობა ცდილობდა აფხაზთა უკმაყოფილების მიმართვას რეგიონში დემოკრატიული და ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდის – ქართველების წინააღმდეგ. ქართველთა ავანგარდული როლი განსაკუთრებით რუსეთის პირველი დემოკრატიული რევოლუციის წლებში გამოიკვეთა. სოხუმის ოლქში რევოლუციური მოძრაობის აღმავლობამ, რომელმაც თავის პიკს 1905 წლის შემოდგომაზე მიაღწია, რუსული ხელისუფლება აიძულა გარკვეულ დათმობებზე წასულიყო. განათავისუფლეს

სოხუმის ოლქის უფროსი, შოვინისტი ვ. პროგულბიცი და ამ თანამდებობაზე პირველად დაინიშნა ქართველი – თავადი ლევან ჯანდიერი. მრევლმა აფხაზეთიდან განდევნა რუსიფიკაციის პოლიტიკის მთავარი მედრომე ეპისკოპოსი არსენი (იზოტოვი). სოხუმის კათედრა ეპისკოპოსმა სერაფიმემ (ჩიჩაგოვი) დაიკავა, რომელიც შედარებით ზომიერ პოლიტიკას ატარებდა. ძალიან მალე, 1906 წლის 3 თებერვალს, იგი ეპისკოპოსმა კირიონმა (საძაგლიშვილი) შეცვალა.

მსგავსი დათმობების პარალელურად ხელისუფლება რევანშისტების ემზადებოდა. უპირველეს ყოვლისა, მან გააძლიერა აფხაზური საზოგადოების იდეოლოგიური დამუშავება, რომლის მიზანი იყო ქართველებთან ურთიერთობის გამწვავება და ორ ხალხს შორის სისიხლიანი დაპირისპირების პროვოცირება. 1905 წლის 22 აპრილის ნომერში გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ამხელდა შოვინისტების ამგვარ დანაშაულებრივ პოლიტიკას და წერდა, თუ როგორ აქეზებდნენ ისინი აფხაზებს ადგილობრივი ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ: „თქვენ მშვიდი, კეთილი და წესიერების მოყვარული ხალხი ხართ, თქვენგან არავითარი უნესობა არ არის მოსალოდნელი, დარწმუნებული ვართ, არც იქნებაო. მაგრამ თქვენი მეზობელი ქართველები სანდონი არ არიან; იმათგან თქვენს დასალუბავად რასმე უნდა მოველოდეთ, ამიტომ „ჰკა მაგათო“. დარწმუნებული იყავით, ამისათვის ჯილდოს მეტი სხვა არაფერი გელითო“. ქართველთა დათრგუნვას ისახავდა მიზნად სოხუმის ოლქში ადმინისტრაციული ცვლილებების განხორციელების მცდელობა. კერძოდ ხელისუფლებამ შეიმუშავა შავი ზღვის გუბერნიასთან სოხუმის ოლქის მიერთების პროექტი. ამასთან დაკავშირებით სოხუმის ქალაქის თავმა ნიკო თავდგირიძემ და ალექსანდრე შარვაშიძემ აფხაზეთის სახელით მეფისნაცვალს შუამდგომლობა წარუდგინეს სოხუმის ოლქის არა შავიზღვისპირეთის, არამედ ქუთაისის გუბერნიასთან მიერთების შესახებ. ამ შუამდგომლობამ, რომელიც, „ცნობის ფურცელის“ 1905 წლის 7 სექტემბრის ინფორმაციით, მეფისნაცვალმა ქუთაისის გუბერნატორს გადაუგზავნა, ხელისულების გეგმა ჩაშალა.

შოვინისტების გაღიზიანებას იწვევდა სოხუმის კათედრაზე ეპისკოპოს კირიონის მოღვაწეობა. პირველ რიგში, ქართველმა მღვდელმთავარმა გაილაშქრა სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოსაგან გამოყოფის სინოდისეული გეგმის წინააღმდეგ. ამ პრობლემას ეძღვნება მის მიერ ცხუმელის სახელით 1906 წელს პეტერბურგში გამოცემული ბროშურა „აბხაზია“. ეპისკოპოს კირიონის ერთ-ერთი მთავარი დამსახურება იმაში მდგომარეობდა, რომ მან ყველა ეროვნების მრევლს – ქართველებს, რუსებს, ბერძნებს – მშობლიურ ენაზე ღმრთისმსახურების საშუალება მისცა. აფხაზებსაც

რომ ასეთივე შესაძლებლობა ჰქონოდათ, ეპისკოპოსმა კირიონმა განათლებულ აფხაზთაგან ჩამოაყალიბა საეკლესიო ლიტერატურის აფხაზურ ენაზე მთარგმნელი კომისია, რომელიც ინტენსიურად მუშაობდა. კირიონს განზრახული ჰქონდა აგრეთვე იაკობ გოგებაშვილის დახმარებით აფხაზური დედაენის შედგენა. 1907 წლის იანვარში კირიონი ისე გადააყენეს, რომ მან ვერ მოასწრო დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა.

„გათიშე და იბატონეს“ რეაქციული, იმპერიული პოლიტიკა გრძელდებოდა. 1905-1907 წლების დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში მისი რეალური შედეგებიც გამომჟღავნდა. ყველასაგან მოულოდნელად აფხაზებმა მაშინ არა რევოლუციას, არამედ თვითმპყრობლობას დაუჭირეს მხარი. ამ მოვლენის მიზეზები აფხაზური საზოგადოების სოციალური წყობის თავისებურებებში, კერძოდ, სოციალური ჩაგვრისა და კლასობრივი დაპირისპირების არარსებობაში, ცარიზმის მიზანმიმართულ ანტიქართულ პოლიტიკაში, აფხაზობის მნიშვნელოვანი ნაწილის რუსიფიკაციაში, 1880 წელს წართმეული უფლებების აღდგენისკენ ბუნებრივ მისწრაფებაში უნდა ვეძიოთ. ამასთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება გამოთქვა გიორგი შარვაშიძემაც, რომელიც წერდა: „აქ მოულოდნელი კაზუსი გამოვიდა. როგორ მოხდა, აფხაზები, „ცნობილი მემბოხენი“, უეცრად ისხდნენ მშვიდად, მაშინ როდესაც მთელი რუსეთი მღელვარებაშია. ხომ ვერ გაუგებ ამ არამზადებს. მუდამ იმას აკეთებენ, რასაც არანაირად არ მოელი“. რევოლუციისაგან აფხაზთა განდგომის მიზეზს გიორგი შარვაშიძე იმაში ხედავს, რომ მათ შორის „რევოლუციურმა პროპაგანდამ წარმატებას ვერ მიაღწია, რადგან აქ არ არსებობს წოდებრივი შუღლი“¹¹⁷.

რევოლუციონერებისაგან განსხვავებით, აფხაზებს კარგად „გაუგო“ იმპერიულმა ხელისუფლებამ. გაითვალისწინა რა მათი „დამსახურებები“ რევოლუციის წლებში, 1907 წლის 27 აპრილს ნიკოლოზ II-მ დაამტკიცა მთავრობის მიერ წარდგენილი დებულება „სოხუმის ოკრუგის მოსახლეობის მინათმფლობელობის უფლებებში გათანაბრების შესახებ“. ამით აფხაზი ხალხი „დამნაშავე ერის“ დამთრგუნველი და დამამცირებელი წოდებისაგან განთავისუფლდა.

როგორც 1905 -1907 წლების რევოლუციის დროს, ისე განსაკუთრებით მისი დამარცხების შემდეგ, ანუ რეაქციის მძლავრობის პერიოდში მთავრობა ცდილობდა ქართველთა და აფხაზთა შორის უფსკრულის გაღრმავებას. აკადემიურ წრეებში შემუშავდა იდეოლოგია „აფხაზეთი საქართველო არ არის“, რომელიც აქტიურად ინერგებოდა

117 გიორგი შარვაშიძე. თხზულებანი ორ ტომად, გვ. 301, 302.

აფხაზი ხალხის ცნობიერებაში. საკუთარი მიზნებისთვის ხელისუფლება მარჯვედ იყენებდა რუსიფიკაციის პოლიტიკის ზეგავლენით აღზრდილ, ისტორიულ აფხაზურ-ქართულ ფესვებს მოწყვეტილ, შესაბამისად, საქართველოს მიმართ სეპარატისტულად განწყობილ ე. წ. ახალ ინტელიგენციას, რომელიც იმპერიის სამსახურში ჩადგა. XX საუკუნის დასაწყისში აღმოცენებული აფხაზური სეპარატიზმი წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს რუსული იმპერიალიზმის ერთ-ერთ საყრდენს საქართველოში და მთლიანად კავკასიაში.

ახლად გამოჩეკილი სეპარატისტებისა და საკუთარი მოხელეების ერთობლივი ძალისხმევით მეფის ხელისუფლება ცდილობდა ქართული სამყაროსაგან აფხაზეთის ჩამოცილებას. ამის წინაპირობად მიჩნეული იყო საქართველოს საეგზარქოსოსაგან სოხუმის ეპარქიის გამოყოფა. 1901 წლიდან ადგილი ჰქონდა არა ერთ ამგვარ მცდელობას. მიზეზთა გამო, ყოველი მათგანი წარუმატებელი აღმოჩნდა. ეს საკითხი კიდევ ერთხელ სერიოზულად დაისვა 1916-1917 წლებშიც¹¹⁸. მაშინ ქართველთა და აფხაზთა შეთანხმებული მოქმედებით მოხერხდა საფრთხის თავიდან აცილება, საქართველოს საეგზარქოსოსა და სოხუმის ეპარქიის ერთიანობის დაცვა. მათმა ერთობლივმა მოქმედებამ ჩაშალა საეგზარქოსოსგან სოხუმის ეპარქიის, ამ უკანასკნელისგან კი სამურზაყანოს სამრევლოების გამოყოფის სინოდისეული გეგმის განხორციელება. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი ითამაშა 1916 წლის აპრილში თბილისში ჩამოსულმა აფხაზურმა დელეგაციამ, მისმა შეხვედრებმა მეფისნაცვალთან და საქართველოს ეგზარქოსთან. ასევე უნდა აღინიშნოს სოხუმის საქალაქო საბჭოს როლიც. 1917 წლის 27 თებერვალს იგი იხილავდა საბჭოს წევრის დეკანოზ გიორგი გოლუბცოვის მიერ დღის წესრიგში დასმულ საკითხს: „გამოეყოს სოხუმის ეპარქია აფხაზეთ-საქართველოს ეკლესიას, თუ მისივე ნაწილად დარჩეს“. აფხაზმა ხმოსნებმა ნიკო ჯანაშიამ და ტიმოთე ანუამ სოხუმის საბჭოს ქართველ ხმოსნებთან ერთად მხარი დაუჭირეს ორი მონათესავე ერის ეკლესიურ ერთიანობას. კენჭისყრის შედეგად დეკანოზ გოლუბცოვის რეზოლუციამ სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოდან გამოყოფის შესახებ მხოლოდ 6 ხმა მიიღო, ქართულ-აფხაზურმა – 17¹¹⁹. შოვინისტთა მორიგი ავანტიურა ამით ჩაიშალა. ალბათ, სიმბოლურია, რომ იმ დღეს, 1917 წლის 27 თებერვალს, დაემთხვა პეტერბურგში მეფის ხელისუფლების დამხობა და რუსეთში დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება.

118 ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 609-623, 739-750.

119 იქვე, გვ. 774-776.

1.4. აფხაზეთი - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიური ერთეული

1917 წლის თებერვლის დემოკრატიული რევოლუციისა და ცარიზმის დამხობის შემდეგ ვითარება მთელს იმპერიაში, მათ შორის კავკასიასა და თვით აფხაზეთშიც შეიცვალა. ახალ პირობებში ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს წარმოადგენდნენ რუსეთში – დროებითი მთავრობა, ამიერკავკასიაში – განსაკუთრებული კომიტეტი (რომლის სათავეში სამურზაყანოელი აკაკი ჩხენკელი იდგა), სოხუმის ოკრუგში – საზოგადოებრივი უსაფრთხოების კომიტეტი. ეს უკანასკნელი 1917 წლის 10 მარტს შეიქმნა და მას ალექსანდრე შარვაშიძე ხელმძღვანელობდა. სოხუმის ქალაქის თავის თანამდებობა ბ. ჩხიკვიშვილს ეკავა.

როგორც ეს მოსალოდნელი იყო, აფსუა-აფხაზები და მათი პოლიტიკური ლიდერები ძლიერ თანაუგრძობდნენ ჩრდილო-კავკასიელ მთიელთა გამაერთიანებელ მოძრაობას. 1917 წლის მაისში შეიქმნა მთიელთა ცენტრალური კომიტეტი (მთავრობა), რომელმაც აფხაზეთში თავისი წარმომადგენელი მიავლინა. აფხაზი ხალხის ყრილობამ 1917 წლის 7-8 ნოემბერს მიიღო გადაწყვეტილება მთიელთა კავშირში განწევრიანების შესახებ, დაამტკიცა აფხაზთა სახალხო საბჭოს დეკლარაცია და კონსტიტუცია, აირჩია სახალხო საბჭოს შემადგენლობა (თავმჯდომარე ს. ბასარია). საბჭო მხოლოდ აფხაზი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკურ ორგანოს წარმოადგენდა, იცავდა მის ინტერესებს და რეგიონის მთავრობის, უმაღლესი პოლიტიკური ორგანოს როლზე პრეტენზიას არ აცხადებდა. მან თავის წარმომადგენელად მთიელთა მთავრობაში ს. აშხაცავა მიავლინა, რომელსაც აფხაზეთის საკითხებში „მინისტრის“ თანამდებობა ერგო.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ახალი პოლიტიკური კავშირის დამყარება, რომელიც მთიელთა კავშირში განწევრიანებაში გამოიხატა, სეპარატისტთა მტკიცების მიუხედავად, სულაც არ ნიშნავდა ადმინისტრაციული თვალსაზრისით აფხაზეთის შესვლას ჩრდილოეთ კავკასიის შემადგენლობაში. სოხუმის ოკრუგი, ანუ აფხაზეთი ადმინისტრაციულად კვლავაც ამიერკავკასიის ნაწილად რჩებოდა. აფხაზეთის ტერიტორიაზე ცალსახა პრეტენზიას არც მთიელთა კავშირის დროებითი მთავრობა აცხადებდა. 1917 წლის 4 დეკემბერს მის მიერ გამოცემულ №1 დეკრეტში ნათქვამია: „ზაქათალისა და სოხუმის ოკრუგების მიმართ მთიელთა დროებით მთავრობას ძალაუფლება აქვს ეროვნული და პოლიტიკური ხასიათის საკითხებში,

ხოლო ამ ოკრუგებზე მთიელთა მთავრობის სახელმწიფოებრივი ძალაუფლების ახლავე და მთლიანად გავრცელება გადასაწყვეტად მიენდოს ზაქათალისა და სოხუმის ოკრუგების სახალხო საბჭოებს“. აფხაზთა სახალხო საბჭოს არასოდეს მიუღია ჩრდილოეთ კავკასიასთან აფხაზეთის სახელმწიფოებრივი გაერთიანების გადაწყვეტილება. უფრო მეტიც, სოხუმის ოკრუგის გლეხთა II ყრილობამ 1918 წლის 4-9 მარტს გადაწყვიტა, რომ აფხაზეთი შედის „ამიერკავკასიის ხალხების საერთო შემადგენლობაში როგორც მისი თანასწორუფლებიანი წევრი, რათა მან თავისი უკეთესი მომავალი დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად გამოჭედოს“¹²⁰.

1917 წლის 25 ოქტომბერს/7 ნოემბერს პეტერბურგში განხორციელებული ბოლშევიკური ამბოხების შედეგად რუსეთის დროებითი მთავრობის დამხობასა და ახალი სახელისუფლებო სტრუქტურების შექმნას სათანადო ცვლილებები რეგიონებშიც მოჰყვა. ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი, რომლის იურისდიქციის ქვეშ აფხაზეთი იმყოფებოდა, 1917 წლის 11 ნოემბერს ამიერკავკასიის დროებითმა მთავრობამ – კომისარიატმა შეცვალა (თავმჯდომარე ევგენი გეგეჭკორი). რუსეთის სათავეში მოსული ბოლშევიკების მიერ დამფუძნებელი კრების (პარლამენტი) დათხოვნის (1918 წ. 5 იანვარი) შემდეგ კომისარიატმა გეზი ამიერკავკასიის დამოუკიდებლობისაკენ აიღო. ამას მოითხოვდა ამიერკავკასიის სახელით თურქეთთან მოლაპარაკების წარმოების ინტერესებიც. თურქეთი აქტიურად ცდილობდა ბრესტ-ლიტოვსკის 1918 წლის 3 მარტის ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებული უფლებების განხორციელებას, მოითხოვდა ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქების, აგრეთვე ზოგიერთი სხვა რეგიონის მისთვის გადაცემას. ამ ვითარებამ დააჩქარა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება. ბოლშევიკების მიერ დათხოვნილი სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიელმა დეპუტატებმა 1918 წლის 10 თებერვალს ამიერკავკასიის სეიმი (პარლამენტი) ჩამოაყალიბეს. 1918 წლის 9 აპრილს სეიმმა რეგიონის დამოუკიდებლობა გამოაცხადა, დაამტკიცა ამიერკავკასიის მთავრობა აკაკი ჩხენკელის ხელმძღვანელობით. აფხაზეთი ამჯერადაც ამიერკავკასიის შემადგენლობაში შედიოდა.

დამოუკიდებლობის გამოცხადებამ ამიერკავკასიის მდგომარეობა ვერ გააუმჯობესა. 1918 წლის 8-9 აპრილს თურქეთმა საომარი მოქმედებები დაიწყო. ორ კვირაში მან აჭარა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი დაიკავა. რთული ვითარება შეიქმნა

120 Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 408-409.

აფხაზეთის მიმართულელებითაც. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივი მოწყობის პარალელურად მის შემადგენლობაში შემავალი ერების თვითგამორკვევის პროცესიც მიმდინარეობდა. ამ პროცესის ფარგლებში 1918 წლის 9 თებერვალს თბილისში ქართული ეროვნული საბჭოსა და აფხაზთა სახალხო საბჭოს წარმომადგენელთა შეხვედრა გაიმართა. მხარეები შეთანხმდნენ: „საზღვრებში მდინარე ენგურიდან მდინარე მზიმთამდე აღდგეს ერთიანი, განუყოფელი აფხაზეთი, რომლის შემადგელობაშიც შევიდოდნენ საკუთრივ აფხაზეთი და სამურზაყანო“¹²¹. აფხაზეთის მომავალი პოლიტიკური მოწყობის ფორმა დემოკრატიული წესით არჩეულ დამფუძნებელ კრებას უნდა გადაეწყვიტა.

ამიერკავკასიის მთავრობის ძალისხმევით, იმ დროისათვის პრაქტიკულად გადანყვეტილი იყო გაგრის ზონის კვლავ სოხუმის ოკრუგის შემადგენლობაში დაბრუნების საკითხი. წინასწარი გადანყვეტილება ამ საკითხზე 1917 წლის 30 ოქტომბერს მიიღო ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა ა. ჩხენკელის თავმჯდომარეობით. ამიერკავკასიის კომისარიატმა ე. გეგეჭკორის თავმჯდომარეობით 1917 წლის 7 დეკემბერს საბოლოოდ დაადგინა: „გაუქმდეს 1904 წლის 25 დეკემბერს უზენაესად დამტკიცებული მინისტრთა კომიტეტის დებულება, აღდგეს სოხუმის ოლქის ძველი ისტორიული საზღვრები მის შემადგენლობაში გაგრისა და ბზიფის რაიონების შეტანის გზით“¹²².

აფხაზეთი, როგორც ითქვა, დამოუკიდებელი ამიერკავკასიის სახელმწიფოს ნაწილ ს წარმოადგენდა, მაგრამ რუს ბოლშევიკებს მისი დათმობა არ სურდათ. 1918 წლის ზამთარში და გაზაფხულზე მათ ორჯერ სცადეს აფხაზეთის დაპყრობა. ორივე შემთხვევაში სოხუმის აღება და ე. წ. რევოლუციური კომიტეტის სახით საკუთარი დროებით ხელისუფლების დამყარებაც მოახერხეს. აფხაზეთის დიდი ნაწილი ბოლშევიკური ტერორისა და ძარცვის ასპარეზი გახდა. ბოლშევიკებმა დაითხოვეს აფხაზთა სახალხო საბჭო, ხოლო მისი თავმჯდომარე ს. ბასარია და არაერთი წევრი დააპატიმრეს.

ამიერკავკასიის სეიმისა და მთავრობის გადანყვეტილებით, ქართულმა ეროვნულმა გვარდიამ 1918 წლის 17 მაისს სოხუმი ბოლშევიკებისაგან გაანთავისუფლა. 20 მაისს აფხაზთა სახალხო საბჭომ დაადასტურა საკუთარი და ასევე სოხუმის ოკრუგის გლახთა

121 იქვე, გვ. 402.

122 Статус автономных регионов Абхазии и Юго-Осетии в составе Грузии. 1917-1988. Сборник политико-правовых актов. Составитель и главный редактор сборника Тамаз Диасамидзе. Тбилиси, 2004, с. 213-214, 218.

II ყრილობის გადაწყვეტილებები ამიერკავკასიის ხალხების საერთო ოჯახში აფხაზეთის ყოფნის შესახებ. აშკარა ფაქტების საპირისპიროდ, სეპარატისტული ისტორიოგრაფია მთიელთა რესპუბლიკის გამოცხადების დღეს, 1918 წ. 11 მაისს, აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღედ მიიჩნევს. გაუგებარია, როგორ აღადგინა აფხაზეთმა სახელმწიფოებრიობა რეგიონის ბოლშევიკური ოკუპაციის, სახალხო საბჭოს დათხოვნისა და მისი წევრების დაპატიმრების პირობებში და მაშინ, როცა ხელისუფლებაში მოსული ბოლშევიკები რეგიონს არა აფხაზეთს, არამედ სოხუმის ოკრუგს უწოდებდნენ. მტკიცება ბოლშევიკური ოკუპაციის პირობებში სოხუმის ოკრუგის მიერ სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესახებ სეპარატისტთა მორიგი სრულიად უსაფუძვლო მონაჭორია.

ვერც ერთი მწვავე პრობლემა ვერ გადაწყვიტა 1918 წლის 11 მაისს ამიერკავკასიასა და თურქეთს შორის ბათუმში დაწყებულმა საზავო კონფერენციამ. საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ვერ თანხმდებოდნენ საგარეოპოლიტიკური ორიენტაციის საკითხებში. საქართველო გერმანულ ორიენტაციას ადგა, სომხეთი – ინგლისურს, აზერბაიჯანი კი – თურქულს. აღნიშნულმა უთანხმოებამ 1918 წლის მაისში ამიერკავკასიის სახელმწიფო დაშლამდე მიიყვანა. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადა. იმავე წლის 28 მაისს სოხუმის საოლქო სასამართლომ საგანგებოდ განიხილა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და აფხაზეთ-საქართველოს შემდგომი ურთიერთობის საკითხი. ვინაიდან აფხაზეთი იურიდიულად ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში იმყოფებოდა, სასამართლომ ჩათვალა, რომ იგი ამიერიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ნაწილია¹²³. 1918 წლის 11 ივნისს საქართველოს მთავრობასა და აფხაზთა სახალხო საბჭოს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის დაბრუნების ერთ-ერთი საფუძველი გახდა.

საბჭოთა რუსეთს არანაირად არ აწყობდა მშვიდობა და თანხმობა საქართველოში, მათ შორის აფხაზეთში. 1918 წლის ივნისის შუარიცხვებში რუსმა ბოლშევიკებმა სოჭიდან მორიგი შეტევა განახორციელეს და ახალ ათონამდე მოვიდნენ. აფხაზთა სახალხო საბჭოს წევრების თხოვნით, საქართველოს მთავრობამ აფხაზეთში გენერალ გ. მაზნიაშვილის სარდლობით სამხედრო რაზმი გამოგზავნა. 19 ივნისს გენერალი სოხუმში ჩავიდა. აფხაზთა 300 კაციანი

123 დ. ჩიგაია. აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში. აფხაზეთის სახალხო საბჭო. თბილისი, 2006, გვ.169.

ესკადრონით გაძლიერებულმა ქართულმა რაზმმა 27 ივნისს შეტევა განახორციელა, რომლის შედეგადაც არა მხოლოდ აფხაზეთი განთავისუფლდა, არამედ ერთ თვეში, 1918 წლის 26 ივლისს, ტუაფსეს (ამჟამად რუსეთის შემადგენლობაშია) აღებაც მოხერხდა. რუსეთის სამოქალაქო ომში ბოლშევიკურ-საბჭოური წითელი არმიის წინააღმდეგ მებრძოლი ე. წ. თეთრი გვარდიის ზენოლით, 1918 წლის აგვისტოში ქართულმა ჯარებმა სოჭისკენ დაიხიეს.

აფხაზეთის პრორუსულმა სეპარატისტულმა ძალებმა შექმნილი ვითარება საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენეს. 1918 წლის 27 ივნისს, როდესაც აფხაზეთში შემოჭრილი ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლები მიმდინარეობდა, სახალხო საბჭოს წევრებმა ალექსანდრე შარვშიძემ და ტატაშ მარშანიამ კოდორის (ოჩამჩირის) უბანში ძირითადად მუჰაჯირთა შთამომავლებით დაკომპლექტებული თურქული სამხედრო დესანტი ჩამოიყვანეს. თითქმის ერთი თვით ადრე, 1918 წლის 1 ივნისს გაზეთი „საქართველო“ ღიად წერდა აფხაზეთში თურქული დესანტის გადმოსხმის რეალური საფრთხის არსებობის შესახებ. სეპარატისტები ამაოდ ცდილობდნენ აფხაზეთში შემოყვანილი მეზობელი ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეების მუჰაჯირებით შენიღბვას. ეს საკითხი არაერთხელ გამხდარა აფხაზთა სახალხო საბჭოს სხდომებზე განხილვის საგანიც. საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე, რომელიც 1918 წლის 30 ივლისს გაიმართა, ვლადიმერ ემუხვარმა განაცხადა, რომ დესანტის წევრები წარმოშობით უეჭველად ჩვენი ძმები არიან. ამავე დროს მან ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ „ისინი მოვიდნენ ჩვენთან როგორც თურქეთის რეგულარული არმიის ნაწილი და დღემდე ასეთებად რჩებიან. ომიანობის დროს ჯარისკაცები თურქეთიდან თვითნებურად ვერ წამოვიდოდნენ; დემობილიზაცია ჯერ გამოცხადებული არ არის. თურქეთის მთავრობა თუ ამას უშვებს, მაშინ ეს ხდება შეგნებულად“¹²⁴. საჭირო იყო სათანადო ზომების მიღება. ქართულმა ჯარებმა ბოლშევიკურ ტერორს გამოქცეული და საქართველოში შეფარებული რუსი კაზაკების დახმარებით დესანტის ლოკალიზება მოახდინეს, რის შემდეგაც ისინი თურქეთში დაბრუნდნენ.

დაკარგეს რა წარმატების ყოველგვარი იმედი, სეპარატისტებმა და სხვა პრორუსულმა ძალებმა ატეხეს ხმაური გენერალ გ. მაზნიაშვილის მიერ აფხაზეთის „ოკუპაციის“ შესახებ, მოითხოვეს რეგიონიდან ქართული ჯარების გაყვანა. თეზისი „ოკუპაციის“ შესახებ თანამედროვე სეპარატისტულმა ისტორიოგრაფიამაც აიტაცა, რათა 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის

124 Джемал Гамахрия, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 423.

შემადგენლობაში აფხაზეთის ყოფნის „უკანონობა“ დაამტკიცოს. ე.წ. ოკუპაციის საკითხი არაერთხელ განიხილა აფხაზთა სახალხო საბჭო-მაც. 1918 წლის 17 ივლისს იგი გ. მაზნიაშვილის შტაბისადმი ნდობის საკითხს იხილავდა. სახალხო საბჭომ თითქმის ერთხმად გადაწყვიტა: „ხელახლა დადასტურდეს არაერთი ჩვენი გადაწყვეტილება და ითქვას საქართველოს ნაწილების აქ ყოფნის აუცილებლობის შესახებ“¹²⁵. 1918 წლის 18-19 ივლისს სახალხო საბჭომ მხარი არ დაუჭირა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლისა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრის ი. რამიშვილის წინადადებას ქართული ჯარების აფხაზეთიდან გაყვანის შესახებ. მოტანილი ფაქტები უარყოფენ მტკიცებას „ოკუპაციის“ თაობაზე. ქართული ჯარები აფხაზეთში, ანუ საკუთარ ქვეყანაში 1918 წლის 11 ივნისს ხელშეკრულებისა და აფხაზთა სახალხო საბჭოს თხოვნის საფუძველზე იმყოფებოდნენ.

ბოლშევიკური ავანტიურის ჩაშლის შემდეგ უპრინციპო სეპარატისტებმა გეზი გენერლების მ. ალექსეევისა და ა. დენიკინის ხელმძღვანელობით მოქმედ ანტიბოლშევიკურ ძალაზე – თეთრგვარდიელებზე აიღეს. 1918 წ. 25-26 სექტემბრს გაიმართა უშედეგო მოლაპარაკებები საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებსა (საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი, გენ. გ. მაზნიაშვილი) და ზემოხსენებულ თეთრგვარდიელ გენერლებს შორის. იგი ძირითადად სოჭის კუთვნილების საკითხს შეეხებოდა. მოლაპარაკებებმა ასევე აჩვენა, რომ რუსი თეთრგვარდიელები საქართველოსთან დაპირისპირებაში დიდ იმედებს აფხაზეთის სეპარატისტულ ძალებზე ამყარებდნენ.

ამგვარი საფრთხის არსებობა სულ მალე დადასტურდა. თეთრგვარდიელთა მიერ ნაქეზებულმა სეპარატისტებმა 1918 წ. 9 ოქტომბერს ძალადობის გზით სცადეს სოხუმში პოლიტიკური გადატრიალების მოწყობა, სახალხო საბჭოს ხელმძღვანელობის, მათ შორის თავმჯდომარის ვარლამ შარვაშიძის გადაყენება. მცდელობა ჩაიშალა. სახალხო საბჭოს თავმჯდომარისა და საბჭოს ცალკეული წევრების წინადადებით, საქართველოს მთავრობამ აფხაზთა სახალხო საბჭო დაითხოვა, შეთქმულები დააპატიმრა და ამის შემდეგ წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნები დანიშნა. წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში საქართველოს მოუხდა სოჭიდან შემოჭრილი თეთრგვარდიელების მოგერიება. მოწინააღმდეგემ გაგრა დაიკავა და მდ. ბზიფზე გამაგრდა. მიუხედავად ამისა, 1919 წლის 13 თებერვალს აფხაზეთის ისტორიაში პირველი დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა. ახლადარჩეულმა სახალხო საბჭომ არზაყან (დიმიტრი)

125 იქვე, გვ. 418.

ემუხვარის თავმჯდომარეობით 1919 წლის 20 მარტს მიიღო „აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ“. მისი პირველი პუნქტით გაცხადდა: „აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული“¹²⁶. 1919 წლის მაისში სახალხო საბჭო მიიღო გადაწყვეტილება კომისარიატის (მთავრობის) შექმნის შესახებ, რომელსაც სათავეში არზაყან (დიმიტრი) ემუხვარი ჩაუდგა. მაშინვე სოხუმის ოკრუგს აფხაზეთი, ხოლო აფხაზეთა სახალხო საბჭოს აფხაზეთის სახალხო საბჭო ეწოდა და მისი თავმჯდომარე კვლავ ვარლამ შარვაშიძე გახდა.

1919-1921 წლები იყო აფხაზეთის ავტონომიის რეალურად ცხოვრებაში გატარების, სახელისუფლებო სტრუქტურების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების, გაგრიდან რუს თეთრგვარდიელთა განდევნის (1919 წ. აპრილი), აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტის შემუშავების პერიოდი. ამასთანავე, ხელისუფლებას მკვეთრად უპირისპირდებოდნენ სახალხო საბჭოში მოკალათებული ბოლშევიკები და მათი მხარდამჭერები, რომლებიც აფხაზეთში ვითარების დესტაბილიზაციას ცდილობდნენ. 1920 წლის იანვარში საქართველოს საერთაშორისო აღიარებამ, აგრეთვე იმავე წლის 7 მაისს რუსეთ-საქართველოს შორის ხელშეკრულების გაფორმებამ და საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებამ რამდენადმე გააუმჯობესეს ქვეყნის მდგომარეობა, შექმნეს სამართლებრივი გარანტიები ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისთვის. 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების III მუხლის I პუნქტი მკაფიოდ განსაზღვრავდა ორ ქვეყანას შორის სახელმწიფო საზღვარს შავი ზღვიდან მდინარე ფსოუს გაყოლებით ახახჩას მთამდე. რუსეთი ვალდებული იქნა კისრულობდა, „აღიაროს როგორც საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში უპირობოდ შემავალი“, გაგრის ზონა და „ყოფილი რუსეთის იმპერიის ქვემო ჩამოთვლილი გუბერნიები და ოლქები – თბილისის, ქუთაისის და ბათუმის თავიანთი მაზრებითა და ოკრუგებით, რომლებიც აღნიშნულ გუბერნიებს და ოლქებს შეადგენენ, აგრეთვე ზაქათალისა და სოხუმის ოკრუგები“¹²⁷.

1918-1921 წლებში აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში რეალურ პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბდა. მას ჰყავდა დემოკრატიული წესით არჩეული სახალხო საბჭო და მის მიერ დამტკიცებული მთავრობა, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში მართავა - გამგეობას ახორციელებდა. ავტონომიის სტატუსი დაფიქსირდა საქართვე-

126 იქვე, გვ. 435.

127 Оккупация и фактическая аннексия Грузии. Документы и материалы. Тбилиси, 1990, с. 75-76.

ლოს კონსტიტუციაში, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო. იმავე დღეს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა აგრეთვე კონსტიტუციური კანონი „ავტონომიური აფხაზეთის მართვის დებულების შესახებ“¹²⁸. საშინაო საკითხების მართვა-გამგეობაში ავტონომიას ფართო უფლებები ენიჭებოდა. ასეთი უფლებებით აფხაზეთი უფრო ადრეც – 1919 წლის ოქტომბერში თბილისთან მიღწეული შეთანხმების საფუძველზეც სარგებლობდა.

1.5. საქართველოს ანექსია ბოლშევიკური რუსეთის მიერ და საბჭოთა აფხაზეთი

უხეშად დაარღვია რა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, საბჭოთა რუსეთმა 1921 წლის თებერვალ-მარტში მოახდინა საქართველოს ოკუპაცია მისი შემდგომი ანექსიით. აფხაზეთის საკითხის გადანწყვეტის მიზნით, იმავე წლის 28 მარტს ბათუმში თათბირი გამართეს საოკუპაციო სახელისუფლებო სტრუქტურების შემდეგმა წარმომადგენლებმა: სერგო ორჯონიკიძემ, შალვა ელიავამ, მალაქია ტოროშელიძემ; მათთან ერთად თათბირობდნენ აფხაზები ეფრემ ეშბა და ნესტორ ლაკობა. ორივე თურქეთიდან ჩამოვიდა, სადაც რუსი კომუნისტების დავალებით მუჰაჯირ აფხაზებსა და სხვა კავკასიელებს შორის კომუნისტურ აგიტაციას, აგრეთვე რუსეთის სასარგებლო ჯაშუშურ საქმიანობას ენეოდნენ (საქმეში ჩახედული ადამიანების აზრით, თანამედროვე აფხაზი სეპარატისტებიც რუსეთის ისეთივე ჯაშუშები არიან ყველა ქვეყანაში, სადაც ისინი რუსული პასპორტებით ჩადიან). ბათუმის თათბირზე გადანწყვიტეს დროებით, წარმომადგენლობითი ორგანოს (საბჭოების ყრილობის) არჩევამდე, აფხაზეთი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდეს. ამ ე. წ. არჩევნებამდე აფხაზეთის მთელი „დამოუკიდებლობა“ იმაში გამოიხატებოდა, რომ მას მართავდნენ არა უშუალოდ საქართველოს საბჭოთა მთავრობის, არამედ თბილისში მოქმედი რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს (ხელმძღვანელი სერგო ორჯონიკიძე) მიერ დანიშნული პირები.

სეპარატისტები და მათი მფარველები – თანამედროვე რუსეთის უმაღლესი ხელმძღვანელები თვით პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ჩათვლით – ნებსით თუ უნებლიედ ისტორიის ფალსიფიკაციას ეწევიან. ისინი მიზანმიმართულად ატყუებენ საკუთარ ხალხს და მსოფლიო საზოგადოებას, როდესაც აცხადებენ, რომ გასაბჭოების

128 Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 466-469.

შემდეგ აფხაზეთი თითქოს იყო დამოუკიდებელი რესპუბლიკა და იგი მხოლოდ მოგვიანებით ქართველმა იოსებ სტალინმა საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით შეიყვანა. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში თვით რუსეთის შემადგენლობაშიც, განსაკუთრებით მის სამხრეთ რეგიონებში დროებით არაერთი „დამოუკიდებელი“ საბჭოთა რესპუბლიკა არსებობდა. შეიძლება დავასახელოთ, მაგალითად, თერგის საბჭოთა რესპუბლიკა, დონის საბჭოთა რესპუბლიკა, შავი ზღვის საბჭოთა რესპუბლიკა, ყუბანის საბჭოთა რესპუბლიკა, ყუბან – შავი ზღვის საბჭოთა რესპუბლიკა, სტავროპოლის საბჭოთა რესპუბლიკა, ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკა. დროებით „დამოუკიდებელი“ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები იყვნენ აგრეთვე ყირიმი (უკრაინა), ყარაბახი (აზერბაიჯანი) და ა. შ. იმავე ი. სტალინის მეცადინეობით, რუსეთის, უკრაინისა და აზერბაიჯანის შემადგენლობაში შემავალმა „რესპუბლიკებმა“ ავტონომიების ან ადმინისტრაციული ერთეულების სტატუსი მიიღეს.

იგივე მოხდა საქართველოშიც. როგორც უკვე ითქვა, აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკაც დროებით გამოცხადდა. მისი ხელმძღვანელები ეფრემ ეშბა და გასაკუთრებით ნესტორ ლაკობა ხშირად ხაზს უსვამდნენ, რომ „დამოუკიდებლობა“ გამოცხადდა „ერთი ნუთით“, რომ ეს იყო მხოლოდ „აბრა“ და ა. შ.¹²⁹. დასანანია, რომ ამ გარემოებას ზოგიერთი მეცნიერი არ ითვალისწინებს. ამის გამო ისტორიის გამყალბებელთა ანკესზე არაერთი ევროპელი ჭეშმარიტი მეცნიერიც წამოეგო. მათ შორისაა, მაგალითად, გერმანელი სამართალმცოდნე პროფესორი ანგელიკა ნიუსბერგერი. პატივცემული მეცნიერი, რეალურ ვითარებაში გარკვევის გარეშე, ი. სტალინის მიერ აფხაზეთის სტატუსის ვითომ ჩამოქვეითებაზე საუბრობს¹³⁰.

მსგავსი მტკიცებები ძალიან შორსაა სიმართლისაგან. XX საუკუნის 20-იანი წლების საბჭოთა რუსეთის ცენტრალური სახელისუფლებო ორგანოების არც ერთ ოფიციალურ თუ არაოფიციალურ დოკუმენტში, არც ერთი თანამდებობის პირის, მათ შორის ვ. ლენინის გამოსვლებში კავკასიის „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკებს შორის აფხაზეთი არ მოიხსენიება. მისი დაფინანსება თბილისიდან ხდებოდა; საბჭოთა საქართველოს მთავრობის განკარგულებები შესასრულებლად საბჭოთა აფხაზეთის მთავრობასაც ეგზავნებოდა,

129. ჯემალ გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან. თბილისი, 1991, გვ. 117.

130. Angelika Nußberger. Das volkerrecht. Geschichte. Institutionen. Perspektiven. Bonn, 2010, გვ. 45.

და ა.შ. 1921 წლის 5 ივლისს რუსეთის კომპარტიის ცეკას კავკასიის ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, განეულ იქნას პარტიული მუშაობა „იმ მიმართულებით, რომ აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკის სახით შევიდეს საქართველოს შემადგენლობაში“. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, 1921წ. 23 ივლისს აფხაზეთის პასუხისმგებელ მუშაკთა თათბირმა ნ. ლაკობას მოხსენების საფუძველზე მიიღო დადგენილება „ეთნოგრაფიული, ისტორიული და ყოფითი პირობების გამო საბჭოთა აფხაზეთის საბჭოთა საქართველოსთან ფედერირების შესახებ“¹³¹. ეს ნიშნავდა თბილისსა და სოხუმს შორის დე-ფაქტო არსებული ურთიერთობების დე-იურე გაფორმებას.

ამიერკავკასიის ფორმალურად დამოუკიდებელი რესპუბლიკებისაგან (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) განსხვავებით, აფხაზეთს არ ჰყავდა წარმომადგენლობა მოსკოვში. ეროვნებათა საქმის სახალხო კომისარი (მინისტრი) ი. სტალინი 1921 წლის 1 სექტემბერს სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს (საბჭოების ყრილობებს შორის პერიოდში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო) აცნობებდა, რომ „აფხაზეთი არის დამოუკიდებელი საქართველოს ავტონომიური ნაწილი, ამის გამო დამოუკიდებელი წარმომადგენლობები რუსეთში არ ჰყავს და არც უნდა ჰყავდეს. ამიტომ კრედიტის მიღება რსფსრ-დან მას არ შეუძლია“¹³². ასეთ კრედიტებს 1921წელსაც, როგორც ზემოთ ითქვა, აფხაზეთი მხოლოდ საქართველოს საბჭოთა მთავრობისაგან იღებდა, ვინაიდან მოსკოვში მას საქართველოს შემადგენელ ნაწილად თვლიდნენ. 1921წლის 14 ნოემბერს აფხაზეთის ხელმძღვანელმა ე. ეშბამ დასვა საკითხი იმუშაოდ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ამიერკავკასიის ფედერაციის შემადგენლობაში აფხაზეთის უშუალოდ შესვლის შესახებ. ამის პასუხად იმავე წლის 16 ნოემბერს რუსეთის კომპარტიის ცეკას კავკასიის ბიურომ დაადგინა: „წინადადება მიეცეს ამხანაგ ეშბას, წარმოადგინოს თავისი საბოლოო დასკვნა სახელშეკრულებო საწყისებზე აფხაზეთის საქართველოს ფედერაციის შემადგენლობაში ან ავტონომიური ოლქის საწყისებზე რსფსრ-ში შესვლის შესახებ“¹³³.

ამრიგად, საბჭოთა სტანდარტების მიხედვით, აფხაზეთს შეეძლო პრეტენზია ჰქონოდა არა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ან თუნდაც ავტონომიური რესპუბლიკის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ავტონომიური ოლქის სტატუსზე. მაგრამ საქართველოს

131. Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия - историческая область Грузии, с. 118, 475.

132. А. Ментешавили. Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии. Тбилиси, 1998, с. 67.

133. Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 482.

შემადგენლობაში მას უნდა მიეღო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსი, რათა თავისუფლებისმოყვარე საქართველოზე ზენოლის მძლავრი ბერკეტი გამხდარიყო.

1921 წლის 16 დეკემბერს საქართველოსა და აფხაზეთს შორის, „ღრმა საერთოეროვნული კავშირებიდან გამომდინარე“, გაფორმდა ხელშეკრულება სამხედრო, პოლიტიკური და საფინანსო-ეკონომიკური კავშირის დამყარების შესახებ. ხელშეკრულება ითვალისწინებდა ასევე „ყველა სამხარეო გაერთიანებაში, კერძოდ, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციაში აფხაზეთის შესვლას საქართველოს შემადგენლობით“ და არა უშუალოდ. აქედანაც კარგად ჩანს, რომ 1921 წლის 16 დეკემბრის ხელშეკრულებით ორი თანასწორუფლებიანი რესპუბლიკის გაერთიანება კი არ მოხდა, არამედ ერთი რესპუბლიკა (აფხაზეთი) შევიდა მეორე რესპუბლიკის (საქართველოს) შემადგენლობაში. შემდგომ წლებში, როცა „არჩევითი“ წარმომადგენლობითი ორგანოები ჩამოყალიბდნენ, ეს ურთიერთობა კონსტიტუციურადაც გაფორმდა. საქართველოს მუშათა, გლეხთა და ნითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების I ყრილობამ 1922 წლის 28 თებერვალს დაამტკიცა კონსტიტუცია, რომლის I თავის I პუნქტში ნათქვამია: „საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში თავისუფალი თვითგამორკვევის საფუძველზე შედიან: აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა; უკანასკნელი უკავშირდება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას – ამ რესპუბლიკათა შორის დადებულ, განსაკუთრებულ საკავშირო ხელშეკრულების საფუძველზე“¹³⁴.

XX ს. 20-იან წლებში ფაქტობრივად და იურიდიულად აფხაზეთი წარმოადგენდა ავტონომიურ რესპუბლიკას, ამიტომ ის არ იყო ამიერკავკასიის ფედერაციის, მით უმეტეს, 1922 წლის დეკემბერში შექმნილი საბჭოთა კავშირის სუბიექტი. ამიერკავკასიის ფედერაციის ხელმძღვანელმა გ. ორჯონიკიძემ, რომელმაც მისცა თანხმობა აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადებაზე, აფხაზეთის საბჭოების II ყრილობაზე 1923 წლის 21 დეკემბერს განაცხადა: „აფხაზეთმა უნდა იცოდნენ, რომ აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკაა და თანასწორუფლებიანია ჩვენს კავშირში“¹³⁵. საბჭოთა კავშირის პირველი კონსტიტუციის (1924 წელი) მიხედვითაც, აფხაზეთს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი ჰქონდა მიანიჭებული. აღნიშნული კონსტიტუციის IV თავის 15-ე პუნქტში ნათქვამია:

134. Образование Союза Советских Социалистических Республик. Сборник документов. Москва, 1972, с. 237-238.

135. Съезд Советов Абхазии. Сборник документов и материалов. 1922-1923. Сухуми, 1959, с. 153.

„აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები, სამხრეთ ოსეთის, მთიანი ყარაბაღისა და ნახიჭევანის ავტონომიური ოლქები ეროვნებათა საბჭოში თითო წარმომადგენელს აგზავნიან“¹³⁶.

ამრიგად, ისტორიის ფალსიფიკატორი სეპარატისტებისა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის შეცდომაში შეყვანით დაკავებული რუსეთის ამჟამინდელი ხელმძღვანელების განცხადებების მიუხედავად, ფაქტი რჩება ფაქტად: 1924-1936 წლებში მოქმედი სსრ კავშირის პირველი კონსტიტუციის მიხედვით, აფხაზეთს მინიჭებული ჰქონდა ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი, ქვეყნის ორპალატიანი უმაღლესი საბჭოს (საკანონმდებლო ორგანო) ეროვნებათა საბჭოში კი ავტონომიური ოლქის ანუ არასახელმწიფოებრივი წარმონაქმნის დონეზე მხოლოდ ერთი დეპუტატით იყო წარმოდგენილი.

საქართველოსა და აფხაზეთის კონსტიტუციებში აფხაზეთი მაინც მოხსენიებული იყო სახელშეკრულებო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. სეპარატისტები ხშირად იშველიებენ აფხაზეთის 1925 წლის ე. წ. კონსტიტუციას. სამართლებრივი თვალსაზრისით, ასეთი კონსტიტუცია არ არსებობდა. საუბარი არის აფხაზეთის საბჭოების III ყრილობაზე 1925 წლის 1 აპრილს მიღებული „კონსტიტუციის“ შესახებ. ვინაიდან დეპუტატების უმეტესობა ნერა-კითხვის უცოდინარი იყო, ყრილობამ მისი დამტკიცება ყოველგვარი წინასწარი განხილვის გარეშე მოახდინა. აღმოჩნდა, რომ მიღებული დოკუმენტი წინააღმდეგობაში მოდიოდა სსრ კავშირის, ამიერკავკასიის ფედერაციისა და საქართველოს კონსტიტუციებთან. ამის გამო აფხაზეთის ე. წ. კონსტიტუცია არ გამოქვეყნებულა და, შესაბამისად, ძალაში არ შესულა. უფრო მეტიც, აფხაზეთის საბჭოების III ყრილობის ბიულეტენში¹³⁷ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში ნათქვამია: „ყრილობამ გადაწყვიტა, დასრულდეს მუშაობა ყრილობისათვის წარდგენილ პროექტზე, მოყვანილ იქნას იგი ამიერკავკასიისა და საქართველოს კონსტიტუციებთან შესაბამისობაში“¹³⁸. ამრიგად, აფხაზეთის საბჭოების III ყრილობამ, რომელმაც თითქოს სეპარატისტებისათვის ესოდენ სასურველი „კონსტიტუცია“ დაამტკიცა, სინამდვილეში მიიღო „კონსტიტუციის პროექტი“, რომელზეც უნდა გაგრძელებულიყო მუშაობა.

რას წარმოადგენდა მაინც 1925 წლის კონსტიტუცია თუ კონსტიტუციის პროექტი? ძირითადად იგი იმეორებდა საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციას და ამასთანავე მთელ რიგ ურთიერთგამომრიცხავ მუხლებს შეიცავდა. საქართველოსთან ურთიერთობა

136. Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 488-489.

137. Бюллетень III Всеабхазского съезда Советов. Издание АБЦИК, 1925.

138. Съезды Советов союзных и автономных советских социалистических республик Закавказья. Сборник документов. 1923-1937 гг., т. 6. Москва, 1964, с. 673.

დაფიქსირებული იყო III თავის IV პუნქტში: „აფხაზეთის სსრ, გაერთიანდა რა განსაკუთრებული სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს სსრ-თან, მისი მეშვეობით შედის ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის შემადგენლობაში და ამ უკანასკნელის მეშვეობით – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში“. II თავის V პუნქტში კი ნათქვამი იყო, რომ აფხაზეთი როგორც „სუვერენული“ სახელმწიფო თითქოს ინარჩუნებდა როგორც ამიერკავკასიის ფედერაციიდან, ისე საბჭოთა კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლებას. რადგანაც აფხაზეთი სინამდვილეში არ იყო სუვერენული სახელმწიფო, უშუალოდ არ შედიოდა ამიერკავკასიის ფედერაციისა და სსრ კავშირის შემადგენლობაში, მას არანაირად არ შეეძლო მათი შემადგელობიდან გასვლა. აფხაზეთის ხელმძღვანელის ნესტორ ლაკობას სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს იყო „კონსტიტუციური სისულელე“. ამ „სისულელეში“ განაპირობა 1925 წლის 1 აპრილის დოკუმენტის აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტად გამოცხადება. ინტერესმოკლებული არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ 1925 წლის „კონსტიტუციაში,“ რომელიც აფხაზეთს ვითომ ამიერკავკასიის ფედერაციიდან და სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლებას ანიჭებდა, არ იყო ჩადებული აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობიდან გასვლის ან მასთან დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულების დენონსირების უფლება.

აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტზე მუშაობა 1926 წელს დასრულდა. იმავე წლის 11 – 16 ივნისს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიამ, რომელიც სოხუმში ჩატარდა, მიიღო დამატებები და ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციაში. მასში ჩაიდო სრულიად ახალი მეორე თავი, რომელიც აფხაზეთთან ურთიერთობას არეგულირებდა. იგი უცვლელად შევიდა 1926 წლის 27 ოქტომბერს აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიის მიერ დამტკიცებულ აფხაზეთის პირველ კონსტიტუციაში. ამით ორივე კონსტიტუციაში დაფიქსირდა, რომ „აფხაზეთი განსაკუთრებული ხელშეკრულების ძალით შედის საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში და მისი მეშვეობით ამიერკავკასიის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში.“ 1926 წლის საბჭოური კონსტიტუცია, მართალია ფორმალურად, მაგრამ ამავე დროს მკაფიოდ მიჯნავდა უფლებამოსილებას თბილისსა და სოხუმს შორის. აფხაზეთის შინაგან საქმეთა, იუსტიციის, განათლების, ჯანდაცვის, მინათმოქმედებისა და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატები (სამინისტროები) საქართველოს შესაბამისი კომისარიატებისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, თუმცა ვალდებული იყვნენ განეული მუშაობის შესახებ ერთმანეთისთვის ინფორმაცია მიეწოდებინათ.

აფხაზეთის სახალხო მეურნეობის საბჭო ემორჩილებოდა როგორც აფხაზეთის მთავრობას, ისე საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს. აფხაზეთის მთავრობის შემადგენლობაში შედიოდნენ აგრეთვე საქართველოს სამი სამთავრობო უწყების – ფინანსთა, შრომის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატების რწმუნებულებიც. ისინი საქართველოს შესაბამის კომისარიატებს ემორჩილებოდნენ, თუმცა ვალდებული იყვნენ ანგარიში აფხაზეთის მთავრობისთვისაც წარედგინათ. როგორც ვხედავთ, აფხაზეთის 1926 წლის პირველ კონსტიტუციაში დამოუკიდებლობის არავითარი ნიშნები არ ჩანს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აფხაზეთიც და მთლიანად საქართველოც ამიერკავკასიის ფედერაციისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ორგანოებს ექვემდებარებოდნენ და დამოუკიდებლად გადაწყვეტილებებს ვერ იღებდნენ.

აფხაზეთის ცაკის თავმჯდომარემ ნესტორ ლაკობამ 1931 წლის 6 თებერვალს აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში ქართულ-აფხაზური ურთიერთობების საკითხი გადაწყვეტილად გამოაცხადა. როგორც მან აღნიშნა, „შეგვიძლია სავსებით ლიად განვაცხადოთ, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აფხაზეთისა და საქართველოს მშრომელთა ურთიერთობის საკითხი, როგორც განსაკუთრებული საკითხი, დღის წესრიგიდან სრულიად მოხსნილად ითვლება“. იმავე მოხსენებაში, უნდა ვივარაუდოთ, სეპარატისტთა საყურადღებოდ, ნესტორ ლაკობამ აფხაზეთის ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი გააკრიტიკა, რომელიც, მისი აზრით, აფხაზური ენის შეზღუდულ შესაძლებლობებს არ ითვალისწინებდა და „უთარგმნელის თარგმნის“ ფუჭი მცდელობებით იყო დაკავებული. „აფხაზური ენა თავისთავად უბრალოა, ის ვერ იტანს პროფესორულ სავარჯიშობებს. ნუთუ აქამდე ეს ვერ გაიგეს ან ვერ შეიგნეს აფხაზური ენის „სამეცნიერო“ მუშაკებმა? და კიდევ ერთი რამ. მუდმივად იმით არიან დაკავებული, რომ სურთ დაამტკიცონ, თითქოს აფხაზური ლიტერატურა ჯერ კიდევ ადამის დრომდე არსებობდა. ისტორიაში ის არ არსებულა და დასვით წერტილი“¹³⁹. სამართლებრივი სტატუსის კონტექსტში აფხაზეთის ისტორიულ წარსულს ნესტორ ლაკობა ადრეც შეეხო. საქართველოს კომპარტიის III ყრილობაზე გამოსვლისას 1924 წლის 8 მაისს მან ბრძანა: „ისტორიული თვალთახედვით რომ მიუდგეთ, რა თქმა უნდა, აფხაზებს კაცობრიობის ისტორიაში არავითარი როლის თამაში არ შეეძლოთ, თუნდაც იმიტომ, რომ ამ ხალხს ... არც თავისი ისტორია აქვს, არც თავისი დამწერლობა, არც თავისი ლიტერატურა“¹⁴⁰.

139. Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 503.

140. Л. Тоидзе. К вопросу о политическом статусе Абхазии. Тбилиси, 1996, с. 29-30.

შეიძლება ითქვას, რომ ნესტორ ლაკობას ისტორიული შეხედულებები წარმოადგენენ აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობაზე დღის ნესრიგის მთავარ საკითხზე ერთხმად მიღებული გადანწყვეტილების ერთგვარ თეორიულ საფუძველს. კერძოდ, 1931 წლის 11 თებერვალს ყრილობამ აფხაზეთის კონსტიტუცია საკავშირო კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოიყვანა, რითაც აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას (აფხაზეთის სსრ) სახელი გადაერქვა და მას აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (აფხაზეთის ასსრ) ეწოდა. როგორც სახელის გადარქმევამდე (1931 წლის 11 თებერვლამდე), ისე სახელის გადარქმევის შემდეგაც აფხაზეთი იყო და დარჩა საქართველოს შემადგენლობაში, თანაც 1926 წლის კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებამოსილებები უცვლელად შენარჩუნდა. ამიტომ ყოველგვარი საუბრები ი. სტალინის მიერ „დამოუკიდებელი“ აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში გადაცემის შესახებ საფუძველს მოკლებულია. ეს ყველაფერი ისტორიის ფალსიფიკატორთა მორიგი მითია.

XX საუკუნის 30-იან წლებში საბჭოთა იმპერიაში მიმდინარეობდა მართვის სრული ცენტრალიზაციისა და უნიტარიზაციის პროცესი. ამ პროცესის ფარგლებში 1935 წლის 7 იანვარს აფხაზეთის საბჭოების VII ყრილობამ აფხაზეთის კონსტიტუციის ახალი რედაქცია დაამტკიცა, რომლის მიხედვითაც ავტონომიური რესპუბლიკის ყველა კომისარიატი საქართველოს შესაბამის კომისარიატებს ექვემდებარებოდა (მუხლი 42). საბჭოთა კავშირის უნიტარიზაციისა და მართვის ტოტალიტარული სისტემის ჩამოყალიბების პროცესი 1936 წლის 5 დეკემბერს ე.წ. სტალინური კონსტიტუციის მიღებით დასრულდა. ამას მოჰყვა უნიფიცირებული კონსტიტუციების მიღება საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკაში. ასეთი კონსტიტუცია მიიღო როგორც საქართველომ (1937 წლის 13 თებერვალი), ისე აფხაზეთმაც (1937 წლის 2 აგვისტო). ახალი კონსტიტუციების მიხედვით, სახელმწიფოებრივი ცხოვრების არც ერთი სფერო მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უშუალო გამგებლობაში არ რჩებოდა.

საბჭოთა სოციალისტური სისტემის გენეზისი და აფხაზეთში სოციალიზმის მშენებლობის პროცესი საერთო კანონზომიერებისა და საერთო-საკავშირო გენერალური მიმართულებების ფარგლებში მიმდინარეობდა. ადგილებზე ზედმეტი „თვითშემოქმედება“ დამკვეთული არ იყო. ამ თვალთახედვით უნდა შეფასდეს XX საუკუნის 30-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიები აფხაზეთში; 1938 წელს დასრულებული აფხაზური დამწერლობის რეფორმა, ანუ აფხაზური დამწერლობის ლათინური გრაფიკიდან ქართულ გრაფიკაზე გადაყვანა; 1945-46 სასწავლო წლიდან განხორციელებული სასკოლო რეფორმა

(აფხაზთა სკოლებში სწავლების გადაყვანა რუსული ენიდან ქართულ ენაზე, ამასთანავე აფხაზურის სწავლების სრულად შენარჩუნებითა და კიდევ უფრო გაძლიერებით), მიწისძვრით დაზარალებული მეზობელი რაიონებიდან მოსახლეობის ნაწილის აფხაზეთში ჩამოსახლება (მათმა გარკვეულმა ნაწილმა ასიმილაცია განიცადა და ამჟამად აფხაზურ ეროვნებას მიეკუთვნება). პოლიტიკური რეპრესიები, როგორც ცნობილია, საერთოსაკავშირო „ლონისძიებას“ წარმოადგენდა. ავტონომიებში დამწერლობათა გადაყვანა მოკავშირე რესპუბლიკების გრაფიკაზე, აგრეთვე სწავლების გადაყვანა მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ენაზე ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების დირექტივების შესაბამისად, მთელს საბჭოთა კავშირში მიმდინარეობდა. ასე, მაგალითად, საკავშირო კომპარტიის ორგანიზაციულმა ბიურომ 1938 წლის 24 იანვარს მიიღო დადგენილება საბჭოთა კავშირში საგანმანათლებლო სექტორის გარდაქმნის შესახებ. დადგენილებაში ნათქვამია: „ა) გარდაიქმნას განსაკუთრებული ეროვნული სკოლები (გერმანული, ფინური, პოლონური, ლატვიური, ესტონური, ბერძნული, იჟორული და ა.შ.)... აუცილებელია განსაკუთრებული ეროვნული სკოლების რეორგანიზაცია მოხდეს ჩვეულებრივი ტიპის საბჭოთა სახელმძღვანელოებსა და სასწავლო პროგრამებზე მათი გადაყვანის გზით, შესაბამისი რესპუბლიკის ენაზე ან რუსულ ენაზე სწავლების შემოღებით“¹⁴¹. საქართველოს ხელისუფლების მხრიდან საკითხისადმი ფრთხილი მიდგომის გამო საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს ეს დირექტივა მხოლოდ 1945/46 სასწავლო წლიდან განხორციელდა აფხაზური პედაგოგიური კორპუსის წარმომადგენლების ნ. გერიას (აფხაზეთის განათლების სახალხო კომისრის მოადგილე), ბ. კაციას, ა. მარლანიას, ს. აშვანბას, მ. ბუჯას და სხვათა, ასევე აფხაზური ინტელიგენციის მხარდაჭერით¹⁴².

ყოველივე ამის გათვალისწინებით, უფრო სამართლიანი და სასარგებლო იქნება, თუ სეპარატისტები თავიანთ პრეტენზიებს არა საქართველოს, არამედ რუსულ იმპერიას წაუყენებენ, რომელიც დღესაც წარმატებით აგრძელებს „დამოუკიდებელი“ აფსუა ხალხის ასიმილაციას. მეზობელი რაიონებიდან ადამიანების ჩამოსახლება, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს აფხაზეთის ეკონომიკურ, კულტურულ განვითარებაში, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ასევე მოსკოვის დირექტივებით ხორციელდებოდა.

„დათბობის“ პოსტსტალინისტური პერიოდი საქართველოში ტრაგიკული მოვლენით აღინიშნა. იმჟამად სსრ კავშირში სტალინის

141. ზ. პაპასკირი. მითი ქართველთა მხრიდან აფხაზი ხალხის ეთნოკულტურული ინდივიდუალობის მოშლის ე. წ. მცდელობის შესახებ XX საუკუნის 30-იანი წლების მინურულსა და 40-იან წლებში. საისტორიო ძიებანი, VI. თბილისი, 2003, გვ. 134.

142. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 327-329.

პიროვნების კულტის აქტიური კრიტიკა მიმდინარეობდა. ვინაიდან „ბელადი“ ეროვნებით ქართველი იყო, სამართლიან კრიტიკასაც კი ხშირად თან ახლდა შეურაცხმყოფელი ანტიქართული გამოხდომები. ამასთან დაკავშირებით ქ. თბილისში მშვიდობიანი ახალგაზრდული საპროტესტო მანიფესტაცია მოეწყო, რომლის მონაწილეები, კრემლიდან გაცემული ბრძანების საფუძველზე, 1956 წლის 9 მარტს რუსმა ჯარისკაცებმა უმოწყალოდ დაარბიეს და ბევრიც დახვრეტეს. მანიფესტაციაზე დრო და დრო გაისმოდა მონოდებები საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებაც. იმ პერიოდში რესპუბლიკაში მოქმედებდნენ საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი იატაკქვეშა ახალგაზრდული ორგანიზაციები (ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და სხვები).

1956 წლის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ მოსკოვმა თბილისზე ზენოლა გააძლიერა. საქართველოს კომუნისტური ორგანიზაცია შოვინიზმის გამოვლინებაში, აფხაზების, ოსებისა და სომხების ასიმილაციის მცდელობაში დაადანაშაულა (იხ. სსრ კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1956 წლის 10 ივლისის დადგენილება). ეს ცრუ და შორსგამიზნული პროვოკაციული ბრალდება გახდა თავისებური ნიშანი სეპარატისტებისთვის. ეჭვგარეშეა, რომ სწორედ კრემლმა მოახდინა 1957, 1967 და 1977 წლების ანტიქართული გამოსვლების პროვოცირება აფხაზეთში, თუმცა საბაბად პირველ ორ შემთხვევაში ქართველი მეცნიერების მიერ სეპარატისტებისთვის მიუღებელი ისტორიოგრაფიული შრომების გამოცემა გამოიყენეს, მესამე შემთხვევაში – ახალი კონსტიტუციის მიღება. ერთი ხელით კრემლი ანტიქართული გამოსვლების პროვოცირებას ახდენდა, მეორე ხელით იგი ყოველთვის ცდილობდა კონფლიქტის ისეთნაირად „მოგვარებას“ (სეპარატისტთა სასარგებლო საკადრო გადაადგილებების განხორციელებით), რათა შექმნილიყო უფრო ხელსაყრელი ნიადაგი შემდგომში საჭირო დროს ახალი, უფრო მასშტაბური ანტიქართული გამოსვლებისთვის. ასეთი დრო ე. წ. პერესტროიკის ხანაში დადგა.

I. 6. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და მოსკოვის მიერ „აფხაზური კარტის“ გათამაშება

XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში მიხეილ გორბაჩოვის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირში განხორციელებულმა დემოკრატიულმა გარდაქმნებმა ბიძგი მისცეს მთელს საბჭოთა იმპერიაში ეროვნულ – გამანთავისუფლებელი მოძრაობების აღმოცენებასა და განვითარებას. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის

აღდგენისათვის ბრძოლის ავანგარდში, სხვა რესპუბლიკებთან ერთად, საქართველოც გამოდიოდა. ამ ისტორიული ბრძოლის სათავეში იდგნენ ქართული ეროვნულ-გამანათავისუფლებელი მოძრაობის საყოველთაოდ აღიარებული ლიდერები ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას მხარს უჭერდა ეროვნული მოძრაობის ადგილობრივი ლიდერების (ნუგზარ მგალობლიშვილი, ვლადიმერ ვეკუა, თეიმურაზ ლორთქიფანიძე, თეიმურაზ მჟავია და სხვები) გარშემო დარაზმული აფხაზეთის მოსახლეობის დიდი უმრავლესობაც.

დემორალიზებული და დეზორგანიზებული კრემლი საბჭოთა იმპერიის გადასარჩენად უკიდურეს ზომებს მიმართავდა. იგი შეეცადა მისთვის სასარგებლო შედეგების მიღწევას 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მშვიდობიანი მიტინგის დახვრეტით, მაგრამ შედეგი სრულიად საპირისპირო აღმოჩნდა. ბევრი ვერაფერი მისცეს იმპერიულ ცენტრს მის მიერ დაგეგმილმა ანტიქართულმა გამოსვლებმა აფხაზეთში 1989 წლის ივლისში. კრემლის ხრიკების მიუხედავად, საქართველო ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა დამოუკიდებლობისაკენ. 1990 წლის 28 ოქტომბერს გამართულ მრავალპარტიულ დემოკრატიულ საპარლამენტო არჩევნებში ეროვნულ-გამანათავისუფლებელმა მოძრაობამ გაიმარჯვა. ამას კი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაცია მოჰყვა.

საქართველოს რესპუბლიკამ არ მიიღო მონაწილეობა სსრ კავშირის შენარჩუნების თაობაზე 1991 წლის 17 მარტს გამართულ საკავშირო რეფერენდუმში. აფხაზეთში იგი სერიოზული დარღვევებით ჩატარდა. სასურველი შედეგის მისაღებად მთელი გალის ქართული რაიონი, სადაც აფხაზეთის მოსახლეობის 20% ცხოვრობდა, საარჩევნო უბნების „მოუმზადებლობის“ მოგონილი საბაბით, კრემლის პირდაპირი მითითებით, არჩევნებიდან მოხსნეს. გარდა ამისა, აფხაზეთს საარჩევნო უბნებში სსრ კავშირის შენარჩუნების მომხრეთა ხმების რაოდენობამ კურიოზული მაჩვენებელი შეადგინა – ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 115-120% (?!). ამ გზით სეპარატისტებმა აფხაზეთის მასშტაბით ძლივს დააფიქსირეს 50 პროცენტზე ოდნავ მეტი, რომელიც ვითომ საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას უჭერდა მხარს. მიუხედავად ამისა, ყველასათვის, მათ შორის კრემლისთვის ნათელი გახდა, რომ სსრ კავშირის შენარჩუნებისადმი მიძღვნილი რეფერენდუმი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაიშალა. ეს იყო მეტად საგანგაშო სიგნალი მიხეილ გორბაჩოვის „დემოკრატიული“ ხელისუფლებისთვის.

1991 წლის 31 მარტს აფხაზეთში დიდი წარმატებით ჩატარდა სულ სხვა რეფერენდუმი, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას მიეძღვნა. აფხაზეთის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ვ. არძინბას მეთაურობით გადაწყვიტა, თვითონ

არ მიეღო მონაწილეობა რეფერენდუმში, მაგრამ ხელიც არ შეეშალა ავტონომიურ რესპუბლიკაში მისი ჩატარებისთვის. იმ კონკრეტულ ვითარებაში ეს იყო გონივრული გადაწყვეტილება. პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბლოკი „სოიუზი“ (სსრ კავშირის შენარჩუნების მომხრეები) რეფერენდუმში არ მონაწილეობდა. მიუხედავად ამისა, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის (347175 კაცი) 61,27% მონაწილეობდა, ანუ ბევრად მეტი, ვიდრე ადგილობრივი ქართული მოსახლეობა (45%). რეფერენდუმში მონაწილეთა 97,73%, ანუ აფხაზეთში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის თითქმის 60% ხმა მისცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო აქტი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ. მას ხელი მოაწერეს უზენაესი საბჭოსა და მთავრობის წევრებმა, მათ შორის აფხაზეთიდან არჩეულმა დეპუტატებმა ნუგზარ მგალობლიძევილმა, თეიმურაზ ლორთქიფანიძემ, თეიმურაზ მჟავიამ, ჯემალ საჯაიამ, ველოდი მირცხულავამ, დიმიტრი ქებურიამ, ჯემალ შონიამ, ედიშერ ჯანჯულიამ, გიორგი სუბელიანმა, რევაზ კემულარიამ, არკადი მარკოზიამ, თამაზ ნადარეიშვილმა, ზვიად ნადარეიშვილმა და ვლადიმერ ჯოლოგუამ.

1991 წლის 26 მაისს აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს პირველი პრეზიდენტის არჩევნები გაიმართა. პოლიტიკური ვითარება ავტონომიურ რესპუბლიკაში, სეპარატისტული ძალების დამოკიდებულება არჩევნებისადმი ზუსტად იგივე იყო, რაც დაახლოებით ორი თვის წინ რეფერენდუმის ჩატარებისას. არჩევნების შედეგებიც სრულად დაემთხვა რეფერენდუმის მაჩვენებლებს.

მოკლე დროში ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული რეფერენდუმისა და საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგებმა აჩვენეს, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მრავალეროვანი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, მათ შორის ეთნიკურ აფხაზთა გარკვეული ნაწილიც მხარს უჭერდა არა სეპარატიზმს, არა საბჭოთა იმპერიის შენარჩუნებას, არამედ საქართველოს ერთიანობას, მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.

აფხაზეთთან მიმართებაში საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობის საგანგებოდ ფრთხილი, მშვიდობიანი და კომპრომისული პოლიტიკის დემონსტრირება კიდევ ერთხელ 1991 წლის ზაფხულში მოხდა. მაშინ ქართულ და აფხაზურ მხარეთა საერთო ძალისხმევით აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ახალი კანონი შემუშავდა, ცვლილებები შევიდა ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში. უმაღლესი საბჭოს 65 მანდატი ეთნიკური პრინციპით ჩამოყალიბებულ ერთმანდატიან ოლქებში გადანაწილდა. აფხაზებს 28 მანდატი ერგოთ,

ქართველებს – 26, სხვა ეროვნებებს – 11. მანდატები ისეთნაირად გადანაწილდა, რომ არც ერთ მხარეს არ შეეძლო კვალიფიციური უმრავლესობის მოპოვება და ცალმხრივად კონსტიტუციური, მათ შორის აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებული საკითხების გადანყვეტა. ქართველთა და აფხაზთა შეთანხმების გარეშე შეუძლებელი იყო არა მხოლოდ სტატუსის საკითხის ლეგიტიმური გადანყვეტა, არამედ რეფერენდუმის ჩატარება, მთავრობის ნევრების დანიშვნა, ვინაიდან ყოველივე ამას კვალიფიციური უმრავლესობა სჭირდებოდა.

ეთნიკური ნიშნის მიხედვით გადანაწილდა როგორც მანდატები უმაღლეს საბჭოში, ისე უმაღლესი თანამდებობებიც. კერძოდ, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აფხაზი უნდა არჩეულიყო, მის პირველ მოადგილედ – ქართველი; აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარედ ქართველი ინიშნებოდა, პირველ მოადგილედ – აფხაზი. განხორციელდა სხვა მნიშვნელოვანი კონსტიტუციური ცვლილებებიც. მაგალითად, აფხაზეთის კონსტიტუციაში ტერმინი „საქართველოს სსრ“ შეიცვალა ტერმინით „საქართველოს რესპუბლიკა“. ეს იყო სერიოზული კომპრომისი. აღნიშნული ცვლილებით აფხაზეთი კონსტიტუციურად ადასტურებდა, რომ ადრე თუ ის იყო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი საქართველოს ნაწილი, ამიერიდან დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ნაწილი ხდებოდა. იმისათვის, რათა სათანადოდ შეფასდეს ამ კონსტიტუციური ცვლილების მნიშვნელობა, საჭიროა გავისხენოთ სეპარატისტთა მიერ ატაცებული კრემლის უცნაური ინსტრუქცია იმის თაობაზე, რომ მოქმედი კონსტიტუციის მიხედვით აფხაზეთი სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი საბჭოთა საქართველოს ნაწილს წარმოადგენდა, მაგრამ ის თითქოს არ იყო დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ნაწილი. აფხაზეთის კონსტიტუციაში ტერმინის „საქართველოს სსრ“ ჩანაცვლებამ ტერმინით „საქართველოს რესპუბლიკა“ მსგავს ინსინუაციებს ბოლო მოუღო. აფხაზეთის კონსტიტუციაში შევიდა ასევე დამატება, რომ აფხაზეთის პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსის შესახებ კანონის მიღებას ხმათა ორი მესამედი სჭირდებოდა და იგი ძალაში შედიოდა საქართველოსა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოების მიერ მისი დამტკიცების შემდეგ (მუხლი 98). თამამად შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთის მიმართ საქართველოს მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკამ გაიმარჯვა, თანაც გაიმარჯვა ორივე მხარემ.

ყველაფრიდან ჩანდა, რომ კრემლი ძლიერ იყო შეშფოთებული დამოუკიდებლობისაკენ საქართველოს დამაჯერებელი მოძრაობით. 1991 წლის 17 და 31 მარტის რეფერენდუმების, 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, მოსკოვი დარწმუნდა, რომ მშვიდობიანი, დემოკრატიული მეთოდებით საქართველოს დაჩოქება, მისგან აფხაზეთის მოწყვეტა შეუძლებელია. იმპერიული

ცენტრი იმითაც იყო შეშფოთებული, რომ თბილისმა და სოხუმ-მა კრემლის მედიატორული როლის გარეშეც მოახერხეს საკმაოდ დაძაბული ურთიერთობების დალაგება, ანუ ვერ მოხერხდა „აფხაზური კარტის“ ეფექტურად გათამაშება. მოსკოვში მარტივად მიხვდნენ, რომ საქართველოზე კონტროლის აღდგენა მხოლოდ მისი პირველი პრეზიდენტის დამხობითა და აფხაზეთში ომის გაჩაღებით იყო შესაძლებელი. მაგრამ იმპერიის ცენტრალურ ხელისუფლებას საქართველოსთვის ჯერ არ ეცალა.

მოსკოვში ძალაუფლებისათვის გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა საკავშირო ცენტრსა (მიხეილ გორბაჩოვი) და რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობას (ბორის ელცინი) შორის. ეს ბრძოლა ბორის ელცინის გამარჯვებითა და საბჭოთა კავშირის დაშლით დასრულდა. გადანყვეტილება საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) შექმნის შესახებ 1991 წლის 8 დეკემბერს გაფორმდა, როდესაც რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსის ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს ბელოვეჟის შეთანხმებას; იმავე წლის 21 დეკემბერს კი ალმა-ატაში 11 ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის (გარდა საქართველოსი და ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკისა) პრეზიდენტების მიერ ხელმოწერილი შესაბამისი დეკლარაციით გამოცხადდა საბჭოთა კავშირის არსებობის შეწყვეტა და დსთ-ს დაფუძნება. 1991 წლის 26 დეკემბერს სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ მიიღო დეკლარაცია ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის აღიარების შესახებ. საბჭოთა კავშირმა, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტმა, არსებობა შეწყვიტა. ამით მოიხსნა მთავარი სამართლებრივი ბარიერი საქართველოსა და სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბების გზაზე, თუმცა კრემლს სულ სხვა მიზნები ჰქონდა.

1.7. რუსეთის სადამსჯელო ზომები დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ და ომი აფხაზეთში

სსრ კავშირის დაშლის შემდეგ მისმა სამართალმემკვიდრემ რუსეთის ფედერაციამ „ურჩი“ საქართველოსათვის მოიცალა. საბაბიც არსებობდა – თბილისი უარს ამბობდა ალმა-ატაში ახლადდაფუძნებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) განევრიანებაზე.

ამის გამო კრემლმა საქართველოს სასტიკად დასჯა გადანყვიტა. რუსეთის ფედერაციის აქტიური მონაწილეობით, 1991-1992 წლების მიჯნაზე თბილისში ძალადობრივი სახელმწიფო გადატრიალება

განხორციელდა. ზვიად გამსახურდიას ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობის შემდეგ ე. შევარდნაძის დროებითი არალეგიტიმური ხელისუფლება (სახელმწიფო საბჭო) ჩამოყალიბდა, ქვეყანა კი სამოქალაქო დაპირისპირებამ და ქაოსმა მოიცვა.

მოსკოვის მიერ საქართველოში ხელოვნურად შექმნილი სამოქალაქო კონფრონტაციის პირობებში აფხაზეთის სეპარატისტული ძალები მეტისმეტად გააქტიურდნენ. დაპირისპირებამ მოიცვა სასწავლო, სამეცნიერო, შემოქმედებითი, სამეურნეო და სპორტული ორგანიზაციებიც კი, რამაც ეროვნული ნიშნით მათი გაყოფა და ვითარების კიდევ უფრო მეტად დაძაბვა გამოიწვია. კრემლის ნაქეზებითა და ღია მხარდაჭერით აფხაზეთის ხელმძღვანელობა უხეშად არღვევდა ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას, იღებდა ცალმხრივ ანტიკონსტიტუციურ გადაწყვეტილებებს, ავინროვებდა და დევნიდა ქართველი ეროვნების კადრებს ყველა სფეროში, მათ შორის ძალოვან სტრუქტურებში. ჩამოაყალიბეს რა მხოლოდ აფხაზური ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებისაგან შემდგარი უკანონო შეიარაღებული ფორმირება, სეპარატისტებმა იარაღის ყლარუნიც დაიწყეს. არალეგიტიმური ძალის დემონსტრირების ერთ-ერთი ყველაზე თავხედური გამოვლინება გახლდათ 1992 წლის 22 ივნისს აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროზე და პირადად მინისტრზე – გენერალ გივი ლომინაძეზე თავდასხმა. აფხაზეთის სეცესიის მიზნით, 1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ კვალიფიციური უმრავლესობის გარეშე, ანუ სრულიად უკანონოდ მიიღო გადაწყვეტილება მოქმედი კონსტიტუციის გაუქმებისა და 1925 წლის მკვდრადშობილი კონსტიტუციის (რომლის შესახებ ზემოთ იყო საუბარი) აღდგენის შესახებ. ამ გადაწყვეტილებამ კიდევ უფრო დააჩქარა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ეროვნული ნიშნით განხეთქილების პროცესი და, საბოლოო ჯამში, საქმე ომამდე მივიდა.

დღეს ეჭვს გარეშეა, რომ სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში და ომი აფხაზეთში ერთი ჯაჭვის რგოლებს წარმოადგენდნენ და კრემლიდან იმართებოდნენ. ერთიც და მეორეც ქართული სახელმწიფოს დასუსტების, მისი დანაწევრებისა და ახალი ფორმით რუსეთის იმპერიის ნიაღში დაბრუნების კრემლისეული საერთო გეგმის შემადგენელი ნაწილებია. ომი აფხაზეთში, რომელსაც გამართლება არც ერთ შემთხვევაში არა აქვს, 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო და 1993 წლის 30 სექტემბერს დასრულდა. ეს იყო რუსეთ-საქართველოს სისხლიანი დაპირისპირება.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ 1992 წლის 14 აგვისტოს ომი აფხაზეთში ქართული სამხედრო ფორმირებების საკუთარი ავტონომიის ტერიტორიაზე კანონიერად, მაგრამ არსებული პოლიტიკური

ვითარებისა და მოსალოდნელი საფრთხის – რუსეთის ფაქტორის გათვალისწინების გარეშე გადაადგილებით დაიწყო და სულ რაღაც 20 დღეში დასრულდა. 1992 წლის 3 სექტემბერს მოსკოვში ბ. ელცინმა და ე. შევარდნაძემ ხელი მოაწერეს შეთანხმებას კონფლიქტის დარეგულირების შესახებ. საომარი მოქმედებები შეწყდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მოსკოვმა ძალიან მალე დაარღვია 3 სექტემბრის შეთანხმება. სეპარატისტებს ამოფარებულმა რუსეთის ფედერაციამ, მისმა გენერალიტეტმა იმავე წლის 1 ოქტომბერს განახორციელა შეტევა გაგრის მიმართულებით. რუსეთის მიერ 1992 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს წინააღმდეგ გაჩაღებული ომი 1993 წლის 27 ივლისს სოჭის შეთანხმებით დასრულდა. დაარღვია რა სოჭის შეთანხმებაც, 1993 წლის 16 სექტემბერს კრემლმა უკვე მეორედ გააჩაღა ომი საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც 30 სექტემბერს დასრულდა. ორივე შემთხვევაში – 1992 წლის 1 ოქტომბერს და 1993 წლის 16 სექტემბერს დაირღვა შეთანხმება არა დროებითი ზავის, არამედ ომის დასრულების შესახებ; იმ ვითარებაში, როდესაც ქართულმა მხარემ აფხაზეთიდან მთელი თავისი შეიარაღებული ძალები გაიყვანა, ადგილობრივი ფორმირებები კი დაშალა. შეუძლებელია ქართული მხარის პასუხისმგებლობის უარყოფა 1992 წლის 14 აგვისტოს დაწყებული ომისთვის. ამავე დროს პასუხისმგებლობა 1992 წლის 1 ოქტომბერს და 1993 წლის 16 სექტემბერს გაჩაღებული საომარი მოქმედებებისთვის მთლიანად რუსეთის ფედერაციის კისერზეა. ომი აფხაზეთში – კრემლის იმპერიალისტური პოლიტიკის პირდაპირი შედეგია. თავიდან ის ატარებდა ჰიბრიდული ომის ხასიათს, რომელიც თანდათანობით ღია სამხედრო აგრესიაში გადაიზარდა. რუსეთის სახელმწიფოს უშუალო მონაწილეობა აფხაზეთის ომში წინამდებარე წიგნის მეორე თავშია ნაჩვენები.

საქართველოს პარლამენტმა თავისი განცხადებებით არაერთხელ მიაპყრო საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღება აფხაზეთის ომში ოფიციალური რუსეთისა და მისი შეიარაღებული ძალების სეპარატისტებისა და დაქირავებული ბანდიტების მხარეზე უშუალო ჩართულობის ფაქტზე. ამის თაობაზე არის საუბარი საქართველოს პარლამენტის 1992 წლის 17 დეკემბრის განცხადებაში. 1993 წლის 25 თებერვლის დადგენილებაში კი პარლამენტმა მიზანშეუწონლად მიიჩნია რუსული სამხედრო ნაწილების აფხაზეთში ყოფნა, რადგანაც ისინი საქართველოს წინააღმდეგ ომში მონაწილეობდნენ¹⁴³. მოსკოვის აგრესიული ქმედებები საქართველოს წინააღმდეგ დაგმობილია პარლამენტის 1993 წლის 17 მარტის მიმართვაში „გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ევროპარლამენტს,

143. აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში, ნაწ. I, გვ. 87-88, 106-110, 134.

მსოფლიოს ქვეყნების პარლამენტებს და რუსეთის ფედერაციის უზენაეს საბჭოს¹⁴⁴.

საომარი მოქმედებების პერიოდში რუსეთის ფედერაცია აფხაზეთის ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ დაუფარავად ახორციელებდა ეთნიკური წმენდისა და გენოციდის პოლიტიკას. იგი დაფიქსირებულია და დაგამოწილია საქართველოს პარლამენტის დოკუმენტებში, მათ შორის: 1992 წლის 17 დეკემბრის განცხადებაში; გაეროს, ეუთოს და ადამიანის უფლებადამცველი საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი 1993 წლის 1 აპრილის მიმართვაში; ორ დადგენილებაში – „შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლისა და უსაფრთხოების დასაცავად აუცილებელ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ“ და „რუსეთის ფედერაციის საჯარისო ნაწილების აფხაზეთის კონფლიქტის ზონიდან გაყვანის შესახებ“, რომლებიც მიღებულია, შესაბამისად, 1993 წლის 1 და 27 აპრილს¹⁴⁵.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, სოჭის 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმების დარღვევაზე და იმავე წლის 16 სექტემბერს საომარი მოქმედებების განახლებაზე პასუხისმგებლობა აღნიშნული შეთანხმების შესრულების მთავარ „გარანტს“ – რუსეთის ფედერაციას ეკისრება. მისი რეგულარული შეარაღებული ძალების უშუალო მონაწილეობამ ომში სეპარატისტებისა და ტერორისტების მხარეზე (იხ. აქვე ნაწილი II) განსაზღვრა სამხედრო კონფლიქტის კატასტროფული შედეგები აფხაზეთის მოსახლეობისთვის, მთლიანად ქართული სახელმწიფოსთვის. ორივე მხრიდან ათეულ ათასობით ადამიანი დაიღუპა; გარდა ამისა, ავტონომიური რესპუბლიკა მისი კანონიერი მოსახლეობის სამმა მეოთხედმა დატოვა. დევნილებად იქცა თითქმის 300 ათასი ქართველი, 40 ათასამდე აფხაზი (ანუ აფხაზთა თითქმის ნახევარი), ათასობით ბერძენი, ესტონელი, უკრაინელი, ებრაელი, რუსების ნაწილი და ა.შ. მიმდინარე აღრიცხვის მონაცემებით, 1992 წლის იანვრისთვის, ანუ ომამდე აფხაზეთის მოსახლეობა 535 ათასს შეადგენდა. 1997 წლისთვის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა 145 986 კაცამდე შემცირდა. შემდგომში ეს მონაცემები საგრძნობლად არ შეცვლილა, თუმცა სეპარატისტთა ოფიციალური სტატისტიკა აშკარად არარეალურ ციფრს ასახელებს – 240 705 კაცს. აქედან აფხაზურ ეროვნებას ვითომ 122 690 კაცი მიეკუთვნება, რაც აშკარა სიცრუეა. სინამდვილეში ეთნიკურ აფხაზთა რიცხვი ომამდელი 94 767 კაციდან 53 993 კაცამდე შემცირდა (1997 წლის მონაცემები) და შემდგომში მექანიკური გზით, კერძოდ, მუჰაჯირთა შთამომავლების ჩამოსახლება, უმნიშვნელოდ გაიზარდა. რაოდენობის მხრივ,

144. იქვე, გვ. 144-145.

145. იქვე, გვ. 107, 151, 152, 169-170.

ეთნიკურ აფხაზეზს არ ჩამოუვარდებიან საკმაოდ მრავალრიცხოვანი სომხური და რუსული თემები.

მთლიანობაში, ომის შედეგად ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა 388 075 კაცით (72,7 პროცენტით), ანუ 3,7 ჯერ შემცირდა. სხვა ეთნიკურ ჯგუფებზე მეტად ქართული მოსახლეობა დაზარალდა. 1992 წლის 1 იანვრისთვის მისი რაოდენობა 244 872 კაცს (მონაცემები აშკარად შემცირებულია) შეადგენდა, ეთნონმენდის შემდეგ (1997 წლისთვის) – 43 442 კაცს. ამრიგად, ეთნიკური ქართველების რაოდენობა სულ ცოტა 201 430 კაცით – 82,2% ანუ 5,64 – ჯერ შემცირდა¹⁴⁶.

ამრიგად, რუსეთის შეიარაღებული ძალების გადამწყვეტი მონაწილეობით აფხაზეთში განხორციელდა ქართული მოსახლეობის გენოციდი. აფხაზეთის ტრაგედიის ამგვარ შეფასებას შეიცავენ საქართველოს პარლამენტის, პრეზიდენტისა და მთავრობის მრავალრიცხოვანი აქტები, მათ შორის:

1. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აპარტიდული და რასისტული საკანონმდებლო პრაქტიკის შესახებ“. 1994 წლის 10 მარტი;

2. საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულება აფხაზეთში გუდაუთელ სეპარატისტთა მიერ ქართული მოსახლეობის მიმართ მოწყობილი ეთნიკური წმენდის-გენოციდის, აგრეთვე კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ სხვა დანაშაულობათა თაობაზე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის ინფორმირების შესახებ. – 1994 წლის 12 სექტემბერი;

3. საქართველოს მინისტრთა კაბინეტის დადგენილება №900. 1994 წლის 31 დეკემბერი;

4. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს შესახებ“. – 1995 წლის 24 თებერვალი;

5. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ“. – 1996 წლის 17 აპრილი;

6. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე. – 1996 წლის 2 ოქტომბერი;

7. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „აფხაზეთში სეპარატისტული რეჟიმის მიერ შექმნილი მძიმე ვითარებისა და უკანონო არჩევნების დანიშვნით გამოწვეული კრიზისული მდგომარეობის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ“. – 1996 წლის 2 ოქტომბერი;

146. Очерки из истории Грузии. Абхазия. Тбилиси, 2009, с. 572.

8. საქართველოს პარლამენტის განცხადება. – 1996 წლის 26 ნოემბერი;

9. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №6 ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე და რუანდაში ჩადენილი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დარღვევისათვის პასუხისმგებელ პირთა სასამართლო დევნისათვის შექმნილ საერთაშორისო ტრიბუნალებთან საქართველოს აქტიური თანამშრომლობის უზრუნველყოფის შესახებ. – 1997 წლის 6 იანვარი;

10. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №7 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1997 წლის 30 იანვრის №1096 რეზოლუციიდან გამომდინარე გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ. – 1997 წლის 1 თებერვალი;

11. საქართველოს პარლამენტის განცხადება. – 1998 წლის 1 აპრილი;

12. საქართველოს პარლამენტის განცხადება. – 1998 წლის 27 მაისი;

13. საქართველოს პარლამენტის მიმართვა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროსა და ფედერაციის საბჭოსადმი. – 202 წლის 26 აგვისტო;

14. საქართველოს პარლამენტის განცხადება. – 2003 წლის 30 იანვარი;

15. საქართველოს პარლამენტის დადგენილება აფხაზეთში გაეროს წესდების VII თავის ამოქმედების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ. – 2003 წლის 16 ივლისი¹⁴⁷.

აფხაზეთში დარჩენილ ქართულ მოსახლეობას ელემენტარული უფლებები არ გააჩნია. მათ „უცხოელების“ სტატუსი აქვთ და მხოლოდ ბინადრობის შეზღუდული უფლებით სარგებლობენ. თანაც ამ უფლების მოსაპოვებლად წელიწადში ორჯერ სოლიდური თანხა უნდა გადაიხადონ. ბინადრობის უფლების მქონე პირები ვერ მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ეკრძალებათ ეკონომიური აქტიურობა, ჩამორთმეული აქვთ თავისუფლად გადაადგილების, აგრეთვე მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება და საერთაშორისო სამართლით გარანტირებული სხვა ფუნდამენტური უფლებები. ამის თაობაზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ყოველკვარტალურად ადგენს ანგარიშებს და წარუდგენს მას საერთაშორისო ორგანიზაციებს¹⁴⁸.

147 აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში. ნან. I, გვ. 317-322, 379-380, 421-430, 439-440; აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში, ნან. II, გვ. 49-55, 97-102, 122-123, 135-136, 140-142, 201, 212-213; აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში, ნან. III. ვ. ყოლბაია, თ. ჭახრაკია, დ. ლაცუზბაია. თბილისი, 2004, გვ. 292-294, 328-330, 384-386.

148. [https://www.google.ge/#q=Third+Quarterly+Report+\(July+Septem-](https://www.google.ge/#q=Third+Quarterly+Report+(July+Septem-)

საერთო ჯამში, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის რაოდენობა იქ დარჩენილებს 3,5-ჯერ აღემატება. ამიტომ ეუთომ თვით რუსეთის მონაწილეობით არაერთხელ აღიარა და დაგმო აფხაზეთში ჩატარებული ეთნონმენდა: 1994 წლის 6 დეკემბერს ბუდაპეშტში, 1996 წლის 3 დეკემბერს ლისაბონში და 1999 წლის 18 ნოემბერს სტამბულში.

მოტანილი მშრალი სტატისტიკური მონაცემები და ეუთოს ზოგადი ხასიათის რეზოლუციები მიახლოებითაც კი ვერ ასახავენ აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის სიმძიმეს, მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის მასობრივი ხოცვა-ჟლეტის მასშტაბებს, ადამიანთა ნამების გაუგონარ ფორმებსა და მეთოდებს, არნახულ სისასტიკეს. მსგავსი რამ არ ახსოვს ორი მსოფლიო ომის მომსწრე XX საუკუნეს. აფხაზეთის ტრაგედიის ანალოგები შუასაუკუნეებში და უფრო შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ.

ათასობით ადამიანია დახვრეტილი არნახული მეთოდებით ღირსების შელახვისა და ნამების შემდეგ. ძალიან ხშირად სეპარატისტები და ოკუპანტები თავიანთ მსხვერპლს ორმოს ამოთხრას აძიულებდნენ და მერე მასში ცოცხლად მარხავდნენ. ცნობილია ცალკეული ადამიანების, მთელი ოჯახების, ზოგჯერ ადამიანთა დიდი ჯგუფის ამა თუ იმ შენობაში, მათ შორის საკუთარ სახლებში ჩაკეტვისა და ცოცხლად დაწვის მრავალი შემთხვევა. უამრავია აგრეთვე როგორც ცოცხალი ადამიანებისთვის, ისე დახოცილებისთვის ბენზინის გადასხმისა და დაწვის მაგალითები. ეტყობა, ოკუპანტებს დიდ სიამოვნებას ანიჭებდა დახვრეტის წინ უმწეო ადამიანების სასტიკი წამება – ხელებისა და ფეხების, აგრეთვე ცხვირის, ყურების, ენის, სასქესო ორგანოების მოკვეთა, თვალების დათხრა, ფრჩხილებისა და კბილების მოძრობა. მრავალი მაგალითია ცნობილი, როდესაც ტყვედ აყვანილ მამაკაცებს ჯერ აყურებინებდნენ, თუ როგორ აუპატიურებდნენ მათ დედებს, მეუღლეებს, ქალიშვილებს, დებს, მერე ყველას ერთად ფიზიკურად ანადგურებდნენ. არც თუ ისე იშვიათი იყო შემთხვევები, როდესაც მოძალადეები დახვრეტილი ადამიანების დასაფლავების საშუალებას არ აძლევდნენ მათ ახლობლებს, რათა გვამები ძაღლებისა და ღორების საჯიჯგნი გამხდარიყვნენ. 1992 წლის სექტემბერში სოფელ ბზიფში (გაგრის რაიონი) მოკლული გიორგი აბრამიშვილის ხორცის ნაჭრები ჯერ დაამარილეს, მერე მისსავე ფეხსაცმელში ჩაალაგეს და მეუღლეს გაუგზავნეს. 1993 წლის 10 ოქტომბერს სოფელ ზემო კელასურის (სოხუმის რაიონი) მკვიდრს იროდიონ ფიფიას გული ამოაჭრეს და ძაღლებს მიუგდეს. ხშირი იყო ამ XX-XXI საუკუნეების კაციჭამიების მიერ მსხვერპლის სხეულის დანანევრების, ადამიანთა

[ber+2016\)+of+the+Ministry+of+Foreign+Affairs+of+Georgia+on+the+Human+Rights+Situation+in+the+Occupied+Regions+of+Georgia](#)

მოკვეთილი თავებით ბურთის თამაშის, ან ამ თავების თვალსაჩინო ადგილას სარებზე ჩამოცმის ფაქტები. ეთნიკური წმენდისა და გენოციდის საკმაოდ გავრცელებული ფორმები იყო ადამიანების ხეებზე ან ელექტრობოძებზე ჩამოკიდება, აგრეთვე საკუთარი ეზოს ქაში ჩახრჩობა. ამით ისინი ორ მიზანს აღწევდნენ: კონკრეტული ადამიანის წამებას, მის ფიზიკურ განადგურებას და საარსებო წყლის ხშირად ერთად-ერთი წყაროს – ქის სამუდამოდ გაფუჭებას.

ოკუპანტები და სეპარატისტები განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდნენ ქალებს, მათ შორის ორსულებს. კოლექტიური გაუპატიურება, აუცილებლად მკერდისა და სხეულის სხვა ნაწილის მოკვეთა, თვალების დათხრა, ორსულებისთვის მუცლის გამოფატვრა, ბოლოს კი ცოცხლად დაწვა ან დახვრეტა იყო მოძალადეთა ხელში ჩავარდნილი ქალების დიდი ნაწილის ხვედრი. არც ბავშვებს ჰქონდათ რაიმე შეღავათი. მათ მშობლებთან ერთად ხოცავდნენ. აფხაზეთის ტრაგედიის თვითმხილველი რუსი ჟურნალისტი მიხეილ აიდიონოვი ერთ-ერთ თავის წერილში¹⁴⁹ გვამცნობს ასეთი შემზარავი ფაქტების შესახებ: “ახალდაბაში (ოჩამჩირეს რაიონი – ავტ.) ბავშვებს ხელები და ფეხები გადაუმტვრიეს, სარებზე დასვეს, ერთ ბავშვს ტანკით გადაუარეს. სტადიონზე გაუპატიურებული ქალები ცოცხლად დაწვეს. ბავშვი გაატყავეს, ხორცზე წააწერეს: “ქართული ძალღი იყიდება კუბონზე“ (დროებითი ფულის ერთეული მაშინდელ საქართველოში – ავტ.). კომენტარები ზედმეტია.

ოკუპანტები და სეპარატისტები არ ინდობდნენ ლოგინს მიჯაჭვულ ინვალიდებსა და სხვა მძიმე ავადმყოფებს, რომლებსაც პირდაპირ სანოლში ხოცავდნენ. გაუგონარ აგრესიას იჩენდნენ მოხუცების მიმართაც. მაგალითად, საკუთარ სახლებში ცოცხლად დაწვეს 103 წლის დურუ ტაბალუა (სოფელი ოტობაია, გალის რაიონი), 96 წლის მარინე გოგუა (სოფელი ლინდავა, სოხუმის რაიონი), 90 წლის ლუშა ცაავა (სოფელი შრომა, სოხუმის რაიონი) და მრავალი სხვა.

აფხაზეთში განხორციელებული ეთნიკური წმენდისა და გენოციდის მსხვერპლნი უპირატესად ქართველები გახდნენ, მაგრამ სეპარატისტებმა და ოკუპანტებმა მათთან ერთად ასობით სხვა ეროვნების წარმომადგენელიც დახოცეს. მათ ბრალად ედებოდათ ქართველთა გადარჩენის მცდელობა. ასე მაგალითად, 1993 წლის ნოემბერში სოფელ ოდიში (სოხუმის რაიონი) ჯერ დახვრიტეს და მერე მის სახლში შეფარებულ 13 მეზობელ ქართველთან ერთად დაწვეს ბერძენი მერი ანასტასიადი. მსგავსი “დანაშაულისთვის“ დახვრეტილთა შორის, გარდა ბერძნებისა, არიან თვით აფხაზები, რუსები, სომხები, ებრაელები, უკრაინელები და სხვა ეროვნების

ნარმომადგენლები. მათგან დავასახელებთ ოჩამჩირელ ბრანისლავა იგუმენოვას, რომელიც 1993 წლის დეკემბერში იმისათვის დახვრიტეს, რომ სეპარატისტთა ბოევიკებს განუცხადა: “მსგავს რამეს ფაშისტებიც კი არ ჩადიოდნენ”.

სეპარატისტებმა და ოკუპანტებმა ტყვედ აიყვანეს და დახვრიტეს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე ყიული შარტავა, მთავრობის წევრები რაულ ეშბა, სუმბატ სააკიანი, თამაზ ხარბედია, ქ. სოხუმის მერი გურამ გაბესქირია; სიცოცხლეს გამოასალმეს აგრეთვე მათი თანმხლები მაღალი თანამდებობის პირები ჯუმბერ ბეთაშვილი, მამია ალასანია და სხვები. ოკუპანტები არ ინდობდნენ სასულიერო პირებსაც. მათ შეიპყრეს და დახვრიტეს კომანის მონასტრის წინამძღვარი ახალგაზრდა მღვდელმონაზონი ანდრია (ყურაშვილი) და იპოდიაკონი იური (გიორგი) ანუა.

აფხაზეთში ჩატარებული ეთნონმენდისა და გენოციდის მსხვერპლთა შესახებ არსებული მონაცემები არასრულია. დღემდე ვერ ხერხდება სეპარატისტებისა და ოკუპანტების მიერ აფხაზეთის დაპყრობის დღეებში მასობრივად დახოცილთა შესახებ მონაცემთა სრული ბაზის შექმნა. მაგალითად, საკმაოდ ინფორმირებული მოსკოვური გაზეთის «Россия»-ს ცნობით, სოხუმის ალების დღეებში 6 ათასამდე ადამიანი დაიხოცა¹⁵⁰; არსებული მონაცემების მიხედვით კი, ქ. სოხუმში დახოცილ მშვიდობიან მოქალაქეთა რაოდენობა 1200 კაცს ოდნავ აღემატება (იხ. ნაწილი IV.3). თვითმხილველები ჰყვებიან, რომ ქალაქის ქუჩები ქართველთა ცხედრებით იყო მოფენილი, მარტო ნ. კურჩენკოს პარკში 400 ადამიანი დაუხოცავთ. მიცვალებულთა ცხედრები ზღვაშიც ეყარა. რთული აღმოჩნდა მათი იდენტიფიცირება, აგრეთვე იმ პირთა ვინაობის დადგენა, ვინც ოკუპაციის დასრულების შემდეგ აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებში ოკუპანტებმა და სეპარატისტებმა დახოცეს. მაგალითად, ზემოხსენებული ჟურნალისტი მიხეილ აიდიონოვი გვაუწყებს, რომ “სოფელ კინდღში (ოჩამჩირის რაიონი – ავტ.) ყველა ადგილობრივი მაცხოვრებელი ქართველი ჩამოახრჩვეს”¹⁵¹. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. კოზირევი იძულებული იყო 1993 წლის 15 ოქტომბერს გამართულ პრეს-კონფერენციაზე ელიარებინა: “ის, რაც დღეს სოხუმში ხდება, არის ეთნიკური წმენდა”. იმჟამად სოხუმში ჩასული ი. დიაკოვი კი 1993 წლის 19 ოქტომბერს გაზეთში «Известия» მოწმობს: “აფხაზეთში მეფობს გენოციდი”; მან პირადად იხილა “ათეულობით ცხედარი ზღვაში”, “ქალები გამოფატრული მუცლით”, “მოკვეთილი თავები, რომლებიც პლაჟზეა დაყრილი”. რა თქმა უნდა, მათი უმეტესობის ვინაობა,

150. Россия, № 42, 1993.

151. Век, № 40, 1993.

სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით უცნობია, თუმცა დალუპულთა სრული სიის დასადგენად მუშაობა დღემდე მიმდინარეობს.

აფხაზეთში ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ამსახველი ეს და სხვა კიდევ უფრო შემადრწუნებელი ფაქტები, როგორც ზემოთაც აღინიშნა, თავმოყრილია ინგლისურ და რუსულ ენებზე გამოცემულ წიგნებში: „ისტერნატიონალ სოციეტყ ტო ბრინგ ა ვერდიცტ ონ ტჰე ტრაგედყ ოფ აბჰაზია/ჩეორგია. თბილისი, 2015“ (<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/117908>) და «Трагедия Абхазии, Грузия на суд Российской общественности. Тбилиси, 2016» (<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/180785>). მათში მოცემულია მომხდარი ტრაგედიის მაღალკვალიფიციური სამართლებრივი ანალიზიც. გაკეთებულია დასაბუთებული დასკვნა, რომ ოკუპანტებმა და სეპარატისტებმა აფხაზეთში განახორციელეს ქართული მოსახლეობის მიზანმიმართული ეთნიკური წმენდა და გენოციდი.

მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდისა და გენოციდის მსხვერპლთა რიცხვს მიეკუთვნებიან უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანებიც (IV.10). აქვე არ შეიძლება უდიდესი სინანულით არ ვახსენოთ იმის შესახებაც, რომ ქართველი მეომრების, ძირითადად უკონტროლო ფორმირებების წარმომადგენელთა, ხშირად კი ყაჩაღების ხელით აფხაზეთში ასამდე საქართველოს მოქალაქე, მათ შორის სამოცამდე მშვიდობიანი აფხაზი დაიღუპა (ნაწილი IV. 9). საქმეში ჩაუხედავი და არაკომპეტენტური ადამიანების გარდა, არავის შეუძლია უარყოს, რომ ეს არის ომის დანაშაული, აფხაზეთის ტრაგედიის ნაწილი. ასეთია სამწუხარო რეალობა. ამასთანავე აფხაზური მხარე მიზანმიმართულად აზვიადებს ამ ტრაგედიის, დანაშაულის მასშტაბებსა და სიმძიმეს, ამახინჯებს მის მოტივებს, ცდილობს საკუთარი დანაშაულის ქართველებზე გადაბრალებას. იგი შეგნებულად დუმს მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ ოკუპანტების მიერ წინასწარი განზრახვით განხორციელებული გენოციდის შესახებ და მუდმივად საუბრობს ქართველთა მხრიდან თითქოს აფხაზთა წინააღმდეგ მოწყობილი გენოციდის შესახებ¹⁵². აღნიშნული ცრუ ბრალდება, რომელიც წლების მანძილზე მთელს მსოფლიოს მიენოდება და საერთაშორისო თანამეგობრობის დეზინფორმირების მიზანს ემსახურება, მთლიანად ბათილდება თვით აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების ოფიციალური მონაცემებით. სრული სახით იგი პირველად 1993 წელს, საომარი მოქმედებების დამთავრებისთანავე, მოსკოვში გამოქვეყნდა¹⁵³, მოგვიანებით კი მისი გადამუშავებული ვარიანტი აფხაზეთის

152. იხ. ამის შესახებ: Отечественная война Абхазии и „грузинские беженцы“. Документы и материалы. Составитель Т. А. Ачугба. Сухуми, 2003.

153. Белая книга Абхазии. Документы, материалы, свидетельства. Москва, 1993,

დე-ფაქტო პროკურატურის ვებგვერდზე იქნა განთავსებული¹⁵⁴. აღნიშნული მონაცემები, როგორც ზემოთ უკვე ითქვა (იხ. შესავალი), არაპროფესიონალურად არის შედგენილი, შესაბამისად, მათი სანდოობის ხარისხიც დაბალია. აფხაზეთის დე-ფაქტო პროკურატურის მირ დამუშავებული მასალა, რომელსაც თითქოს უნდა დაედასტურებინა ქართული მხარის მიერ აფხაზთა წინააღმდეგ ჩადენილი გენოციდის დანაშაული, სინამდვილეში წარმოადგენს საუკეთესო და ყველაზე დამაჯერებელ მტკიცებულებას აფხაზთა გენოციდის ფაქტის უარსაყოფად. კონფლიქტის ორივე მხარის მიერ წარმოდგენილი მასალების (ნაწილი IV) შეჯერება სრულიად ნათელს ხდის, რომ სეპარატისტებისა და ოკუპანტების მიერ წინასწარი განზრახვით ჩადენილი დანაშაული შეუდარებლად უფრო მძიმეა, ვიდრე ქართველებისა და სულ სხვა მიზნებით არის მოტივირებული. რაც ყველაზე მთავარია, აფხაზები არ გამხდარან და ვერც გახდებოდნენ წინასწარ დაგეგმილი ეთნიკური წმენდისა და გენოციდის მსხვერპლნი, თუნდაც იმიტომ, რომ მათ კომპაქტურ დასახლებებში ქართული რეგულარული სამხედრო შენაერთები არც შესულან. ისინი ძირითადად საკუთარ დასახლებულ პუნქტებს იცავდნენ და მონინააღმდეგის თავდასხმებს იგერიებდნენ. საოკუპაციო ძალებმა კი ამ დროს წინასწარი განზრახვით მიწასთან გაასწორეს ასობით ქართული დასახლებული პუნქტი, დახოცეს ან თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან განდევნეს ძირითადად ეთნიკური ქართველები, დაიტაცეს და დღემდე უკანონოდ ფლობენ, ან მოსპეს მისი კუთვნილი აურაცხელი ქონება ქალაქად და სოფლად.

კონფლიქტის ამა თუ იმ მხარის მიერ აფხაზეთში მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ჩადენილი დანაშაულის ხასიათზე საუბრისას აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ აფხაზი, სომეხი და სხვა ეროვნების საქართველოს მოქალაქეთა წინააღმდეგ ომის დანაშაულის ჩამდენი პირები ქართულმა სახელმწიფომ კანონის მთელი სიმკაცრით დასაჯა როგორც საომარი მოქმედებების პერიოდში, ისე მათი დასრულების შემდეგაც. ქართველთა გენოციდის ჩამდენი ოკუპანტები და სეპარატისტები კი არა თუ არ დასჯილან, პირიქით, მოხდა მათი მორალური და მატერიალური ნახალისება.

ტრაგედია, რომელიც ეთნიკური წმენდისა და გენოციდის სახით თავს დაატყდათ ქართველებს, წარმოადგენს აფხაზეთის ხელში ჩაგდების, საქართველოსაგან მისი მოწყვეტის ხანგრძლივი, მიზანმიმართული და გეგმაზომიერი კრემლისეული პოლიტიკის უშუალო შედეგს. 1993 წლის სექტემბერში დასრულდა ამ პოლიტიკის

c. 143-191.

154. www.abkhaziya.org.

რელიზაციის უმნიშვნელოვანესი ეტაპი. ქართველთა ეთნიკური წმენდა და გენოციდი ხორციელდებოდა და ხორციელდება სეპარატისტთა სახელით და მათი მონაწილეობითაც. მიუხედავად ამისა, მთავარი პასუხისმგებლობა მომხდარზე რუსეთის ფედერაციას ეკისრება. სწორედ მან შეამზადა და მოახდინა ომის პროვოცირება აფხაზეთში; ის აიარალებდა სეპარატისტებს, რუსეთიდან შემოგზავნილ ბანდიტურ ფორმირებებს; როგორც აქვე მეორე ნაწილშია ნაჩვენები, ომის ტრაგიკული შედეგები საბრძოლო მოქმედებებში რუსეთის რეგულარული შენაერთებისა და რუსული გენერალიტეტის სეპარატისტთა მხარეზე მონაწილეობამ განაპირობა; მოსკოვი იცავდა და იცავს პასუხისმგებლობისაგან ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ საზარელ ბოროტმოქმედებათა უშუალო შემსრულებლებს.

1. 8. აფხაზეთის ოკუპაციისა და მცოცავი ანექსიის რუსული პოლიტიკა

აფხაზეთში საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ ქართულმა მხარემ სერიოზული, ზოგჯერ არაპოპულარული ნაბიჯებიც გადადგა, რათა რუსულ-ქართული ურთიერთობების რადიკალური გაუმჯობესება მომხდარიყო. ამ მიზნით, 1993 წლის ოქტომბერში საქართველომ მიიღო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) გაწევრიანების გადაწყვეტილება. იმავე წლის 3 დეკემბერს საქართველო უკვე დსთ-ს წევრი გახდა, 9 დეკემბერს კი მის წესდებასაც მიუერთდა. რუსეთთან მეტი დაახლოების მიზნით, ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებად, როგორც ეს საბჭოთა ეპოქაში ხდებოდა, კრემლის მიერ რეკომენდებული კადრები დაინიშნენ: თავდაცვის მინისტრად – ვარდიკო ნადიბაიძე (1994 წლის 25 აპრილი-1998 წლის 27 აპრილი), შინაგან საქმეთა მინისტრად – შოთა კვიციანი (1994 წლის 31 მარტი-1995 წლის 2 სექტემბერი), სახელმწიფო უშიშროების მინისტრად – იგორ გიორგაძე (1993 წლის 12 ოქტომბერი-1995 წლის 2 სექტემბერი).

რუსულ-ქართული ურთიერთობების დასარეგულირებლად დსთში გაწევრიანების შემდეგ სულ მალე მორიგი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. 1994 წლის 3 თებერვალს, საქართველოში რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის ვიზიტის დროს, ხელი მოეწერა ორ ქვეყანას შორის ჩარჩო ხელშეკრულებას „მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ“. ქართული მხარე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აღნიშნულ ხელშეკრულებას. ბორის ელცინის ვიზიტისა და გაფორმებული ჩარჩო ხელშეკრულების შეფასებისას, ე. შვეარდნაძე ოდნავ მოგვიანებით აღნიშნავდა, რომ ჩვენ მაშინ

ვანარმოებდით მოლაპარაკებას სტრატეგიული მოკავშირეობის, საქართველოსა და რუსეთის სტრატეგიული ინტერესების თანხვედრის, სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ¹⁵⁵.

რუსეთთან სტრატეგიული ურთიერთობის დამყარებისთვის ხელი უნდა შეეწყოს გადანყვეტილებას აფხაზეთში დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების განთავსების შესახებ. 1994 წლის 21 ივნისს რუსული სამხედროებით დაკომპლექტებული, მაგრამ დსთ-ს სახელით მოქმედი სამშვიდობო ძალები აფხაზეთში შევიდნენ. მათი მანდატი ითვალისწინებდა აფხაზეთში კონფლიქტის სრულმასშტაბიანი დარეგულირებისთვისა და დევნილთა დაბრუნებისთვის ხელშეწყობას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთს მიეცა აფხაზეთის ომში საქართველოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გამოსყიდვის უნიკალური შანსი, მით უმეტეს, თბილისში ვიზიტისას ბ. ელცინმა აღიარა რუსეთის პასუხისმგებლობა ამ ომში. მშვიდობისმყოფელის სტატუსი, სამშვიდობო მანდატით გათვალისწინებული მოვალეობების კეთილსინდისიერი შესრულება რუსეთის ფედერაციას მაღლიერ საქართველოსთან სტრატეგიული კავშირის დამყარების გარანტიას აძლევდა. ასეთი შანსი სავსებით რეალური ჩანდა 1995 წლის 22 მარტს საქართველოსა და რუსეთის თავდაცვის მინისტრების ვ. ნადიბაიძისა და პ. გრაჩოვის ხელმოწერით მოხდა ორ ქვეყანას შორის სამხედრო თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების პარაფირება. ხელშეკრულება ითვალისწინებდა საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა პერიოდიდან არსებული ოთხივე რუსული სამხედრო ბაზის (ვაზიანი, ახალქალაქი, ბათუმი, გუდაუთა) 25 წლით შენარჩუნებას შემდგომში ამ ვადის გაგრძელების პერსპექტივით. ხელშეკრულებაში აღნიშნული იყო, რომ იგი პასუხობდა როგორც რუსეთის, ისე საქართველოს ინტერესებს. დოკუმენტში ჩაიდო მისი რატიფიკაციისთვის აუცილებელი პირობებიც – რუსეთის დახმარება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და ქართული შეიარაღებული ძალების შექმნაში.

ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებათა გაფორმებითა და ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებად რუსეთისთვის მისაღები კადრების დანიშნით ქართული მხარე ცდილობდა რუსეთთან სტრატეგიული კავშირის დამყარებას და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, მაგრამ ამაოდ. საერთოდ არ მომხდარა ორი მთავარი ხელშეკრულების რატიფიკაციაც კი. პირველ რიგში, ეს ეხება 1994 წლის 3 თებერვლის ხელშეკრულებას „მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ“. ორწლიანი ლოდინის შემდეგ, 1996 წლის 17 იანვარს, საქართველოს პარლამენტმა ცალმხრივი წესით

155. საქართველოს რესპუბლიკა, 1995, 25 მარტი.

მოახდინა მისი რატიფიკაცია, რუსეთის დუმა კი ხელშეკრულების განხილვასაც არ შესდგომია. შესაბამისად, 1994 წლის 3 თებერვლის ხელშეკრულება ძალაში არ შესულა. ამრიგად, რუსეთის ფედერაციამ თავად თქვა მკაფიო უარი საქართველოსთან „მეგობრობაზე, კეთილმეზობლობასა და თანამშრომლობაზე“, შესაბამისად, სტრატეგიული კავშირის დამყარებაზე. ცხადზე უცხადესია, რომ მას არ აწყობდა ხელშეკრულებაში ცალსახად დაფიქსირებული ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი. ამავე მიზეზით კრემლმა უარი თქვა 1995 წლის 22 მარტის სამხედრო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე – კონფლიქტის მოგვარებასა და ქართული არმიის შექმნაში ხელშეწყობაზე, ანუ მან არ მოისურვა საქართველოსთან სამხედრო თანამშრომლობა და მასთან სტრატეგიული კავშირის დამყარება. პირიქით, რუსეთი აქეზებდა სეპარატისტებს საქართველოს წინააღმდეგ, ეხმარებოდა მათ უკანონო სამხედრო ფორმირებების ჩამოყალიბებაში. ამიტომაც აღნიშნული ხელშეკრულების რატიფიკაცია არ მომხდარა და ვერც მოხდებოდა. ამის გამო, რუსეთის სამხედრო ბაზებმა, ეუთოს სტამბულის სამიტის (1999 წლის 17-18 ნოემბერი) გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს ტერიტორია ეტაპობრივად (2001 და 2006-2007 წლებში) დატოვეს. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე კანონიერ სამხედრო ყოფნას რუსეთმა ორი რეგიონის ოკუპანტის სტატუსი ამჯობინა.

რუსეთის ფედერაციის მკვეთრად გამოხატული იმპერიული მიზნებიდან გამომდინარე, სრულიად არაეფექტური აღმოჩნდა დსთ და მისი ეგიდით წარმოებული სამშვიდობო ოპერაცია. მოსკოვი აშკარად არ იყო და არც დღეს არის დაინტერესებული ნამდვილად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ნამდვილი თანამეგობრობის მშენებლობასა და შემდგომ გაძლიერებაში, მისი ეფექტურობის ამაღლებაში, დსთ-ს შიგნით არსებული ე. წ. ეთნოკონფლიქტების მოგვარებაში, მასში შემავალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში. რუსეთის ღიად გაცხადებული მიზანია ევრაზიული კავშირის სახელით შენიღბული სსრ კავშირის რენაიმაცია. როგორც კრემლის არაოფიციალური იდეოლოგი და ვლადიმერ პუტინის მეხოტბე, ცნობილი პოლიტოლოგი ა. დუგინი წერს, დსთ არის მომავალი ევრაზიული იმპერიის ქვაბული (котлован). მომავალი იმპერია კი, ა. დუგინის აზრით, შესაძლოა, მშვიდობიანი გზით აშენდეს, თუმცა ამ მიზნის მისაღწევად სამხედრო ძალის გამოყენების აუცილებლობასაც არ გამორიცხავს. ზოგიერთ შემთხვევაში, – წერს იგი, – სამხედრო ფაქტორი ამ საქმეში გადამწყვეტი შეიძლება გახდეს. მომავალი იმპერიის აღსადგენად სამხედრო ფაქტორის გამოყენების წარმატებულ მაგალითად ა. დუგინს 2008 წლის

ავგისტოს რუსეთ-საქართველოს ომი მიაჩნია. კრემლის გეგმებში კარგად გარკვეული პოლიტოლოგი ჯერ კიდევ 2009 წელს „ნინასწარმეტყველურად“ წერდა: „არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ჩვენ მოგვიწევს ყირიმისა და აღმოსავლეთ უკრაინისთვის“ ბრძოლა. ამასთან დაკავშირებით, ა. დუგინმა ხუთი წლით ადრე დაანონსა რუსეთ-უკრაინის სამხედრო შეტაკება. 2009 წელს იგი წერდა, რომ ორ ქვეყანას შორის „პირდაპირი სამხედრო შეტაკების ალბათობა დღეს არც თუ ისე არარეალური ხდება“. კომენტარები ზედმეტია.

რა თქმა უნდა, დსთ-ს არც ერთ წევრ სახელმწიფოს არ სურს მომავალი იმპერიის „ქვაბულის“ როლის შესრულება. ამიტომაც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შიგნით ხშირად წარმოიშობა დაპირისპირება, მათ შორის ომებიც, რის გამოც იგი უფრო და უფრო ემსგავსება შეურიგებელ მოწინააღმდეგეთა, ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილ სახელმწიფოთა ნაძალადევ გაერთიანებას, ვიდრე თანამეგობრობას. დსთ-ში მიმდინარე პროცესები მხოლოდ იმაზე მიუთითებენ, რომ იგი შეიძლება გახდეს მომავალი იმპერიის არა ქვაბული, არამედ სამარხი. თანამეგობრობა თანდათანობით სუსტდება და ფაქტობრივად დაშლისკენ მიექანება. ამის თვალსაჩინო მაგალითია 2008 წლის ავგისტოს ომი, რომელმაც კიდევ უფრო დააჩქარა დეზინტეგრაციული პროცესები. მხედველობაში გვაქვს საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 14 ავგისტოს გადაწყვეტილების საფუძველზე, 2009 წლის 18 ავგისტოს საქართველოს მიერ დსთ-ს დატოვება. უკრაინა, რომელსაც ხელი არა აქვს მოწერილი დსთ-ს წესდებისთვის, ხშირად გამოთქვამს „თანამეგობრობის“ დატოვების სურვილს. თურქმენეთი ჯერ კიდევ 2005 წლიდან დსთ-ს მხოლოდ ასოცირებული წევრია. ამრიგად, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა ვერ იქცა პოსტსაბჭოთა სივრცეში ინტეგრაციული პროცესების მექანიზმად, როგორც ეს თავიდან იყო ჩაფიქრებული. იგი ვერც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ცივილურად გაყრის მექანიზმად ჩამოყალიბდა. არც თუ ისე შორეულ მომავალში დსთ-ს დაშლა გარდუვალია.

სრული კრაზი განიცადა დსთ-ს მანდატით რუსეთის მიერ აფხაზეთში წარმოებულმა ე. წ. სამშვიდობო მისიამ, რომელიც ეთნიკური წმენდისა და გენოციდის შედეგების დაკანონებას ემსახურებოდა მხოლოდ. მოსკოვი კონფლიქტს კი არ აგვარებდა, არამედ ყველანაირად ამწვავებდა სიტუაციას, ახდენდა სისხლისღვრის პროვოცირებას (1998 წლის მაისის მოვლენები და ა. შ.). რუსეთის ნამდვილი „სამშვიდობო“ მიზნები თავიდანვე იყო სავსებით გამჭვირვალე და ქართული მხარისთვის სრულიად ნათელი. ამაზე მეტყველებენ საქართველოს პარლამენტის მრავალრიცხოვანი დადგენილებები და განცხადებები, ქვეყნის პირველი პირების გამოსვლები სხვადასხვა

საერთაშორისო ფორუმებზე. ასე მაგალითად, საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 30 მაისის დადგენილებაში „აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში დსთ-ს ეგიდით მყოფი რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების შემდგომი ყოფნის თაობაზე“ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „სამშვიდობო ძალები ფაქტობრივად სასაზღვრო ჯარების ფუნქციას ასრულებენ, რაც არსებითად მხარს უჭერს და აძლიერებს აფხაზეთის სეპარატისტულ რეჟიმს, რომელიც ამ მხარდაჭერის იმედით თავს არიდებს სამშვიდობო მოლაპარაკებებს და არ თანხმდება ლტოლვილების ეტაპობრივ დაბრუნებაზე“¹⁵⁶. პარლამენტის 2001 წლის 11 ოქტომბრის დადგენილებაში „აფხაზეთის ტერიტორიაზე შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით“ რუსეთი აღიარებულია კონფლიქტის მხარედ, მისი „მშვიდობისმყოფელები“ კი – „მესაზღვრეებად“ და მანდატის დამრღვევებად, როლებიც „ართუ კონფლიქტის მოგვარების ხელშემწყობად, არამედ გამღვივებლად გვევლინებიან“¹⁵⁷. ანალოგიური შეფასება მისცა საქართველოს პარლამენტმა რუს „მშვიდობისმყოფელებს“ 2002 წლის 20 მარტის დადგენილებაში „აფხაზეთში არსებული ვითარების შესახებ“, 2002 წლის 26 აგვისტოს მიმართვაში „რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროსა და ფედერაციის საბჭოსადმი, 2003 წლის 16 ივლისის დადგენილებაში „აფხაზეთში გაეროს წესდების VII თავის ამოქმედების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ და ა. შ.¹⁵⁸.

იღებდა რა ზემოაღნიშნულ და სხვა დადგენილებებს, საქართველოს პარლამენტი მუდმივად მოითხოვდა კონფლიქტის ზონიდან რუსი „სამშვიდობოების“ გაყვანას, რადგანაც ისინი მანდატით გათვალისწინებულ ვალდებულებას არ ასრულებდნენ. მანდატი კი გულისხმობდა კონფლიქტის სრულმასშტაბიან მოგვარებაში ხელშემწყობას, პირველ რიგში, დევნილთა უსაფრთხო დაბრუნებისთვის აუცილებელი პირობების შექმნას. რუსული „სამშვიდობო“ ოპერაცია კი, პირიქით, კონფლიქტის გაღვივების, აფხაზეთის საქართველოსაგან თანდათანობითი ჩამოცილების ოპერაციას წარმოადგენდა. ანალოგიური პოლიტიკა ტარდებოდა ცხინვალის რეგიონის მიმართაც. ამ პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად უნდა იქნეს განხილული პანკისის კრიზის ხელოვნურად შექმნა, მის ფონზე რუსეთში გაჩაღებული ანტიქართული ისტერია, საქართველოს ტერიტორიის ხშირი დაბომბვები, პრეზიდენტ ვ. პუტინის 2002 წლის 11 სექტემბრის ღია მუქარა საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის განხორციელების შესახებ და ა. შ. მეორე დღესვე, 12 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტმა თავის მიმართვაში გაეროს, ეუთოს,

156. აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში, ნაწ. II, გვ. 157-158.

157. აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში, ნაწ. III, გვ. 200.

158. იქვე, გვ. 235-239, 292-294, 384-386.

ევროკავშირს, ევროსაბჭოსა და ნატოსადმი დაგმო კრემლის მუქარა, ხოლო 13 სექტემბერს მიიღო დადგენილება ნატოში განევრიანების პროცესის დაწყების შესახებ. ეს პროცესი 2002 წლის 22 ნოემბერს პრეზიდენტ ე. შევარდნაძის მიერ ნატოს პრადის სამიტზე გაკეთებული სათანადო განცხადებით დაიწყო.

ნატოში განევრიანების პროცესი საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან 11 წლის, ცხინვალის რეგიონში რუსი „სამშვიდობების“ მოწვევიდან 10, დსთ-ში განევრიანებიდან 9 და აფხაზეთში რუსული „სამშვიდობო“ ძალების განლაგებიდან 8 წლის შემდეგ დაიწყო. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში სრულიად ნათელი გახდა, რომ რუსეთის ერთადერთ მიზანს საქართველოს ტერიტორიების მიტაცება წარმოადგენდა. ამ მიზნით მან უარი თქვა საქართველოსთან სამხედრო-სტრატეგიულ მოკავშირეობაზეც კი (1994 წლის 3 თებერვლის ჩარჩო ხელშეკრულებისა და 1995 წლის 22 მარტის სამხედრო ხელშეკრულების რატიფიკაციაზე უარის თქმა). 2002 წლისთვის, თუ უფრო ადრე არა, საქართველომ მთლიანად ამოწურა რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების რესურსი, რადგანაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ნორმალიზება შეუთავსებელი იყო საქართველოს დანაწევრების უკვე ამოქმედებულ რუსულ გეგმასთან.

საქართველოს საგარეოპოლიტიკური არჩევანი რუსეთისთვის გახდა კარგი საბაზი (და არა მიზეზი), რათა ზემოხსენებული გეგმის სისრულეში მოყვანა დაეჩქარებინა. სწორედ ამიტომ ბლოკავდა მოსკოვი აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარებისკენ მიმართულ ნებისმიერ ქართულ და ასევე საერთაშორისო ინიციატივებს. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ ქართულ – აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საკითხებში გაეროს გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენლის დიტერ ბოდენის გეგმა (2001 წელი), გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერის გეგმა (2008 წელი), ვაშინგტონის გეგმა (2008 წელი) და ა. შ. მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა, აღნიშნული გეგმები საფუძვლიან განხილვას მაინც იმსახურებდნენ, რათა მომხდარიყო კომპრომისული გადაწყვეტილების მიღება. მოვლენების ასეთი განვითარება კი კრემლს არანაირად არ აწყობდა.

„მშვიდობისმყოფელმა“ რუსეთმა თავისი ნამდვილი მიზნების რეალიზაცია მაშინ მოახდინა, როდესაც 2008 წლის აგვისტოში საქართველოს ტერიტორიების 20 % დაიპყრო და საერთაშორისო სამართლის ელემენტარული ნორმების უხეში დარღვევით 2008 წლის 26 აგვისტოს აფხაზეთის, აგრეთვე ცხინვალის რეგიონის „დამოუკიდებლობა“ აღიარა. ამ სახით „გაიფორმა“ რუსეთმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები. იმავე აქტით ორივე რეგიონი-

დან დევნილ თითქმის 500 ათასამდე ადამიანს კრემლმა საკუთარ სახლებში დაბრუნება ფაქტობრივად აუკრძალა. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციით რუსული „სამშვიდობო“ მისია დასრულდა, საქართველოს დსთ-ში ნევრობასაც ნერტილი დაესვა.

ისმის კითხვა: რა მოიგო რუსეთის ფედერაციამ საქართველოსთან მუდმივი დაპირისპირებით, მასთან დადებული ხელშეკრულებების (მათ შორის სამხედრო თანამშრომლობის შესახებ) რატიფიკაციაზე უარის თქმით, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფით, 2008 წლის აგვისტოს ომის გაჩაღებითა და ორი რეგიონის ვითომ აღიარებით, სინამდვილეში კი მათი ოკუპაციით? შეიძლება ითქვას, რომ ბევრი ვერაფერი მოიგო – ყოველ შემთხვევაში, მიიღო შეუდარებლად ნაკლები, ვიდრე მას საქართველოსთან მეგობრობა და კეთილმეზობლობა მოუტანდა. შეუძლებელია, რომ რუსეთი დიდად ბედნიერი იყოს 2008 წლის აგვისტოს ომში საქართველოსთვის მიყენებული უზარმაზარი ზიანით – ასობით ჯარიკაცისა და მშვიდობიანი მოსახლეობის დახოცვით, ქართველთა ეთნიკური წმენდისა და გენოციდის მოწყობით, ქვეყნის ნაწილის ოკუპაციითა და სამხედრო ბაზებზე მისი გადაქცევით, ეკონომიკური განვითარების დროებითი შეფერხებით და ა. შ. ეს „მიღწევები“ რუსეთისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა რეგიონში გადამწყვეტი გეოსტრატეგიული უპირატესობის მოსაპოვებლად. პირიქით, მოსკოვის გავლენა საქართველოზე, სამხრეთ კავკასიაზე მინიმუმამდე შემცირდა. მან ვერ მოახერხა საქართველოს ხელისუფლების დამხობა, თბილისში მარიონეტული რეჟიმის დასმა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ქვეყნის ინტეგრაციის დინამიური პროცესის შეჩერება; ვერ შეარყია დასავლეთის ინტერესი საქართველოსა და მთლიანად რეგიონის მიმართ. გარდა ამისა, აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარებით რუსეთმა რეალური საფრთხე შეუქმნა საკუთარ მთლიანობას, უჩვენა რა „მშვენიერი“ მაგალითი და პერსპექტივა საკუთარ ავტონომიებს.

საქართველოს მიმართ და ზოგადად პოსტსაბჭოთა სივრცეში აგრესიული ქმედებებით, საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგის აბუჩად აგდებით, ნატოსთან კონფრონტაციითა და მასთან უსაფუძვლო მეტოქეობით რუსეთმა მთელი ცივილიზებული დასავლური სამყარო დაიპირისპირა. 2008 წლის აგვისტოში სწორედ დასავლეთმა დაგმო რუსული აგრესია. საქართველოს დაცვაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ევროკავშირმა, მისი მაშინდელი ხელმძღვანელის, საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის პრინციპულმა პოზიციამ. ბატონ სარკოზის ძალისხმევით, 2008 წლის 12 აგვისტოს რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტებმა დიმიტრი მედვედევმა და მიხეილ სააკაშვილმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, საკუთარ სახლებში დევნილთა დაბრუნებას მხარს უჭერს მსოფლიო თანამეგობრობა, წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის გაერო, ნატო, ევროკავშირი, ევროსაბჭო, ეუთო. 2008 წლის აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით თბილისის ოფიციალური პოზიცია გაზიარებულია გაეროს გენერალური ასამბლეის სესიებზე მიღებული რეზოლუციებში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ადგილნაცვალ პირთა და ლტოლვილთა მდგომარეობის შესახებ (2009 წლის 9 სექტემბერი, 2010 წლის 7 სექტემბერი, 2011 წლის 29 ივნისი, 2012 წლის 3 ივლისი, 2013 წლის 13 ივნისი, 2014 წლის 5 ივნისი, 2015 წლის 3 ივნისი, 2016 წლის 7 ივნისი, 2017 წლის 1 ივნისი). საქართველოსადმი მხარდაჭერა გამოხატულია ისეთ საერთაშორისო აქტებში, როგორცაა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1633 (2008), 1647 (2009), 1683(2009) რეზოლუციები, ანგარიშები საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რაიონებში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ (SG/Inf (2009)7, SG/Inf (2009) 9, SG/Inf (2009) 15); ჩრდილოატლანტიკური საბჭოს განცხადება რუსეთის მიერ საქართველოს რეგიონების აღიარების შესახებ (2008წ. 27 აგვისტო), ნატოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტის შესახებ (2008წ. 18 ნოემბერი), საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ბრიუსელის შეხვედრის საბოლოო კომუნიკე (2008წ. 4 დეკემბერი), ნატოს საპარლამენტო ასამბლეის №382 რეზოლუცია საქართველოში არსებული ვითარების შესახებ (2010წ. 16 ნოემბერი), ნატოს ლისაბონის სამიტის კომუნიკე და დეკლარაცია (2010წ. 19-20 ნოემბერი და ა. შ.), ვარშავის სამიტის განცხადება (2016 წლის 8-9 ივლისი), თბილისში ჩატარებული ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დეკლარაცია (2017 წლის 29 მაისი), ბუქარესტში მიღებული ნატოს საპარლამენტო ასამბლეის (2017 წლის 9 ოქტომბერი) რეზოლუცია; ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა და ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისრის მოხსენება საქართველოში კონფლიქტის შედეგად გამოწვეული ომით დაზარალებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების შესახებ (2008წ. 27 ნოემბერი), ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციები მეზობელ და მოსაზღვრე ტერიტორიებზე შეიარაღებული ძალების გამოყენების დაუშვებლობის თაობაზე (2010წ. 6-10 ივლისი), „კონფლიქტი საქართველოში“ (2016 წლის 1-5 ივლისი) და ა.შ.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებულ მრავალრიცხოვან აქტებში რუსული აგრესია შეფასებულია როგორც საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია. ისინი შეიცავენ დაჟინებულ მოწოდებებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარების გაუქმების,

საქართველოდან საოკუპაციო ჯარების გაყვანის, დევნილთა უპირობო და ღირსეული დაბრუნების შესახებ. ამ მხრივ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს 2016 წლის 1-5 ივლისს თბილისში გამართული ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ერთსულოვანი პოზიცია საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებთან მიმართებაში. ასამბლეის რეზოლუციაში „კონფლიქტი საქართველოში“, რომელსაც ხმა მისცა ეუთოს ყველა წევრმა სახელმწიფომ, გარდა რუსეთისა, ხაზგასმულია, რომ რუსეთი კვლავაც არღვევს საერთაშორისო სამართალს, ახდენს ევროკავშირის შუამავლობით 2008 12 აგვისტოს ხელმოწერილ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, აგრძელებს საქართველოს რეგიონების ოკუპაციისა და მცოცავი ანექსიის პოლიტიკას; რეზოლუციაში გამახვილებულია ყურადღება ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ მძიმე ჰუმანიტარულ სიტუაციაზე, ადამიანის უფლებების დარღვევებზე. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ასამბლეამ მოუწოდა რუსეთის ფედერაციას პატივი სცეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, გააუქმოს გადანყვეტილება საქართველოს რეგიონების აღიარების შესახებ და შეწყვიტოს მათი ოკუპაცია, უზრუნველყოს დევნილთა უსაფრთხო, ღირსეული და უპირობო დაბრუნება საკუთარ სახლებში, ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაუშვას ადამიანის უფლებების საერთაშორისო მონიტორინგი.

ასეთივე მყარი მხარდაჭერა გამოხატა საქართველოს მიმართ ნატოს ვარშავის სამიტმა, რომელიც ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის დასრულებიდან რამდენიმე დღეში, 2016 წლის 8-9 ივლისს, გაიმართა. ნატოს ქვეყნების უმაღლესი დონის შეხვედრის, აგრეთვე ნატო-საქართველოს კომისიის განცხადებებში დადასტურებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა. ისინი მოუწოდებენ რუსეთის ფედერაციას, გააუქმოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარება, გაიყვანოს ჯარები საქართველოდან. ვარშავის სამიტმა დიდი ყურადღება დაუთმო შავი ზღვის აუზში უსაფრთხოების განმტკიცების საკითხებს. ნატო გაატარებს ღონისძიებებს, რომლებიც რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაციითა და ყირიმის ანექსიით შავ ზღვაზე მოპოვებული გარკვეული უპირატესობის განეიტრალებას მოახდენენ. სამიტის გადანყვეტილებით, შავი ზღვის აუზის უსაფრთხოების განმტკიცებაში მონაწილეობას მიიღებენ ნატოს არანევრი სახელმწიფოებიც საქართველოს ჩათვლით.

მტკიცე პოლიტიკური მხარდაჭერა საქართველოსადმი კიდევ ერთხელ დააფიქსირა ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ, რომელიც 2017 წლის 26-29 მაისს თბილისში ჩატარდა. მიღებულ დეკლარაციაში ნათქვამია, რომ ასამბლეა „ადასტურებს მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და გმობს

საქართველოს რეგიონების – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის განგრძობით უკანონო ოკუპაციას, ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების ფართომასშტაბიან დარღვევას, ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მიღმა გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვას, რუსეთის მხრიდან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ექვსპუნქტიანი ხელშეკრულების მუდმივად დარღვევას და რუსეთის მიერ ამ რეგიონების დე-ფაქტო ანექსირებისკენ გადადგმულ ნაბიჯებს, ასევე ამ ტერიტორიებზე ფართომასშტაბიანი სამხედრო ინფრასტრუქტურის მშენებლობას, რაც საფრთხეს უქმნის რეგიონულ მშვიდობას და უსაფრთხოებას“. 2017 წლის 6-9 ოქტომბერს ბუქარესტში ჩატარებული ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე მიღებულ რეზოლუციაშიც („სტაბილურობა და უსაფრთხოება შავი ზღვის რეგიონში“) გამოხატულია მტკიცე მხარდაჭერა საქართველოსადმი, გამოთქმულია შეშფოთება საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისა და მათი მილიტარიზაციის გამო, დაგმობილია ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევის ფაქტები.

მისასალმებელია საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში შექმნილი ვითარების ამგვარი შეფასებები ნატოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, თუმცა ამას დრო დასჭირდა. იმთავითვე ცივილიზებულმა სამყარომ ჯეროვნად ვერ თუ არ შეაფასა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე განლაგებული რუსული სამხედრო ბაზებისგან და ამ ტერიტორიების სულ უფრო და უფრო მზარდი მილიტარიზაციისგან მომდინარე სამხედრო საფრთხე არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ დასავლეთისთვის, ევროატლანტიკური გაერთიანებისთვის. შესაბამისად, მიღებული ზომებიც საკმარისი არ აღმოჩნდა რუსული აგრესიის შესაჩერებლად, რომლის მორიგი მსხვერპლი უკრაინა გახდა. საქართველოს რეგიონების ოკუპაცია და მილიტარიზაცია, 2014 წლის მარტში განხორციელებული ყირიმის ანექსია და შემდგომში სამხრეთ – აღმოსავლეთ უკრაინაში განვითარებული მოვლენები ერთ კონტექსტში უნდა იყოს განხილული. იგი აიძულებს და ავალდებულებს ცივილიზებულ სამყაროს გაერთიანდეს, რათა აგრესორის ასალაგმავად ქმედითი ზომები განახორციელოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უშუალოდ ევროკავშირისა და ნატოს წევრი ქვეყნები მალე სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდებიან.

საქართველოს ტერიტორიების რუსული ოკუპაციის შედეგად წარმოქმნილი გლობალური საფრთხე გათვალისწინებულია ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ 2017 წლის 5 მაისს დამტკიცებულ და პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მიერ 6 მაისს ხელმოწერილ ბიუჯეტის კანონში. მასში პირველად **კანონის ძალით** დასტურდება ვაშინგტონის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა; ასევე **კანონის დონეზე** ვაშინგტონმა პირველად

შემოილო ცნება რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს რეგიონების შესახებ. აშშ-ის 2017 წლის ბიუჯეტის კანონის მიხედვით, ფინანსურ დახმარებას ვერ მიიღებენ მთავრობები, რომლებიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობას აღიარებენ, იკრძალება ნებისმიერი დაფინანსების გამოყოფა საქართველოს რეგიონების რუსული ოკუპაციის მხარდასაჭერად, სერიოზული დაბრკოლება ექმნება საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან სესხების, გრანტებისა და კრედიტების გამოყოფას ისეთი პროგრამებისთვის, რომლებიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას არღვევენ; გათვალისწინებულია სოლიდური სახსრების გამოყოფა ევროპისა და ევრაზიის ქვეყნების, მათ შორის საქართველოს დასახმარებლად რუსეთის ზეგავლენისა და აგრესიის წინააღმდეგ საბრძოლველად¹⁵⁹.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მყარი მხარდაჭერა დაფიქსირდა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ორივე პალატის მიერ ერთსულოვნად მიღებულ და პრეზიდენტ ტრამპის მიერ 2017 წლის 2 აგვისტოს ხელმოწერილ კიდევ ერთ კანონში რუსეთის, ირანისა და სამხრეთ კორეის წინააღმდეგ ახალი სანქციების შემოღების შესახებ. მოგვაქვს ამონარიდები აღნიშნული კანონიდან:

- „რუსეთის ფედერაცია განაგრძობს 2008 წელს ხელმოწერილი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პირობების უგულვებელყოფას, რაც ითვალისწინებს საქართველოდან რუსეთის ფედერაციის ჯარის გაყვანას, ჰუმანიტარული ჯგუფების დაუბკოლებელ დაშვებას სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში და სამეთვალყურეო მისიის წევრების მიერ კონფლიქტის ზონებში სიტუაციის მონიტორინგს“.

- „აშშ-ის პრეზიდენტმა უნდა მოუწოდოს რუსეთის მთავრობას: ა) გაიყვანოს ჯარი საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას ტერიტორიებიდან; ბ) დაუბრუნოს ამ ტერიტორიების საზღვრებზე კონტროლი ამ ქვეყნების მთავრობებს; გ) შეწყვიტოს ყველა ქმედება, რომელიც მიმართულია ამ ქვეყნების მოსახლეობის მიერ არჩეული მთავრობის ძირის გამოთხრისკენ“.

- „რუსეთის ფედერაციის მთავრობა იყენებდა და ამჟამადაც იყენებს საქართველოს და უკრაინის სახელმწიფოსა და ხალხის წინააღმდეგ როგორც ტრადიციულ სამხედრო ძალას, ასევე სადაზვერვო ოპერაციებსა და პროპაგანდისტულ კამპანიებს“, რაც წარმოადგენს „მკაფიო საფრთხეს ევროპის და ევრაზიის ქვეყნებისთვის“.

159. <http://scara.gov.ge/ka/2011-09-08-07-44-18/880-2017-05-08-12-13-17.html>

ახალი სანქციების შესახებ კანონის (აგრეთვე ბიუჯეტის კანონის) შესაბამისად, 2018-2019 წლებში გამოიყოფა 250 მილიონო დოლარი რუსეთის ზენოლის ქვეშ მყოფი ქვეყნების დასახმარებლად. „გამოყოფილი თანხა დაიხარჯება,- ნათქვამია კანონში, – იმ ჰუმანიტარული კრიზისა და არასტაბილურობის დასაძლევად, რომელიც გამოიწვია და გამძაფრდა საქართველოსა და უკრაინაში რუსეთის ფედერაციის შეჭრისა და ამ ქვეყნების ტერიტორიების ოკუპაციის შედეგად“¹⁶⁰.

ჭეშმარიტად განუზომელია ორივე კანონის მნიშვნელობა საქართველოს დეოკუპაციის დაჩქარების, მისი უსაფრთხოების განმტკიცების, კონფლიქტის მშვიდობიანი მეთოდებით მოგვარებისა და არალიარების პოლიტიკის შემდგომი წარმატების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მიმართ საერთაშორისო არენაზე არალიარების პოლიტიკის დამკვიდრება კი საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. მსოფლიო თანამეგობრობის, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით, აღნიშნული პოლიტიკა დღემდე წარმატებით ხორციელდებოდა და მომავალშიც (ვაშინგტონში მიღებული კანონების გათვალისწინებით) მეტი წარმატებით განხორციელდება. ამ საკითხში რუსეთი პრაქტიკულად მარტო დარჩა. მას მხარი არ დაუჭირეს უახლოესმა მოკავშირეებმაც კი. მოსკოვის დიპლომატიურ წარმატებად ვერ ჩაითვლება სარფიანი ეკონომიკური გარიგებებისა თუ ღიად ქრთამის გადახდის სანაცვლოდ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარებაზე დანიღლ ორტეგას (ნიკარაგუის პრეზიდენტი), უგო ჩავესის (ვენესუელას ყოფილი პრეზიდენტი), აგრეთვე ორი კუნძულოვანი ჯუჯა სახელმწიფოს ნაურუსა და ტუვალუს დაყოლიება. აქედან ტუვალუმ 2014 წლის დასაწყისში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების აღიარება გააუქმა, ცნო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და მასთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა. არც ერთი ცივილიზებული სახელმწიფო, საკუთარი ღირსების მქონე არც ერთი პოლიტიკური ლიდერი არ წავიდა და არც წავა ისეთ დანაშაულებრივ ნაბიჯზე, როგორცაა რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს რეგიონების აღიარება. აღნიშნული რეგიონების აღიარება ნამდვილად არის დანაშაული, რადგანაც იქ ჩატარებული გენოციდისა და ეთნონმენდის შედეგად ისინი დაცლილია მოსახლეობის უმრავლესობისაგან; რადგანაც იქ ფუნქციონირებენ უკანონო მარიონეტული ეთნოკრატიული რეჟიმები, რომლებიც უხეშად არღვევენ ადამიანის ელემენტარულ უფლებებს.

160. <http://scara.gov.ge/ka/2011-09-08-07-44-18/880-2017-05-08-12-13-17.html>

საქართველოსთან მიმართებაში რუსეთი კვლავაც აგრძელებს თავის უაღრესად რეაქციულ, საერთაშორისო სამართლის ნორმების მიზანმიმართულ დარღვევაზე ორიენტირებულ იმპერიალისტურ პოლიტიკას და დღემდე არ ასრულებს 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. მან არა თუ არ აღადგინა სტატუს – ქვო, არ გაიყვანა საკუთარი სამხედრო შენაერთები ომამდელ პოზიციაზე, როგორც ამას 12 აგვისტოს შეთანხმება ითვალისწინებს, არამედ, პირიქით, საგრძნობლად გაზარდა სამხედრო ყოფნა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მათი ფაქტობრივი ანექსიის გზას დაადგა. 2009 წლის 30 აპრილს სეპარატისტებთან გაფორმებული „ხელშეკრულების“ საფუძველზე კრემლმა აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის „დემარკაცია“, მის მთელ პერიმეტრზე სასაზღვრო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და უშიშროების ფედერალური სამსახურის სპეცდანიყოფების დისლოკაცია განახორციელა. გაეროს უშიშროების საბჭოში ვეტოს უფლების გამოყენებით 2009 წლის 15 ივნისს რუსეთმა აფხაზეთში გაეროს სადამკვირვებლო მისიის საქმიანობა შეაჩერა. ყოველივე ამით სერიოზული საფრთხე ექმნება მშვიდობას და სტაბილურობას არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს რეგიონში.

თანამედროვე ეტაპზე სამშვიდობო პროცესი აფხაზეთში მთლიანად ბლოკირებულია. ძალაშია 2008 წლის 23 ოქტომბრის საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“. ამავე დროს მოქმედებს საქართველოს მთავრობის მიერ 2010 წლის 27 იანვარს დამტკიცებული „სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ ჩართულობა – თანამშრომლობის გზით“ და იმავე წლის 3 ივლისს მიღებული „ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა“. თბილისის მიზანია ოკუპირებულ ზონაში მცხოვრებ საკუთარ მოქალაქეებთან ეკონომიკური, კულტურული და სხვა კავშირების შენარჩუნება და გაფართოება; მათთვის ხელმისაწვდომობა ყველა იმ სიკეთისა და სოციალური შეღავათისა, რითაც ქვეყნის არაოკუპირებულ ნაწილში მცხოვრები მოქალაქეები სარგებლობენ (განსაკუთრებით ჯანდაცვისა და განათლების სფეროებში). ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობს საქართველოს მთავრობა. პირველი დადებითი შედეგები ამ მუშაობამ უკვე გამოიღო.

ქართულმა მხარემ მნიშვნელოვანი სამშვიდობო ნაბიჯიც გადადგა. 2010 წლის 23 ნოემბერს, ევროპარლამენტში სიტყვით გამოსვლისას, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს სახელით აიღო ცალმხრივი ვალდებულება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ძალის გამოუყენებლობისა და ცეცხლის განუახლებლობის, ანუ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მხოლოდ მშვიდობიანი გზებით მოგვარების შესახებ. საქართველოს

პარლამენტის 2013 წლის 7 მარტის განცხადებით, აღნიშნული ვალდებულება ქვეყნის ამჟამინდელმა ხელისუფლებამაც დაადასტურა. საპასუხო ნაბიჯს კი რუსეთი არ დგამს.

საქართველოს მთავრობის ძალისხმევითა და საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით, 2011 წლის 9 ნოემბერს რუსეთ-საქართველოს შორის, შვეიცარიის შუამავლობით, მნიშვნელოვანი შეთანხმება გაფორმდა. შეთანხმების მიხედვით, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის განევრიანებაზე თბილისის თანხმობის სანაცვლოდ, კრემლმა პირდაპირ თუ ირიბად საქართველოს ლეგიტიმური სახელმწიფო საზღვარი აღიარა. ტვირთბრუნვა ამ საზღვარზე, კერძოდ, რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთისა (მდინარე ფსოუ) და ცხინვალის რეგიონის (როკის გვირაბი) მონაკვეთებზე, საერთაშორისო მონიტორებმა უნდა გააკონტროლონ. ამ ხელშეკრულების ამოქმედებას რუსეთი დღემდე აჭიანურებს. ამავდროს, საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის განევრიანებამ და, რაც მთავარია, რუსეთთან ურთიერთობების დალაგებისკენ მიმართულმა საქართველოს მთავრობის პრაგმატულმა პოლიტიკამ გარკვეული დადებითი შედეგები გამოიღო, ძირითადად, ეკონომიკური და აგრეთვე კულტურული თანამშრომლობის სფეროში. პოლიტიკის სფეროში კი არანაირი პროგრესი არ შეიმჩნევა როგორც ჟენევის მრავალმხრივ, ისე ორმხრივ (ზ. აბაშიძე – ა. კარასინი) ფორმატში წლების განმავლობაში მიმდინარე მოლაპარაკებებში. უფრო მეტიც, საქართველოს სამშვიდობო ინიციატივებს კრემლი თავისი აგრესიული პოლიტიკის გამკაცრებით პასუხობს, რომელიც ოკუპირებული ტერიტორიების მავთულხლართებით გამოცალკევებასა და მათი ანექსიის მცდელობაში გამოიხატება.

დღეისათვის სიტუაცია უაღრესად რთულია და იგი სულ უფრო და უფრო მძიმდება. რუსეთის ფედერაცია ღიად იბრძვის პოსტსაბჭოთა სივრცეზე სრულმასშტაბიანი გავლენის აღდგენისთვის. მას არ სურს საქართველოსა და სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან, მათ ნამდვილ თავისუფლებასთან, ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციასთან შერიგება. იგი წინააღმდეგია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებისა, რომელსაც საქართველომ 2014 წლის 27 ივნისს ხელი მოაწერა. მიუხედავად ყოველივე ამისა, რუსეთთან მიმართებაში საქართველოს მთავრობა ატარებდა და ატარებს უაღრესად კონსტრუქციულ და თანმიმდევრულ პოლიტიკას, ცდილობს მასთან ურთიერთობის დალაგებას. ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯებიც იდგმება. მიუხედავად ამისა, კრემლი კვლავაც აგრძელებს თავის აგრესიულ პოლიტიკას. ამის მაგალითია 2014 წლის 24 ნოემბერს მოსკოვის მიერ აფხაზეთის დე – ფაქტო ხელისუფლებისთვის

თავსმოხვეული ე. წ. ხელშეკრულება „მოკავშირობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“¹⁶¹. აღნიშნული აქტით თავისი ნამდვილი ზრახვები რუსეთმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა. მან მთლიანად ჩამოიხსნა ნიღაბი და ღიად აიღო გეზი ოკუპირებული აფხაზეთის ანექსიისაკენ. უფრო მეტიც, „ხელშეკრულების“ თანახმად, საქართველოს შავიზღვისპირეთის 200 კილომეტრიანი აფხაზეთის მონაკვეთი მძლავრ სამხედრო პლაცდარმად უნდა იქცეს. ამით რუსეთი ცდილობს თავისი გეოპოლიტიკური უპირატესობის უზრუნველყოფას არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში, არამედ შავი ზღვის აუზსა და მის მიმდებარე რეგიონებშიც. ამ მიზანს ემსახურება რუსეთის მიერ 2015 წლის 21 ნოემბერს აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებასთან გაფორმებული „ხელშეკრულება“ გაერთიანებული სამხედრო დაჯგუფების შექმნის შესახებ. მისი „რატიფიკაცია“ რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ 2016 წლის 2 ნოემბერს, ხოლო ფედერაციის საბჭომ 16 ნოემბერს მოახდინა. შესაბამის კანონს პრეზიდენტმა ვ. პუტინმა ხელი 22 ნოემბერს მოაწერა. აღნიშნული აქტით აფხაზეთის ანექსიისკენ და მთელი ამ ტერიტორიის რუსეთის სამხედრო ბაზად გადაქცევისკენ გადამწყვეტი ნაბიჯი გადაიდგა. კრემლის ანექსიონისტური პოლიტიკის მორიგ მკაფიო გამოვლინებას წარმოადგენს 2017 წლის 18 მაისს სოჭში ხელმოწერილი შეთანხმება შინაგან საქმეთა ორგანოების ერთობლივი საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრის შექმნის შესახებ, რომელიც სოხუმში იმუშავებს. ამ ე. წ. ცენტრის თანამშრომლები დიპლომატიური ხელშეუხლებლობითა და შეუზღუდავი უფლებებით არიან აღჭურვილი. ანექსიონისტური პოლიტიკის კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია რუსეთის საბაჟო სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 სექტემბრის ბრძანება აფხაზეთში სპეციალიზებული საბაჟო საგუშაგოს შექმნის შესახებ, რომელმაც მთლიანად დაიქვემდებარა ადგილობრივი საბაჟო სამსახური. ბრძანება ძალაში შევიდა ა. წ. 1 ნოემბრიდან.

მოსკოვის მიზნები და პრაქტიკული ქმედებები ძირეულად ეწინააღმდეგება აფხაზეთის მოსახლეობის იმ უდიდესი უმრავლესობის სასიცოცხლო ინტერესებს, რომელიც მშობლიური კუთხიდან იძულებით არის განდევნილი და თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში საკუთარ სახლებში დაბრუნების ამაო მოლოდინშია. ღიად ახორციელებს რა აფხაზეთის ანექსიის პოლიტიკას, მთელი ამ ხნის მანძილზე კრემლი ცდილობს მოხსნას ერთ-ერთი სერიოზული დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის მას აღნიშნული მიზნის მიღწევაში. ეს არის გალის რაიონის ქართული მოსახლეობა. 1993 წლიდან დღემდე, საოკუპაციო ხელისუფლების მეშვეობით, რუსეთი ახორციელებს

161. www.news.kremlin.ru/ref-notes/4783

ადამიანის ღირსების, მისი ელემენტარული უფლებების შემლახველ ექსპერიმენტებს გალის რაიონში დაბრუნებული და საკუთარ სახლებში მცხოვრები ათეულ ათასობით ადამიანის წინააღმდეგ. მთელი რაიონი თავის კანონიერ ომამდელ საზღვრებში დღეისათვის წარმოადგენს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიის იმ ნაწილს, სადაც ეთნიკური ნიშნით დისკრიმინირებული, ყოველგვარ პოლიტიკურ, სამოქალაქო, სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს მოკლებული ადამიანები ცხოვრობენ. 2015 წლის დეკემბერში მიღებული ე.წ. კანონისა („აფხაზეთში მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ“) და 2016 წლის დეკემბერში მასში შეტანილი შესწორებების მიხედვით, ადგილობრივი ძირძველი ქართული მოსახლეობა საოკუპაციო რეჟიმის მიერ „უცხო ქვეყნის მოქალაქეებად“ არის გამოცხადებული. საკუთარ სახლებში „უცხოელებად“ შერაცხულ ადამიანებს ეძლევათ მხოლოდ „ბინადრობის უფლება“, შესაბამისად, ისინი მონაწილეობას ვერ იღებენ ოკუპირებული ტერიტორიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, დე-ფაქტო არჩევნებში, არ ინიშნებიან არანაირ სამსახურში (გარდა სკოლისა). „უცხო ქვეყნის“ მოქალაქეებს გალის რაიონიდან ჩამორთმეული აქვთ სიცოცხლის, მამა-პაპათაგან მემკვიდრეობით მიღებული ქონების განკარგვის, საკუთრების შექმნის უფლება. მათ წართმეული აქვთ ქორწინებისა და აგრეთვე ახალშობილთა აფხაზეთის ტერიტორიაზე რეგისტრაციის უფლებაც. ასეთი რეგისტრაცია გალელებს მხოლოდ აფხაზეთის ფარგლებს მიღმა შეუძლიათ. მკვიდრი მოსახლეობის მიმართ არსად დედადინის ზურგზე არ ხდება მსგავსი დანაშაული, რომელიც აშკარად გენოციდის ნიშნებს შეიცავს. ოკუპანტები უხეშად არღვევენ განათლების მშობლიურ ენაზე მიღების ფუნდამენტურ უფლებას. 2016-2017 წლებში აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე ოთხი გამშვები პუნქტი დაიხურა (თაგილონი, საბერიო, ოტობაია და ნაბაკევი), რითაც უკიდურესად შეიზღუდა გადაადგილების უფლება. როგორც ვხედავთ, ოკუპანტები აგრძელებენ გალის რაიონის ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული გენოციდის პოლიტიკას, ცდილობენ მათ ასიმილაციას ან საკუთარი საცხოვრებელი ადგილებიდან განდევნას და ამ გზით აფხაზეთში „ქართული საკითხის“ ერთხელ და სამუდამოდ „მოგვარებას“. ამ თვალსაზრისით, დღევანდელი გალის რაიონი არსებითად არ განსხვავდება მეორე მსოფლიო ომის წლებში ფაშისტების მიერ ებრაელთა ფიზიკური განადგურების, ებრაული საკითხის „საბოლოოდ გადაჭრის“ მიზნით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მონყობილი გეგმებისაგან.

კრემლის ანექსიონისტური პოლიტიკა საფრთხეს უქმნის მცირერიცხოვანი აფხაზი ეთნოსის თვითმყოფადობის შენარჩუნების პერსპექტივასაც. აფხაზური საზოგადოების გარკვეული ნაწილი

აღნიშნულ საფრთხეს კარგად აცნობიერებს და აფხაზეთის ანექსიის წინააღმდეგ ღიად იბრძვის. ამ ისედაც სუსტი წინააღმდეგობის ნეიტრალიზაციისა და აფხაზეთში ყირიმის სცენარის იოლად გათამაშებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით, რუსეთი ცდილობს აფხაზეთა იზოლაციაში მოქცევას, რაც გულისხმობს ქართველებთან, სომხებთან, რუსებთან და სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან მათი დაპირისპირების პროვოცირებას. მოსკოვის პოლიტიკაში ოდნავ ჩახედულმა ნებისმიერმა ადამიანმა არ შეიძლება არ იცოდეს, რომ აფხაზეთის ფიქტიური დამოუკიდებლობა, მისი განქართველება წარმოადგენს რეგიონის სრულმასშტაბიანი ანექსიისა და აფხაზეთის ეთნოსის გაქრობის პროცესის დაჩქარების საუკეთესო საშუალებას. სხვა მიზანი კი რუსეთს არასოდეს ჰქონია და არც დღეს აქვს.

თანამედროვე ეტაპზე რუსეთის ანექსიონისტური პოლიტიკის გააქტიურებას საქართველოს მთავრობა ყველაზე მაღალი საერთაშორისო ტრიბუნებიდან აგრესორის მხილებითა და დაგმობით პასუხობს, თუმცა ეს არ აღმოჩნდა საკმარისი ოკუპანტი სახელმწიფოს შესაკავებლად. აფხაზეთის დეოკუპაციის ინტერესები, აგრეთვე არალიარების პოლიტიკის შემდგომი წარმატების უზრუნველყოფა მოითხოვს დამატებითი პოლიტიკური, დიპლომატიური და სამართლებრივი ხასიათის ზომების მიღებას. ჩვენი აზრით, სახალხო დიპლომატიის გააქტიურების, აფხაზ ხალხთან შერიგების, ხელოვნურად გაყოფილ ორ საზოგადოებას შორის ნდობის აღდგენის ერთად-ერთი სწორი სახელმწიფო პოლიტიკის სულ უფრო და უფრო მეტი მონდომებითა და ინტენსიურობით გატარების პარალელურად აუცილებელია აგრეთვე:

1. აფხაზეთის ქართული მოსახლეობის განგრძობადი გენოციდის თემის აქტუალიზაცია, გენოციდის ფაქტის საერთაშორისო აღიარების მიღწევა, ამ მიზნით „გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ“ გაეროს კონვენციის (1948 წლის 9 დეკემბერი) 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა, მეგობარი სახელმწიფოების პარლამენტებისადმი სათანადო მიმართვის გაგზავნა; დამნაშავეთა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება;

2. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მიერ დაწესებული გენოციდის მსხვერპლთა ხსოვნის დღის – 5 ოქტომბრის – ყოველწლიურად მაღალ დონეზე და ფართოდ აღნიშვნა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ;

3. ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების ტოტალური დარღვევის საკითხისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა, ამ თემის გადაქცევა წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო, ევროკავშირი, ევროსაბჭო, ეუთო) სპეციალური განხილვის საგნად;

4. ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევის აღსაკვეთად საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმების გამოყენება;

5. აფხაზეთში განთავსებული რუსული საოკუპაციო სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება და ინტერპოლის ხაზით მათზე საერთაშორისო ძებნის გამოცხადება;

6. „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის გადახედვა, რათა

– შერბილდეს მისი მეოთხე მუხლის („თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე“) მეორე პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვა და აღნიშნული პუნქტის დარღვევასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა;

– სამაგიეროდ გამკაცრდეს ოკუპანტის პასუხისმგებლობა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების ხელყოფისთვის (მეხუთე მუხლი), უკანონო ეკონომიკური საქმიანობისთვის (მეექვსე მუხლი), ადამიანის უფლებათა დარღვევისა და კულტურული მემკვიდრეობის დაზიანება-განადგურებისთვის (მეშვიდე მუხლი)...

კიდევ ერთხელ ხაზგასით უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის (აგრეთვე ცხინვალის რეგიონის) რუსულ ოკუპაციის გამო შექმნილი უსაფრთხოების პრობლემები თავისი მნიშვნელობით უკვე გასცდა საქართველოს, კავკასიის რეგიონის ფარგლებსაც კი და გლობალურ გამოწვევად იქცა. შესაბამისად, საკუთარი გრძელვადიანი სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, გაერომ, ნატოსა და ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა უფრო ქმედითი და მკვეთრი ნაბიჯები უნდა გადადგან აგრესორის შესაჩერებლად. მკაცრი რეალობა მოითხოვს საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარების გაყვანას, როგორც ამას რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების (დ. მედვედევი, მ. სააკაშვილი) ხელმოწერებით დადასტურებული 2008 წლის 12 აგვისტოს სარკოზის დოკუმენტი ითვალისწინებს. აფხაზეთის დეოკუპაციის მოთხოვნა რუსეთის წინააღმდეგ სამართლიანად დანესებული საერთაშორისო სანქციების მოხსნის ერთ – ერთი წინაპირობა უნდა გახდეს. სხვაწიარად ევროპა, დანარჩენი მსოფლიო, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ვერ აიცილებენ თავიდან რუსეთის ფედერაციის აშკარად ზღვარსგადასული აგრესიული პოლიტიკისაგან მომდინარე სამხედრო და ეკონომიკურ საფრთხეებს. საოკუპაციო ძალების გაყვანა შესაძლებელს გახდის სამშვიდობო პროცესის განახლებას, დევნილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების საკუთარ სახლებში დაბრუნებას, კონფლიქტის სრულმასშტაბიან და სამართლიან მოგვარებას.

II. რუსეთი და 1992-1993 წლების ომი აფხაზეთში

II. 1. შესავალი

მეზობელი სახელმწიფოების წინააღმდეგ რუსეთის პერმანენტული აგრესიისა და ჰიბრიდული ომების ფონზე სულ უფრო და უფრო მეტ აქტუალობას იძენს აფხაზეთის 1992-1993 წლების ომში მისი უშუალო მონაწილეობის თემატიკა. საკითხის შესწავლა ნათლად მეტყველებს, რომ რუსული და აფხაზური ისტორიოგრაფია და პოლიტიკური პუბლიცისტიკა მუდმივად ცდილობენ საქართველოს უახლესი ისტორიის ამ ტრაგიკული ფურცლების რევიზიას და ფალსიფიცირებას, კონკრეტულად კი ომში რუსეთის სამხედრო ჩარევის უარყოფას-ჩარევისა, რამაც არსებითად გადაწყვიტა ომის ბედი და საქართველო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კატასტროფის ზღვარზე დააყენა.

აფხაზეთის ომის ფალსიფიკაციის სქემები და თავისებური შტამპები იმთავითვე იყო ჩადებული კრემლისა და სეპარატისტების საინფორმაციო პოლიტიკაში, ომის მონაწილეთა და სეპარატისტული დაჯგუფების წარმომადგენელთა მემუარებში, ასევე ცალკეულ ავტორთა ნაშრომებში თუ სასტატიო¹⁶² პუბლიკაციებში. მთელი ამ პროდუქციის მიზანი ერთია – ომში რუსეთის პოლიტიკურ-დიპლომატიური და სამხედრო ჩარევის მიჩქმალვა. აბსოლუტურად ყალბი განაზრებების ფონზე რუსეთის ფედერაცია, კრემლის იმდროინდელი პოლიტიკური და სამხედრო ელიტა ჩანან, როგორც სრულფასოვანი შუამავლები, როგორც ნეიტრალური ძალა, როგორც დადებული შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების უზადო გარანტორები, ხოლო რუსეთის მხრიდან ომში მონაწილეობის შირმას მხოლოდ ლეგიონერთა და დაქირავებულთა „უკონტროლო“ ბანდები ატარებენ.

ყოველივე ეს არის წმინდა წყლის სიცრუე – ტოტალური სიცრუე, რომელიც მიზნად ისახავს 1992-1993 წლების ომის ძირითადი ფაქტორების მიჩუმატებას, საკუთრივ კონფლიქტის დახასიათებას „ქართული აგრესიის წინააღმდეგ აფხაზი ხალხის სამამულო ომის“ ინტერპრეტაციულ მოდელში, რაც მთავარია, რუსეთის სამხედრო ჩარევის უარყოფას და ამით მისი დანაშაულებრივი ანტიქართული (ზოგადად დესტრუქციული) პოლიტიკის რეაბილიტაციას. საბოლოო ჯამში, ამგვარი მიდგომების ტირაჟირების დანიშნულებაა აფხაზეთის საქართველოსგან მოწყვეტის, მისი ოკუპაციისა და ფაქტობრივი სამხედრო ანექსიის იდეოლოგიური დასაბუთება.

162. Авидзба А. Отчужденная война (1992-1993 гг.). Вопросы военно-политической истории Абхазии. Сухуми, 2008; гажба О., Лакоба С. История Абхазии. Сухуми, 2006; Мяло К. Россия и последние войны XX века. Москва, 2002; Пачулия В. Грузино-абхазская война 1992-1993 годов (боевые действия). Сухуми, 2010 и т.д.

ავვისტოს ომის გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული შედეგების ფარგლებში, მოკლევადიან პერსპექტივაში საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის დაბრუნება უაღრესად პრობლემურია. ეს არის ძალიან მწარე, ტრაგიკული რეალობა, მაგრამ ასეთია მოცემულობა. ამგვარი მოცემულობის ჩარჩოში და სტრატეგიული მოთმინების რეჟიმში აუცილებელია 1992-1993 წლების ომის ისტორიის და, კონკრეტულად, მასში რუსეთის სამხედრო ჩარევის ობიექტური სურათის აღდგენა. ამას განაპირობებს შექმნილი სტრატეგიული გარემო და „აფხაზეთის კონფლიქტის“ ტრანსფორმაციის პარადიგმა. არსებული მდგომარეობა, საქართველოს დანაკარგების მასშტაბურობა, გრძელვადიანი ტერიტორიული კრიზისის გაცნობიერება წარმოშობს 1992-1993 წლების ომში რუსეთის მონაწილეობის ადექვატური ანალიზის აუცილებლობას. ანალიზის ფორმაც და შინაარსიც, ცხადია, უნდა იყოს შეძლებისდაგვარად სრული, ლოგიკური, მიუკერძოებელი, თავისუფალი როგორც კონფლიქტოლოგიური „თამაშის ნესებისაგან“, ისევე რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციის დისკურსისათვის ხარკად შეწირული ნახევარსიმართლისაგან. ერთი სიტყვით, ომის დასრულებიდან ოცდაოთხი წლის თავზე ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ რატომ ჩაერია რუსეთი ამ ომში, როგორ ჩაერია და რა შედეგები მოჰყვა ამ ჩარევას.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია 1992-1993 წლების „აფხაზეთის ომში“ რუსეთის მონაწილეობის პროცესის, როგორც ამ ომის ღერძული ფაქტორის, ანალიზი, ხოლო ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ სპეციალური შესწავლის, მსჯელობის (გენბავთ, დისკუსიის) საგანი გახდეს რუსეთის ჩარევის სამხედრო-სტრატეგიული, სადაზვერვო, პოლიტიკური და დიპლომატიური პარამეტრები. ამასთან, ყურადღება გამახვილებულია არა მხოლოდ საკუთრივ ქრონიკალურ პროცესზე, არამედ მთლიანობაში მის პოლიტიკურ, გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ შედეგებზე. გარდა ამისა, რუსეთის მილიტარისტული, იმპერიული და ჰეგემონისტური პოლიტიკის სიღრმისეული გათავისება, სამხედრო ჩარევისა და კონფლიქტებში დესტრუქციული მონაწილეობის პირდაპირი და ირიბი მექანიზმების ადექვატური გააზრება, კრემლის კონფლიქტოგენური პოტენციალის სათანადო აღქმა სერიოზული რესურსია მომავალში ამ ქვეყანასთან ურთიერთობების კონცეპტუალური და დოქტრინალური საფუძვლების დაგეგმვისათვის.

II.2. რუსეთის როლი აფხაზეთში ომის წინაპირობების შექმნაში

„აფხაზეთის კრიზისის“ ისტორიული გენეზისისა და ევოლუციის ყველა სტადიის ანალიზს მივყავართ ერთმნიშვნელოვან დასკვნამდე

– კრიზისის მთავარი წყარო იყო რუსეთი, ხოლო მკვებავი არტერია – რუსეთის იმპერიული სტრატეგია. „აფხაზეთის კრიზისი“ XIX საუკუნიდან თანდათანობით მნიფდებოდა და თავისი ევოლუციის რამდენიმე ეტაპი განვლო, მათ შორის:

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაწყებული და 80-იანი წლებიდან გააქტიურებული იმპერიული ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ქართულ-აფხაზური კულტურული ერთობის დაშლასა და აფხაზეთის რუსიფიკაციას; 1903-1904 წლებში გაგრის ზონის ჩამოცილება ქუთაისის გუბერნიისაგან; საქართველოს ეკლესიის (საეგზარქოსოს) კანონიკური იურისდიქციისაგან აფხაზეთის მოწყვეტის მუდმივი მცდელობები; გენ. დენიკინისა და ყუბანის ანტიბოლშევიკური მთავრობის იმპერიული სამხედრო პოლიტიკა 1918-1919 წლებში; საბჭოთა რეჟიმის ანტიქართული ღონისძიებები აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით 1921-1931 წლებში, ასევე ანტიქართული კულტურულ-ენობრივი პოლიტიკა გასული საუკუნის 50-80-იანი წლებში; „სიტიჩის გეგმა“ (1922 წ.); „საკურორტო რესპუბლიკის“ პროექტი (1945-1947 წლები); „სუსლოვის დოქტრინა“ (1961წ.); საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გამოსვლის რეაქციული ლოზუნგით ინსპირირებული აფხაზური თავყრილობების სერია 1957, 1967, 1977-1978 და 1989 წლებში, 1992-1993 წლების ომის პროვოცირება და ა. შ. ასეთია „აფხაზეთის კრიზისის“ გენეზისის ეტაპები ან, ხატოვნად რომ ვთქვათ, რუსეთის მიერ აფხაზური კარტის გათამაშების სეანსები.¹⁶³

რუსეთს ყოველთვის ჰქონდა მისწრაფება, თავს მოეხვია საქართველოსათვის საკუთარი ნება-სურვილი და იმპერიული თამაშის წესები. მაგრამ ეს მისწრაფება მხოლოდ ბ. ელცინის ადმინისტრაციის პოლიტიკურ პოზიციასა და პ. გრაჩოვის გენერალიტეტის ქმედებებში კი არ იდო ზედაპირულად, არამედ ჩამარხულია რუსეთის სახელმწიფოებრივი ბუნების იმპერიულ თვისებებში; უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იმპერიალიზმი და მილიტარიზმი განსაზღვრულია რუსეთის იმპერიის შინაგანი ბუნებით და, ამდენად, იმანენტური ხასიათისაა. ამ მხრივ საგულისხმოა გეოფსიქოლოგიური ფაქტორიც: რუსეთის ელიტა და საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელოვანი სეგმენტი გასული საუკუნის 90-იანი წლებში (და ამჟამადაც) საქართველოს არ განიხილავდა შემდგარ, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ თავისი ლეგიტიმური სტატუსითა და გარკვეული რეგიონალური ინტერესებით კავკასიაში. რუსეთი ვერ ურიგდება ამ ისტორიულ და გეოპოლიტიკურ რეალობას არა მარტო პოლიტიკური სტრატეგიის ქრილში, არამედ თვით ფსიქოლოგიური აღქმადობის კუთხით. აქედანაა ნაწარმოები კრემლის

163. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი. თბილისი, 2007, გვ. 264-342.

ანტიქართული მილიტარისტული პოლიტიკის მაღალი საზოგადოებრივი მხარდაჭერა და, სხვათაშორის, აფხაზეთის ომის დროს მოხალისე-დაქირავებულ კომბატანტთა დიდი ნაკადი.

ამიტომ სრულიად ცხადია 1992-1993 წლების ომში რუსეთის მონაწილეობის არსებითი მომენტი: გასული საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურებამ, ქვეყანაში საზოგადოებრივი ვითარებისა და პოლიტიკური წესრიგის ტრანსფორმაციამ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ორიენტაციისაკენ განაპირობა იმპერიული ცენტრის ინსპირირებით „აფხაზეთის კრიზისის“ მორიგი გამწვავება, თანაც იმ დონემდე, რომ შეიქმნა კრიზისის ომში გადაზრდის წინაპირობები და მიზეზები.

ერთის მხრივ, გამოიკვეთა ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის საქართველოს ბრძოლის პროდასავლურ ორიენტაციასთან შერწყმის ტენდენცია, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოსაგან უკანონო გამოყოფისათვის აფხაზეთი სეპარატისტული მოძრაობა შეერწყა რუსეთის იმპერიულ რეგიონალურ ინტერესებს და კრემლის პოლიტიკას სამხრეთ კავკასიაში ხელახალი გაბატონებისათვის. ამ ორი ტენდენციის შეჯახებამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო 1991-1992 წლებში, თანაც განსაზღვრა, საბჭოთა იმპერიის შეუქცევადი დაშლის პირობებში, სამი ფაქტორი: პოლიტიკური პროცესის კრიზისული განვითარების ხაზები საკუთრივ აფხაზეთში, ქართული პოლიტიკური ელიტის პოზიციები რუსეთთან მიმართებაში და რუსეთის ხელისუფლების (როგორც გორბაჩოვის, ისე ელცინის გუნდების) ნეგატიური დამოკიდებულება საქართველოს სრულიად ლეგიტიმური ნაბიჯებისადმი (1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები და ეროვნული მოძრაობის გადაქცევა სახელმწიფო ხელისუფლების სუბიექტად; 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი და 9 აპრილის დეკლარაცია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ; 1991 წლის 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნები; ზ. გამსახურდიას ხელისუფლების დადგომა სრული დამოუკიდებლობის პლატფორმაზე და უარის თქმა ე.წ. „ნოვო-ოგარიოვოს პროცესში“ მონაწილეობაზე; 1991 წლის 18-21 აგვისტოს მოსკოვის პუტჩის დროს პოზიტიური ნეიტრალიტეტი და სხვ.).

მოსაზრება, თითქოს რუსეთს წინასწარ არ ჰქონდა აფხაზეთში რეაქციული გეგმები, იმპერიალისტური მისწრაფებები, საიდუმლო მიზნები და მხოლოდ საქართველოს ქმედებების ფაქტის წინაშე გახდა იძულებული, მოეხდინა თავისი პოლიტიკის ტრანსფორმაცია, წმინდა წყლის ტოტალური სიცრუეა. პირიქით, ფაქტები, ცალკეული კონკრეტული შემთხვევები, კრემლის პოლიტიკის ზოგადი მიმართულება და ხაზი სრულიად სანინააღმდეგოს ამტკიცებს: ჯერ ვ. არძინბას დაჯგუფების წახალისებას კონფლიქტზე, შემდეგ კი, უკვე გაჩაღებული

ომის პირობებში, სეპარატისტთა სამხედრო პოტენციალის გაძლიერებას და სამხედრო ჩარევას. ეს გარემოება კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული ჩრდილოეთ კავკასიის ეროვნულ-პოლიტიკურ ძალებს. ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა „ადილე-ხასეს“ მიერ საქართველოს ხელისუფლებისადმი მიმართვის სახით გაგზავნილი ნალჩიკის 1989 წლის 1 ნოემბრის რეზოლუცია საგანგებოდ მიუთითებდა კრემლის გარკვეული წრეების მხრიდან საქართველოში ძმათამკვლელი ომის ინსპირირების საფრთხეზე. რეზოლუცია ყველას მოუწოდებდა ამგვარი პერსპექტივის არდაშვებისა და ეროვნებათაშორისი თანხმობის ატმოსფეროს შენარჩუნებისაკენ¹⁶⁴.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის კვალობაზე და იმ პირობებში, როდესაც ქვეყნის კომუნისტურმა ხელმძღვანელობამაც-კი აიღო კურსი ერთგვარი სუვერენიზაციისაკენ (1990 წლის 9 მარტს საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ მიიღო დეკლარაცია „საქართველოს სუვერენიტეტის შესახებ“ და დადგენილება „საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ“), კრემლის დამოკიდებულებამ საქართველოს მიმართ სამხედრო-პოლიტიკური სტრატეგიის ნიშნები შეიძინა; ეს იყო პირდაპირი ორიენტაცია კონფლიქტების ინსპირირების ტაქტიკაზე და სამხედრო ძალის ფაქტორზე.

გარკვეულ ეტაპზე ძალისმიერი ზენოლის ფუნქცია „დაშინების სტრატეგიას“ ეკისრებოდა. ეს სტრატეგია შეიცავდა საქართველოს ხელმძღვანელობაზე, განსაკუთრებით ზ. გამსახურდიასა და მის ეროვნულ მთავრობაზე, პრევენციული ფსიქოლოგიური ზეგავლენის ელემენტებს. კრემლის გემის მიხედვით, ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში, უნდა მომხდარიყო განსაზღვრული აქციებით მათი დაშინება და ამ გზით ანტიიმპერიული პოლიტიკის პარალიზების უზრუნველყოფა. ამ მხრივ საკმარისია გავიხსენოთ ზ. გამსახურდიასა და მ. გორბაჩოვის სატელეფონო საუბრები, რომელთა დროსაც ეს უკანასკნელი აფრთხილებდა საქართველოს პრეზიდენტს დამოუკიდებელი კურსის გატარების შემთხვევაში სოხუმსა და ცხინვალში მოსალოდნელი გართულებებით. მოსკოვის გათვლით, დაშინების სტრატეგიული პოტენციალი იქნებოდა თავისებური რეპრესიული „ფონი“ საქართველოსთან; თანაც ფსიქოლოგიური ზენოლა უნდა ყოფილიყო მუდმივი და ყოვლისმომცველი, მას უნდა შეექმნა პერმანენტული დაძაბულობის და კონფლიქტების ზღურბლზე ბალანსირების მდგომარეობა (სწორედ ამ პოლიტიკას უწოდა 1991 წელს ზ. გამსახურდიამ „ტოტალური დესტაბილიზაციის“ კურსი).

164. პოლკოვნიკ გ. მასურაძის პირადი არქივი. Обращение участников митинга по предотвращению межнациональных конфликтов, организованного национально-освободительным движением „Адыге Хас“, лл. 43-46.

რუსეთ-საქართველოს ომი გარდაუვალი იყო საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის იდეისა და სუვერენული პოლიტიკის განხორციელების გამო და, შესაბამისად, ეს ომი არ იქნებოდა ამ იდეაზე და მის ადექვატურ პოლიტიკაზე უარის თქმის შემთხვევაში. აქ მთავარი ომის გარდაუვალობის ფაქტორია და არა ის, თუ სად დაიწყებოდა ეს ომი – 1991 წლის 22 დეკემბერს თბილისში, 1991 წლის 6 იანვარს ცხინვალში თუ 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში.

ამავე პერიოდში დაშინების პოლიტიკისა და ერთიანი სტრატეგიული ანტიქართული პროექტის შემადგენელი ტაქტიკური ელემენტი იყო ძალის დემონსტრირება. აფხაზეთის ტერიტორიაზე დამატებითი სამხედრო შენაერთების დისლოკაციით კრემლი ქმნიდა პირობებს აქ არსებული მყიფე წონასწორობის დარღვევისათვის და, ესკალაციის მეთოდების ხელოვნური ამოქმედებით, ნეგატიური პოლიტიკური ცვლილებების სტიმულირებისათვის.

1991 წლის 22-23 თებერვალს, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დაუკითხავად, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრ ბ. პუგოს დირექტივის თანახმად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოყვანილ იქნა შინაგანი ჯარების 250-კაციანი ქვედანაყოფი სრული საბრძოლო ეკიპირებით.¹⁶⁵ იმის გამო, რომ ეს ღონისძიება საქართველოს ცენტრალურ მთავრობასთან შეთანხმების გარეშე განხორციელდა და, ამასთან, თვით საბჭოთა კავშირის კანონმდებლობის დარღვევით (რადგანაც ამ დროს აფხაზეთში ადგილი არ ჰქონია საზოგადოებრივი წესრიგის არათუ მასობრივ, არამედ სპორადულ დარღვევებსაც კი), ის უნდა შეფასდეს, როგორც დე ფაქტო ინტერვენცია და რეგიონში ვითარების დესტაბილიზაციისაკენ მიმართული აქცია. ამით იმპერიულმა ცენტრმა სრულიად უგულვებელყო საქართველოს სუვერენული სტატუსი და აფხაზეთში ტერიტორიულ-სამართლებრივი იურისდიქციის უზენაესობა.

გარდა ამისა ჩანს, რომ კრემლის აღნიშნული ნაბიჯი მოტივირებული იყო პროვოკაციული ხსიათის ოპერატიული ამოცანებითაც. აფხაზეთში შემოყვანილი სსრ კავშირის შინაგანი ჯარების ქვედანაყოფი გულრიფშის რ-ნის სოფ. ბაბუშარაში მდებარე ერთ-ერთ სანაპირო სანატორიუმში განთავსდა. ეროვნული გვარდიის შესახებ 1990 წლის 20 დეკემბერს მიღებული საქართველოს კანონის შესაბამისად, 1991 წლის იანვრის მეორე ნახევრიდან უკვე დაიწყო წვევამდელთა განვევა და საჯარისო შენაერთების ჩამოყალიბება. აფხაზეთში ჩამოყალიბებულ ქვედანაყოფებს შორის ერთ-ერთის, კერძოდ, ეროვნული გვარდიის გულრიფშის ბატალიონის დისლოკაციის ადგილად სოფ. ბაბუშარის საზღვაო სანაპიროზე არსებული ობიექტი განისაზღვრა,

165. აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში, ტ. 1. თბილისი, 1999, გვ. 58.

რომელიც საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარების კონტინგენტის განთავსების ადგილიდან რამდენიმე ასეულ მეტრში მდებარეობდა. ამდენად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კრემლის აქცია, ზემოაღნიშნული ამოცანების გარდა, მიზნად ისახავდა შეიარაღებული პროვოკაციის მოწყობას და ლოკალური სამხედრო დაძაბულობის ინსპირირებას საქართველოს ეროვნული გვარდიის გულრიფშის ბატალიონის ფუნქციონირების აღკვეთის ან ამგვარი აღკვეთის იმიტაციის გზით.

„ბაბუშარის ინციდენტი“ იყო ტიპიური მოვლენა აფხაზეთში კრემლის იმპერიული ინტერესების რეალიზაციის სტრატეგიისათვის ტაქტიკური კომპონენტების შემადგენელი კუთხით. ეს სტრატეგია, როგორც უკვე ითქვა, ავტონომიურ რესპუბლიკაში ვითარების ხელოვნური დესტაბილიზაციისაკენ, სამხედრო კრიზისის პროვოცირებისაკენ და ესკალაციის პოლიტიკური ხაზიდან შეიარაღებულ ხაზზე გადაყვანისაკენ იყო მიმართული. ამავე სტრატეგიის ნაწილი იყო საქართველოს ტერიტორიაზე კრემლის სადაზვერვო და ძირგამომთხრელი საქმიანობის გააქტიურება. გასაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოს სამხედრო სისტემაში სპეცსამსახურების აგენტურული ქსელის ჩანერგვას. საქართველოს ეროვნული გვარდიის „შავნაბადას“ ბატალიონში სამხედრო მრჩეველად იმყოფებოდნენ ГРУ-ს პოლკოვნიკი ალ. პოსტიშევი და მაიორი „საშა“. ეს უკანასკნელი იყო ამიერკავკასიაში რუსული სამხედრო ოლქის სადაზვერვო სამმართველოს ოფიცერი და გაგრის ბრძოლების დროს (1992 წლის ოქტომბერი) ქართველ გვარდიელებს ისეთ საბრძოლო დავალებებზე აგზავნიდა, რომ მათი უმრავლესობა უკან ვერ ბრუნდებოდა¹⁶⁶.

მოგვიანებით მაიორი „საშა“ ბატალიონის მეთაურის ა. ბარბაქაძის მოადგილე გახდა (?). სწორედ მისი „დამსახურება“ იყო იმაში, რომ ტამიშის რუსული დესანტის გადმოსხმის დროს (1993 წლის ივლისი) ა. ბარბაქაძის ქვედანაყოფმა ვერ შეძლო ტამიშის ხიდსა და ფერმას შორის სივრცის დაცვა, რის გამოც დესანტირებულმა მონინალმდეგემ იქ პლაცდარმის შექმნა მოახერხა¹⁶⁷.

1991 წლის 17 აპრილს თბილისის სამხედრო დასახლების ტერიტორიაზე დააკავეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის საგანგებო ნაწილის ოფიცერი, მაიორი პოსტოიუკი. დაკავების მომენტში ის ხვდებოდა ეროვნული გვარდიის ჯარისკაცს მისი გადაბირების მიზნით. პოსტოიუკის დაკითხვისას ისიც გაირკვა, რომ საქართველოს სუკ-ის რუსულენოვანი თანამშრომლებისაგან შეიქმნა სპეციალური ქვეგანყოფილება აქ მიმდინარე პროცესების შესწავლისა და სათანადო ინფორმაციის მოპოვების მიზნით¹⁶⁸.

166. პოლკოვნიკ გ. მაისურაძის პირადი არქივი. ცნობა, ფ. 2.

167. იქვე, ფ. 6.

168. იქვე, პატაკი, 25.04.91, ფ.1.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის საგანგებო განყოფილების მუშაობა საქართველოს ტერიტორიაზე აგენტურის კონსპირაციული ქსელის შექმნის, სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვების და იმპერიული ცენტრისთვის გადაცემის კუთხით განსაკუთრებით 1991 წლის გაზაფხულიდან გააქტიურდა. როგორც საიდუმლო წყარო საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრს ო. ხატიაშვილს ატყობინებდა, ერთ-ერთი რეზიდენტურა შეიქმნა მარნეულის რაიონის სოფელ კრასნოეში, მარნეულის რუსული სამხედრო ბაზის საგანგებო განყოფილების უფროსის, მაიორ ო. ფურსოვის მიერ¹⁶⁹.

1991 წლის თებერვალში საკავშირო სუკ-ის ინსტრუქციით, მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით სადაზვერვო-ოპერატიული საქმიანობის კოორდინაციისათვის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის საგანგებო განყოფილების მე-4 სექტორში შეიქმნა სადაზვერვო ქვედანაყოფი პოდპოლკოვნიკ ცურუკას მეთაურობით. 7-8 ოფიცრისაგან შემდგარი ბირთვი იყო თბილისში, ხოლო მისი ფილიალები ბაქოსა და ერევანში. ქვედანაყოფს ჰქონდა დაზვერვისა და ოპერატიულ-ტექნიკური სტრუქტურული დანაყოფები. საქართველოში ქვედანაყოფს განესაზღვრა შემდეგი ამოცანები: ოპერატიული ინფორმაციის შეგროვება ზვიად გამსახურდიას მთავრობის პოლიტიკური კურსის ძირითადი მიმართულებების შესახებ (ამისათვის სანდო წყაროს ძებნა უზენაეს საბჭოში, სუკ-ში, მილიციის ორგანოებში, ეროვნულ გვარდიაში, ოპოზიციურ პარტიებში); ინფორმაციის შეგროვება ოპოზიციის გეგმებისა და მოქმედებების შესაძლო ხაზის შესახებ; კონტაქტების აღდგენა „ძველ“ აგენტურასთან და „ახალი“ აგენტურის შექმნა¹⁷⁰.

აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის პროვოცირების მიზანს ემსახურებოდა 1991-1992 წლებში იმპერიული ცენტრის რეგიონალური პოლიტიკის ფარგლებში გატარებულ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი. თვისობრივად და შედეგების თვალსაზრისით ეს ღონისძიებები შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად.

პირველ ჯგუფში შედის ის პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტები, რომლებიც კრემლის კარნახით და სამართლებრივი ცნობიერების ელემენტარული ნორმების დარღვევით ვ. არძინბას სეპარატისტულმა დაჯგუფებამ მიიღო. არსებითად ეს იყო კონსტიტუციური კონფლიქტი საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან (ე.წ. „კანონთა ომი“), რამაც შექმნა მომავალი ომის იურიდიული ბაზა.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება პოლიტიკური ნაბიჯები, რომლებიც კრემლის მხარდაჭერით (ფინანსური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური) გადადგა ვ. არძინბას გარემოცვამ ავტონომიურ რესპუბლიკაში პროიმიპერიული პარტიულ-პოლიტიკური ქსელის შექმნით და სეპარატიზმის

169. იქვე, ცნობა, 06. 05. 91, ფ. 1-2.

170. იქვე, ცნობა, 05.05.91, ფ. 1.

სოციალურ-პოლიტიკური ბაზის გაფართოებით („სლაფური სახლი“, სომხური „კრუნქი“, ასევე ცალკეული „საქველმოქმედო“ ჯგუფები და „კულტურული“ საზოგადოებები; ამ წარმონაქმნების „აიდგილარასთან“ კოალიციის საფუძველზე, 1992 წლის მარტში ანტიქართული და პრომოსკოვური ბლოკი „სოიუზი“ ჩამოყალიბდა; ინტენსიური კონტაქტები საბჭოთა სუკ-ის მიერ შექმნილ „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციასთან“ ფაქტობრივ სამხედრო ალიანსში გადაიზარდა. ამით კრემლმა აფხაზეთში დაწყებულ იმპერიულ თამაშში ჩრდილოკავკასიელი მოთამაშე შემოიყვანა, რითაც ჩადო იბერიულ-კავკასიური ცნობიერების რღვევისა და ერთიანი კავკასიის იდეის დაშლის ნაღმი, შეიქმნა მომავალი ომის პოლიტიკური საფუძველი.

იმპერიული ცენტრის მიერ გატარებულ ღონისძიებათა მესამე ჯგუფში შედის წინასწარ დაგეგმილი პროვოკაციული აქტები, რომლებიც ხელს უშლიდნენ ვითარების ნორმალიზაციას, საქართველოს ეროვნული ხელისუფლების მეცადინეობით (განსაკუთრებით, 1991 წლის ზაფხულში მიღწეული პოლიტიკური კომპრომისისა და ახალი საარჩევნო კანონის მიღების შედეგად) დაწყებული სტაბილიზაციის პირველადი ეფექტის შემდგომ გაფართოებას. კრემლის დირექტივების შესაბამისად, სოხუმის სეპარატისტული დაჯგუფება ყოველმხრივად უწყობდა ხელს დესტრუქციული ძალების უპასუხისმგებლო მოქმედებას, გამიზნულად არ მიმართავდა ზომებს კონფრონტაციის გამლვივებელი ჯგუფების აქტივობათა შესაკავებლად. ასეთი პოლიტიკა, ცხადია, აღრმავებდა ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებაში უთანხმოებას, უნდობლობას, ქმნიდა ეთნიკური კონფრონტაციის ატმოსფეროს და ხელს უშლიდა საყოველთაო თანხმობის, თანამშრომლობის, სტაბილურობის ერთიან პლატფორმაზე დგომის მექანიზმების ოპტიმალურ მოქმედებას. ყოველივე ამის საფუძველზე, კრემლის ცალკეული წრეებისა და აფხაზი სეპარატისტების ალიანსმა უზრუნველყო მომავალი ომის სოციალური ბაზა. ერთ-ერთი საარქივო დოკუმენტის მონაცემებით, სპეცსამსახურებში მოქმედებდა საიდუმლო ინსტრუქცია, თუ როგორ და რა ფორმით უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი ავტონომიური რესპუბლიკაში მცხოვრები რუსული, სომხური, ბერძნული და ესტონური ეთნიკური თემების მონაწილეობა ანტიქართულ და ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში. იქვე არის დეტალურად განერილი აფხაზეთისაგან კონფიდენციალური შეიარაღებული ფორმირებების (ე. წ. „კიარაზის“ რაზმების) შექმნისა და ომის დაწყების შემთხვევაში მათი ოპერატიული გამოყენების გეგმა¹⁷¹.

იმპერიული ცენტრის დესტრუქციული პოლიტიკის სამივე ეს მიმართულება იყო ურთიერთდაკავშირებული და, ეტაპობრივი თანხვედრის ტენდენციის კუთხით, ურთიერთდამოკიდებულიც. მთლიანობაში მათი დანიშნულება სრულიად ცალსახაა – აფხაზეთში ანარქიული

171. პოლკოვნიკ გ. მაისურაძის პირადი არქივი. О задачах к выборам, лл. 1-4.

სიტუაციის შექმნა, თბილისსა და სოხუმს შორის ისედაც მყიფე ბალანსის დარღვევა, პოლიტიკური კრიზისის ომში (საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ აფხაზური ეთნოკრატიის სეცესიურ ომში) გადაზრდისათვის რეალური წანამძღვრების შექმნა.

1991 წლის 18-21 აგვისტოს მოსკოვის პუტჩის კრახის შემდეგ, იმპერიულ ცენტრში „გორბაჩოვის გუნდის“ „ელცინის გუნდით“ ჩანაცვლებას იმპერიის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ არ შეუცვლია და არც „აფხაზური კარტი“ მოუსვრია ისტორიის სანაგვეში. პირიქით, ახალი ფორმაციის რუსულმა ელიტამ კიდევ უფრო გააღრმავა ანტიქართული ალიანსი აფხაზურ ეთნოკრატიასთან, უფრო დახვეწა და მიზანსწრაფული გახადა ომის ინიცირების კონფლიქტოგენური ტექნოლოგიები. სწორედ ამამია საკითხის არსი: როდესაც სახელმწიფო იერარქიის უმაღლეს საფეხურზე ხდება პოლიტიკური ჯგუფების რადიკალური ტრანსფორმაცია, მაგრამ იმპერიული პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული ექსპანსიონისტური სტრატეგიები არ იცვლება (არათუ იცვლება, არამედ, პირიქით, უფრო რადიკალურ იმპულსებს იძენს), ეს იმას ნიშნავს, რომ იმპერიალიზმი, ექსპანსიონიზმი და ინტერვენციონიზმი არის რუსული პოლიტიკის განუყოფელი კანონი.

ერთი მხრივ, აგვისტოს პუტჩი (პუტჩისტთა ჯგუფის მიერ პრეზიდენტ გორბაჩოვის გადაყენება, „საგანგებო სიტუაციათა სახელმწიფო კომიტეტის“ მიერ ძალაუფლების ხელში აღება და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება) წარმოადგენდა ანტიკონსტიტუციურ სახელმწიფო გადატრიალებას. მეორე მხრივ, 1991 წლის 8 დეკემბრის ბელოვეჟის ხელშეკრულება და იმავე წლის 21 დეკემბრის ალმა-ათის დეკლარაცია სსრკ-ს არსებობის შეწყვეტის შესახებ იყო სრულიად ლოგიკური და კანონიერი აქტები. მაგრამ საქართველოს ანტიიმპერიული ინტერესების ჭრილში ამ ტრანზიტულ გეოპოლიტიკურ პროცესს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგანაც ეს იყო იმპერიის უმაღლეს იერარქიაში ნომენკლატურული ცირკულაცია, „გორბაჩოვიური ცენტრის“ ჩანაცვლება „ელცინური ცენტრით“, „ნოვო-ოგარიოვოს პროცესისა“ და „სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირის“ (სსკ) პროექტის ჩანაცვლება „ბელოვეჟის პროცესითა“ და „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის“ (დსთ) პროექტით. საქართველო იდგა სრული და განუყოფელი დამოუკიდებლობის პლატფორმაზე: რა ნეგატიურობითაც ის აფასებდა „ნოვო-ოგარიოვოს პროცესს“, იმავე ნეგატიურობით უყურებდა „ბელოვეჟის პროცესსაც“ და უარს აცხადებდა კრემლის ნეოიმპერიულ წარმონაქმნში – დსთ-ში შესვლაზე.

ძალიან საგულისხმოა დასავლეთის იმდროინდელი პოზიციაც. საბჭოთა კავშირის დაშლისა და მსოფლიოს ბიპოლარული სტრუქტურის ნგრევის პირობებში დასავლური ისტებლიშმენტი არ იყო დაინტერესებული ერთიანი სივრცის დეზინტეგრაციით და უსაფრთხოების

ერთიანი რეგიონალური მოდელის დანაწევრებით (როგორც შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, ეს იყო ჯორჯ ბუში – უფროსისა და ბილ კლინტონის ადმინისტრაციების სტრატეგიული შეცდომა). გარდა ამისა, დასავლეთი მეტად თავისებურად უყურებდა მოსკოვში მომხდარი ტრანსფორმაციის შინაგან ბუნებას: ის მას აფასებდა ტოტალიტარიზმ-დემოკრატიის დიქოტომიის კონცეფციაში და ამ მიდგომას განიხილავდა ინტეგრალურად, კრემლის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთლიანობაში. საშინაო პოლიტიკაში ბ. ელცინის რუსეთი მართლაც ფლობდა დემოკრატიის გარკვეულ ხარისხს (თუმცა რჩებოდა არალიბერალურ ქვეყნად), მაგრამ საგარეო პოლიტიკაში, განსაკუთრებულად კი პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართ, რჩებოდა იმპერიული კურსისა და ძალისმიერი პოლიტიკის გამტარებლად. კორელაციის ეს ნიშნები დასავლეთში ვერ (ან არ) დაინახეს, ვერც კრემლის ექსპანსიონისტური სტრატეგია შეაფასეს ადეკვატურად; შესაბამისად, წინ არ აღუდგნენ (თუნდაც ფორმალურ-დეკლარაციულად) პოსტსაბჭოთა სახელმწიფოთა შიდა დესტაბილიზაციისა და რუსეთის საზღვრების პერიმეტრზე მართვადი კონფლიქტური სარტყლის ჩამოყალიბებისაკენ მიმართულ კრემლის დესტრუქციულ პოლიტიკას. სწორედ ამით იყო ნაკარნახევი იმდროინდელი დასავლეთის მხრიდან გამოჩენილი ყოვლად გაუმართლებელი ნეიტრალიტეტი აფხაზეთის ომში.

საქართველოს მიერ თავისი გეოცივილიზაციური არჩევანის შეუქცევადობისა და რუსეთის პატრონაჟით ფორმირებად ბლოკში (დსთ-ში) არმონაწილეობის კურსმა რადიკალურად გაამწვავა თბილისი-მოსკოვის ურთიერთობები თითქმის ყველა სფეროში. კრემლი იმპერიული პროექტების კონკრეტული დაგეგმვისა და აფხაზეთში მართვადი ესკალაციის ორგანიზაციის სტადიაზე გადავიდა. უაღრესად საგულისხმოა და ნიშანდობლივი, რომ რუსეთის აქტივობის ახალი ტალღა დროში დაემთხვა საქართველოს აღნიშნული კურსის ყველაზე არსებით გამოვლინებებს; 1991 წლის 15 სექტემბერს საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საბჭოთა ჯარების საოკუპაციო სამხედრო ძალად გამოცხადების შესახებ. პარალელურად, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, საქართველოს მთავრობას დაევალა მოლაპარაკების დაწყება იმპერიული ცენტრის შესაბამის სტრუქტურებთან-დეოკუპაციის ვადებთან და პროცედურასთან, ასევე ამიერკავკასიის რუსული სამხედრო ოლქის იმ ობიექტებისა და ქონების საქართველოს საკუთრებაში გადმოცემასთან დაკავშირებით, რომლებიც მის ტერიტორიაზე იყო განლაგებული. ამ აქტების მიღებამდე ერთი კვირით ადრე, 9 სექტემბერს, შეიქმნა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

მაშასადამე, საქართველომ ცალსახად განსაზღვრა დამოუკიდებელი სამხედრო პოლიტიკის პრიორიტეტები, სუვერენული სამხედრო

მმართველობის სტრუქტურები (ეროვნული თავდაცვის სამინისტროს და მისი სისტემური ორგანოების სახით), ამასთან, იმ პოლიტიკური შეთანხმებებისა და სამართლებრივი ნორმების პაკეტი, რომელთა საფუძველზეც უნდა განხორციელებულიყო ქვეყნის დეოკუპაცია იმისდა მიუხედავად, თუ ვინ „იჯდებოდა კრემლში“ – გორბაჩოვი თუ ელცინი.

1991 წლის 21 დეკემბერს ქ. ალმა-ათაში გაიმართა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების მეთაურთა სამიტი. სამიტს უნდა გადაენწყვიტა რუსეთ-უკრაინა-ბელორუსის 1991 წლის 8 დეკემბრის ბელოვეჟის შეთანხმებასთან (საბჭოთა კავშირის გაუქმებისა და დსთ-ს შექმნის შესახებ) ცალკეული პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების შეერთების საკითხი. ეს საკითხი გადაწყდა სპეციალური „დეკლარაციის“ მიღებით, რაზედაც საქართველოს, რომლის წარმომადგენლები სარგებლობდნენ მხოლოდ დამკვირვებლის სტატუსით, ხელი არ მოუწერია. ზუსტად მეორე დღით თბილისში სახელმწიფო გადატრიალება დაიწყო.

კრემლის რეაქციული და ინტერვენციონისტური პოლიტიკა ელცინის „დემოკრატიული რუსეთის“ პირობებში კიდევ უფრო რადიკალური და გაცილებით არაპროგნოზირებადი გახდა, რამეთუ მან შეიძინა ახალი განზომილება – სამხრეთ კავკასიის რეოკუპაცია-რეანექსია. ამ ფუნდამენტური რეგიონული პროექტის ცენტრალური თეზა საქართველოზე კონტროლის აღდგენაში მდგომარეობდა, ხოლო მისი რეალიზაციის სამხედრო ბერკეტად აფხაზეთში ომის გაჩაღება იყო მოაზრებული. აფხაზეთში ომის დაწყება, მისი ხელოვნური გაჭიანურება და ომში ჩარევით კრემლისთვის სასურველი შედეგების უზრუნველყოფა გახდა ერთ-ერთი მთავარი რგოლი მოვლენათა იმ ჯაჭვში, რომლებმაც სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ბატონობის დახურული ზონის აღდგენა განაპირობეს. ჯაჭვის სხვა რგოლები იყო ყარაბაღის ომი, ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი, აზერბაიჯანში ა. ელჩიბეის ხელისუფლების დამხობა და საქართველოში ზ. გამსახურდიას ეროვნული მთავრობის სანინალმდეგო გადატრიალების ორგანიზაცია.

დღევანდელი გადასახედიდან და არსებული მასალის, დეშიფრირებული მონაცემების, ცალკეული მემუარული ცნობების, ასევე იმდროინდელ მოვლენათა შინაგანი ლოგიკის გათვალისწინებით, არავითარ ეჭვს არ იწვევს ის გარემოებანი, რომ:

ა) როგორც 1991 წლის სექტემბერ-ოქტომბრის პუტჩისტური მოძრაობა, ისევე 1991 წლის 22 დეკემბერ – 1992 წლის 6 იანვრის ანტიკონსტიტუციური სახელმწიფო გადატრიალება ქართული შეიარაღებული ოპოზიციისადმი რუსეთის ფედერაციის პოლიტიკურ-დიპლომატიური, ფინანსური და სამხედრო მხარდაჭერით განხორციელდა;

ბ) გადატრიალების ორგანიზაცია-მხარდაჭერის რუსულ წყაროებს, ძალებს და სტრუქტურებს მართავდა და კოორდინაციას უწევდა პრეზიდენტ ელცინის ადმინისტრაციაში სპეციალურად შექმნილი

არაფორმალური საიდუმლო კომიტეტი ვიცე-პრემიერისა და სახელმწიფო მინისტრის გ. ბურბულისის მეთაურობით;

გ) რუსეთს უშუალოდ აწყობდა, უფრო მეტიც – კრემლის ახალ რეგიონალურ პოლიტიკას პირდაპირ შეესაბამებოდა თბილისში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების შედეგები: პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობა, ლეგიტიმური უზენაესი საბჭოს დათხოვნა და საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მოქმედების შეჩერება; უკანონო და არაპოპულარული რეჟიმის შექმნა ჯერ (1992 წლის 2 იანვარს) სამხედრო საბჭოს, შემდეგ კი (1992 წლის 10 მარტს) სახელმწიფო საბჭოს სახით და რუსეთიდან დაბრუნებული ე. შევარდნაძის თავმჯდომარეობით; ხელისუფლებაში საბჭოთა ეპოქის პარტნომენკლატურის აღდგენა; საქართველოში ქრონიკული პოლიტიკური კრიზისის, სამოქალაქო კონფრონტაციისა და მართვადი (ზოგ შემთხვევაში კი უმართავი) ქაოსის ატმოსფეროს შექმნა;

დ) „ბურბულისის კომიტეტთან“, რუსეთის გენერალიტეტთან და სპეცსამსახურების გარკვეულ წრეებთან უშუალო კონტაქტები ჰქონდათ აფხაზ სეპარატისტებს. ვ. არძინბას დაჯგუფება, კრემლის კარნახით და კრემლისავე დირექტიული ზეწოლით, ე. შევარდნაძის ანტიეროვნული „მოსკოვური ცენტრისაგან“ დამოუკიდებლად საკუთარ სეპარატულ თამაშს ეწეოდა. ეს იყო აფხაზეთის საქართველოსაგან უკანონო გამოყოფის პოლიტიკური, სამართლებრივი და სამხედრო-ადმინისტრაციული საფუძვლების უზრუნველყოფა, რამაც თავის მხრივ, შეუქცევადი გახადა აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისის ომში გადაზრდა.

1991 წლის 29 დეკემბერს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული საჯარისო ნაწილები (არმიის, შინაგანი ჯარებისა და სასაზღვრო ნაწილები, ასევე სამხედრო-საზღვაო ძალების დანესებულებები) უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის (ე.ი. ვ. არძინბას) იურისდიქციაში გადადიოდნენ, ხოლო მათი ტექნიკა, შეიარაღება და საჯარისო დანესებულებათა ქონება აფხაზეთის საკუთრებად ცხადდებოდა.¹⁷² ამით სეპარატისტულმა დაჯგუფებამ უზემად დაარღვია საქართველოს კონსტიტუციური სისტემის ერთიანობა, საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წელს 15 სექტემბერს მიღებული ზემოხსენებული კანონები, დააფიქსირა ცენტრალური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად აფხაზეთში სამობილიზაციო რესურსების დაგროვებისა და სამხედრო სისტემის კონტროლის სრულიად არალეგიტიმური მცდელობანი. ამასთან, სოხუმში მიღებული უკანონო აქტი ადასტურებდა საქართველოს

172. რეგიონული კონფლიქტები საქართველოში – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2001). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თ. დიასამიძე. თბილისი, 2002, გვ. 60-61.

ტერიტორიის განუყოფელ ნაწილში რუსეთის,¹⁷³ როგორც უცხო სახელმწიფოს, სამხედრო ფორმირებების შექმნას და დისლოკაციას.

იმავე 29 დეკემბერს მიღებული მეორე დადგენილებით, ვ. არძინბამ საკუთარი დაქვემდებარების ქვეშ შექმნა „დროებითი სამხედრო საბჭო“, რომლის ფუნქციებშიც „აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული სამხედრო და მილიციის ნაწილების საქმიანობის კოორდინაცია“ შედიოდა.¹⁷⁴ საბჭოს თავმჯდომარე გახდა თვითონ ვ. არძინბა, ხოლო მის შემადგენლობაში სხვებთან ერთად შევიდნენ აფხაზეთში დისლოცირებული რუსული ნაწილების მეთაურები – პოლკოვნიკი ბ. მირველოვი (№3697 სამხედრო ნაწილის მეთაური) და მაიორი ა. კლიმოვი (№5482 სამხედრო ნაწილის მეთაური).

„დროებითი სამხედრო საბჭო“ ფაქტობრივად წარმოადგენდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისაგან სეპარატულ სამხედრო მართვის სტრუქტურას, აფხაზეთის სამხედრო-პოლიტიკური სუვერენიტეტის და აფხაზურ-რუსული სამხედრო ალიანსის ერთგვარ სიმბოლოს. ამავე დროს, როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, ეს ორგანო სეპარატისტული რეჟიმის მომავალი სამხედრო სისტემის მაკოორდინირებელი სტრუქტურისა და ე.წ. თავდაცვის სამინისტროს პირველსახის როლშიც გვევლინება.

ხომ სრულიად ცხადია, რომ სამხედრო სეპარატიზმის ამ ნაბიჯს ვ. არძინბას დაჯგუფება რუსეთის სანქციისა და დახმარების გარეშე ვერ გადადგამდა? ხომ ცხადზე უცხადესია, რომ რუსული სამხედრო ნაწილების მეთაურები „საბჭოს“ შემადგენლობაში რუსეთის გენერალური შტაბის ან ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის დირექტივის გარეშე არ შევიდოდნენ?

„დროებითი სამხედრო საბჭოს“ შექმნით სეპარატისტებმა ღია მესიჯი გაუგზავნეს საქართველოს ხელისუფლებას, რომ ისინი არ გამორიცხავენ შეიარაღებულ კონფრონტაციას (სხვა საკითხია სახელმწიფო გადატრიალების გამო ფაქტობრივ პარალიჩში მყოფი ოფიციალური თბილისის ნულოვანი რეაგირება ამ გამოწვევაზე).

1992 წლის 31 მარტს ვ. არძინბას გარემოცვამ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მიიღო დადგენილება „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ კანონის დაცვის ღონისძიებათა შესახებ“.¹⁷⁵ ამას მოჰყვა ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება (30 აპრილი) „1965-1974 წლებში დაბადებულ მოქალაქეთა ნამდვილ სამხედრო სამსახურში განვევის შესახებ“¹⁷⁶. ამ უკანონო

173. საბჭოთა კავშირის დაშლა ოფიციალურად 1991 წლის 25 დეკემბერს, პრეზიდენტ მ. გორბაჩოვის გადადგომით დასრულდა.

174. რეგიონული კონფლიქტები საქართველოში..., გვ. 61.

175. რეგიონული კონფლიქტები საქართველოში..., გვ. 66-67.

176. იქვე, გვ. 67.

აქტების საფუძველზე, ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის არაქართულ ნაწილში სამხედრო-სამობილიზაციო განყოფილებების ინტენსიური მუშაობის შედეგად ჩამოყალიბდა „აფხაზეთის შინაგანი ჯარის პოლი“. ფაქტობრივად ეს იყო მონოეთნიკური გვარდია – საქართველოს ცენტრალური სამხედრო სტრუქტურებისაგან დამოუკიდებელი და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს (?) დაქვემდებარებული შეიარაღებული ერთეული. საგულისხმოა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებულმა რუსეთის ქვედანაყოფებმა დაუყოვნებლივ დაიწყეს აფხაზური პოლკისათვის სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების გადაცემა. ეს მაშინ, როდესაც დანარჩენ საქართველოში დისლოცირებული რუსული შენაერთები თავს იკავებდნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის ანალოგიური, მაგრამ სრულიად კანონიერი გადაცემისაგან, მოტივად ასახელებდნენ რა აღნიშნულ საკითხზე საქართველოსთან შეთანხმების არარსებობას (ცნობილია, რომ შეთანხმება 1992 წლის 15 მაისს ტაშკენტში დაიდო).

1992 წლის ზაფხულში პოლიტიკურმა დაძაბულობამ აფხაზეთში აპოგეას მიაღწია. ეთნიკური თემებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების გადაჯგუფების საფუძველზე თვისობრივად ახალი პოლიტიკური წესრიგი ჩამოყალიბდა. კონფლიქტოგენობისა და ესკალაციის ხარისხმა ძალიან მაღალ დონეს მიაღწია. რუსეთის უმაღლესი პოლიტიკური წრეებისაგან ნახალისებული ვ. არძინბას პოლიტიკას, რომელიც აფხაზეთში ხელისუფლების უზურპაციისაკენ და ანტიქართული ნეოტოტალიტარული რეჟიმის დამყარებისაკენ იყო მიმართული, ვითარება ჩიხში შეჰყავდა. კომპეტენტური ორგანოების მიერ დანიშნულებისამებრ მიწოდებული ინფორმაციის მიხედვით, აფხაზური მხარე ეწეოდა „დაუფარავ მზადებას შეიარაღებული შეტაკებისთვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ხელოვნური გამწვავებით, ანტიქართული დეზინფორმაციების გავრცელებით, შანტაჟით და სხვა“¹⁷⁷. 1992 წლის 5 ივნისს ქ. სოხუმში მოწვეულ იქნა სეპარატისტული ორიენტაციის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების გაფართოებული კრება. მასზე გამოცხადდა ე.წ. „აფხაზეთის ეროვნული ხსნის კომიტეტის“ შექმნა. ყურადღებას იქცევს კრებაზე მიღებული ე.წ. „აფხაზეთის ეროვნული ხსნის კომიტეტის დეკლარაცია“, რომელიც ანტიქართული პათოსით და არსებული კრიზისული ვითარების ძალისმიერი გზით (ე.ი. ომის გზით) გადანწყვეტისაკენ მოწოდებით გამოირჩევა. კერძოდ, „დეკლარაციაში“ აღნიშნულია: „... თუ შეიქმნება ანტიკონსტიტუციური პარალელური სტრუქტურები, ასევე უკანონო შეიარაღებული ფორმირებები, აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება: საყოველთაო მობილიზაცია; თხოვნა კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის პარლამენტისადმი 177. პოლკოვნიკ გ. მაისურაძის პირადი არქივი, ცნობა, 30. 06. 92, ფ. 8.

ანალოგიური მობილიზაციის შესახებ; აფხაზეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის დაუყოვნებლივ მიღება...“¹⁷⁸

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ ვის გულისხმობს „დეკლარაცია“ ანტიკონსტიტუციურ პარალელურ სტრუქტურებში“ და „უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებში“. აქ იგულისხმებიან ანტისეპარატისტული წარმომადგენლობითი სტრუქტურები – პარლამენტის ფრაქცია „დემოკრატიული აფხაზეთი“, „ეროვნული ერთიანობის საბჭო“ და ქართული სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი თავდაცვითი ქვედანაყოფი – შინაგანი ჯარების სოხუმის მექანიზებული ბატალიონი. „დეკლარაცია“ პირდაპირ მოითხოვს აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ გამოცხადებას და ამ „დამოუკიდებლობის“ „დასაცავად“ ომის დაწყებას. აი, ამგვარად დაადგინენ აფხაზი სეპარატისტები ფაქტობრივი სამხედრო მანევრირების ტაქტიკას და რუსეთის დახმარებით შექმნეს ომის საფუძვლები.

ზემოთ უკვე იყო საუბარი რუსეთის რეგიონალური გეოპოლიტიკური სტრატეგიის შესახებ. აღნიშნული პროექტის მნიშვნელოვან შემადგენელს წარმოადგენდა პრეზიდენტ ელცინის ადმინისტრაციაში შემუშავებული გეოსტრატეგიული გეგმა. ის მიზნად ისახავდა საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ყოფნის გრძელვადიან უზრუნველყოფას სხვადასხვა სტატუსის მქონე სტრატეგიული წერტილების – სამხედრო ბაზების, განსაკუთრებული გასამხედროებული ცენტრების, სამშვიდობო მისიების – ქსელის შექმნის გზით. კრემლის გათვლა ასეთი იყო – სამხრეთ კავკასიაში ახალი გეოსტრატეგიული არქიტექტურის ორგანიზაცია, აფხაზეთის ომის მეშვეობით საქართველოს წინააღმდეგ ტერიტორიული ექსპანსიის განხორციელება და მისი ჩართვა იმპერიული გეოსივრცის გარეგან ბუფერულ სარტყელში (აზერბაიჯანთან და მოლდოვასთან ერთად). აფხაზეთის ომის შემდეგ, 1994 წლის 14 მაისის შეთანხმების მიხედვით, საქართველოში შემოსული რუსეთის სამშვიდობო მისია და მისი იურისდიქციისთვის განკუთვნილი უსაფრთხოებისა და შეზღუდული შეიარაღების ზონები სწორედ ასეთი სტრატეგიული წერტილები იყო.

ომის წინა პერიოდში რუსეთის გავლენა „აფხაზეთის კრიზისის“ პოლიტიკურ ფაქტორებზე და ძალთა განლაგების კონფიგურაციაზე თავისებურებით ხასიათდება. კრემლში ჩათვალეს (ყოველ შემთხვევაში, კრემლის ელიტის იმ ნაწილში, რომელიც უშუალოდ პრეზიდენტ ელცინის გარემოცვას და მმართველ ფრაქციას წარმოადგენდა), რომ ამ ეტაპზე ცალმხრივად პროაფხაზური კურსი არ შეესაბამებოდა აფხაზეთში არსებული კრიზისის ომში გადაზრდის იმპერიულ ინტერესებს. ამიტომ კურსი აიღეს ომისაკენ ორივე მხარის ნახალისება-სტიმულირების ტაქტიკაზე. 1992 წლის ივნის-ივლისში კრემლი

178. Авидзба А. Отечественная война (1992-1993 гг.). Вопросы военно-политической истории Абхазии. Сухуми, 2008, с. 72.

ქართული და აფხაზური მხარეების ორმხრივი გარანტირების ტაქტიკას დაადგა და ორ პარალელურ ხაზზე მუშაობდა.

1992 წლის 18 ივნისს ქ. სოხუმის „შუქურას“ უბანში დისლოცირებული რუსეთის არმიის სამხედრო-საინჟინრო ნაწილიდან ე. წ. აფხაზური გვარდიის შეიარაღებისათვის გაცემულ იქნა დიდი რაოდენობით ავტომატური იარაღი, ტყვიამფრქვევები და საბრძოლო ტექნიკა¹⁷⁹.

1992 წლის 24 ივნისს ე. შევარდნაძისა და ბ. ელცინის დაგომისის შეხვედრაზე, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების გარდა, განიხილეს საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა საერთო კომპლექსი. მიღებულ „კომუნიკეში“, სხვათაშორის, აღინიშნა: „საქართველოსა და რუსეთის სამართალდამცავი ორგანოები აღკვეთენ მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე უკანონო სამხედრო, ნახევრად სამხედრო და თვითნებურად შექმნილი რაზმებისა და ჯგუფების საქმიანობას.“¹⁸⁰ ოფიციალური თბილისის თვალთახედვით, „უკანონო სამხედრო და ნახევრად სამხედრო რაზმებად“ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი, პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას ერთგული ეროვნული გვარდია, ასევე სხვა გასამხედროებული ჯგუფები მიიჩნეოდა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი აფხაზეთში გადავიდა. ამასთან, „უკანონო რაზმების“ კატეგორიაში გადიოდა და სრულიად სამართლიანად, აფხაზთა მონოეთნიკური გვარდია და „აიდგილარას“ შეიარაღებული ჯგუფები. სხვათაშორის, ზუსტად „დაგომისის კომუნიკეს“ ხელმოწერის დღესვე, 24 ივნისს, ვ. არძინბას ბრძანებით ამ გვარდიამ, ვითომდა „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის“ საბაბით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს შენობები დაიკავა, კონტროლქვეშ აიყვანა ქ. სოხუმის ცენტრალური მაგისტრალები, ქუჩები და მოედნები. ასეთი დამთხვევა არ იყო შემთხვევითი.

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ დაგომისის შეხვედრაზე ე. შევარდნაძემ ბ. ელცინისგან მიიღო აფხაზეთში სამხედრო ოპერაციის ჩატარების სანქცია, რუსეთის მხრიდან ნეიტრალიტეტის გარანტიით.

1992 წლის 18 ივლისს სოჭში, „ბოჩაროვ რუჩეის“ სახელმწიფო აგარაკზე გაიმართა ბ. ელცინის არაოფიციალური საიდუმლო შეხვედრა ვ. არძინბასთან და აფხაზური ელიტის ზოგიერთ სხვა წარმომადგენელთან.¹⁸¹ შეხვედრიდან ხუთიოდე დღეში, 23 ივლისს, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სეპარატულმა ნაწილმა მიიღო უკანონო, ანტისახელმწიფოებრივი ხასიათის საკანონმდებლო აქტების სერია:¹⁸² დადგენილება რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ (რომელიც კონსტიტუციონალიზმის აღიარებული პრინციპების და

179. პოლკოვნიკ გ. მაისურაძის პირადი არქივი, ცნობა, 30. 06.92, ფ. 9.

180. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992, 27 ივნისი.

181. Лакоба С. Абхазия де-факто или Грузия де-юре. Москва, 2001, с. 25.

182. Республика Абхазия, 1992, 28 июля.

თვით ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის უხეში დარღვევით, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანისათვის საკმარის ქვორუმად ადგენდა არა კვალიფიციურ უმრავლესობას, არამედ უბრალო უმრავლესობას); დადგენილება 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედების შეწყვეტის და ახალი კონსტიტუციის მიღებამდე აფხაზეთის სსრ 1925 წლის კონსტიტუციის ამოქმედების შესახებ (რაც გულისხმობდა საქართველოსთან მანამდე არსებული სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტას. თანაც დადგენილებაში, 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენის პარალელურად, აღნიშნულია, რომ „შენარჩუნებულ იქნეს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ამჟამად (ე.ი. 1978 წლის კონსტიტუციის საფუძველზე – დ. ჯ.) მოქმედი სისტემა.“ როგორც ცნობილია, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო სისტემის მოქმედების რეგლამენტაცია არის ნებისმიერი კონსტიტუციის ჩონჩხი, კონსტიტუციონალიზმის ბირთვი. ე.ი. რა გამოდიოდა? ოფიციალურად ფუნქციონირებას წყვეტდა 1978 წლის კონსტიტუცია და მოქმედებას იწყებდა 1925 წლის კონსტიტუცია; პრაქტიკულად კი ისევ 1978 წლის კონსტიტუცია მოქმედებდა, ოღონდ ავტონომიის სტატუსის გარეშე. 1925 წლის 1 აპრილის მკვედრადმოხილი კონსტიტუცია, რომელიც ვრცლად არის ზემოთ განხილული (იხ. ნაწილი I. 5.) თავის დროზე არ გამოქვეყნებულა და არც არასოდეს ამოქმედებულა (სეპარატისტებს იგი სჭირდებოდათ მხოლოდ ერთი მუხლის გამო, რომელიც აფხაზეთს „სუვერენულ“ რესპუბლიკად აცხადებდა). სეპარატისტებმა მიიღეს აგრეთვე „კანონები“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელწოდებისა და სიმბოლიკის შეცვლის შესახებ; კანონი ტრანზიტის გადასახადის შესახებ (რომელიც „აფხაზეთის საკუთრებად“ მიიჩნევა ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიას, საჰაერო და საზღვაო სივრცეს; 4-ე მუხლის ერთ-ერთ პუნქტი – „ტრანზიტის გადასახადისაგან თავისუფლებიან საქართველოს რესპუბლიკისა და კრასნოდარის მხარის ფიზიკური და იურიდიული პირები“ – საქართველოს სამართლებრივად გარე ტერიტორიად განიხილავდა და რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარესთან იყო გათანაბრებული).

ამდენად, რუსეთის პრეზიდენტთან კონფიდენციალური შეხვედრის შემდეგ და მიღებული დირექტივებისა და გარანტიების შესაბამისად, 1992 წლის 23 ივლისს სეპარატისტულმა დაჯგუფებამ რეგიონალური პოლიტიკური გადატრიალება განახორციელა და საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის ავტონომიური ერთეულის ანტიკონსტიტუციური გზით გამოყოფის – უკანონო სეცესიის სურვილის დეკლარირება მოახდინა.

ასე მიიყვანა რუსეთიდან ზურგგამაგრებულმა აფხაზურმა სეპარატისტულმა ელიტამ და კონკრეტულად ვ. არძინბას გარემოცვამ

ვითარება სამხედრო დაპირისპირებამდე. ამ მხრივ სიმპტომატურია ვ. არძინბას ერთგვარი თვითალიარება 1992 წლის აგვისტოს დამდეგს, პროფ. ს. ჩერვონაიასთან საუბრის დროს: „ჩვენ კარგა ხანია მზად ვართ, ჩვენ ნახევარ საათში შეგვიძლია იარაღის ქვეშ დავაყენოთ მთელი მოსახლეობა. ჩვენი არსენალები სავსეა რუსული იარაღით და ნებისმიერ მომენტში შეგვიძლია მივიღოთ ორჯერ, სამჯერ მეტი. ჩვენ დაუჟკავშირდით კაზაკობას. მალე აქ დაიწყება ომი და მარტო კავკასია კი არა, მთელი რუსეთი ამოქმედდება.“¹⁸³

რუსეთის პოლიტიკურმა მონაწილეობამ ფაქტობრივად გამოიწვია აფხაზეთში მხარეებს შორის ნდობის დეფიციტის შევსება და კრიზისულ ვითარებაში კოორდინაციაზე, კომპრომისსა და თანამშრომლობაზე (თუნდაც იძულებით თანამშრომლობაზე) აგებული პრევენციული მექანიზმების მოქმედება. უფრო მეტიც, რუსეთს იმდენად მასშტაბური გავლენა ჰქონდა როგორც თბილისზე, ისე სოხუმზე, რომ თავისუფლად შეეძლო ერთგვარი სტაბილურობის აღდგენა ორივე მხარის იძულებით, მისხდომოდნენ მოლაპარაკების მაგიდას და დაბრუნებულებს თუნდაც საკანონმდებლო დისკუსიის („კანონთა ომის“) ფარგლებში. მაგრამ კრემლმა ეს არ გააკეთა; არ გამოიყენა ზენოლის დიპლომატიური და სხვა პოლიტიკური არხები და ოდნავადაც არ უცდია დაპირისპირებული მხარეებისათვის შეექმნა ალტერნატივის შეთავაზებისა და დეესკალაციის გარეშე.

რუსეთის ჩართულობამ, ორმაგი გარანტიების ტაქტიკამ პოლიტიკური პროცესის ერთიანი სტრუქტურა ძირშივე გაანადგურა და კონფლიქტის დეესკალაციის საფუძვლები მოსპო. გარეგნულად ომამდე ჩარევას და მშვიდობის ხელშეწყობას რუსეთმა ჩაურევლობა არჩია იმისათვის, რომ ომი დაწყებულიყო და ჩარევის შესაძლებლობა შექმნილიყო.

II.3. 1992-1993 წლების ომი აფხაზეთში: რუსეთის ჩარევის კონიუნქტურა და ფაქტურა

საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მორიგი შეიარაღებული ინტერვენციის საწყისი ნერტილი 1992 წლის 14 აგვისტო გახდა. ამ დღეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის ქვედანაყოფების, თავდაცვის სამინისტროს შენაერთებისა და რკინიგზის დეპარტამენტის გასამხედროებული დაცვის რაზმებისაგან შემდგარი ტაქტიკური დაჯგუფება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადაადგილდა. რედისლოკაციის საფუძველი იყო საქართველოს სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის

183. Червонная С. Абхазия 1992: посткоммунистическая Вандея Грузии. Москва, 1993, с. 125.

10 აგვისტოს დადგენილება რკინიგზის ტრანსპორტზე საგანგებო წესების შემოღების შესახებ და თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის ოპერატიული დეპარტამენტის მიერ მომზადებული სპეციალური გეგმა კოდური სახელწოდებით „მახვილი“. 14 აგვისტოს ოპერაციის შესახებ არძინბა წინასწარ იყო ინფორმირებული. აფხაზი ბოვეიკებისაგან შემდგარმა ჯგუფმა შეზღუდული კონტინგენტის ჯავშანკოლონას ოჩამჩირის რაიონის სოფ. ოხურეისთან ცეცხლი გაუხსნა, რასაც პირველი მსხვერპლი მოჰყვა. სერიოზული ბრძოლები გაიმართა გულრიფშის რაიონის დაბა აგუძერასთან (ე.წ. „აფხაზეთის შინაგანი ჯარის განსაკუთრებული პოლკის“ ბატალიონმა ქართულ კოლონას ცეცხლი გაუხსნა და ერთი ჯავშანმანქანა აუფეთქა), ბაბუშარის აეროპორტსა და ქ. სოხუმში „წითელი ხიდის“ მიმდებარე ტერიტორიაზე. ასე დაიწყო 1992-1993 წლების „ომი აფხაზეთში“, არსებითად რუსეთ-საქართველოს მორიგი ომი.

საქართველოს ოფიციალური ხელისუფლების გადანყვეტილებით განხორციელებული საარმიო კონტინგენტის გადაადგილება ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ცხადია, ინტერვენციონისტულ და საოკუპაციო აქციას არ წარმოადგენდა. ქვეყნის შეიარაღებული ძალები ერთიანი ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი სივრცის შიგნით, განუყოფელი და სუვერენული იურისდიქციის ფარგლებში გადაადგილდნენ. ფორმალურ-იურიდიული ასპექტით და სამხედრო დოქტრინის ნორმატიული სისტემის ჩრჩილში, ის უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც ჯარების გადაადგილება, რედისლოკაცია სახელმწიფოს ტერიტორიული უზენაესობის საფუძველზე. სხვა საკითხია 14 აგვისტოს აქციის მიმართება ღირებულებით-ჰუმანისტურ და კონფლიქტოლოგიურ ფაქტორებთან, ასევე ქართულ-აფხაზური ისტორიული თანაცხოვრების კულტურულ მოტივებთან. ეს ფაქტორები და მოტივაციები გარკვეულ სპეციფიკურ სიტუაციებში თავისთავად იძენენ პირობითობის ხარისხს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეროვნული ინტერესები და ტერიტორიული მთლიანობის პარადიგმა ძალისმიერი პოლიტიკის აუცილებლობას კარნახობს.

ოფიციალურმა თბილისმა 14 აგვისტოს ცუდი გადანყვეტილება მიიღო, თუ გამოვრიცხავთ ყველა იმ გადანყვეტილებას, რასაც ლეზბლობდნენ კრემლი და სეპარატისტული დაჯგუფება. მხედველობაში გვაქვს უმარტივესი სამართლებრივი ნორმატივიზმი და ის ელემენტარული წესები, რომლებსაც კონსტიტუციური წესრიგი ეფუძნება. პოზიტიური სამართლის თვალსაზრისით, 14 აგვისტოს აქცია შეიძლება შეფასდეს, როგორც ერთგვარი შიდასახელმწიფოებრივი რეპრესალია, როგორც გარკვეული სამხედრო სანქცია. ასეთ უკიდურეს და იძულებით ზომას საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ ავტონომიური ერთეულის ხელმძღვანელობის ცალმხრივი უკანონო

ქმედობის (23 ივლისის ანტიკონსტიტუციური დადგენილების) საპასუხოდ მიმართა, ამ ქმედობის ფაქტობრივი შედეგის (სეცესიისა და სახელმწიფოს ტერიტორიული დაშლის) შესაკავებლად.

აბსოლუტურად მცდარი, ანტიისტორიული და, ამდენად, მიუღებელია 14 აგვისტოს სამხედრო ოპერაციის (როგორც საერთოდ, 1992-1993 წლების ომის დაწყების) მიზეზების რედუცირებული ახსნა განსაზღვრული სუბიექტივისტური მიდგომის ჩარჩოში. სუბიექტივისტური კონცეფციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ომის დაწყების მთავარ მიზეზად პოლიტიკოსთა და სამხედრო ხელმძღვანელთა პერსონალური შეცდომები, მათი გაუცნობიერებელი თვითმოქმედება და არაპრაგმატული ნაბიჯები განიხილება. მაგალითად, ასეთ მიზეზებად სახელდება ე. შევარდნაძის ჩაუსვლელი საოხუმში ვ. არძინბასთან პირისპირ მოლაპარაკებაზე და თავდაცვის მინისტრ თ. კიტოვანის თვითინიციატივა თუ შეუთანხმებლობა ე. შევარდნაძესთან. ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს ომის მიზეზების აფხაზეთის ქართული პოლიტიკური ელიტისათვის გადაბრალევა. სამწუხაროდ, მსგავსი ვერსიების ავტორები ვერ აცნობიერებენ, რომ ამით, ნებისთი თუ უნებლიედ, ებმებიან რუსეთის გადამწყვეტი როლის გადაფარვის (ყოველ შემთხვევაში, შესუსტების) კონცეპტუალურ ხაფანგში. მთელი პასუხისმგებლობის ე. შევარდნაძისა და თ. კიტოვანისათვის ან აფხაზეთის უმალლესი საბჭოს ქართული ნაწილისთვის გადამისამართებას, ცხადია, ის საზრისი აქვს, რომ ამით რუსეთს ეხსნება მთავარი პასუხისმგებლობა ომის გენეზისზე, უფრო მეტიც – ფაქტობრივად ნიველირებულია ომის წარმოშობის გადამწყვეტი იმპერიული ფაქტორები.

1992 წლის 15 აგვისტოს გაგრის ზონის დაბა განთიადში საქართველოს შეიარაღებული ძალების საზღვაო დესანტი გადასხდა, რომელმაც კონტროლი დაამყარა განთიად-ლესელიძის ზონასა და სახელმწიფო საზღვარზე მდ. ფსოუზე. ამის შემდეგ აფხაზურ ფორმირებებთან წარმოებული ოთხდღიანი ბრძოლების შედეგად ქართული დესანტი ქ. გაგრაში შევიდა, დაიკავა რა გაგრის რაიონის ძირითადი ნაწილი, მათ შორის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გაგრის ქედი.

14-17 აგვისტოს განმავლობაში მდ. ენგურის გავლით გადაადგილებული ქართული ნაწილები მდ. კელასურთან შეჩერდნენ და ქ. სოხუმში მხოლოდ 18 აგვისტოს შევიდნენ. ამ პერიოდის მანძილზე ვ. არძინბას დაჯგუფება და სეპარატისტული ხელისუფლების ორგანოები გუდაუთაში გადავიდნენ, ხოლო სამხედრო ფორმირებებმა პოზიციები მდ. გუმისთის მარჯვენა ნაპირზე დაიკავეს, შექმნეს რა ამით გუმისთის (დასავლეთის) ფრონტი. ცოტა მოგვიანებით დაპირისპირების მეორე სტრატეგიული ხაზი ოჩამჩირის რაიონში ე.წ. აღმოსავლეთის ფრონტის სახით ჩამოყალიბდა.

დღეისათვის არსებობს საკმაოდ სოლიდური წიგნადი და საექსპერტო-ანალიტიკური პროდუქცია 1992-1993 წლების ომთან დაკავშირებით.¹⁸⁴ განხილულია როგორც ომი კომპლექსურ მთლიანობაში (საბრძოლო ოპერაციების აღწერით დაწყებული და „სამხედრო დიპლომატიის“ ცალკეული ფაზების ანალიზით დამთავრებული), ასევე მისი კერძობითი თემატური თუ ქრონოლოგიური ასპექტები. ჩვენ კი ქვემოთ შევხვებით მხოლოდ ერთ განსაკუთრებულ პრობლემას – ომში რუსეთის მონაწილეობას, ამ ჩართულობის ფუნდამენტურ გავლენას საომარ მოქმედებათა დინამიკაზე, სამხედრო-სტრატეგიული ვითარების ევოლუციასა და ომის შედეგების განსაზღვრაზე, ასევე საქართველო-რუსეთის სამხედრო პოლიტიკური ურთიერთობების ზოგად პროცესზე. ყოველგვარი მიკერძოებისა და სუბიექტური წინასწარგანზრახულობის უარყოფასთან ერთად, წინამდებარე კვლევა ეფუძნება ფუნქციონალისტურ მიდგომას: ჩვენთვის მთავარია რუსეთის ჩარევა იმ ფუნქციის, იმ უარყოფითი როლის ქრილში ავხსნათ, რაც ამ ჩარევამ 1992-1993 წლების ომის შედეგების დადგომაში შეასრულა. ამიტომ ანალიზი უპირატესწილად რუსეთის ჩარევის სტრუქტურულ ფაქტორებზე, ფაქტობრივ მონაცემებზე, ომის შედეგების განსაზღვრაში მათ გადამწყვეტ როლზე, ასევე საკუთრივ ჩარევის დეფინიციაზეა (აგრესიად, ირიბ ინტერვენციად და ჰიბრიდულ ომად) ფოკუსირებული. ამასთან, რასაკვირველია, სამხედრო-სტრატეგიული და პოლიტიკური ასპექტები ერთ მთლიანობაშია განხილული.

ომის დასაწყისისთვის აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული იყო რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ორი მექანიზებული პოლკი, სამხედრო-საჰაერო ძალების (529-ე საავიაციო პოლკის) ესკადრილია, სპეციალიზირებული ფუნქციის 643-ე საზენიტო-სარაკეტო პოლკი, ქ. სოხუმის შუქურას რაიონისა და ქ. ოჩამჩირეში განლაგებული სანაპირო დაცვის ბატალიონები, სამხედრო ნაწილები 5482 და 3697, ე.წ. 901-ე განყოფილება, ეშერის 24-ე სამხედრო-სეისმური ლაბორატორია, ასევე კავშირგაბმულობის და ლოგისტიკური მომსახურების ქვედანაყოფები და უზრუნველყოფის ჯგუფები. ყველა ეს ნაწილი გაერთიანებული იყო განსაკუთრებულ კორპუსში სახელწოდებით – „აფხაზეთში რუსეთის ჯარების ჯგუფი“. ცალკეული საკითხების

184. აფხაზეთის ლაბირინთი. თბილისი, 1999; გამახარია ჯ. ზვიად გამსახურდიას პოლიტიკა აფხაზეთში (1990-1993 წწ.). თბილისი, 2004; კვარაცხელია ბ. რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს წინააღმდეგ და საერთაშორისო თანამეგობრობა. თბილისი, 2015; ნადარეიშვილი თ. შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ. თბ., 2000; ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი. თბილისი, 2007; პაპასქირი ზ. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვეთი II. 1917-1993. თბილისი, 2007; ჯოჯუა დ. სოხუმის დაცემა. თბილისი, 2014; Папаскири З. История без фальсификаций. Тбилиси, 2010.

გადანყვევცისას, მისი შტაბი სულ უფრო და უფრო ნაკლებად ექვემდებარებოდა ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის თბილისის სარდლობას და ოპერატიული ხაზით უშუალოდ რუსეთის თავდაცვის სამინისტროსა და ჯარების სახეობათა მთავარი სარდლობების დონეზე გადიოდა. მოსკოვიდან მიღებული დირექტივის საფუძველზე, „აფხაზეთში რუსეთის ჯარების ჯგუფი“-ს შტაბმა შეიმუშავა სამხედრო ნაწილების მოქმედების გეგმა იმ შემთხვევისათვის, „თუ რუსეთის არმიის გამოყენება გახდება გარდაუვალი იმისათვის, რომ აფხაზეთში აღდგეს და დაცულ იქნეს საზოგადოებრივი ნესრიგი“. ამ პერიოდის ერთ-ერთ ინტერვიუში გენ. ჩინდაროვმა განაცხადა: „ჩვენ საომარ მოქმედებებში მონაწილეობას არ ვლებულობთ, მაგრამ აქ რუსეთის ჯარების დაჯგუფების ყოფნა უაღრესად აუცილებელი და სწორია. რატომ? იმიტომ, რომ ეს არის შემაკავებელი ფაქტორი, უპირველეს ყოვლისა, ქართული მხარის თავგასული პოლიტიკოსებისათვის“.¹⁸⁵

აფხაზეთში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდლობა სეპარატისტთა ფორმირებებისა და კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის შენაერთების სამხედრო ოპერაციების მართვის მექანიზმი, ოპერატიული და ტაქტიკური დაგეგმვის ცენტრი გახდა. აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული სამხედრო ერთეულები ვ. არძინბას დაჯგუფების მხარდაჭერის რეჟიმზე გადავიდნენ. ამგვარი სოლიდარობის, სამობილიზაციო, ეკონომიკური და სამხედრო-ტექნიკური მხარდაჭერის რეჟიმზე გადავიდნენ კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეების ადმინისტრაციებიც. ისინი პრეზიდენტ ბ. ელცინის მიერ ჯერ კიდევ 1992 წლის 29 მარტს გამოცხადებული „ეკონომიკური დახმარების“ ყალბი ფირნიშის ქვეშ მოქმედებდნენ. შიგადაშიგ ანალოგიურ ნაბიჯებს რუსეთის სამხარეო და ადგილობრივი მმართველობის სხვა სტრუქტურებიც დგამდნენ. 1992 წლის 20 აგვისტოს ქ. არმავირში ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების, როსტოვის ოლქის, სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეების ხელმძღვანელთა შეხვედრა გაიმართა. „არმავირის თათბირმა“ მოითხოვა რუსეთის პირდაპირი და კომპლექსური ჩარევა 14 აგვისტოს დაწყებულ კონფლიქტში, რაც დაფიქსირდა კიდევაც პრეზიდენტ ელცინისადმი შეხვედრის მონაწილეთა მიმართვაში.¹⁸⁶

შექმნილი ვითარებიდან და ომის ფორმატიდან გამომდინარე, ძალთა თანაფარდობის კონფიგურაციისა და სამოქალაქო დაპირისპირების შედეგად დასუსტებული საქართველოს ფაქტობრივი პოტენციალის გათვალისწინებით, რუსეთის სამხედრო სტრატეგია არ მოიცავდა პირდაპირ, ფართომასშტაბიან ინტერვენციას კომპლექსური სამხედრო

185. ნადარეიშვილი თ. შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ. თბილისი, 2000, გვ. 56.

186. აფხაზეთის ლაბირინთი. თბილისი, 1999, გვ. 219.

ძალებითა და ოპერატიულ-ტაქტიკური დაჯგუფებებით. საქართველოში მიმდინარე ქრონიკული სახელმწიფოებრივი და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი, შიდაეროვნული თანხმობისა და სოციალური ინტეგრაციის ფაქტობრივი მოშლა, თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ელემენტარული ნორმების დაუცველობა, უმძიმესი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი და ბრძოლისუნარიანობის ხარისხის დაცემა, სამხედრო მშენებლობის სტრუქტურული სიძნელეები (პარამილიტარიზმის გაბატონებული ტენდენცია, რაც უკიდურესად ართულებდა „საძმობის“, „ინდივიდუალური“ ბატალიონების, ნახევრად სამხედრო ფორმირებების კონგლომერატის გარდაქმნას რეგულარულ და დისციპლინირებულ მანქანად) – აი ფაქტორები, რომელთა ერთობლიობამ აპრიორულად განაპირობა საქართველოს სისუსტე და სამხედრო-სტრატეგიული დისბალანსი მონინალმდეგესთან შედარებით. ამიტომ რუსული ინტერესების რეალიზაცია სრულმასშტაბიან ინტერვენციას არც საჭიროებდა. საკმარისი აღმოჩნდა შეზღუდული და ოპტიმიზებული ჩარევის რეჟიმი, რომელიც სწორედ რომ შეზღუდულობისა და დისკრეტულობის გამო, ზედაპირულად არც ჩანდა და შინაარსობრივადაც არაფორმალურ და არაოფიციალურ ხასიათს ატარებდა. ამასთან, აუცილებლობის შემთხვევაში, რუსეთს მუდამ მზადყოფნაში ჰყავდა ფართომასშტაბიანი შეჭრის ოპერატიული შენაერთები და ტაქტიკური ჯგუფები, იყენებდა დესანტირების ტაქტიკასაც. კრემლის სტრატეგია ითვალისწინებდა სამხედრო ძალების მრავალვარიანტული და კომპლექსური გამოყენების სცენარსაც, მათ შორის თბილისზე და საქართველოს ტერიტორიის სტრატეგიულ ობიექტებზე მასირებული საჰაერო იერიშის მიტანის გეგმებს. საყოველთაოდ ცნობილია, მაგალითად, რუსეთის ვიცე-პრეზიდენტ ა. რუცკოის სატელეფონო საუბრები ე. შევარდნაძესთან, რომლებშიც ის არაერთხელ დაიმუქრა საქართველოს დედაქალაქის დაბომბვით.

ომის დაწყების პირველსავე დღეს, 14 აგვისტოს, აფხაზთა გასამხედროებული ჯგუფები გუდაუთაში დისლოცირებული რუსეთის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარების 643-ე საზენიტო-სარაკეტო პოლკის ტერიტორიაზე შეიჭრნენ და ხელში ჩაიგდეს 984 ავტომატი, 270 პისტოლეტი, 18 ტყვიამფრქვევი, 600 სასიგნალო რაკეტა, 500-ზე მეტი ხელყუმბარა და ნახევარ მილიონზე მეტი სხვადასხვა კალიბრის ვაზნა. მთლიანად გაძარცვეს სამხედრო ქალაქის ყველა შენობა, დაიტაცეს საავტომობილო ტექნიკა, სატვირთო და სასურსათო საწყობების, ქიმიური და საინჟინრო სამსახურის მთელი ქონება.¹⁸⁷ როგორც შემდგომში გამოირკვა, ეს „შეჭრა“ და „დატაცება“ იყო რუსეთის სამხედრო ნაწილის სარდლობასთან წინასწარ შეთანხმებული აქცია. რუსეთის სპეცსამსახურების ხაზით ვ. არძინბას მრჩეველმა მ.

187. აფხაზეთის ლაბირინთი, გვ. 208.

დემიანოვმა დაადასტურა, რომ 643-ე საზენიტო-სარაკეტო პოლკის შეიარაღება, სამხედრო-საინჟინრო ტექნიკა და საავტომობილო პარკი აფხაზებს გადაეცათ და ამ გადაცემის ვუაღიერება „შეჭრისა“ და „დატაცების“ სპექტაკლის დადგმით მოხდა.

იმავე მ. დემიანოვის მონაცემებით, აფხაზური ფორმირებებისათვის იარაღის შესყიდვისა და ტრანსპორტირების ერთ-ერთი ცენტრი რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების ონეგის ფლოტილიის შტაბი იყო. აფხაზები იარაღს ქ. პრიოზიორში, ონეგის ფლოტილიის ყოფილი მეთაურის, ადმირალ ი. კოლესნიკოვის მეშვეობით იღებდნენ. შესყიდული იარაღისა და სპეციალური ზემძლავრი ასაფეთქებელი ნივთიერებების ტრანსპორტირება კი სანქტ-პეტერბურგის „სოვტრანსსოვეტის“ მანქანებით ხდებოდა.¹⁸⁸

ამავე დროს სეპარატისტების სამხედრო არსენალის ფორმირებაში რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების 529-ე პოლკის ხელმძღვანელობაც ჩაება. ბომბორის სამხედრო აეროდრომის ტექნიკური მომარაგების უფროსმა, პოდპოლკოვნიკმა ა. დოლგოპოლოვმა აფხაზურ მხარეს ფეხოსანთა 6 საბრძოლო მანქანა (ე.წ. „ბმპ“) სრული საომარი კომპლექტით, 6 ტყვიამფრქვევი, 367 ხელყუმბარა „ფ-1“ და 50 ათასზე მეტი სხვადასხვა კალიბრის ვაზნა გადასცა.¹⁸⁹

1992 წლის 16 აგვისტოს აზერბაიჯანის ქალაქ განჯიდან გუდაუთაში გადასროლილ იქნა რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარების 345-ე საპარაშუტო-სადესანტო პოლკი 1500 კაციანი პირადი შემადგენლობით, 122 ერთეული სადესანტო-საბრძოლო მანქანით, 13 ერთეული საზენიტო-საბრძოლო მანქანით და 18 ერთეული 120 მმ-იანი თვითმავალი საარტილერიო დანადგარით.¹⁹⁰ პოლკის საქართველოში განლაგების ოფიციალური ვერსია აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ობიექტების დაცვა და კურორტებიდან რუსეთის მოქალაქეთა ევაკუაცია იყო. სინამდვილეში კი 345-ე პოლკის ახალ დისლოკაციას ინტერვენციონისტული მიზანდასახულობა ჰქონდა; ჯერ ერთი, აფხაზეთში უკვე იმყოფებოდა რუსეთის 901-ე ცალკეული სადესანტო-მოიერიშე ბატალიონი, რომელსაც ოფიციალურად ჰქონდა დავალებული სამხედრო ობიექტებისა და სანატორიუმების ქსელის დაცვა (და იცავდა კიდევ); მეორე, 345-ე პოლკი იყო განსაკუთრებული დანიშნულების და სტრატეგიული მნიშვნელობის სამხედრო ოპერაციების წარმართვისათვის განკუთვნილი სტრუქტურა. საკმარისია აღინიშნოს, რომ სწორედ 345-ე პოლკის ბატალიონებმა (სუკ-ის სპეცჯგუფებთან –

188. Распятая Грузия. Москва, 1998, с. 162.

189. ნადარეიშვილი თ. შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ..., გვ. 56.

190. ჩაჩანიძე თ. რუსეთის არმია და საქართველოს შიდა კონფლიქტები. უ. არსენალი, 2008, № 15, გვ. 51.

„გრომთან“ და „ზენიტთან“ ერთად) 1979 წლის 27 დეკემბერს ავღანეთის ომის დაწყების პირველი აქცია – პრეზიდენტ ჰ. ამინის რეზიდენციის დაკავებისა და მისი ფიზიკური ლიკვიდაციის სპეციალური ოპერაცია განახორციელეს.

ასეთი შენაერთის დისლოკაცია საქართველოში, თანაც კონფლიქტის ზონის სეპარატისტების მხრიდან კონტროლირებად სექტორში, უალრესად ნიშანდობლივია სწორედ რომ ინტერვენციონიზმისა და ომში პროაფხაზური მიზნებით მონაწილეობის ნიშნით.

345-ე პოლკის ერთი ბატალიონი ბომბორის აეროდრომზე განლაგდა, მეორე – 643-ე საზენიტო-სარაკეტო პოლკის ტერიტორიაზე, ხოლო მესამე ბატალიონის ორი ასეული – ქვემო ემერის 24-ე სამხედრო-სეისმური ლაბორატორიის ტერიტორიაზე.

რაც შეეხება რუსეთის მხრიდან აფხაზი სეპარატისტების სამხედრო-საჰაერო მხარდაჭერას, გუდაუთა-ახალი ათონის ზონის საჰაერო თავდაცვას ბომბორას აეროდრომზე დისლოცირებული 529-ე ავიაპოლკის ესკადრილია უზრუნველყოფდა. ომის დაწყებიდან ორიოდე კვირაში, 1992 წლის 1 სექტემბრიდან, ამას დაემატა 186-ე საავიაციო პოლკის Cy-25-ის ტიპის მოიერიშები. ისინი შემდგომში ქართული შენაერთების პოზიციებს ნახევარტონიანი ბომბებით და უმართავი რაკეტული ჭურვებით ბომბავდნენ.

1992 წლის ნოემბრიდან სეპარატისტთა მხარეზე ომში მონაწილეობდა რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მოსკოვის ოლქის პირველი საჰაერო არმიის ბომბდამშენთა ესკადრილია პოლკოვნიკ კოვალენკოს მეთაურობით.¹⁹¹ ეს ქვედანაყოფი 1993 წლის მარტამდე გუდაუთაში იყო დისლოცირებული და ქართული ჯარების პოზიციებზე პრევენტიულ დარტყმებს ახორციელებდა. განსაკუთრებით საგულისხმოა ამ ესკადრილიის მიერ წარმოებული საჰაერო ომის ტაქტიკა, რაზეც თვითონ რუსული წყაროები მიგვითითებენ და რაც ნათლად უჩვენებს რუსეთის სამხედრო ძალების მოქმედების უალრესად არაკონვენციურ და ანტიჰუმანურ ხასიათს. როგორც მაიორი ა. კოშკინი იგონებს, ბრძანებების შესრულების პროცესში „Cy-25“-ის ტიპის ბომბდამშენები გვერდს უვლიდნენ ფრონტის ხაზს, რათა ქართული საზენიტო არტილერიის საპასუხო მოქმედებით გამოწვეული რისკი მინიმუმამდე დაეყვანათ და შორი ტრაექტორიიდან უმართავ რაკეტებს ისროდნენ.¹⁹² ცხადია, რომ ასეთ შემთხვევებში უპირატესნილად არა ჯარის პოზიციები და სხვა სამხედრო წერტილები, არამედ მშვიდობიანი მოსახლეობა და სამოქალაქო ობიექტები ნადგურდებოდა.

191. Жирохов М. Делталеты против танков. <http://artofwar.ru/z/zhirohow-m-a/text-0160-1.html/>

192. Кошкин А. Штурмовик. <http://cyxymu.livejournal.com/1230936.html>

1993 წლის თებერვალში გუდაუთაში გადაისროლეს სადესანტო-ოპერატიული ჯგუფი მოსკოვის ოლქის ქალაქ კლინიდან. მისი ამოცანა იყო სადაზვერვო ინფორმაციების მოპოვება და აფხაზური ფორმირებების განვრთნა. გუდაუთის რუსული სამხედრო ბაზის მეთაურის, გენერალ ა. ჩინდაროვის ბრძანებით, აფხაზთა სამხედრო მომზადების პროცესს სათავეში მ. სკრინნიკოვი ჩაუდგა¹⁹³. 1993 წლის მარტში პოლკოვნიკ კოვალენკოს ესკადრილია მოსკოვის ოლქში მუდმივი დისლოკაციის ადგილზე დააბრუნეს და მის ნაცვლად აფხაზეთში მოქმედი ძირითადი საჰაერო ძალების მხარდასაჭერად „Cy-25“ ტიპის გამანადგურებლების საესკადრილო რგოლი კრასნოდარის მხარის კუმჩევსკაიას ბაზიდან შემოიყვანეს პოლკოვნიკ რიაბინოვის მეთაურობით.¹⁹⁴ სწორედ ამ ჯგუფის წევრი იყო ავადსახსენებელი მაიორი ვ. შიპკო.

საქართველოს წინააღმდეგ საჰაერო ომის ღერძულ შენაერთს წარმოადგენდა „Cy-25“ ტიპის ბომბდამშენების ესკადრილია მაიორ ა. კოშკინის მეთაურობით. ეს იყო ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო-საჰაერო ძალების (კერძოდ, მეოთხე საჰაერო არმიის) ქვედანაყოფი, რომელიც მოზდოკიდან გუდაუთაში 1993 წლის იანვარში გადაისროლეს. როგორც თავად კოშკინი აღნიშნავს, გადაჯგუფებისა და ბომბორას აეროდრომზე დისლოკაციის ოპერაციას ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი, გენერალი მიხაილოვი და რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარების სარდლის მოადგილე, გენერალი სოროკა ხელმძღვანელობდნენ.¹⁹⁵

სწორედ ეს ესკადრილია „მოღვაწეობდა“ აფხაზეთში 1993 წლის იანვარ-სექტემბერში და ეწეოდა პირდაპირ საჰაერო ომს საქართველოს წინააღმდეგ: ბომბავდა ქართული ჯარის საფრონტო პოზიციებსა და სარეზერვო დისლოკაციის ზონებს, სტრატეგიული და ნიშნულების წერტილებსა და კომუნიკაციებს, ასევე მშვიდობიანი მოსახლეობის განსახლების რაიონებსა და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის ობიექტებს.

ომის საწყის ეტაპზე რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა თავდაცვის ორი ოპერატიული რაიონი შექმნეს: პირველში განლაგდა „ბუკ“-ის საჰაერო თავდაცვის კომპლექსები, რომლებიც გუდაუთა-ახალი ათონის ზონის საჰაერო თავდაცვას, ვ. არძინბას რეზიდენციის, სეპარატისტთა ფორმირებების კონცენტრაციის წერტილებისა და სხვა სტრატეგიული ობიექტების უსაფრთხოებას უზრუნველყოფდნენ; მეორეში განთავსებულ იქნა „OCA“-ს მობილური საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები ეშერა-გუმისთის ხაზზე, რომელთა მთავარი ფუნქცია იყო, ერთი მხრივ, გუმისთის ფრონტის სეპარატისტთა

193. პოლკოვნიკ გ. მაისურაძის პირადი არქივი, ცნობა, ფ. 4.

194. Кошкин А. Штурмовик. <http://cyxymu.livejournal.com/1230936.html>

195. იქვე.

ფორმირებების საზენიტო თავდაცვა და, მეორე მხრივ, ეშერის ქედის-კენ ქართული შენაერთების წინსვლის ბლოკირება. რუსული საჰაერო ძალების გუდაუთის ოპერატიულ ჯგუფს მეოთხე საჰაერო არმიის სარდლის მოადგილე, გენერალი ტინდიტნიკოვი მეთაურობდა.

1992 წლის 29 აგვისტოს ქართული ქვედანაყოფების ტაქტიკური დაჯგუფება (600 ჯარისკაცით, 3 ტანკით, 6 ქვეითთა საბრძოლო მანქანით) მდ. გუმისთაზე გადავიდა, მოწინააღმდეგის თავდაცვის ხაზი გაარღვია, სოფ. აჭანდარა, აგრეთვე ეშერის ქედზე რამდენიმე სტრატეგიული სიმაღლე დაიკავა და ახალი ათონი-გუდაუთის მიმართულე-ბით შეტევა დაიწყო. მაგრამ ბომბორის ავია-ჯგუფის საჰაერო დარტყმებისა და ეშერის ლაბორატორიაში განლაგებული 345-ე პოლკის ბატალიონის სახმელეთო-საბრძოლო წინააღმდეგობის გამო ქართული ძალების შეტევა ბლოკირებულ იქნა, თანაც დიდი დანაკარგებით: 40 დაღუპული, 150 დაჭრილი, განადგურებული 3 ტანკი და 4 ჯავშანტრანსპორტიორი. ამ ოპერაციის შედეგად აფხაზებმა შეძლეს მდ. გუმისთაზე თავდაცვის ხაზის სტაბილიზაცია და იქ ფრონტის შექმნა.

29 აგვისტოს ბრძოლა იყო საქართველოსა და რუსეთის რეგულარული სამხედრო ნაწილების პირველი უშუალო საცეცხლე შეხება, თანაც სამხედრო შეტაკება ორმხრივი ფორმატით, ანუ აფხაზებისა და კონფედერატების გარეშე. შეტაკების მთავარი შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ 1992-1993 წლების ომის ერთ-ერთი საყრდენი ოპერატიული ღერძის – მდ. გუმისთაზე ფრონტის სტაბილიზაცია მოხდა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის სამხედრო ჩართულობის მეშვეობით.

აგრესიას, როგორც საერთაშორისო სისტემის ფუნქციონირების ფუნდამენტური ფასეულობების, პრინციპებისა და ნორმების წინააღმდეგ მიმართულ დელიქტურ ქმედებას, ბევრი კონვენციონალური დოკუმენტი ეხება. მაგრამ აგრესიის ცნების საერთაშორისო-სამართლებრივ დეფინიციას სპეციალურად გამოჰყოფს გაერო-ს გენერალური ასამბლეის 1974 წლის 14 დეკემბრის რეზოლუცია („აგრესიის განმარტება“), რომელიც ამ დანაშაულებრივი ქმედების ძირითად ნიშნებს იძლევა:

1. ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული თავდასხმა ან შეჭრა მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე; ან სამხედრო ოკუპაცია, რაც არ უნდა დროებითი იყოს ის, როგორც ამგვარი თავდასხმის ან შეჭრის შედეგი; ან ანექსია ძალის გამოყენებით;
2. ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის დაბომბვა ან ნებისმიერი სხვა იარაღის გამოყენება;
3. სახელმწიფოს ნავსადგურებისა და სანაპიროების ბლოკადა;

4. ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების თავდასხმა მეორე სახელმწიფოს ქვეით, საზღვაო და საჰაერო ძალებზე;

5. ერთი სახელმწიფოს მიერ ან მისი სახელით მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიარაღებული ჯგუფების, ირეგულარული ძალების და/ ან მოხალისე დაქირავებულების შეგზავნა.

თავი რომ დავანებოთ იმას, რომ რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილების მონაწილეობა აფხაზეთის ომში ოფიციალურად არ აღიარებულა (ე.ი. ფაქტობრივად იყო, მაგრამ ფორმალურ-იურიდიულად არ დაფიქსირებულა) და ამიტომ რუსეთის ქმედებას მთლიანად ვერ მივუყენებთ აგრესიის განმარტების პირველ პუნქტს (ზუსტი ნორმატივიზმის კუთხით), ეს ქმედება სავსებით „აკმაყოფილებს“ დანარჩენ პუნქტებს. ასე რომ, 1992-1993 წლების ომში რუსეთი იყო აგრესორი-ქვეყანა, საქართველოს წინააღმდეგ აგრესიული ომის წარმოების რეჟიმში მყოფი სახელმწიფო, რაც გამოიხატა შემდეგ აგრესიაგენურ აქციებში: ქართული ჯარის სამხედრო ოპერაციების ქვეითი ძალებით დაბლოკვა ქართული ჯარის პოზიციების სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალებით დაბომბვა; ეთნიკური ქართველებით დასახლებული რაიონების დაბომბვა; საქართველოს შავი ზღვის სანაპიროსა და ოჩამჩირე-გაგრის აკვატორიის ბლოკადა; ირეგულარული ძალებისა და მოხალისე დაქირავებულთა რაზმების დაკომპლექტება და კონფლიქტის ზონაში შემოგზავნა, ამ პროცესის მართვა, ფინანსური და სატრანსპორტო-ტექნიკური უზრუნველყოფა და სხვა.

ამდენად, რუსეთის სამხედრო ჩარევას 1992-1993 წლების ომში საქართველოს წინააღმდეგ მიმართული აგრესიის ფორმაც და შინაარსიც ჰქონდა. ამიტომ ჩვენი ეროვნული ისტორიოგრაფიისათვის და, ზოგადად, სოციალური ცნობიერებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ აგრესიის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას, პირობითეების გამოყოფას, ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიული დარტყმების სამხედრო-სტრატეგიული და პოლიტიკურ-ეკონომიკურ-დიპლომატიური დინამიკის წარმოჩენას. ერთი სიტყვით, გვჭირდება რუსეთის სამხედრო ჩარევის სტრატეგიული ატრიბუცია, სისტემატიზაცია და კლასიფიკაცია.

სტრატეგიული ატრიბუციის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო ჩარევა იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში კრემლის ზოგადიმიპერიული პოლიტიკის ინსტრუმენტი და, ამავე დროს, სამხრეთ კავკასიაში ექსპანსიონისტური რეგიონალური პოლიტიკის კომპონენტი.

რაც შეეხება რუსული აგრესიის სისტემატიზაცია-კლასიფიკაციას, აქ იკვეთება რამდენიმე ტიპოლოგიური ფორმა, რასაც მთლიანობაში ჰიბრიდული ომის კონცეფციამდე მივყავართ.

სტრუქტურულად რუსეთის მონაწილეობა შეიცავს შემდეგ კომპონენტებს:

1) როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, საომარ მოქმედებებში რუსეთის შეიარაღებული ძალების რეგულარული ნაწილების მონაწილეობა. ესენია – განსაკუთრებული დანიშნულების ფსკოვის დივიზიის ქვედანაყოფი, 345-ე საჰაერო-სადესანტო პოლკი, 643-ე საზენიტო-სარაკეტო პოლკი, 901-ე ცალკეული სადესანტო მოიერიშე ბატალიონი, სამხედრო-საჰაერო ძლების 529-ე და 186-ე პოლკების ესკადრილებისაგან შემდგარი ავიაჯგუფი, შავი ზღვის სამხედრო ფლოტის ხომალდები. ეს არის რუსეთის არმიისა და ფლოტის სულ ცოტა ექვსი მსხვილი საჯარისო ერთეული, რომელთა მონაწილეობა 27-30 კმ ოპერატიული სიღრმის მქონე საბრძოლო ოპერაციებში სრულიად დამტკიცებულია;

2) აფხაზი სეპარატისტების ფორმირებებისა და მათთან ალიანსში მყოფი სხვა ირეგულარული დაჯგუფებების მომარაგება შეიარაღებით, ტექნიკითა და მასალებით, ასევე სამხედრო-სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებებით. ცნობილია, რომ ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა მოსკოვის კორპორაცია „კავკაზი“ და მასთან მოთანამშრომლე გენერალ-მაიორი პ. ლეშჩუკი. ამ უკანასკნელს ჰქონდა უშუალო კავშირები რუსეთის არმიისა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ზედაფენებთან, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი განყოფილების უფროსთან, გენერალ-მაიორ მ. ჩულკოვთან (აფხაზეთის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი 1982-1989 წლებში). პ. ლეშჩუკი უზრუნველყოფდა ასევე არძინბას კომუნიკაციას რუსეთის გენერალიტეტთან მოსკოვში „ლენინსკიე გორაზე“ მდებარე სამხედრო უწყების სასტუმროში¹⁹⁶;

3) რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე დაქირავებულ მოხალისეთა კონცენტრაციის პუნქტების, სამხედრო-სასწავლო ბანაკებისა და იარაღის საწყობების ქსელის მეშვეობით ირეგულარული ვოლონტიორული ჯგუფების მობილიზაცია, დაკომპლექტება და გადასროლა სამხედრო კონფლიქტის ზონაში. ქალაქ სოჭის შინაგან საქმეთა სამმართველოს შენობაში ფუნქციონირებდა აფხაზეთის შსს წარმომადგენლობა მირონ აგრბას ხელმძღვანელობით და ე. წ. აფხაზეთის ადმინისტრაციის წარმომადგენლობა ნოდარ შამბას მეთაურობით. ეს სტრუქტურები ძირითადად დაკავებულნი იყვნენ დაქირავებულთა შეკრებით და აფხაზეთში მათი გადასროლით¹⁹⁷;

196. პოლკოვნიკ გ. მაისურაძის პირადი არქივი. Кто греет руки в братоубийственной войне в Абхазии, ფ. 1-2.

197. პოლკოვნიკ გ. მაისურაძის პირადი არქივი. Участие Вооруженных Сил России в грузино-абхазском конфликте, 1993, ფ. 4.

4) რუსულ-აფხაზურ-კონფედერატული კოალიციის ძალების მომარაგება ზურგისა და უზრუნველყოფის საშუალებებით;

5) საქართველოს მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე და სეპარატისტული ძალების კონცენტრაციის ზონებში (გუდაუთა-გაგრის რაიონები და ტყვარჩელის ზონა) სეპარატისტული რეჟიმისათვის უშუალო დახმარების განევა ინსტიტუციური სისტემის ფორმირებასა და არსებითად ეთნოცენტრისტული სამხედრო დიქტატურის ჩამოყალიბებაში, ამ დიქტატურის პირდაპირი მხარდაჭერა უსაფრთხოების გარანტიების კუთხით;

6) სეპარატისტული რეჟიმის ეკონომიკური და ფინანსური დახმარება უპირატესნილად არა სოციალურ-ჰუმანიტარული, არამედ სამხედრო პოტენციალის განზომილებით (პრეზიდენტ ბ. ელცინის ბრძანებულება სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეების ადმინისტრაციების მიერ აფხაზეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულებების დადების შესახებ; „აგრობანკის“, ბანკ „ალორძინების“, რუსეთის ეროვნული ბანკის სავალუტო ბირჟისა და მოსკოვის ცენტრალური საფონდო ბირჟის საკრედიტო ხაზები და სხვ.);

7) სეპარატისტების ოპერატიული სადაზვერვო დახმარება, სპეცსამსახურების და რეზიდენტული ჯგუფების მიერ სტრატეგიული ინფორმაციის დაგროვებით დაწყებული და ქართული ჯარის პოზიციების განლაგების აეროკოსმოსური სქემების გადაცემით დამთავრებული. აღსანიშნავია, რომ ომის დაწყებისთანავე მოხდა რუსეთის უშიშროების სამინისტროს ქალაქ სოჭის სამმართველოს სტრუქტურული რეორგანიზაცია და 40 საშტატო ერთეულით გაზრდა, ასევე საგარეო დაზვერვის ტერიტორიული განყოფილების შექმნა. რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის ცენტრალურ აპარატში „ქართული განყოფილება“ ჩამოყალიბდა¹⁹⁸;

8) სეპარატისტების სამხედრო-საექსპერტო დახმარების მთელი კომპლექსი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია საჯარისო შენაერთების სტრატეგიული მართვის უზრუნველყოფა, ასევე საომარი ოპერაციების ოპერატიული და ტაქტიკური დაგეგმვა რუსეთის გენერალიტეტისა (ვ. კოლესნიკოვი, ა. ჩინდაროვი, ი. სიგუტკინი, გ. კონდრატევი, ა. კვაშნინი) და ოფიცერთა კორპუსის (პოლკ. სიდორენკო, პოლკ. აკულინიჩევი, პოლკ. ბონდარენკო, მაიორი კოლოდინი, მაიორი სემიულონი, კაპიტანი ნიკოლაევი და სხვ.) მიერ;

9) რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების ფსიქოლოგიური ომი საქართველოს ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, თბილისზე

198. იქვე, ფ. 5.

და სხვა ადგილებზე საჰაერო იერიშის პერმანენტული დამუქრებით აფხაზეთში ქართული ჯარის მნიშვნელოვანი ოპერაციების ბლოკირება (ფსიქოლოგიური ზეწოლის ორგანიზაციაში განსაკუთრებით აქტიურობდნენ ვიცე-პრეზიდენტი ა. რუცკოი, პარლამენტის სპიკერი რ. ხაზბულატოვი და საგანგებო სიტუაციების მინისტრი ს. შოიგუ);

10) სეპარატისტების პროპაგანდისტული და საინფორმაციო-ანალიტიკური მხარდაჭერა საკუთრივ რუსეთში, პოსტ-საბჭოთა სივრცეში და რამდენადმე ვუალირებული ფორმით მაშინდელ მსოფლიო საინფორმაციო სივრცეში. რუსეთის მიერ გუდაუთის დაჯგუფების მედიაკრატულმა დახმარებამ, ამ დახმარების საფუძველზე შექმნილმა ცრუ ინფოსფერომ გარკვეული უარყოფითი გავლენა მოახდინა აფხაზეთის ომის გეოინფორმაციულ ფაქტორებზე;

11) სეპარატისტული რეჟიმის დიპლომატიურ-პოლიტიკური მხარდაჭერა. ამ სფეროში კრემლმა მოხერხებულად გამოიყენა ორმაგი სტანდარტების სამწევრიანი დიპლომატიის ფორმატი. ეს ფორმატი შეიცავდა პოლიტიკური დარეგულირების სამ არხს – რუსულ-ქართული, რუსულ-აფხაზური და ქართულ-აფხაზური ინტერაქციის ხაზებით. ე.ი. რუსეთის დიპლომატია მანიპულირებდა დიალოგის პლატფორმის არაერთგვაროვნებით, მოლაპარაკებების წარმართვით როგორც მხარეებთან, ისევე მხარეებს შორის. რუსეთის „სამხედრო დიპლომატია“ მოქმედებდა შანტაჟისა და მზაკვრული პირფერობის ერთგვარი ნაზავით; საქართველოს ხელისუფლებაზე პოლიტიკური ზეწოლითა და ცრუ საშუამავლო გარანტიების შეთავაზებით აიძულებდა მას, დაედო კაპიტულანტური ხასიათის შეთანხმებები, ამ შეთანხმებათა დარღვევაზე სეპარატისტების ნახალისებისა და საკუთარი საშუამავლო მისიის ნიველირების სრულიად არაადეკვატური ტაქტიკით. რუსეთის ამგვარმა დიპლომატიურმა პოლიტიკამ შექმნა ომში საქართველოს დამარცხების დიპლომატიურ-სახელმეკრულეო საფუძველები.

ვფიქრობთ, რუსეთის აგრესიის ეს და სხვა ნიშნები, სისტემურ მთლიანობაში და ტიპოლოგიური დეტერმინაციის თვალსაზრისით, ქმნიან ჰიბრიდული ომის მატრიცას. მართალია, ჰიბრიდული ომები არსებითად საყურადღებო ფენომენია, მაგრამ მათი ცალკეული ელემენტები, გარკვეული რაოდენობითა და კონფიგურაციით, წინათაც იყო და სწორედ ამის თქმა შეიძლება გასული საუკუნის 90-იან წლებში პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის მიერ წარმოებულ პოლიტიკასთან დაკავშირებით, კონკრეტულად კი 1992-1993 წლების ომზე: რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებისათვის

შეარჩია აფხაზეთი, ხოლო საკუთრივ აფხაზეთში „დასაყრდენი ჯგუფის“ სახით შეარჩია ვ. არძინბას დაჯგუფება; შემდეგ, საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან სეპარატისტული დაჯგუფების კონსტიტუციური კონფლიქტის გამოყენებით, შექმნა მართვადი ქაოსის ატმოსფერო, ერთგვარი „აზრიანი ანარქიის“ მდგომარეობა; კრიზისის სამხედრო შეტაკებაში გადაზრდისა და ფაქტობრივი ომის მდგომარეობის შექმნის შემდეგ კი რუსეთმა თავისი მოქმედება ააგო პირდაპირი სამხედრო ინტერვენციის ალტერნატიულ ფორმებზე – სეპარატისტთა პირდაპირ და არაპირდაპირ სამხედრო, ეკონომიკურ, დიპლომატიურ და საინფორმაციო დახმარებაზე. სწორედ ეს სინთეზი, ერთსა და იმავე ომის დროს, ერთსა და იმავე ოპერატიულ სივრცეში რეგულარული ნაწილებისა და დაქირავებულთა ერთდროული გამოყენებისა, საბრძოლო ოპერაციების პარალელურად დიპლომატიური და საინფორმაციო-პროპაგანდისტული ბრძოლის წარმოებისა, ჩვეულებრივი ტაქტიკური ფორმის ირეგულარულ-ასიმეტრიულ ფორმებთან კომბინირებისა, კონვენციური და არაკონვენციური მეთოდების შეზავებისა – სწორედ ეს მრავალიარუსიანი სინთეზი გვაძლევს საშუალებას ვამტკიცოთ, რომ 1992-1993 წლების ომში რუსეთის მონაწილეობა შეფასდეს კრემლის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ ჰიბრიდულ ომად.

1992 წლის 3 სექტემბერს მოსკოვში ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პლატფორმაზე კონფლიქტის მონესრიგების შესახებ. შეთანხმების მე-9 მუხლში აღნიშნული იყო: „რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები, რომლებიც დროებით იმყოფებიან საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთში, იცავენ მკაცრ ნეიტრალიტეტს და არ მონაწილეობენ შიდა კონფლიქტში.“ 11-ე მუხლი კი ავალდებულებდა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებს და მხარეებს, არ დაეშვათ მათი ტერიტორიებიდან დაქირავებულთა დაჯგუფებების ინფილტრაცია.¹⁹⁹ მაგრამ კრემლმა პირწმინდად დაარღვია 3 სექტემბრის შეთანხმების კონვენციონალური პირობები.

1992 წლის 22 სექტემბერს ქვემო ეშერაში დისლოცირებული რუსული სამხედრო ნაწილიდან ქვეითთა საბრძოლო მანქანამ ქართული შენაერთების პოზიციებს ცეცხლი გაუხსნა.²⁰⁰ საცეცხლე ნერტილების ჩაქრობის შემდეგ შეტევაზე გადასულმა რუსულმა ქვედანაყოფმა თავის კონტროლს დაუქვემდებარა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტები – სოხუმის ნავთობბაზა და ნისქვილკომბინატი.

1992 წლის 25 სექტემბერს რუსეთის ფედერაციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „აფხაზეთის მოვლენებთან დაკავშირებით

199. აფხაზეთის ლაბირინთი. თბილისი, 1999, გვ. 217-218.

200. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან . აფხაზეთი. თბილისი, 2007, გვ. 357.

ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი ვითარების შესახებ²⁰¹. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ რუსეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ დამტკიცებული ეს რვაპუნქტიანი დოკუმენტი წარმოადგენს აფხაზეთის ომში რუსეთის სამხედრო ჩარევის უშუალო სანქციას. დადგენილებას ჰქონდა ამკარად გამოხატული ანტიქართული და პროაფხაზური ხასიათი, რაც ზუსტად შეესაბამებოდა კრემლის აგრესიულ, იმპერიულ კურსს და ომში ჩართულობის ანექსიონისტურ სტრატეგიას.

დადგენილების პირველივე პუნქტში რუსეთის უზენაესმა საბჭომ მოითხოვა „აფხაზეთის ტერიტორიიდან საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ფორმირებების გაყვანა“, ხოლო მეოთხე პუნქტში – „რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების კონტინგენტის სამშვიდობო ძალების რანგში გამოყენება“, ანუ კონფლიქტში უშუალო ჩართვა სამშვიდობო სამხედრო მისიის შირმის ქვეშ.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველაფერი ეს ითვალისწინებდა საქართველოს წინააღმდეგ ომში აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის სრულ ძალისმიერ მხარდაჭერას. ამასთან, 25 სექტემბრის დადგენილებით კრემლის იმპერიულმა ელიტამ, გენერალიტეტმა და, საერთოდ, მთელმა „ომის პარტიამ“ აფხაზეთის კონფლიქტში ჩარევის და არსებითად საქართველოს წინააღმდეგ ჰიბრიდული ომის წარმოების საკანონმდებლო მექანიზმი მიიღო.

ასეთ ვითარებაში მოწინააღმდეგემ, ისარგებლა რა 3 სექტემბრის შეთანხმების შედეგად ქართული მხარის ყურადღების მოდუნებით, გადაწყვიტა იერიში მიეტანა გაგრის ზონაზე, დაეპყრო ის და ამით უზრუნველყო გუდაუთა-ახალი ათონის ჩაკეტილი სტრატეგიული ტრომბის დებლოკირება.

1992 წლის 1 ოქტომბერს რუსულ-აფხაზურ-კონფედერატულმა შენაერთებმა დაიწყეს მასირებული შეტევა გაგრის მიმართულებით. საგულისხმოა, რომ შეტევის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე რუსმა სამშვიდობოებმა, რომლებიც აქ განლაგებული იყვნენ 3 სექტემბრის შეთანხმების თანახმად, სადამკვირვებლო საკონტროლო ნერტილები დატოვეს და დისლოკაციის ადგილზე დაბრუნდნენ. 1 ოქტომბრის საღამოს მტერმა სოფ. კოლხიდა, ხოლო 2 ოქტომბერს – ქ. გაგრა დაიკავა.

გაგრის დატოვების შემდეგ ჩრდილოეთის მიმართულებით გადნაცვლებული ფორმირებებისაგან გენერალმა გ. ყარყარაშვილმა სცადა ჯარების ერთიანი ჯგუფის შექმნა. მაგრამ არსებულ ქაოსსა და დეზორგანიზაციაში ეს ვერ მოხერხდა. 6 ოქტომბერს მოწინააღმდეგემ ლესელიძე – განთიადი დაიკავა და საქართველო-რუსეთის საზღვარზე გავიდა.

201. Дипломатический Вестник. Москва, 1992, № 19-20, с. 24-25.

გაგრის სამხედრო ოპერაციაში აფხაზურ და კონფედერატულ (შ. ბასაევის „აფხაზური ბატალიონი“) ფორმირებებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის არმიის რეგულარული ნაწილები, კერძოდ, 643-ე საზენიტო-სარაკეტო პოლკი და 345-ე საპარაშუტო-სადესანტო პოლკის ასეული. ისინი შემტევ აფხაზურ-კონფედერატულ ფორმირებებს ცოცხალი ძალით და საბრძოლო ტექნიკით ეხმარებოდნენ

რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ხომალდების („Безукоризненный“, „Кил-25“, „Дон“, „Головин“, „ВТН-38“, „ВМ-66“) ჯგუფი საზღვაო აკვატორიიდან უშუალო საცეცხლე დახმარებას უწევდა სეპარატისტებს.²⁰² ჯგუფის ოპერატიულ ამოცანებში შედიოდა გაგრის ზონაში მებრძოლი ქართული დაჯგუფებისათვის („თეთრი არწივის“, „მხედრიონისა“ და პოლიციის ქვედანაყოფები) დესანტის გადასხმით დახმარების განევის ბლოკირება, ასევე სეპარატისტთა კონცენტრაციის წერტილების სამხედრო-საზღვაო გადაფარვა.

სახომალდო ჯგუფის მეთაური, I რანგის კაპიტანი ვ. ფომინი თავის პატაკში აღნიშნავდა: „1 ოქტომბრის გეგმის მიხედვით ჩატარდა საჩვენებელი მეცადინეობები შტაბის ოფიცრებისათვის შეიარაღების, გუდაუთის ავიაციის საბრძოლო შესაძლებლობებისა და ჯავშანტანკების შემონმების მიზნით. მეორე დღეს, 2 ოქტომბერს, 17:00 საათზე თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, გენერალ-პოლკოვნიკი გ.გ. კონდრატიევი შემდეგ საბრძოლო ამოცანას უსახავს სამხედრო ხომალდებს:

1. არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან საზღვაო დესანტის გადმოსხმა საქართველოს მხრიდან ბიჭვინთის რაიონში. საჭირო თუ იქნა, იარაღიც გამოიყენონ.

2. განხორციელდეს გუდაუთის აეროდრომის ჰაერსაწინააღმდეგო დაცვა“.²⁰³

სხვა წყაროებით დასტურდება, რომ გენერალ-პოლკოვნიკი კონდრატიევი 2 ოქტომბრის ღამის 11-დან 12 საათამდე თვითონ იმყოფებოდა „ბეზუკორიზნენის“ ბორტზე და უშუალოდ განახორციელა მისი სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა.²⁰⁴

წყაროების რეპრეზენტატიული მონაცემების ანალიზი და მათში არსებული ინფორმაციული მასივის ურთიერთშეჯერება იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ გაგრის სამხედრო ოპერაციას საერთო ხელმძღვანელობას რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი უწევდა, ხოლო უშუალო სარდლობას რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, გენერალ-პოლკოვნიკი გ. კონდრატიევი ახორციელებდა.

202. აფხაზეთის ლაბორინტი, გვ. 208.

203. ნადარეიშვილი თ. შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ, გვ. 51-52.

204. აფხაზეთის ლაბორინტი, გვ. 218.

სტრატეგიული და ოპერატიული თვალსაზრისით, გაგრის დაკარგვამ მიმდინარე ომის მსვლელობაში უაღრესად ნეგატიური როლი შეასრულა. მონინალმდევის დაჯგუფების ანკლავური მდგომარეობა გაირღვა და სეპარატისტებმა თავიანთ მხარდამჭერ რუსეთთან უშუალო კომუნიკაციის დამყარების შესაძლებლობა მიიღეს. ამით რუსულ-აფხაზურ-კონფედერატული კოალიცია ჩამოყალიბდა გეოგრაფიულ-ტოპოგრაფიულადაც, სამხედრო მოქმედებათა თეატრის ერთიანობა-არადისკრეტულობის თვალსაზრისით.

1992 წლის 3 ნოემბერს ქართულმა ნაწილებმა გუმისთის ფრონტის შრომის სექტორში რუსულ-აფხაზური ძალების შემოტევა წარმატებით მოიგერიეს. წარუმატებლობის კომპენსირების სახით რუსეთმა „დისტანციური ომის“ ტაქტიკა გაააქტიურა; დაიწყო ქ. სოხუმისა და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ოპერატიული სივრცის ინტენსიური დაბომბვა როგორც ჰაერიდან, ისე ზალპური ცეცხლის რეაქტიული არტილერიით. ამას ახორციელებდნენ რუსეთის ავიაცია და რუსეთის არმიის მიერ შექმნილი ინტერვენციის ზონები (ბომბორა, ქვემო ეშერა, „მაიაკი“, ოჩამჩირის ბაზა).

5 ნოემბერს რუსეთის ორმა სუ-25 ტიპის გამანადგურებელმა მდ. გუმისთაზე განლაგებულ ქართული შენაერთების პოზიციებზე საჰაერო იერიში მიიტანა. იგივე განმეორდა 15 და 18 ნოემბერს, ამასთან, 18 ნოემბერს რუსულმა ავიაციამ სოხუმის შემოგარენიც (კელასური) დაბომბა.

დეკემბრის დასაწყისში გენერალ გ. ყარყარაშვილის შტაბმა დაგეგმა შეტევითი ოპერაცია აღმოსავლეთის ფრონტზე – აფხაზურ და სომხურ ათარაში, შემდგომში სამხრეთ-დასავლეთ ფლანგიდან ქ. ტყვარჩელზე შეტევის განხორციელების მიზნით. 3 დეკემბერს თავდაცვის მინისტრის „პირადი შენაერთებისა“ და 23-ე ბრიგადის V ბატალიონის გაერთიანებულმა დაჯგუფებამ აღნიშნული სოფლები დაიკავა. მაგრამ 10 დეკემბერს რუსეთის ავიაციამ მდ. კოდორის ხიდი და მიმდებარე პოზიციები დაბომბა, რასაც დიდი მსხვერპლი და შეტევის შეჩერება მოჰყვა.²⁰⁵

2-9 დეკემბრის განმავლობაში რუსეთის 529-ე ავიაპოლკის ესკადრილებმა რამდენჯერმე დაბომბეს ქ. სოხუმის საცხოვრებელი უბნები. მარტო სოხუმის საკოლმეურნეო ბაზრის დაბომბვას 13 მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე შეენირა. 11 დეკემბერს რუსეთის ავიაციის საჰაერო იერიშს ოჩამჩირის რაიონის სოფ. ახალდაბაზე 11 მშვიდობიანი მოქალაქე შეენირა, 60-ზე მეტი კი დაიჭრა.

ქართული შენაერთების პოზიციებსა და სოხუმისა და ოჩამჩირის რაიონების ქართველი მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ

205. ჯოჯუა დ. სოხუმის დაცემა. თბილისი, 2014, გვ. 87.

ზონებზე განხორციელებული საჰაერო დარტყმების დროს რუსეთ-მა სრულიად უცერემონიოდ დაარღვია რიგი საერთაშორისო აქტებისა, მათ შორის „ომის დროს მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის შესახებ“ 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციის მუხლები ნემსოვანი ჭურვებისა და კასეტური ბომბების გამოყენების აკრძალვის თაობაზე.

1992 წლის ნოემბრის ბოლოს საქართველოსა და რუსეთის სამხედრო უწყებებს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში რუსეთის ქვედანაყოფების ყოფნის შესახებ.²⁰⁶ შეთანხმება ითვალისწინებდა რუსეთის საჯარისო შენაერთების ყოფნის ოპერატიულ ზონებში დისლოკაციის ნერტილების გადანაცვლებას; მათ უნდა დაეტოვებინათ ქ. სოხუმი და მიმდებარე ტერიტორია, მათ შორის ეშერის სამხედრო ლაბორატორიაც. მაგრამ კრემლმა ეს შეთანხმებაც დაარღვია და სამხედრო კონტინგენტი მედესანტეთა ცალკე ასეულით გაზარდა. საგულისხმოა, რომ შეთანხმების შეუსრულებლობის მოტივად რუსებმა გაითამაშეს თვალთმაქცური ფარსი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობასა და აფხაზეთში რუსეთის ჯარების ჯგუფის შტაბს შორის უწყებრივი დაუმორჩილებლობის შესახებ. 1992 წლის დეკემბერში რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარების მთავარსარდლის, გენერალ-მაიორ სიგუტიკინის განკარგულებით, ბომბორას აეროდრომზე გადასხდა სპეციალური დანიშნულების ბატალიონი 450 ჯარისკაცის შემადგენლობით და შემდეგი სამხედრო ტექნიკით: 30 ერთეული ქვეითთა საბრძოლო მანქანა, 6 ერთეული მი-24 ტიპის ვერტმფრენი, 8 ერთეული მოძრავი საზენიტო კომპლექსი. იმავე წლის 22-25 დეკემბერს სოჭიდან და ადლერიდან გუდაუთაში გაიგზავნა 12 ვაგონიან სარკინიგზო შემადგენლობაში დატვირთული ჯავშანტექნიკა²⁰⁷.

ამ დროიდან რუსეთის არმიის სარდლობა და ოფიცერთა კორპუსი ფაქტობრივად სეპარატისტული რეჟიმის მრჩეველთა ჯგუფად და სპეციალურ სამხედრო მისიად გადაიქცა, ხოლო საკუთრივ სეპარატისტულ რეჟიმზე რეალურად კრემლის სამხედრო-პოლიტიკური პროტექტორატი დამყარდა.

1992-1993 წლების ომის პირველი ეტაპისათვის, გაგრის დაცემის მიუხედავად, საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და აფხაზეთის ქართული სამოქალაქო ხელისუფლების კონტროლქვეშ იმყოფებოდა ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი, ქ. სოხუმის ჩათვლით. საომარ მოქმედებათა თეატრის ოპერატიული სტრუქტურაც ქართული მხარისათვის უფრო ხელსაყრელი იყო:

206. აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში, 1. თბილისი, 1999, გვ. 108.

207. პოლკოვნიკ გ. მასიურადის პირადი არქივი. Участие Вооруженных Сил России в грузино-абхазском конфликте, 1993, л. 2.

მონინალმდეგის გუდაუთა-ახალი ათონისა და ტყვარჩელის დაჯგუფებები ერთმანეთისაგან გამიჯნული იყო ქართული ძალების სოხუმი-გულრიფშის დაჯგუფების ოპერატიული ზონით; ტყვარჩელის დაჯგუფება ბლოკადაში იმყოფებოდა, ხოლო გუდაუთა-ახალი ათონის დაჯგუფების არაბლოკადურ მდგომარეობას განაპირობებდა სწორედ რუსეთის ომში მონაწილეობა და გაგრა-ლესელიძის სექტორით სეპარატისტების პირდაპირი კომუნიკაცია რუსეთის ფედერაციის ტერიტორიასთან; ბლოკადური ჯაჭვი შეკრული იყო გუმისთის ფრონტის ხაზით: ქართული ძალების სოხუმი-გულრიფშის დაჯგუფება უზრუნველყოფდა აფხაზეთის ორი ისტორიული სუბრეგიონისა და სეპარატისტთა სამხედრო კონცენტრაციის ორი ცენტრის – ბზიფ-გუდაუთისა და აბჟუა-ტყვარჩელის ცენტრების – ერთმანეთისაგან გამიჯვნას.

1993 წლის იანვარსა და მარტში რუსულ-აფხაზურ-კონფედერატულმა კოალიციამ ორჯერ სცადა ბლოკადური ჯაჭვის ლიკვიდაცია და გუმისთის ფრონტის გარღვევით ქ. სოხუმის დაკავება.

1993 წლის 2 იანვარს რუსულ-აფხაზურმა ძალებმა გუმისთის პოზიციებზე განლაგებული „გრადის“ ტიპის სარაკეტო დანადგარებიდან მასირებული ცეცხლი გაუხსნეს სოხუმის საცხოვრებელ უბნებს, რათა მებრძოლებსა და მშვიდობიან მოსახლეობაში პანიკა და შიში დაეთესათ. 4-5 იანვრის ღამეს მონინალმდეგემ გუმისთის ფრონტის აჩადარის უბანზე შეტევა დაიწყო. ერთხანს შემტევმა ჯგუფებმა შეძლეს მდ. გუმისთის ფორსირება და მარცხენა ნაპირზე მცირე პლაცდარმის შექმნა. მაგრამ ქართული არტილერიის კონტრდარტყმებისა და 23-ე ბრიგადის ნაწილების კონტრშეტევის შედეგად მტერი განადგურებულ იქნა. მან დახოცილთა სახით 90-მდე მებრძოლი და 5 ჯავშანმანქანა დაკარგა.²⁰⁸

1993 წლის 25 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მიიღო სპეციალური დადგენილება „აფხაზეთის ტერიტორიაზე მყოფი რუსეთის საჯარისო ნაწილების შესახებ“.²⁰⁹ დაუშვებლად იქნა მიჩნეული აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის შეიარაღებული ძალების შემდგომი ყოფნა და ე. შევარდნაძეს დაევალა პრეზიდენტ ბ. ელცინთან ჯარების გაყვანის თაობაზე მოლაპარაკებების წარმოება.

1993 წლის 18 თებერვალს თბილისში რუსეთის ოფიციალური დელეგაციის ვიზიტი შედგა. ვიზიტის ფარგლებში რუსეთის პარლამენტის ქვედა პალატის (ეროვნებათა საბჭოს) თავმჯდომარე რ. აბდულატიპოვი და რუსეთის მთავრობის ვიცე-პრემიერი ს. შახრაი შეხვდნენ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლობით დელეგაციას (ვ. რჩეულიშვილს, ს. კავსაძესა და რ. გოცირიძეს). მოლაპარაკების

208. ჯოჯუა დ. სოხუმის დაცემა..., გვ. 87.

209. რეგიონული კონფლიქტები საქართველოში..., გვ. 85.

შედეგად მიღებულ კომუნიკეში²¹⁰ აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით რამდენიმე არაკონსტრუქციული მომენტი დაფიქსირდა, ცხადია, რუსეთ-საქართველოს სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ნორმალიზაციისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარების ზოგადი ფრაზეოლოგიის შირმის ქვეშ. საქართველოს დელეგაციის ელემენტარული უყურადღებობისა და საპროტოკოლოლ მოთხოვნათა დაცვის პრინციპების იგნორირების გამო, კომუნიკეში „გაიპარა“ არაერთი, ასე ვთქვათ, დიპლომატიური ნაღმი. კერძოდ: დაფიქსირდა მზადყოფნა, ჩრდილოეთ კავკასიის საკოორდინაციო საბჭოს ეგიდით მაღალი დონის ახალი შეხვედრის მოწყობისა 1992 წლის 3 სექტემბრის მოსკოვის ავადსახსენებელი შეთანხმების ფორმატით, რაც ფაქტობრივად იმ ფორმატის აღდგენას ნიშნავდა და რასაც მოჰყვა გაგრის ტრაგედია; ხაზი გაესვა „მოლაპარაკებების პროცესის უსწრაფეს განახლებას 3 სექტემბრის შეთანხმებათა შესაბამისად“; გამოითქვა მოსაზრება, რათა დაგომისის შეთანხმების საფუძველზე მოქმედი სამშვიდობო ძალების მანდატი რუსეთ-საქართველოს საზღვრის დაცვის სფეროზეც გავრცელებულიყო.

1993 წლის 4 მარტის დადგენილებით, საქართველოს პარლამენტმა 18 თებერვლის კომუნიკეს დეზავუირება მოახდინა²¹¹. მაგრამ დიპლომატიური კონფრონტაცია ამით არ ამოწურულა და კრემლმა საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობისა და ტერიტორიული სუვერენიტეტის წინააღმდეგ მორიგი კონვენციონალური შეტევა განახორციელა – 1993 წლის 6 მარტს რუსეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა სესიის დღის წესრიგის განსახილველ საკითხთა ნუსხაში შეიტანა ე.წ. აქტი „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ცნობის შესახებ“²¹².

რუსულ-აფხაზურ-კონფედერატული კოალიციის მასშტაბური შეტევითი ოპერაცია გუმისთის ფრონტზე 1993 წლის 14-17 მარტს განხორციელდა. შეტევა რუსული ავიაციისა და სეპარატისტთა მიძიძე არტილერიის მიერ ქ. სოხუმისა და ქართული არმიის საფრონტო პოზიციების დაბომბვით დაიწყო. ამას მოჰყვა, ერთი მხრივ, აფხაზების, კონფედერატების და რუსული „სლავბატის“ სახმელეთო წინსვლა და, მეორე მხრივ, რუსეთის რეგულარული საზღვაო და საჰაერო ძალების მასირებული შეტევა.

სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად მონინააღმდეგემ შესძლო ქართული შენაერთების ტაქტიკური ხაზის გარღვევა გუმისთის ფრონტის ცენტრალურ უბანზე და 23-ე ბრიგადის მიერ დაკავებული ტერიტორიის სიღრმეში შეაღწია. ბრძოლებში აქტიურად ჩაება

210. საქართველოს რესპუბლიკა, 1993, 25 თებერვალი.

211. საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1993, № 5-8, გვ. 22-23.

212. რეგიონული კონფლიქტები საქართველოში..., გვ. 86.

მონინაალმდეგის ტაქტიკური დაჯგუფების შემადგენლობაში მყოფი რიგის განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის რაზმი (ე. წ. რიგის ომონი, რომელიც 1991 წლის იანვრის ვილნიუსის მოვლენების შემდეგ რუსეთში გადაისროლეს და პერიოდულად იყენებდნენ „ცხელ ნერტილებში“) მაიორ მლინნიკის მეთაურობით. რაზმის ამოცანა იყო მთის გავლით აჩადარის ხიდისკენ დაშვება, მისი დაკავება და ქალაქ სოხუმის მიმართულებით შეტევის გაგრძელება²¹³. რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ორი ესკადრილია უზრუნველყოფდა რუსულ-აფხაზურ-კონფედერატული კოალიციის ძალების სახმელეთო შეტევის სისტემატურ საჰაერო მხარდაჭერას. მოვიყვანთ ადგილს რუსული ესკადრილის მეთაურის, მაიორ ალ. კოშკინის წიგნიდან: „აფხაზები ამზადებდნენ ფრონტის ხაზის მორიგ გარღვევას (1993 წლის 15-16 მარტის შეტევას – დ.ჯ.). ძირითადად ვმოქმედებდით ღამით, თანაც არახელსაყრელი ამინდის პირობებში... ჩვენ მიზანში ამოვიღეთ ყველაფერი, რაც შტაბმა დაადგინა... მათ შორის თვით სოხუმშიც, სადაც, ჩვენი დახვერვის ცნობით, ქართული ჯარების შტაბი იყო განლაგებული... სხვა ბომბებთან ერთად, ავიღე მანათობელი ბომბებიც, რადგანაც ჯერ კიდევ ავლანეთიდან ვიცოდი, რომ მიზანზე ღამით თუ მუშაობ, განათება აუცილებელია...“²¹⁴ ამავე პერიოდში რუსეთის ავიაციამ ქ. ფოთიდან ოცდაათ კილომეტრში სოხუმისაკენ მოძრავი ჯავშანკოლონა დაბომბა, რასაც ორასამდე ქართველი ჯარისკაცის სიცოცხლე და ათეულობით ქვეითთა საბრძოლო მანქანა შეენირა. დაბომბვა ასევე მეორე საარმიო კორპუსის შტაბი და კელასურის იარაღის საწყობი²¹⁵.

მაგრამ სწორედ აქ მოექცა ის ალყაში და ქართული მძიმე არტილერიის მიერ პროფესიონალურად, ოპერატიულად მასირებული ცეცხლისგან წარმოქმნილ „ქვაბში“. მტრის დანაკარგები ყველაზე დიდი იყო ომის დაწყებიდან როგორც ცოცხალი ძალის (2 ათასზე მეტი მებრძოლი), ისე სამხედრო ტექნიკის მხრივ. ქართული არმიის კონტრშეტევა, გუმისთის ფრონტზე 14 მარტამდე არსებული სტატუსკვოს აღდგენით, 17 მარტს დასრულდა.

ამრიგად, 1993 წლის იანვრისა და მარტის ბრძოლებში საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მყარი და გონივრული თავდაცვის, მტრის შემტევი დაჯგუფებების ეფექტური დეზორგანიზაციის, გუმისთის ფრონტის ცენტრსა და ფლანგებზე ძლიერი საარტილერიო კონტრდარტყმების საშუალებით ჩაშალეს მონინაალმდეგის მცდელობები, დაეკავებინა ქ. სოხუმი და მიეღწია სტრატეგიული უპირატესობისათვის.

213. М. Скринников. ВДВ. С неба – в бой. <http://www.rulit.me/books/vdv-s-neba-v-boj-read-310249-1.html>

214. Кошкин А. დასახ. ნაშრ.

215. იქვე.

მეორე მხრივ, უკვე ცალსახად გამოიკვეთა რუსეთის აგრესიული პოლიტიკის შეუქცევადობა, ომში რუსეთის ჩარევის კომპონენტებისა და ოპერაციონალური ზონების გაფართოება.

თავისი 1993 წლის 17 მარტის „მიმართვაში გაეროს, ევროპარლამენტს, მსოფლიო ქვეყნების პარლამენტებს, რუსეთის ფედერაციის უზენაეს საბჭოს“ საქართველოს პარლამენტმა რუსეთის ქმედებები შეაფასა, როგორც „სუვერენული სახელმწიფოს მიმართ აგრესიული პოლიტიკა, რომლის მიზანია საქართველოსაგან აფხაზეთის მოწყვეტა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა“.²¹⁶

1993 წლის 17 მარტს ქ. მოსკოვის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ – დეპუტატთა საბჭომ მიიღო მიმართვა რუსეთის უზენაესი საბჭოსადმი საქართველოს წინააღმდეგ სანქციების შემოღების მოთხოვნით²¹⁷.

1993 წლის 19 მარტს, გუმისთის ფრონტის ჩრდილოეთ სექტორში ქართულმა საზენიტო არტილერიამ რუსეთის სამხედრო – საჰაერო ძალების გამანადგურებელი „CY-27“ (ბორტის N11) ჩამოაგდო, რომელსაც როსტოვის ოლქის კუშევსკაიას საჰაერო ბაზიდან გუდაუთაში მოვლინებული მაიორი ვ. შიპკო მართავდა²¹⁸.

ამის შემდეგ რუსეთის უშუალო მონაწილეობა ომში იმდენად ცხადი გახდა, რომ ამ ფაქტორის კონსტატაცია თვით ოფიციალურმა რუსულმა საინფორმაციო წყაროებმაც დაინყეს. ერთ-ერთმა ოფიციალურმა, გაზეთმა „იზვესტიამ“ გამოაქვეყნა რუსეთის მიერ სეპარატისტებისათვის გადაცემული შეიარაღების ასეთი ჩამონათვალი: 7 ტანკი, 20 ჯავშანმანქანა, 12 საარტილერიო ერთეული, მათ შორის „ურაგანისა“ და „გრადის“ ტიპის სარაკეტო დანადგარები²¹⁹.

რუსული ჩარევის არსებითი მხარე იყო სეპარატისტული რეჟიმის დახმარება სპეცსამსახურებისა და სამხედრო დაზვერვის ხაზით. მხარდაჭერის ამ პაკეტში იგულისხმება აგენტურის აპარატის შექმნა და მართვა, ქართული ძალების ზურგის ზონებში რუსული და სომხური მოსახლეობისაგან „მეჭუთე კოლონის“ დაჯგუფებათა ჩამოყალიბება, ასევე დივერსიისა და შპიონაჟის მობილური ქსელის შექმნა-საქმიანობა.

1993 წლის 31 მარტს ქ. სოხუმში, აგენტურული აქციის ჩატარების მომენტში, დაკავებული იქნა რუსეთის არმიის ლეიტენანტი ალ. სიტნიკოვი, რომელიც მოსკოვის ოლქში დისლოცირებული სამხედრო ნაწილიდან სპეციალურად იყო აფხაზეთში მოვლინებული.

1993 წლის 1 აპრილს ქ. სოხუმში დისლოცირებული რუსული სამხედრო ნაწილის (N2011) რადიოსადგურის უფროსი, უფროსი

216. აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში..., 1, გვ. 144.

217. აფხაზეთის ლაბორინთი..., გვ. 209.

218. ნადარეიშვილი თ. შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ..., გვ. 52.

219. Известия, 1993, 17 марта.

სერჟანტი ალ. ლუნევი დააკავეს. გამოირკვა, რომ ლუნევი 17-22 მარტის განმავლობაში, რუსული სამხედრო ნაწილის სამტაგო-გამსვლელი რადიოსადგურით აფხაზურ ფორმირებებს გადასცემდა ცნობებს ფრონტის ხაზზე მყოფი ქართული შენაერთების განლაგებისა და შეიარაღების, ასევე ქ. სოხუმში ოპერატიული ვითარების შესახებ²²⁰.

1993 წლის 23 მარტს ქ. მოსკოვში გაიმართა ვ. არძინბას კონფიდენციალური შეხვედრა პრეზიდენტ ელცინთან. იმავე დღეს ე.წ. „აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ“ (სინამდვილეში კი ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი საკანონმდებლო ორგანოს აფხაზურმა ფრაქციამ) მიმართვა გაუგზავნა რუსეთის უზენაეს საბჭოს, რომელშიც გამოთქვა სურვილი „აფხაზეთის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლის ან მფარველობის ქვეშ მიღების შესახებ“. საგულისხმოა, რომ რუსეთის პარლამენტმა არათუ უარყო ეს ცალსახად სეცესიონისტური დოკუმენტი, არამედ 1993 წლის 30 აპრილის დადგენილებით წინადადება მისცა პრეზიდენტ ელცინს და რუსეთის მთავრობას, მიმართვის თემაზე ოფიციალურ თბილისთან მოლაპარაკების დაწყების შესახებ²²¹.

1993 წლის 1 აპრილს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებაში აღინიშნა შემდეგი: „საქართველოს ტერიტორიის ნაწილზე, აფხაზეთში, რომელსაც რუსეთის ჯარების ხელშეწყობით გუდაუთის სეპარატისტული დაჯგუფება აკონტროლებს, ტარდება ეთნიკური წმენდის პოლიტიკა, რომელმაც ქართველი და სხვა ეროვნების მოქალაქეთა წინააღმდეგ მიმართული გენოციდის სახე მიიღო.“²²² იმავე დღეს საქართველოს პარლამენტმა გაუგზავნა „მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს“. ის არა მხოლოდ იმეორებს, არამედ უფრო მკაცრ შეფასებას აძლევს აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს და მათში რუსეთის ფედერაციის მონაწილეობას. მიმართვაში ვკითხულობთ: „საქართველოს ტერიტორიის ნაწილზე, აფხაზეთში, რომელსაც რუსეთის ჯარების მეშვეობით აკონტროლებს გუდაუთის სეპარატისტული დაჯგუფება, ხორციელდება ეთნიკური წმენდის პოლიტიკა, რომელმაც მიიღო ქართველი და სხვა ეროვნების მშვიდობიან მოქალაქეთა წინააღმდეგ მიმართული აშკარა გენოციდის სახე. სისტემატური მასობრივი მკვლელობა, დახვრეტა და არნახული შევიწროება აიძულებს ქართველ მოსახლეობას მიატოვოს საცხოვრებელი ადგილები“.

220. ნადარეიშვილი თ. შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ..., გვ. 54.

221. Ведомости Съездов Народных депутатов РФ и Верховного Совета РФ, № 20, 1993 г., с. 1215.

222. აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში, ნაწილი I, გვ. 151.

1993 წლის 27 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო მორიგი დადგენილება აფხაზეთის კონფლიქტის ზონიდან რუსეთის საჯარისო ნაწილების გაყვანის თაობაზე. დადგენილების დისპოზიციურ მოთხოვნას საფუძვლად ედო სამი მომენტი: 1) რუსეთის მიერ მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის ხელშეკრულების დარღვევა; 2) რუსეთის ჯარებისა და აფხაზი სეპარატისტების კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ქართველი მოსახლეობის გენოციდი და ეთნიკური წმენდა; 3) რუსეთის ჯარების კონტინგენტის აქტიური მონაწილეობა საომარ მოქმედებებში საქართველოს წინააღმდეგ.²²³

საქართველოს პარლამენტი ამ პოლიტიკას აფასებს, როგორც ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული აგრესიის განგრძობას, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას და ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ხელყოფას.

მთელი პასუხისმგებლობა ზემოაღნიშნული პოლიტიკისათვის ეკისრება რუსეთს, რომელიც თავისი იმპერიალისტური მიზნების განსახორციელებლად მხარს უჭერს გუდაუთის სეპარატისტულ დაჯგუფებას²²⁴. საქართველოს პარლამენტმა მოუწოდა საერთაშორისო ორგანიზაციებს მიიღონ ქმედითი ზომები საქართველოს წინააღმდეგ მიმართული აგრესიის აღსაკვეთად, რუსეთის შეიარაღებული ძალებისა და სეპარატისტების კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე ქართველი მოსახლეობის დასაცავად.

1993 წლის 14 მაისს მოსკოვში ხელი მოეწერა სამხმრივ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტისა და აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების საფუძვლების შესახებ. შეთანხმებას, რომელმაც, კრემლის დიპლომატიური კურსის წინასწარ დაგეგმილი მიზნების შესაბამისად, ქართული მხარის ყურადღება და საომარი სიფხიზლე საგრძობლად მოადუნა, შედეგად მოჰყვა ტრაგიკული სტრატეგიული შედეგები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მათ შორის იყო ტყვარჩელის ბლოკადის მოხსნა და მოწინააღმდეგის ტყვარჩელის დაჯგუფების სტრატეგიული ტრომბის დებლოკირება. ამ აქციაზე საქართველოს ხელისუფლების ყოვლად გაუმართლებელი თანხმობა სწორედ 14 მაისის შეთანხმებით გათვალისწინებული ე.წ. ჰუმანიტარული დერეფნის ორგანიზების ფარგლებში მოხდა, თანაც რუსეთის საშუამავლო მისიისადმი სრული ნდობის საფუძველზე.

1993 წლის 16 ივნისს საქართველოს ხელისუფლების თანხმობით, რუსეთის საგანგებო სიტუაციების სამინისტრომ განახორციელა „ჰუმანიტარული“ დახმარების ოპერაცია: სადესანტო-სატრანსპორტო ხომალდებმა სოჭიდან ზღვით სოხუმში „კამაზის“ ტიპის 30 სატრანსპორტო ტრაილერი ჩაიტანეს. სოხუმიდან ეს კოლონა,

223. რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში..., გვ. 87.

224. აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში, ნაწილი I, გვ. 152.

ყოველგვარი შეფერხებისა და მონიტორინგის გარეშე ტყვარჩელში ჩავიდა. ბლოკირებული ტყვარჩელისათვის აუცილებელ სურსათთან და მედიკამენტებთან ერთად, აფხაზეთის ე.წ. აღმოსავლეთის ფრონტის საჭიროებისათვის რუსეთმა დიდი რაოდენობის ტყვია-წამლის, საბრძოლო მასალის და ცოცხალი ძალის ტრანსპორტირება მოახდინა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ „ჰუმანიტარული“ დახმარების ოპერაციაში თავისი როლი გაერომაც შეასრულა. მან არ გაითვალისწინა ქართული მხარის თხოვნა და შესაბამისი ტვირთების გადაზიდვის უფლება ერთპიროვნულად რუსეთს ჩააბარა.

16 ივნისის „ჰუმანიტარული“ აქციის გარდა, 1993 წლის მაის-ივნისში სეპარატისტებმა რუსეთის ავიაციის დახმარებით მკვეთრად გაზარდეს და გააძლიერეს თავიანთი სამხედრო ძალები „აღმოსავლეთის ფრონტზე“. აფხაზეთში გასაგზავნი მოხალისე-ბოევიკების წვრთნისა და დაკომპლექტების ცენტრალურ ბაზას ქ. საბიკენში (მაიკოპიდან 50 კმ-ზე) განლაგებული სპეცდანიშნულების სამხედრო ბანაკი წარმოადგენდა. სისტემატიური ხასიათი მიიღო რუსეთის სატრანსპორტო თვითმფრინავებისა და ვერტმფრენების მეშვეობით ჩრდილოეთ კავკასიიდან ცოცხალი ძალის გადმოსროლამ. იგი ორი პარალელური ხაზით ხორციელდებოდა – თებერდის მხრიდან დალი-ტყვარჩელის ხაზით და გუდაუთის მხრიდან კავკასიის მთავარი ქედის სამხრეთი კალთების ხაზით ტყვარჩელისაკენ.

რუსეთის მიერ დაქირავებული ნახევრადსამხედრო ფორმირებების რეკრუტირებასა და კონფლიქტის ზონაში პერიოდულ გადასროლაზე არაორაზროვნად მიუთითებს „ჰელსინკი ვოთჩის“ („ჰუმან რაიტს ვოთჩის“ ერთ-ერთი ქვეგანყოფილების) აღმასრულებელი დირექტორი ჯერი ლეიბერი, სპეციალურად პრეზიდენტ ელცინისადმი 1993 წლის 1 ნოემბერს გაგზავნილ წერილში. დოკუმენტში აღნიშნულია: „ჰელსინკი ვოთჩმა“ დოკუმენტურად დააფიქსირა ფაქტები, რომლებიც უკავშირდება აფხაზეთში მოქმედ ნახევრადსამხედრო ფორმირებებში რუსეთიდან დაქირავებულთა სამსახურს და სამოქალაქო ობიექტებზე მათ თავდასხმებს... ნახევრადსამხედრო ფორმირებები სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ რუსულ იარაღსა და მძიმე ტექნიკას იყენებდნენ“²²⁵. „ჰელსინკი ვოთჩი“ ცალსახად აცხადებს, რომ ამგვარი ქმედებების გამო რუსეთი არსებითად გავიდა კეთილი ნების მისიის განხორციელების ფარგლებიდან.

ქართული სადაზვერვო სტრუქტურების მონაცემებით, „აღმოსავლეთის ფრონტზე“ მონინააღმდეგის დაჯგუფებამ 3000-3300 მებრძოლი შეადგინა, რომელთა შორის 600-ზე მეტი რუსეთის მიერ იყო

225. „Хельсинки Вотч“ – Российским властям, www.valberta.ca/hhihejro/NG-93-95/1145166.html

გადასროლილი სეპარატისტთა სამხედრო შენაერთების კონცენტრაციის სხვადასხვა წერტილებში (ათარაში, კუტოულში, ჯგერდაში, ლაბრაში, ქლოუში, მოქეში, მერკულასა და სხვ.)²²⁶. აფხაზეთში მებრძოლი დაქირავებული მკვლელები არც მალავენ თავიანთ ვინაობას. არასრული ინფორმაცია მათ შესახებ ინტერნეტსივრცეშიც მოიპოვება²²⁷.

სეპარატისტული დაჯგუფების ფარგლებში მოქმედი საომარი ჯგუფების ქსელში ამკარად სჭარბობდნენ უშუალოდ რუსი ეროვნების კადრის ოფიცრებითა და ჯარისკაცებით დაკომპლექტებული ჯგუფები და ქვედანაყოფები. ასეთები იყო, მაგალითად, „დელფინი“, „დედევასი“, „სკორპიონი“, „დრაკონი“. „კატრინი“, კახაკთა რაზმები და სხვ. ისინი სერიოზულ როლს ასრულებდნენ მონინააღმდეგის ტყვარჩელის დაჯგუფების საჯარისო სტრუქტურაში და ახორციელებდნენ მნიშვნელოვან ოპერაციებს დივერსიული და ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულებით.

„ალმოსავლეთის ფრონტზე“ მიმდინარე საომარ მოქმედებებში რუსეთის პირდაპირი მონაწილეობის ტიპური მაგალითია სპეცჯგუფ „დელფინის“ მიერ წარმოებული ოპერაციები. ამიტომ ამ საკითხს შედარებით ვრცლად შევხებით. ვსარგებლობთ იმ ოპერატიული მასალებით, რომლებიც ჟურნალმა „არსენალმა“ მოიპოვა და გამოაქვეყნა²²⁸.

მასალა წარმოადგენს ბრძანებების წიგნიდან და საომარ მოქმედებათა წარმოების ჟურნალიდან ამონაწერი დოკუმენტების (ბრძანებების, გადანყვებილებებისა და პატაკების) ერთობლიობას, რის გამოც მის ინფორმაციულ რეპრეზენტატულობასა და წყაროთმცოდნეობით ღირებულებაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია.

ირკვევა, რომ სპეცჯგუფი „დელფინი“ რუსეთის მიერ კონტროლირებადი ე.წ. „დნესტრისპირეთის მოლდავური რესპუბლიკის“ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების ბატალიონ „დნესტრის“ ბაზაზე, გენერალ-პოლკოვნიკ ნ. მატვევის ბრძანებით შეიქმნა. მის შემადგენლობაში შევიდნენ: მაიორი ი. პიმენოვი (მეთაური და ინსპექტორ-ინსტრუქტორი), მაიორი ა. ტერენტიევი, მაიორი ა. ბუტკო, კაპიტანი ნ. დანილინი, ლეიტენანტები ე. რიჟიკოვი, ა. ცურკანი, ი. კულაკოვი და რ. კალუნგარიანი.

როგორც მაიორ პიმენოვის N12 ბრძანებაშია აღნიშნული, ჯგუფი შეიქმნა და გუდაუთაში ჩავიდა 1993 წლის 10 მაისს, 15 მაისს კი „საბრძოლო ამოცანების ეფექტურად შესრულებისათვის და აფხაზეთის რესპუბლიკისათვის ინტერნაციონალური დახმარების გასანეკად“ ტყვარჩელში გადაისროლეს.

226. აფხაზეთის ლაბირინთი, გვ. 124.

227. იხილეთ: „Список тех, кто воевал против Грузии в Абхазети (Абхазия)...“. <http://kompromat1.info/articles/33349-spisok>

228. ჟ. არსენალი, 2015, მარტი, №3, გვ. 50-53.

სპეცჯგუფ „დელფინის“ სამხედრო ფუნქციებს უფრო კონკრეტულად წარმოაჩენს ოფიციალური დოკუმენტი – ვ. არძინბას სამადლობელი წერილი ზემოხსენებულ გენერალ ნ. მატვეევისადმი. მასში სეპარატისტთა ლიდერი უშუალოდ ჩამოთვლის სპეცჯგუფის შემდეგ „დამსახურებებს“: „ფაშისტური ქართული ჯარების ზურგში დივერსიული სამუშაოების ჩატარება; წარმატებული სადაზვერვო და საომარი მოქმედებების წარმოება; ქ. ტყვარჩელის გარნიზონის ტერიტორიაზე განსაკუთრებით სამიში რეციდივისტების დაკავება; რუსეთის საგანგებო სიტუაციების სახელმწიფო კომიტეტის თანამშრომელთა მიღება მაღალ პროფესიონალურ დონეზე; მონინალმდეგის დეზინფორმაცია და დეზორიენტაცია, რამაც საშუალება მოგვცა დაგვეწყო ფრონტის მთელ ხაზზე წარმატებული შეტევა“²²⁹.

სპეცჯგუფის მოქმედების საერთო სურათი, ელემენტარული ოპერატიული და ტაქტიკური პროპორციის კუთხით, ნათლად მეტყველებს ომში მონაწილეობის სტრატეგიულ ინდიკატორზე; მხოლოდ ერთმა რვაკაციანმა ჯგუფმა, მხოლოდ „აღმოსავლეთის ფრონტის“ ოპერატიულ სივრცეში ქართული შენაერთების ზურგში განახორციელა 12 საბრძოლო და დივერსიული ოპერაცია, საერთო ჯამში გაანადგურა 34 მებრძოლი, ააფეთქა ხიდი და რადიო-სარელეო სადგური, ხელში ჩაიგდო რამდენიმე ერთეული სამხედრო ტექნიკა და დაახინა თვითმფრინავი, ამავე დროს, ქართული მხარის წინასწარგამიზნული დეზორიენტაციით ხელსაყრელი ოპერატიული გარემო შექმნა მთელ ფრონტზე მონინალმდეგის მასირებული შეტევისათვის.

ოპერატიული მასალების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია მოვიტანოთ კონკრეტული ფაქტები სპეცჯგუფ „დელფინის“ მიერ ორგანიზებული რამდენიმე ოპერაციის შესახებ: 1993 წლის 16 მაისს შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ტყვარჩელში გადასხმულ იქნა ქართული დესანტი. აფხაზური მხარის თხოვნით, „დელფინმა“ მოაწყო ქალაქისა და მიმდებარე ტერიტორიის გაჩხრეკა.

1993 წლის 20-24 მაისს ქართული არმიის ჯავშანტექნიკა შეგროვდა 70,9 ნიშნულის მაღლობზე და ცეცხლი გაუხსნა სოფ. ბესლახუბაში განლაგებულ აფხაზურ ფორმირებას. საპასუხოდ „დელფინმა“ ჩაატარა საგანგებო დანიშნულების ოპერაცია – წინასწარი დაზვერვის შედეგად შემტევი ჯგუფის ცოცხალი ძალა და ტექნიკა გაანადგურა.

1993 წლის 25-28 მაისს „დელფინისა“ და „ლამურას“ გაერთიანებულმა ჯგუფმა სოფ. აძიუბუჟაში საავტომობილო და სარკინიგზო ხიდების დაზვერვა მოაწყო, მათი შემდგომი აფეთქების მიზნით.

1993 წლის 7 ივნისს „დელფინის“ წევრებმა სოფ. ფოქვეშში ქართველების საცეცხლე წერტილის წინააღმდეგ სპეცოპერაცია განა-

229. ნადარეიშვილი თ. შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ..., გვ. 42.

ხორციელეს. ოპერაციის შედეგად დაიღუპა ორი ქართველი მებრძოლი, ხელში ჩაიგდეს ერთი ტყვიამფრქვევი და ორი ავტომატი.

1993 წლის 10 ივნისს „დელფინისა“ და „დრაკონის“ გაერთიანებულმა ჯგუფმა სოფ. ბოლუნჯარას მიდამოებში ქართული რადიო-სარელეო სადგური გაანადგურა.

1993 წლის 20 ივნისს „დელფინის“ ჩასაფრებულმა ჯგუფმა სოფ. პირველი ოხურეის შემოგარენში ქართულ ტანკს ესროლა, მაგრამ ტანკმა საფარში შესვლა მოასწრო. ამის გამო ჯგუფმა მართვად რაკეტას გეზი შეუცვალა, აფეთქების შედეგად დაიღუპა 2 და დაიჭრა 4 ქართველი მებრძოლი.

1993 წლის 22 ივნისს ჯგუფმა სოფ. ბედიასთან არსებულ სამხედრო-საველე სასადილოს ვაკუმუური ბომბი ესროლა. დაიღუპა 4 ქართველი მებრძოლი.

1993 წლის 25 ივნისს „დელფინისა“ და „ლამურას“ გაერთიანებულმა ჯგუფმა ბაბუშარის აეროპორტზე დაშვების რეჟიმში მყოფ საქართველოს სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავს სოფელ აძიუბუას მიდამოებიდან სიბუური რაკეტა ესროლა. რაკეტა თვითმფრინავის მარჯვენა ძრავას მოხვდა და ცეცხლი გაუჩნდა. მფრინავებმა საფრენი აპარატის დაშვება მოახერხეს, მაგრამ ის დაზიანდა და აღდგენას უკვე არ ექვემდებარებოდა.

1993 წლის 25 ივნისს „დელფინისა“ და „დრაკონის“ გაერთიანებულმა ჯგუფმა გეზი დალის ხეობისკენ აიღო და მალალი ძაბვის ელექტროხაზის ერთი საყრდენი გაანადგურა.

1993 წლის 1 ივლისს „დელფინი“ ერთ-ერთი სოფლის ალების მსხვილმასშტაბიან ოპერაციაში მონაწილეობდა.

ამ პერიოდიდან საქართველოს წინააღმდეგ ჰიბრიდული ომის წარმოების რუსული სტრატეგია განსაზღვრულ ევოლუციას, უფრო მეტიც-რეალურ ტრანსფორმაციას განიცდის და ფინალურ ფაზაში გადადის. კრემლი მიმდინარე ომის ფუნქციას უკვე მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს უპირობო დამარცხების, მისი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისა და აფხაზეთის ოკუპაციის პერსპექტივიდან განიხილავდა.

ის გარემოება, რომ რუსეთისათვის ომი აფხაზეთში იმპერიული პოლიტიკისა და ჰეგემონისტური გეოპოლიტიკური პროექტის განხორციელების ინსტრუმენტი გახდა, ნათლად გამოჩნდა მაშინ, როდესაც კრემლის ზედა ემელონებში სტრატეგიული დაგეგმარების ფორმატი რამდენადმე შეიცვალა: 1993 წლის ზაფხულისათვის ომში შექმნილმა ოპერატიულ-სტრატეგიულმა ვითარებამ რუსულ-აფხაზური ალიანსი სამხედრო ოპერაციების დაგეგმვის სტრატეგიის შეცვლის აუცილებლობის წინაშე დააყენა. კერძოდ, ისინი დარწმუნდნენ, რომ რუსეთის ფართომასშტაბიანი ინტერვენციის გარეშე ქ. სოხუმის

დაკავება ერთი მიმართულებით შეტევის ტაქტიკით, თანაც ქართული მხარის სოხუმი-გულრიფშის დაჯგუფების ხელში არსებული სამხედრო-ტექნიკური არსენალის პირობებში, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. მონინალმდევე ასეთი დილემის წინაშე დადგა: ან რუსეთის სრულმასშტაბიანი აგრესია ან მიმდინარე ჰიბრიდული ომის ფარგლებში ტაქტიკური ორიენტირების შეცვლა. კრემლმა მეორე გზა აირჩია. თვისობრივად ახალი სტრატეგია ითვალისწინებდა კომბინირებულ ტაქტიკურ ფორმატს; ერთდროულ შეტევას ორივე ფრონტის ყველა უბანზე, თანაც წინასწარი მადეზორიენტირებელი სამხედრო მანევრებით, რომელთა მიზანი იყო ქართული მხარის ყურადღების გადატანა ამ არაძირითად დარტყმაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეტევის დაწყებას აღმოსავლეთის ფრონტზე ძირითად მიზნად უნდა ჰქონოდა არა საკუთრივ ამ ფრონტზე წარმატების მიღწევა, არამედ ქართული მხარის ტაქტიკური დეზორიენტაციის შედეგად გუმისთის ფრონტზე უპირატესობის მოპოვება.

ამ სტრატეგიის ფარგლებში, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალურმა შტაბმა შეიმუშავა სოხუმის ალების სპეციალური საიდუმლო გეგმა, რომელიც ოთხი პუნქტისაგან შედგებოდა: „1. ტყვარჩელის დაჯგუფების მიერ ოჩამჩირის ავტოტრასის ხელში ჩაგდება; 2. ოჩამჩირეში საზღვაო დესანტის გადასხმა ტამიშთან და ტყვარჩელის დაჯგუფებასთან მისი შეერთება; 3. პარალელურად გუმისთიდან შეტევის განხორციელება და სოხუმის ირგვლივ სტრატეგიული სიმაღლეების ხელში ჩაგდება; 4. საბოლოო ჯამში, სოხუმის რკალში მოქცევა და აღება“.²³⁰ სტრატეგიული ატრიბუციის თვალსაზრისით, რუსული გეგმა მიზნად ისახავდა საომარი მოქმედებების თეატრის დაყოფას ორ საოპერაციო ზონად, რომელთაგან ერთში (გუმისთის ფრონტზე) უნდა განხორციელებულიყო მთავარი დარტყმა, ხოლო მეორეს (ოჩამჩირის ფრონტზე) ქართული მხარის ტაქტიკური დეზორიენტაციის ფუნქცია უნდა ჰქონოდა.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ გეგმა მთლიანად რუსეთის გენშტაბის ოპერატიულ სამმართველოში დამუშავდა, ხოლო უშუალო საომარ ოპერაციებში მისი პრაქტიკული რეალიზაცია რუსეთის გენერალიტეტისა და ოფიცერთა სპეციალური ჯგუფების სამხედრო-საექსპერტო დახმარებით განხორციელდა. რაც შეეხება ადგილობრივ ე.წ. აფხაზეთის სარდლობას (ე.წ. მთავარსარდალი ვ. არძინბა, ე.წ. თავდაცვის მინისტრი ს. სოსნალიევი, ე.წ. გენერალური შტაბის უფროსი ს. დბარი), მის კომპეტენციაში მხოლოდ გენერალური გეგმის ლოკალური ტაქტიკური ვარიანტების შერჩევა-დადგენა შედიოდა.

1993 წლის 1 ივლისს რუსეთის არმიის გენშტაბმა მოამზადა და აფხაზეთში დისლოცირებულ ჯარებს საომარი მოქმედებების ზონის

230. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი..., გვ 360.

ოპერატიული აეროკოსმოსური რუქები მიანოდა²³¹.

2 ივლისს სოფ. ტამიშთან რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდებიდან გადმოსხდა რუსულ-აფხაზური დესანტი 300 მეზრდოლის შემადგენლობით და თითო ერთეული ტანკით, ჯავშანტრანსპორტიორითა და „გრადის“ ტიპის სარაკეტო დანადგარით. დესანტის ბირთვის რუსეთის რეგულარული ნაწილები შეადგენდნენ. მათ შორის იყო ოპერატიული ჯგუფი, რომელსაც ვ. სოროკინი მეთაურობდა. ცნობილია ისიც, რომ სადესანტო ოპერაციის დაგეგმვასა და განხორციელებაში უშუალოდ მონაწილეობდა ГРУ-ს პოლკოვნიკი კრასოვსკი²³². ტამიშთან და ლაბრასთან დისლოცირებულმა ქართულმა ფორმირებებმა (24-ე ბრიგადის ცალკეული ჯგუფები, ქ. ჩოლოყაშვილის სახ. პოლკის, „ავაზასა“ და „თეთრი არწივის“ ქვედანაყოფები), მოულოდნელობის გამო, სადესანტო ოპერაციის ბლოკირება ვერ შეძლეს. ტამიშთან პლაცდარმის შექმნის შემდეგ დესანტმა მოახერხა ტყვარჩელის დაჯგუფების ნაწილებთან შეერთება მოახერხა და გაერთიანებული ძალებით ოჩამჩირე-სოხუმის ავტომაგისტრალის ცალკეული მონაკვეთების გადაძლიერება კონტროლი დაიწყო.

ტამიშის სადესანტო ოპერაციას ყურადღების გადატანის ფუნქცია ჰქონდა. იმავე 2 ივლისს მონინალმდეგის ფორმირებებმა გუმისთის ფრონტის ცენტრალურ და მარჯვენა სექტორებში მასირებული შეტევა დაიწყეს. მათ შესძლეს მდინარის ფრონტირება, ფრონტის ხაზის გარღვევა და სოხუმის ჩრდილოეთით მდებარე სოფლების – კამანის, ახალშენისა და გუმას დაკავება. 9 ივლისს რუსულ-აფხაზურმა ძალებმა სოფ. შრომა დაიკავეს და ახბიუკის სტრატეგიულ სიმაღლეზე კონტროლი დაამყარეს.²³³ შრომის დაკავების ოპერაციაში აქტიურად მონაწილეობდნენ რიგის „ომონი“ (მაიორი მლინნიკი) და საჰაერო-სადესანტო ბატალიონი (პოდპოლკოვნიკი ნიკულნიკოვი). სწორედ ამ უკანასკნელმა დაიკავა სტრატეგიული სამთო სიმაღლეები²³⁴.

ქართულმა შენაერთებმა გმირული ბრძოლისა და შეთანხმებული ოპერატიულ-ტაქტიკური ღონისძიებების, განსაკუთრებით 11-ე და 24-ე ბრიგადების მძიმე არტილერიის უშეცდომო მოქმედებების წყალობით ტამიშის დესანტის განადგურების ოპერაცია დაასრულეს; დესანტის მხოლოდ მცირე ნაწილმა შესძლო ალყის გარღვევა და ტყვარჩელის დაჯგუფებასთან შეერთება.

231. აფხაზეთის ლაბირინთი, გვ. 209.

232. პოლკოვნიკ გ. მაისურაძის პირადი არქივი, ცნობა, ფ. 5.

233. ჯოჯუა დ. სოხუმის დაცემა, გვ. 91.

234. М. Скринников. ВДВ. С неба – в бой. <http://www.rulit.me/books/vdv-s-neba-v-boj-read-310249-1.html>

ივლისის დასაწყისის მოვლენებმა სტრატეგიული სიტუაცია საქართველოსთვის ნეგატიურად შეცვალა. გუმისთის ფრონტზე მონინალმდეგემ სტრატეგიული უპირატესობა მოიპოვა, ფრონტი ფაქტობრივად შუაზე გაიხლიჩა; როგორც უკვე ითქვა, სეპარატისტებმა ახბიუკის სიმაღლეზე და შრომა-სოხუმის სტრატეგიულად მნიშვნელოვან გზაზე კონტროლი დაამყარეს. აღმოსავლეთის ფრონტზე კი, ოჩამჩირის რაიონის ზოგიერთი სოფლის დაკავებით, მონინალმდეგის ფორმირებებმა ცენტრალურ ავტომაგისტრალთან მიახლოებული ოპერატიული ზონა შექმნეს. ამ ზონიდან გაცილებით ადვილი იყო ოჩამჩირე-სოხუმის სტრატეგიული კომუნიკაციის ჩაკეტვა დიდ სიგრძეზე – სოფ. ლაბრადან მდ. კოდორის ხიდამდე.

21 ივლისს რუსეთის ავიაციამ და ფლოტმა ქ. სოხუმი და სოფ. დრანდის რკინიგზის სადგური დაბომბეს. 23 ივლისს ტყვარჩელის დაჯგუფების რუსულ-აფხაზურმა შენაერთებმა ტამიშსა და ლაბრაზე იერიში მიიტანეს. 24 ივლისს რუსეთის ავიაციამ და არტილერიამ ქ. სოხუმის საცხოვრებელი კვარტლები, განსაკუთრებით ახალი რაიონი და თამარ მეფის (ყოფილი ჭანბას) ქუჩა სასტიკად დაბომბეს.

1993 წლის 27 ივლისს ქ. სოჭში ხელი მოეწერა შეთანხმებას „აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მის შესრულებაზე კონტროლის მექანიზმების შესახებ“²³⁵. შეთანხმება ითვალისწინებდა კონფლიქტის მონესრიგების ღონისძიებათა პირველადი ბაზის ტრადიციულ კომპლექსს – ცეცხლის შეწყვეტას, მეომარ მხარეთა დაშორიშორებას, ქ. სოხუმისა და სხვა ზონების დემილიტარიზაციას, ომამდელი სახელისუფლებო სტრუქტურების ფუნქციონირების აღდგენას, სამშვიდობო პროცესის მართვისა და მონიტორინგის საკონტროლო მექანიზმების შექმნას ორი ხაზით – „დარეგულირების გაერთიანებული სამხრეთი კომისია“ და დამკვირვებელთა ჯგუფები, გაერო-ს სამხედრო მეთვალყურეთა მისია.

აქვე ყურადღებას იქცევს ერთი ნიშანდობლივი მომენტი. ერთმანეთის მიმართ ძალის გამოუყენებლობის რეჟიმის უზრუნველსაყოფად მხარეებმა შეთანხმებაში შემდეგი შინაარსის სპეციალური პუნქტი (V პუნქტი) შეიტანეს: „მხარეები აუცილებლად თვლიან კონფლიქტის ზონაში ... სამშვიდობო ძალების მონვევასა და გამოყენებას. ამასთან, იგულისხმება, რომ, მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, საერთაშორისო სამშვიდობო ძალების რიცხვი და შემადგენლობა განისაზღვრება გაეროს გენერალურ მდივანთან და უშიშროების საბჭოსთან კონსულტაციების შემდეგ.“²³⁶

სამშვიდობო ოპერაციების წარმოების, მშვიდობის აღდგენის ან მშვიდობის ხელშეწყობის მისიების საერთაშორისო პრაქტიკა, მათ

235. რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში..., გვ. 111-112.

236. იქვე, გვ. 111.

შორის გაერო-ს ე.წ. „კლასიკური ფორმულა“ კრძალავს ამგვარ ოპერაციებში კონფლიქტის მონაწილე მხარის ჩართვას. ამიტომ სოჭის შეთანხმების საგარანტიო ნაწილში რუსეთის სამხედრო კონტინგენტის მონაწილეობაზე თანხმობის მისაღებად, რუსეთისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროებმა გაერო-ს გენერალურ მდივანს ბუტროს გალის მიმართვა გაუგზავნეს, სადაც დაფიქსირებულია თხოვნა, რომ „გამონაკლისის სახით“, რუსეთის 901-ე და 345-ე პოლკებს მიეცეთ თანხმობა, შეასრულონ სამშვიდობო ძალების კონტინგენტის ფუნქციები. ცხადია, ეს იყო რუსეთის მხრიდან ომში მონაწილეობის იძულებითი დოკუმენტური თვითაღიარება.

თავისთავად და აბსტრაქტული კონფლიქტოლოგიური განზომილებით, როგორც სამშვიდობო აქტის სახეობა, სოჭის შეთანხმება წარმოადგენდა ფასილიტარული ფორმატის ორდინალურ შეთანხმებას. მაგრამ რეალპოლიტიკის კუთხით, საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების კაპიტულანტური კურსისა და რუსეთის თვალთმაქცური „სამხედრო დიპლომატიის“ თვალსაზრისით, ეს იყო ომის შედეგების განსაზღვრისაკენ მიმართული აქტი; უფრო მეტიც: 27 ივლისის შეთანხმება, ორი ამბივალენტური ფაქტორის – ქართული მხარის მიერ უპირობო შესრულებისა და რუსულ-სეპარატისტული ალიანსის მიერ „პირობითი“ შეუსრულებლობის – ერთიერთკავშირით წარმოადგენდა მონინალმდევის მიერ ქ. სოხუმის დაკავების ოპერატიული გეგმის ნაწილს და, ამდენად, ომში საქართველოს დამარცხებისა და რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაციის სახელშეკრულებო ბაზას.

რა გვადიდევს ამის თქმის საშუალებას? რაში მდგომარეობს ამგვარი მტკიცების უტყუარი ფაქტურა?

1993 წლის 2-9 ივლისს რუსულ-აფხაზურ-კონფედერატულმა შეტევამ, სამწუხაროდ, ფაქტობრივად უზრუნველყო რუსეთის გენშტაბში შემუშავებული სოხუმის აღების 4-პუნქტიანი გეგმის 3 პუნქტის რეალიზაცია. რჩებოდა ბოლო, 4-ე პუნქტის – უშუალოდ ქ. სოხუმის დაუფლების – განხორციელება. ამას ხელს უშლიდა საქართველოს შეიარაღებული ძალების სოხუმი-გულრიფშის დაჯგუფება და მისი სტრატეგიულ-ტექნიკური არსენალი. მაშასადამე, საჭირო იყო ამ დაჯგუფების დაშლა, მისი ძირითადი ნაწილის გაყვანა აფხაზეთიდან, სოხუმის თავდაცვის ოპერატიული ხაზების დებლოკირება და სამხედრო ტექნიკის გატანა. არსებითად სწორედ ამას ითვალისწინებდა 27 ივლისის შეთანხმება.

1993 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში აგენტურული არხებით, საქართველოს საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა მოიპოვა კრემლის საიდუმლო დოკუმენტი

– გეგმა კოდური სახელწოდებით „კავკასიური ომი“.²³⁷ გეგმა ითვალისწინებდა კავკასიაში რუსეთის რეგიონალური სამხედრო-სტრატეგიული აქციების მთელ კომპლექსს: შეტევას სოჭის შეთანხმებით ფაქტობრივად განიარაღებულ სოხუმზე, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ე. შევარდნაძის იძულებას, რათა ის რუსეთის დიდი სამხედრო კონტინგენტის შემოყვანას დასთანხმდეს. დასაწყისში ეს კონტინგენტი კონტროლს დაამყარებდა დასავლეთ საქართველოს სტრატეგიულ კომუნიკაციებზე, შემდეგ ის გადავიდოდა აზერბაიჯანში და ბოლოს, სამხრეთ კავკასიაში საიმედო ზურგის უზრუნველყოფით, ჩეჩნეთში სამხედრო ოპერაციას დაიწყებდა.

ამდენად, რუსეთის ძირითადი სტრატეგიული მიზანი იყო კავკასიის რეოკუპაცია-რეანექსია და ექსკლუზიური გავლენის დახურული რეგიონალური გეოსივრცის აღდგენა. აფხაზეთის ომში საქართველოს დამარცხება და ქ. სოხუმის დაკავება კი მთავარ ინსტრუმენტად იყო მიჩნეული ამ მიზნის რეალიზაციის გზაზე. კავკასიის ხელახალი დაპყრობის დაგეგმვაში, მოცემულ ეტაპზე და სტრატეგიულ ძალთა განლაგების მოცემულ ფორმატში, სწორედ სოხუმზე გენერალურ შეტევას ენიჭებოდა გადაამწყვეტი მნიშვნელობა. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ საომარ მოქმედებათა თეატრის თვალსაწიერიდან ანუ ძალების კონფიგურაციის იმ მექანიზმიდან, იმ ველიდან, რომელიც აფხაზეთში რუსეთის ირიბი ინტერვენციისა და რუსული დიპლომატიის ცრუ გარანტიებით იყო შექმნილი, სოხუმის დაპყრობა მოიაზრებოდა მასშტაბური რეგიონალური გეოსტრატეგიული პროექტის განხორციელების ინსტრუმენტად.

1993 წლის აგვისტოში, არსებითად უკვე 10 სექტემბრისათვის, საქართველოს ხელისუფლებამ დაასრულა სოჭის შეთანხმების სამხედრო მუხლების შესრულება. გაუქმდა გუმისთისა და ოჩამჩირის ფრონტების ქართული ტაქტიკური სექტორები; დაიშალა და განიარაღდა აფხაზეთის დაცვის ლერძული სამხედრო სტრუქტურები – მე-2 საარმიო კორპუსის 23-ე და 24-ე ბრიგადები; სხვა ქართული შენაერთები და ქვედანაყოფები მთლიანად იქნენ გაყვანილი აფხაზეთიდან და ფოთში, სამტრედიასა და ქუთაისში განლაგდნენ; ჯავშანსატანკო ტექნიკა და მძიმე შეიარაღება (ტანკები, ჯავშანტრანსპორტიორები, ქვეითთა საბრძოლო მანქანები, საარტილერიო სისტემები, საზენიტო დანადგარები) მთლიანად იქნა გატანილი დანარჩენ საქართველოში (ძირითადად რუსული სამხედრო-სატრანსპორტო საშუალებების დაქირავებით (SIC!); გუმისთის ფრონტის რამდენიმეკილომეტრიან ზოლში მხოლოდ 2 (?) ქართული სამეთვალყურეო პუნქტი დატოვეს, ხოლო აღმოსავლეთის ფრონტის დემილიტარიზებულ ზონაში

237. ბათიაშვილი ი. შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ. თბილისი, 2010, გვ. 6-7.

მთლიანად რუსები ჩადგნენ. დამკვირვებლის სტატუსით აღჭურვილი რუსი ოფიცრები ტანკების ქვემეხებიდან და საარტილერიო სისტემებიდან საკეტებს ხსნიდნენ, ტომრებში აწყობდნენ, ლუქავდნენ და გაურკვეველი მიმართულებით გაჰქონდათ.

ამგვარად განხორციელდა სოხუმის (და მთელი აფხაზეთის) დაცვის სისტემის მოშლა და სამხედრო ინფრასტრუქტურის დემონტაჟი. მონინალმდეგე მხარე კი, რუსეთის „სამშვიდობო“ მისიის თვალწინ და ამ მისიისავე უშუალო ხელშეწყობით, არათუ არ აპირებდა სოჭის შეთანხმების შესრულებას, არამედ მიზანმიმართულად ემზადებოდა მისი დარღვევისა და ქ. სოხუმზე გადამწყვეტი შეტევისათვის.

1993 წლის 12 სექტემბერს გუდაუთაში, ე.წ. უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბში გაიმართა სამხედრო საბჭოს თათბირი, რომელმაც საბოლოოდ დაამტკიცა ოპერატიული გეგმა და შეტევის დაწყების დროდ 16 სექტემბერი დაადგინა. რუსეთის ჯარების ჯგუფის აფხაზეთში მდგომ შენაერთებს მიეცათ უკანასკნელი დირექტივები, თუ რა მიმართულებით უნდა შეეცაოთ ქართული ქვედანაყოფებისათვის, რომელ ზონებში დახმარებოდნენ წინასწარ მომზადებულ აფხაზურ დაჯგუფებებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა დემილიტარიზებული ზონების ტრანზიტულ ხაზებს და სექტორებს, რომლებსაც რუსული ნაწილების მიერ ორგანიზებული შემტევი დერეფნების (აფხაზური მხარისათვის) და გადამლობი ზოლების (ქართული მხარისათვის) ოპერატიული ფუნქციები ეკისრებოდათ.

სოხუმზე გენერალური შეტევის ოპერატიული გეგმის შემუშავების, დამტკიცების და შეტევის განსაზღვრის პროცესში სრულიად აშკარად იკვეთება რუსეთის არმიის გენშტაბის უფროსისა და თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის, გენერალ-პოლკოვნიკ მ. კოლესნიკოვის ხელმძღვანელი როლი.²³⁸ სოხუმზე შტურმის მიმდინარეობის დროს სწორედ მან განაცხადა, რუსეთის პარლამენტის წინაშე საანგარიშო გამოსვლის ფარგლებში, 19 სექტემბერს, რომ ქალაქი 2-3 დღეში დაეცემოდა.²³⁹

არის მეორე საყურადღებო ოპერატიული მონაცემი, რომელიც სოხუმის დაკავების სამხედრო ოპერაციის მართვასთან უშუალოდ აკავშირებს რუსეთის ვიცე-პრეზიდენტ ა. რუცკოის; 1993 წლის 19 სექტემბერს ტყვედ აყვანილმა მ. დემიანოვმა (ვ. არძინბას მრჩეველმა რუსეთის სპეცსამსახურების ხაზით) დაკითხვისას მიცემულ ჩვენებაში განაცხადა, რომ „სოხუმზე შტურმი რუცკოის განკარგულებით განხორციელდა“²⁴⁰.

238. Республика Абхазия, 2008, 24 декабря.

239. აფხა ზეთის ლაბორინტი, გვ. 210.

240. Распятая Грузия, с. 113.

1993 წლის 16 სექტემბრის გამთენიისას, დღის ოთხ საათზე, მონინალმდეგის აღმოსავლეთის ფრონტის ფორმირებებმა განავითარეს მოულოდნელი შეტევა ოჩამჩირის რაიონში – არაკიჩი-ათარას ზონიდან ახალდაბა – აძიუბჟას მიმართულებით. 16 სექტემბრის დღის პირველი საათისათვის დაიწყო შეტევა გუმისთის სადემარკაციო ხაზზე სოხუმის მიმართულებით. ომი განახლდა, აფხაზური მხარისა და მისი მფარველ-მოკავშირე რუსეთის მიერ სოჭის შეთანხმების სრულიად ღია და მუხანათური დარღვევის სახით.

1993 წლის 16-30 სექტემბრის ბრძოლების პერიპეტივები და ოპერატიულ-ტაქტიკური ფაქტურა საყოველთაოდ ცნობილია:²⁴¹ ვერც გუმისთის ფრონტზე, ვერც ბაბუშარის აეროპორტის სექტორში და ვერც აღმოსავლეთის ფრონტზე, 27 ივლისის შეთანხმებით მოტყუებულმა და დეზორიენტირებულმა ქართულმა მხარემ ვერ შესძლო შეთანხმებამდე არსებული სამხედრო ტექნოსტრუქტურის აღდგენა. უფრო მეტიც; ვერც ერთ მიმართულებაზე ვერ მოხერხდა მეტ-ნაკლებად სტაბილური თავდაცვის ოპერატიული ზონებისა და ტაქტიკური სექტორების შექმნა.

17 სექტემბერს რუსეთის არმიის სპეცნაწილების აქტიური მხარდაჭერით მონინალმდეგის ფორმირებებმა გადმოლახეს მდ. გუმისთა, დაამყარეს კონტროლი ორივე ხიდზე და სოფ. აჩადარის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი დაიკავეს. 19 სექტემბრის საღამოს რუსულ-აფხაზურ-კონფედერატული კოალიციის ძალებმა დაიკავეს სოფ. აჩადარა და საავტომობილო ხიდით ფრონტის ხაზზე დიდი რაოდენობის სამხედრო ტექნიკა გადმოიყვანეს. 20 სექტემბრის საღამოს ბრძოლები თვით ქალაქის შესასვლელთან გაჩაღდა. 25 სექტემბერს მტერმა დაიკავა ე.წ. ძველი დასახლება დაიკავა, ხოლო 26 სექტემბერს ახალი რაიონი და რკინიგზის სადგური დაეცა.

27 სექტემბრის დილით დაიწყო მონინალმდეგის მასირებული შეტევა ქ. სოხუმის ცენტრალურ ნაწილზე. აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობის დაკავების შემდეგ, იმავე დღის საღამოს მტერი მდ. კელასურის მარჯვენა ნაპირზე გადავიდა.

28 სექტემბერს რუსულ-აფხაზურ-კონფედერატული კოალიციის დამრტყმელმა დაჯგუფებამ მდ. კელასურის ხიდის აღმოსავლეთით მყოფი ქართული პიკეტი გაარღვია და გულრიფშის რაიონში შევიდა. 29 სექტემბერს სოხუმის აეროპორტი (სოფ. ბაბუშარა) დაეცა და მტერი მდ. კოდორზე გავიდა. 29-30 სექტემბერს მონინალმდეგის ფორმირებებმა აღმოსავლეთის ფრონტზე ერთიმეორის მიყოლებით, ფაქტობრივად უბრძოლველად ოჩამჩირე, გალი დაიკავეს და გალისა და ზუგდიდის რაიონების ადმინისტრაციულ საზღვარზე, მდ. ენგურის ხიდზე გავიდნენ.

241. ჯოჯუა დ. სოხუმის დაცემა, გვ. 111-169.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1993 წლის 16-30 სექტემბერს ომის დასკვნითი ფაზის სამხედრო ოპერაციებში აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების საზენიტო-საარტილერიო, საპარაშუტო-სადესანტო და საჰაერო ქვედანაყოფები და შენაერთები. სოხუმის ირგვლივ სტრატეგიული წრის შექცრაში გადამწყვეტი როლი რუსეთის შავი ზღვის ფლოტმა შეასრულა. უკვე 16-17 სექტემბრიდან რუსეთის სამხედრო ხომალდები სოხუმი-გულრიფშის აკვატორიაში შევიდნენ და, ქართული არმიის პოზიციებისა და ბაბუშარის აეროპორტის პერმანენტული დაბომბვით, ქართული კომუნიკაციების ბლოკირება უზრუნველყვეს.

გარდა ამისა, 22 სექტემბერს რუსეთის ხომალდების ესკადრა ზღვაში, მდ. კოდორის შესართავთან რეიდზე დადგა, ქართული შენაერთების სამხრეთ ფლანგზე დესანტის გადმოსასხმელად. მხოლოდ სანაპირო დაცვის ძალებისაგან დესანტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემის (მისი ოპერატიული ზოლი მოიცავდა საზღვაო სანაპიროს 20-23 კმ-იან მონაკვეთს) ეფექტურმა მოქმედებამ არ მისცა რუსულ ფლოტს ოჩამჩირის ფრონტის ზურგში დესანტის გადმოსხმის საშუალება.

რუსეთის რეგულარული სამხედრო ძალების მასობრივი ჩართულობა აფხაზეთის ომში იმდენად ცხადი რეალობაა, რომ ეს საკითხი უკვე აღარ წარმოადგენს არათუ უარყოფის, არამედ მანიპულანტური ვუალირების ობიექტს ტრადიციულ რუსულ დისკურსში. ის რამდენადმე კანონიზებულიც არის რუსეთის თანამედროვე სამეცნიერო და საგანმანათლებლო სივრცეში. მაგალითად, ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოს ომამდე გამოცემულ სასკოლო სახელმძღვანელოში – „საზოგადოებათმცოდნეობა“ შავით თეთრზე წერია: „საქართველო დამარცხდა სეპარატიზმთან ბრძოლაში. მან ვერ შეძლო აფხაზეთში თავისი სამხედრო ყოფნის შენარჩუნება. ქართული არმია, რომელიც 1992 წელს ბრძოლებით შევიდა აფხაზეთის ტერიტორიაზე, ერთი წლის შემდეგ სოხუმიდან წავიდა საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ. რუსი არტილერიისტებით, მედესანტეებითა და მფრინავებით გაძლიერებული აფხაზები გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ და საქართველოს ჯარები აფხაზეთის საზღვრებს გარეთ განდევნეს. აფხაზეთმა ცალმხრივად გამოაცხადა თავი დამოუკიდებელ რესპუბლიკად...“²⁴² ეს მომენტი ძალიან საგულისხმოა და ნიშანდობლივიც: აფხაზეთის ომში რუსეთის უშუალო მონაწილეობის აღიარება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, 1992-1993 წლების კონფლიქტის რუსეთ-საქართველოს ომად სახელდება უკვე არა მხოლოდ რუსული საზოგადოებრივი აზრისა და მასობრივი ცნობიერების ობიექტია, არამედ საზოგადოებრივი აზროვნებისა და პროფესიული (ისტორიული, პოლიტოლოგიური,

242. Кравченко А., Певцова Е. Обществоведение. Москва, 2007, с. 28.

სამხედრო-ისტორიული) ცნობიერების ნაწილი, თანაც ერთგვარი თვითალიარებისა და იძულებითი თვითრეფლექსიის კუთხით.

რაც შეეხება რუსეთის ირეგულარული სამხედრო ფორმირებების მონაწილეობას, ამ ფაქტორმაც საომარი ოპერაციების მსვლელობაზე და მოვლენების განვითარების ზოგად ჯაჭვზე სერიოზული გავლენა მოახდინა. ყველაზე არსებითი ამ ჯაჭვში ის გახლავთ, რომ რუსეთის რეგულარულ საჯარისო შენაერთებთან კოორდინაციაში არაფორმალურმა სამხედრო სტრუქტურებმა ძირითადად განსაზღვრეს ომის შედეგი, ანუ შექმნეს ომში საქართველოს დამარცხების ფონი.

რუსულ-აფხაზურ-კონფედერატული კოალიციის საერთო საჯარისო სტრუქტურაში ირეგულარულმა კომპონენტმა (ე.ი. რუსეთის ტერიტორიაზე რეკრუტირებულმა, სამხედრო უწყების, სპეცსამსახურების და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ორგანიზაციების მიერ დაკომპლექტებულმა, სახელმწიფო თუ კერძო ფინანსური ინსტიტუტების საკრედიტო ხაზებით დაფინანსებულმა და აფხაზეთში გადმოსროლილმა კომბატანტური ფორმირებების ერთობლიობამ), თვისობრივად და საომარი ოპერაციების ოპერატიულ-ტაქტიკური უზრუნველყოფის თვალსაზრისით დიდი როლი შეასრულა ომის შედეგების განსაზღვრაში.

რუსეთის ირეგულარული ძალების, ანუ ჰიბრიდული ომის სუბიექტების ინტერვენტული ქსელი განსაკუთრებით ომის დასკვნით სტადიაზე, ქ. სოხუმზე გენერალური შეტევის დროს იქნა გამოყენებული. ამ ოპერაციაში მონაწილე კომბატანტების უმეტესი ნაწილი „რუსეთის ეროვნული ლეგიონის“ მეთაურის ნ. ლისენკოს აპარატის მეშვეობით, მოსკოვში მოქმედი ფირმა „კონტინენტის“ სახსრებით იყო დაქირავებული.

აღსანიშნავია, რომ ქ. სოხუმზე გადამწყვეტი შეტევის ეშელონიზებული ოპერატიული დაჯგუფების სისტემაში საკუთრივ აფხაზური ფორმირებები სარეზერვო სამანევრო ქვედანაყოფების ფუნქციას ასრულებდნენ. სოხუმის ცენტრალურ ნაწილზე შეტევისა და კონკრეტულად მთავრობის სახლის შტურმის პროცესში ძირითადი როლი რუსულ-სომხურ-კონფედერატული ქვედანაყოფებისაგან შემდგარმა ტაქტიკურმა დაჯგუფებამ შეასრულა.

რუსეთის რეგულარული არმიის სპეცჯგუფების გარდა, დაჯგუფებაში შედიოდნენ ყაბარდოული, სომხური და რუსულ-კაზაკური ფორმირებები. კაზაკურ ფორმირებებს მეთაურობდნენ ი. კონონოვი (კაზაკთა მეორე ასეულის ატამანი), ნ. გუსკო (კაზაკთა პირველი ასეულის ატამანი) და ო. პეტროვი (კაზაკთა ცალკეული ნაწილის უფროსი). როგორც ირკვევა, კაზაკთა ეს ფორმირებები („კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის“ გაერთიანებულ პოლკთან ერთად) ჯერ კიდევ სოჭის შეთანხმების შემდეგ აფხაზეთში, სეპარატისტთა მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, იქნენ დატოვებულნი. ისინი, ასე თქვათ,

ომის განახლების მოლოდინის რეჟიმში მოქმედებდნენ. ამას ადასტურებს ერთ-ერთი ტყვედ აყვანილი რუსი ოფიცრის, სმოლენსკის ოლქის მკვიდრის ვ. ზაბოტინის დაკითხვის ოქმი. დაკითხვაზე ვ. ზაბოტინმა უჩვენა (და შემდგომ ეს ჩვენებები კაპიტანმა ნიკოლაევმა დაადასტურა), რომ „27 ივლისის შეთანხმება, რომლითაც გათვალისწინებული იყო კონფედერაციის ფორმირებისა და მოხალისეთა ყველა რაზმის გაყვანა, ქალაქზე დარჩა. შეთანხმების მიუხედავად, პოზიციებზე დატოვებულ იქნა ოლეგ პეტროვის კაზაკთა ცალკეული ნაწილები, კაზაკთა პირველი ასეული ატამან ნიკოლოზ გუსკოს მეთაურობით, კონფედერაციის გაერთიანებული პოლკი და ბატალიონი“.²⁴³

სამტურმო-დამრტყმელ დაჯგუფებაში შემავალი რუსული ირეგულარული ქსელიდან ცნობილია შემდეგი შენაერთების სამხედრო ფრაქციები: „ემერის“ ბატალიონის ჯგუფი (მეთაური – მაიორი რ. სემიულინი), ბატალიონ „როსიას“ ასეული (მეთაური – მაიორი ვ. მეტელევი), დაჯგუფება „რუსული ლეგიონის“ 50-კაციანი რაზმი (მეთაური – გენერალ-მაიორი ი. ლუნევი, მეტსახელად „რუსაკი“), ფორმირება „სლავაბატის“ ასეული (მეთაური-მაიორი გ. კოლოდინი, მეტსახელად „კოლოდა“).

რუსი ჟურნალისტები ა. ჩელნიკოვი („იზვესტია“) და ვ. ჩერტინოვი („სმენა“) ზოგიერთ კონკრეტულ ბოევიკსაც ასახელებენ, რომლებიც განსაკუთრებული სიმხვეციით ხოცავდნენ სოხუმის მშვიდობიან ქართულ მოსახლეობას. მათ შორის არიან რუსეთის დისციპლინარული ბატალიონებიდან გაქცეული ყოფილი ჯარისკაცები, სნაიპერი მარი კოზინა, მეტსახელად „ლუდოედკა“, ოლეგ ტანიცკი და სხვები.²⁴⁴

ა. ჩელნიკოვი სოხუმზე გენერალური იერიშის ოპერატიულ სურათსაც გადმოგვცემს და აღნიშნავს: „ნამყვანი ძალა ქალაქის შტურმისას კაზაკები იყვნენ. შემდეგ მოდიოდნენ აფხაზთა, ჩეჩენთა, ოსთა, ადიღეელთა ბატალიონები, სულ 10 ბატალიონი... ქალაქის ცენტრში, რუსთაველის ქუჩაზე შეტევა ყუბანის კაზაკთა ჯარის ატამანი ნიკოლოზ გუსკო უძღვებოდა.“²⁴⁵

სოხუმზე შეტევის რამდენიმე მიმართულებას რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარების კაპიტანი მ. ბონდარენკო კურირებდა. შემტევ დაჯგუფებას მეთაურობდა და შტურმის საერთო ოპერატიულ კოორდინაციას ახდენდა რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარების პოლკოვნიკი ა. სიდორენკო.

ოპერაციაში პირდაპირ მონაწილეობდა რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ცხრა სამხედრო ხომალდისაგან შემდგარი სამხედრო-საზღვაო დაჯგუფება ადმირალ კასატონოვის მეთაურობით. მისიის

243. Распятая Грузия. С-Петербург, 1995, с. 111-120.

244. იქვე.

245. იქვე.

ოფიციალური არგუმენტი იყო სოხუმის ნავსადგურებიდან ლტოლვილების ევაკუაცია (?). სინამდვილეში კი კასატონოვის ესკადრა სოხუმის აღების ოპერაციაში მონაწილეობდა და შავი ზღვის სანაპიროს სოხუმი-ოჩამჩირის აკვატორიის ბლოკირებას (მას ასევე ჰქონდა მცდელობა, ქართული შენაერთების ზურგში დესანტის გადასხმისა) უზრუნველყოფდა. ამის შესახებ არაორაზროვნად არის საუბარი „ჰელსინკი ვოთჩის“ ზემოხსენებულ ნერილში, სადაც ვკითხულობთ: „უკრაინის ხელისუფლებამ პროტესტი განუცხადა რუსეთის მხარეს, როდესაც ამ უკანასკნელმა ქართული ძალების კონტროლქვეშ მყოფ სოხუმში ადმირალ იგორ კასატონოვის მეთაურობით ცხრა სამხედრო ხომალდი გააგზავნა. უკრაინამ გამოთქვა შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ შავი ზღვის ფლოტის ხომალდები უკრაინული ეკიპაჟებით ქართულ-აფხაზური კონფლიქტის რაიონში გაუგებარი მიზნებით და მოსკოვიდან გაცემული ბრძანებებით გამოიყენება“²⁴⁶.

აფხაზური მხარის მიერ სოჭის შეთანხმების ყოვლად უცერემონიო დარღვევამ რუსეთის უმაღლესი ხელისუფლება აიძულა, ამ ფაქტზე გარკვეული რეაგირება მოეხდინა. რუსეთი ხომ ფორმალური მედიატორი და ომის განუახლებლობის გარანტი იყო! მაგრამ კრემლის რეაქცია (ბ. ელცინის სრული დუმილი, ა. კოზირევის განცხადება, ბ. პასტუხოვის 19, 21, 24 სექტემბრის ბრიფინგები და სხვ.) იყო აბსოლუტურად ზედაპირული, დემაგოგიური დეკლარაციებით აღსავსე და, რაც მთავარია, ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დამრღვევი მხარის მიმართ ტრადიციულად გათვალისწინებული სანქციებისა და რეპრესალიების გარეშე. აფხაზური მხარის მიერ სოჭის შეთანხმების დარღვევა და საომარი მოქმედებების განახლებაში კონკრეტულად ერთი მხარის პასუხისმგებლობა ცალსახად დააფიქსირა საქართველოს ხელმძღვანელობისადმი გაგზავნილ მიმართვაში „კონფლიქტის მოწესრიგების გაერთიანებული კომისიის“ რუსულმა სექტორმა – ს. შოიგუმ, ვ. შუიკოვმა და ბ. პასტუხოვმა. ამასთან, ბ. პასტუხოვმა პირდაპირ განაცხადა: „დანაშაული სოჭის შეთანხმების დარღვევის გამო მთლიანად და სავსებით აფხაზური მხარის სინდისზეა... ამ თვალსაზრისს მე, როგორც მოვლენათა თვითმხილველი, აბსოლუტურად ვეთანხმები...“²⁴⁷ არადა, კრემლში შესანიშნავად ესმოდათ, რომ საომარი მოქმედებების შეჩერების და დაზავების რეჟიმის აღდგენის ერთადერთი გზა იყო სოხუმზე შეტევის ძალისმიერი ბლოკირება. რუსეთმა რეალობის ამჟყარა აღიარებისაგან თავის არიდების და, როგორც დიპლომატიაში იტყვიან, „ნიჩბის ნიჩბად ცნობისაგან თავშეკავების“ გზა აირჩია.

246. „Хельсинки Вотч“ – Российским властям, www.valberta.ca/hhihejro/NG-93-95/1145166.html

247. Владислав Ардзинба обманул всех нас. [www.heltsincenter.ru\(digest\)](http://www.heltsincenter.ru(digest))

19 სექტემბერს პრემიერ-მინისტრმა ვ. ჩერნომირდინმა ხელი მოაწერა რუსეთის მთავრობის განკარგულებას „აფხაზური მხარის მიერ სოჭის შეთანხმების დარღვევასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“, სადაც აღნიშნული იყო: „თუ აფხაზური მხარე შემდგომშიც (?)²⁴⁸ არ დაიცავს სოჭის შეთანხმებას, მის წინააღმდეგ მიღებულ იქნას საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ზომები, კერძოდ, აფხაზეთს შეუწყდეს ელექტროენერჯის მიწოდება“ (SIC)²⁴⁹.

ეს იყო პოლიტიკური ცინიზმის, დემაგოგიისა და ამორალიზმის ნაზავის უმაღლესი გამოვლენა. სოჭის შეთანხმების გარანტორი ქვეყანა, ამ შეთანხმების უხეშად დამრღვევი მხარის მიმართ (რომლის მიერ წარმოებული საომარი იერიშების ხასიათი „შემდგომში“ შეთანხმების დაცვის არანაირ ნიშნებს არ შეიცავდა) შეკავების სტრატეგიული აქციების (ბუნებაში არსებობს „შეკავების“ მხოლოდ სამი სახეობა – დასჯის მუქარა, რაღაც ფასეულობების ჩამორთმევა და/ან დასჯის რეჟიმზე იძულებითი გადასვლა) ნაცვლად ელექტროენერჯის შეწყვეტისა და სხვა მეორეხარისხოვანი ზედაპირული საექციების შესახებ მუქარით შემოიფარგლა.

აფხაზეთის ომის დასკვნით ფაზაში, საქართველოს წინააღმდეგ წინასწარ დაგეგმილი ღონისძიებების საერთო კომპლექსში, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსეთის დიპლომატიურმა აქტიურობამ. ამ შემთხვევაში საუბარია საომარი მოქმედებების პარალელურად, ამავე მოქმედებების უშუალო ზეგავლენით მიმდინარე „კრიზისულ დიპლომატიაზე“, ან, უფრო დეტალურად რომ ვთქვათ, ელცინის რეჟიმის „სამხედრო დიპლომატიაზე“. ამ დიპლომატიის პოლიტიკური მიმართულება იყო საქართველოს უპირობო დამარცხების პირობებისა და კონვენციონალური ფონის შექმნა.

16 სექტემბერს უშედეგოდ დასრულდა ე. შევარდნაძის შეხვედრა რუსეთის სპეციალურ წარმომადგენელთან ბ. პასტუხოვთან. პასტუხოვის აბსტრაქტული განცხადება სოჭის შეთანხმების დარღვევაში აფხაზური მხარის პასუხისმგებლობის შესახებ საკუთრივ ფრონტებზე არსებულ ვითარებაში არაფერს ცვლიდა. იგივე ითქმის რუსეთის მთავრობის 16 სექტემბრის ოფიციალურ განცხადებაზეც და ვ. არძინბასთან რუსეთის თავდაცვის მინისტრის პ. გრაჩოვის 17 სექტემბრის შეხვედრაზეც. თურმე ნუ იტყვიოთ და გენერალმა გრაჩოვმა სეპარატისტთა ლიდერზე ვერავითარი გავლენა თუ ზენოლა ვერ მოახდინა და შექმნილ ვითარებაში (თანაც წინა დღეს რუსეთის მთავრობის მიერ მიღებული სასანქციო განკარგულების ფონზე) ვერ აიძულა ის, დაწყებული შეტევის შეჩერების გზით ცეცხლის

248. ამ დროისათვის სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობდა ორივე ფრონტის ყველა სექტორში.

249. აფხაზეთის ლაბირინთი, გვ. 134.

შენწყვეტის რეჟიმს დაბრუნებოდა. ცხადია, ყველა ეს დიპლომატიური ნაბიჯი მიმართული იყო რუსეთის ნამდვილი მიზნების გადაფარვისაკენ, იმის ილუზიის შექმნისაკენ, თითქოს რუსეთს მართლაც სურდა აფხაზური მხარის შეტევის შეჩერება. არადა, რუსეთი უშუალოდ მონაწილეობდა ამ შეტევაში და არსებითად აკონტროლებდა კიდევ ოპერატიული ვითარების ხასიათს.

რუსეთის „სამხედრო დიპლომატია“ (ასე ვთქვათ, გენ. გრაჩოვის მისია) მოკლებული იყო ყოველგვარ ტრადიციონალიზმს, ასეთი სიტუაციებისათვის ტრადიციულად დადგენილ პროცედურულ წესებს, რეგულარობას, აუცილებელ სიმეტრიას. მისი მთავარი მიზანი იყო ე. შევარდნაძისა და მისი გარემოცვის ირგვლივ ერთგვარი ტაქტიკური რადიუსის შეკვრა, ამ რადიუსის ტყვეობაში მოქცეული ქართული მხარისათვის სტრატეგიული დათმობების გამოძალვის ამოცანით. კრიზისული ვითარების პრევენციის მექანიზმებზე, 16 სექტემბრამდე სტატუს-კვოს აღდგენის სურვილზე, აფხაზური მხარის შეკავების, თუნდაც ქართული და აფხაზური მხარეების ორმხრივი შეკავების მცდელობებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია: ესენი უბრალოდ არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, გამომდინარე რუსული „სამხედრო დიპლომატიის“ ზოგადი იმპერიული დისპოზიციიდან.

1993 წლის 16-17 სექტემბრის ღამეს ადღერში დახურულ კარს მიღმა ე. შევარდნაძისა და პ. გრაჩოვის შეხვედრა გაიმართა. გრაჩოვმა პირდაპირ განუცხადა შევარდნაძეს, რომ კრიტიკული ვითარების განმუხტვისათვის საჭირო იყო კონფლიქტის ზონაში რუსეთის არმიის დაჯგუფების შეყვანა. ზუსტად პარალელურ რეჟიმში მოსკოვში მიმდინარეობდა მოლაპარაკება შევარდნაძის სამხედრო მრჩეველ, გენ. ლ. შარაშენიძესა და რუსეთის გენერალური შტაბის ოპერატიული სამმართველოს უფროსს, გენ-პოლკოვნიკ ს. გალკინს შორის. საქმე ეხებოდა საქართველოში რუსეთის სამხედრო ყოფნის აღდგენას და სამხედრო ბაზების სტატუსის დადგენას. მაგრამ მიმდინარე დიალოგის დროს, აღნიშნული პრობლემის გარდა, რუსულმა მხარემ დააყენა დამატებით ორი საჰაერო-სადესანტო დივიზიის (ფსკოვისა და ტულის დივიზიების) დისლოცირების საკითხი, შემდგომში ერთ-ერთი მათგანის აზერბაიჯანში გადასროლის პერსპექტივით. 17 სექტემბერს მხარეებმა შეათანხმეს „საქართველოში რუსეთის ჯარების სტატუსის შესახებ“ დებულების პროექტი²⁵⁰. მეორე საკითხი კი ღიად დარჩა: როგორც ჩანს, ქართულმა მხარემ უარი განაცხადა ორი დივიზიის განლაგებაზე, ე.ი. გენ. შარაშენიძემ ისევე უარყო რუსული გენერალიტეტის მოთხოვნა მოსკოვის მოლაპარაკებაზე 17 სექტემბერს, როგორც შევარდნაძემ უარყო გრაჩოვის მოთხოვნა ადღერის შეხვედრაზე 16-17 სექტემბრის ღამეს.

250. გაზ. Абхазский Меридиан, 2012, № 10.

რუსეთის „სამხედრო დიპლომატია“ ფაქტობრივად აფხაზური მხარის მიერ ომის განახლების მომენტიდანვე მოქმედებდა ორმაგი ზენოლისა და ორმაგი თემატური ხაზის ტაქტიკით: სოხუმზე გაერთიანებული შეტევის მიმდინარეობით შექმნილ კრიტიკულ სიტუაციას იყენებდა გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი საქართველოს ხელისუფლებისაგან ორი სტრატეგიული ინტერესის გამოძალვისათვის: საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების ლეგიტიმაციის გეოსტრატეგიული ინტერესისა და დამატებითი სამხედრო კომპონენტების დისლოკაციის ინტერესის ერთდროულად უზრუნველყოფისათვის. რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური მოლაპარაკებების მიზმა საჰაერო-სადესანტო დივიზიების შემოყვანასთან და ამ ორერთიანი მთლიანობის თავის მხრივ მიზმა სოხუმზე გენერალური შეტევის ფაქტორთან უბრალოდ გამორიცხავს სხვა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას.

უნდა ითქვას, რომ ადღერის პირველი შეხვედრის შემდეგ პ. გრაჩოვმა გააკეთა დამაიმედებელი განცხადება რუსეთის საშუაშვლო გარანტიებთან დაკავშირებით. მაგრამ ეს განცხადება იმავე დღეს, 17 სექტემბერს, იქნა დეზავუირებული რუსეთის უზენაეს საბჭოსა და გენერალურ შტაბში. უფრო მეტიც: გენშტაბის უფროსმა მ. კოლესნიკოვმა, როგორც უკვე აღინიშნა, განაცხადა, რომ სოხუმი სამ დღეში დაეცემოდა. პარლამენტისა და გენშტაბის რეაქციული დემარშების გათვალისწინებით, ასევე ვ. არძინბასთან გუდაუთაში დახურული შეხვედრის ფონზე, პ. გრაჩოვმა სულ რაღაც რამდენიმე საათში (?) შეცვალა პოზიცია: 18 სექტემბრის პრესკონფერენციაზე მან „განაზოგადა“ ომის განახლების საკითხი. სოჭის შეთანხმების აშკარად დამრღვევი მხარის ცალმხრივი რეპრესალიის ნაცვლად, რუსეთის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ „არც აფხაზურ და არც ქართულ მხარეებს არ სურთ მშვიდობა“.

პ. გრაჩოვის ეს განცხადება, იმდროინდელი რუსული ელიტის თვალთმაქცური პოზიციონერობის (საკმარისია გავიხსენოთ ბ. პასტუხოვისა და ს. შოიგუს მისიები სოხუმში) საერთო სურათთან ერთად ნათლად წარმოგვიდგენს კრემლის დიპლომატიური სტრატეგიის კიდევ ერთ მიმართულებას: თუ სამხედრო თვალსაზრისით რუსეთი ეწეოდა სეპარატისტული მხარის პირდაპირ ძალისმიერ დახმარებას, პოლიტიკურ-დიპლომატიური კუთხით მიმართავდა ორმაგი სტანდარტის ამბივალენტურ თამაშს, ქმნიდა რა ილუზიას, თითქოს მას ომის შეწყვეტა, მშვიდობა და სტაბილურობა სურდა, მაგრამ მეომარი მხარეები ამის საშუალებას არ აძლევდნენ.

21 სექტემბერს ადღერში ე. შევარდნაძისა და პ. გრაჩოვის მეორე შეხვედრა გაიმართა. საქართველოს მხრიდან შეხვედრას

ენსრებოდნენ თავდაცვის მინისტრი გ. ყარყარაშვილი, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსი ი. ბათიაშვილი, ა. კავსაძე, ხოლო რუსეთის მხრიდან – ბ. პასტუხოვი და გენერალური შტაბის წარმომადგენლები.²⁵¹

მოლაპარაკების დროს ქართულმა მხარემ მოითხოვა რუსეთის მიერ სოჭის შეთანხმების პირობებით ნაკისრი მთავარი საგარანტიო ვალდებულების შესრულება – აფხაზური მხარის შეტევის ძალისმიერი ბლოკირება ან, უკიდურეს შემთხვევაში, სამხედრო ნეიტრალიტეტის დაცვა.

მაგრამ ელცინის რეჟიმმა იქაც თავისი მზაკვრული იმპერიალისტური ბუნება გამოავლინა. უფრო ობიექტური ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ არათუ „აქაც“, არამედ სწორედ რომ აქ გამოავლინა კონცენტრირებული ფორმით და „სამხედრო დიპლომატიაში“ აკუმულირებული ყველა რესურსისათვის ერთბაშად თავის მოყრით.

აღლერის 21 სექტემბრის მოლაპარაკებაზე „გრაჩოვმა მთელი პრინციპულობით დააყენა საკითხი: აფხაზეთის პრობლემას მოგიხსნით, საჭიროა მხოლოდ ორი სრულფასოვანი დივიზია შემოვიყვანოთ“²⁵².

თავისი წინადადების წამოყენების დროს, რუსეთის თავდაცვის მინისტრმა შესაბამისი შეთანხმების (რასაკვირველია, თუ ეს შეთანხმება შედგებოდა) დოკუმენტის პროექტი (რუსული პირობებით) და გეგმა-რუკა (იმპლემენტაციისათვის) წარმოადგინა. შეთანხმების პროექტში გათვალისწინებული იყო დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთის ჩათვლით) ორი რუსული დივიზიის, დაახლოებით 30-ათასიანი სამხედრო კონტინგენტის, შემოსვლის პირობები, ხოლო გეგმა-რუკა აღწერდა მათი ტრანსპორტირებისა და დისლოკაციის ადგილებს, მათ შორის აზერბაიჯანის მიმართულებითაც.

„გრაჩოვის პროექტი“ სპეციალურ ანალიზს საჭიროებს. მასში ჩანს, რომ რუსეთი თავისი საშუამავლო ვალდებულებების შესრულების ფორმად არ განიხილავდა უკვე არსებული ვალდებულებების პაკეტს, კერძოდ სოჭის შეთანხმების თანახმად სანქცირებულ ჩარევას. სოჭის შეთანხმების იურიდიული ბუნება უზრუნველყოფდა ამგვარი ჩარევის არა მხოლოდ სანქცირებას, არამედ ვალდებულებით ლეგიტიმაციას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სოჭის შეთანხმების დისპოზიციური ნაწილი რუსეთს პირდაპირ ავალდებულებდა შემაკავებელ ჩარევას და, ამავე დროს, ახდენდა ასეთი ჩარევისათვის წინასწარი კანონიერების მინიჭებას. ყოველივე ამისათვის კი აფხაზეთში რუსეთის ჯარების ოპერატიული დაჯგუფების სახით სავსებით საკმარისი რესურსები ადგილზე არსებობდა.

251. ბათიაშვილი ი. შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ..., გვ. 9-10.

252. შევარდნაძე ე. ფიქრები წარსულსა და მომავალზე. თბილისი, 2005, გვ. 177.

სოხუმზე შეტევის შესაჩერებლად კრემლი ახალ პირობას აყენებდა: ცალკე ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოში ორი სპეცდღვიზიისა და ერთი ბრიგადის დისლოკაციას, თანაც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის გავლით აზერბაიჯანშიც (ისე, რომ მეზობელ სახელმწიფოში რუსული ინტერვენციის ინიციატორად ან, ყოველ შემთხვევაში, ტაქტიკურ დერეფნად საქართველო გამოსულიყო). ეს ნიშნავდა საქართველოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილის ოკუპაციას და შესაძლო ფაქტობრივი ანექსიის პერსპექტივას. სანაცვლოდ, საქართველო ღებულობდა, უკეთეს შემთხვევაში, გუმისთისა და ოჩამჩირის ფრონტებზე ომის ვადაგაურკვეველ დაკონსერვებას და არა კონფლიქტის სრულმასშტაბიან მონესრიგებას ან ამგვარი მონესრიგების პლატფორმის შექმნას, ისიც უკეთეს შემთხვევაში. ნიშანდობლივია, რომ რუსეთმა დაზღვევის ზომასაც მიმართა: ყველას, ვინც მაშინ სოხუმში იმყოფებოდა, ახსოვს, თუ როგორ მოადგა ბაბუშარის აეროპორტს „იკარუსების“ დიდი კოლონა, რომელსაც ვითომდა უნდა განეხორციელებინა საჰაერო გზით გადმოსროლილი დღვიზიის პირადი შემადგენლობის ტრანსპორტირება, ყველას ახსოვს აგრეთვე აეროპორტში მყოფი ს. შოიგუ და ბ. პასტუხოვი, რომლებსაც უნდა ეხელმძღვანელათ ამ საქმისათვის.

შინაგანი ფაბულიდან და შინაარსობრივი მსგავსებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ „გრაჩოვის პროექტი“ იყო „კავკასიური ომის“ რუსული გეგმის (რაზეც უკვე ვისაუბრეთ) ოპერატიული ნაწილი, ხოლო სოხუმის შტურმით გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენებული საქართველოს ხელისუფლების თანხმობა პროექტის ხელშეკრულებითი საფუძვლების უზრუნველყოფაზე მისი რეალიზაციის მექანიზმად განიხილებოდა. ეს სრულიად უეჭველია. მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ აღნიშნული პროექტი რუსეთის გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმარების ელემენტი ყოფილიყო: ერთ-ერთი ტაქტიკური ან, ვთქვათ, ოპერაციონალური ნაწილი ჯერ კიდევ 1991 წლის შემოდგომაზე კრემლში შემუშავებული გეოსტრატეგიული გეგმისა. გეგმა მიზნად ისახავდა კავკასიაში რუსეთის გავლენისა და კონტროლის დახურული გეოსივრცის აღდგენას. ამისათვის რუსეთის სახელმწიფო და სამხედრო იერარქიაში აუცილებლად მიაჩნდათ სამხრეთ კავკასიაში გრძელვადიანი სამხედრო ყოფნის უზრუნველყოფა. სამხედრო ყოფნა კი მოაზრებული იყო არა საბჭოთა კავშირისდროინდელი „ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის“ ერთიანი, უნიფიცირებული სამხედრო-ტერიტორიული ორგანიზაციის სახით, არამედ დივერსიფიცირებული სტატუსის მქონე გეოსტრატეგიული ანკლავების (სამხედრო ბაზების, განსაკუთრებული გასამხედროებული ცენტრების, ე.წ. სამშვიდობო მისიების და სხვ.) ქსელის შექმნით. სოხუმის დაცემის შემდეგდროინდელი „სამშვიდობო მისია“ და

„გრაჩოვის პროექტით“ გათვალისწინებული სპეცდივიზიები სწორედ ამ ქსელის ნაწილად განიხილებოდა.

ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ „კავკასიური ომის“ გეგმაც და „გრაჩოვის პროექტიც“ 1991 წლის გეგმის შემადგენელი კომპონენტები იყო. მაგრამ თუ ეს ასე არ არის და „გრაჩოვის პროექტი“ უფრო კონკრეტულ განზომილებაში უნდა განვიხილოთ – როგორც უშუალოდ აფხაზეთის ომის ბოლო ეტაპზე შექმნილ სიტუაციაზე რუსეთის „სამხედრო დიპლომატიის“ რეაგირების დოკუმენტი, ამ შემთხვევაშიც კი სრულიად უეჭველია „კავკასიური ომის“ საიდუმლო გეგმასთან მისი ორგანული კავშირი.

აღლერის შეხვედრაზე რუსულ-სეპარატისტულ ბლოკთან მისაღები კომპრომისი ვერ მოიძებნა, ქართულმა მხარემ „გრაჩოვის პროექტზე“ უარი თქვა და მოლაპარაკებაც არსებითად ჩაიშალა.

II.4. წლების ომის შედეგები

1993 წლის სექტემბერში სოხუმის დაცემას მოჰყვა აფხაზეთზე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის და ტერიტორიული სუვერენიტეტის დროებითი შეწყვეტა, ე.წ. სამშვიდობო ოპერაციის შირმის ქვეშ რუსეთის მიერ თითქმის მთელი აფხაზეთის ოკუპაცია, გენოციდისა და ეთნიკური წმენდის მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად ისტორიულად ძირძველ ქართულ რეგიონში ქართული დემოგრაფიული უმრავლესობის ლიკვიდაცია, ფართომასშტაბიანი ჰუმანიტარული კატასტროფა, საქართველოს ისტორიული ტერიტორიულ-სივრცითი წესრიგის და ქართული სახელმწიფოებრიობის ტერიტორიული სტრუქტურის დაშლა, ქართულ-აფხაზური ისტორიული ერთობის და იბერიულ-კავკასიური ცნობიერების რღვევა, პირობების შემზადება აფხაზეთის რუსიფიკაციისათვის, ასევე რუსული ეთნიკური, სამხედრო და ეკონომიკური კოლონიზაციისათვის.

სხვათა შორის, გენოციდისა და ეთნოწმენდის შესახებ უშუალოდ არის საუბარი 1993 წლის 30 ნოემბერს პრეზიდენტ ელცინისადმი მოსკოვის ინტელიგენციის ერთი ჯგუფის (ნ. კრიმოვა, ო. ტაბაკოვი, მ. ზახაროვი, ო. ფერემოვი, ლ. ლიბედინსკაია და სხვ.) მიერ გაგზავნილ ღია წერილში. აი, ამონარიდები ამ წერილიდან: „აფხაზეთში ადგილი ჰქონდა მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის მასობრივ განადგურებას... ორმოცი წლის წინათ ფაშისტების მიერ განადგურებული ორადურის, ლიდიცეს, ხატინის მოსახლეობის ტრაგიკული სია ამჟამად გრძელდება აფხაზეთის სოფლებისა და რაიონების დასახელებებით... ჩვენ აუცილებლად ვთვლით აფხაზეთში მშვიდობიანი მოსახლეობის

მასობრივი განადგურების ფაქტების გამოძიებას და დამნაშავეების, როგორც სამხედრო დამნაშავეთა დასჯას.²⁵³

1992-1993 წლების ომის ყველა ეს შედეგი სრულ შესაბამისობაშია, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ძალადობასა და სიცრუეზე დაფუძნებულ რუსულ იმპერიულ იდეასთან, რუსეთის ჰეგემონისტურ რეგიონალურ გეოსტრატეგიასთან. ამავე გეოსტრატეგიიდან გამომდინარე წარმართა რუსეთმა ე.წ. სამშვიდობო პროცესი 1993-2008 წლებში, რითაც არსებითად უზრუნველყო კონფლიქტის სტაგნაცია, მონესრიგების მექანიზმების რეალური უმოქმედობა და, ასე ვთქვათ, გრძელვადიანი დაურეგულირებლობის მდგომარეობის დაკონსერვება.

საქართველოში რუსეთის სრულმასშტაბიანი სამხედრო ინტერვენციისა და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ რუსეთმა, საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური ნორმების უხეში დარღვევითა და საერთაშორისო წესრიგის ცივილიზაციური პრინციპების იგნორირებით, ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის ე.წ. დამოუკიდებლობა აღიარა, სოხუმის მარიონეტულ დაჯგუფებასთან დადებული ე.წ. ხელშეკრულების საფუძველზე აფხაზეთის ტერიტორიის ოკუპაცია და ფაქტობრივი სამხედრო ანექსია მოახდინა.

2008 წლის დელიქტმა, რომელიც დღემდე გრძელდება, თავისთავად გამოავლინა 1992-1993 წლების ჰიბრიდული ომის დაგეგმარებისა და წარმოების მთელი სიცხადე.

1992-1993 წლების ომმა საქართველოს ისტორიული ტერიტორიული წესრიგი რადიკალურად შეცვალა - მოშალა ჩვენი ქვეყნის ეროვნული ტერიტორიის სტრუქტურული მთლიანობა. ომმა მნიშვნელოვნად შეცვალა ასევე საქართველოს ბოლო ოცნლეულის ისტორია და ქართული სახელმწიფოს შინაგანი ევოლუციის პროცესზე უაღრესად დიდი გავლენა მოახდინა.

სისხლისმღვრელი თოთხმეტევიანი ომის შედეგად რუსეთმა, თავისი ჭარბი ძალებით და აფხაზ სეპარატისტებზე დაყრდნობით, ხელში ჩაიგდო ისტორიული ჩრდილო-დასავლეთ საქართველო-აფხაზეთი. დაპყრობილ ტერიტორიაზე რუსულ-სეპარატისტული ალიანსი შეუდგა ქართული ცივილიზაციის ელემენტების გეგმაზომიერ ამოძიკვას, ქართველთა მთელი ეროვნული ყოფიერების მეთოდურ აღმოფხვრას. უნდა ითქვას, რომ მტერი მოქმედებდა ნახევრადველური დამპყრობლის მორალით და ანტიქართული პოლიტიკის განსახორციელებლად არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა. ამისი მაჩვენებელია აფხაზეთის ქართული მოსახლეობის გენოციდი და ტოტალური ეთნიკური წმენდა, ასევე ქართული კულტურის ძეგლების განადგურებისაკენ ან მეთოდური სახეცვლილებისაკენ მიმართული ეთნოციდის პერიოდული

253. Открытое письмо Президенту РФ Б. Ельцину от представителей Московской интеллигенции. – Независимая Газета, 30 ноября 1993.

ტალღები. შედეგად რეგიონი კომპლექსურად მოსწყდა საქართველოს, იქ ფაქტობრივად ჩაკლეს ქართული გენი და კულტურა და დღემდე გაყინულია ანტიქართულ ველურობაში.

ეს ყველაფერი განხორციელდა მიზანმიმართულად, მეთოდურად, იმპერიული პოლიტიკის წინასწარი დაგეგმვის გზით და არა სპონტანურად, ყბადაღებულ „ქართულ აგრესიაზე“ იძულებითი რეაგირების ფორმით, როგორც ამას პულსირებს რუსულ-აფხაზური პროპაგანდა.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომმა, რუსეთის მიერ აფხაზეთის ე.წ. „დამოუკიდებლობის“ აღიარებამ, „მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების“ (2009 წ.) ფარგლებში საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში რუსეთის სამხედრო ბაზების „დაკანონებაში“, „მოკავშირეობისა და პარტნიორობის ხელშეკრულების“ (2014 წ.) ფარგლებში აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმზე კრემლის პირდაპირი კონტროლისა და პოლიტიკური პროტექტორატის დამყარებამ თვისობრივად ახალი გეოპოლიტიკური ვითარება შექმნა. რადიკალურად შეიცვალა გეოსტრატეგიული კონფიგურაცია საკუთრივ აფხაზეთის გარშემო. აგვისტოს ომის შემდეგ სრულიად რეალურია 1992-1993 წლების ომის შედეგების დროში განწევისა და გრძელვადიანი ქრონომეტრაჟის საფრთხე. დიახ, აგვისტოს ომმა და ომისშემდგომ პერიოდში რუსეთის დესტრუქციულმა საოკუპაციო პოლიტიკამ შექმნა იმის რეალური საფრთხე, რომ 1992-1993 წლების ომის შედეგად მომხდარი გარდატეხა იქცეს გრძელვადიან ტერიტორიულ-პოლიტიკურ წესრიგად და უფრო მეტიც – მოხდეს მისი ერთგვარი ლეგიტიმაცია, ყბადაღებული ე.წ. „ახალი რეალობის“ დაკანონებით.

სწორედ 1992-1993 წლების ომისა და მასში რუსეთის მონაწილეობის ანალიზი მოგვცემს შინაგან იმპულსს, არაფრის დადებით არ დაფუძვით ეს თვითმკვლევლობითი პერსპექტივა, არ დაფუძვით არც ერთ ეშმაკურად შემოცურებულ „დარეგულირების პროექტში“ თუ „კომპრომისულ ფორმატში“. სწორედ ამ პროცესის სიღრმისეული შესწავლა მოგვცემს იმის საშუალებას, რომ არასდროს ვაქციოთ „ახალი რეალობა“ პოლიტიკურ სინამდვილედ და არასოდეს ვცნოთ რუსეთის ინტერვენციის შედეგად შექმნილი ტერიტორიულ-პოლიტიკური წესრიგი.

ზემოთგანხილული პრობლემური საკითხის კვლევა იძლევა შემდეგი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას:

1. 1992-1993 წლების ომი აფხაზეთში არის არა ქართულ-აფხაზური ეთნოკონფლიქტი, არამედ რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტი, საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორისი რეგიონალური კონფლიქტის ნიშნებით;

2. აფხაზეთში რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული გამოუცხადებელი ომი, ტიპოლოგიური თვალსაზრისით,

წარმოადგენს ჰიბრიდულ ომს. სწორედ ამგვარი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს ომში რუსეთის ჩარევის სპეციალური და დი-ფერენცირებული კვლევა.

რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ აწარმოა სინთეზური ხა-სიათის ჰიბრიდული ომი მრავალგანშტოებიანი და მრავალგანზო-მილებიანი ფორმატით – რეგულარული საჯარისო ძალებით, ირე-გულარული პარამილიტარული ფორმირებებით, სპეცსამსახურების ჯგუფებით, სტრატეგიული დაგეგმვისა და ოპერატიულ-ტაქტიკური მართვის კოორდინაციით, სეპარატისტული რეჟიმის სამხედრო-ტექ-ნიკური, სამხედრო-საექსპერტო, ფინანსურ-ეკონომიკური და იდეო-ლოგიურ-პროპაგანდისტული დახმარებით, საქართველოს ხელისუ-ფლებაზე დიპლომატიური და ფსიქოლოგიური ზეწოლით;

3. აფხაზეთის ომში რუსეთის მონაწილეობის მიზანი იყო არა აფხაზეთის დაცვა „ქართული აგრესიისაგან“, არამედ აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის გამოყენება საქართველოს წინააღმდეგ ექსპანსიური ომის საწარმოებლად. ამ ომში კრემლს სპეციფიკუ-რად გააზრებული სტრატეგია ჰქონდა. საქართველოს წინააღმდეგ ამბოხებულ აფხაზთა უკანონო სეცესიური მოძრაობის მხარდაჭე-რით, ამ პროცესს მამ „ეთნოკონფლიქტის“ ცრუ შირმა გადააფარა. ამდენად, რუსული იმპერიალიზმისა და აფხაზური სეპარატიზმის ანტიქართულმა ბლოკმა 1992-1993 წლების კონკრეტულ ვითარება-ში შექმნა ომის ისეთი ფაბულა, რომელშიც შინაგანად გაერთიანდა რუსეთის ირიბი ინტერვენცია და აფხაზური სეცესიური მოძრაობის სამხედრო მხარდაჭერაც. გარეგნულად კი ისე ჩანდა, თითქოს ფაბუ-ლის ეს მეორე მხარე მოტივირებული ყოფილიყოს მცირე ეთნოსის მიმართ „ქართველთა აგრესიის“ შეკავების და მიმდინარე ეთნოკონ-ფლიქტში საშუამავლო მისიის შესრულების მიზანდასახულობით. ნაშრომში მოყვანილი ფაქტურა მთლიანად ანგრევს ამგვარ საინ-ფორმაციო-პროპაგანდისტულ კლიშეებს.

4. რუსეთის სამხედრო ჩარევა, როგორც სისტემური ფაქტორი, გახ-და გადამწყვეტი 1992-1993 წლების ომში საქართველოს დამარცხებისა და ტერიტორიული მთლიანობის დროებითი დარღვევისა. მიუხედავად საქართველოში არსებული ქრონიკული სახელმწიფოებრივი კრიზისისა და ინსტიტუციური სისტემის ნგრევისა, მათ შორის სამხედრო მშენე-ბლობის სფეროში, ქვეყნის შეიარაღებული ძალები გაცილებით მაღლა იდგნენ აფხაზურ-კონფედერატულ ფორმირებებზე რაოდენობრივად, მორალურ-საბრძოლო სულისკვეთებით, სამხედრო-ოპერატიული ხე-ლოვნებით და ტაქტიკური აზროვნებით. მხოლოდ რუსეთის ჩარევამ, მის მიერ წარმოებულმა გამოუცხადებელმა ომმა შეუშალა ხელი საქარ-თველოს გამარჯვებას და სეპარატიზმის განადგურებას.

5. აბსოლუტურად მცდარია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ის სტრატეგიული კვლევები, რომლებიც ემყარება კორელაციურ ანალიზს და, ერთი მხრივ, ავლენს კორელაციას რუსეთის შიდა რეჟიმის ხასიათსა და საქართველოს მიმართ აგრესიის მიდრეკილებას შორის, ხოლო, მეორე მხრივ, კორელაციას რუსეთის პოლიტიკის სტრატეგიულ პრინციპებსა და საქართველოს საგარეო ორიენტაციას შორის. პირველი კორელაციის ფორმულა ავითარებს თეზისს, ლიბერალური აზროვნების ცრუ და აქსიომატური გაგებიდან გამომდინარე, რომ დემოკრატიული რუსეთი ანუ სამართლებრივი სახელმწიფოსა და პოლიტიკური პლურალიზმის პრინციპების დამცველი კრემლის კონსტიტუციური რეჟიმი არ იქნება მიდრეკილი საქართველოს წინააღმდეგ აგრესიისაკენ. მეორე კორელაციური ფორმულა კი ეყრდნობა თეზისს, თითქოს რუსეთის აგრესიული პოლიტიკა დაკავშირებულია, უფრო მეტიც – არსებითად გამონეულია საქართველოს პროდასავლური ორიენტაციით და ანტირუსეთულ გლობალურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სურვილით; შესაბამისად, ეს პოლიტიკა მოიხსნება ჩვენი ქვეყნის რუსულ ორბიტაზე დაბრუნებით ან ნეიტრალიტეტის კურსის არჩევით.

სწორედ აფხაზეთის ომის დისკურსი იძლევა ყველაზე არგუმენტირებული სახით ამგვარი კორელაციური განაზრებების უკუგდების საშუალებას. 1992-1993 წლების რუსეთი, ანუ „ელცინის რუსეთი“ თავისი განვითარების საწყის სტადიაზე, უშუალო პოსტსაბჭოთა ფაზაში იყო ყველაზე დემოკრატიული და რამდენადმე ლიბერალურიც უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე არსებულ რეჟიმებს შორის („გაიდარის რეფორმებით“, ჩუბაისის ტექნოკრატიზმით, რეგიონალური დეცენტრალიზაციით, პრეზიდენტ ელცინსა და ხაზბულატოვის უზენაეს საბჭოს შორის ხელისუფლების რეალური დანაწილებით და სხვ.). მაგრამ სწორედ ამ რუსეთმა დაატრიალა აფხაზეთის ტრაგედია.

1992-1993 წლების საქართველო თავისი განვითარების საწყის სტადიაზე, იყო უაღრესად პრორუსული. ამასთან, რუსეთის გავლენას ჰქონდა ინსტიტუციური ხასიათი და ძირითადი სამთავრობო ინსტიტუტების ხელმძღვანელებს, მაგალითად, ძალისმიერი ბლოკის მინისტრებს შევარდნაძე კრემლის კარნახით ნიშნავდა.

ამდენად, ნებისმიერი შიდა რეჟიმის მქონე რუსეთი ნებისმიერი საგარეო ორიენტაციის მქონე საქართველოს (რუსეთის იმპერიულ სისტემაში ჩაურთველობის პირობებში) ებრძვის თავისთავად, აპრიორულად და სტრატეგიული განსაზღვრულობის ჩარჩოებში. ეს რეალისტური აზრი 1992-1993 წლების ომმა ცხადზე უცხადეს ქვემარტებად აქცია.

III. 1992-1993 წლებში შეიარაღებული კონფლიქტის დროს და შემდგომ პერიოდში აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი გენოციდის დანაშაულის სამართლებრივი ანალიზი

მადლობა. უღრმეს მადლობას მოვასხენებ ლიბანის სპეციალური ტრიბუნალის პრეზიდენტის სამართლის ასოცირებულ ოფიცერს, ჩემს მეგობარს თამარ სარჯველაძეს მოცემული რჩევებისთვის, ღირებული შენიშვნებისა და მოსაზრებების გაზიარებისთვის, რაც დაგვეხმარა აღნიშნულ ნაშრომზე მუშაობის პროცესში.

„მნიშვნელოვანია საჯაროდ დადგინდეს ეს დაუჯერებელი ფაქტები, რათა აღარავის ეპარებოდეს ეჭვი იმაში, რომ აღნიშნული ფაქტები იყო რეალობა და არა მითი ...“

- **ტელფორდ ტეილორი**
(ნიურნბერგის ტრიბუნალის პროკურორი)

III.1. შესავალი

1992 წლის 14 აგვისტოდან 1993 წლის 30 სექტემბრამდე პერიოდში საქართველო ჩაბმული იყო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში განვითარებულ შეიარაღებულ კონფლიქტში. საომარ მოქმედებებში რუსეთის ფედერაციის ჩართულობა სეპარატისტთა მხარეზე კონფლიქტს კიდევ უფრო ამწვავებდა. ომის პერიოდში დანაშაული კონფლიქტის ყველა მხარემ ჩაიდინა. აღნიშნული ნაშრომი მიზნად ისახავს აფხაზი საპარატისტი მებრძოლებისა და მათთან ასოცირებული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის ანალიზს და იმის შეფასებას, თუ რამდენად წარმოადგენს იგი გენოციდის დანაშაულს. ნაშრომში ასევე განხილულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1993 წლის 8 ივლისს სისხლის სამართლის კოდექსში (სსკ) შეტანილი 65¹ მუხლის (გენოციდის დანაშაული) იმ ქმედებებზე რეტროაქტიულად გავრცელების საკითხი, რომლებიც აღნიშნული მუხლის მიღებამდე, ანუ მაშინ იყო ჩადენილი, როცა გენოციდის დანაშაული საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯად ქმედებას არ წარმოადგენდა. ამასთან დაკავშირებით გაანალიზებულია, ირღვევა თუ არა ლეგალურობის პრინციპი საქართველოს სსკ 65¹ მუხლის (ამჟამად მოქმედი სსკ-ის 407-ე მუხლი) რეტროაქტიულად გამოყენების შემთხვევაში. დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად

საჭიროა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სტანდარტების, ასევე ეროვნული და საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკული გამოცდილების, განსაკუთრებით კი სასამართლოების მიერ გენოციდის დანაშაულთან და ლეგალურობის პრინციპთან დაკავშირებით გაკეთებული სამართლებრივი განმარტებების მიმოხილვა.

ნაშრომის სტრუქტურა. წარმოდგენილი ნაშრომი ექვსი თავისაგან შედგება. პირველ თავში აღწერილია ნაშრომის მიზნები და ამოცანები, მისი შინაარსი და ის დაბრკოლებები, რომლებიც კვლევის ჩატარებისას გამოიკვეთა. მეორე თავში აღწერილია მოვლენები, რომლებიც წინ უძღოდა შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებას, მის განვითარებას. იქვე მოტანილია ინფორმაცია შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე მხარეთა შესახებ. მესამე თავში აღწერილია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჩადენილი დანაშაულები და ნაჩვენებია კონფლიქტის შედეგები. მეოთხე თავში მოცემულია იმის ანალიზი, თუ რამდენად წარმოადგენს აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჩადენილი ქმედებები დანაშაულს გაეროს „გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის კონვენციის“ მე-2 მუხლის (გენოციდის დანაშაული) ფარგლებში (შემდგომში „გენოციდის კონვენცია“). მეხუთე თავი განიხილავს სსკ 65¹ მუხლის (გენოციდი) რეტროაქტიულად გავრცელების საკითხს ლეგალურობის პრინციპის კონტექსტში. და ბოლოს, მეექვსე თავში შეჯამებულია კვლევის შედეგები, გაკეთებულია სათანადო დასკვნები.

კვლევის შინაარსი და დაბრკოლებები. წინამდებარე კვლევა მოიცავს იმ დანაშაულთა ანალიზს, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჩადენილი იყო აფხაზი სეპარატისტი მებრძოლებისა და მათთან ასოცირებული პირების მიერ აფხაზეთში მცხოვრები ქართველი სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ. აფხაზეთში მცხოვრებ სამოქალაქო მოსახლეობას, განურჩევლად მათი ეთნიკური კუთვნილებისა, ძვირად დაუჯდა აღნიშნული კონფლიქტი. მოცემული ნაშრომი მიზნად არ ისახავს უგულვებელყოს ან შეამციროს შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე მხარეთა, მათ შორის ქართული მხარის მიერ ჩადენილ დანაშაულთა მნიშვნელობა და სიმძიმე. ქართველთა მიერ აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჩადენილი დანაშაულების დადგენა და საერთაშორისო სისხლის სამართლის კუთხით შეფასება წინამდებარე კვლევის არეალში არ ექცევა, თუმცა აღნიშნული შეიძლება გახდეს მომავალი კვლევის საგანი.

კვლევაში არ არის განხილული იმ პირთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც დანაშაული

აფხაზეთის ტერიტორიაზე შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჩაიდინეს. მასში მოტანილ დანაშაულთა აღწერა ეყრდნობა საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფის ანგარიშს, რომელსაც აფხაზეთში მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტის დროს აფხაზური სეპარატისტული ძალების მიერ ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი ეთნიკური წმენდისა და გენოციდის ფაქტების გამოძიება ევალებოდა. პროკურატურის ანგარიშში მოტანილია ინციდენტების ნაწილი და დასახელებულია დაზარალებული პირების მცირე რაოდენობა, თუმცა აღნიშნული საკმარისია იმისათვის, რათა მკაფიო წარმოდგენა შეგვექმნას სეპარატისტების მიერ გამოყენებული მეთოდებისა და ჩადენილ დანაშაულთა ტიპის შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჩადენილი დანაშაულის თაობაზე საქართველოს მთავარ პროკურატურაში გამოძიება დღემდე მიმდინარეობს, საგამოძიებო მასალა, მათ შორის დამნაშავე პირთა როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაცია არის ღია და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი. კვლევის პერიოდში ჩვენ არ გვექონდა საგამოძიებო მასალაზე წვდომა და შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჩადენილ დანაშაულთა შედეგად დაზარალებულ პირთა დაკითხვის შესაძლებლობა. შესაბამისად, ფაქტობრივი მასალა, ეფუძნება მეორად მონაცემებს – გენერალური პროკურატურის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშს, აგრეთვე აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის მიერ წლების განმავლობაში შედგენილ, მრავალჯერ დაზუსტებულ და წინამდებარე ნაშრომში მოტანილ „ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა – გენოციდის მსხვერპლთა სახელობით სიას“ (იხ. აქვე, ნაწილი IV), რომლებიც არ შეიცავენ სრულყოფილ და დეტალურ ინფორმაციას დანაშაულთა და დამნაშავე პირთა როლის შესახებ.

ნაშრომი შეიცავს ინფორმაციას შეიარაღებული კონფლიქტის განვითარებისა და მასში მონაწილე მხარეების როლის შესახებ. ამავე დროს სამართლებრივი შეფასება არ ეძლევა იმას, თუ რა ტიპის იყო შეიარაღებული კონფლიქტი – იყო იგი საერთაშორისო თუ არასაერთაშორისო ხასიათის. ამის მიზეზი გახლავთ ის გარემოება, რომ გენოციდის დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც მშვიდობიან, ასევე ნებისმიერი ხასიათის ომის დროს. ამიტომაც საერთაშორისო სისხლის სამართალი გენოციდის დანაშაულის შემადგენლობის დასადგენად დანაშაულის შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ჩადენის მოთხოვნას არ აწესებს. შესაბამისად, შეიარაღებული კონფლიქტის ტიპის განსზაღვრა მოცემული ნაშრომის არეალში არ შედის.

III. 2. გამოძიების დაწყება

1994 წლის 12 სექტემბერს საქართველოს სახელმწიფო მეთაურმა გამოსცა ბრძანებულება „აფხაზეთში გუდაუთელ სეპარატისტთა მიერ ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ მოწყობილი ეთნიკური წმენდის-გენოციდის, აგრეთვე კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ სხვა დანაშაულთა თაობაზე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის ინფორმირების ღონისძიებათა შესახებ“. მის საფუძველზე შეიქმნა ფაქტების დამდგენი კომისია აფხაზეთის ტერიტორიაზე შეიარაღებული კონფლიქტის დროს ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი გენოციდის და ეთნიკური წმენდის შესახებ მტკიცებულებების შესაგროვებლად და ინფორმაციის გასავრცელებლად. ფაქტების დამდგენ კომისიაში შედიოდნენ თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეები, მეცნიერები, ჟურნალისტები, ექსპერტები, სპეციალისტები.

აღნიშნული კომისიის პარალელურად, საქართველოს გენერალური პროკურორის 1993 წლის 29 ოქტომბრის დადგენილებით, გენერალური პროკურატურის ბაზაზე მრავალ-დისციპლინური საგამოძიებო ჯგუფი ჩამოყალიბდა. საგამოძიებო ჯგუფის მანდატი ითვალისწინებდა აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზური სეპარატისტული ძალების მიერ ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი ეთნიკური წმენდისა და გენოციდის ფაქტების გამოძიებას. საგამოძიებო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ გენერალური პროკურატურის თანამშრომლები, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების, ასევე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის თანამშრომლები. გენერალური პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიების პროცესში 25 000-ზე მეტი მონაწილე დაიკითხა. ჩატარდა მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის სამედიცინო ექსპერტიზები, რომელთა შედეგად აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით ათასობით დოკუმენტური მასალა შეგროვდა. საგამოძიებო მასალები დაახლოებით 200 ტომისგან შედგება. 90-იანი წლების შუა ხანებში გენერალურმა პროკურატურამ 5 პირს ბრალიც წაუყენა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 65¹-ე მუხლით გათვალისწინებული გენოციდის დანაშაულის ჩადენისთვის. გენოციდის დანაშაულის ჩადენისთვის, პროკურატურის მიერ მოგვიანებით იდენტიფიცირებული იქნა და ბრალი წაუყენა კიდევ 19 პირს, თუმცა საქმეთა სასამართლოში წარმართვა ვერ მოხერხდა, ვინაიდან ბრალდებული პირების ადგილსამყოფელი გამოძიებისთვის უცნობი იყო, ხოლო იმ პერიოდში მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა განსასჯელის დაუსწრებლად საქმის სასამართლოში განხილვას. აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩადენილ

დანაშაულთა გამოძიება ცოცხა ხნის წინ განახლდა. საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ, შემდგომი განხილვის მიზნით, 17 ბრალდებულის საქმეა სასამართლოში გადაგზავნილი.

შეიარაღებული კონფლიქტის წინმსწრები მოვლენები. ჯერ კიდევ 1989 წელს აფხაზ სეპარატისტებს ჰქონდათ ეთნიკურად მოტივირებული შეიარაღებული კონფლიქტის გაღვივების მცდელობა. იმავე წლის 1 აპრილიდან 21 ივლისამდე პერიოდში მათ განახორციელეს რამდენიმე ძალადობრივი თავდასხმა აფხაზეთში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ. 1989 წლის 1 აპრილს ქართველებმა მოაწყვეს მშვიდობიანი მანიფესტაცია დაბა ლესელიძეში, სადაც აფხაზეთში არსებული სეპარატიზმი გააპროტესტეს. მანიფესტაციაში მონაწილე პირებს თავს დაესხნენ ცეცხლსასროლი იარაღით, რკინის ნაჭრებითა და ქვებით შეიარაღებული აფხაზი ექსტრემისტები, რის შედეგადაც მანიფესტანტები დაიჭრნენ და სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღეს²⁵⁴.

აღნიშნულ ინციდენტს ეთნიკური შუღლით მოტივირებული რამდენიმე შემთხვევა მოჰყვა. ასე მაგალითად, 23 აპრილს ქალაქ გაგრაში შეურაცხვეს საქართველოს რესპუბლიკის დროშა, რომელზეც აჭარის რეგიონში სტიქიური უბედურების დროს ტრაგიკულად დაღუპული ადამიანების ხსოვნის პატივსაცემად შავი სამგლოვიარო ლენტო იყო დამაგრებული. 26 აპრილს ოჩამჩირეში აფხაზმა სეპარატისტებმა 1989 წლის 9 აპრილის ანტისაბჭოთა დემონსტრაციის დროს საბჭოთა არმიის მიერ თბილისში დახოცილი ადამიანების ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური დაფა ჩამოხსნეს²⁵⁵.

12 ივლისს ქალაქ სოხუმში 400 შეიარაღებული აფხაზი სეპარატისტი თავს დაესხა ქართული გაზეთის „საბჭოთა აფხაზეთი“-ს სტამბას და მწყობრიდან გამოიყვანა იგი, რითაც ხელი შეუშალა გაზეთის გამოცემას; 13 ივლისს სეპარატისტთა ჯგუფმა სოხუმის რაიონის სოფელ აჩადარაში 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი დაარბია²⁵⁶.

ამავე პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო უნივერსიტეტში, უპირატესად აფხაზეთისაგან შემდგარი აკადემიური ადმინისტრაცია უნივერსიტეტის ეთნიკურად ქართველ პროფესორებსა და თანამშრომლებს ავიწროებდა. აღნიშნულმა პოლიტიკამ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახლეჩა, მისგან ქართული ნაწილის გამოყოფა და სოხუმში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის ჩამოყალიბება გამოიწვია²⁵⁷.

254. ნუგზარ მგალობლიშვილი. – Молодежь Грузии, 23 марта 1990.

255. ნუგზარ მგალობლიშვილი. – Молодежь Грузии, 23 марта 1990.

256. ნუგზარ მგალობლიშვილი. – Молодежь Грузии, 23 марта 1990.

257. ნუგზარ მგალობლიშვილი. – Молодежь Грузии, 23 марта 1990.

14 ივლისს აფხაზმა სეპარატისტებმა ალყაში მოაქციეს სოხუმის პირველი საშუალო სკოლის შენობა, რადგანაც აქ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის კომისია იმყოფებოდა, რომელიც მისაღებ გამოცდებში მონაწილეობის მსურველ აბიტურიენტთა რეგისტრაციას ახდენდა. სეპარატისტები ითხოვდნენ აბიტურიენტთა რეგისტრაციის პროცესის შეჩერებას და მისაღები გამოცდების გაუქმებას. 15 ივლისისთვის კი, როგორც გაზეთში „Молодежь Грузии“ გამოქვეყნებულ სტატიაში იყო ნათქვამი, სკოლისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ტყვარჩელიდან, გუდაუთიდან და ოჩამჩირის რაიონებიდან ჩამოყვანილი 10 000-ზე მეტი შეიარაღებული აფხაზი სეპარატისტისა და ბოევიკის მობილიზება მოხდა. შეიარაღებული პირები სასტიკად გაუსწორდნენ და სხეულის მძიმე დაზიანებები მიაყენეს კომისიის წევრებს, აბიტურიენტებს და მათ მშობლებს. პოლიციელები, მათ შორის ქალაქის პოლიციის უფროსი, რომლებიც სკოლის ტერიტორიაზე ხალხის დასაცავად და წესრიგის დასამყარებლად მოვიდნენ, ასევე გახდნენ თავდასხმის ობიექტი²⁵⁸.

აღნიშნულმა ძალადობრივმა ფაქტებმა საპასუხო რეაქცია გამოიწვია – ქალაქ სოხუმის ქუჩებში სტიქიურად გამოვიდა 400-მდე ქართველი, რომლებმაც თანამოძმეთა წინააღმდეგ ძალადობა გააპროტესტეს. აფხაზი სეპარატისტები და ბოევიკები აღნიშნულ პირებსაც სასტიკად გაუსწორდნენ, ცემეს და ფიზიკური ზიანი მიაყენეს. ამის შემდეგ 300 აფხაზი ბოევიკი აფხაზეთის მთავრობის შენობაში შეიჭრა, სადაც ისინი 2 დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ, რის შედეგადაც დაარბიეს ქართველი თანამდებობის პირების ოთახები, შეურაცხვევს საქართველოს რესპუბლიკის დროშა და შენობის თავზე აფხაზეთის სსრ-ის დროშა აღმართეს²⁵⁹.

ძალადობა მალე მთელს სოხუმს მოედო, რაც 1989 წლის 21 ივლისამდე გაგრძელდა. ამ პერიოდში 18 ადამიანი იქნა მოკლული, მათ შორის 11 ქართველი, 5 აფხაზი, 1 რუსი და ერთი სომეხი. სულ 495 ადამიანი დაშავდა, მათ შორის 342 ქართველი, 135 აფხაზი, 1 რუსი და 1 აზერბაიჯანელი²⁶⁰.

1991 წლის ზაფხულში აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციასა და საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებები შევიდა, რომელთა თანახმად, ადგილობრივ პარლამენტში ეროვნული ნიშნის მიხედვით ქვოტები დაწესდა. სულ 65 სადეპუტატო მანდატიდან ეთნიკურ აფხაზებს 28 სადეპუტატო ადგილი ერგოთ, ქართველებს – 26, ხოლო სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს ერთობლივად – 11. შესაბამისად, ეთნიკურ

258. ნუგზარ მგალობლიშვილი. – Молодежь Грузии, 23 марта 1990.

259. ნუგზარ მგალობლიშვილი. – Молодежь Грузии, 23 марта 1990.

260. ნუგზარ მგალობლიშვილი. – Молодежь Грузии, 23 марта 1990.

აფხაზებს საკანონმდებლო ორგანოში არაპროპორციული, ყველაზე მეტი წარმომადგენლობა ჰყავდათ, მაშინ როდესაც აფხაზეთის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს ქართველები შეადგენდნენ.

1992 წლის დასაწყისში აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ვითარება უკიდურესად დაიძაბა. იგი გამონვეული იყო საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირების ესკალაციით, რომელიც სახელმწიფო გადატრიალებით დასრულდა. სეპარატისტებმა ისარგებლეს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობით და საკუთარი კანონმდებლობის დარღვევით ანტიკონსტიტუციური გადანყვეტილებები მიიღეს, რასაც პარლამენტის ქართველმა დეპუტატებმა ბოიკოტი გამოუცხადეს. დაპირისპირების შედეგად აფხაზმა და ქართველმა დეპუტატებმა ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ფაქტობრივად ორი პარლამენტი ჩამოაყალიბეს, რომლებიც ერთმანეთს ბოიკოტს უცხადებდნენ.

პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად, რაც ქართველებსა და აფხაზებს შორის დაძაბულობას აღვივებდა, აფხაზი ლიდერები, პოლიტიკური ორგანიზაცია „აიდგილარა“-ს მეშვეობით, გამიზნულად და მეთოდურად აყალბებდნენ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ისტორიულ წარსულსაც. „აიდგილარა“-ს და სხვა პოლიტიკური გაერთიანებების ლიდერები ფსევდო-მეცნიერული ნაშრომების გამოქვეყნებით მიზნად ისახავდნენ საქართველოს სახელმწიფოს მთლიანობის შერყევას. აფხაზეთში გამოქვეყნდა ფსევდო-მეცნიერული ნაშრომების მთელი სერია, მათ შორის, მაგალითად, „Абхазия – Хроника необъявленной войны“, „Белая книга Абхазии“, „Абхазская трагедия“, სახელმძღვანელო – „История Абхазии“ და ა.შ. („აფხაზეთი – გამოუცხადებელი ომის ქრონიკები“, „აფხაზეთის თეთრი წიგნი“, „აფხაზური ტრაგედია“, „აფხაზეთის ისტორია“ და ა. შ.)²⁶¹. აღნიშნულ ნაშრომებში აფხაზი ლიდერები ამტკიცებდნენ, რომ ქართველებს სურდათ აფხაზეთისთვის მათი ეთნიკური იდენტობის წართმევა. ისინი აცხადებდნენ ასევე, რომ აფხაზეთი საუკუნეების მანძილზე თითქოს იყო დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო და რომ იგი არასდროს ყოფილა საქართველოს შემადგენელი ნაწილი.²⁶² აფხაზური პროპაგანდის თანახმად, ქართველებმა ვითომ აფხაზური ინტელიგენცია გაანადგურეს, აფხაზური სკოლები გააუქმეს, აფხაზური კულტურა და ისტორია დააკნინეს. შესაბამისად, ქართველები აფხაზეთის ავტონომიას სერიოზულად არ აღიქვამდნენ. აფხაზური პროპაგანდა აცხადებდა, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე 200 000 კაცი იქნა ჩასახლებული, რათა მათ ადგილობრივი აფხაზების ასიმილაცია მოეხდინათ²⁶³.

261. Тамаз Надарейшвили. Геноцид в Абхазии. Тбилиси, 1996, с. 35.

262. Тамаз Надарейшвили. Геноцид в Абхазии, с. 33-36.

263. ციტირებულია წიგნიდან: Тамаз Надарейшвили. Геноцид в Абхазии, с. 33-36.

ცრუ პროპაგანდა, რომელიც მიზნად ისახავდა სიძულვილისა და შუღლის გაღვივებას, ვრცელდებოდა მედიის საშუალებებით, აგრეთვე საგანმანათლებლო და სხვა დაწესებულებებში, რამაც ქართველებისგან მტრის ხატის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ქართველებს ადანაშაულებდნენ ყველაფერში – აფხაზი ხალხის ყველა წარუმატებლობაში, ცხოვრების დაბალ სტანდარტში, აფხაზური ტრადიციების გაქრობაში, პროდუქტების დეფიციტში, აფხაზური ხალხური სიმღერების მოპარვამიც კი. ქართველებს აღწერდნენ, როგორც ბანდიტებს, მკვლელებსა და სადისტებს²⁶⁴. ასეთმა პროპაგანდამ ეთნიკურ აფხაზებში ქართველების მიმართ უკიდურესი სიძულვილი გააღვივა, რამაც აფხაზეთის კონფლიქტის დროს ფატალური როლი ითამაშა.

1991-1992 წლებში აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, რომელსაც ვლადისლავ არძინბა ხელმძღვანელობდა, მიიღო რიგი კანონებისა, რომლებიც ზღუდავდნენ საქართველოს იურისდიქციას აფხაზეთზე და ძირს უთხრიდნენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. საკანონმდებლო ცვლილებების პარალელურად, აფხაზური ეროვნული გვარდიის სახელწოდებით შეიქმნა მონოეთნიკური უკანონო შეიარაღებული ფორმირება. გარდა აღნიშნულისა, მთიელ ხალხთა კონფედერაციის ასევე უკანონო შეიარაღებული ძალების ბაზაზე სამხედრო ბატალიონი „აიდგილარა“ ჩამოყალიბდა. შეიარაღებული ძალები, პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, უშიშროების სამინისტრო, პოლიცია, სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტი და სხვა სტრატეგიული საჯარო დაწესებულებები აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დაქვემდებარებაში შევიდა²⁶⁵.

1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ, კვალიფიციური უმრავლესობის გარეშე, მიიღო დადგენილება, რომლითაც ბათილად ცნო 1978 წლის აფხაზეთის კონსტიტუცია და აღდგენილად გამოაცხადა 1925 წლის კონსტიტუცია. როგორც აქვე პირველ ნაწილშია ნაჩვენები, 1925 წელს აფხაზეთს არავითარი კონსტიტუცია არ მიუღია, არსებობდა აფხაზეთის საკანონმდებლო ორგანოს – მუშათა, გლეხთა და ნითელარმიელთა საბჭოს მესამე ყრილობის მიერ 1925 წლის 1 აპრილს მიღებული კონსტიტუციის პროექტი, რომელიც არასდროს გამოქვეყნებულა და, ბუნებრივია, არც არასდროს ამოქმედებულა. 1925 წლის კონსტიტუციის პროექტის მიხედვით, აფხაზეთი სუვერენულ რესპუბლიკად ცხადდებოდა, რის გამოც აღნიშნული დოკუმენტი მიმზიდველი იყო სეპარატისტებისთვის.

264. Светлана Червоная. Абхазия-1922: посткоммунистическая вандея, с. 81-82; Тамаз Надарейшвили. Геноцид в Абхазии, с. 35-36.

265. Тамаз Надарейшвили. Геноцид в Абхазии, с. 38-41.

უმალესი საბჭოს აფხაზურმა ფრაქციამ აამოქმედა რიგი კანონებისა, რომელიც ეხებოდა აფხაზეთში მოსახლეობის რეგისტრაციის შეზღუდვას, ასევე სახელისა და ეთნიკური კუთვნილების შეცვლას, რითაც არააფხაზ მოსახლეობას აფხაზეთის რეგიონში ცხოვრება პრაქტიკულად აეკრძალა. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები მიზნად ისახავდა აფხაზი მოსახლეობის რიცხვის ხელოვნურად გაზრდით, რეგიონში დემოგრაფიული მდგომარეობის შეცვლას. თუმცა საკანონმდებლო შეზღუდვები არ ეხებოდა არაქართველ მოსახლეობას, რომელთა აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩანერა ფარულად, გამარტივებული პროცედურების მეშვეობითა და სისტემატურად ხორციელდებოდა. ასე მაგალითად, 1992 წლის მარტში 100-ზე მეტი სირიის, იორდანისა და სხვა ქვეყნების მოქალაქეებმა მიიღეს აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრების უფლება. უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩანერის პრაქტიკა რამდენიმე თვის განმავლობაში გაგრძელდა და პიკს საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ მიაღწია. აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობა ჩანერის უფლებას აძლევდა უცხოელ დაქირავებულ მებრძოლებს (ბოვეიკებს) შეიარაღებულ კონფლიქტში მათი მონაწილეობის სანაცვლოდ. ბოვეიკები აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის წევრების მხრიდან სრული ხელშეუხებლობით სარგებლობდნენ²⁶⁶.

შეიარაღებული კონფლიქტის დასაწყისი და მისი განვითარება.

1992 წლის პირველ ნახევარში აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთიდან მომავალი სატვირთო მატარებლები, რომლებიც სურსათს აწვდიდნენ სომხეთსა და საქართველოს, სისტემატურად იძარცვებოდა. აღნიშნული ქმედებებით სომხეთს რამდენიმე მილიონი აშშ დოლარის ზიანი მიაღდა, რის გამოც სომხებმა უკმაყოფილება გამოხატეს რკინიგზის დაუცველობისა და მიყენებული ზარალის გამო. რკინიგზის დაცვის უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობამ აფხაზეთის სეპარატისტ ლიდერთან ვლადისლავ არძინბასთან სიტყვიერი შეთანხმების შემდეგ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიარაღებული ძალები შეიყვანა. მათი განლაგება უნდა მომხდარიყო ქალაქ გაგრიდან მდინარე ენგურამდე ისეთ პუნქტებში, რომ სამხედროებს მოსახლეობასთან შეხება არ ჰქონოდათ²⁶⁷.

სიტყვიერი თანხმობის მიუხედავად, 1992 წლის 14 აგვისტოს უკანონო აფხაზურმა ეროვნულმა გვარდიამ რკინიგზის დასაცავად შესულ ქართულ შეიარაღებულ შენაერთებს გალისა და ოჩამჩირის რაიონების ადმინისტრაციულ საზღვართან ცეცხლი გაუხსნა. შესაბამისად, 1992 წლის 14 აგვისტო ითვლება აფხაზეთში კონფლიქტის დაწყების ოფიციალურ დღედ. ქართულ შეიარაღებულ ძალებს

266. Тамаз Надарейшвили. Геноцид в Абхазии, с. 42.

267. Тамаз Надарейшвили. Геноцид в Абхазии, с. 49.

ხელმძღვანელობდა საქართველოს ლიდერი ედუარდ შევარდნაძე. ხოლო აფხაზურ ძალების სათავეში ვლადისლავ არძინბა იდგა²⁶⁸.

აფხაზეთის კონფლიქტს კიდევ უფრო ამწვავებდა მასში რუსეთის ჩართულობა სეპარატისტული ძალების მხარეზე. მაშინ როდესაც ოფიციალური რუსეთი მხარს უჭერდა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას, რუსული შეიარაღება აფხაზების ხელში აღმოჩნდა, რუსული თვითმფრინავები ბომბავდნენ ქართველების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ სამოქალაქო პირებს, რუსეთის სამხედრო გემები ბომბავდნენ სოხუმს, სადაც ქართველები იყვნენ გამაგრებული; რუსების მიერ განვრთნილი და დაქირავებული მებრძოლების გარკვეული რაოდენობა იცავდა ტყვეარჩეულ მოკალათებულ სეპარატისტებს.²⁶⁹ საქართველოს მთავრობა რუსეთის შეიარაღებულ ძალებს აფხაზების მიერ კონტროლირებად გუდაუთასთან მდებარე ბომბორის რუსული სამხედრო ბაზიდან აფხაზეთისთვის 1992 წლის შემოდგომაზე იარაღის მიწოდებაში ადანაშაულებდა²⁷⁰.

თავდაპირველად, 1992 წლის აგვისტო-სექტემბერში, ომი ძირითადად ქალაქ სოხუმში მიმდინარეობდა. ცეცხლის შეწყვეტის რამდენიმე შეთანხმება მალევე უშედეგოდ დასრულდა, ხოლო კონფლიქტში ჩართულმა როგორც აფხაზურმა, ასევე ქართულმა მხარემ გადაღიერეს თავიანთი შეიარაღება, გამაგრდნენ სოხუმის მისადგომებთან და 1992 წლის დეკემბერში ერთმანეთის პოზიციებზე, კერძოდ, სოხუმზე და მის შემოგარენზე საპარეო თავდასხმები განახორციელეს²⁷¹.

მიუხედავად იმისა, რომ 1992 წლის სექტემბრის ბოლოს, მდინარე გუმისთასთან მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების გამოკლებით, სოხუმში სიტუაცია შედარებით მშვიდი იყო, მძიმე საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა ქალაქ გაგრის ირგვლივ. სექტემბრის ბოლოს აფხაზმა სეპარატისტებმა და მათმა მხარდამჭერმა უცხო შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს შეთანხმებული სვლა მდინარე ბზიფის გასწვრივ ქალაქ გაგრის მიმართულებით. პრესა უთითებდა და 3 000-დან 4 000-მდე კაცისგან შემდგარ აფხაზთა ეროვნულ გვარდიაზე და უცხო ქვეყნის მოხალისეებზე. მიმდინარეობდა გამძაფრებული ბრძოლები, აფხაზებს სურდათ მთავარი გზატკეცილის გასწვრივ ჩრდილოეთისკენ სვლა გაეგრძელებინათ. სექტემბრის განმავლობაში მიმდინარე სასტიკი ბრძოლების შედეგად 1992 წლის 2-3 ოქტომბერს გაგრა დაეცა.

268. Тамаз Надарейшвили. Геноцид в Абхазии, с. 49.

269. Violations of the Laws of War and Russia's Role in the Conflict, Human Rights Watch Arms Project, March 1995, Human Rights Watch/Helsinki, pp. 7.

270. Violations of the Laws of War and Russia's Role in the Conflict, Human Rights Watch Arms Project, March 1995, Human Rights Watch/Helsinki, pp. 32.

271. Violations of the Laws of War and Russia's Role in the Conflict, Human Rights Watch Arms Project, March 1995, Human Rights Watch/Helsinki, pp. 6-7.

მას შემდეგ რაც ცხადი გახდა, რომ ქართული შეიარაღებული ძალები ვერ შეინარჩუნებდნენ ქალაქს, ქართველებმა რუსეთის მოსაზღვრე სოფლებისკენ – განთიადისა და ლესელიძისკენ დაიხიეს²⁷².

1992 წლის შემოდგომის პერიოდში გაგრა არ იყო ერთადერთი ქალაქი, სადაც მძაფრი საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა. 1992 წლის ოქტომბრის ბოლოს აფხაზურმა ძალებმა ოჩამჩირის რეგიონს შეუტიეს და საომარი მოქმედებები ნელ-ნელა ერთი სოფლიდან მეორეში გავრცელდა, რაც გაგრძელდა რამდენიმე თვის მანძილზე 1993 წლის ზამთრის ჩათვლით. ამის საპასუხოდ, ქართული ძალები სამხრეთით გადაჯგუფდნენ იმისათვის, რომ ოჩამჩირის რეგიონში წინააღმდეგობა დაეძლიათ და მთიანი ტყვარჩელი ბლოკადაში მოექციათ. ქალაქის ბლოკადა შეიარაღებული კონფლიქტის დასრულებამდე გაგრძელდა²⁷³.

შეიარაღების თვალსაზრისით აფხაზური მხარე, რომელსაც რუსეთი ეხმარებოდა, თანდათანობით ქართველებს გაუთანაბრდა და 1992 წლის ბოლოსთვის მხარეები მდინარე გუმისთის გასწვრივ საომარ მოქმედებებში ჩაებნენ. რუსეთის რეგულარული საჰაერო სამხედრო ნაწილების მიერ სოხუმის ყოველდღიურმა დაბომბვებმა მშვიდობიან მოსახლეობაში მნიშვნელოვანი მსხვერპლი გამოიწვია. 1992 წლის დეკემბრის ბოლოს აფხაზებმა აღადგინეს კონტროლი მდინარე გუმისთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მთელს ტერიტორიაზე, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მთელს იმ მთიანეთზე, რომელიც სოხუმის ჩრდილოეთით რუსეთის საზღვრებამდე იყო გადაჭიმული. მდინარე გუმისთასთან შეიარაღებული მოქმედებები 1992 წლის დეკემბრიდან 1993 წლის ივლისამდე გაგრძელდა. აფხაზი სეპარატისტებისა და უხცო ქვეყნის მებრძოლების მიერ რამდენიმე წარუმატებელი თავდასხმისა და ქართული მხარის ერთი მნიშვნელოვანი კონტრშეტევის მიუხედავად, მხარეები პოზიციებს ინარჩუნებდნენ. აფხაზთა თავდასხმების შუალედებში, საომარი მოქმედებები გუმისთის ფრონტზე არ შეწყვეტილა. იმ პერიოდში სოხუმში გამაგრებული იყვნენ ქართველები, ხოლო გუმისთის ჩრდილო-დასავლეთს, გუდაუთის ჩათვლით, აფხაზები აკონტროლებდნენ. მალე შეიარაღებული მოქმედებები ჩიხში მოექცა. ორივე მხარე საარტილერიო ჭურვებითა და განუწყვეტელი სარაკეტო დარტყმებით მონიშნაღმდეგე მხარის გაენადგურებას ცდილობდა. დისტანციური საარტილერიო და სარაკეტო დუელის შედეგად ყველაზე მეტად სოხუმის სამოქალაქო მოსახლეობა დაზარალდა²⁷⁴.

272. Violations of the Laws of War and Russia's Role in the Conflict, Human Rights Watch Arms Project, March 1995, Human Rights Watch/Helsinki, p. 25.

273. Violations of the Laws of War and Russia's Role in the Conflict, Human Rights Watch Arms Project, March 1995, Human Rights Watch/Helsinki, p. 7.

274. Violations of the Laws of War and Russia's Role in the Conflict, Human Rights

ამავდროულად აფხაზური ძალები ტყვეარჩელზე და რამდენიმე სხვა განაპირა მთიან დასახლებულ პუნქტზე კონტროლს განაგრძობდნენ. პარალელურად აფხაზები აგრძელებდნენ ქართულ ჯვართან ბრძოლას სოხუმის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ოჩამჩირის რაიონზე კონტროლის მოსაპოვებლად²⁷⁵.

რუსეთის სამხედრო ფორმირებების უშუალო მონაწილეობით, რუსული შეიარაღებისა და ლოგისტიკის წყალობით აფხაზურმა ძალებმა სცადეს სოხუმის აღება, რისთვისაც განახორციელა სამი კარგად მომზადებული, მაგრამ აფხაზური მხარისთვის წარუმატებელი შეტევა (იხ. აქვე, ნაწილი II.3).

პირველი თავდასხმა განხორციელდა 1993 წლის 5 იანვარს დილით, როდესაც აფხაზურმა ძალებმა სცადეს მდინარე გუმისთის ფრონტალური გადალახვა და ასევე ზღვიდან შეტევის განხორციელება. თავდასხმის შედეგად აფხაზებმა მოახერხეს სოფელ აჩადარის მიმართულებით მდინარე გუმისთის ფრონტის ხაზის გარღვევა. მიუხედავად ამისა, იმავე დილას ქართველებმა შეძლეს გადაჯგუფება და აფხაზური ძალების უკუქცევა²⁷⁶.

მეორე შეტევა მდინარე გუმისთასთან 1993 წლის მარტის შუა რიცხვებში განხორციელდა. აფხაზებმა სცადეს მდინარე გუმისთასთან არსებული ფრონტის ხაზის გარღვევა, მაგრამ მათი მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა²⁷⁷.

1993 წლის 1 ივლისს იწყება მესამე შეტევა. იგი გულისხმობდა ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით დარტყმების განხორციელებას. სოხუმის სამხრეთით მდებარე ზღვისპირა სოფელ ტამიშთან გადმოსხმულმა რუსულმა დესანტმა სეპარატისტებთან ერთად ქართველები ერთდროულად ორი მხრიდან განხორციელებულ საომარ მოქმედებებში ჩაითრია, როგორც ამის შესახებ ზემოთ უკვე საუბარი (იხ. აქვე ნაწილი II.3). რამდენიმე დღიანი გამძვინვარებული ბრძოლის შემდეგ ქართველებმა დესანტი გაანადგურეს, სამაგიეროდ სეპარატისტებმა ქალაქ სოხუმის ჩრდილოეთით განლაგებული სტრატეგიული მალაღმთიანი დასახლებული პუნქტების ახალშენისა და შრომის დაკავება მოახერხეს.

1993 წლის ივლისის ბოლოს კიდევ იყო სოხუმის აღების რამდენიმე უშედეგო მცდელობა. საომარი მოქმედებები გრძელდებოდა

Watch Arms Project, March 1995, Human Rights Watch/Helsinki, pp. 7, 32-33.

275. Violations of the Laws of War and Russia's Role in the Conflict, Human Rights Watch Arms Project, March 1995, Human Rights Watch/Helsinki, p. 32.

276. Violations of the Laws of War and Russia's Role in the Conflict, Human Rights Watch Arms Project, March 1995, Human Rights Watch/Helsinki, p. 35.

277. Violations of the Laws of War and Russia's Role in the Conflict, Human Rights Watch Arms Project, March 1995, Human Rights Watch/Helsinki, p. 35.

ოჩამჩირეში, ასევე ტყვარჩელის მიმართულებით, რომელიც კვლავ ქართველების ბლოკადაში რჩებოდა²⁷⁸.

1993 წლის 27 ივლისს ორივე მხარე ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდა. ცეცხლის შეწყვეტის პირობები სოხუმიდან და აფხაზეთიდან მძიმე შეიარაღების გატანას ითვალისწინებდა. გაეროს უშიშროების საბჭოს 1993 წლის 6 აგვისტოს №854-ე რეზოლუციის („მდგომარეობა საქართველოში“) თანახმად, ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე შეთანხმების მონიტორინგის განსახორციელებლად გაეროს 50 დამკვირვებელი ჩამოვიდა. ქართულმა მხარემ პირნათლად შეასრულა შეთანხმების პირობები, თუმცა 1993 წლის 16 სექტემბერს აფხაზურმა ძალებმა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება დაარღვიეს და ყველა ფრონტზე საომარი მოქმედებები განაახლეს, ერთდროული იერიში მიიტანეს სოხუმზე, ოჩამჩირეზე და ტყვარჩელზე. აფხაზი სეპარატისტები საომარი მოქმედებების განახლებას იმით ამართლებდნენ, რომ ქართველებმა კონფლიქტის ზონიდან შეიარაღება და სამხედრო ძალები არ გაიყვანეს, რაც სიმაართლეს არ შეეფერებოდა. ეს იქიდანაც ირკვევა, რომ საომარი მოქმედებების განახლების მომენტში ქართულ მხარეს მძიმე ტექნიკა არ აღმოაჩნდა²⁷⁹.

20-21 სექტემბრისთვის აფხაზთა მხარეს მეზობლმა უცხო ქვეყნების შეიარაღებულმა ძალებმა სოხუმის შემოგარენს მიაღწიეს და ქალაქი ალყაში მოაქციეს. ქართულმა სამხედრო შენაერთებმა სეპარატისტების შემოთავაზებაზე მათთვის სპეციალურად გახსნილი კორიდორის მეშვეობით ქალაქის დატოვების შესახებ უარი თქვეს. ქალაქზე კონტროლის მოსაპოვებლად ბრძოლა გაგრძელდა. სოხუმში მყოფ ქართულ მხარესთან დაკავშირების ერთადერთ საშუალებად სოხუმის აეროპორტი რჩებოდა. როგორც პრესა იუწყებოდა, შავ ზღვაში მყოფი რუსეთის სამხედრო გემებიდან გასროლილი სტინგერის ტიპის სითბური რაკეტებით სეპარატისტებმა სამოქალაქო თვითმფრინავები ჩამოაგდეს. 21 სექტემბერს ტუ-134 ტიპის თვითმფრინავის ჩამოგდებას 28 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ქართული მხარის განცხადებით, 22 სექტემბერს განხორციელდა მეორე თავდასხმა ტუ-154 ტიპის სამგზავრო თვითმფრინავზე, რომლის შედეგადაც 93 ადამიანი დაიღუპა.

1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა. ათეულობით ათასი ქართველი საზღვაო საშაულებებით იქნა ევაკუირებული. კიდევ მრავალმა ათეულობით ათასმა ადამიანმა აფხაზეთის ტერიტორია სამხრეთ – აღმოსავლეთის მიმართულებით ოჩამჩირის, გალისა და სამეგრელოს გავლით დატოვა. დევნილთა ძირითადმა ნაკადმა

278. Violations of the Laws of War and Russia's Role in the Conflict, Human Rights Watch Arms Project, March 1995, Human Rights Watch/Helsinki, p. 39.

279. Violations of the Laws of War and Russia's Role in the Conflict, Human Rights Watch Arms Project, March 1995, Human Rights Watch/Helsinki, pp. 7, 41.

სამშვიდობოს გაღწევა სოხუმის აღმოსავლეთით კავკასიის მთების – მთიანი სვანეთის გავლით სცადა, სადაც ბევრი ადამიანი შიმშილისა და მძიმე კლიმატური პირობების გამო დაიღუპა. 1993 წლის 30 სექტემბერი აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების ოფიციალურ დღედ ითვლება, თუმცა შეტაკებები აფხაზეთის ტერიტორიაზე შემდგომ თვეებშიც და წლებშიც გრძელდებოდა²⁸⁰.

აფხაზურმა სამხედრო ფორმირებებმა კონტროლი აფხაზეთის რეგიონის თითქმის მთელს ტერიტორიაზე დაამყარეს და *status quo ante bellum* (ომამდე არსებულ) მდგომარეობას დაუბრუნდნენ.

სამშვიდობო მოლაპარაკებების პირველი რაუნდის შემდეგ, 1993 წლის 1 დეკემბერს ქართულმა და აფხაზურმა მხარემ ხელი მოაწერეს ურთიერთ გაგების შეთანხმებას. მიუხედავად საომარი მოქმედებების ფორმალურად შეწყვეტისა, საბრძოლო მოქმედებები 1994 წლის თებერვალ-მარტში გალის რეგიონში განახლდა. ასევე ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შეტაკება ადგილობრივ მოსახლეობასთან მიმდინარეობდა, რადგანაც ბევრი იძულებით გადაადგილებული ქართველი შეეცადა თავიანთ სახლებში დაბრუნებას. გალის რეგიონში სეპარატისტებმა ქართველთა კუთვნილი სახლები გადაწვეს, რაც მიზნად ისახავდა ეთნიკური ქართველების გალში დაბრუნების პროცესის შეკავებას²⁸¹.

1994 წლის განმავლობაში გაეროს ეგიდით წარმოებდა მოლაპარაკებები, რათა მიეღწიათ შეთანხმებისთვის აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის, აფხაზეთის ტერიტორიაზე შეიარაღებული შეტაკებების შეწყვეტის, იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების საკითხებზე. ქართველები, აფხაზები, რუსები და გაეროს წარმომადგენლები რეგულარულად მონაწილეობდნენ აღნიშნულ მოლაპარაკებებში. 1994 წლის ივნისში რუსი მშვიდობისმყოფელები დსთ-ს ეგიდით კონფლიქტის ზონაში შევიდნენ, განაღმვითი სამუშაოები ჩაატარეს და მდინარე ენგურის გასწვრივ უსაფრთხო დერეფანი გახსნეს. 1994 წლის შემოდგომიდან გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი ზედამხედველობას უწევდა აფხაზეთის ტერიტორიაზე დაახლოებით 200 000-მდე იძულებით გადაადგილებული პირის დაბრუნების პროცესს, რომელიც 1994 წლის ბოლოს შეჩერდა, რადგანაც უმაღლესი კომისრის ოფისმა უკმაყოფილება გამოხატა დაბრუნებულთა უსაფრთხოების გარანტიების არარსებობის გამო, როგორც ამას გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია ითვალისწინებდა²⁸².

280. Violations of the Laws of War and Russia's Role in the Conflict, Human Rights Watch Arms Project, March 1995, Human Rights Watch/Helsinki, p. 7.

281. Violations of the Laws of War and Russia's Role in the Conflict, Human Rights Watch Arms Project, March 1995, Human Rights Watch/Helsinki.

282. Violations of the Laws of War and Russia's Role in the Conflict, Human Rights

საქართველოს პარლამენტის მიერ უფლებამოსილება შეწყვეტილი, შესაბამისად, არალეგიტიმური აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სეპარატისტულმა ნაწილმა 1994 წლის 26 ნოემბერს ცალმხრივად მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც აფხაზეთი „დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“ გამოცხადდა, „პრეზიდენტად“ კი ვლადისლავ არძინბა აირჩა. 1994 წლის 6 დეკემბერს მოხდა მისი „ინაუგურაცია“.²⁸³ აღნიშნული გადაწყვეტილებები როგორც საქართველომ, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებმაც იურიდიული ძალის არმქონედ გამოაცხადეს.

1996 წლის 19 იანვარს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნების მეთაურთა საბჭომ²⁸⁴, რომლის მიერ დამტკიცებული სამშვიდობო მანდატიც აფხაზეთში იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო და ღირსეულ დაბრუნებას ითვალისწინებდა, მიიღო გადაწყვეტილება „აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოგვარებისათვის საჭირო ზომების შესახებ“. სხვა საკითხებთან ერთად, გადაწყვეტილება მოითხოვდა ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაუყოვნებლივ, უპირობო და ღირსეულ დაბრუნებას.

დსთ-ს მეთაურთა საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად და რუსული სამშვიდობო ძალების წინასწარ საქმის კურსში ჩაყენების შემდეგ, 1998 წლის მაისში ქართული სამხედრო ნაწილები გალის რეგიონში შევიდნენ. მათ ამოცანას იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო დაბრუნების უზრუნველყოფა წარმოადგენდა. ქართულ სამხედრო ძალებს შიარალებული წინააღმდეგობა გაუწიეს რუსულმა სამშვიდობო ძალებმა და აიძულეს იგი დაეტოვებინათ აფხაზეთის ტერიტორია. რუს სამშვიდობოებთან ერთად ბრძოლებში ჩაერთნენ აფხაზური სამხედრო ფორმირებებიც. მათ ერთობლივად განახორციელეს ფართომასშტაბიანი დანაშაულებრივი ქმედებები ქართველი სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ.

სამხედრო მოქმედებებში მონაწილე მხარეები. ა) ქართული სამხედრო ძალები. 1992 წლის აგვისტოსთვის, როდესაც აფხაზეთში საომარი მოქმედებები დაიწყო, საქართველოს შეიარაღებული ძალები საქართველოს ეროვნული გვარდიისა და გასამხედროებული ორგანიზაცია მხედრიონის დანაყოფებისგან შედგებოდა. შესაბამისად, ეროვნული გვარდია თენგიზ კიტოვანის მეთაურობით და მხედრიონი ჯაბა იოსელიანის მეთაურობით იყვნენ ის ძირითადი ერთეულები, რომლებიც აფხაზეთის კონფლიქტის დროს რეალურ

Watch Arms Project, March 1995, Human Rights Watch/Helsinki, pp. 6-7.

283. Violations of the Laws of War and Russia's Role in the Conflict, Human Rights Watch Arms Project, March 1995, Human Rights Watch/Helsinki, p. 7.

284. Abkhazia: Ways Forward, International Crisis Group Europe Report N°179, 18 January 2007, p. 13.

სამხედრო ძალას ფლობდნენ. მათ კოორდინაციას საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ახდენდა. შეიარაღებული კონფლიქტის პირველ ეტაპზე თავდაცვის მინისტრის პოსტი თენგიზ კიტოვანს, ხოლო შემდგომ პერიოდში გიორგი ყარყარაშვილს ეკავა. საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი იყო საქართველოს სახელმწიფო მეთაური ედუარდ შევარდნაძე.

ბ) აფხაზური სამხედრო ძალები. ჯერ კიდევ შეიარაღებული კონფლიქტის გაჩაღებამდე, 1992 წლის დასაწყისში, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელმა ვლადისლავ არძინბამ უკანონოდ ჩამოაყალიბა შეიარაღებული ფორმირება, რომელსაც აფხაზეთის ეროვნული გვარდია ეწოდებოდა. კონფლიქტის დაწყების შემდეგ, 1992 წლის ოქტომბერში, ეროვნული გვარდიის ბაზაზე ოფიციალურად დაარსდა თავდაცვის სამინისტრო და აფხაზთა შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი. ვ. არძინბა ე. წ. სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის ხელმძღვანელი და აფხაზური ჯარის მთავარსარდალი გახდა. შესაბამისად, შეიარაღებული კონფლიქტის დროს აფხაზთა მხრიდან საომარ მოქმედებებში მონაწილე მთავარი მხარე იყო მათი შეიარაღებული ფორმირებები.

გ) დაქირავებულები და მოხალისეები. აფხაზეთის კონფლიქტში აქტიურად მონაწილეობდნენ მთიელ ხალხთა კონფედერაციის მებრძოლები – რუსეთის მოქალაქეები. კონფედერაცია შედგებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ეთნიკური და რეგიონული ჯგუფების კოალიციისგან, რომელმაც აფხაზეთში კონფლიქტის დაწყების პირველივე დღიდანვე, ოფიციალურ რუსეთთან ერთად, აფხაზთა მხარე დაიჭირა. საომარ მოქმედებებში ასევე მონაწილეობას იღებდნენ თურქეთიდან, სირიიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ეთნიკური აფხაზები.²⁸⁵

დიდი რაოდენობით დაქირავებულები ჩამოვიდნენ რუსეთის შიდა რეგიონებიდან, რომლებსაც კონფლიქტის დაწყებამდე აფხაზეთთან არაფერი აკავშირებდათ. ზოგიერთი რუსი მებრძოლი პროფესიონალი სამხედრო გახლდათ. ისინი ფინანსდებოდნენ და კონფლიქტის ზონაში იგზავნებოდნენ რუსეთის კონკრეტული ცენტრალური თუ

285. მონმე ასლან მახტევის ჩვენებით, იგი გროზნოდან ჩამოვიდა, ელდარ ხაირულინი – თათრეთიდან და მაგამედ მაგამედოვი კი – დაღესტნიდან. სამივე პირი გულდაუთამი ჩავიდა, სადაც სამხედრო ფორმები და სამხედრო აღჭურვილობა მიიღეს. შტაბის უფროსმა მათ უთხრა, რომ ომის შემდეგ შეეძლოთ აფხაზეთში დარჩენა, სადაც მიიღებდნენ მინას, სახლებს, მისცემდნენ აფხაზეთში ცხოვრების ნებართვას და ასევე სხვა აუცილებელ დახმარებას აღმოუჩენდნენ. აფხაზეთში ჩასვლისთანავე ისინი შეხვდნენ მათსავით იქ ჩასულ თურქეთის 40 და სირიის 9 მოქალაქეს. Violations of the Laws of War and Russia's Role in the Conflict, Human Rights Watch Arms Project, March 1995, Human Rights Watch/Helsinki.

ადგილობრივი სამთავრობო სტრუქტურების მიერ. ასევე კონფლიქტის ზონაში მოხალისედ ბევრი კაზაკი ჩამოვიდა.²⁸⁶

მოსკოვში, სანქტ პეტერბურგში, კრასნოდარში, სტავროპოლსა და რუსეთის ფედერაციის სხვა ქალაქებში, ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიური რეგიონების ჩათვლით, შეიქმნა მრავალი სამობილიზაციო პუნქტი, სადაც ხდებოდა აფხაზეთში საომრად გასაგზავნი მოხალისეების რეგისტრაცია. აღნიშნული რეგიონების ოფიციალური პირები, ისევე როგორც კრემლი, სრულ ლოიალობას და მხარდაჭერას უცხადებდნენ აფხაზ სეპარატისტებს. ერთ-ერთი ასეთი სამობილიზაციო პუნქტი რუსეთის ქალაქ ადლერში მდებარე სანატორიუმ „ზელიონაია რომა“-ში ფუნქციონირებდა. რუსეთის სახელისუფლებო სტრუქტურები აღნიშნული პუნქტებიდან ახდენდნენ დაქირავებულთა სისტემატურ და ორგანიზებულ შეგზავნას აფხაზეთში. დაქირავებულები იყვნენ კარგად გაწვრთნილი და ავღანეთის პარტიზანულ ომებში გამოცდილი პირები. საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ფეგუფმა აფხაზეთის კონფლიქტში მონაწილე დაქირავებულთა გრძელი სია შეადგინა.²⁸⁷

დ) რუსეთის ფედერაცია და მისი შეიარაღებული ძალები. აფხაზეთში კონფლიქტს კიდევ უფრო ამწვავებდა მასში სეპარატისტთა მხარეზე რუსეთის ფედერაციის ჩართულობა. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად რუსეთი მხარს უჭერდა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას, რუსეთის შეიარაღება აფხაზების ხელში აღმოჩნდა;²⁸⁸ ქართველების მიერ კონტროლირებად

286. Violations of the Laws of War and Russia's Role in the Conflict, Human Rights Watch Arms Project, March 1995, Human Rights Watch/Helsinki.

287. საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ შედგენილ ანგარიშში ნათქვამია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ დანაშაულების ჩადენა ხდებოდა 1992-დან 1999 წლამდე პერიოდში. დაქირავებულები პირდაპირ მონაწილეობდნენ აფხაზეთის შეიარაღებულ კონფლიქტში. მაგალითად, ბორის აკულევიჩი, რეზერვში მყოფი პოლკოვნიკი, რომელიც საბჭოთა არმიის რიგებში მსახურობდა, თავის დროზე ანგოლაში, სირიასა და ავღანეთში იბრძოდა; რუსეთის საჰაერო ძალების კაპიტანი მიხეილ ბონდარენკო 1993 წლის 16 მარტს სოხუმზე განხორციელებულ საჰაერო თავდასხმას ხელმძღვანელობდა; იგორ ლუნევი აფხაზეთში 32 რუს, ჩეჩენ და ადიღე დაქირავებულთან ერთად ჩავიდა; ნიკოლაი ნოვიჩენკოს ჩვენების მიხედვით, როცა მან მოსკოვში შეიტყო, რომ აფხაზები სამხედროებს აგროვებდნენ, იგი ოთხ სამხედროსთან ერთად აფხაზეთში ჩავიდა; შამილ ბასაევი და მისი ხალხი სამოქალაქო მოსახლეობის, მოხუცებულთა, ქალებისა და ბავშვების წამებით და მკვლელობით გამოირჩეოდნენ; მთლიელ ხალხთა კონფედერაციის ლიდერი მუსა შანიბოვი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა დაქირავებულთა რეკრუტირებასა და მათ დაფინანსებაში.

288. Tamaz Nadareishvili, Genocide in Abkhazia, second edition, Tbilisi, AZRI publishers, 1999, p. 74.

ტერიტორიებზე რუსეთის თვითმფრინავები ზომბავდნენ ქართულ სამოქალაქო მოსახლეობას; რუსეთის სამხედრო გემებიდან იბომბებოდა ქართველების მიერ კონტროლირებადი სოხუმი, ხოლო ქალაქ ტყვარჩელს რუსეთის მიერ განვრთნილი და დაქირავებული მეზობლები აკონტროლებდნენ.²⁸⁹

Human Rights Watch-მა თავის ანგარიშში ხაზი გაუსვა, საომარი მოქმედებების დროს მანამდე მსუბუქად შეიარაღებული აფხაზების ხელში 1992 წლის ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდში უკვე ჯავშან-ტექნიკის, ტანკებისა და მძიმე არტილერიის მობილიზებას. ასეთი ცვლილება შეიარაღებაში საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ რუსეთის სამხედრო ძალების ზოგიერთი ქვედანაყოფი აფხაზებს საბრძოლო ტექნიკით ამარაგებდა. იმის გათვალისწინებით, რომ ქართული მხარე აფხაზებს არ მოამარაგებდა, ცხადია, რომ სეპარატისტებისთვის იარაღისა და ტექნიკის მიწოდების ერთადერთ წყაროდ რუსეთი რჩებოდა.²⁹⁰

კონფლიქტში რუსეთის მონაწილეობა უფრო აშკარა გახდა 1993 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში. რამდენიმე შეტაკებაში რუსეთის ოფიციალური შეიარაღებული ძალები პირდაპირ იყვნენ ჩაბმული საომარ მოქმედებებში. რუსეთი აფხაზებს ასევე ლოგისტიკურ დახმარებას უწევდა და საბრძოლო მასალით ამარაგებდა.²⁹¹

1993 წლის 20 თებერვალს რუსეთის თავდაცვის მინისტრმა, „შურისძიების“ მიზნით, სოხუმის დასაბომბად სუ-25 ტიპის ბომბდამშენი გაგზავნა. 1993 წელს გაზეთ *Foreign Policy*-ში დაიბეჭდა სტატია, სადაც რუსეთის თავდაცვის მინისტრმა პაველ გრაჩოვმა აღიარა, რომ რუსეთის მიერ განხორციელებული საჰაერო თავდასხმა იყო სამაგიეროს გადახდა იმის გამო, რომ ქართველებმა მდინარე გუმისთის ჩრდილოეთით მდებარე რუსეთის თავდაცვის სამინისტროს კვლევითი ცენტრი და სამხედრო ბაზა დაბომბეს.²⁹² „ამერიკელმა ჟურნალისტმა თომას გოლცმა, რომელიც თავად შეესწრო საჰაერო თავდასხმას, აღნიშნა რომ საჰაერო რეიდის დროს სუ-25 ტიპის

289. Violations of the Laws of War and Russia's Role in the Conflict, Human Rights Watch Arms Project, March 1995, Human Rights Watch/Helsinki.

290. Violations of the Laws of War and Russia's Role in the Conflict, Human Rights Watch Arms Project, March 1995, Human Rights Watch/Helsinki.

291. Violations of the Laws of War and Russia's Role in the Conflict, Human Rights Watch Arms Project, March 1995, Human Rights Watch/Helsinki, p. 37.

292. Thomas Goltz, „Letter from Eurasia: The Hidden Russian Hand“, *Foreign Policy*, no. 92, Fall 1993, p. 107, cited in Violations of the Laws of War and Russia's Role in the Conflict, Human Rights Watch Arms Project, March 1995, Human Rights Watch/Helsinki, p. 37.

მოიერიშე თვითმფრინავმა 0.5 ტონიანი ბომბი ჩამოაგდო, რითაც მიწასთან გაასწორა ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი და ირგვლივ ოთხი შენობა [...] კი სანახევროდ დაინგრა. აღნიშნულის შემდეგ თვითმფრინავმა გასროლები ავტომატური იარაღიდან განახორციელა²⁹³. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამ დაბომბვის შედეგად მიყენებული ზიანი სინამდვილეში ბევრად მეტი აღმოჩნდა.

რუსეთის ინტერესი და საომარ მოქმედებებში მისი პირდაპირი ჩართულობა გენერალური პროკურატურის მიერ შეგროვებული რიგი ფაქტებით დასტურდება. მაგალითად, 1993 წლის 11 მაისიდან 10 ივლისის ჩათვლით, შეიარაღებული ძალების სპეციალური ქვედანაყოფი სახელწოდებით „დელფინი“, რომელსაც კაპიტანი პიმენოვი მეთაურობდა, ტყვარჩელში აფხაზი ბოვეიკების მხარეზე საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად გაიგზავნა. იგი რუსეთის ფედერაციის მიერ კონტროლირებადი დნესტრისპირეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დეპარტამენტის შემადგენლობაში შედიოდა. კაპიტანი პიმენოვი ანგარიშვალდებული იყო დნესტრისპირეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის გენერალ-მაიორ ნიკოლაი მატვეევის წინაშე. 1993 წლის 24 მაისს ნ. მატვეევმა მიიღო „დელფინის“ ანგარიში, სადაც სოფელ ჩლოუს მაცხოვრებლის გურამ ჯოპუასა და კიდევ შვიდი ქართველი ეროვნების სამოქალაქო პირის ტყვარჩელში ავტომატური იარაღით განადგურების შესახებ მოახსენებდნენ²⁹⁴.

1993 წლის 19 მარტს რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავმა სუ-27 დაარღვია საქართველოს საჰაერო სივრცე, რის გამოც იგი ქართველებმა ჩამოაგდეს. თვითმფრინავი რუსეთის ფედერაციის სიმბოლოებს ატარებდა და კარგად იყო აღჭურვილი საიერიშო თავდასხმებისთვის. როგორც დალუპული მფრინავის საბუთები ადასტურებდა, იგი იყო მაიორი შიპკო, რომელიც როსტოვის ოლქის ქალაქ კუსკოვოში რუსეთის საჰაერო ძალების ერთ-ერთი ქვედანაყოფის მეთაურად მსახურობდა. დოკუმენტებიდან ასევე ირკვეოდა, რომ იგივე მფრინავი 1993 წლის 11 მარტიდან გუდაუთაში იყო მივლინებული²⁹⁵.

293. Georgia/Abkhazia: Violations of the Laws of War and Russia's Role in the Conflict, Human Rights Watch Arms Project, March 1995, Human Rights Watch/Helsinki.

294. Tamaz Nadareishvili. Genocide in Abkhazia, second edition, Tbilisi, AZRI publishers, 1999, pp. 56-61.

295. Thomas Goltz, „Letter from Eurasia: The Hidden Russian Hand“, *Foreign Policy*, no. 92, Fall 1993, p. 108, cited in Violations of the Laws of War and Russia's Role in the Conflict, Human Rights Watch Arms Project, March 1995, Human Rights Watch/Helsinki, p. 37.

თავის ანგარიშში Human Rights Watch-მა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალების წარმომადგენლების აფხაზეთში მივლინება მოსკოვში რუსეთის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლების მიერ იყო სანქცირებული²⁹⁶.

III.3. ფაქტები

აფხაზეთის ტერიტორიაზე მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტის დროს, რომელიც 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო და ოფიციალურად 1993 წლის 30 სექტემბერს დასრულდა, განსაკუთრებით მძიმე და მასშტაბურ დანაშაულთა მთელი სერია აფხაზეთში მცხოვრები ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ იქნა ჩადენილი. დანაშაულებს მასობრივად ჩაიოდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ექვსივე რაიონში. მათი პირველი ტალღა გუდაუთის რაონში დაიწყო და 1992 წლის 14 აგვისტოდან 2 ოქტომბრამდე პერიოდს მოიცავდა. დანაშაულთა ჩადენა გაგრძელდა გაგრის რაიონში 1992 წლის 2 ოქტომბრიდან 1993 წლის 16 სექტემბრამდე პერიოდში; შემდეგ გავრცელდა სოხუმის, სოხუმის რაიონის, ოჩამჩირისა და გალის რაიონებში და 1993 წლის 16 სექტემბრიდან 1993 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდში მიმდინარეობდა. საგულისხმოა, რომ ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ დანაშაულთა ჩადენა შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდეგაც გაგრძელდა. კონფლიქტის დასრულების შემდგომ წლებში აფხაზების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დარჩენილ ქართველ სამოქალაქო მოსახლეობას სისტემატურად ხოცავდნენ. 1998 წლის 20 მაისს კი დანაშაულთა მეორე ტალღა გალის რეგიონში დაიწყო. ადგილობრივი მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ დანაშაულს რუსულ ჯარებს ამოფარებული სეპარატისტები ჩადიოდნენ.²⁹⁷

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ და მთავრობამ აფხაზეთის კონფლიქტის დროს დანაშაულთა შედეგად დაღუპულ პირთა ერთიანი სია შეადგინეს.²⁹⁸ სიის თანახმად,

296. Georgia/Abkhazia: Violations of the Laws of War and Russia's Role in the Conflict, Human Rights Watch Arms Project, March 1995, Human Rights Watch/Helsinki.

297. S/RES/1187 (1998) – 30 July 1998; Update no. 98/01 on ICRC activities in Georgia; *Yearbook of the United Nations 1998*, p. 394.

298. ერთიანი სია შედგენილია რაიონების, ქალაქებისა და სოფლების მიხედვით (იხ. აქვე, ნაწილი IV). იგი შეიცავს ინფორმაციას გარდაცვლილთა სახელის, ასაკის, სქესის, საცხოვრებელი ადგილის, გარდაცვალების გარემოებების შესახებ. გარდაცვლილთა სია ეყრდნობა მონმეთა ჩვენებებს, თუმცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო გამოთქვამს მოსაზრებას, რომ გარდაცვლილთა რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე ეს სიაშია მითითებული. ამის ერთ-ერთი მთა-

კონფლიქტის დროს და მისი დასრულების შემდეგ მთლიანად აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები 5.000-ზე მეტი ეთნიკური ქართველი იქნა მოკლული, აქედან 473 – გაგრის რაიონში, 409 – სოხუმის რაიონში, 1213 – ქალაქ სოხუმში, 763 – გულრიფშის რაიონში, 732 – ოჩამჩირის რაიონში, 1272 – გალის რაიონში, 136 – გუდაუთის რაიონში და 26 – ქალაქ ტყვარჩელში. გარდაცვლილთა 50%-ზე მეტი მოხუცებული იყო, 70-ზე მეტი იყვნენ ბავშვები და 706 ქალი. უგზო უკვლოდ დაკარგულ პირთა ზუსტი რიცხვი დღემდე დაუდგენელია, თუმცა დღეის მდგომარეობით ქართველი ეროვნების დაახლოებით 263-მდე სამოქალაქო პირი დაკარგულად ითვლება.²⁹⁹

ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ მასიურად დანაშაულების ჩადენა მოხდა გაგრის დაცემის დღეს – 1992 წლის 2-3 ოქტომბერს; სოხუმის დაცემის დღეს – 1993 წლის 27 სექტემბერს, გალის დაცემის დღეს – 1993 წლის 29 სექტემბერს, აგრეთვე 1998 წლის 20 მაისს, როდესაც გალის რაიონში დანაშაულთა ჩადენის მეორე ტალღა დაიწყო. შესაბამისად, სამოქალაქო პირთა მკვლელობების ყველაზე დიდი მაჩვენებელი სწორედ ზემოთ მითითებულ პერიოდზე მოდის.

გაგრის რაიონი (1992 წლის 2 ოქტომბერი – 1993 წლის 16 სექტემბერი). 1992 წლიდან 1993 წალმდე პერიოდში გაგრის რაიონში 473 ადამიანი იქნა მოკლული, აქედან 112 ქალი და 361 კაცი.

გაგრის რაიონში სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მასიურად ჩადიდნენ დანაშაულს შემდეგ სოფლებსა და ქალაქებში: გაგრა, ალახაძე, ბიჭვინთა, ბზიფი, განთიადი, ხეივანი, კოლხიდა, ლესელიძე, სალხინო და ლიძავა.³⁰⁰ წამება, თავის მოკვეთა, ცოცხლად დაწვა, სხეულის დასახინჩრება, მათ შორის თვალების ამოთხრა, მოკვეთილი თავებით ფეხბურთის თამაში, ცოცხალ ადამიანზე ავტომანქანით გადავლა, გაუპატიურება, დახვრეცა ხდებოდა სისტემატურად. სეპარატისტები არ ინდობდნენ არც მოხუცებს და არც ქალებსა და ბავშვებს.

ქალაქი გაგრა. გაგრის დაცემის შემდეგ, 1992 წლის ოქტომბერში, ქალაქის სტადიონზე და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში ბოევიკებმა ქართული სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივი მკვლელობები განახორციელეს.

ვარი მიზეზი ის გახლავთ, რომ აფხაზმა მეომრებმა ქართველებით დასახლებული ზოგიერთი სოფელი ერთიანად ისე ამოწყვიტეს, რომ ინფორმაციის მომტანი მონაცემც არ დაუტოვებიათ, რაც შესაძლებლობას მოგვცემდა გარდაცვლილთა ზუსტი რაოდენობის დოკუმენტირება მოგვეხდინა.

299. იხ. ნაწილი IV.

300. იხ. ნაწილი IV. 1.

მონმე ხარაიშვილის ჩვენების თანახმად, სეპარატისტები გაგრის ქართულ მოსახლეობას აწამებდნენ. ისინი ძარცვავდნენ და არბევდნენ მათ ქონებას. სეპარატისტებმა საჯაროდ განაცხადეს, რომ ისინი მოკლავდნენ გაგრა-ლესელიძის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ეთნიკურ ქართველს, დანვაგდნენ ქართველთა სახლებს, ნიგნებს და ისტორიულ ძეგლებს. ასევე მოკლავდნენ ყველას, ვინც ქართველების დახმარებას და გადარჩენას შეეცდებოდა.³⁰¹

მონმე ნანა ჩალაძის ჩვენების თანახმად, ვლადისლავ არძინბამ ადგილობრივი ტელეარხის საშუალებით გააკეთა სატელევიზიო მიმართვა, რა დროსაც პირობა დადო, რომ გაგრის ალების შემთხვევაში აფხაზები, ჩეჩნები და კაზაკები ფულითა და მოკლული ქართველების სახლებით დაჯილდოვდებოდნენ. ამ პერიოდში ქალაქ გაგრაში დაახლოებით 30 ქართველი პოლიციელი იქნა მოკლული. ქართველი სამოქალაქო მოსახლეობა იძულებით სტადიონზე შეკრიბეს და დახვრიტეს.³⁰²

მონმე კონსტანტინე სიჭინავას თქმით, გაგრის ოკუპაციის შემდეგ, ქართული მოსახლეობა ქუჩებში ძალით გამოყარეს და დახოცეს. ნუგზარ გულორდავასთან და სხვა ქართველებთან ერთად, მონმე გუდაუთაში წაიყვანეს, სადაც ისინი აფხაზი სეპარატისტების შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ანქვაბმა დაკითხა. დაკითხვის შემდეგ გაგრაში დააბრუნეს და აიძულეს ქუჩებში მიმობნეული 48 ქართველის გვამის შეგროვება, რომლებიც შემდგომ მასობრივ საფლავში ჩაყარეს. გვამების შეგროვებასა და მათ დასაფლავებას ბზიფის პოლიციის უფროსი სტანისლავ აგრა ხელმძღვანელობდა.³⁰³

მონმე თამაზ ჯაფარიძემ განაცხადა, რომ 1992 წლის 7 ოქტომბერს იგი რამდენიმე ქართველთან ერთად აიძულეს გაგრის ქუჩებში 250 გარდაცვლილი ქართველის გვამი შეეგროვებინა. გარდაცვლილთა გვამები ოთხი სატვირთო ავტომანქანით გაიტანეს და შემდეგ მასობრივ საფლავში დამარხეს.³⁰⁴

მონმე ოთარ გობეჯიშვილის თქმით, გაგრის დაცემის მეორე დღეს მასობრივი სისხლისღვრა დაიწყო. ბოევიკები არ ინდობდნენ ორსულ ქალებსაც კი. ბოევიკები ფატრავდნენ ორსულების მუცლებს და წაყოფს ფეხით თელავდნენ.³⁰⁵

301. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, pp. 21-22.

302. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, pp. 23-24.

303. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, p. 23.

304. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, p. 23.

305. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, p. 24.

მონმე ლალი მასხარაშვილმა, რომელიც გაგრის საავადმყოფო-ში ექიმად მუშაობდა, განაცხადა, რომ აფხაზებმა მოიტანეს ახალ-გაზრდა გოგონას გვამი, რომელიც ორად იყო გაჭრილი. ექიმებმა გარდაცვლილის სხეულში იპოვეს შემდგი წერილი: „როგორც ამ გოგოს სხეულს ვერ შეაერთებთ, ისე ვერ გაერთიანდება საქართვე-ლო და აფხაზეთი“.³⁰⁶

აფხაზი ბოევიკები თავს დაესხნენ გაგრის საკურორტო დეპარ-ტემენტის უფროსის ალექსანდრე ბარამიას სახლს. თავდამსხმე-ლებმა ბარამიას ქალიშვილი გააპატიურეს, ხოლო მეუღლე აწამეს. შემდეგ კი ორივე ქალს თავი მოკვეთეს. თავდამსხმელებმა არც მამაკაცები დაინდეს – მოკლეს თავად ბარამია და მისი სტუმრები შალვა გვაზავა და ბორის კუცია.³⁰⁷

საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ აფხაზმა სეპარა-ტისტმა მებრძოლებმა დახვრიტეს აფხაზეთის ავტონომიური რეს-პუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მიხეილ ჯინჭარაძე.

გაგრაში მცხოვრებმა 17 000 ეთნიკურმა ქართველმა, რომე-ლიც დანაშაულებს გადაურჩა, მოსალოდნელი სიკვდილის შიშით აფხაზეთის ტერიტორია იძულებით დატოვა.

დაბა ლესელიძე. 1992 წლის 2 ოქტომბრიდან, როცა ოკუპან-ტები გაგრაში შემოვიდნენ, აფხაზმა ბოევიკებმა დაიწყეს აფხაზე-თის ქართული მოსახლეობის მასიური დარბევა. 5 ოქტომბერს დაბა ლესელიძეში ბოევიკებმა დაახლოებით 50 სამოქალაქო ქართველი აწამეს და ელექტრომავთულებზე ჩამოახრჩვეს.³⁰⁸

მკვლევლობებს საჯაროდ ჩადიდნენ და ოჯახის წევრებს აიძუ-ლებდნენ, მათი ახლობლების სიკვდილისთვის ეყურებინათ. ომარ ბუალავა მისი ოჯახის წევრების თვალწინ მოკლეს; ბორის კუცია – მეუღლის, ვლადიმერ ბენიძე – ქალიშვილის, გია ლლონტი მამის თანდასწრებით მოკლეს.³⁰⁹

65 წლის ვასილ სამხარაძე ქუჩაში დაატყვევეს და თავი მო-ჰკვეთეს. ბოევიკებმა სამხარაძის ნათესავენს მისი დასაფლავების ულება არ მისცეს და გვამი ქუჩაში დააგდეს, რათა დაუმარხავი გახრწნილიყო.³¹⁰

306. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, p. 24.

307. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, p. 22.

308. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999.

309. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, p. 21.

310. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, p. 21.

გიორგი ფიფიას ბოევიკებმა ჯერ ყურები მოაჭრეს, შემდეგ კი – ცხვირი.³¹¹

დაქირავებულებმა შოთა მგელაძე ტყვედ აიყვანეს, გაამიშველეს და მთელი ღამის განმავლობაში წყალში ყოფნა აიძულეს. ერთ-ერთმა მოძალადემ მას მხარზე ჭრილობა მიაყენა, ჭრილობიდან გამოდენილი სისხლით ჭიქა აავსო და ტყვეს საკუთარი სისხლის დაღვევა შესთავაზა. როცა მგელაძემ შეთავაზებაზე უარი განაცხადა, ბოევიკმა დამცინავად უთხრა: „არ გენყინოს ძმაო, მარტო შენს კი არა, ყველა ქართველის სისხლს დავლევ“-ო, რის შემდეგაც ბოევიკმა სისხლი დალია, თან დაიშუქრა, რომ თუ ქართველები აფხაზეთის ტერიტორიას არ დატოვებდნენ, ყველა მოკვდებოდა.³¹²

ლიძავა. თინა ბარკალაიას ჩვენებით, იგი ლიძავას მკვიდრის ცეზარ ქველიძის მკვლელობას შეესწრო. თავდაპირველად ბოევიკებმა ქველიძეს ცხვირი, ყურები და ერთი ფეხი მოაჭრეს; ამის შემდეგ იგი დახვრიტეს. იგივე მეთოდებით ბოევიკებმა 70 წლის ანდრო სიმონიშვილი მოკლეს.³¹³

მონმე ნათელა იაშვილის ჩვენებით, 1992 წლის სექტემბერში სოფელ ლიძავაში რვა შეიარაღებულმა აფხაზმა მისი მეუღლე სახლიდან გაიყვანა და მოკლა. იმავე დღეს მოკლეს სოფლის სხვა მაცხოვრებლებიც – ცოლ-ქმარი პეტრე და ციალა რაზმაძეები, მიტუმბ ბენდიაშვილი და ცოლ-ქმარი ლადო და ჯავარა ბენდიაშვილები.³¹⁴

იზა (ნანული) ჯოხაძე ბოევიკებმა ჯერ აიძულეს გახურებულ გაზქურაზე დამჯდარიყო, შემდეგ ორივე მკერდი მოაჭრეს, თვალები დათხარეს და, ბოლოს, მოკლეს.³¹⁵

ბზიფი. მონმე იონა გულბანის განცხადებით, 1992 წლის სექტემბრის ბოლოს სოფელ ბზიფში შეიარაღებული აფხაზები თავს დაესხნენ მის მეზობელ ოთარ არღვლიანს. შეიარაღებულმა პირებმა მისი სახლიდან ძალით გაიყვანეს მარგარიტა ხვისტანი, ჭიჭი ჩოჩხიანი, ძაძუ ჩოჩხიანი, ამირან ქალდანი, გივი კიკვიძე და სახლის ეზოში დახვრიტეს. დაახლოებით ოთხი თვის შემდეგ, 1993 წლის 16 იანვარს, ბოევიკებმა მონმის და – ნაზიკო გულბანი მოკლეს.³¹⁶

311. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, p. 21.

312. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, p. 22.

313. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, p. 22.

314. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, pp. 24-25.

315. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, pp. 24-25.

316. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the

1992 წლის სექტემბერში ბოევიკებმა სასტიკად აწამეს და მოკლეს უნარშეზღუდული ადამიანი – ეტლს მიჯაჭვული გიორგი აბრამიშვილი. მკვლელობის შემდეგ ბოევიკებმა გარდაცვლილს ხორცი მოაჭრეს, დაამარილეს, მისსავე ფეხსაცმელში ჩადეს და მოკლულის მელლეს გაუგზავნეს.³¹⁷

1993 წლის 27 ივლისის შეთანხმების შემდეგ სეპარატისტებმა აფხაზეთის ქართველ მოსახლეობაზე ფიზიკური და ფსიქიკური ზეწოლა გაააქტიურეს. ბზიფის მოსახლეობას პასპორტები ჩამოართვეს და მათი საცხოვრებელი სახლებიდან უკანონოდ ამოწერეს. მოკვლის მუქარით ბზიფის ქართული მოსახლეობა აიძულეს ხელი მოეწერათ საბუთებისთვის, რომლითაც ისინი საკუთარი საცხოვრებელი სახლების „ნებაცხოვრებით“ დატოვებაზე ვითომ თანხმობას აცხადებდნენ.³¹⁸

1993 წლის 9 აგვისტოს ბზიფის ქართველი მოსახლეობა მოკვლის მუქარით იძულებით ადღერის აეროპორტში გადაიყვანეს, სადაც მათ საკუთარი საცხოვრებელი ადგილებიდან ამოწერის დამადასტურებელი საბუთები დაურიგდათ. ბზიფიდან სულ 250 ოჯახი (დაახლოებით, 3000 ადამიანი) იქნა დეპორტირებული. კოტე კიკვიძე და მისი 12 წლის ქალიშვილი, ასევე ბევრი სხვა პირი დახვრიტეს იმის გამო, რომ მათ საკუთარი სახლების დატოვებაზე უარი განაცხადეს.³¹⁹

სოფელი კოლხიდა. მოწმე ხათუნა მეტრეველის განცხადებით, 1992 წლის 15 ოქტომბერს აფხაზი ბოევიკები თავს დაესხნენ მამამისის სახლს; მოწმის მამას ხელი მოაჭრეს, შემდეგ სიკვდილამდე აწამეს და ბოლოს მის სახლს ცეცხლი წაუკიდეს.³²⁰

ბიჭვინთა. სვეტლანა ძიძიგურის ჩვენებით, მისი რძალი ეთნიკური აფხაზი იყო, ამის გამო მისი ვაჟიშვილი იმედოვნებდა, რომ აფხაზები მას დაინდობდნენ. თუმცა 1993 წლის 27 იანვარს აფხაზთა შეიარაღებული ჯგუფი თავს დაესხა მათ სახლს და მოწმის შვილი მიხეილ ძიძიგური თან წაიყვანეს. მოგვიანებით, მ. ძიძიგურის გვამი ბიჭვინთის ტბასთან ახლოს იპოვეს. გვამს წამების აშკარა კვალი ეტყობოდა: მას გაფატრული ჰქონდა მუცელი და მისი შინაგანი ორგანოები გარეთ იყო გადმოყრილი, ორივე თვალი ამოთხრილი ჰქონდა ავტომატური იარაღიდან სროლის შედეგად.³²¹

period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, p. 24.

317. იხ. ნაწილი IV. 1.

318. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999.

319. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, pp. 22-23.

320. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, p. 25.

321. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the

გუდაუთის რაიონი (1992 წლის 14 აგვისტო-2 ოქტომბერი). გუდაუთის რაიონში სულ 137 ადამიანი იქნა მოკლული, მათ შორის 93 კაცი და 44 ქალი. ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევები ხდებოდა გუდაუთის რაიონის შემდეგ სოფლებსა და ქალაქებში: გუდაუთა, აბგარხუკი, ოთხარა, ახალსოფელი, პრიმორსკოე, ფსირცხა, აჩანდარა და ა. შ.³²²

დამანაშავე პირების მიერ დანაშაულის ჩადენისას გამოყენებული მეთოდები მოიცავდა წამებისა და დამცირების სხვადასხვა ფორმას, თავის მოკვეტას, ყელის გამოჭრას, ცოცხლად დამარხვას, წყალში დახრჩობას, სხეულის დასახიჩრებას, გაუპატიურებას, ჩამოხრჩობას, ტრაქტორით ცოცხალ ადამიანზე გადავლას და ა. შ.

ახალსოფელში 66 კაცი მოკლეს. სეპარატისტებმა დემონსტრაციულად, თანასოფლელების თავალწინ, 70 წლის ინდიკო გრძელიძეს გული ამოგლიჯეს. ელგუჯა მაისურაძე ასევე საჯაროდ – თანასოფლელების თვალწინ ცულით დაჩეხეს. სოფელ აბგარხუკში, 65 წლის ნიკოლოზ კვაბზიანიძე მოძრავ ტრაქტორს მიაბეს და ათრიეს სანამ არ მოკვდა.³²³

1993 წლის თებერვალში სოფელ ფსირცხაში 60 წლის ლამარა რუხაია-შმულოვიჩი აწამეს, შემდეგ კი იგი მეუღლესთან ვიქტორ შმულოვიჩთან, ძმა ვაჟა რუხაიასთან და ნათესავ ავთანდილ თორიასთან ერთად მოკლეს. ოთხივე გარდაცვლილი მეზობლებმა სახლის ეზოში დაკრძალეს. მოგვიანებით, ადგილობრივი სეპარატისტული ადმინისტრაციის დახმარებით, აღნიშნულ სახლში რუსული არმიის მალაჩინოსნები შესახლდნენ, რის შემდეგაც მოკლულთა გვამები ამოთხარეს და ზღვაში გადაყარეს.³²⁴

ქალაქი სოხუმი (1993 წლის 16 სექტემბერი – 1993 წლის 27 სექტემბერი). ქალაქ სოხუმში სულ 1213 სამოქალაქო ქართველი მოკლეს, აქედან 378 ქალი და 835 კაცი. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ჩადენილი დანაშაულები მოიცავს წამებას, ორსული ქალების წამების ჩათვლით, ადამიანების ცოცხლად დაწვას, ჩამოხრჩობას, დახრჩობას, ცოცხალ ადამიანზე ჯავშანტრასპორტორით გადავლას, სხეულის დასახიჩრებას, საჰაერო დაბომბვას, დახვრეტას და გაძევებას. დამანაშავე პირები არ ინდობდნენ მოხუცებს, უნარშეზღუდულებსა და ბავშვებს.

თვითმხილველთა განცხადებით, აფხაზმა სეპარატისტებმა სოხუმში მდებარე კურჩენკოს პარკში 400 ქართველი მოკლეს. 1993

period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, p. 25.

322. იხ. ნაწილი IV. 2.

323. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, p. 21.

324. იხ. ნაწილი IV. 2.

წელს რამდენიმე თვის განმავლობაში ქალაქ სოხუმის ძლიერი დაბომბვა მიმდინარეობდა,³²⁵ რის შედეგადაც 400-ზე მეტი სამოქალაქო პირი დაიღუპა. დაბომბვები ხორციელდებოდა ღამის საათებში, როდესაც ქალაქს ეძინა. დაბომბვების განსაკუთრებულ სამიზნეებს საცხოვრებელი უბნები, ბაზარი და ადამიანთა თავშეყრის სხვა ადგილები წარმოადგენდნენ.

1992 წლის 10 დეკემბერს რუსეთის საჰაერო ძალებმა სოხუმის მჭიდროდ დასახლებული უბნები დაბომბეს. 315 სამოქალაქო პირი დაიღუპა; 500-ზე მეტი შენობა დაინგრა, მათ შორის 12 საავადმყოფო, 42 სხვადასხვა დანიშნულების შენობა და კიდევ 17 შენობა, სადაც საგანმანათლებლო დაწესებულებები და კულტურული ცენტრები იყო განთავსებული.

1993 წლის 20 თებერვალს რუსეთის საჰაერო ძალებმა ქალაქ სოხუმში 0,5 ტონიანი ბომბი ჩამოაგდეს. 20 საცხოვრებელი სახლი დაინგრა და 9 სამოქალაქო პირი გარდაიცვალა.

1993 წლის 27 ივლისს რუსეთის „შუამავლობით“ ქართველებსა და სეპარატისტებს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ქართველებს აფხაზეთიდან სამხედრო შეიარაღება და არტილერია უნდა გაეტანათ. აფხაზმა სეპარატისტებმა ისარგებლეს ქართველების მიერ აღნიშნული ხელშეკრულების ფაქტობრივად ცალმხრივი შესრულებით და 1993 წლის 16 სექტემბერს განიარაღებული სოხუმისა და ოჩამჩირის დაბომბვები განაახლეს.

საგულისხმოა, რომ 1989 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით, ქალაქ სოხუმის მოსახლეობა 119 180 ადამიანს შეადგენდა, მათ შორის ეთნიკური ქართველების რაოდენობა 49 460-ს უდრიდა. სოხუმში მცხოვრებმა ქართველები, რომლებიც დანაშაულებს გადაურჩნენ, საკუთარი სიცოცხლის გადარჩენის მიზნით, სოხუმიდან გაიქცნენ.

ბაგრამიანის ბატალიონის³²⁶ შვიდმა ბოვეიკმა ქალაქ სოხუმში მცხოვრები 23 წლის მზია მ. გააუპატიურა და უგონოდ მიატოვა. ამის შემდეგ ბოვეიკებმა იქვე ახლოს ქეიფი გამართეს. როდესაც მზია მ. გონს მოვიდა, მან ავტომატური იარაღი აიღო და სამი მოძალადე მოკლა, ოთხი – დაჭრა. ამის შემდეგ მზია მ. მისმა მეზობელმა

325. რუსულ-აფხაზურმა ძალებმა სცადეს სოხუმის აღება, რისთვისაც 1993 წლის 5 იანვარს, 1993 წლის მარტის შუა რიცხვებში და 1 ივლისს ქალაქზე სამი ძლიერი შეტევა განახორციელეს, თუმცა ქალაქის აღება ვერ მოახერხეს. *See Violations of the Laws of War and Russia's Role in the Conflict*, Human Rights Watch Arms Project, March 1995, Human Rights Watch/Helsinki.

326. ბაგრამიანის ბატალიონი აფხაზეთში მცხოვრები ეთნიკური სომხების შემადგენლობით ჩამოყალიბდა. ბატალიონი აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს აფხაზი სეპარატისტების მხარეს იბრძოდა.

გადამალა, თუმცა მისი ადგილსამყოფელი ბაგრაშიანის ბატალიონის სხვა მეომრებმა მაინც იპოვეს, გოგონა ხელმეორედ გააუპატიურეს, თითები და ყურები მოაჭრეს, რის შემდეგაც მოკლეს.³²⁷

70 წლის შოთა ლაბარტყავამ აირ-გაზის სადგურის ეზოში რკინის კაუჭზე ჩამოკიდებული ახალგაზრა ქართველი კაცის ცხედარი შენიშნა შემდეგი წარწერით: „იყიდება ქართული ხორცი“.³²⁸

მონმე ეთერ ბერულავას განცხადებით, ბოევიკებმა ჯერ ავთანდილ დავითაიას სახლი დანვეს, შემდეგ იგი წამებით მოკლეს. ბოევიკებმა განსაკუთრებული სისასტიკით მოკლეს ოთარ ბერია და მისი ოჯახის ხუთი წევრი. 1993 წლის 29 სექტემბერს ბოევიკებმა აწამეს მიშა გახარია, ამირან კვარაცხელია, ვლადიმერ კალანდია და მისი მეუღლე, ასევე ჟორა და ბოშია კალანდიები და შემდეგ ისინი მოკლეს. მონმის ჩვენებით, მრავალი სხვა ადამიანი მსგავსი მეთოდებით იქნა მოკლული.³²⁹

მონმე როზა გაბედავამ განაცხადა, რომ 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს, იგი სახლში იმყოფებოდა; იმ დღესვე შეიარაღებულ პირთა ჯგუფი მის სახლში შეიჭრა. თავდამსხმელები იყვნენ როგორც აფხაზები, ისე სხვა ეროვნების წარმომადგენლები. მონმის მეუღლე და შვილი მურმან და ზურაბ თოდუები მეზობლებთან და პოლიციის რამდენიმე ოფიცერთან ერთად იქვე ახლოს ერთ-ერთ სახლში იმალებოდნენ. შეიარაღებულმა პირებმა ისინი იპოვეს და შვიდივე მოკლეს. მეზობლების დახმარებით, მონმემ ორმო ამოთხარა და დახოცილები დაასაფლავა.³³⁰

ერთ-ერთი მონმის ჩვენებით, სოხუმის მე-12 საშუალო სკოლის წინ მან დაინახა ნასვამი აფხაზთა და რუს კაზაკთა ბოევიკები როგორ თამაშობდნენ „ფეხბურთს“ ქართველების მოკვეთილი თავებით და თან იცინოდნენ.³³¹

მონმე შუბლაძემ განაცხადა, რომ ბოევიკებმა მათ სახლში ავტომატური იარაღით მოკლეს მისი მეუღლე როინ შუბლაძე და მეგობარი გურამ კვაშილავა. ამის შემდეგ ბოევიკებმა გარდაცვლილთა ფეხებიდან და ხელებიდან ხორცი მოაჭრეს. როდესაც მონმემ ჰკითხა, რატომ აკეთებდნენ ამას, მათ უპასუხეს: „თუ ქართველები აფხაზეთის ტერიტორიას არ დატოვებდნენ, ყველანი მოკვდებოდნენ“.³³²

327. იხ. ნაწილი IV. 3.

328. იხ. ნაწილი IV. 3.

329. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, p. 28.

330. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, p. 28.

331. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, p. 28.

332. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the

მონმე ლილი ზოიძის ჩვენებით, მის მეზობელს თავს დაესხნენ შეიარაღებული აფხაზები, ჩეჩნები, სომხები და რუსი კაზაკები. ბოვეიკებმა ოჯახის ყველა წევრი მოკლეს და თავი მოკვეთეს. შეიარაღებულმა პირებმა მოკვეთილი თავები ხის ჯოხებზე ჩამოაცვეს და ქუჩაში გამოფინეს, მოგვიანებით კი დასახიჩრებულ სხეულებს ცეცხლი წაუკიდეს.³³³

მონმე ეკატერინე გაბრავას ჩვენებით, 1993 წლის 26 სექტემბერს შეიარაღებულმა აფხაზებმა მოკლეს მისი და, მასთან ერთად – კიდევ ხუთი ქალი დახოცეს. გარდაცვლილთა გვამები ერთ-ერთი გარდაცვლილი ქალის, ზინა ქირიას სახლში შეათრიეს, რის შემდეგაც სახლს ცეცხლი წაუკიდეს.³³⁴

მონმე ვალიკო ძიგუამ განაცხადა, რომ 1993 წლის 27 სექტემბერს ტიტოვის ქუჩაზე მდებარე სახლში მან იპოვა სიმამრი, რომელსაც სხეულზე დანით შვიდი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. სახლში ყოფნისას, მას ავტომატიდან გასროლის ხმა შემოესმა, გაიხედა ფანჯრიდან და დაინახა შვიდი აფხაზი ბოვეიკი როგორ ტოვებდა სახლის მიმდებარე ტერიტორიას. გარეთ კი სამი მოკლული მეზობლის ცხედარი ეგდო. დახოცილი მეზობლების გვამები სამი დღის განმავლობაში ქუჩაში ეყარა, რის შემდეგაც აფხაზმა ბოვეიკებმა მონმე აიძულეს გვამები ავტომანქანაზე დაეტვირთა. მონმისთვის უცნობია, თუ სად გადაიტანეს გვამები³³⁵.

1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს, ეთნიკური ქართველებისგან შემდგარი 49 კაციანი ჯგუფი აფხაზმა ბოვეიკებმა ტყვედ აიყვანეს და შემდეგ ყველა წამებით მოკლეს. დახოცილებს შორის იყვნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ყიული შარტავა, თავმჯდომარის მოადგილე რაულ ეშბა, თავმჯდომარის მრჩეველები მამია ალასანია და ვახტანგ გეგელაშვილი, სატყეო მეურნეობის მინისტრი თამაზ ხარბედია, სოფლის მეურნეობის მინისტრი სუმბათ სააკიანი, ქალაქ სოხუმის მერი გურამ გაბისკირია, მთავრობის აპარატის საქმეთა მმართველი ჯუმბერ ბეთაშვილი, აფხაზეთის სატელევიზიო სადგურის ხელმძღვანელი ალექსანდრე ბერულავა, მთავრობის მრჩეველები და სახელმწიფო დაცვის წევრები³³⁶.

period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, p. 28.

333. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, pp. 28-29.

334. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, p. 29.

335. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, p. 29.

336. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the

მონმე ლამარა ცხაკაიას ჩვენებით, 1993 წლის 19 ოქტომბერს აფხაზი და სომეხი ბოევიკები მასთან სახლში მივიდნენ და ინვალიდის ეტლს მიჯაჭვული ადამიანი – 1911 წელს დაბადებული, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, აგრონომი და აფხაზეთის დამსახურებული პედაგოგი პარმენ რაფავა მოკლეს. მისი შვილი რაულ რაფავა ჯერ დანით დაჩეხეს, მერე კი დახვრიტეს. ბოევიკებმა დახოცილებს თავები მოაჭრეს. მოგვიანებით რაულ რაფავას მოკვეთილი თავი მეზობლებმა ეზოში იპოვეს. პარმენის მეუღლე ვალენტინა რაფავა ბოევიკებმა აიძულეს საკუთარი შვილის წამებისა და სიკვდილითვის ეყურებინა, რის შემდეგაც ის გააუპატიურეს და მოკლეს.³³⁷

სოხუმის რაიონი (1993 წლის 16 სექტემბერი-1993 წლის 27 სექტემბერი). სოხუმის რაიონში შეიარაღებული კონფლიქტის დროს და მისი დასრულების შემდგომ პერიოდში სულ 409 ადამიანი მოკლეს, აქედან 103 ქალი და 306 კაცი. დანაშაულები შემდეგ სოფლებში იქნა ჩადენილი: აბჟაყვა, აჩადარა, ახალი სოფელი, ახალშენი, აკაფა, ბესლეთი, ბირცხა, გუმისთა, გვარდა, იაშთხვა, კამანი, კელასური, ლინდავა, ოდიში, ქვემო ეშერა, პავლოვკა, შრომა, თავისუფლება, ვოლოდაროვკა.³³⁸

სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ დანაშაულთა ჩადენის მეთოდები მოიცავდა საჰაერო დაბომბვებს, ყელის გამოჭრას, წამებას, დახრჩობას, სხეულის დასახირჩრებას, ცოცხლად დანვას, გაუპატიურებას და დახვრეტას.

სოფელი იაშთხვა. 1993 წლის სექტემბრის ბოლოს 87 წლის მარიამ სულაკაძე ბოევიკებმა წამებით მოკლეს. იგი სანოლს მიაბეს, არაყი გადაასხეს, ცეცხლი წაუკიდეს და ცოცხლად დანვეს.³³⁹

1993 წლის ოქტომბერში 72 წლის თინა ოქროპირიძე დაახრჩვეს, შემდეგ გარდაცვლილის ცხედარი თავდაყირა ჩამოკიდეს და ავტომატური იარაღიდან ესროლეს.³⁴⁰

სოფელი კამანი. 1993 წლის 5 ივლისს აფხაზმა ბოევიკებმა კამანის ქართული მონასტრის ტერიტორიაზე მღვდელი ანდრია ყურაშვილი დახვრიტეს, სასტიკი წამებით მოკლეს საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი იური ანუა.³⁴¹

1993 წლის სექტემბერში ალექსანდრე გამსახურდია და მისი მეუღლე მერი პაკელიანი კამანის ეკლესიაში მოკლეს.³⁴²

period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, pp. 19-20; TamazNadareishvili, Genocide in Abkhazia, Tbilisi, 1998, p. 199.

337. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, pp. 29-30.

338. იხ. ნაწილი IV. 4.

339. იხ. ნაწილი IV. 4.

340. იხ. ნაწილი IV. 4.

341. იხ. ნაწილი IV. 4.

342. იხ. ნაწილი IV. 4.

65 წლის ეგნატე ხვისტიანი და რამდენიმე მისი თანასოფელელ კამანის ეკლესიაში მოკლეს.³⁴³

70 წლის ვალო ჩხეტიანი და სერგო მუშუკუდიანი აიძულეს საფლავი გაეჭრათ და კამანის ეკლესიაში მოკლული ადამიანები დაეკრძალათ, რის შემდეგაც ორივე მოკლეს³⁴⁴.

სოფელი ოდიში. 1993 წლის ნოემბერში, ბოვეიკებმა ცეცხლი წაუკიდეს მერი ანასტასიადის სახლს, სადაც 14 ადამიანი იმალებოდა, ანასტასიადის ოჯახის წევრებისა და მეზობლების ჩათვლით. ყველანი ცოცხლად დაწვეს.

სოფელი ქვემო ეშერა. 1992 წლის 14 ოქტომბერს სეპარატისტთა ბოვეიკებმა ალიოშა გორგოძე მის 14 მეზობელთან ერთად დახვრიტეს.

შოთა მეტრეველი აიძულეს საკუთარი საფლავი გაეთხარა, რომელშიც ცოცხლად დამახრეს.³⁴⁵

სეპარატისტთა ბოვეიკებმა ედიშერ უგრეხელიძეს კიდურები და ცხვირი მოაჭრეს, ფრჩხილები და ოქროს კბილები ამოაძვრეს, რის შემდეგაც კისრამდე მიწაში ჩამარხეს და ავტომატური იარაღიდან თავში რამდენჯერმე ესროლეს³⁴⁶.

გულრიფშის რაიონი (1993 წლის 16 სექტემბერი-1993 წლის 28 სექტემბერი). გულრიფშის რაიონში 763 ადამიანი მოკლეს, აქედან 261 ქალი და 502 კაცი. დანაშაულები ჩადენილი იქნა შემდეგ დაბეჭდა და სოფლებში: აგუძერა, ამცყელი, აზანთა, აჟარა, ბაბუშერა, ბალაჟიაშთა, ბაგრამიანი, დრანდა, ესტონკა, ვლადიმეროვკა, ჩერნიგოვკა, განახლება, გენწვიში, გულრიფში, ყორასი, ლათა, მაჭარა, მერხეული, ოქტომბერი, ფშაფი, ზემო ფშაფი, ქვემო ფშაფი, საკენი, ნებელდა, ვარჩე³⁴⁷.

სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენა ხორციელდებოდა საჰაერო დაბომბვების, წამების, დახრჩობის, სხეულის დასახიჩრების, ცოცხლად დაწვის, ჯგუფურად გაუპატიურებისა და დახვრეტის გზით.

დაბა გულრიფში. მოწმე ნაწული შამათავას განცხადებით, 1993 წლის 28 აგვისტოს მისი სახლის წინ ტანკი გაჩერდა. ერთ – ერთმა აფხაზმა ბოვეიკმა მისი ვაჟიშვილი სახლიდან გაიყვანა და ავტომატიდან გასროლით მოკლა. შემდეგ ბოვეიკებმა მოკლულის სხეულზე ტანკით გადაიარეს³⁴⁸.

343. იხ. ნაწილი IV. 4.

344. იხ. ნაწილი IV. 4.

345. იხ. ნაწილი IV. 4.

346. იხ. ნაწილი IV. 4.

347. იხ. ნაწილი IV. 5.

348. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, p. 31.

მონმე ცისანა ბარილოს ჩვენებით, მისი მეუღლე აფხაზმა და სომეხმა ბოევიკებმა მოკლეს, ხოლო მოკლულის ცხედარი ნაგვის ავტომანქანით წაიღეს³⁴⁹.

1993 წლის 21 სექტემბერს აფხაზმა ბოევიკებმა, რომლებიც ბაბუშერას აეროპორტის მახლობლად იმყოფებოდნენ, სამოქალაქო თვითმფრინავი ტუ-134 ჩამოაგდეს, რომელიც სოჭიდან მოფრინავდა და სამოქალაქო პირები გადაჰყავდა. 22 მგზავრი და 6 ეკიპაჟის წევრი დაიღუპა, მათ შორის 17 ქალი, 10 კაცი და ერთი სამი წლის ბავშვი.

1993 წლის 22 სექტემბერს სეპარატისტთა ბოევიკებმა სამოქალაქო თვითმფრინავი ტუ-154 ჩამოაგდეს, რომელიც თბილისიდან სოხუმში მოფრინავდა და 107 მგზავრი გადაჰყავდა. დაიღუპა 93 ადამიანი.

სოფელი ნებელდა. 1993 წლის 31 ოქტომბერს ბოევიკებმა 63 წლის იროდიონ ფიფიას გული ამოაგლიჯეს და ძაღლებს მიუგდეს. მოძალადეებმა ასევე მოკლეს იროდიონ ფიფიას მეუღლე გიული კალანდია, ვაჟიშვილი დავით ფიფია და სხვა ეთნიკური ქართველები – გარნილე, ნუცა, ლამარა სამუშიები და ალექსანდრე ზარქუა³⁵⁰.

სოფელი განახლება. აფხაზმა ბოევიკებმა სოფელში 48 მშვიდობიანი ქართველი მოკლეს.

სოფელი ფშაფი. 1993 წლის ოქტომბრის დასაწყისში, სოფელ ფშაფშს თავს დაესხნენ ბაგრამიანის ბატალიონის ბოევიკები და რამდენიმე ქართველი მოკლეს, შემდეგ მათი სახლები დაარბიეს და გაძარცვეს.

1993 წლის ოქტომბერში 73 წლის კაპიტონ მირცხულავა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი იყო, სირიელმა ბოევიკებმა მოკლეს³⁵¹.

1993 წლის 3 ოქტომბერს ბოევიკები თავს დაესხნენ აკაკი ჟვანიას სახლს, ჯერ ჟვანიას 17 და 14 წლის ქალიშვილები მოკლეს, შემდეგ მოკლეს მისი მეუღლე და, ბოლოს, სიდედრი და სიმამრი. როდესაც სახლს ტოვებდნენ, ბოევიკებმა აკაკი ჟვანიას მიაძახეს, რომ ცოცხლად დარჩენა მისთვის სიკვდილზე უარესი იქნებოდა. ბოევიკებმა ასევე მოკლეს და მერე დაწვეს მეზობლად მცხოვრები ჟვანიას ძმა. დამწვარი ცხედარი გადააგდეს ისე, რომ ოჯახის წევრებმა მისი პოვნა და დაკრძალვა ვერ შეძლეს. ბოევიკებმა ასევე მოკლეს ჟვანიას სხვა ნათესავები, რომლებიც იმავე სოფელში ცხოვრობდნენ. მათ გაძარცვეს და გადაწვეს ქართველთა სახლები.³⁵²

მონმე ვალერი ჩუპრინოვის ჩვენების თანახმად, 1993 წლის 12 ოქტომბერს აფხაზი და სომეხი ბოევიკები თავს დაესხნენ მის სახლს,

349. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, p. 32.

350. *იხ. ნაწილი IV. 5.*

351. *იხ. ნაწილი IV. 5.*

352. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, p. 30.

რომელიც გაძარცვეს და გადაწვეს. მათ ავტომატური იარაღით მოკლეს ჩუპრინოვის დედა შურა ქოქოსიძე იმის გამო, რომ ქართველი იყო.³⁵³

1994 წლის გაზაფხულზე ჯორჯეტა ბერაია, მისი მეუღლე მიხეილ გუგუშვილი, დედამთილი – ვერა გუგუშვილი-ზარანდია, მული – ნელი გუგუშვილი და დები – ხათუნა და სოფიკო საკუთარ სახლში დაწვეს.³⁵⁴

სოფელი დრანდა. სოფელ დრანდაში ბოევიკებმა ასევე დახოცეს სამოქალაქო ქართული მოსახლეობა. 63 წლის მერი ლუკავა კი ქაში ჩაახრჩვეს.³⁵⁵

მონმე ხათუნა შეროზიას ჩვენებით, 1993 წლის 29 სექტემბერს აფხაზმა ბოევიკებმა რამდენიმე ქართველი, მათ შორის მისი მეუღლე გია სიჭინავა და 63 წლის მამამთილი მოკლეს. მათი ცხედრები ბოევიკებმა მდინარეში გადააგდეს.

ოჩამჩირის რაიონი (1993 წლის 16 სექტემბერი-1993 წლის 1 დეკემბერი). ოჩამჩირის რაიონში სულ 732 მცხოვრები მოკლეს, მათ შორის 151 ქალი და 581 მამაკაცი. დანაშაულები ჩადენილი იქნა შემდეგ ქალაქებსა თუ სოფლებში: ოჩამჩირე, აგუბედია, ახალდაბა, ახალი კინდლი, აკვასკა, არადუ, არმიანსკაია, ბესლახუბა, ქლოუ, დაჩა, ჯალი, ილორი, კოჩარა, ქვითოული-კერეკენი, მერკულა, მოქვი, ნაა, ოხურეი, ფსკალა, ტამიში, ცაგერა.³⁵⁶

სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები მოიცავდა სხეულის დასახიჩრებას, ცოცხლად დამარხვას, გაუპატიურებას, დახვრეტას, თავის მოკვებას, დახრჩობას, ცოცხლად დაწვას, გატყავებას.

სოფელი ახალდაბა. 1992 წლის 10 დეკემბერს რუსულმა ავიაციამ მჭიდროდ დასახლებული სოფელი ახალდაბა დაბომბა. უნდა აღინიშნოს, რომ დაბომბვის დროს სოფელში და არც მის სიახლოვეს საომარი მოქმედება არ მიმდინარეობდა. დაბომბვის შედეგად 11 სამოქალაქო პირი დაიღუპა.

მონმეთა ჩვენებების თანახმად, ბოევიკებმა სოფელ ახალდაბაში დაახლოებით 400 ეთნიკური ქართველი მოკლეს, მათ შორის 60 ქალი. უნდა ვივარაუდოთ, რომ დახოცილთა შორის იყვნენ მეზობელ სოფლებში ტყვედ აყვანილებიც.

ნაზი ბალიშვილის ჩვენების თანახმად, 1993 წლის 16-17 სექტემბერს, სეპარატისტულმა ძალებმა ახალდაბის ოკუპაცია მოახდინეს და სოფელში მცხოვრებ ქალთა და ბავშვთა უმრავლესობა დაატყვევეს.

353. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, p. 31.

354. *იხ. ნაწილი IV. 6.*

355. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, p. 31.

356. *იხ. ნაწილი IV. 6.*

ბოევიკებმა 12-დან 16 წლამდე ასაკის 25 გოგონა თანასოფლელებისა და მშობლების თვალწინ გააუპატიურეს.³⁵⁷

მონმე გალინა არზრუმიანის ჩვენებით, 1993 წლის 16-17 სექტემბერს აფხაზმა ბოევიკებმა ახალდაბის ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები უმონწყალოდ დახოცეს. ბავშვები და მოზარდები იძულებით სტადიონზე შეკრიბეს და რიგრიგობით დახვრიტეს. 6 წელზე უფროსი თითქმის ყველა მდედრობითი სქესის წარმომადგენელი გააუპატიურეს, ზოგიერთ მათგანს თავი მოჰკვეთეს. ბოევიკებმა ზოგიერთ ქალს თავზე ავტომანქანის საბურავი ჩამოაცვეს და ცოცხლად დაწვეს.³⁵⁸

მონმე ნაირა ომანიძის ჩვენებით, 1993 წლის 16 სექტემბერს აფხაზმა ბოევიკებმა ახალდაბის სამოქალაქო მოსახლეობა იძულებით სტადიონზე შეკრიბეს. მათ თვალწინ ბოევიკებმა ბავშვებს თავებზე ავტომანქანის საბურავები ჩამოაცვეს და ცოცხლად დაწვეს. ისინი აწამებდნენ ბავშვებს, აშიშვლებდნენ მათ და აუპატიურებდნენ.³⁵⁹

სოფელი კოჩარა. 1993 წლის იანვარში სეპარატისტთა 15 კაციანმა ჯგუფმა 59 წლის ბაჯიკო გოგუა-შონია ხეზე მიაბა და ჯგუფურად გააუპატიურა ნათესავ ინეზა (დალი) დანელიასთან ერთად. ეს მოხდა ბაჯიკო გოგუა-შონიას მეუღლის ვლადიმერ გოგუას თვალწინ. ბოევიკებმა ქალებს მკერდი მოაჭრეს და შემდეგ სამივე მოკლეს. როდესაც გივი სალიას ქალების ყვირილის ხმა შემოესმა, იგი მათ საშველად გაემართა, მაგრამ ბოევიკებმა ისიც მოკლეს. მოკლულთა ცხედრებს ბენზინი გადაასხეს და დაწვეს.³⁶⁰

სოფელი აძიუბჟა. მონმე ცისანა ჭაავას განცხადებით, 1993 წლის 13 სექტემბერს 200 აფხაზი ბოევიკი სოფელ აძიუბჟაში შეიჭრა. მათ დაარბიეს და გაძარცვეს სოფლის ქართული მოსახლეობა. მისი მამალი და მეუღლე ზაურ სოხაძე მეზობლებთან ერთად დახვრიტეს. მონმემ შვილებთან ერთად გაქცევა მოახერხა.³⁶¹

სოფელი მერკულა. მონმე სულიკო ხურცილავას ჩვენებით, 1993 წლის 29 სექტემბერს რამდენიმე აფხაზმა შეიარაღებულმა პირმა მისი მეუღლე შალიკო ნაჭყებია და მეზობელი ავთო თოლორდავა მოკლა.³⁶²

357. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, p. 33.

358. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, p. 33.

359. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, p. 33.

360. *იხ. ნაწილი IV. 6.*

361. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, p. 31.

362. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, pp. 31-32.

სოფელი კინდლი. მოწმე მედია მიქავას განცხადებით, იგი მეუღლესთან გერმანე მიქავასთან და სხვა პირებთან ერთად, სულ 13 ადამიანი, ავტომანქანით მგზავრობდნენ სოფელ ვარჩედან სოფელ კინდლის მიმართულებით. ექვსმა შეიარაღებულმა აფხაზმა ისინი გააჩერა და ავტომანქანიდან გადმოსვლა უბრძანა. შეიარაღებულმა პირებმა დაიწყეს მათი დამცირება, ერთ-ერთი მამაკაცი გააშიშვლეს და იარაღის მუქარით უბრძანეს ეხტუნავა. როდესაც მამაკაცი სტუნვა დაიწყო, აფხაზებმა მას სასიკვდილოდ ესროლეს, ამის შემდეგ ყველა ქართველი მამაკაცი მოკლეს, ქალები კი გააუპატიურეს.³⁶³

ინდირა კოხიას განცხადებით, შეიარაღებულმა აფხაზებმა მისი მამა ქუჩაში დაატყვევეს და ათობით სხვა მამაკაცთან ერთად მიტოვებულ სახლში გამოამწყვდიეს. მამაკაცები სახლიდან რიგ-რიგობით გამოიყვანეს და დახვრეტეს. მოწმის მამას და ბიძას სეპარატისტებმა ჯერ ყურები მოაჭრეს, შემდეგ აიძულეს გაშიშვლებულიყვნენ და, ბოლოს, დახვრიტეს. მოკლულთა ცხედრები წინასწარ მომზადებულ საერთო საფლავში ჩაყარეს.³⁶⁴

1993 წლის 28-29 სექტემბერს სოფელ კინდლის მახლობლად რუსმა კაზაკებმა 72 სამოქალაქო ქართველი პირი მოკლეს.

ტყვარჩელი (1993 წლის 16 სექტემბერი-1993 წლის 28 სექტემბერი). ტყვარჩელში სულ 26 ადამიანი მოკლეს, მათ შორის 12 ქალი და 14 მამაკაცი.

დამნაშავე პირები შემდეგი სახის დანაშაულებს ჩადიდნენ: ნამება, სხეულის დასახიჩრება, გაუპატიურება და მკვლელობა.

გალის რაიონი (1993 წლის 16 სექტემბერი-1998 წლის 20 მაისი). გალის რაიონში სულ 1272 ადამიანი მოკლეს, მათ შორის 1035 კაცი და 237 ქალი. დანაშაულებს ჩადიდნენ შემდეგ ქალაქებსა თუ სოფლებში: გალი, აჩიგვარა, ზემო და ქვემო ბარლები, ბედია, ჩხორთოლი, ჭუბურხინჯი, დიხაზურგა, განახლება, გაგიდა, ღუმურიში, გუდავა, ლეკუხონა, მუხური, მზიური, ნაბაკევი, ოქუმი, ოტობაია, ფიჩორი, პირველი გალი, კოხორა, რეჩხი, რეფი, საბერიო, შეშელეთი, სიდა, თაგილონი, ნარჩე.³⁶⁵

დამნაშავეები შემდეგი ტიპის დანაშაულებს ჩადიდნენ: ნამება, დახვრეტა, ჩამოხრჩობა, გაუპატიურება, ცოცხლად დანვა, სხეულის დასახიჩრება, თავის მოკვეთა, ჭაში ჩაგდება, ცოცხლად დამარხვა, გატყავება, ტანკით ადამიანზე გადავლა, კბილების ამოძრობა, თვალების დათხრა, ნაღმზე აფეთქება, გაძევება.

363. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, p. 32.

364. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, pp. 32-33.

365. *იხ. ნაწილი IV. 8.*

შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების მომენტისთვის გალის რაიონში 96 000 ადამიანი ცხოვრობდა. აქედან 96% ეთნიკური ქართველი იყო. ქალაქ გალის მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი თავდასხმებისა და დანაშაულების შედეგად 1040 შენობა გადანდგურდა. აწამეს და მოკლეს 174 სამოქალაქო პირი, მათ შორის 37 ქალი.

1993 წლის 29 სექტემბერს სეპარატისტებმა გალის ოკუპაცია მოახდინეს. ამ პერიოდიდან მოყოლებული გალის რაიონში ქართულ სოფლებს სისტემატურად თავს ესხმოდნენ. ათეულობით სამოქალაქო ქართველი პირი სასტიკად აწამეს, მოკლეს, მოიტაცეს ან უგზო უკვლოდ დაიკარგა, მათი ქონება გაძარცვეს ან გაანადგურეს.

მიუხედავად აფხაზი ბოევიკების მიერ ქართველების წინააღმდეგ ჩადენილი სასტიკი დანაშაულებისა, 1994-1995 წლებში ქართველებმა გალის რაიონში დაბრუნება დაიწყეს. მათ წინააღმდეგაც აფხაზი სეპარატისტების მხრიდან დანაშაულის ჩადენა მასიურად ხორციელდებოდა. აღნიშნულის შედეგად ასობით ქართველი მოკლეს, ხოლო გალის რაიონის სოფლები კი მიწასთან გაასწორეს.

1998 წლის მაისში აფხაზურმა შეიარაღებულმა ძალებმა, რუსული სამშვიდობო ძალების დახმარებით, გალის რაიონის სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ძალადობრივი ქმედებების მეორე ტალღა განახორციელეს. დაწვეს 2 132 საცხოვრებელი სახლი, მათ შორის 465 – თავილონში, 263 – ნაბაკევში, 187 – ოტობაიაში, 341 – ქვემო ბარლებში, 345 – ზემო ბარლებში და ა.შ. დახოცეს ათეულობით სამოქალაქო პირი; ასობით ადამიანი მძიმედ დაშავდა, 55 – ტყვედ აიყვანეს. ქონების მასიური განადგურების შედეგად ქართულ მოსახლეობას საკუთარ სახლებში დაბრუნების საშუალება წაერთვა. გალის რაიონის ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებულ დანაშაულთა მეორე ტალღის შედეგად 42 000 ადამიანმა თავისი საცხოვრებელი იძულებით დატოვა და საქართველოს სხვა რეგიონებში გადაადგილდა.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ბოევიკები ხშირად თავს ესხმოდნენ ისეთ სოფლებს, რომლებიც რუს მშვიდობისმყოფელთა პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფ ბუფერულ ზონაში იყო განლაგებული. აღნიშნულ ზონაში სამშვიდობო ძალების ყოფნის მიუხედავად, არაფერი კეთდებოდა სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ დანაშაულების ჩადენის შესაჩერებლად. პირიქით, მთელი რიგი დანაშაულებისა სწორედ რუსი მშვიდობისმყოფელების უშუალო მონაწილეობით იქნა ჩადენილი.

სოფელი ოქუმი. მტკიცებულებების თანახმად, სოფელ ოქუმში 710 საცხოვრებელი სახლიდან 610 სახლი დაწვეს და გაანადგურეს. 79 ადამიანი ნამებით მოკლეს, მათ შორის 18 ქალი. დები ნინო და ნატაშა პოლეტაევიები საჯაროდ გააუპატიურეს და მერე დახვრიტეს.

სოფელი აჩიგვარა. სოფელ აჩიგვარაში 411 შენობა გაანადგურეს, 74 ადამიანი დახვრიტეს, მათ შორის 15 ქალი.

სოფელი გუდავა. სოფელ გუდავაში 429 სახლი გადაწვეს, 104 ადამიანი წამებით მოკლეს, მათ შორის 21 ქალი.

სოფლების მზიურის, ქვემო ბარლების, ზემო ბარლების, რეფი-შეშელეთის, ოტობაიას, ნაბაკევისა და სხვათა სამოქალაქო მოსახლეობამ ზემოთ აღწერილი სოფლების მაცხოვრებლების მსგავსი ბედი გაიზიარა. დამნაშავე პირები ცოცხლად წვავდნენ და კლავდნენ სამოქალაქო მოსახლეობას, მათ შორის ხანდაზმულ ადამიანებს.

სოფლებზე რეფი, ლუმურიში, ზემო და ქვემო ბარლები, ოტობაია, ნაბაკევი და ლეკუხონაზე სისტემატური თავდასხმების შედეგად აფხაზმა ბოევიკებმა გაანადგურეს და დაწვეს 3 727 საცხოვრებელი სახლი, 40 სკოლა, 95 სამეურნეო შენობა-ნაგებობა, სოფლებიდან 25 000 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი წაიყვანეს, ქარხნები ისე გაძარცვეს, რომ მათი შემდგომი ფუნქციონირება შეუძლებელი გახდა, შესაბამისად, რაიონის ეკონომიკას გამოუსწორებელი ზიანი მიადგა.

1994 წლის 6 ნოემბერს სოფელ რეფში ტერენტი და ემზარ ლემონჯავეები ოჯახის სხვა წევრების თავლწინ ცოცხლად დაწვეს. 1994 წელს სოფელ საბერიოში ჯუმბერ ბაძალუა მოკლეს. 1994 წელს სოფელ ხუმუშქურში ნათესავის გასვენებაში მიმავალი გოდერძი პაპავა, ძმები გენადი და ოთარ გვაჯაიები და მურმან ციკოლია დაიჭირეს, აწამეს და საჯაროდ დახვრიტეს. 1995 წლის 13 მაისს აფხაზმა ბოევიკებმა სოფელი ნაბაკევის მაცხოვრებლები რევაზ ჩერქეზია, მამუკა კვარაცხელია, ნანი ნარმანია დაიჭირეს; ისინი გალში წაიყვანეს, სადაც წამებით მოკლეს.³⁶⁶

შეიარაღებული კონფლიქტის შედეგები. შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად სეპარატისტებმა ქართული ეროვნების 5 ათასზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე დახოცეს, მათ შორის არიან აფხაზეთის ქართული მოსახლეობის ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ პოლიტიკური ლიდერები, ექიმები, მასწავლებლები, ჟურნალისტები, მწერლები, ხელოვნების მუშაკები და ა.შ.

სეპარატისტებმა 100-ზე მეტი ხელოვნების მუშაკი დახოცეს, წამებით მოკლეს 37 წლის ნატო მილორავა, გუმისთის კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი, დრამატული თეატრის მსახიობები ვასილ ჩხეიძე, თეიმურაზ ჟვანია და გურამ გელოვანი, სოხუმის კულტურის და დასვენების პარკის დირექტორი იური დავითაია.³⁶⁷

მოკლეს 30-ზე მეტი მედიცინის მუშაკი. მათი უმრავლესობა ქალები იყვნენ: ვერა ყოლბაია, თინა წონორია, ნინო შონია, არიადნა

366. იხ. ნაწილი IV. 8.

367. Тамаз Надарейшвили. Геноцид в Абхазии, с. 214.

შელია, ოლგა ტყეებუჩავა, მზია ბესელია და სხვები. სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას მოკლეს ექიმები ზელიმხან დანელია, გია სიჭინავა, რაზმიკ ისპეკიანი, გიორგი ბარკალაია, შალვა გვაზავა და სხვები.³⁶⁸

აფხაზმა მეომრებმა იძულებით გაიყვანეს საოპერაციო ოთახიდან გულრიფშის ტუბერკულოზის სანატორიუმის უფროსი, პროფესორი შოთა ჯღამაძე და სანატორიუმის ეზოში დახვრიტეს. ასევე მოკლეს რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმი პეტრე სიჭინავა³⁶⁹.

სეპარატისტებმა და მათთან ასოცირებულმა პირებმა 200-ზე მეტი მასწავლებელი მოკლეს, მათ შორის 60 ქალი³⁷⁰.

სეპარატისტებმა აწამეს და მოკლეს გულრიფშის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მამუკა აფხაზავა, ფინანსთა სამინისტროს თანამშრომელი ტრისტან გაბელია, მშენებლობის დეპარტამენტის უფროსი ლეონტი ჯალალონია, ავტონომიური რესპუბლიკის გენერალური პროკურორის უფროსი მრჩეველი ვლადიმერ ყალიჩავა, გამომძიებელი ემზარ ლაშხია, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეები, პროფესორები იური ნორაკიძე და კარლო ჩხენკელი, იმავე უნივერსიტეტის პროფესორი ზურაბ ბეროძე, სოხუმის არქიტექტურის სამსახურის უფროსი თამაზ თავაძე და ბევრი სხვა³⁷¹.

იძულებით გადაადგილებული პირები. 1992 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სანამ შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყებოდა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთლიანი მოსახლეობა 535 061 ადამიანს შეადგენდა. შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შედეგ 1997 წლისთვის აფხაზეთის მოსახლეობის რიცხვი 145 986-მდე შემცირდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აფხაზეთის მოსახლეობა თითქმის 390 000 ადამიანით, ანუ 72,7%-ით შემცირდა. იძულებით გადაადგილებული პირების დიდი უმრავლესობა ქართველები იყვნენ, რაც მტკიცდება იმით, რომ აფხაზეთში მცხოვრები ქართველების რაოდენობა 82,2%-ით, ანუ 5,65-ჯერ შემცირდა³⁷².

შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად ქართველთა დიდი ნაწილი ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილდა და, ოფიციალური მონაცემებით, მათმა რიცხვმა 267 345 ადამიანი შეადგინა, აქედან 25 403 არის გაგრის რაიონიდან, 73178 – სოხუმის რაიონიდან, 6 719 -გუდაუთის რაიონიდან, 34 587 – გულრიფშის რაიონიდან, 38 312

368. Тамаз Надарейшвили. Геноцид в Абхазии, с. 214.

369. Тамаз Надарейшвили. Геноцид в Абхазии, с. 214.

370. Тамаз Надарейшвили. Геноцид в Абхазии, с. 214.

371. Report on Crimes Committed against Georgian Population in Abkhazia during the period of 1992-1999, General Prosecutor's Office of Georgia, Tbilisi, 1999, pp. 20-21.

372. Очерки из истории Грузии. Абхазия. Тбилиси, 2009, с. 572.

– ოჩამჩირის რაიონიდან, 3 468 -ქალაქ ტყვარჩელიდან და 85 678 – გალის რაიონიდან. საგულისხმოა, რომ აფხაზეთიდან დევნილთა დიდმა ნაწილმა საქართველოს ტერიტორია დატოვა და თავშესაფარი უცხო ქვეყნებში ჰპოვა. სამწუხაროდ, აფხაზეთიდან ქართველთა და სხვა ეროვნების ლტოლვილთა ზუსტი სტატისტიკა დღემდე დაუდგენელია. აფხაზეთის ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული 267 345 ქართველი, შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების მიუხედავად, საკუთარ სახლებში ვერ ბრუნდება.

III.4. 1992-1993 და შემდგომ წლებში ჰქონდა თუ არა აფხაზეთში ადგილი გენოციდის დანაშაულის ჩადენას?

მოცემულ თავში გაანალიზებულია ზემოთ დეტალურად აღწერილი დანაშაულები, რაც 1992 წლის 14 აგვისტოდან 1993 წლის 30 სექტემბრამდე პერიოდში და ასევე შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდგომ წლებშიც იქნა ჩადენილი. აღნიშნული თავის მიზანია, შეფასდეს, თუ რამდენად წარმოადგენს აღწერილი ქმედებები გენოციდის დანაშაულს.

გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ გაეროს კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად (შემდგომში, გენოციდის კონვენცია), „გენოციდი ნიშნავს ნებისმიერ ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებას, რომელიც ჩადენილია ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურების მიზნით: (ა) ჯგუფის წევრთა მკვლელობა; (ბ) ჯგუფის წევრთათვის სხეულის მძიმე დაზიანების ან ფსიქიკური მოშლილობის მიყენება; (გ) ჯგუფისათვის განზრახ ისეთი პირობების შექმნა, რაც მიზნად ისახავს მის მთლიან ან ნაწილობრივ ფიზიკურ განადგურებას; (დ) ისეთი ზომების გატარება, რომელთა მიზანია ჯგუფის შიგნით შობადობის აღკვეთა; (ე) ერთი ჯგუფიდან მეორეში ბავშვების ძალადობით გადაცემა“.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 65¹-ე მუხლში (ამჟამად მოქმედი კოდექსის 407-ე მუხლში) მოცემული გენოციდის დანაშაულის განმარტება, არის გენოციდის კონვენციის მე-2 მუხლში მოყვანილი განმარტების იდენტური.

გენოციდის დანაშაულის შემადგენელი ელემენტები. გენოციდის დანაშაული შეიძლება განიმარტოს როგორც გენოციდის კონვენციის მე-2 მუხლის „ა“ – „ე“ პუნქტებში ჩამოთვლილი რომელიმე ქმედება, როდესაც იგი ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურების სპეციალური განზრახვით არის ჩადენილი.

სხვა საერთაშორისო დანაშაულთაგან გენოციდი იმით განსხვავდება, რომ იგი **სპეციალური განზრახვით (*dolus specialis*)** უნდა იყოს ჩადენილი. დანაშაულის ჩადენა სპეციალური განზრახვით გენოციდის დანაშაულის აუცილებელი შემადგენელი ელემენტია. სპეციალური განზრახვა გულისხმობს, რომ დამნაშავე პირს ცხადად სურს იმ შედეგის დადგომა, რომლისთვისაც მას ბრალი აქვს წარდგენილი. შესაბამისად, გენოციდის სპეციალური განზრახვა გამოხატულია პირის განზრახვაში, მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპოს რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფი.

მომდევნო ქვეთავებში აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჩადენილი დანაშაულების მაგალითზე განიხილება გენოციდის დანაშაულის შემადგენელი ელემენტები. კერძოდ, შემოთავაზებულია გენოციდის კონვენციის მე-2 მუხლში მოყვანილი ქმედებების ანალიზი, გენოციდის კონვენციით დაცულ ჯგუფების განმარტება და ასევე მსჯელობა სპეციალური განზრახვის (*dolus specialis*) თაობაზე, რაც გენოციდის დანაშაულის აუცილებელი შემადგენელი ელემენტია.

სპეციალური განზრახვა (*dolus specialis*). გენოციდის დანაშაულის დამახასიათებელი და შემადგენელი ელემენტია სპეციალური განზრახვა ანუ, როგორც მას სხვაგვარად უწოდებენ, *dolus specialis*, რაც იმას ნიშნავს, რომ გენოციდის კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ქმედებები ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურების განზრახვით უნდა იყოს ჩადენილი.

გენოციდი გულისხმობს ნებისმიერ დანაშაულებრივ ჯგუფს, რომელიც ადამიანთა რომელიმე კონკრეტული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურებისკენ მიისწრაფვის. გენოციდის სპეციალური განზრახვის ორი აუცილებელი შემადგენელი ელემენტი გულისხმობს,

- რომ ქმედება **ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის წინააღმდეგ** იყოს მიმართული;
- რომ აღნიშნული ქმედება **ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურებისკენ** იყოს მიმართული.

გენოციდის კონვენციის მომზადების პროცესში ბრაზილიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „გენოციდი ჯგუფის განადგურების კონკრეტული განზრახვით ხასიათდება. აღნიშნული განზრახვის არარსებობის შემთხვევაში, მიუხედავად ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მასშტაბისა, აგრეთვე ამ ქმედებების გენოციდის კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ობიექტურ შემადგენლობასთან იდენტურობისა, ქმედება გენოციდად ვერ შეფასდება“. საქმეზე *პროკურორი ჟან კამბანდას წინააღმდეგ*, სასამართლო

პალატამ განაცხადა: „გენოციდის დანაშაული უნიკალურია მისი შე-
მადგენელი ელემენტების სპეციალური განზრახვის (*dolus specialis*)
გამო და მოითხოვს, რომ დანაშაული ეროვნული, ეთნიკური, რასო-
ბრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ განადგუ-
რების **განზრახვით** იყოს ჩადენილი.“³⁷³

გენოციდის დანაშაულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ
დამნაშავე პირს შეიძლება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგე-
ბლობა იმ შემთხვევაში დაეკისროს, თუ გენოციდის კონვენციის
მე-2 მუხლით გათვალისწინებულ რომელიმე დანაშაულებრივ ქმე-
დებას კონკრეტული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ განადგუ-
რების აშკარა განზრახვით ჩაიდენს. პირს სისხლის სამართლებრივი
პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში დაეკისრება, თუ მან იცოდა ან
უნდა სცოდნოდა, რომ ქმედება, რომელსაც ის ჩადიოდა, კონკრე-
ტულ ჯგუფს მთლიანად ან ნაწილობრივ გაანადგურებდა.

ქმედება უნდა იყოს განხორციელებული ერთი ან რამდენიმე
პირის წინააღმდეგ იმის გამო, რომ აღნიშნული პირი ან პირები
კონკრეტულ ჯგუფს მიეკუთვნებიან. შესაბამისად, გენოციდის
დროს დაზარალებული პირი შერჩეულია არა ინდივიდუალური
თვისებების, არამედ მისი რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასო-
ბრივი თუ რელიგიური ჯგუფისადმი კუთვნილების გამო. შესაბა-
მისად, დანაშაულებრივი ქმედების შედეგად დაზარალებული პირი
არის ჯგუფის წევრი, რომლის მსხვერპლად შერჩევა სწორედ მისი
კონკრეტული ჯგუფისადმი კუთვნილების გამო მოხდა. აღნიშნული
ნიშნავს იმას, რომ გენოციდის დანაშაულის შედეგად ზარალდება
თვით ჯგუფი და არა მხოლოდ ცალკეული ინდივიდები.

ჯგუფი. იმის გამო, რომ გენოციდის სპეციალური განზრახვა
ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის მთ-
ლიანად ან ნაწილობრივ განადგურებას გულისხმობს, აუცილებე-
ლია ჯგუფის, როგორც ასეთის დეფინიციაში გარკვევა.

1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 65¹-
ე მუხლი, ისევე როგორც გენოციდის კონვენცია, დაზარალებული
ჯგუფის ოთხ ტიპს – ეროვნულ, ეთნიკურ, რასობრივ და რელი-
გიურ ჯგუფს – განსაზღვრავს.

როგორც გენოციდის კონვენციის მომზადების პროცესის ამსახ-
ველი მასალებიდან ირკვევა, გენოციდის დანაშაული აღქმული იყო
ისეთნაირად, რომ ამ დანაშაულის სამიზნეს წარმოადგენდა მყარი
ჯგუფი, რომელიც მუდამ არსებობდა და ამ ჯგუფთან მიკუთვნე-
ბა პირის დაბადებით იყო განპირობებული. ანუ ასეთ ჯგუფში არ

373. Prosecutor v. Kambanda, Case No. ICTR 97-23-S, Judgment and Sentence 4 Sep-
tember 1998.

მოიაზრებოდა მობილური ჯგუფები, რომლის წევრიც ესა თუ ის პირი შეიძლება ნებაყოფლობით გახდეს, მაგალითად, პოლიტიკური თუ ეკონომიკური ჯგუფი. შესაბამისად, გენოციდის კონვენციით დაცული ოთხი ჯგუფის საერთო დამახასიათებელი ნიშანი არის ის, რომ აღნიშნული ჯგუფების წევრობა არ შეიძლება სადავო გახდეს მისი წევრების მიერ; აღნიშნულ ჯგუფში პირთა მიკუთვნება ხდება ავტომატურად, დაბადებით, ჯგუფის წევრობას აქვს უწყვეტი და შეუქცევადი ხასიათი.³⁷⁴ აკაიესუს საქმეზე სასამართლო პალატამ განმარტა ეროვნული ჯგუფი, როგორც „ადამიანთა გაერთიანება, რომლებიც საერთო მოქალაქეობით, ერთმანეთის მიმართ არსებული უფლებებითა და მოვალეობებით არიან დაკავშირებული“. ხოლო, „ეთნიკური ჯგუფი კი ზოგადად გულისხმობს ისეთ ჯგუფს, რომლის წევრებიც საერთო ენითა და კულტურით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული“.³⁷⁵

გაეროს გენერალური ასამბლეის 1946 წლის 11 დეკემბრის 96 (I) რეზოლუცია გენოციდს განმარტავს, როგორც „ადამიანთა მთლიანი ჯგუფისთვის არსებობის უფლებაზე უარის თქმას“. იგივე საკითხზე სამდივნოს ახსნა-განმარტების მიხედვით, გენოციდის დანაშაულის მსხვერპლია ადამიანთა ჯგუფი. ეს არ არის ადამიანთა დიდი ან პატარა ჯგუფი, რომლებსაც დანაშაულის შედეგად ზიანი მიადგათ, არამედ ეს არის ჯგუფი, როგორც ასეთი. აღნიშნული ინტერპრეტაცია გაზიარებულია აკაიესუს, კაიშემას და რუზინდანას საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებებში.

რამდენად შეიძლება აფხაზეთში მცხოვრები ქართველი მოსახლეობა მივიჩნიოთ როგორც ჯგუფი. იმისათვის, რომ ქმედება გენოციდის დანაშაულად შეფასდეს, იგი ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული. წინამდებარე ქვეთავი ამტკიცებს, რომ აფხაზეთში განხორციელებული გენოციდის დანაშაულის შედეგად ეთნიკური ჯგუფი დაზარალდა. იქ მცხოვრებ ქართველებს ეთნიკური ჯგუფის წევრებისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი ჰქონდათ. ქართველ ხალხს გააჩნია საკუთარი ენა და დამწერლობა, რომელიც უნიკალურია და განსხვავდებოდა აფხაზეთში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფებისგან, როგორებიც იყვნენ აფხაზები, სომხები, ბერძნები, რუსები და ა.შ. არსებობდა სხვა გარემოებებიც, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იყო კონკრეტული ეროვნული თუ ეთნიკური ჯგუფისადმი პირის კუთვნილების დადგენა. საბჭოთა კავშირის პერიოდში პასპორტებში მითითებული იყო ისეთი მონაცემები, როგორიც არის პირის სახელი, დაბადების წელი, სქესი, დაბადების

374. Prosecutor v Jean Paul Akayesu, ICTR, TC Judgment 2 September 1998, para. 511.

375. Prosecutor v Jean Paul Akayesu, ICTR, TC Judgment 2 September 1998, paras. 512-513.

ადგილი, ეთნიკური კუთვნილება და მოქალაქეობა. მაგალითად, თუ პირი იყო საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში მცხოვრები ეთნიკური აფხაზი, მის პასპორტში იქნებოდა ინფორმაცია, რომ იგი არის ეთნიკურად აფხაზი და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქე. შესაბამისი ჩანაწერი კეთდებოდა აფხაზეთში მცხოვრები ქართველის ან სხვა ეროვნების პირის ეთნიკური კუთვნილების თაობაზე. საბჭოთა პერიოდში გაცემული დაბადების მონმობები ასევე შეიცავდა ინფორმაციას დაბადების თარიღის, ადგილის, ეთნიკურ კუთვნილების, ბავშვისა და მშობლების სახელისა და გვარის შესახებ. გარდა ამისა, ქართველების განმასხვავებელი ნიშანი იყო მათი მეტყველება, სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლისაგან მკვეთრად განსხვავებული აქცენტი რუსულ ენაზე საუბრისას, რომელიც აფხაზეთში ძირითად საკომუნიკაციო ენად ითვლებოდა.

აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებში ქართველებით დასახლებულ ქუჩებს ჰქონდათ ქუჩის დასახელების აღმნიშვნელი წარწერები ქართულად და რუსულად. ასევე ქართველთა კერძო სახლების ჭიმკარზე ან საცხოვრებელი კორპუსების სადარბაზოებში განთავსებულ აბრეზზე ბინების მეპატრონეთა სახელები და გვარები ქართულ და რუსულ ენებზე იყო მითითებული. აფხაზეთთა სხვა არაქართველი ეთნოსებით დასახლებულ ქუჩებს და შენობებს კი წარწერები მხოლოდ რუსულ ენაზე ჰქონდათ. აღნიშნულით თავდამსხმელებისთვის შესაძლებელი ხდებოდა ქართველებით დასახლებული უბნების, ქუჩების, კერძო სახლებისა თუ ბინების გამოჩვენება.

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ დაკითხული ქართველი მოწმეები საკუთარ თავს იდენტიფიცირებას უკეთებდნენ როგორც ეთნიკურ ჯგუფს და ასევე იცოდნენ მათი მეგობრები და მეზობლები რომელ ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ. გარდა ამისა, პროკურატურის ანგარიშიდან ირკვევა, რომ იმ პირების მხრიდან, რომლებიც მიზანმიმართულად ხოცავდნენ ქართველ მოსახლეობას, ქართველები აღიქმებოდნენ როგორც ეთნიკური ჯგუფი. მოწმეთა ჩვენებების თანახმად, სოფლებზე და ქალაქებზე თავდასხმის დროს, აფხაზ მეომრებს ხშირად წინ მიუძღვოდნენ ადგილობრივი პირები, რომლებიც მათ ეხმარებოდნენ ქართველებით დასახლებული ქუჩებისა და შენობების იდენტიფიცირებაში.

ყოველივე აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ აფხაზეთში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურების სპეციალური განზრახვა მართლაც არსებობდა. ცხადია, რომ დაზარალებულთა, ბოვეიკების სამიზნეთა შერჩევა ხდებოდა არა მათი ინდივიდუალური ნიშან-თვისებების მიხედვით, არამედ აფხაზეთში მცხოვრებ ქართველთა ჯგუფისადმი მათი კუთვნილების გამო.

ჯგუფის წევრთა მკვლელობა. სისხლის სამართლის ზოგადი პრინციპების თანახმად, გენოციდის კონვენციის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული მკვლელობა უნდა განიმარტოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, რომლის მიხედვითაც განზრახ მკვლელობა არის სხვისი სიცოცხლის მოსპობის მიზნით ჩადენილი ქმედება.

გენოციდის დანაშაულის შემადგენლობა რომ მივიღოთ, ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა, რომ დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატოს ჯგუფის წევრების მკვლელობაში (აცტუს რეუს). საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მოპოვებული მტკიცებულებებისა და მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე, ასევე აფხაზეთში 1992-1993 წლების შეიარაღებული კონფლიქტისა და მის შემდგომ პერიოდში დახოცილ სამოქალაქო პირთა დაზუსტებული სიის თანახმად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რვავე რაიონში თუ ქალაქში 5 ათასზე მეტი სამოქალაქო პირი დაიღუპა. ამაში არ იგულისხმებიან კომბატანტები, რომლებიც შეიარაღებული მოქმედებების დროს დაიღუპნენ. გარდაცვლილთა რიცხვი თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ 1992-1993 წლებსა და მის შემდგომ პერიოდში აფხაზეთში მცხოვრები ქართველი სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი მკვლელობები განხორციელდა.³⁷⁶

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ შეკრებილი მტკიცებულებები გვიჩვენებს, რომ მკვლელობები და მასობრივი დახვრეტები აფხაზეთის ტერიტორიაზე 1992 წლის 14 აგვისტოდან 1993 წლის 27 სექტემბრამდე და 1998 წლის მაისის პერიოდში განხორციელდა. დანაშაულთა ჩადენამ პიკს მიაღწია 1992 წლის 2-3 ოქტომბერს, 1993 წლის 27-30 სექტემბერს და 1998 წლის 20 მაისს, როდესაც დაეცა გაგრა, სოხუმი და გალი. ქართველი მოსახლეობის მიმართ მკვლელობები და მასიური დახვრეტები სისტემატურად ხორციელდებოდა, დამნაშავეები არ არჩევდნენ ქალებსა და მამაკაცებს, ბავშვებსა და მოხუცებს, ორსულ ან უნარმეზღუდულ პირებს. უმეტეს შემთხვევაში მკვლელობები და დახვრეტები ერთმანეთის მსგავსი სცენარის მიხედვით ხორციელდებოდა. ქართველ მოსახლეობას ხოცავდნენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე, სადაც ადამიანები იძულებით მოჰყავდათ. მასობრივი დახვრეტები ხორციელდებოდა ასევე წინასწარ მომზადებულ ადგილებზე. მკვლელობამდე მსხვერპლს შეურაცხყოფას აყენებდნენ, აწამებდნენ, აუპატიურებდნენ. ანადგურებდნენ მთლიანად ოჯახებს, შემდეგ კი გარდაცვლილებს მათივე სახლებში წვავდნენ. როგორც საზარელი დანაშაულების თვითმხილველები, სიკვდილს გადარჩენილი ადამიანები ყვებოდნენ, სეპარატისტთა

376. Prosecutor v Jean Paul Akayesu, ICTR, TC Judgment 2 September 1998, para. 114.

ბოვეიკები თავებს კვეთდნენ ქართველ სამოქალაქო მოსახლეობას და მოკვეთილი თავებით „ფეხბურთს“ თამაშობდნენ; ბევრი ადამიანი ელექტრო გადამცემ ბოძებზე დაკიდებით ჩამოახრჩვეს და ა.შ. 1992 წლის აგვისტოდან 1993 წლის სექტემბრამდე ჩადენილ დანაშაულთა პირველ ტალღას გადარჩენილების მიმართ ძალადობა, დახვრეტები შემდგომ თვეებში და წლებშიც გაგრძელდა; 1998 წლის მაისში გალის რაიონში საომარი მოქმედებები კვლავ განახლდა, რასაც სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების, მათ შორის მკვლევლობების მეორე ტალღა მოჰყვა.

აფხაზი და სხვა ეროვნების მეომრები ქართველი მოსახლეობის მკვლევლობის დროს იყენებდნენ ისეთ მეთოდებს, როგორც არის წამება, წყალში დახრჩობა, ჩამოხრჩობა, თავის მოკვეთა, სხეულის დასახიჩრება, ცოცხლად დანვა, სექსუალური ხასიათის დანაშაული, დახვრეტა, საჰაერო დაბომბვა.

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ შეგროვებული მტკიცებულებები და ძალადობის შედეგად დაღუპულ პირთა დაზუსტებული სია შესაძლებლობას იძლევა დავასკვნათ, რომ აფხაზ სეპარატისტებს და მათთან დაკავშირებულ პირებს წინასწარ დაგეგმილი და განზრახული ჰქონდათ აფხაზეთის ქართველი სამოქალაქო მოსახლეობის ფიზიკური განადგურება, მკვლევლობა. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ფართომასშტაბიანი მკვლევლობა წარმოადგენს გენოციდის დანაშაულს. შესაბამისად, გენოციდის დანაშაულის შემადგენელი პირველი აუცილებელი ელემენტი სახეზეა.

ჯგუფის წევრთათვის მძიმე ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანის მიყენება. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ებრაელი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის (გენოციდი) გასამართლებული ადოლფ ეინშანის საქმეზე იერუსალიმის საოლქო სასამართლომ თავის 1961 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ჯგუფის წევრთათვის **მძიმე ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანის მიყენება** შეიძლება გამოწვეული იყოს პირთა მონობაში ყოფნით, შიმშილით, დეპორტაციით ან დევნით [...], ასევე პირთა დაპატიმრებით და მათი გეტოებში, სატრანზიტო და საკონცენტრაციო ბანაკებში ისეთი პირობების შექმნით, რაც მიზნად ისახავს მათ დამცირებას, ადამიანის უფლებების დარღვევას, დევნას, არაადამიანური ტანჯვისა და წამების მიყენებას.³⁷⁷

კაცობრიობის მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კოდექსის პროექტის კომენტარებში საერთაშორისო სამართლის კომისიამ მიუთითა, რომ „ფიზიკური თუ ფსიქიკური ზიანი, რომელიც ჯგუფის წევრებს მიადგათ, თავისი ბუნებიდან

377. Case of Adolf Eichmann, District Court of Jerusalem, Judgment 12 December 1961, para.199.

გამომდინარე, უნდა იყოს ისეთი მძიმე, რომელიც ქმნის ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურების სერიოზულ საფრთხეს“.³⁷⁸

*ხორვატია სერბეთის წინააღმდეგ საქმეზე*³⁷⁹ საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოს გადანყვეტილებაში ნათქვამია, რომ გენოციდის კონვენციის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ მძიმე ფიზიკურ ან ფსიქიკურ ზიანში იგულისხმება ისეთი ქმედება, რომელიც ხელს უწყობს რომელიმე ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ ფიზიკურ ან ბიოლოგიურ განადგურებას.

აკაიესუს საქმეზე რუანდის ტრიბუნალმა განმარტა, რომ „მძიმე ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანი ნიშნავს ფიზიკურ ან ფსიქიკურ წამებას, არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას, დევნას“. ასევე, რუანდის ტრიბუნალის ერთ-ერთმა სასამართლო პალატამ „მძიმე ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანი“ განმარტა, როგორც „ზიანი, რომელიც მძიმე ზეგავლენას ახდენს ჯანმრთელობაზე, ინვესს სხეულის დამახინჯებას ან სხეულის გარეგანი თუ შიდა ორგანოების ან მგრძობელობის მძიმე დაზიანებას“. ანალოგიური მიდგომა შეიმუშავა იუგოსლავიის ტრიბუნალმაც და განმარტა, რომ გენოციდის დანაშაულის ფარგლებში მოიაზრება წამება, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა. სასამართლოს განმარტებით, „არაადამიანური მოპყრობა... და დეპორტაცია შედის იმ ქმედებათა რიცხვში, რამაც შეიძლება სხეულის თუ ფსიქიკის მძიმე დაზიანება გამოიწვიოს“.³⁸⁰

სასამართლო პალატამ *აკაიესუს საქმეზე* განმარტა, რომ გაუპატიურება და სექსობრივი ხასიათის ძალადობა შეიძლება შეადგენდეს გენოციდს, როგორც ფიზიკური და ფსიქიკური ზიანის გამომწვევი ქმედება. სასამართლო პალატის აზრით, გაუპატიურება და სექსობრივი ხასიათის ძალადობა, სხვა დანაშაულების მსგავსად, წარმოადგენს გენოციდის დანაშაულს, თუ ისინი ჩადენილია კონკრეტული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურების სპეციალური განზრახვით. გაუპატიურება და სექსუალური ძალადობა დაზარალებულს მართლაც აყენებს მძიმე ფიზიკურ და ფსიქიკურ ზიანს. სასამართლო პალატის მტკიცებით, აღნიშნული

378. Report of the ILC on the work of its Forty-eighth Session, *Yearbook of the ILC*, 1996, Vol. II, Part Two, p. 46, para. 14; Prosecutor v. *Krajišnik*, ICTY Judgment of 27 September 2006, para. 862; see also *Tolimir*, IT-05-88/2-T, Trial Chamber, Judgment 12 December 2012, para. 738.

379. Application of the Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide (*Crtoatia v Serbia*), ICJ Judgment, 3 February 2015, para.157.

380. Prosecutor v. Jean-Paul Akayesu ICTR TC Judgment, 2 September 1998, paras. 731-733; Karadzic et al. (IT-95-5-R61 and IT-95-18-R61), Review of the Indictment Pursuant to Rule 61 of the Rules of Procedure and Evidence, 11 July 1996, para. 93; Prosecutor v. Radislav Krstic, ICTY, TC Judgment, 2 August 2001, para. 513.

ქმედება წარმოადგენს დაზარალებულისთვის ზიანის მიყენების უკიდურესად მძიმე ფორმას, ვინაიდან დაზარალებულს ადგება როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური ზიანი.³⁸¹ იგივე მოსაზრება გაიზიარა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ საქმეზე *ხორვატია სერბეთის წინააღმდეგ*. როგორც სასამართლო აღნიშნა, გაუპატიურება და სექსუალური ძალადობა გენოციდის კონვენციის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტის ფარგლებში გენოციდის დანაშაულის შემადგენელ ნაწილს (ობიექტურ მხარეს) წარმოადგენს.³⁸²

გენერალური პროკურატურის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების თანახმად, გაუპატიურება და სექსუალური ძალადობა ქართველი ქალების მიმართ მასშტაბურად იქნა ჩადენილი. ერთ-ერთი მოწმის ჩვენებით, ქალებს და გოგონებს ოჯახის წევრების თვალწინ სისტემატურად აუპატიურებდნენ. ხშირად გაუპატიურების შემდეგ ქალებს აწამებდნენ და თავებს აჭრიდნენ. ქართველებით დასახლებულ ადგილებზე თავდასხმებისას ქალების წინააღმდეგ ჩადიდნენ შემზარავ დანაშაულებს გაუპატიურებისა და წამების ჩათვლით. მოწმეთა ჩვენებების თანახმად, ქალებს და გოგონებს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ჯგუფურად აუპატიურებდნენ. ერთ-ერთი მოწმის³⁸³ ჩვენებით, აფხაზმა სეპარატისტებმა სოფელ ახალდაბაში 12-დან 16 წლამდე ასაკის 25 ქალი და გოგონა დატყვევეს და მთელი სოფლის თვალწინ გააუპატიურეს. იგივე სოფელ ახალდაბაში, მოწმის ჩვენების თანახმად, 6 წელზე უფროსი ყველა მდედრობითი სქესის წარმომადგენელი გააუპატიურეს, ხოლო ზოგიერთს კი თავი მოჰკვეთეს. ასევე, ერთ-ერთი მოწმის ჩვენების თანახმად³⁸⁴, ბოვეიკებმა მისი მეზობელი ქალი ჯერ გავარგარებულ გაბჭურაზე დასვეს, შემდეგ მკვრიდ მოაჭრეს, თვალები დათხარეს, დაბოლოს კი მოკლეს. მოწმის³⁸⁵ ჩვენების თანახმად, სეპარატისტები ორსულ ქალებსაც არ ინდობდნენ, მათ მუცლებს უფატრავდნენ და ნაყოფს ფეხით სრესდნენ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დანაშაულის ჩადენის ფართოდ გავრცელებული მეთოდი იყო წამება, დასახიჩრება, თავის მოკვეთა, დამახინჯება ან სხეულის შინაგანი თუ გარეგანი ორგანოებისთვის თუ მგრძნობელობისთვის სხვა სახის მძიმე ზიანის მიყენება – მაგალითად, ყურებისა და ცხვირის მოჭრა, თვალების დათხრა და ა. შ. სეპარატისტი

381. Prosecutor v. Jean-Paul Akayesu ICTR TC Judgment, 2 September 1998; William A. Schabas, *The UN International Criminal Tribunals: The Former Yugoslavia, Rwanda and Sierra Leone*, 2006 Cambridge, University Press, pp. 174-175.

382. Application of the Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide (Croatia v Serbia), ICJ Judgment, 3 February 2015, para. 158.

383. იხ. მოწმეების გალინა არზუმიანის და ნაირა ომანიძის ჩვენებები.

384. იხ. მოწმე ნათელა იაშვილის ჩვენება.

385. იხ. მოწმე ოთარ გობეჯიშვილის ჩვენება.

მებრძოლები მკვლევლობამდე ადამიანებს აიძულებდნენ მათი ოჯახის წევრების წამებისთვის ეყურებიან. აღნიშნული ქმედებით დამნაშავე პირებს სურდათ დაზარალებულთა ოჯახის წევრებისთვის წარუშლელი და შეუხორცებელი ტკივილის მიყენება.³⁸⁶ დამნაშავე პირთა მთავარი მიზანი იყო ქართველი მოსახლეობის ფიზიკური განადგურება, რასაც თან სდევდა მსხვერპლთა წამება, არაადამიანური, ღირსების შემლახველი მოპყრობა. მაგალითად, ქართველთა წინააღმდეგ სეპარატისტები ხშირად იყენებდნენ ისეთ ველურ მეთოდებს, როგორიცაა დაზარალებულთა თავებზე ავტომანქანის საბურავების ჩამოცმა და შემდეგ მათი ცოცხლად დანვა; დაზარალებულების საწოლზე მიბმა, არყის გადასხმა, ცეცხლის წაქიდება და ცოცხლად დანვა; მოძრავ ავტომანქანაზე მიბმა და სიკვდილამდე მათი თრევა.³⁸⁷

ზემოთ აღწერილ მასალაზე დაყრდნობით, ამკარაა, რომ გაუპატიურება და სექსუალური ძალადობა ქართველი ქალების წინააღმდეგ ჩადენილი იყო სისტემატურად. ბევრი ქალის მიმართ განხორციელდა უკიდურესად მძიმე საჯარო დამცირება, სექსუალური ძალადობა, ხშირად საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გაუპატიურება, სხეულის დასახიჩრება. გაუპატიურების დანაშაულის ჩადენამ გამოიწვია ქართველი ქალებისთვის, მათი ოჯახის წევრებისთვის და მთლიანად თემისთვის, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ, მძიმე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანის მიყენება. სექსუალური ძალადობა ჯგუფის განადგურების პროცესის განუყოფელი ნაწილი იყო. ამ პროცესში ქართველი ქალები დამნაშავეთა ერთ-ერთ მთავარ სამიზნეს წარმოადგენდნენ. ყოველივე ამან პირდაპირი გავლენა მოახდინა აფხაზეთში ქართული ეთნიკური ჯგუფის განადგურებაზე.

ჯგუფის წევრებისთვის მძიმე ფიზიკური ან მორალური ზიანის მიყენება არ ნიშნავს, რომ ასეთი ზიანი აუცილებლად წარუშლელი და მოუშუშებელი იყოს, თუმცა ზიანი უნდა იყოს მძიმე.³⁸⁸ იუგოსლავიის ტრიბუნალმა *კრსტიჩის* საქმეზე ფიზიკური და ფსიქიკური ზიანის ჭრილში განიხილა იმ პირთა მიმართ მიყენებული ზიანი, რომლებიც სრებრენიცას ხოცვა-ჟლეტას გადაურჩნენ. სასამართლოს აზრით, ქმედება შეიძლება ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანის მიყენების ჭრილში განვიხილოთ, მაშინაც კი, თუ დამნაშავეს მიზანია პირის მოკვლა და არა ფიზიკური თუ ფსიქიკური ზიანის მიყენება. *ბლაგოჟევიჩის* საქმეზე იუგოსლავიის ტრიბუნალის სასამართლო პალატამ ასევე მოიხსენია სრებრენიცას ხოცვა-ჟლეტის დროს გადარჩენილი პირები და განაცხადა, რომ მძიმე ფიზიკურ და ფსიქიკურ ზიანს წარმოადგენს

386. იხ. აკაკი ჟვანიას ოჯახის მკვლევლობის საქმე.

387 იხ. ნაწილი III. 3 – ფაქტები.

388. William A. Schabas, *The UN International Criminal Tribunals: The Former Yugoslavia, Rwanda and Sierra Leone*, 2006 Cambridge, University Press, p. 175.

არა მასიურ დახვრეტებს გადარჩენილ პირთა ტრავმები და ჭრილობები, არამედ, შიში, რომ მათაც მოკლავდნენ, სანამ ისინი იძულებულნი იყვნენ ეყურებინათ მათი ოჯახის წევრებისა და მეგობრების მკვლელობისთვის; სრული უსუსურობისა და უსაზღვრო შიშის განცდა საკუთარი და ოჯახის წევრების, მეგობრების უსაფრთხოების გამო, რაც არის ისეთი ტრავმული გამოცდა და მდგომარეობა, საიდანაც ადამიანს ძალიან რთულად, თუ საერთოდ, შესწევს უნარი გამოვიდეს.³⁸⁹ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მძიმე ფიზიკური და ფსიქიკური ზიანი მიადგათ დაზარალებულებს მაშინაც, როდესაც დახვრეტის წინ მათ აწამებდნენ და არაადამიანურად ეპყრობოდნენ. გარდა ამისა, მამაკაცების, ქალების, ბავშვებისა და ხანდაზმულების იძულებითი გადაადგილება თავისთავად იყო ტრავმული გამოცდა, რაც მოცემულ საქმეზე, მძიმე ფიზიკური ზიანის მოთხოვნებს აკმაყოფილებს.³⁹⁰

შეიძლება დავასკვნათ, რომ აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს აფხაზი სეპარატისტი მეზრძოლებისა და დაქირავებული ბოევიკების მიერ აფხაზეთში მცხოვრები ქართველი სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ ჩადენილი იქნა ღირსების შემლახველი მოპყრობა, წამება, სექსუალური ძალადობა და გაუპატიურება. აღნიშნულმა ქმედებებმა სერიოზული ფიზიკური და ფსიქიკური ზიანი გამოიწვია, რაც პირდაპირ ქართველი ხალხის, როგორც ჯგუფის ფიზიკური ან ბიოლოგიური განადგურებისკენ იყო მიმართული. შესაბამისად, გენოციდის კონვენციის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული გენოციდის დანაშაულის ობიექტური მხარე (აცტუს რეუს) სახეზე გვაქვს.

ჯგუფისთვის განზრახ ისეთი პირობების შექმნა, რაც მიზნად ისახავს მის მთლიან ან ნაწილობრივ ფიზიკურ განადგურებას. აკაიესუს საქმეზე სასამართლო პალატამ მიიჩნია, რომ „გენოციდის დანაშაული, როგორც არის ჯგუფისათვის განზრახ ისეთი პირობების შექმნა, რაც მიზნად ისახავს მის მთლიან ან ნაწილობრივ ფიზიკურ განადგურებას, უნდა იქნეს გაგებული, როგორც დამნაშავე პირების მიერ განადგურების ისეთი მეთოდების გამოყენება, რომელიც არ იწვევს ჯგუფის წევრების დაუყოვნებლივ სიკვდილს, მაგრამ, რომლის საბოლოო მიზანიც ამ პირთა ფიზიკური განადგურებაა. აღნიშნული დანაშაული გულისხმობს ჯგუფის წევრებისთვის განზრახ ცხოვრების ისეთი პირობების შექმნას, რასაც საბოლოო ჯამში მოჰყვება ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი ფიზიკური განადგურება, კერძოდ, მოსახლეობის

389. Prosecutor v. Vidoje Blagojevic and Dragan Jokic ICTY Judgment, 17 January 2005, para. 647; William A. Schabas, *The UN International Criminal Tribunals: The Former Yugoslavia, Rwanda and Sierra Leone*, 2006 Cambridge, University Press, p. 176.

390. Prosecutor v. Vidoje Blagojevic and Dragan Jokic ICTY Judgment, 17 January 2005, paras. 648-649.

გარკვეული ჯგუფის შიმშილის პირობებში ყოფნა, საკუთარი სახლებიდან სისტემატური განდევნა, აუცილებელი სამედიცინო მომსახურების მინიმალური მოთხოვნის ზღვრის მიღმამდე შემცირება.³⁹¹

ხორვატია სერბეთის წინააღმდეგ საქმეზე, სასამართლო პალატამ განაცხადა, რომ „გენოციდის კონვენციის მე-2 მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაული, როგორც არის ჯგუფისთვის განზრახ ისეთი პირობების შექმნა, რაც მიზნად ისახავს მის მთლიან ან ნაწილობრივ ფიზიკურ განადგურებას, გარდა მკვლევობებისა, გულისხმობს ფიზიკური განადგურების ისეთი მეთოდების გამოყენებას, რა დროსაც დამნაშავე პირის საბოლოო მიზანია ჯგუფის წევრების სიკვდილის დადგომა. განადგურების ასეთი მეთოდები გულისხმობს საკვების, სამედიცინო დახმარების, თავშესაფრის ან ტანსაცმლის არ მიწოდებას; პირების იძულებით ისეთ პირობებში ყოფნას, სადაც მათ არა აქვთ სჭირო ჰიგიენური პირობები; საკუთარი სახლებიდან სისტემატურ განდევნას, ან ისეთი სამუშაოს შესრულების იძულებას, ან ფიზიკური დაძაბულობის პირობებში ყოფნას, რის შედეგადაც ხდება ადამიანთა გამოფიტვა“.³⁹²

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს 2007 წლის გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ „გენოციდის დამახასიათებელი განზრახვა გულისხმობს კონკრეტული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურებას და ჯგუფის წევრთა დეპორტაცია ან გადაადგილება, მაშინაც კი, თუ აღნიშნული იძულებით განხორციელდა, არ შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც ჯგუფის განადგურების ტოლფასი ქმედება, და არც ჯგუფის განადგურება წარმოადგენს იძულებითი გადაადგილების აუცილებელ შედეგს“. ამასთანავე სასამართლომ განმარტა: „რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისეთი ქმედებები, როგორც არის „ეთნიკური წმენდა“, არ შეიძლება გენოციდის შემადგენელი ნაწილად მოგვევლინოს, თუ ასეთ ეთნიკურ წმენდას ახასიათებს „ჯგუფისათვის განზრახ ისეთი პირობების შექმნა, რაც მიზნად ისახავს მის მთლიან ან ნაწილობრივ ფიზიკურ განადგურებას,“ [...] და თუ ასეთი ქმედება ხორციელდება აუცილებელი სპეციალური განზრახვით (*dolus specialis*), რომელიც მიმართული უნდა იყოს ჯგუფის განადგურებისკენ და არა ამ ჯგუფის რომელიმე კონკრეტული რეგიონიდან განდევნისკენ... სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმის დასადგენად, ეთნიკურ წმენდად შერაცხული კონკრეტული ოპერაცია გენოციდის დანაშაულს

391. Prosecutor v Jean Paul Akayesu, ICTR, TC Judgment 2 September 1998, para. 506.

392. Application of the Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide (Croatia v Serbia), ICJ Judgment, 3 February 2015. para.161; Prosecutor v. Milomir Stakic, ICTY Trial Chamber Judgment, 31 July 2003, paras. 517-518; Prosecutor v. Radislav Brdanin, ICTY Trial Chamber Judgment, 1 September 2004, para. 691.

შეადგენს თუ არა, საჭიროა გაირკვეს, სახეზე არის თუ არა გენოციდის კონვენციის მე-2 მუხლში ჩამოთვლილი დანაშაულებრივი ქმედებები და კონკრეტული ჯგუფის განადგურების სპეციალური განზრახვა. საგულისხმოა, რომ კონვენციის კონტექსტში ტერმინს „ეთნიკური წმენდა“ სამართლებრივი მნიშვნელობა და შინაარსი არ გააჩნია. ბუნებრივია, „ეთნიკური წმენდის“ ფაქტები შეიძლება გვხვდებოდეს გენოციდის კონვენციის მე-2 მუხლით აკრძალული ქმედებების პარალელურად და ამგვარი ეთნიკური წმენდის ფაქტებს ჰქონდეს დიდი მნიშვნელობა და იყოს გადამწყვეტი სპეციალური განზრახვის (დოლუს სპეციალის) არსებობის დასადაგენად“.³⁹³

აღნიშნული ქვეთავის მიზანიც სწორედ იმის დადგენაა, წარმოადგენს თუ არა აფხაზეთში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის იძულებითი გადაადგილება გენოციდის კონვენციის მე-2 მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებულ გენოციდის დანაშაულს და განხორციელდა თუ არა იძულებითი გადაადგილება ისეთ პირობებში, რომელიც კონკრეტული ჯგუფის ფიზიკური განადგურების ტოლფასი შეიძლება იყოს.

გამოძიების ანგარიშზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ გენოციდის კონვენციის მე-2 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, აფხაზეთმა სეპარატისტებმა და მათთან ასოცირებულმა მებრძოლებმა ქართველ მოსახლეობას განზრახ შეუქმნეს ისეთი პირობები, რაც მიზნად ისახავდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა რაიონში ქართველების ჯგუფის მთლიან ან ნაწილობრივ ფიზიკურ განადგურებას. აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილია ისეთი დანაშაული, როგორც არის მასობრივი მკვლელობები, გაუპატიურება, სექსუალური ძალადობა, წამება, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა, რასაც სისტემატური და ფართომასშტაბიანი ხასიათი ჰქონდა. როგორც გამოძიების მასალა გვიჩვენებს, უმეტეს შემთხვევაში, დანაშაულის ჩადენის დროს დამნაშავე პირთა მიზანი იყო ქართველი მოსახლეობის ფიზიკური განადგურება და არა მათთვის ფიზიკური თუ ფსიქიკური ზიანის მიყენება.³⁹⁴ თუმცაღა სისტემატური გაძევებაც და იძულებით გადაადგილებაც გაუპატიურების, სექსუალური ძალადობის, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის ფონზე ხდებოდა. ამის გამო 267 345

393. Application of the Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide (Croatia v. Serbia), ICJ Judgment, 3 February 2015. para. 162; Case Concerning Application of the Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide (Bosnia and Herzegovina v. Serbia and Montenegro), ICJ Judgment, 26 February 2007, p. 123, para. 190.

394. იხ. III. 4-ს ქვეთავი: „ჯგუფის წევრთათვის მიმე ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანის მიყენება“.

ქართველი იძულებული გახდა აფხაზეთის ტერიტორიიდან გადაადგილებულიყო.³⁹⁵ იყო შემთხვევები, როდესაც ადამიანთა დიდი ჯგუფი საკუთარი სახლებიდან იძულებით ამონერეს და იარაღის მუქარით აიძულეს იგი ეს საკუთარი სახლები დაეტოვებინათ. ასევე ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როდესაც ოჯახის წევრების, ნათესავებისა და მეზობლების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამო შეშინებულმა ქართულმა მოსახლეობამ თავს გაქცევით უშველა, რადგანაც ხედავდა, რომ ეს იყო გადარჩენის ერთადერთ საშუალება.³⁹⁶

უნდა აღინიშნოს, რომ, პროკურატურის ანგარიშის მიხედვით, 1992 წლის აგვისტოდან 1993 წლის სექტემბრამდე პერიოდში აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ სეპარატისტები ახორციელებდნენ მასიურ, ფართომასშტაბიან ძალადობას და დაშინებას, რაც შემდეგ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიას მოედო. აღნიშნული პერიოდის მანძილზე, ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ არ წყდებოდა ისეთი დანაშაულების ჩადენა, როგორც არის მკვლევლობები, გაუპატიურება, სექსუალური ძალადობა, წამება, მაროდორობა, დევნა, სახცოვრებელი სახლების მასიური განადგურება და ა. შ. ამგვარ დანაშაულთა ჩადენით სეპარატისტთა შეიარაღებულ ფორმირებებს სურდათ აფხაზეთის ყველა რაიონსა და ქალაქში (გაგრა, გუდაუთა, სოხუმი, სოხუმის რაიონი, ოჩამჩირე, ტყვარჩელი და გალი) ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ქართველ მოსახლეობას აფხაზეთის ტერიტორიის დატოვებას აიძულებდა. ასეც მოხდა – ქართულმა მოსახლეობამ თითქმის მთლიანად დატოვა აფხაზეთის ტერიტორია. პროკურატურის ანგარიშის შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძალადობისა და დაშინების სისტემატურმა აქტებმა ხელი შეუწვევს ისეთი გარემოს ჩამოყალიბებას, როდესაც ქართველ მოსახლეობას არჩევანის საშუალება აღარ ჰქონდა და ფიზიკური გადარჩენის ერთადერთ გზად იძულებით გადაადგილება ესახებოდა. ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის აქტების მიზანი იყო ქართველთა ეთნიკური ჯგუფის აფხაზეთის ტერიტორიიდან განდევნა.³⁹⁷

395. 267 345 ქართველი იძულებით გადაადგილდა აფხაზეთიდან, მათ შრის 25 403 – გაგრის რაიონიდან, 73 178 – ქალაქ სოხუმიდან და სოხუმის რაიონიდან, 6 719 – გუდაუთის რაიონიდან, 34 587 – გულრიფშის რაიონიდან, 38 312 – ოჩამჩირის რაიონიდან, 3.468 – ტყვარჩელიდან, 85.678 – გალის რაიონიდან.

396. იხ. III. 3. – ფაქტები და III. 5-ს ქვეთავი „სურდათ თუ არა დამნაშავე პირებს აფხაზეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურება?“

397. Application of the Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide (Croatia v Serbia), ICJ Judgment, 3 February 2015. paras. 428, 430; Prosecutor v. Jovica Stanisic and Franko Simatovic, ICTY TC Judgment, 30 May 2013, paras.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს განცხადებით, მოსახლეობის იძულებითი გადაადგილება როგორც ასეთი, არ წარმოადგენს გენოციდის კონვენციის მე-2 მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული გენოციდის დანაშაულის შემადგენელ ობიექტურ მხარეს (*actus reus*).³⁹⁸ იმის დასადაგენად, გამოიწვია თუ არა მოსახლეობის იძულებითმა გადაადგილებამ ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურება, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ იმ გარემოებებსა და პირობებს, რომელშიც იძულებითი გადაადგილება ხორციელდებოდა.

ამასთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი მოსახლეობის აფხაზეთის ტერიტორიიდან იძულებითი გადაადგილება არის გენოციდის კონვენციის მე-2 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებების შედეგი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მკვლელობა, ნამება, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა, გაუპატიურება, სექსუალური ძალადობა იყო ქართული მოსახლეობის, როგორც ჯგუფის წინააღმდეგ წარმოებული გამანადგურებელი პროცესის განუყოფელი ნაწილი. ყოველივე ამის ფონზე მოხდა იძულებითი გადაადგილებაც, ანუ იგი განხორციელდა ისეთ გარემოებებში და პირობებში, რომელიც მიზნად ისახავდა ჯგუფის მთლიან ან ნაწილობრივ ფიზიკურ განადგურებას.

მომდევნო ქვეთავში განიხილება ზემოთ აღწერილ დანაშაულთა ჩადენის ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის განადგურების **სპეციალურ განზრახვასთან (*mens rea*)** მიმართების საკითხი.

სურდათ თუ არა დამნაშავე პირებს აფხაზეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურება? ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა მასშტაბების, მათი სისტემატური ხასიათისა და სისასტიკის გათვალისწინებით უდავოა, რომ დამნაშავე პირებს სურდათ ქართველი მოსახლეობის, როგორც ჯგუფის მოსპობა. ბევრი ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ მკვლელობების ჩამდენ პირებს განზრახული ჰქონდათ ქართველი მოსახლეობის აფხაზეთის ტერიტორიიდან სრული გაუჩინარება.³⁹⁹

ნაწილობრივ განადგურება. ტერმინი „მთლიანად ან ნაწილობრივ“ გულისხმობს „მნიშვნელოვან“ ნაწილს, როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად. თუმცა, „აუცილებელი არ არის ჯგუფში მოიაზრებოდეს მთლიანი მოსახლეობა. ადამიანთა გარკვეული რაოდენობის განადგურების განზრახვა იმის გამო, რომ ისინი კონკრეტულ ჯგუფს

997-998, 1049-1050.

398. Case Concerning Application of the Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide (Bosnia and Herzegovina v. Serbia and Montenegro), ICJ Judgment, 26 February 2007, p. 123, para. 190.

399. Prosecutor v Jean Paul Akayesu, ICTR, TC Judgment 2 September 1998, para. 117.

მიეკუთვნებიან, გენოციდის დანაშაულს წარმოადგენს მაშინაც კი, თუ კონკრეტული ქვეყნის, რეგიონის ან თემის შიგნით ხდება ადამიანთა ჯგუფის მხოლოდ ნაწილის განადგურება“. ჯელიჩის საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ „საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი გენოციდის დანაშაულის არსებობას აღიარებს მაშინაც კი, როდესაც განადგურების განზრახვა ერთ კონკრეტულ გეოგრაფიულ ზონას“ მოიცავს.⁴⁰⁰

არ არის აუცილებელი, რომ დამნაშავეს დედამიწის ყველა წერტილში მცხოვრები კონკრეტული ჯგუფის წარმომადგენლების სრული განადგურება ჰქონდეს განზრახული. თუმცა, გენოციდის დანაშაული, მისი არსიდან გამომდინარე, მოითხოვს კონკრეტული ჯგუფის მნიშვნელოვანი ნაწილის განადგურების განზრახვის არსებობას.⁴⁰¹

მოცემულ შემთხვევაში აფხაზეთში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის ნაწილი მიზანმიმართულად განადგურდა, მკვლელობებს გადარჩენილები კი, იძულებით გადაადგილდნენ. შესაბამისად, იბადება შეკითხვა, რამდენად შეიძლება ჩავთვალოთ დაზარალებულ პირთა აღნიშნული ჯგუფი აფხაზეთში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილად, რათა მათი განადგურების განზრახვა გენოციდის კონვენციის მე-2 მუხლით დადგენილი „ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურების განზრახვად“ ჩაითვალოს.

კაიშემას და რუზინდანას საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებებში⁴⁰² ნათქვამია, რომ ჯგუფის ნაწილობრივ განადგურების განზრახვა უნდა შეეხოს მრავალრიცხოვან პირთა ჯგუფს. ინიას ბაგილიშემას საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებაში ასევე ნათქვამია, რომ განადგურება უნდა იყოს გამიზნული ჯგუფის მნიშვნელოვანი ნაწილის წინააღმდეგ.⁴⁰³

ტერმინი „ნაწილობრივ“ გულისხმობს მნიშვნელოვან რაოდენობას, რაც განსხვავდება მთლიანი ჯგუფისგან. მნიშვნელოვანში ასევე იგულისხმება ჯგუფის ის ნაწილი, რომელიც შეიძლება ჯგუფის ლიდერებად, ხელმძღვანელებად მივიჩნიოთ.⁴⁰⁴

შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე აფხაზეთში მცხოვრები ქართველების რაოდენობა 239 872-ს უდრიდა. კონფლიქტის და მის შემდგომ პერიოდში აფხაზეთში მცხოვრები 5 000-ზე მეტი

400. Prosecutor v Goran Jelusic, ICTY, TC Judgment, 14 December 1999, paras. 82-83; Prosecutor v. Radislav Krstic, ICTY, TC Judgment, 2 August 2001. para. 582.

401. The Prosecutor v. Goran Jelusic, Trial Chamber Judgment 14 December 1999, para. 82.

402. The Prosecutor versus Clement Kayishema and Obed Ruzindana, ICTR TC Judgment, 21 May 1999, para. 97.

403. *The Prosecutor v. Ignace Bagilishema*, case no. ICTR-95-1A-T, 7 June 2001, para. 64.

404. Prosecutor v. Radislav Krstic, ICTY TC Judgment, 2 August 2001. para.587; The Prosecutor v. Goran Jelusic, Trial Chamber Judgment 14 December 1999, para. 82.

სამოქალაქო ქართველი მოკლეს.⁴⁰⁵ მოძალადეთა მიერ დახოცილთა აღნიშნული რაოდენობა ჯგუფის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათი რაოდენობა რიცხობრივად დიდია, არამედ იმიტომაც, რომ დაზარალებულები ხარისხობრივი თვალსაზრისითაც ჯგუფის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდნენ. ქართველი მოსახლეობის მასიური დახვრეტები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, მთელი სოფლებისა და ოჯახების, მათ შორის ხშირად სამი თაობისაგან შემდგარი ოჯახების ერთიანად ამოჟღერება, როცა არ არჩევდნენ კაცებს, ქალებს, ბავშვებსა და ხანდაზმულ ადამიანებს, წარმოადგენს იმ დანაშაულებს, რაც ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ იქნა განხორციელებული.⁴⁰⁶ ამკარა და ცხადია, რომ აფხაზ სეპარატისტებს განზრახული ჰქონდათ საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის განადგურება.

დამნაშავე პირთა სპეციალური განზრახვის დასადგენად, რის შესახებაც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ (იხ. აქვე, ნაწილი 3.5), უნდა გავითვალისწინოთ, რომ განზრახვა არის ფსიქიკური ფაქტორი, რომლის დადგენა ძალიან რთულია და ხშირ შემთხვევაში შეუძლებელიც. ბრალდებულის აღიარების არარსებობის შემთხვევაში, მისი მხრიდან განზრახვის არსებობა შეიძლება დადგინდეს სხვადასხვა ფაქტებზე დაყრდნობით გადაკეთებული დასკვნის საფუძველზე. გენოციდის განზრახვის არსებობის დადგენა შესაძლებელია კონკრეტული დანაშაულის კონტექსტიდან გამომდინარე, ასევე უნდა გავითვალისწინოთ ისეთი ფაქტორები, როგორიც არის დანაშაულთა მასშტაბი და მათი ზოგადი ხასიათი. თუ დაზარალებულები დამნაშავე პირთა სისტემატურ სამიზნეს მათი რომელიმე ჯგუფისადმი კუთვნილების გამო წარმოადგენდნენ, მაშინ როდესაც იგივე პირები სხვა ჯგუფის წევრების მიმართ მსგავს დანაშაულებს არ ახორციელებდნენ, ასევე მიუთითებს სპეციალური განზრახვის არსებობაზე. აღნიშნული ფაქტორების არსებობა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ კონკრეტული დანაშაულის ჩადენის დროს არსებობდა გენოციდის განზრახვა.⁴⁰⁷

იუგოსლავიის ტრიბუნალის სასამართლო პალატამ განაცხადა, რომ გენოციდის განზრახვის არსებობა შეიძლება დავადგინოთ რიგ ფაქტებზე დაყრდნობით, მაგალითად, ისეთი პოლიტიკური დოქტრინის არსებობით, რომელმაც დამნაშავეს გენოციდის დანაშაულით

405. 1989 წელს ჩატარებული საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებს, აფხაზეთში მცხოვრები ქართველების რაოდენობასთან დაკავშირებით, სადაოდ ხდის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აცხადებს, რომ აფხაზეთის ქართველების რეალური რაოდენობა გაცილებით მეტი იყო; იხ. აქვე, ნაწილი I. 7.

406. იხ. III. 3. – ფაქტები.

407. Prosecutor v Jean Paul Akayesu, ICTR, TC Judgment 2 September 1998, paras. 517-523.

გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენისკენ უბიძგა, ანდა დამანგრეველ და დისკრიმინაციულ ქმედებათა არაერთგზის ჩადენის ფაქტი. განზრახვის არსებობა, ასევე შეიძლება დავადგინოთ ისეთი ქმედებებზე დაყრდნობით, რომლებიც, თავად დამნაშავე პირთა აზრით, არღვევს და ძირს უთხრის კონკრეტული ჯგუფის საფუძველს“.⁴⁰⁸

„ჯგუფის ისეთი კონკრეტული ნაწილი განადგურების განზრახვა, როგორც არის მისი პოლიტიკური, ადმინისტრაციული, ინტელექტუალური ან ბიზნეს ლიდერები, მიუხედავად დახოცილთა რაოდენობისა, შეიძლება გენოციდის განზრახვის ამკარა მინიშნება იყოს“.⁴⁰⁹ სეპარატისტებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ აფხაზეთში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის ისეთი დამსახურებული და ცნობილი წარმომადგენლების მკვლელობები, როგორებიც იყვნენ პოლიტიკოსები, ადმინისტრაციის თანამშრომლები, მეცნიერები, ექიმები, პედაგოგები, ჟურნალისტები, მწერლები, ხელოვნების მუშაკები და ა. შ., გამოიწვევდა ქართული საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირების მოშლას.⁴¹⁰ ჯგუფის ის წევრები, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის მიმდინარეობისას სიკვდილს გადაურჩნენ, პოლიტიკური, ადმინისტრაციული და ინტელექტუალური ლიდერების გარეშე დარჩნენ, შესაბამისად, მათთვის, როგორც ძლიერი საზოგადოებისთვის, არსებობის გაგრძელება შეუძლებელი გახდა. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ქართული საზოგადოების ღვანღმოსილი წევრები გამიზნულად გახდნენ დამნაშავე პირთა სამიზნეები მათი სოციალური სტატუსის გამო. ამ მხრივ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია სოხუმის დაცემის დღეს აფხაზი სეპარატისტი მეომრების მიერ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრებისა და მათი თანმხლები პირების – სულ 49 ადამიანის, მათ შორის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი შარტავას დახვრეტა.⁴¹¹

აფხაზი სეპარატისტი მეომრები სრულად აცნობიერებდნენ, რომ აფხაზეთის ქართული მოსახლეობის პოლიტიკური, ადმინისტრაციული და ინტელექტუალური ლიდერების მკვლელობით, ისინი ქართველ მოსახლეობას, როგორც ჯგუფს საფუძველს გამოაცლიდნენ,

408. William Schabas, *Genocide in International Law: The Crimes of Crimes*, Cambridge University Press, p. 223.

409. The Final Report of the Commission of Experts established pursuant to Security Council resolution 780 (1992); *The Prosecutor v. Goran Jelusic*, Trial Chamber Judgment 14 December 1999, para. 82.

410. იხ. ნაწილი III. 3. – ფაქტები – შეიარაღებული კონფლიქტის შედეგები, რომლის მიხედვითაც, აფხაზი სეპარატისტი მეომრების მიერ მოკლული იქნა დაახლოებით 100 ხელოვნების მუშაკი, 30-ზე მეტი მედიცინის მუშაკი და 200 პედაგოგი (III. 4).

411. იხ. ყოფილი შარტავას საქმე (III. 3), შოთა ჯღამაძის საქმე (III. 4).

რადგანაც განადგურებული იქნებოდა ის კულტურული და სოციალური საყრდენი, რაზეც აღნიშნული საზოგადოება იდგა.⁴¹²

ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადნილ დანაშაულთა შეფასებისას, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ იმას, თუ რა ბედი ეწია აფხაზეთში მცხოვრებ ქართველ მოსახლეობას შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდეგ. კერძოდ, ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურების განზრახვის დასადაგენად საჭიროა განვიხილოთ ქართველების იძულებით გადაადგილების ფაქტიც, რასაც ხშირად ასევე ეთნიკურ წმენდას უწოდებენ. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ ეთნიკური წმენდა განმარტებული იქნა, როგორც გენოციდის ფორმა.⁴¹³ ამასთან მიმართებაში მხედველობაშია მისაღები კრსტიჩის საქმეზე სასამართლო პალატის შემდეგი განცხადება: „ის ფაქტი რომ იძულებით გადაადგილება, როგორც ასეთი არ წამოადგენს [...] გენოციდის დანაშაულს, სასამართლო პალატას არ აფერხებს დაეყრდნოს აღნიშნულს, როგორც მტკიცებულებას, რათა დადგინდეს სერბეთის რესპუბლიკის გენერალური შტაბის წევრების განზრახვა. გენოციდის განზრახვა შეიძლება დადგინდეს ისეთი ფაქტების შეფასებით, როგორც არის „ერთი და იმავე ჯგუფის მიმართ სხვადასხვა სახის დანაშაულთა სისტემატურად ჩადენა“.⁴¹⁴ ზემოთქმულთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ 267 345 ქართველის იძულებით გადაადგილება აფხაზეთის ტერიტორიიდან იმის მაჩვენებელია, რომ აფხაზი სეპარატისტების განზრახვა იყო აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველების გავლენის, კონტროლისა და მათი წარმომადგენლობის მოსპობა. იძულებითი გადაადგილება განხორციელდა აფხაზეთის ყველა რაიონიდან 1992 წლის აგვისტოდან 1993

412. Prosecutor v. Radislav Krstic, ICTY, The Appeals Chamber Judgment, 19 April 2004, para. 12. კრსტიჩის საქმეზე სააპელაციო პალატამ განაცხადა, რომ სტატუსის მე-4 მუხლის თანახმად, გენოციდის განზრახვა არსებობს მაშინ, როდესაც შეგროვილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ დამნაშავე პირებს განზრახული ჰქონდათ დაცული ჯგუფის მნიშვნელოვანი ნაწილის განადგურება. [...] ჯგუფის წევრთა რაოდენობა, რომლის წინააღმდეგაც დანაშაული ხორციელდებოდა, უნდა შეფასდეს ჯგუფის წევრთა მთლიან რაოდენობასთან მიმართებაში. ჯგუფის რაოდენობის გარდა, უნდა შევაფასოთ დანაშაულის სამიზნედ ამორჩეული ჯგუფის წევრთა მნიშვნელობა და მათი გამორჩეულობა ჯგუფის შიგნით. თუ დანაშაულის სამიზნე გახდა ჯგუფის ის ნაწილი, რომელიც მთლიანი ჯგუფის სიმბოლურ ნაწილს წარმოადგენს ან ჯგუფის არსებობისა და გადარჩენისთვის არის აუცილებელი, მაშინ ასეთი გარემოებები დაგვეხმარება იმის დადგენაში, თუ რამდენად წარმომადგენდენ განადგურებული ადამიანები ჯგუფის მნიშვნელოვან ნაწილს.

413. UN Doc. AG/Res./47/121 of 18 December 1992; Separate Opinion of Judge Lauterpacht, ICJ Reports (1993), p. 431. იხილეთ აგრეთვე ნაწილი V (დანართი) – II. 6 და III. 4.

414. Prosecutor v. Radislav Krstic, ICTY, The Appeals Chamber Judgment, 19 April 2004, para. 33.

ნლის სექტემბრამდე და შემდგომ 1998 წლის მაისში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სეპარატისტი მეომრების მიერ ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორიცაა ადამიანების ჭაში ჩახრჩობა. აღნიშნულ ქმედებებს სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა და მოსახლეობისთვის საარსებო წყაროს მოსპობასაც ისახავდა მიზნად. ვინაიდან აფხაზეთში არსებული ადათ-წესების თანახმად, თუ ჭაში ადამიანი დაიხრჩობოდა, აღნიშნული საცხოვრებელი გამოუსადეგარი ხდებოდა და ასეთი ადგილები ადამიანების მიერ აუცილებლად მიტოვებული იქნებოდა. შესაბამისად, აღნიშნულით დამნაშავე პირებს ქართველების თავიანთ სახლებში დაბრუნების შესაძლებლობის მოსპობა სურდათ.⁴¹⁵ იმის გათვალისწინებით, რომ სეპარატისტებმა ქართველ მოსახლეობას შეუქმნეს გაუსაძლისი პირობები, სრული დაუცველობის განცდა, როცა არ არსებობდა გადარჩენის იმედი, ცხადი ხდება, რომ საკუთარი სახლების მიტოვება და აფხაზეთის ტერიტორიიდან გადაადგილება ქართველების მიერ ნებაყოფლობით მიღებული გადაწყვეტილება არ იყო. ქართველების ფიზიკური გადარჩენა იმაზე იყო დამოკიდებული, დარჩებოდნენ საკუთარ სახლებში თუ საერთოდ დატოვებდნენ აფხაზეთის ტერიტორიას. მხედველობაში თუ მივიღებთ იმ გარემოებასაც, რომ 267 345 იძულებით გადაადგილებული ქართველი საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგაც საკუთარ სახლში ვერ დაბრუნდა, ამითაც დადასტურდება, რომ აფხაზ სეპარატისტებს ჰქონდათ აფხაზეთის ტერიტორიის ქართველი მოსახლეობისგან განმედიის შორს მიმავალი გეგმა. შესაბამისად, იძულებით გადაადგილების ფაქტები უნდა განვიხილოთ, როგორც გენოციდის განზრახვის შემადგენელი ნაწილი, რომლის მიზანიც იყო ქართველი მოსახლეობის მთლიანად ან ნაწილობრივ, ანუ იმ ოდენობით განადგურება, რაც აღნიშნული ჯგუფის აფხაზეთის ტერიტორიიდან სრულად განდევნას უზრუნველყოფდა.⁴¹⁶

პოლიტიკური ლიდერებისა და ღვანწმომოსილი პირების მკვლელობით, ხოლო დარჩენილი მოსახლეობის დეპორტაციით აფხაზი სეპარატისტები დარწმუნებული იყვნენ, რომ ქართული მოსახლეობა არ დაბრუნდებოდა აფხაზეთში და არც მომავალში ექნებოდათ აღნიშნულ ტერიტორიაზე ხელახლა დაფუძნების შესაძლებლობა.

ასევე ყურადსაღებია აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის ბედი აფხაზეთის ტერიტორიიდან მისი განდევნის შემდეგ. დევნილი ოჯახების უმეტესობამ ოჯახის წევრები დაკარგეს, საშინელი დანაშაულების შედეგად მათ გამოუსწორებელი ტრავმა მიაღებათ. ბევრისთვის ახალ გარემოში თავის დამკვიდრება და ცხოვრების წარმატებით გაგრძელება შეუძლებელი გახდა. მათი უმეტესობა იძულებული იყო მრავალი

415. იხ. ნაწილი III. 3 – ფაქტები.

416. Separate Opinion of Judge Lauterpacht, ICJ Reports (1993), p. 431.

წლის მანძილზე კოლექტიური განსახლების ადგილებში ძალიან დაბალი სტანდარტების პირობებში ეცხოვრა, სადაც არ ჰქონდათ ღირსეული სამსახურის შოვნის შესაძლებლობა. ასეთ მდგომარეობაში ათასობით ოჯახი ჩავარდა. კრსტიჩის საქმეზე პროკურორმა განაცხადა, რომ „რაც სრებრენიცას თემის გადარჩენილი წევრებისგან დარჩა, არის მხოლოდ ბიოლოგიური ორგანიზმი და მეტი არაფერი. ეს არის საზოგადოება, რომელიც სასონარკვეთილ მდგომარეობაში იმყოფება, საზოგადოება, რომელიც მხოლოდ წარსულის მოგონებებით ცხოვრობს, ეს არის საზოგადოება, რომელსაც არ ჰყავს ლიდერები, ეს არის აჩრდილი იმ საზოგადოებისა, რომელიც ოდესღაც არსებობდა“. პროკურორის აზრით, „ბრალდებულის მიერ ჩადენილმა დანაშაულმა გამოიწვია არა მხოლოდ ათასობით მამაკაცის და ბიჭის სიკვდილი, არამედ ამ დანაშაულმა სრებრენიცას მუსლიმი საზოგადოება“ გაანადგურა.⁴¹⁷ რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს ამის აღიარება, აფხაზეთის ტრაგედიას გადარჩენილი ქართველი მოსახლეობის მდგომარეობაც ანალოგიური სიტყვებით შეიძლება აღინეროს.

აფხაზურ სეპარატისტულ მთავრობას განზრახული ჰქონდა აფხაზეთის ტერიტორიის ქართველი მოსახლეობისაგან განმეცოდა, რაც კარგად ორგანიზებული გენოციდის გეგმის ნაწილი იყო. შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობაში მთელი რიგი ცვლილებები განხორციელდა მონოეთნიკური აფხაზური გვარდიის შექმნის ჩათვლით. ჩამოყალიბდა „აიდგილარა“-ს სამხედრო ბატალიონი, რაც საქართველოსა და ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი კონსტიტუციების დარღვევითა და ადგილობრივი მთავრობის ქართველი წარმომადგენლების თანხმობის გარეშე მოხდა. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები მიზნად ისახავდა აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციისა და გავლენის შეზღუდვას, აფხაზეთის საქართველოსაგან გამოყოფას და, საბოლოო ჯამში, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას. ამკარაა, რომ აღნიშნული ანტიკონსტიტუციური საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, აფხაზი სეპარატისტების გეგმა ვერ განხორციელდებოდა, თუ ქართველი მოსახლეობა, რომელიც აფხაზეთში მცხოვრებთა შორის უმრავლესობას წარმოადგენდა, აფხაზეთის ტერიტორიაზე დარჩებოდა. შესაბამისად, აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის მიზნების მისაღწევად საჭირო იყო ქართველი მოსახლეობის აფხაზეთის ტერიტორიიდან განდევნა.

მიზნის მისაღწევად აფხაზურმა სეპარატისტულმა მთავრობამ, მისმა პოლიტიკურმა ლიდერებმა და ფსევდო მეცნიერებმა სკოლებში, აფხაზეთის უნივერსიტეტში, სამეცნიერო და სხვა დაწესებულებებში

417. Prosecutor v. Radislav Krstic, ICTY, TC Judgment, 2 August 2001, para. 592.

მედიის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით ძლიერი პროპაგანდისტული კამპანია წამოიწყო. აღნიშნული კამპანია ხმას აწვდიდა საზოგადოების ყველა სეგმენტს. პოლიტიკური ორგანიზაცია „აიდგილარა“ საქართველო-აფხაზეთის ისტორიულ წარსულს მიზანმიმართულად აყალბებდა. ისტორიული ფაქტების დამახინჯებით, აფხაზი სეპარატისტების პოლიტიკური ლიდერები ცდილობდნენ „გაენათლებინათ“ აფხაზეთის მოსახლეობა, რათა მისი მენსიერებიდან საუკუნეების სიღრმეიდან მომდინარე აფხაზთა და ქართველთა თანაცხოვრების, მათი მჭიდრო კულტურული, ისტორიული და პოლიტიკური ერთობის ქვეყნობის ისტორია წაეშალათ. ფსევდოაკადემიური ნამუშევრები ქართველ მოსახლეობას იმგვარად წარმოაჩენდა, თითქოს მათ აფხაზი ინტელიგენცია დაამცირეს, აფხაზური სკოლები გააუქმეს, აფხაზი ხალხის ისტორია და კულტურა უგულვებელყვეს, აფხაზეთის ავტონომიას კი არაფრად აგდებდნენ. აღნიშნული ჯგუფების ზიზის შემცველმა რიტორიკამ და შოვინისტურმა გამონათქვამებმა ქართული მოსახლეობის მიმართ შეუწყნარებლური დამოკიდებულება და ზიზი გააღვივეს. ასეთმა პროპაგანდამ ხელი შეუწყო ქართველებისგან მტრის ხატის ჩამოყალიბებას. მათ უკვე აფხაზი ხალხის ყველა უბედურებაში ადანაშაულებდნენ და აფხაზებისთვის საფრთხედაც წარმოაჩენდნენ. აქედან გამომდინარეობდა დასკვნა ქართველთა მკვლელობებით „საფრთხის განეიტრალების“ შესახებ, რომელსაც თავს ახვევდნენ აფხაზურ მოსახლეობას.

აფხაზი სეპარატისტების მიერ რიგი საკანონმდებლო ნორმების ამოქმედება მიზნად ისახავდა ქართველი მოსახლეობისთვის აფხაზეთის რეგიონში ცხოვრების აკრძალვას, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნის მოქალაქეების აფხაზეთში ჩამოსახლების წახალისება ხდებოდა და მათ გამარტივებული პროცედურებით რეგისტრაციის უფლება ეძლეოდათ. აღნიშნული იმაზეც მეტყველებს, რომ აფხაზ სეპარატისტებს წინასწარ ჰქონდა შემუშავებული აფხაზეთის ტერიტორიიდან ქართველი მოსახლეობის განდევნის შორსმიმავალი გეგმა.

მთლიანად ან ნაწილობრივ ჯგუფის განადგურების განზრახვა გამოიხატა აფხაზი პოლიტიკური ლიდერების მიერ გაკეთებულ დაპირებებშიც, რომლის თანახმადაც აფხაზ მეომრებს და უცხოელ ბოევიკებს მოკლული ქართველების სახლებით დასაჩუქრებას პირდებოდნენ. ბუნებრივია, ქართველების ფიზიკური მოსპობისა და ეთნიკური წმენდის გარეშე ქართველთა სახლები ვერ დაცარიელდებოდა. შესაბამისად, აფხაზი სეპარატისტების ლიდერებს კარგად ჰქონდათ გააზრებული და სურდათ მთლიანად ან ნაწილობრივ აფხაზეთში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის განადგურება. აღნიშნული განზრახვა კარგად ჩანს იმ სლოგანებშიც, რასაც დამნაშავე

პირები განუწყვეტლივ იმეორებდნენ, როდესაც ქართველ სამოქალაქო მოსახლეობას თავს ესხმოდნენ: „თუ ქართველები აფხაზეთს არ დატოვებთ, ყველა მოკვდებით“.⁴¹⁸

ჯგუფის განადგურება შეიძლება მოხდეს ასევე მისი კულტურული იდენტობის მიზანმიმართული განადგურებით, რასაც, საბოლოო ჯამში, ჯგუფის, როგორც მკაფიოდ გამოკვეთილი ერთეულის საზოგადოების მესხირებიდან ნაშლისკენ მიყვავარათ.⁴¹⁹

საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი გენოციდს შეზღუდულად განმარტავს, რომლის მიხედვით, გენოციდის დანაშაული სახეზე გვაქვს მხოლოდ მაშინ, თუ დანაშაულებრივი ქმედებები ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ ფიზიკური ან ბიოლოგიური განადგურებისკენ არის მიმართული. შესაბამისად, ადამიანთა ჯგუფის მხოლოდ კულტურულ ან სოციოლოგიურ მახასიათებლებზე თავდასხმა ამ მახასიათებლების განადგურების მიზნით, გენოციდის განმარტებაში არ ჯდება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიკური განადგურების დროს ხშირია შემთხვევები, როდესაც იმავდროულად თავს ესხმიან კულტურულ, რელიგიურ მემკვიდრეობას და ჯგუფის დამახასიათებელ სხვა სიმბოლოებს. ასეთი თავდასხმები შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც ჯგუფის ფიზიკური განადგურების განზრახვის მტკიცებულება.⁴²⁰

დამნაშავეთა მიზანი მხოლოდ აფხაზეთის ქართული მოსახლეობის განადგურება არ ყოფილა, არამედ მათ ასევე სურდათ ქართველების ეროვნული მახასიათებლების მოსპობა. მაგალითად, შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდეგ აფხაზმა სეპარატისმა მეომრებმა ოჩამჩირეში ბედიის ქართულ ტაძარში დააზიანეს და დაარბიეს იმავე ტაძარში დაკრძალული საქართველოს მეფის ბაგრატ მესამის 999 წლით დათარიღებული ქართულ წარწერებიანი ფრესკა. სეპარატისტებმა ილორის ქართულ ეკლესიაში XI საუკუნით დათარიღებული ქართული წარწერები ნაშალეს, მათ შორისაა ტაძრის ქტიტორის ქართული გვარ-სახელი. მოხდა აღნიშნული ეკლესიის იერსახის რუსულ ყაიდაზე გადაკეთება. გალში რეგიონული ეთნოგრაფიული მუზეუმი დაარბიეს და გაძარცვეს. სოხუმსა და გაგრაში XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე ცნობილი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის მონუმენტი დაანგრიეს. ქალაქ სოხუმში კი ქართველი მწერლისა და პოეტის აკაკი წერეთლის ძეგლი დაანგრიეს. 1993 წლის 27 სექტემბერს ბოვეიკებმა აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ ბიბლიოთეკებში, მათ შორის ივანე პაპასკირის რესპუბლიკურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში დაცული ქართული წიგნები დაწვეს, ცეცხლი წაუკიდეს ქართულ სკოლებს.

418. იხ. თავი III. 3 – ფაქტები.

419. Prosecutor v. Radislav Krstic, ICTY TC Judgment, 2 August 2001, para. 574.

420. Prosecutor v. Radislav Krstic, ICTY TC Judgment, 2 August 2001, paras. 575-578.

ადრე შუასაუკუნეების ქართული ეკლესიებისა და კულტურული მემკვიდრეობის სხვა ძეგლების მიზანმიმართული განადგურება წარმოადგენდა აფხაზი სეპარატისტების გეგმის ნაწილს და მიზნად ისახავდა აფხაზეთის ტერიტორიიდან ქართველი მოსახლეობის ამოძიკვას და მისი კულტურული იდენტობის დამადასტურებელი სიმბოლოების მოსპობას.

ამრიგად, აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობისთვის და მისი მეომრებისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ ქართული მოსახლეობის მასობრივი მკვლელობა და ცოცხლად დარჩენილთა იძულებითი გასახლება აუცილებლად გამოიწვევდა აფხაზეთის ტერიტორიიდან ქართველების, როგორც ჯგუფის, ფიზიკურ გაუჩინარებას. აფხაზური სეპარატისტული ძალების მიერ ქართველი მოსახლეობის მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურების განზრახვა მტკიცდება ასევე ანტიკონსტიტუციური საკანონმდებლო ცვლილებების მიღებით, ეთნიკური შუღლის გამძვინვარებელი რიტორიკისა და ქართველების მიმართ ზიზღის შემცველი განცხადებების გავრცელებით, ქართული საზოგადოების პოლიტიკური, ადმინისტრაციული, ინტელექტუალური ლიდერების დახვრეგითა და ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის განადგურებით.

III.5. ეწინააღმდეგება თუ არა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 65¹ მუხლის (გენოციდი) რეტროაქტიულად გავრცელება ლეგალურობის პრინციპს

გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფის მიერ შეგროვებული მტკიცებულებების თანახმად, გენოციდის დანაშაული აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ 1992 წლის აგვისტოდან 1993 წლის ოქტომბრამდე და შემდგომ 1998 წლის მაისში იქნა ჩადენილი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გენოციდის დანაშაული დასჯად ქმედებად 1993 წლის 8 ივლისიდან გამოცხადდა, რაც იმას ნიშნავს, რომ გენოციდის მუხლი აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ამოქმედდა. აქედან გამომდინარე, მოცემული თავის მიზანია იმ დამნაშავე პირების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების შესაძლებლობის დადგენა, რომლებმაც გენოციდის დანაშაული 1992 წლის 14 აგვისტოდან 1993 წლის 8 ივლისამდე პერიოდში, ანუ მაშინ ჩაიდინეს, როდესაც საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გენოციდის დანაშაული, როგორც დასჯადი ქმედება, ჯერ არ იყო გათვალისწინებული. აღნიშნული თავის მიზანია ასევე დაადგინოს, ირღვევა თუ არა ლეგალურობის პრინციპი 1992 წლის 14 აგვისტოდან 1993 წლის 8 ივლისამდე

აფხაზეთში ჩადენილი ქმედებების მიმართ საქართველოს სსკ 65¹-ე მუხლის რეტროაქტიულად გავრცელების შემთხვევაში.

საგულისხმოა, რომ საქართველოს პარლამენტმა გენოციდის კონვენციის რატიფიცირება 1993 წლის 11 ოქტომბერს მოახდინა, ხოლო 65¹-ე მუხლი საქართველოს სსკ-ში დამატების სახით 1993 წლის 8 ივლისს შევიდა.⁴²¹

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა გენოციდის დანაშაულის ბუნებისა და მისი დამახასიათებელი თვისებების დეტალურად განხილვა, აღნიშნული დანაშაულის საერთაშორისო დონეზე კოდიფიცირების საკითხში გარკვევა, საერთაშორისო სასამართლოებისა და ტრიბუნალების მიერ გენოციდის დანაშაულის განმარტებების გათვალისწინება.

გაეროს გენერალური ასამბლეის 1946 წლის 11 დეკემბრის 96(1) რეზოლუციით დასტურდება, რომ „საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით გენოციდი არის დანაშაული, რომელსაც მთელი ცივილიზებული სამყარო გმობს, და რომლის ჩადენისთვის მთავარი დამნაშავეები და თანამონაწილენი [...] დასჯას ექვემდებარებიან“. რეზოლუციაში გენერალური ასამბლეა ხაზს უსვამს, რომ გენოციდის დანაშაულის დასჯა საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხია, ნევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს საერთაშორისო სამართლის ამ ნორმის კოდიფიცირებისკენ, ეკონომიკური და სოციალური საბჭოსგან კი მოითხოვს გენოციდის კონვენციის პროექტის შემუშავებას.⁴²²

1948 წლის 9 დეკემბერს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გენოციდის კონვენცია ერთხმად მიიღო. კონვენციის პრეამბულასა და პირველ მუხლში ნათქვამია:

„ ... გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ 1946 წლის 11 დეკემბრის 96 (I) რეზოლუციით განაცხადა, რომ გენოციდი წარმოადგენს საერთაშორისო სამართლებრივ დანაშაულს და არღვევს გაეროს არსსა და მიზნებს, და რომ ცივილიზებული სამყარო გმობს მას; აღიარებენ რა, რომ მთელი ისტორიის მანძილზე გენოციდს მოჰქონდა დიდი ზიანი კაცობრიობისათვის; და დარწმუნებულნი არიან რა, რომ კაცობრიობის ამ ამაზრზენი უბედურებისგან გასათავისუფლებლად საჭიროა საერთაშორისო თანამშრომლობა; შეთანხმდნენ

421. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 65¹ – საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 8 ივლისის კანონი. – „საქართველოს პარლამენტის უწყებები“, 1993 წ., №9, მუხლი 159; 1999 წლის 22 ივლისს საქართველოს პარლამენტმა სისხლის სამართლის ძველი კოდექსი (1960 წ.) ახალი სისხლის სამართლის კოდექსით შეცვალა. დღეს მოქმედ კოდექსში გენოციდის დანაშაული 407-ე მუხლით არის გათვალისწინებული.

422. < www.un.org/documents/ga/res/1/ares1.htm >

ქვემოლნიშნულზე: [...], რომ გენოციდი, მიუხედავად იმისა, ჩადენილია ის მშვიდობიანობის თუ ომის დროს, წარმოადგენს საერთაშორისო სამართლებრივ დანაშაულს, რომლის დაუშვებლობასა და დასჯას ისინი საკუთარ თავზე იღებენ.⁴²³

გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს 1951 წლის 28 მაისის საკონსულტაციო დასკვნაში გამოთქმულია საკუთარი მოსაზრებები გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის კონვენციასთან მიმართებაში არსებულ დათქმებთან დაკავშირებით.⁴²⁴ სასამართლოს დასკვნაში ნათქვამია:

„კონვენციის შექმნის მიზეზი ცხადყოფს, რომ გაეროს მიზანი იყო დაეგმო და დაესაჯა გენოციდი, როგორც „საერთაშორისო სამართლის დანაშაული“, რაშიც მოიაზრება კონკრეტულ ადამიანთა ჯგუფისთვის არსებობის უფლებაზე უარის თქმა. ამგვარი ქმედებით ადამიანთა დიდი ჯგუფები ნადგურდება, რაც კაცობრიობისთვის შოკის მომგვრელია. გენოციდის დანაშაული ეწინააღმდეგება გაეროს მორალურ სამართალს, არსს და მიზნებს. კონვენციის ერთ-ერთი არსი იმაში მდგომარეობს, რომ კონვენციით გათვალისწინებული პრინციპები აღიარებულია ცივილიზებული სამყაროს მიერ და კოდიფიცირების გარეშეც ქვეყნებისთვის სავალდებულო ხასიათს ატარებს. გარდა ამისა, კონვენციის არსი დანაშაულის დაგმობის უნივერსალურ ხასიათშიც ვლინდება, „რათა მოხდეს კაცობრიობის ამ უბედურებისგან გათავისუფლება“.⁴²⁵

კრსტიჩის საქმეზე იუგოსლავიის ტრიბუნალმა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გენოციდის კონვენციის კოდიფიკაციისთვის განეულ სამუშაოებზე მიუთითა. სასამართლოს გადანყევტილების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ გენოციდის კონვენცია მიღებული იქნა იგივე პერიოდში, რა პერიოდშიც თავად ტერმინი „გენოციდი“ ჩამოყალიბდა, მიიჩნევა, რომ კონვენციამ ადრე არსებული საერთაშორისო სამართლის ნორმის კოდიფიკაცია მოახდინა, ხოლო გენოციდის დანაშაულთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართალი მალე საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმის სტატუსს შეიძენს (იუს კოგენსი).⁴²⁶

ცხადია, რომ გენოციდის დანაშაული არის საერთაშორისო სამართლის დანაშაული, რომელიც ცივილიზებული ერების მიერ დიდი

423. <<http://legal.un.org/avl/ha/cppcg/cppcg.html>>

424. www.icj-cij.org/docted/index.php?p1=3&p2=4&k=90&case=12&code=ppcg&p3=4

425. Advisory Opinion on the reservations to the Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide, ICJ, 28 May 1951, p. 12.

426. Prosecutor v. Radislav Krstic, ICTY TC Judgment, 2 August 2001, para. 541.

ხნის წინ იყო აღიარებული. მოცემული თავის მიზანია საქართველოს სსკ-ის 65¹-ე მუხლის იმ ქმედებათა მიმართ გამოყენების შესაძლებლობის დადგენა, რომელებიც ჩადენის მომენტში საქართველოს ეროვნული კანონმდებლობით დასჯად ქმედებას არ წარმოადგენდნენ. ამ მხრივ გასათვალისწინებელია 1948 წლის ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია,⁴²⁷ რომლის მე-11(2) მუხლი აცხადებს: „არავინ შეიძლება მიიჩნიონ ბრალეულად რაიმე დანაშაულის ჩადენაში ისეთი მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომელიც ჩადენის დროს არ ითვლებოდა სისხლის სამართლის დანაშაულად ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით.“ აღნიშნული პრინციპი ასევე ცნობილია, როგორც ლეგალურობის პრინციპი და გამოხატულია ლათინურ ტერმინში *nullum crimen sine lege*.

იმისათვის, რომ დასმულ შეკითხვას პასუხი გაეცეს, აუცილებელია საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სტანდარტების, ასევე საერთაშორისო და ეროვნული სასამართლოების სამართლებრივი პრაქტიკის, განსაკუთრებით კი ლეგალურობის პრინციპთან დაკავშირებით მათი გადაწყვეტილებებისა და სამართლებრივი შეფასებების ანალიზი.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-11 მუხლის მსგავსად, რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებები თავიანთ ნორმებში ლეგალურობის პრინციპს შეიცავენ. მათ შორის არის, მაგალითად, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის⁴²⁸ მე-15(1)(2) მუხლი, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის⁴²⁹ მე-7 მუხლი, ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის 101-ე წესი.⁴³⁰

427. 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის რატიფიკაცია საქართველომ 1991 წლის 15 სექტემბერს მოახდინა.

428. 1966 წლის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR) საქართველოს მიერ 1994 წლის 3 აგვისტოს არის რატიფიცირებული; ICCPR-ის მე-15 მუხლის (1)(2) მიხედვით: „არავინ შეიძლება ცნონ დამნაშავედ ისეთი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის, [...] რომელიც მისი ჩადენის მომენტში მოქმედი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობისა თუ საერთაშორისო სამართლის შესაბამისად არ წარმოადგენდა სისხლის სამართლის დანაშაულს. ასევე დაუშვებელია უფრო მძიმე სასჯელის დაკისრება, ვიდრე ის, რომელიც უნდა გამოეყენებინათ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის მომენტში. [...] ამ მუხლში არაფერი არ უნდა უშლდეს ხელს პირის სასამართლოსთვის გადაცემას ან დასჯას იმ მოქმედების თუ დაუდევრობისათვის, რომელიც, საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპების შესაბამისად, სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენდა“.

429. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია საქართველოს მიერ 1999 წლის 12 მაისს არის რატიფიცირებული.

430. წესი 101 არის ჩვეულებითი სამართლის ნორმა, რომელიც როგორც საერთაშორისო, ასევე არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტზე ვრცელდება.

ზემოთ მითითებული თითოეული კონვენცია, ისევე როგორც ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის წყაროები და სტანდარტები ცხადყოფენ, რომ ლეგალურობის პრინციპი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს საერთაშორისო სამართლით დასჯადი დანაშაულის ჩამდენ პირს. წამების წინააღმდეგ კომიტეტმაც იგივე განაცხადა და აღნიშნა, რომ ეროვნულ კანონმდებლობას, რომელიც წამების, როგორც საერთაშორისო სამართლის დანაშაულის განმარტებას გვთავაზობს, შეუძლია გამოიყენოს მუხლი იმ ქმედების მიმართ, რომელიც მიჩნეული იყო წამებად საერთაშორისო სამართლის ნორმებით იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქმედების ჩადენის მომენტში იგი არ ისჯებოდა სისხლის სამართლებრივი წესით.⁴³¹

როგორც უილიამ შაბასი აღნიშნავდა, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი გამონაკლისს აკეთებს რეტროაქტიულად სისხლის სამართლის წესით პირის პასუხისმგებლობაში მიცემასთან დაკავშირებით, როდესაც „პირს სჯის მისი მოქმედებისა თუ უმოქმედობის გამო, რომელიც მისი ჩადენის მომენტში მსოფლიო თანამეგობრობის მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპების მიხედვით დანაშაულად ითვლებოდა“.⁴³² ამ საკითხზე იმსჯელა ბოსნიისა და ჰერცეგოვინას საკონსტიტუციო სასამართლომ. თავის გადანეგტილებებში მან განაცხადა, რომ „პირის გასამართლება, რაც ეროვნული კანონმდებლობის რეტროაქტიულად გავრცელების შედეგად მოხდა, არ წარმოადგენს ევროპული კონვენციის მე-7 მუხლის დარღვევას, თუ პირი გასამართლდა დანაშაულისთვის, რომლის ჩადენის მომენტში ქმედება საერთაშორისო სამართლით იყო დასჯადი“.⁴³³

431. Committee against Torture, Concluding observations – Spain, UN. Doc.CAT/ESP/CO/5, para. 21, 9 December 2009.

432. William A. Schabas, *The UN International Criminal Tribunals: The Former Yugoslavia, Rwanda and Sierra Leone*, 2006 Cambridge, University Press, pp. 60-67.

433. I. Case no. 1785/06, ბოსნია და ჰერცეგოვინას საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 30 მარტის გადანეგტილება. ბოსნია და ჰერცეგოვინას საკონსტიტუციო სასამართლოს გადანეგტილებებში სხვა საკითხებთან ერთად განხილული იყო სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეტროაქტიული გავრცელება. გადანეგტილებებში მითითებულია *კოკინაკის საბერძნეთის წინააღმდეგ* საქმეზე, სადაც ევროპულმა სასამართლომ ევროპული კონვენციის მე-7 მუხლი განმარტა. განმარტების მიხედვით, მუხლის პრინციპიდან გამომდინარე, მხოლოდ კანონს შეუძლია დაანესოს ქმედების მართლსაწინააღმდეგობა და მხოლოდ კანონს შეუძლია განსაზღვროს სასჯელი ასეთი ქმედებისთვის (*nullum crimen, nulla poena sine lege*). ამავე მუხლის პრინციპიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის კოდექსის ფართოდ განმარტება დაუშვებელია, თუ ამით ბრალდებულის მდგომარეობის გაუარესება ხდება. ბოსნია და ჰერცეგოვინას საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ ევროპული კონვენციის მე-7 მუხლის პირველი აზბაცი ეხება ეროვნული ან საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ

განაჩენი ადოლფ ეიხმანის საქმეზე,⁴³⁴ რომელიც იერუსალიმის საოლქო სასამართლომ გამოიტანა, სისხლის სამართლის კანონის რეტროაქტიულად გავრცელებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან მსჯელობას შეიცავს. მოგვიანებით საოლქო სასამართლოს განაჩენი ისრაელის უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა. ეიხმანს მსჯავრი დაედო მეორე მსოფლიო ომის დროს ადამიანურობის, ებრაელი ხალხის წინააღმდეგ (გენოციდი) და ომის დანაშაულთა ჩადენისთვის.

ადამიანურობის, ებრაელი ხალხის (გენოციდი) წინააღმდეგ და ომის დანაშაული, რისთვისაც ეიხმანს მსჯავრი დაედო, გათვალისწინებული იყო ნაცისტებისა და მათ ხელშემწყობთა დასჯის კანონში, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან ხუთი წლის შემდეგ – 1950 წელს – ამოქმედდა. „თუმცა, უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ ადოლფ ეიხმანის აღნიშნული კანონით გასამართლება არ არღვევდა სისხლის სამართლის კანონის რეტროაქტიულად გავრცელების აკრძალვის პრინციპს (ლეგალურობის პრინციპს)“.⁴³⁵ სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ქმედება მისი ჩადენის მომენტისთვის უკვე დიდი ხნის აღიარებული იყო საერთაშორისო სამართლის მიერ როგორც დანაშაული. სასამართლოს განცხადებით, დანაშაული, რომლისთვისაც ადოლფ ეიხმანი გასამართლდა, „უნდა მივიჩნიოთ ისეთ ქმედებად, რომელიც ყოველთვის ითვლებოდა საერთაშორისო დანაშაულად და რომელიც ინდივიდუალურ

მართლსაწინააღმდეგო ქმედებას; ევროპული სასამართლოს მიერ მე-7 მუხლის განმარტებაზე დაყრდნობით, საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ თუ პირისთვის მსჯავრის დადება ხდება ეროვნული კანონის რეტროაქტიულად გავრცელების შედეგად, ასეთი არ წარმოადგენს ევროპული კონვენციის მე-7 მუხლის დარღვევას, თუ პირის გასამართლება მოხდა იმ დანაშაულისთვის, რომელიც მისი ჩადენის მომენტში საერთაშორისო სამართლის ნორმებით იყო აღიარებული.; 2. Case of *Kokkinakis v. Greece*, ECHR Judgment 25 May 1993, para. 52.

434. 1961 წლის 11 დეკემბერს ადოლფ ეიხმანი გასამართლდა იერუსალიმის საოლქო სასამართლოს მიერ მეორე მსოფლიო ომის დროს ადამიანურობის, ებრაელი ხალხის წინააღმდეგ (გენოციდი) და ომის დანაშაულის ჩადენისთვის. 1962 წლის 29 მაისს ისრაელის უზენაესმა სასამართლომ იერუსალიმის საოლქო სასამართლოს განაჩენი ეიხმანის საქმეზე ძალაში დატოვა. ებრაელი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის დეფინიცია განისაზღვრა 1948 წლის 9 დეკემბერის გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის კონვენციით გათვალისწინებული გენოციდის დანაშაულის მსგავსად. ადოლფ ეიხმანი ცნობილი იქნა დამნაშავედ ადოლფ ჰიტლერის „საბოლოო გეგმის“ განხორციელებისთვის, რის შედეგადაც დაახლოებით ექვსი მილიონი ებრაელის დეპორტაცია, ძარცვა და მკვლელობა მოხდა. გარდა ამისა, გეგმის თანახმად, მოხდა სხვა უმცირესობათა ჯგუფების (რომა, ჰომოსექსუალები) წინააღმდეგ დანაშაულთა ჩადენა.

435. Eichmann Supreme Court Judgment, 50 Years on its Significance Today, Amnesty International, 2012.

სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს“.⁴³⁶ სასამართლოს აზრით, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებებით, ისე საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით, ლეგალურობის პრინციპი სახელმწიფოებს არ უკრძალავს ეროვნული კანონმდებლობის რეტროაქტიულად გავრცელებას ისეთ დანაშაულებრივ ქმედებაზე, რომელიც ჩადენის მომენტში, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, დანაშაულად იყო აღიარებული.⁴³⁷

უფრო მეტიც, სასამართლომ განიხილა ლეგალურობის პრინციპის ეთიკური მხარეებიც და აღნიშნა:

„უსამართლობის განცდას იწვევს ის ფაქტი, რომ პირი ისჯება მის მიერ ჩადენილი ქმედებისთვის, რომელიც ჩადენის დროს სისხლის სამართლის კანონით არ ისჯებოდა და პირს არ შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ მისი ჩადენისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა. თუმცა ასეთი მსჯელობა არ ეხება ისეთ დანაშაულებს, რომელთა ჩადენისთვისაც განსასჯელს ედება ბრალი“.⁴³⁸

სასამართლომ მოიშველია ნიურნბერგში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ტრიბუნალის განაჩენი, რომელშიც ნათქვამი იყო:

„როდესაც ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით, ან ორივეთი, ჩვენ მიგვაჩნია, რომ არაფერია იმაში უსამართლო, თუ პირს ასეთი დანაშაულებისთვის გავასამართლებთ. პირები პასუხისმგებაში უნდა მიეცენ იმის საფუძველზე, რომ მათთვის იყო ცნობილი, რომ ჩადიდნენ მართლსაწინააღმდეგო და დასჯად ქმედებებს“.⁴³⁹

სამხედრო ტრიბუნალმა ასევე აღნიშნა, რომ

„უდანაშაულო ხალხის მკვლელობა, დასახიჩრება, წამება და დამცირება წარმოადგენს ქმედებებს, რომელიც ცივილიზებული სამყაროს მიერ დაგმობილია და ყველა ცივილიზებული ქვეყნის სამართლებრივი სისტემით დასჯადად არის მიჩნეული... ეს ყველაფერი ცნობილი იყო ბრალდებულისთვის,

436. Adolf Eichmann Judgment, the Supreme Court of Israel, 29 May 1962, para.11; Eichmann Supreme Court Judgment, 50 Years on its Significance Today, Amnesty International, 2012.

437. Adolf Eichmann Judgment, the Supreme Court of Israel, 29 May 1962, para. 11.

438. Justice case, United States Military Tribunal in Nuremberg, Trials of War Criminals, Vol. III, p.983, sited in Adolf Eichmann Judgment, the Supreme Court of Israel, 29 May 1962, para. 8.

439. Justice case, United States Military Tribunal in Nuremberg, Trials of War Criminals, Vol. III, p.983, sited in Adolf Eichmann Judgment, the Supreme Court of Israel, 29 May 1962, para. 8.

როდესაც აღნიშნულ ქმედებებს სჩადიოდა, თუმცა იგი იმედოვნებდა, რომ გამარჯვებული ნაცისტური რეჟიმი მას დაიცავდა და სასჯელს არიდებდა⁴⁴⁰.

ადამიანის უფლებათა სასამართლოების სამართლებრივ პრაქტიკაზე⁴⁴¹ დაყრდნობით, იუგოსლავიის ტრიბუნალი არ მოითხოვს დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის ცხადად დაწერილი ტექსტის არსებობას, რომელშიც განსაზღვრული იქნებოდა ქმედების დასჯადობა. იგი მოითხოვს, რომ კანონი მისი მიზნების წინასწარ განჭვრეტის შესაძლებლობას იძლეოდეს და იყოს ხელმისაწვდომი. იუგოსლავიის ტრიბუნალის სააპელაციო პალატის განცხადებით, „როდესაც ვსაუბრობთ კანონის განჭვრეტადობაზე, ბრალდებული უნდა აცნობიერებდეს და მას ზოგადად უნდა ესმოდეს, რომ მისი კონკრეტული ქმედება არის დანაშაული, მიუხედავად იმისა, იცის თუ არა ბრალდებულმა კონკრეტული სამართლებრივი ნორმის არსებობის შესახებ. რაც შეეხება კანონის ხელმისაწვდომობას, იუგოსლავიის ტრიბუნალისთვის ჩვეულებით სამართალზე დაფუძნებულ კანონზე დაყრდნობაც დამაკმაყოფილებელია.“⁴⁴²

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჩადენილი დანაშაულები კანონის განჭვრეტადობისა და დამნაშავე პირის მხრიდან მისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათის შეფასების უნარის ჭრილში განვიხილოთ. მკვლელობა, მათ შორის მასიური მკვლელობები, ნაშევა, მათ შორის სხეულის დასახიჩრება, ცოცხლად დაწვა, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა, გაუპატიურება, სექსუალური ძალადობა შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში სისტემატურად ხორციელდებოდა. ვერავინ იტყვის, რომ დამნაშავე პირებმა არ იცოდნენ, რომ მათი ქმედება იყო არასწორი და კანონით დასჯადი. ცხადია, კანონის კონკრეტული ნორმის არცოდნის მიუხედავად, დამნაშავე პირებს სრულად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ მათი ქმედება იყო დანაშაული, ასევე მათ კარგად ესმოდათ, რომ აღნიშნული ქმედებები აუცილებლად გამოიწვევდა სისხლის სამართლის წესით დასჯას.

440. Justice case, United States Military Tribunal in Nuremberg, Trials of War Criminals, Vol. III, p.983, cited in Adolf Eichmann Judgment, the Supreme Court of Israel, 29 May 1962, para. 8.

441. Hadz`ihasanovic et al. (IT-01-47-AR72), Decision on Interlocutory Appeal Challenging Jurisdiction with respect to Command Responsibility, 16 July 2003, para. 34; Tadic (IT-94-1-AR72), Separate Opinion of Judge Sidhwa on the Defence Motion for Interlocutory Appeal on Jurisdiction, 2 October 1995, para. 72.

442. Hadz`ihasanovic et al. (IT-01-47-AR72), Decision on Interlocutory Appeal Challenging Jurisdiction with respect to Command Responsibility, 16 July 2003, para. 34.

უნდა აღინიშნოს, რომ ნიურნბერგისა და ტოკიოს ომის დანაშაულთა ტრიბუნალების მიერ გასამართლდენ დაძაბავე პირები, რომელთა მიერ ჩადენილი ქმედებები მოგვიანებით იქნა აღიარებული როგორც ომის, ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი და გენოციდის დანაშაულები, ხოლო აღნიშნული ქმედებების მიმართ სისხლის სამართლის კანონი რეტროაქტიულად გავრცელდა. ასევე სამივე *ad hoc* ტრიბუნალის – იუგოსლავიის, რუანდის და სიერა ლეონეს საერთაშორისო სასამართლოების იურისდიქცია ვრცელდება იმ დანაშაულებზე, რომელთა ჩადენაც ტრიბუნალების ჩამოყალიბებამდე მოხდა.

1973 წლის საერთაშორისო დანაშაულთა (ტრიბუნალი) აქტი მიღებულ იქნა ბანგლადეშის სუვერენული პარლამენტის მიერ. აქტი საშუალებას იძლევა, მოხდეს იმ პირთა დაკავება, გასამართლება და დასჯა, ვინც 1971 წლის დამოუკიდებლობისათვის ომის დროს საერთაშორისო სამართლით აღიარებული გენოციდის დანაშაული, ადამიანურობის წინააღმდეგ და ომის დანაშაული ჩაიდინა. საგულისხმოა, რომ აქტი არ კრძალავს *post-facto* კანონმდებლობას, რომლის მიზანიც არის საერთაშორისო დანაშაულთა ჩამდენი პირების გასამართლება და დასჯა.⁴⁴³

ისეთმა ქვეყნებმა, როგორებიც არიან დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია, კანადა, და სხვა, ამოქმედეს *post-facto* კანონმდებლობა, რომელიც მიზნად ისახავს კანონის რეტროაქტიულად გავრცელებას იმ დანაშაულთა მიმართ, რომლებიც მათი ჩადენის დროს, ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის მიხედვით, დანაშაულად ითვლებოდნენ.⁴⁴⁴

443. www.ict-bd.org/ict2/; last visited on 22.05.2015; Mizanur Rahman, Masum Billah, „Prosecuting „War Crimes“ in Domestic Level: The Case of Bangladesh“.

444. 1. 1945 წლის ომის დანაშაულთა აქტი ავსტრალიის მიერ 1945 წლის 11 ოქტომბერს იქნა მიღებული. აქტი მიზნად ისახავს იმ პირების გასამართლებას, რომელთაც მეორე მსოფლიო ომის დროს ომის დანაშაული ჩაიდინეს. აქტი რეტროაქტიულად მოქმედებს. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია *პოლიხოვიჩის* საქმე, რომელსაც ბრალი ედებოდა მეორე მსოფლიო ომის დროს ომის დანაშაულის ჩადენაში. *პოლიხოვიჩმა* სადაოდ გახადა ავსტრალიის ომის დანაშაულთა აქტის კანონიერება იმ საფუძველზე, რომ აქტი რეტროაქტიულად მოქმედებდა. ავსტრალიის უზენაესმა სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე განაცხადა, რომ ომის დანაშაულთა აქტი რეტროაქტიულად არ მოქმედებს, ვინაიდან აქტი კრიმინალიზებას უკეთებს დანაშაულებს, რომლებიც მათი ჩადენის დროს ითვლებოდა დანაშაულად როგორც საერთაშორისო სამართლით, ისე ეროვნული კანონმდებლობით (ჩვეულებრივი დანაშაულები). (*Polyukhovich v. Commonwealth, High Court of Australia*, Order, 14 August 1991;

www.internationalcrimesdatabase.org/Case/1172/Polyukhovich-v-Australia/ last visited on 22.05.2015; *Polyukhovich v Commonwealth* («War Crimes Act case»), High Court of Australia, Order 14 August 1991); 2. კანადის ადამიანურობის წინააღმდეგ და ომის დანაშაულთა აქტით (CAHWCA) გათვალისწინებული დანაშაულების წყარო არის ჩვეულებითი სამართალი და საერთაშორისო

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, უდავოა, რომ გენოციდის დანაშაული უკვე დიდი ხანია აღიარებულია საერთაშორისო სამართლის მიერ. შესაბამისად, აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ 1992 წლის 14 აგვისტოდან 1993 წლის 8 ივლისამდე და შემდგომ პერიოდში ჩადენილი გენოციდი საერთაშორისო სამართლით აღიარებული იყო როგორც დანაშაული და გენოციდის კონვენციის რატიფიკაციის გარეშეც სავალდებულო ნორმას წარმოადგენდა. საქართველოს სსკ 65¹ მუხლმა მხოლოდ იმ ქმედებების კოდიფიცირება მოახდინა, რომლებიც ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლით ისედაც იკრძალებოდა და სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა. ამკარაა, რომ იმ პირებმა, რომლებმაც აფხაზეთის ტერიტორიაზე საშინელი დანაშაულები ჩაიდინეს, იცოდნენ, რომ აღნიშნული ქმედებები მართლსაწინააღმდეგო და დასჯადი იყო. შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის ნორმების თანახმად, საქართველოს სსკ 65¹-ე მუხლის რეტროაქტიულად გავრცელება არ ეწინააღმდეგება ნულა პოენა-ს პრინციპს, პირიქით, აღნიშნული მუხლი დანაშაულის ჩადენის მომენტში მოქმედი საერთაშორისო სამართლის ნორმების კოდიფიცირებას ახდენს.⁴⁴⁵

III. 6. დასკვნა.

შეიარლებული კონფლიქტის დროს, რომელიც 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო და ოფიციალურად 1993 წლის 30 სექტემბერს დასრულდა, დიდი რაოდენობით დანაშაული იქნა ჩადენილი აფხაზეთის ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ. დანაშაულებს ჩადიდნენ ავტონომიური რესპუბლიკის ყველა რაიონსა და ქალაქში. ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ დანაშაულთა ჩადენა შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდეგაც გაგრძელდა. კონფლიქტის

კონვენციები. შესაბამისად, გენოციდი და ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული შეიძლება განიმარტოს ჩვეულებით საერთაშორისო სამართალზე ან საერთაშორისო კონვენციაზე დაყრდნობით ან ერთა თანამეგობრობით აღიარებული სამართლის ზოგად პრინციპებზე დაყრდნობით. (Antonietta Trapani, Comparative Analysis of Prosecutions for Mass Atrocity Crimes in Canada, Netherlands and Australia; <<http://laws-lois.justice.gc.ca/eng/acts/C-45.9/FullText.html>> last visited on 22.05.2015); 3. დიდი ბრიტანეთის 1991 წლის ომის დანაშაულთა აქტს გააჩნია დიდი ბრიტანეთის სასამართლოებში იურისდიქციის რეტროაქტიულად გავრცელების შესაძლებლობა მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩადენილი დანაშაულების (მკვლელობა) მიმართ. (<www.legislation.gov.uk/ukpga/1991/13/contents> last visited on 22.05.2015.)

445. Adolf Eichmann Judgment, the Supreme Court of Israel, 29 May 1962, para. 11.

დასრულების შემდგომ წლებში, აფხაზი სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დარჩენილ დიდი რაოდენობით ქართველ სამოქალაქო მოსახლეობას სისტემატურად კლავდნენ. 1998 წლის 20 მაისს, გალის რაიონში ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებულ დანაშაულთა მეორე ტალღა დაიწყო.

საომარი მოქმედებებისა და მათი დასრულების შემდეგ აფხაზეთში მცხოვრები 5000-ზე მეტი ეთნიკური ქართველი მოკლეს, მათ შორის ქართული მოსახლეობის ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ პოლიტიკური ლიდერები, ექიმები, მასწავლებლები, ჟურნალისტები, მწერლები, ხელოვნების მუშაკები. ქართული სამოქალაქო მოსახლეობის უგზო-უკვლოდ დაკარგული წევრების რაოდენობა დაახლოებით 400-მდეა. ასევე აფხაზეთის ტერიტორიიდან 267 345 ეთნიკური ქართველი იძულებით გადაადგილდა.

წინამდებარე კვლევა მიზანად ისახავდა შეიარაღებული კონფლიქტის დროს და მისი დასრულების შემდეგ მასიურად ჩადენილი დანაშაულების ანალიზს და იმის შეფასებას, თუ რამდენად წარმოადგენს აღნიშნული ქმედებები გენოციდის კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ გენოციდის დანაშაულს.

აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად გენოციდის დანაშაულის შემადგენელი ელემენტები აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჩადენილ დანაშაულთა კონტექსტშია განხილული. ნაჩვენებია, რომ გენოციდის კონვენციით გათვალისწინებული დაცული ჯგუფის წინააღმდეგ ჩადიდნენ ქმედებებს, რაც გენოციდს უდრის. ქმედებები ჩადენილი იყო გენოციდის დანაშაულის შემადგენლობისთვის აუცილებელი სპეციალური განზრახვით (*dolus specialis*). კვლევაში ასევე წარმოდგენილია გენოციდის კონვენციით გათვალისწინებულ ქმედებებთან დაკავშირებული დასკვნები.

გენოციდის დანაშაულის შემადგენელი ელემენტებისა და კონფლიქტის დროს ჩადენილი ქმედებების სიღრმისეული შეფასებით გაკეთებულია დასკვნა, რომ გენოციდის დანაშაულის მსხვერპლი იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ქართველების ჯგუფი. ქართველების წინააღმდეგ ხორციელდებოდა დანაშაულები იმის გამო, რომ ისინი ქართველების ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ. ანალიზის შედეგად დგინდება, რომ არსებობდა აფხაზეთში მცხოვრები ქართველების ნაწილობრივ განადგურების სპეციალური განზრახვა.

გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფის მიერ შეკრებილი მტკიცებულებები და გარდაცვლილთა ერთიანი სია საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ აფხაზ სეპარატისტებს და მათთან ასოცირებულ პირებს დაგეგმილი და განზრახული ჰქონდათ

აფხაზეთის ქართული მოსახლეობის განადგურება. ქართველების წინააღმდეგ მასიურად ჩადენილი მკვლელობები უდრის გენოციდის კონვენციის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულს – **ჯგუფის წევრების მკვლელობას**.

კონფლიქტის დროს აფხაზეთის ყველა რაიონში აფხაზთა სეპარატისტული ძალები და მათთან ასოცირებული პირები აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადიდნენ არაადამიანურ და ღირსების შემლახველ ქმედებებს – წამებას, სექსუალურ ძალადობას და გაუპატიურებას. აღნიშნული ქმედებებით მოსახლეობას მიაყენეს **ფიზიკური და ფსიქიკური ზიანი**, რამაც შესაძლებელი გახადა **ჯგუფის ფიზიკური ან ფსიქიკური განადგურება**, ანუ საქმე გვაქვს გენოციდის კონვენციის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულთან.

დიდძალი ინფორმაცია მიუთითებს, რომ ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ ძალადობრივი ქმედებების ჩადენა და დაშინება მასიურად ხდებოდა 1992 წლის აგვისტოდან 1993 წლის სექტემბერის პერიოდში და 1998 წლის მაისში. ამ პერიოდის განმავლობაში ქართული მოსახლეობის წარმომადგენლებს გამუდმებით ხოცავდნენ, აუპატიურებდნენ, აწამებდნენ, მათ მიმართ სექსუალურად ძალადობდნენ, მათ ქონებას ანადგურებდნენ და ძარცვავდნენ. აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ სისტემატურად განხორციელებულმა ძალადობრივმა ქმედებებმა და დაშინებებმა გამოიწვია ის, რომ ქართულმა მოსახლეობამ იძულებით მიატოვა საკუთარი სახლები და თავს გაქცევით უშველა, რადგან ეს იყო ცოცხლად დარჩენის ერთადერთი საშუალება. შედეგად აფხაზეთის ტერიტორიიდან 267 345 ქართველის იძულებითი გადაადგილება მოხდა.

შესაბამისად, აფხაზეთის ტერიტორიიდან ქართველი მოსახლეობის იძულებითი გადაადგილება არის გენოციდის კონვენციის მე-2 მუხლის „ა“ – „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებათა მრავალჯერადი ჩადენის შედეგი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მკვლელობა, წამება, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა, გაუპატიურება და სექსუალური ძალადობა იყო განადგურების პროცესის განუყოფელი ნაწილი, რა დროსაც ქართული მოსახლეობა, როგორც ჯგუფი პირდაპირ სამიზნეს წარმოადგენდა. უტყუარი მტკიცებულებები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სამოქალაქო მოსახლეობის იძულებით გადაადგილება ისეთ გარემოებებში ხორციელდებოდა, რაც მიზნად ისახავდა გენოციდის კონვენციის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ქმედებას – **ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ ფიზიკურ განადგურებას**.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული მოსახლეობის ეთნიკურ ნმენდასთან დაკავშირებით, სეპარატისტულ მთავრობას შორს მი-
მავალი სტრატეგიული გეგმები ჰქონდა. აღნიშნული ზედმინევენით
იყო დაგეგმილი. კონფლიქტის დაწყებამდე აფხაზეთის ავტონო-
მიური რესპუბლიკის კანონმდებლობაში რიგი ანტიკონსტიტუ-
ციური ცვლილებები განხორციელდა, მათ შორის მონოეთნიკური
აფხაზეთი ეროვნული გვარდიისა და სამხედრო ბატალიონ „აი-
დგილარას“ შექმნა. აღნიშნული ცვლილებები მიზნად ისახავდა
აფხაზეთზე საქართველოს იურისდიქციისა და გავლენის შემცი-
რებას და აფხაზეთის საქართველოსგან, როგორც სახელმწიფოს-
გან, გამოყოფას, საბოლოოდ კი, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ
ჩამოყალიბებას. ცხადია, საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედა-
ვად, რომლებიც ანტიკონსტიტუციური იყო, აფხაზი სეპარატის-
ტების გეგმა ვერ განხორციელდებოდა, სანამ ეთნიკური ქართვე-
ლები აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლეობის უმრავლესობას
შეადგენდნენ. შესაბამისად, აფხაზთა სეპარატისტულ მთავრობას
მიზნის მისაღწევად აუცილებლად ესაჭიროებოდა აფხაზეთის ტე-
რიტორიიდან ქართველი მოსახლეობის განდევნა. აღნიშნული მტ-
კიცდება იმითაც, რომ 267 345 იძულებით გადაადგილებული პირი
შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდეგაც არ იქნა თა-
ვიანთ სახლებში დაბრუნებული. შესაბამისად, იძულებითი გადა-
ადგილების შემთხვევები შეიძლება განვიხილოთ როგორც გენოცი-
დის განზრახვის ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავდა აფხაზეთში
მცხოვრები ეთნიკური ქართული მოსახლეობის განადგურებას. წი-
ნასწარ დასახული მიზნის მიხედვით, აღნიშნულ ჯგუფს აფხაზეთ-
ში არ უნდა ეცხოვრა.

ამ მიზნის მისაღწევად აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობა,
მისი პოლიტიკური ლიდერები და ფსევდო მეცნიერები ძლიერ პრო-
პაგანდისტულ კამპანიას ეწეოდნენ, რომელიც გამიზნული იყო სა-
ზოგადოების ყველა სეგმენტზე. ეთნიკური შუღლის გამაღვივებელი
რიტორიკა და ზიზლის შემცველი განცხადებების გაკეთება პროპა-
განდის ნაწილი იყო, რომელიც ქართველი ხალხის მიმართ შეუწყნა-
რებლობას და ზიზლს აღვივებდა. პროპაგანდის შედეგად ქართველი
ხალხისგან შეიქმნა მტრის ხატი, რა დროსაც აფხაზი სეპარატის-
ტები ქართველებს ყველა მათ წარუმატებლობაში ადანაშაულებდ-
ნენ, აქედან გამომდინარე, ქართველი მოსახლეობის მკვლელობას
გამართლებულადაც კი თვლიდნენ, რადგანაც ქართველები აფხაზი
ხალხისთვის თითქოს საფრთხეს წარმოადგენდნენ.

აფხაზი სეპარატისტი მებრძოლები ბოლომდე აცნობიერებდნენ,
რომ ქართული მოსახლეობის პოლიტიკური, ადმინისტრაციული

და ინტელექტუალური ლიდერების განადგურებით ისინი იმ კულტურული და სოციალური საყრდენის მოშლას გამოიწვევდნენ, რომელზეც ქართული საზოგადოება იდგა. საზოგადოების თვალსაჩინო წევრების მკვლევლობით და სიკვდილს გადარჩენილი მოსახლეობის იძულებითი გადაადგილებით, აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობა ხელოვნურად ქმნიდა პირობებს იმისათვის, რომ ქართული მოსახლეობა აფხაზეთში არ დაბრუნებულიყო და იქ ხელახლა არ დამკვიდრებულიყო.

აფხაზი სეპარატისტი ლიდერების მიზანი იყო აფხაზეთის ქართული მოსახლეობის მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურება. მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურების განზრახვა კარგად ჩანს აფხაზი პოლიტიკური ლიდერების მიერ აფხაზი მეზობელებისა და უცხოელი ბოვეიკებისთვის მიცემულ დაპირებებში, რომ მოხდებოდა დახოცილი და განდევნილი ქართველების სახლებით მათი დაჯილდოება. იგივე განზრახვა კარგად იყო ასახული დამნაშავე პირების მიერ ქართულ სამოქალაქო მოსახლეობაზე განხორციელებული თავდასხმების დროს გაუღერებულ სლოგანებში: „თუ ქართველები არ დატოვებენ აფხაზეთს, ყველანი მოკვდებიან“.

ქართველი მოსახლეობის კუთვნილი ეკლესიებისა და კულტურული მემკვიდრეობის სხვა ძეგლების განზრახ განადგურებაც ქართული მოსახლეობისა და მისი კულტურული იდენტობის განადგურების გეგმის ნაწილს წარმოადგენდა.

ამრიგად, აფხაზეთის სეპარატისტულმა მთავრობამ და მისმა მეომრებმა იცოდნენ, რომ ქართველი მოსახლეობის ფიზიკური განადგურებითა და დარჩენილი ნაწილის იძულებითი გადაადგილებით აუცილებლად მოხდებოდა აფხაზეთის ტერიტორიიდან ქართული მოსახლეობის გაუჩინარება. აფხაზური სეპარატისტული ძალების განზრახვა, რომ დანაშაულთა სამიზნე ყოფილიყო აფხაზეთის ქართველი მოსახლეობა, მტკიცდება შემდეგი ფაქტებით: ანტიკონსტიტუციური კანონმდებლობის მიღებით, ეთნიკური შუღლის გაღვივებითა და ქართველი მოსახლეობის მიმართ შეუწყნარებელი განცხადებების გაკეთებით, მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის, მისი პოლიტიკური, ადმინისტრაციული და ინტელექტუალური ლიდერების, ასევე ქართველების კულტურული მემკვიდრეობის განადგურებით.

დადგენილია, რომ 1992 წლის 14 აგვისტოდან 1993 წლის 8 ივლისამდე ჩადენილ დანაშაულთა გამო დამნაშავე პირთა სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა შესაძლებელია საქართველოს სსკ 65¹ მუხლით (გენოციდი), მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის გენოციდის დანაშაული საქართველოს სისხლის სამართლის კანონით დასჯად ქმედებას არ წარმოადგენდა.

დადგენილია ასევე, რომ ლეგალურობის პრინციპი არ ირღვევა საქართველოს სსკ 65¹ მუხლის იმ ქმედებებზე რეტროაქტიულად გავრცელებით, რომლებიც 1992 წლის 14 აგვისტოდან 1993 წლის 8 ივლისამდე პერიოდში იქნა ჩადენილი. ასეთი დასკვნები გაკეთებულია იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო სამართალი უკვე დიდი ხანია აღიარებს გენოციდს როგორც დანაშაულს. შესაბამისად, 1992 წლის 14 აგვისტოდან 1993 წლის 8 ივლისამდე პერიოდში აფხაზეთში მცხოვრები ეთნიკური ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი გენოციდი წარმოადგენს საერთაშორისო სამართლით დასჯად დანაშაულს და, ეროვნული კანონმდებლობით მისი კოდიფიცირების მიუხედავად, სავალდებულოა შესასრულებლად. საქართველოს სსკ 65¹ მუხლმა დასჯადად გამოაცხადა ის დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებიც ჩვეულებითი სამართლით დიდი ხნის წინ იყო აღიარებული როგორც საყოველთაოდ დასჯადი დანაშაული, რომელიც საერთაშორისო სამართლით იყო აკრძალული და ინდივიდუალურ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა. დამნაშავე პირებმა, რომლებიც აფხაზეთის ტერიტორიაზე შემზარავ დანაშაულს ჩადიდნენ, იცოდნენ, რომ ეს ქმედებები მართლსაწინააღმდეგო და დასჯადი იყო. შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის ნორმების გათვალისწინებით, საქართველოს სსკ 65¹-ე მუხლის რეტროაქტიული გავრცელება არ ეწინააღმდეგება *nulla poena*-ს პრინციპს. პირიქით, აღნიშნული მუხლით იმ საერთაშორისო სამართლის ნორმების კოდიფირება ხდება, რომლებიც დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მომენტში მოქმედებდნენ.

IV. აფხაზეთში ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა-გენოციდის მსხვერპლთა სახელობითი სია

IV.1. გაგრის რაიონი

სულ დაიღუპა 473 ადამიანი, მათ შორის 361 მამაკაცი 112 ქალი.

ქალაქი გაგრა

1. აბსანძე ჯუმბერ ნიკოლოზის ძე – 57 წლის, წერეთლის ქ., № 54/4, ბ. 14, 1992 წლის 2 ოქტომბერს წამებით მოკლეს.
2. აკობია აქვსენტი – 80 წლის, რუსთაველის ქ., №154, დახვრიტეს საკუთარ სახლში.
3. ალასანია ოლა ანდრეს ასული – 85 წლის, წერეთლის ქ., №150, 1994 წლის 9 ივნისს წამებით მოკლეს – ჩამოაგდეს საკუთარი სახლის მე-5 სართულიდან წერეთლის ქ., № 59/4, ბ. 24.
4. ალასანია თამაზ კირილეს ძე – 42 წლის, წერეთლის ქ., 1992 წლის ოქტომბერში წამებით მოკლეს.
5. ალიევი ვალერი ყურბანის ძე – 65 წლის, წერეთლის ქ., № 49/3, ბ. 4, 1993 წლის იანვარში დახვრიტეს საკუთარ სახლში.
6. ამირეჯიბი ვალერი – 32 წლის, ზღვის ქ., № 2, მოკლეს სოფელ ლესელიძეში.
7. ბანცაძე ჯამბულ სიმონის ძე – 42 წლის, 1992 წლის 10 ოქტომბერს დახვრიტეს.
8. ბარამია ცისია ალექსანდრეს ასული – 30 წლის, ოქტომბრის ქ., №13, 1992 წლის 2 ოქტომბერს მშობლების თვალწინ გააუპატიურების შემდეგ დახვრიტეს საკუთარ სახლში მშობლებთან ალექსანდრე და ნათელასთან და სამ სტუმართან ერთად.
9. ბარამია ალექსანდრე ილარიონის ძე – 78 წლის, ოქტომბრის ქ., №13, 1992 წლის 2 ოქტომბერს მოკლეს საკუთარ სახლში მეუღლე ნათელასთან, ქალიშვილ ცისიასთან და სამ სტუმართან ერთად.
10. ბარამია-ნადარეიშვილი ნათელა ვლადიმერის ასული – 70 წლის, ოქტომბრის ქ., №13, 1992 წლის 2 ოქტომბერს მოკლეს საკუთარ სახლში მეუღლე ალექსანდრესთან, ქალიშვილ ცისიასთან და სამ სტუმართან ერთად.
11. ბალათურია გულნაზ ალისტარქეს ასული – 46 წლის, წერეთლის ქ., №2 და №111, 1993 წლის 19 მარტს მოკლეს.
12. ბერაია ალექსანდრე ამირანის ძე – 64 წლის, სოხუმის გზატკ., №15, 1993 წლის 22 მარტს მოკლეს მეუღლე მაყვალასთან ერთად.
13. ბერაია მაყვალა პავლეს ასული – 60 წლის, სოხუმის გზატკეცილი, №15, 1993 წლის 22 მარტს მოკლეს მეუღლე ალექსანდრესთან ერთად.
14. ბერიძე შოთა – 70 წლის, ქ. გაგრის ოკუპაციის შემდეგ დახვრიტეს.
15. ბობოხიძე ალექსანდრე ნიკოლოზის ძე – 68 წლის, ნინოშვილის ქ., №16, დახვრიტეს საკუთარ სახლში.

16. **ბჟალავა ომარ** – გაგრის მილიციის თანამშრომელი, 1992 წლის 2 ნოემბერს მოკლეს საკუთარ სახლში მეუღლისა და შვილების თვალწინ.
17. **გაბედავა პროკოფი ჰავლეს ძე** – 73 წლის, წერეთლის ქ., № 16, დახვრიტეს საკუთარ სახლთან.
18. **გალანსკი იური ივანეს ძე** – 60 წლის, 1992 წლის 2 ოქტომბერს დახვრიტეს.
19. **გამხუაშვილი გოდერძი** – ჭანბას ქ., № 31, ქ. გაგრის ოკუპაციის შემდეგ დახვრიტეს.
20. **გეგეჭკორი გიორგი მიხეილის ძე** – 69 წლის, ნინოშვილის ქ., № 24, დახვრიტეს საკუთარ სახლში.
21. **გვაზავა შალვა** – წერეთლის ქ., 1992 წლის 2 ოქტომბერს დახვრიტეს ალექსანდრე ბარამიას ოჯახის წევრებთან ერთად.
22. **გიორბელიძე შოთა რაჟდენის ძე** – 37 წლის, ლენინის ქ., ქ. გაგრის ოკუპაციის შემდეგ დახვრიტეს.
23. **გოროზია ლავრენტი** – წამებით მოკლეს მეუღლე ციალა ინჯგიასთან ერთად – ორივეს თავი მოკვეთეს.
24. **გუგავა კონსტანტინე ბაგრატის ძე** – 62 წლის, ვაჟა-ფშაველას ქ., № 29, 1992 წლის 31 დეკემბერს დახვრიტეს.
25. **გუგუშვილი ვალენტინა ზაურის ასული** – 64 წლის, ლენინის ქ., მოკლეს თავის ბინაში.
26. **გუგუშვილი მარია** – 25 წლის, 1992 წლის ოქტომბერში დახვრიტეს.
27. **გულორდავა ემა** – 55 წლის, რუსთაველის ქ., № 118, მოკლეს საკუთარ სახლში ქალიშვილ მთვარისასთან ერთად.
28. **გულორდავა მთვარისა სერგოს ასული** – 18 წლის, რუსთაველის ქ., № 118, მოკლეს საკუთარ სახლში დედა ემასთან ერთად.
29. **ვაჩაძე ბუთხუზი** – ქ. გაგრის ოკუპაციის შემდეგ დახვრიტეს.
30. **ზამბახიძე ევგენი არჩილის ძე** – 1-ლი მაისის ქ., № 5, დახვრიტეს საკუთარ სახლში მეუღლესთან და შვილთან ერთად.
31. **ზამბახიძე (ევგენის მეუღლე)** – 1-ლი მაისის ქ., № 5, დახვრიტეს საკუთარ სახლში მეუღლე ევგენი და შვილთან ერთად.
მალე ოთხი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში – აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში შეიარაღებული ამბოხება დაიწყო, რომელიც ორგანიზებული იყო ავტონომიის აგრესიულად განწყობილი ლიდერების მიერ საქართველოსაგან მის შემადგენლობაში უძველესი დროიდან მყოფი ერთ-ერთი რეგიონის – აფხაზეთის ჩამოშორების მიზნით. ათასობით უცხოელი დაქირავებული მეომრის, აგრეთვე რუსული ჯარების განსაზღვრული ნაწილების მხარდაჭერის გამოყენებით, რომლებიც სსრკ-ის არსებობის დროიდან აფხაზეთში იყვნენ დისლოცირებული, აფხაზმა სეპარატისტებმა შეძლეს რეგიონიდან საქართველოს სამთავრობო ჯარების განდევნა, რასაც თან ახლდა აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის მიმართ განხორციელებული ბარბაროსული ძალადობა, რის შედეგადაც რეგიონში არ დარჩნენ ქართველი ეროვნების პირები, რომლებიც კონფლიქტის დაწყებამდე მოსახლეობის 46 პროცენტს შეადგენდნენ.

გეგმაზომიერად, ამა თუ იმ რაიონის მიტაცებასთან ერთად, იწყებოდა ქართველი ეროვნების პირების, პირველ რიგში, მშვიდობიანი მოქალაქეების: პოლიტიკური მოღვაწეების, პედაგოგების, ექიმების, მწერლების, კულტურის მუშაკების განადგურება. ნადგურდებოდა ქართული არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც მოწმობდნენ აფხაზეთის რეგიონში ქართველების უძველესი დროიდან ცხოვრების ფაქტს.

ცოცხლად დარჩენილებს ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარით დევნიდნენ მშობლიური ადგილებიდან აფხაზეთის ფარგლებს მიღმა, რომელიც „დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“ იყო აღიარებული. შედეგად დაიღუპა 10 ათას კაცზე მეტი, უპირატესად მშვიდობიანი მოქალაქეები, 250 ათასი ქართველი იძულებით გაიქცა, რათა თავი დაეღწია შემადრწუნებელი დამცირების, ნაძებისა და დახვერცხისაგან.

გარდა ქართველებისა, აფხაზეთიდან გაიქცა 100 ათასზე მეტი არა-ქართველი ეროვნების პირი – რუსები, სომხები, ბერძნები, ესტონელები; ათასობით აფხაზმაც კი დატოვა სამშობლო, რადგან არ სურდათ ასოცირებული ყოფილიყვნენ ფაშისტურ რეჟიმთან. ამგვარად, რეგიონის ფარგლებს გარეთ 1996 წელს მისი მოსახლეობის 4/5 აღმოცნდა.

კვლავინდებურად უარს აცხადებენ რა დევნილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების უფლებაზე, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მონაწილეობით ჯერ კიდევ 1994 წლის 4 აპრილს

მიღწეული შეთანხმების თანახმად, თავისუფლად დაბრუნდნენ მშობლიურ ადგილებში, სეპარატები გამალებით ასახლებენ აფხაზეთში დაქირავებულ მეომრებსა და სხვა პირებს, რამაც რეგიონის მოსახლეობის დემოგრაფიული შემადგენლობა უნდა შეცვალოს. იმათ კი, ვინც თავისი შიშისა და რისკის ფასად გაბედა მშობლიურ ადგილებში დაბრუნება გალის რაიონში, აშინებენ, ატერორებენ, აძევებენ.

ყველა ეს მოვლენა, აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ ეთნიკური წმენდის-გენოციდის ფაქტების დადგენის მიზნით შექმნილი სახელმწიფო კომისიის განცხადებების სახით, სისტემატურად ეგზავნებოდა მსოფლიო თანამეგობრობას და, პირველ რიგში, უშიშროების საბჭოსა და ადამიანის უფლებების კომისიას (E/CN 4/1994/123, E/CN 4/1995/139, E/CN 4/1996/146; S/1994/225, S/1995/200). ეს ინფორმაცია მიეწოდა ასევე ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას.

1.2 სეპარატისტო ქმედებების შეფასება

საერთაშორისო საზოგადოების რეაქცია ერთმნიშვნელოვანი იყო: ა) ეუთოს სამიტები და საქართველოში ეუთოს მისიის მოხსენებები: ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის წევრმა სახელმწიფოებმა 1994 წლის 4-5 მარტს გამართულ ბუდაპეშტის სამიტზე „ღრმა შეშფოთება გამოთქვეს უპირატესად ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდის, საცხოვრებელი ადგილებიდან მასობრივი განდევნისა და უდანაშაულო მოქალაქეების დიდი რაოდენობით დაღუპვის გამო“⁴⁴⁶.

„ჩვენ (ეუთოს წევრი სახელმწიფოები) ვგმობთ „ეთნიკურ წმენდას“, რომლის შედეგადაც ადგილი აქვს უპირატესად აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის მასობრივი განადგურება და იძულებითი გაძევება. სეპარატისტების დესტრუქციულმა ქმედებებმა, მათ შორის დევნილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნებისთვის დაბრკოლების შექმნა... ძირს უთხრის კონფლიქტის პოლიტიკური და რეგულირებისკენ მიმართულ პოზიტიურ ძალისხმევას“⁴⁴⁷.

„აფხაზეთის ხელისუფლება აგრძელებს ძალადობრივი ეთნიკური წმენდის პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც მიზნად ისახავს გალის რაიონში, ან რომელიმე სხვა ადგილას აფხაზეთში არ დაუშვას მნიშვნელოვანი რეპატრიაცია. გამოყენებული ტაქტიკა მერყეობს

446. აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში, ნან. I, გვ. 409.

447. ეუთოს ლისაბონის უმაღლესი დონის შეხვედრის დეკლარაცია, პუნქტი 20, 1996 წლის 3 დეკემბერი. – აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში, ნან. II, გვ. 126-127.

უბრალო სიტყვიერი დაშინებიდან და მოკლევადიანი პატიმრობიდან მკვლელობამდე..., ზოგიერთი ყველაზე საშინელი მხეცური საქციელი, როგორც ჩანს, სოხუმიდან ბრძანებით განხორციელდა...⁴⁴⁸.

ბ) გაეროს უშიშროების საბჭომ გაიზიარა ეს დასკვნები და თავის ბოლო რეზოლუციებში მუდმივად „იმონებს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის უმაღლესი დონის ბუდაპეშტის შეხვედრის დასკვნებს აფხაზეთში, საქართველო არსებული მდგომარეობის შესახებ“ და „აცხადებს კონფლიქტის შედეგად დემოგრაფიული ცვლილებების დაუშვებლობის შესახებ“⁴⁴⁹.

გ) დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოთა მეთაურთა საბჭომ ასევე მხარი დაუჭირა ბუდაპეშტის შეხვედრის დასკვნებს, მოახდინა რა ზემოთ მოყვანილი დებულების ციტირება დსთ-ის სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს მინსკის 1995 წლის 26 მაისის განცხადებაში.

დ) 1996 წლის 14 ნოემბერს ევროპარლამენტის სესიამ მიიღო რეზოლუცია აფხაზი სეპარატისტების მიერ 23 ნოემბერს დანიშნულ არჩევნებთან დაკავშირებით, რომელშიც ნათქვამია: „ევროპარლამენტი... გამოთქვამს რა ღრმა შეშფოთებას აფხაზეთიდან დიდი რაოდენობით დევნილებთან დაკავშირებით, რომლებიც ამჟამად საქართველოში ცხოვრობენ, ასევე იმასთან დაკავშირებით, რომ აფხაზეთის რეგიონში კვლავ გრძელდება ეთნიკური წმენდის პროცესი...

...2 ხაზს უსვამს, რომ აფხაზეთში კონფლიქტის საბოლოო მშვიდობიანი დარეგულირება უნდა ეფუძნებოდეს ყოვლისმომცველ პოლიტიკურ დარეგულირებას და ითვალისწინებს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი პატივისცემას საზღვრების საერთაშორისო აღიარების ფარგლებში.

3. ხაზს უსვამს, რომ აფხაზეთში არჩევნების ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ ყოვლისმომცველი პოლიტიკური დარეგულირების კონტექსტში მოლაპარაკებების გზით, აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის შემდეგ და არჩევნებში ყველა დევნილისა და გადაადგილებული პირის სრული მონაწილეობის გარანტიის შემთხვევაში“.

ე) უშიშროების საბჭო 1997 წლის 30 იანვრის 1096(1997) რეზოლუციაში „იმონებს ეუთოს უმაღლესი დონის ლისაბონის შეხვედრის დასკვნებს“⁴⁵⁰. აფხაზეთში, საქართველო, არსებული მდგომარეობის

448. საქართველოში ეუთოს მისიისა და თბილისში გაეროს პერსონალის ანგარიში გალის რაიონში ადამიანის უფლებების მდგომარეობის, დასავლეთ საქართველოში და აფხაზეთა მიერ კონტროლირებად გალის რაიონში გამგზავრების შესახებ. 1996 წლის 19-21 აპრილი.

449. 1996 წლის 12 იანვრის 1036/1996 და 1996 წლის 12 ივლისის 1065/1996 რეზოლუციები. – აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში, ნაწ. II, გვ. 24-26, 76-78.

450. S1997/57, დანართი.

შესახებ და კვლავ აცხადებს კონფლიქტის შედეგად დემოგრაფიული ცვლილებების დაუშვებლობის შესახებ (პუნქტი 9). უშიშროების საბჭომ კვლავ დაადასტურა თავისი მოთხოვნა იმის შესახებ, რომ აფხაზურმა მხარემ არსებითად დააჩქაროს დევნილებისა და გადაადგილებული პირების ნებაყოფლობითი დაბრუნების პროცესი დაყოვნებისა და წინასწარი პირობების გარეშე...“ (პუნქტი 11).

ლოგიკური დასკვნა უნდა ყოფილიყო ზომების მიღება გამოსაძიებელი ფაქტების დასაზუსტებლად და, მათი დადასტურების შემთხვევაში, საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნა. თუმცა, სამწუხაროდ, ამას საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან სათანადო ეფექტიანი, ადეკვატური რეაქცია არ მოჰყვა.

აუცილებელია ერთი გარემოების აღნიშვნა.

პირველ ეტაპზე, 1993 წლის შემოდგომაზე, ე.ი. ცეცხლის შეწყვეტისა და სეპარატისტების მიერ აფხაზეთის თითქმის მთელი ტერიტორიის ხელში ჩაგდებისთანავე, გაეროს გენერალურმა მდივანმა საქართველოს მთავრობის თხოვნით აფხაზეთში გაგზავნა „ფაქტების დამდგენი მისია აფხაზეთში ადამიანის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული ვითარების შესწავლის, მათ შორის, „ეთნიკური წმენდის“ შესახებ მონაცემების გამოძიების მიზნით“.

მისია, რომელიც შედგებოდა გაეროს ადამიანის უფლებების ცენტრის სამი წარმომადგენლისგან, იძულებული იყო მოკლევადიან პერიოდში – ერთ კვირაში გაეროკვია, რამდენად მართლზომიერი იყო ბრალდებები საქართველოს მხრიდან.

ნოემბერში მისიამ თავისი დასკვნა წარუდგინა გაეროს გენერალურ მდივანს – აფხაზეთსა (5 დღე) და თბილისში (2 დღე) განუული მუშაობის შედეგები.

უდავოა, რომ მისიისთვის რთული იყო იმის განსაზღვრა, რამდენად უტყუარი იყო ბრალდებები, რადგან დაცარიელებულ, „ქართველებისაგან გათავისუფლებულ“ აფხაზეთში რთული იყო უტყუარი ინფორმაციის შეგროვება.

სამწუხაროდ, მისიამ ვერ მოასწრო გასცნობოდა დასავლეთ საქართველოში მყოფი დევნილებისა და გადაადგილებული პირების ჩვენებებს. და მაინც, გაეროს გენერალური მდივნისთვის წარდგენილი მოხსენება იძლეოდა მომხდარის მეტ-ნაკლებად ზუსტ სურათს, თუ არ ჩავთვლით უზუსტობას ისტორიულ ნაწილში⁴⁵¹.

მისიამ აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებებს ორივე მხარე არღვევდა, და მოახდინა იმის კონსტატაცია, რომ უფრო მასობრივი და სასტიკი ხასიათი ჰქონდა დარღვევებს აფხაზური ძალებისა და მათი დაქირავებული მეომრების მხრიდან იმ ტერიტორიაზე, სადაც უკვე არ წარმოებდა საომარი მოქმედებები და დარჩენილი იყო მხოლოდ

451. S/26725, 1993 წლის 24 ნოემბერი.

სამოქალაქო მოსახლეობა (პ. 18, 19, 20, 21, 22, 27, 28, 29, 33-37, 38 და სხვ.).

აცნობიერებდა რა, რომ ასეთი ხანმოკლე ვიზიტის დროს მისიას არ შეეძლო ვითარების ამომწურავად შესწავლა და ფაქტების აქტიური შემოწმება, ის შემდეგი დასკვნით შემოიფარგლა: „შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე მისიამ ვერ შეძლო დაედგინა, განახორციელა თუ არა ორივე მხარის ხელისუფლებამ დროის რომელიმე განსაზღვრულ მომენტში აქტიური, მიზანმიმართული პოლიტიკა, იმისთვის, რომ გაენმინდა მათი კონტროლირებადი რაიონები აფხაზი ან ქართველი მოსახლეობისგან. მხოლოდ საკითხის შემდგომი გულმოდგინე გამოკვლევა და შეფასება მოგვცემს შესაბამისი ფაქტების დამაჯერებლად დადგენის საშუალებას“ (პ. 52).

მაგრამ შემდგომში სწორედ ეს არ გაკეთდა, რაც ნეგატიურად აისახა აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის სრულმასშტაბიანი დარეგულირების მთელ პროცესზე.

აფხაზეთში, საქართველო, მიმდინარე მოვლენებზე საერთაშორისო საზოგადოების არასაკმარისად აქტიურმა და თანამიმდევრულმა რეაგირებამ, ასევე სეპარატისტების მიერ „საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში მისი საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში“ აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შემუშავების მიმართ კონსტრუქციული მიდგომის შესახებ გაეროს უშიშროების საბჭოსა და ეუთოს რეკომენდაციების ჯერჯერობით წარმატებულმა საბოტაჟმა უბიძგა ხელისუფლებას სოხუმში „ეთნიკური წმენდის“ შედეგების ლეგალიზების მცდელობისკენ. გაეროს უშიშროების საბჭოს, ევროპარლამენტისა და ეუთოს აზრის იგნორირებით, სეპარატისტებმა 1996 წლის 23 ნოემბერს დაცარიელებული აფხაზეთის ტერიტორიაზე (540 ათასიდან იქ დარჩა დაახლოებით 150 ათასი მცხოვრები) ჩაატარეს ე.წ. პარლამენტის არჩევნები.

ეს პოლიტიკური ფარსი საერთაშორისო საზოგადოებამ დაგმოროგორც არამართლზომიერი.

ეუთოს სამიტმა ლისაბონში სეპარატისტების ეს ქმედებები დააკვალიფიცირა როგორც „დესქტრუქციული“.

1997 წლის 30 იანვარს გაეროს უშიშროების საბჭო 1096 (1997) რეზოლუციაში:

„კვლავ ადასტურებს, რომ ემხრობა საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მისი საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში და აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის აუცილებლობას ამ პრინციპებთან მკაცრ შესაბამისობაში და ხაზს უსვამს აფხაზეთის ხელმძღვანელობის ნებისმიერი ქმედების დაუშვებლობას, რომლებიც მიმართულია ამ პრინციპების დარღვევისკენ, კერძოდ,

1996 წლის 23 ნოემბერსა და 1996 წლის 7 დეკემბერს აფხაზეთში, საქართველო, ე.წ. საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას⁴⁵². რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ასევე დაგმო „სოხუმის ხელისუფლების მიერ დაკავებული პოზიცია“, რადგან „აფხაზეთმა მხარემ „არჩევნები“ ჩაატარა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი სამოქალაქო თავისუფლებების საყოველთაოდ აღიარებული ნორმების დარღვევით, საერთაშორისო აზრის სრული იგნორირებით... აფხაზეთში „არჩევნებში“ მონაწილეობის მიღება ვერ შეძლო საომარი მოქმედებების დროს თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან დევნილმა მოსახლეობამ. მხოლოდ ამ ერთი მიზეზის გამო 23 ნოემბრის ღონისძიებები არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს არც იურიდიულად ლეგიტიმურად, არც პოლიტიკურად დასაბუთებულად“⁴⁵².

ამრიგად, დაუსჯელობის სინდრომი, რომელიც სეპარატისტებს შეეყარა, უბიძგებს მათ ახალი მხეცური საქციელებისკენ, დევნილებისა და გადაადგილებული პირებისთვის მათ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებაზე უარის თქმისკენ, ქმედებებისკენ, რომლებიც მიზნად ისახავს ფაშისტური პოლიტიკური რეჟიმის ლეგალიზებას.

ამასობაში, როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობამ ერთხმად აღიარა, რომ აფხაზეთი სეპარატისტები აწარმოებდნენ და აწარმოებენ მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე „ეთნიკურ წმენდას“ ყველაზე ბარბაროსული მეთოდებით, რაც იწვევს ქართველი მოსახლეობის მასობრივ განადგურებას და იძულებით გაძევებას, რომელიც კონფლიქტამდე შეადგენდა აფხაზეთის მოსახლეობის თითქმის ნახევარს.

სანამ კონკრეტული ფაქტების გადმოცემას შევუდგებოდეთ, რომლებიც სეპარატისტების მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების უხეშ დარღვევაზე მოწმობს, აუცილებელია იმ საკითხის განხილვა, წარმოადგენს თუ არა ეთნიკური წმენდა, რომელიც მოხსენიებულია ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში და იმ სახით, როგორც ის ხორციელდება აფხაზეთში, ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულს და გენოციდის ფორმას, რადგან ამაზეა დამოკიდებული საერთაშორისო ტრიბუნალისთვის ბრალდებული პირების გადაცემის საკითხის დასმის მართებულობა.

ამ საკითხის განხილვისას კომისია აქტიურად იყენებდა ექსპერტთა სპეციალური კომისიის შემაჯამებელ დასკვნას⁴⁵³. ასეთი კომისია შეიქმნა გაეროს გენერალური მდივნის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს 1992 წლის 6 ოქტომბრის 780 (1992) რეზოლუციის შესაბამისად, უშიშროების საბჭოს 771 (1992) და 780 (1992) რეზოლუციების

452. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს 1996 წლის 23 ნოემბრის განცხადება.

453. S/1994/674, 27 May 1994.

შესასრულებლად წარდგენილი ინფორმაციის განსახილველად და შესასწავლად, ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე ჩადენილი ჟენევის კონვენციების მიძიმე დარღვევებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სხვა დარღვევების ფაქტების, კერძოდ, ეთნიკური წმენდის პრაქტიკის შესახებ გენერალური მდივნისთვის თავისი დასკვნების წარდგენის მიზნით⁴⁵⁴.

II. ეთნიკური წმენდა ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულების კონტექსტში

II.1. ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულის ცნება

ამ სახის დანაშაულთა ცნება და შინაარსი პირველად ჩამოყალიბდა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდების მე-6 მუხლში (1945 წლის 8 აგვისტო) და გამოყოფილია მშვიდობის წინააღმდეგ დანაშაულებისა და სამხედრო დანაშაულების ცნებებისგან.

ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულებისთვის მთავარ ფაქტორად სახელდებოდა დანაშაულებრივი ქმედებები, „რომლებიც ჩადენილ იქნა სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ, კერძოდ კი მკვლევლობები, განადგურება, დამონება, გადასახლება და სხვა სისასტიკე... დევნა პოლიტიკური, რელიგიური მოტივებით ნებისმიერი დანაშაულის განხორციელების მიზნით ან მასთან დაკავშირებით, რომლებიც ტრიბუნალის იურისდიქციას ექვემდებარება, მიუხედავად იმისა, წარმოადგენდა თუ არა ეს ქმედებები იმ ქვეყნის შიდა სამართლის დარღვევებს, სადაც მოხდა მათი ჩადენა“ (მუხ. 6 ჩ).

აქვე აღინიშნებოდა, რომ ხელმძღვანელები, ორგანიზატორები, წამქეზებლები და ხელშემწყობნი, რომლებიც მონაწილეობდნენ ნებისმიერი ზემოაღნიშნული დანაშაულის ჩადენისკენ მიმართული ზოგადი გეგმის ან შეთქმულების შედგენაში ან განხორციელებაში, პასუხს აგებენ ყველა ქმედებისთვის, რომლებიც ჩადენილია ნებისმიერი პირის მიერ ასეთი გეგმის განხორციელების მიზნით, ამასთან, ამ პირების თანამდებობრივი მდგომარეობა არ ათავისუფლებს მათ პასუხისმგებლობისგან (წესდების მე-6 და მე-7 მუხლები).

ეს პრინციპები დაადასტურა გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1945 წლის 11 დეკემბრის 95(1) რეზოლუციაში, რის შემდეგაც ისინი მყარად დამკვიდრდა კაცობრიობის სამართალშეგნებაში და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ჩვეულებით ნორმებად იქცა.

454. შემაჯამებელი მოხსენების ციტირება შემდგომში მოხდება მხოლოდ უშიშროების საბჭოს დოკუმენტის ნომრის მითითებით _ S/1994/674.

გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ კონვენციამ (1948 წ.) გამოყო ქმედებების ჩამონათვალი კონკრეტულად სამოქალაქო მოსახლეობის ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი და რელიგიური ჯგუფების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა მიმართ, თუმცა გენოციდი რჩებოდა ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ბარბაროსულ და დამამძიმებელ სახედ.

ორმოცდაათი წლის შემდეგ, როდესაც ეთნიკურ ნიადაგზე შეიარაღებული კონფლიქტების აფეთქებამ, რომლებიც ძირითადად ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ხდებოდა, და აგრესიული სეპარატიზმის გაზრდილმა საფრთხემ ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულის ორმოცდაათი წლის წინათაც კი წარმოუდგენელი ფორმები მიიღო, კვლავ გაჩნდა საერთაშორისო ტრიბუნალები – 1991 წლიდან ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მძიმე დარღვევებისთვის პასუხისმგებელი პირების სამართლებრივი დევნის განმახორციელებელი საერთაშორისო ტრიბუნალი (გაეროს უშიშროების საბჭოს რეზ. 827 (1993) და 1994 წლის 1 იანვარსა და 1994 წლის 31 დეკემბერს შორის პერიოდში რუანდის ტერიტორიაზე გენოციდისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სხვა მძიმე დარღვევების ჩადენისთვის პასუხისმგებელი პირების, აგრეთვე მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიაზე გენოციდისა და სხვა მსგავსი ქმედებების ჩადენისთვის პასუხისმგებელი რუანდის მოქალაქეების სამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ტრიბუნალი (გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 995 (1995)).

ტრიბუნალების წესდებებმა განაზოგადეს წარსული პრაქტიკა და განავითარეს კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულთა ცნება და შინაარსი, ასევე თავიანთ იურისდიქციაში შეიტანეს ყენევის 1949 წლის კონვენციებისა და მათი ოქმების (1977 წ.), ასევე ომის კანონებისა და ჩვეულებების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა.

გენოციდის დანაშაული ასევე გამოტანილია ცალკე მუხლში (4), რომელიც წინ უძღვის ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულებს (5).

პრაქტიკულად ტრიბუნალმა თავის იურისდიქციას საფუძვლად დაუდო უკვე არსებული კონვენციური და ჩვეულებითი ნორმები, მათი კოდიფიცირების მცდელობის გარეშე, რაც, შესაძლოა, მართებულიც იყოს ამ ეტაპზე, თუმცა აღსანიშნავია იმ ქმედებების ჩამონათვალის გაფართოების მცდელობაც, რომლებიც ექცევა ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულის ცნებაში.

ტრიბუნალის წესდების მე-5 მუხლი, რომელიც განიხილავს ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულებს, აცხადებს:

„საერთაშორისო ტრიბუნალი უფლებამოსილია განახორციელოს იმ პირების სამართლებრივი დევნა, რომლებიც პასუხისმგებლები

არიან ... დანაშაულებისთვის, როდესაც მათი ჩადენა ხდება შეიარაღებული კონფლიქტის დროს, იქნება ეს საერთაშორისო თუ შიდა ხასიათის, და მიმართულია ნებისმიერი სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ“ (ტრიბუნალის წესდების მე-5 მუხლი), რომელიც, უდავოდ, მოიცავს ეროვნულ, პოლიტიკურ, ეთნიკურ, რასობრივ ან რელიგიურ ჯგუფებს“ (S/1994/674, პარ. 72). ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულთან მიმართებით რუანდის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალს აქცენტი გადააქვს „იმ პირთა დევნაზე, რომლებიც პასუხისმგებელი არიან... დანაშაულებისთვის, რომლებიც ეროვნულ, პოლიტიკურ, ეთნიკურ ან რელიგიურ ნიადაგზე ნებისმიერ სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი და სისტემატური თავდასხმის ნაწილად იქცა“ (მუხლი 3), ე.ი. არ უკავშირებს ამ დანაშაულებს მხოლოდ შეიარაღებულ კონფლიქტებს. ქმედებები, რომლებზეც საუბარი გვექნება ქვემოთ, ექსპერტების მიერ სრულიად სამართლიანად განიმარტება როგორც „საერთაშორისო სამართლის პრინციპები, რომლებიც გამოიყენება *egra omnes*, რადგან, როგორც ეს განსაზღვრა ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა, არსებობს „ადამიანურობის ელემენტარული ნორმები“, რომლებიც აღიარებულ უნდა იქნეს ნებისმიერ გარემოებაში, რაც დაადასტურა კიდევაც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1945 წლის 11 დეკემბერს (რეზოლუცია 95(1) (S/1994/674).

II.2. შეიარაღებული კონფლიქტის ხასიათი

და შემდეგ, იმავე ექსპერტების აზრით, ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულები „არ შემოიფარგლება საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის სიტუაციებით და გამოიყენება ყველა შეიარაღებული კონფლიქტის, მათ შორის შიდა კონფლიქტების – სამოქალაქო ომებისა და აჯანყებების მიმართ, ასევე ნებისმიერი შიდა და საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს შორის *casus mixus* შემთხვევაში, და, რაც მთავარია, – „ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულები ასევე უკვე არ არის დამოკიდებული მათ კავშირზე მშვიდობის წინააღმდეგ დანაშაულებთან ან ომის დანაშაულებთან (იქვე, პარ. 75).

II.3. დაცვის ქვეშ მყოფი პირები

ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულები მიმართულია მშვიდობიანი სამოქალაქო მოსახლეობის, ე.ი. იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც არ მონაწილეობდნენ შეიარაღებულ კონფლიქტში.

თუმცა, ექსპერტების აზრით, ვითარებაში, როდესაც ხდება ცალკეული სახლების, კვარტლების ან დასახლებების მცხოვრებთა ძებნა ან ფიზიკური განადგურება, ოჯახის უფროსის ან სამოქალაქო

პირების მცდელობები, იარაღით დაიცვან საკუთარი თავი და თავიანთი ახლობლები, არ ართმევს მას სამოქალაქო პირის სტატუსს (S/1994/674, პარ. 77).

II.4. ქმედებების ფართომასშტაბიანი და სისტემატური ხასიათი

ცალკეული ქმედებები, ისეთები, როგორებიცაა არასასამართლო წესით სიკვდილით დასჯა ან სხვა სისხლის სამართლის დანაშაულები, რომლებიც დასჯადია შიდასახელმწიფოებრივი სამართლით, არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც დანაშაულები ადამიანურობის წინააღმდეგ, თუკი ისინი არ არის სამოქალაქო მოსახლეობის დევნის წინასწარ დაგეგმილი და განხორციელებული პოლიტიკის (კამპანიის) ნაწილი, რომელიც ხასიათდება სისტემატურობით და ატარებს მასობრივ ხასიათს, რაც თავის თავში მოიცავს როგორც მსხვერპლის, ისე დამნაშავეების დიდ რაოდენობას.

ხელმძღვანელობის მცდელობები, უარყოს კავშირი ე.წ. „არაკონტროლირებად ელემენტებთან“, რომლებიც თითქოსდა დამოუკიდებლად ახორციელებენ სამოქალაქო პირების დევნას, არ შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული, რადგან სწორედ ქმედებების ფართო მასშტაბი და სისტემატურობა ადასტურებს ქმედებების ერთიანი გეგმის არსებობას (S/1994/674, პარ. 84-85).

II.5. ქმედებების ჩამონათვალი

იუგოსლავიის ტრიბუნალის წესდების მე-5 მუხლი და რუანდის ტრიბუნალის წესდების მე-3 მუხლი ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულებს მიაკუთვნებენ შემდეგ ქმედებებს:

- ა) მკვლელობას;
- ბ) განადგურებას;
- გ) დამონებას;
- დ) დეპორტაციას;
- ე) ციხეში ჩასმას;
- ფ) წამებას;
- გ) გაუპატიურებას;
- ჰ) დევნას პოლიტიკური, რასობრივი და რელიგიური მოტივებით;
- ი) სხვა არაადამიანურ აქტებს.

„მშვიდობისა და ხალხთა უსაფრთხოების წინააღმდეგ დანაშაულების შესახებ კოდექსის“ პროექტის მე-18 მუხლი განსაზღვრავს: ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაული ნიშნავს შემდეგ ქმედებებს, როდესაც მათი ჩადენა ხდება სისტემატურად და ფართო მასშტაბებში და პროვოცირებულია ან მიმართულია მთავრობის ან სხვა ნებისმიერი ორგანიზაციის ან ჯგუფის მიერ:

- ა) მკვლელობას;
- ბ) განადგურებას;
- ც) წამებას;
- დ) დამონებას;
- ე) დევნას პოლიტიკურ, რასობრივ, რელიგიურ ან ეთნიკურ საფუძველზე;

ფ) ინსტიტუციურ დისკრიმინაციას რასობრივ, ეთნიკურ ან რელიგიურ საფუძველზე, რომელიც მოიცავს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევებს, და მოსახლეობის ნაწილის მძიმე დაზიანებას;

გ) მოსახლეობის თვითნებურ დეპორტაციას ან იძულებით გადაადგილებას;

ჰ) თვითნებურ დაპატიმრებას, იძულებით გაუჩინარებას;

ი) გაუპატიურებას, პროსტიტუციის იძულებას და სქესობრივი შეურაცხყოფის სხვა ფორმებს;

ჯ) სხვა არაადამიანურ აქტებს, რომლებიც მძიმე ზიანს აყენებს ფიზიკურ და გონებრივ მდგომარეობას, ჯანმრთელობას და ადამიანურ ღირსებას, როგორებიცაა დასახიჩრება და სხეულის მძიმე დაზიანებები.

ამგვარად, ჩამოყალიბდა ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულის სრულიად მკაფიო ცნება და შინაარსი, რომლის პრინციპები ატარებს *egra omnes* ხასიათს, ისინი გაფორმდა როგორც საერთაშორისო ჩვეულებითი სმართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები, რომლებსაც აქვთ აბსოლუტური იურიდიული ძალა – *jus cogens*.

ასეთი დანაშაულების ჩადენის ფაქტების დამტკიცების შემთხვევაში, ამ დანაშაულებში ბრალდებული პირების სასამართლო დევნისათვის უნდა შეიქმნას საერთაშორისო ტრიბუნალი, თუ სახელმწიფო ან თვითონ არის პასუხისმგებელი ამ ქმედებებისთვის, ან არ შეუძლია თავისი იურისდიქციის განხორციელება ტერიტორიაზე, რომლის ფარგლებშიც ადგილი აქვს ამ დანაშაულების ჩადენას.

სახელმწიფოს ეს უფლება სრულიად მკაფიოდაა დაფიქსირებული გენოციდის შესახებ კონვენციაში:

„პირები, რომელნიც ექვემდებარებიან არიან გენოციდის დანაშაულის ან III მუხლში ჩამოთვლილი ნებისმიერი სხვა ქმედების ჩადენაში, გასამართლებულნი იქნებიან იმ სახელმწიფოს კომპეტენტური სასამართლოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც ქმედება იქნა ჩადენილი, ან იმ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ, რომელსაც შეუძლია განახორციელოს იურისდიქცია იმ ხელშემკვრელ მხარეთა მიმართ, რომელთა მიერაც აღიარებულ იქნა მისი იურისდიქცია“ (მუხლი VI); მუხლი VIII კი კონვენციის ნებისმიერ მონაწილეს უფლებას აძლევს მიმართოს გაეროს შესაბამის

ორგანოს და **მოსახლეობის** (ხაზგასმა ჩვენია – ლ. ა.) გაეროს წესდების მიხედვით „განახორციელოს ისეთი ღონისძიებები, რომლებსაც ის მიიჩნევს საჭიროდ, რათა მოხდეს გენოციდის ან III მუხლში ჩამოთვლილი ნებისმიერი ქმედების თავიდან აცილება და აღკვეთა“.

უდავოა, რომ ეს უფლება პირველ რიგში უნდა ეკუთვნოდეს სახელმწიფოს, რომელიც იბრძვის მის ტერიტორიაზე ჩადენილი გენოციდის დანაშაულის წინააღმდეგ. სხვათა შორის, გაეროს უშიშროების საბჭომ გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნის შესახებ რუანდის მთავრობის თხოვნით მიიღო (გაეროს უშიშროების საბჭოს რეზ. S/RES/955, 1995 წლის 8 ნოემბერი, პარ. 1).

II.6. ეთნიკური წმენდა – ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაული

დანაშაულთა ეს სახე, რომელმაც ფართო გამოყენება ჰპოვა სუვერენული სახელმწიფოების შიგნით ეთნიკური და სხვა კონფლიქტების დროს, არ ფიგურირებს „ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულების“ ჩამონათვალში. თუმცა უკვე ჩამოყალიბდა მტკიცე სამართლებრივი შეგნება და სასამართლო პრაქტიკა, რომლებიც „ეთნიკურ წმენდას“ „ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულებს“ მიაკუთვნებს.

გაეროს ექსპერტებმა, რომლებმაც შეისწავლეს ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულების ხასიათი, შემდეგი დასკვნა გააკეთეს:

„ეთნიკური წმენდა“ – ეს არის ერთი ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფის მიერ შემუშავებული მიზანმიმართული პოლიტიკა განსაზღვრული გეოგრაფიული რაიონებიდან ძალადობრივი და ტერორის გამოყენებით მეთოდებით სხვა ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფის სამოქალაქო მოსახლეობის გასაძევებლად. მნიშვნელოვანწილად ის ხორციელდება ფსევდონაციონალიზმის, ისტორიული წყენისა და შურისძიების გრძნობის ძლიერი მამოძრავებლის საფარველის ქვეშ ტერიტორიის ოკუპაციისა და იქიდან იმ ჯგუფის ან ჯგუფების გაძევების მიზნით, რომელთა მიმართ ხორციელდება ეს „წმენდა“ (S/1994/674, პუნქტი 130). ის წარმოებს სამოქალაქო მოსახლეობის მკვლელობის, წამების, თვითნებური დაპატიმრებებისა და დაკავების, არასასამართლო წესით სიკვდილით დასჯის, გაუპატიურებებისა და სხვა სქესობრივი ძალადობის, იძულებითი გაძევების, გადაადგილებისა და დეპორტაციის, სამოქალაქო მოსახლეობასა და რაიონებზე მიზანმიმართული სამხედრო თავდასხმების ან თავდასხმების მუქარის, საკუთრების უაზრო განადგურების გამოყენებით (S/25274 პუნქტი 56).

ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალმა თავის რიგ გადაწყვეტილებებში განსაზღვრა, რომ „ეს ქმედებები მიმართულია განსაზღვრული სამოქალაქო მოსახლეობის წევრების წინააღმდეგ,

რომლებიც აღიქმება როგორც ერთი ან მეტი ეროვნული ან პოლიტიკური ჯგუფები; ამ აქტების ჩადენა უნდა მივაკუთვნოთ ერთსა და იმავე მოდელს; მოქმედებები დაგეგმილი და ორგანიზებულია სახელმწიფო დონეზე. როგორც ჩანს, მათ საერთო მიზანი აქვთ: „ეთნიკურად სუფთა“ ტერიტორიის ორგანიზება და ამგვარად ახალი სახელმწიფოს შექმნა. ეს ქმედებები წარმოადგენს „ეთნიკური წმენდის“ პოლიტიკის განხორციელების საშუალებას... ამიტომ, სასამართლო პალატა მიიჩნევს, რომ ზემოთ მოყვანილი ქმედებები უფრო ადეკვატურად შეიძლება დახასიათდეს როგორც „აღამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულები“⁴⁵⁵. გაეროს გენერალური მდივნის მოხსენებაში უშიშროების საბჭოსადმი უშიშროების საბჭოს 808 (1993) რეზოლუციის მე-2 პუნქტის შესასრულებლად, რომელიც ეხებოდა ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნას (S/25704), აღნიშნულია, რომ „აღამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულების ქვეშ იგულისხმება საკმაოდ სერიოზული ხასიათის არააღამიანური აქტები, როგორებიცაა განზრახ მკვლელობა, წამება ან გაუპატიურება, რომელთა ჩადენა ხდება როგორც ეროვნული, პოლიტიკური, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური მოტივებით ნებისმიერ სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის ნაწილი. ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე კონფლიქტში მსგავსმა არააღამიანურმა აქტებმა მიიღო ეგრეთ წოდებული „ეთნიკური წმენდის“, ასევე ფართომასშტაბიანი და სისტემატური გაუპატიურებებისა და სხვა სქესობრივი დანაშაულების, მათ შორის პროსტიტუციის იძულების ფორმა“ (S/25704, 1993 წლის 3 მაისი, პარა. 48).

გაეროს აღამიანის უფლებების კომისიის 1996/71 რეზოლუცია:

„1. კატეგორიულად გმობს კონფლიქტების დროს აღამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ყველა დარღვევას, კერძოდ, თვითაღიარებული ბოსნიური და ხორვატი სერბი ხელისუფლების კონტროლქვეშ მყოფ რაიონებში, მასობრივი და სისტემატური დარღვევების ჩათვლით, მათ შორის, კერძოდ, სისტემატურ ეთნიკურ წმენდას, მკვლელობებს, გაუჩინაურებებს, წამებას, გაუპატიურებას, დაკავებას, ცემას, თვითნებურ ჩხრეკას, საცხოვრებლებისთვის ცეცხლის წაკიდებას და ძარცვას, საცხოვრებელი რაიონებისთვის ტყვიის დაშენას, მოსახლეობის უკანონო და იძულებით გამოსახლებას და ძალადობის სხვა აქტებს, რომლებიც მიზნად ისახავდა აღამიანების იძულებას, დაეტოვებინათ თავიანთი სახლები, და ადასტურებს, რომ ყველა პირი, ვინც გეგმავს, ახორციელებს ან ასეთ

455. International Tribunal for Former Yugoslavia. In the Trial Chamber, Prosecutor V. Radovan Karadzic and Ratko Mladic, Review of the Indictments Pursuant To Rule 61 of the Rules of Pricedure and Evidence para. 90-91, 11 July 1996.

აქტებზე სანქციას გასცემს, ჩათვლება პირადად პასუხისმგებელ პირად და დაეკისრება პასუხისმგებლობა.

2. გამოხატავს შეშფოთებას იმით, რომ გაუპატიურებების საზარელი, მიზანმიმართული და სისტემატური პრაქტიკა გამოიყენებოდა როგორც ომის საშუალება ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკაში, აღიარებს, რომ გაუპატიურება ამ კონტექსტში წარმოადგენს სამხედრო დანაშაულს...“

კომისიამ გამოხატა ღრმა შეშფოთება იმ ქმედებებით, რომლებიც ძირს უთხრის დაბრუნების უფლების პრინციპს, იმ კანონმდებლობის მიღების ჩათვლით, რომელიც ზღუდავს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე „საზოგადოებრივ საკუთრებაში არსებული“ ქონების მოთხოვნის უფლებას, ადამიანების გაუმართლებელ გამოსახლებას მათი სახლებიდან და გადაადგილებული პირების გადასახლებას სახლებში, რომლებიც 1996 წლის 18 მარტს შეწვევაში მიღწეული შეთანხმების თანახმად, არ უნდა ყოფილიყო დაკავებული ექვსი თვის განმავლობაში (1.3(B)).

ასეთია იმ ქმედებების მხოლოდ მცირე ჩამონათვალი, რომლებიც სხვა აქტებთან ერთად დაგმო კომისიამ, რომელმაც მკაფიოდ განსაზღვრა იმ ქმედებების შინაარსი, რომელთა ჩადენისთვის ბრალდებულ პირებს ეკისრებათ საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

III. გენოციდი

III.1. გენოციდი – კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის

უძიძიესი სახე

საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ გენოციდი განეკუთვნება ადამიანურობის წინააღმდეგ ერთ-ერთ ყველაზე მძიმე დანაშაულს. ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდება მკაფიოდ განსაზღვრავს, თუ რა განეკუთვნება ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულებს (იხ. პარ. II.1 ზემოთ), საიდანაც შემდგომ გამოყოფილ იქნა გენოციდის დანაშაული, რომელმაც ასახვა ჰპოვა შესაბამის კონვენციაში.

იუგოსლავიის ტრიბუნალის წესდებაც (მუხ. 4), რუანდის ტრიბუნალის წესდებაც (მუხ. 2), „მშვიდობისა და ხალხთა უსაფრთხოების წინააღმდეგ დანაშაულების შესახებ კოდექსის“ პროექტიც (მუხ. 17) ცალკე გამოყოფენ გენოციდს ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულების შემადგენლობიდან, როგორც ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულების ერთ-ერთ ყველაზე სამიმ და სასტიკ სახეს, რომელიც მკაფიოდ არის გადაჯაჭვული ქმედებებთან, რომლებიც მიზნად

ისახავენ „ნებისმიერი სამოქალაქო მოსახლეობის“ არა უბრალოდ მასობრივ და სისტემატურ დევნას, და მჭიდროდაა დაკავშირებული სამოქალაქო მოსახლეობის კონკრეტული პირების, სახელდობრ, რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის ფიზიკური განადგურების განზრახვასთან.

„გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ“ 1948 წლის კონვენციის მონაწილეებმა, გაეროს გენერალური ასამბლეის 1996 წლის 11 დეკემბრის 95(1) რეზოლუციაზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც „გენოციდი წარმოადგენს დანაშაულს, რომელიც არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს, და ეწინააღმდეგება (გაეროს) მიზნებს..., და იმის აღნიშვნით, რომ ცივილიზებული სამყარო გამოხს მას (პრეამბულა), „დაადასტურეს“, რომ „გენოციდი... წარმოადგენს დანაშაულს, რომელიც არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს და რომლის დაუშვებლობასა და დასჯას საკუთარ თავზე იღებენ“ (მუხ. 1).

ყურადღებას იპყრობს ტერმინი „ადასტურებენ“, ე.ი. მონაწილე სახელმწიფოები არ ქმნიან ახალ პრეცედენტს, არამედ ამოდიან დანაშაულის უკვე არსებული ცნებიდან, და მოქმედ *erga omnes* ჩვეულებით ნორმას კონვენციის ფორმაში აქცევენ, და ახდენენ ამ სახის დანაშაულის ცნების დეტალიზებასა და განვითარებას.

ექსპერტები სამართლიანად უსვამენ ხაზს, რომ კონვენციის ამოცანა მდგომარეობს ზოგიერთი ჯგუფის ადამიანების საკუთრივ არსებობის გარანტიის უზრუნველყოფაში, ასევე „ადამიანურობისა და მორალის ყველაზე ელემენტარული პრინციპების“ დადასტურებასა და გაძლიერებაში და რომ „შესაბამისი უფლებების გათვალისწინებით გენოციდისგან თავის შეკავების იურიდიული ვალდებულებები აღიარებულია *erga omnes*“ (S/1994/674, პარ. 88).

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება:

გენოციდი წარმოადგენს დანაშაულს საერთაშორისო სამართლის მიხედვით, მიუხედავად იმისა, ჩადენილია მშვიდობიანობის თუ ომის დროს (მუხ.1).

„ამგვარად, მიუხედავად კონტექსტისა, რომელშიც ის მიმდინარეობს (მაგალითად, მშვიდობიანობის, შიდა კონფლიქტების, საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების დროს თუ ნებისმიერ სხვა ვითარებაში), გენოციდი დასჯადია საერთაშორისო სამართლის მიხედვით“ (S/1994/674, პარ. 91).

III.2. ქმედებები, რომლებიც განეკუთვნება გენოციდის დანაშაულს

ისინი, როგორც წესი, ავტომატურად მეორდება კონვენციის II მუხლიდან.

გენოციდის დანაშაულის სახეების ხუთი დასახელებიდან მოცემული დოკუმენტისთვის ინტერესს წარმოადგენს შემდეგი სამი:

ა) ჯგუფის წევრთა მკვლელობა;

ბ) ასეთი ჯგუფის წევრებისთვის სხეულის მძიმე დაზიანების ან ფსიქიკური მოშლილობის მიყენება;

გ) რომელიმე ჯგუფისთვის განზრახ ისეთი საცხოვრებელი პირობების შექმნა, რომლებიც მიზნად ისახავს მის მთლიან ან ნაწილობრივ ფიზიკურ განადგურებას.

ამ ქმედებების ძირითადი მიზანი უნდა იყოს „ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურება“ (იქვე).

ამრიგად, დანაშაულისთვის, რომელიც ხასიათდება როგორც გენოციდი, აუცილებელი არაა ჯგუფის მთლიანი ფიზიკური განადგურება, ტერმინი „ნაწილობრივი“ ექსპერტების მიერ განიმარტება, როგორც მითითება იმაზე, „რომ აუცილებელი არაა ჯგუფის ყველა წევრის მოკვლის განზრახვა, საკმარისია „ჯგუფის მთელი ხელმძღვანელობის“ განადგურება, „თუ ჯგუფის ხელმძღვანელობა ლიკვიდირებულია და იმავდროულად ან ამის შემდეგ ჯგუფის მნიშვნელოვანი რაოდენობა მოკლულ იქნა ან გახდა სხვა საზარელი ქმედებების მსხვერპლი, მაგალითად დეპორტირებულ იქნა დიდ მასშტაბებში ან იძულებულ იქნა გაქცეულიყო...“, მაშინ სახეზეა საზოგადოებრივი სტრუქტურის განადგურების განზრახვა ხელმძღვანელობის ლიკვიდაციის გზით საზოგადოების რომელიმე ფენის ლიკვიდაციის სხვა აქტებთან ერთად, რაც ასევე შეიძლება განხილულ იქნეს როგორც გენოციდი“ (შ/1994/674 პარ. 94).

იმის აუცილებლობაც არაა, რომ ჯგუფი, რომელიც მსხვერპლს წარმოადგენს, იყოს უმცირესობაში, მას შეუძლია რაოდენობრივი თვალსაზრისით წარმოადგენდეს უმრავლესობას (S/1994/674 პარ. 95/96).

III.3. განზრახვა

ეს სწორედ ის ელემენტია, რომელიც ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურების მიზნით მასობრივ მკვლელობებს სძენს ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულის ხასიათს გენოციდის სახით; ეს ყოველთვის არის განზრახვა, რომელიც მიმართულია გარკვეული რაოდენობის პირების ლიკვიდაციისკენ, ე.ი. დანაშაული მიმართულია პირთა კოლექტივის, და არა ჯგუფის ერთი-ორი ან მეტი წარმომადგენლის წინააღმდეგ, ეს არის ჯგუფის „როგორც ასეთის“ ლიკვიდაციის განზრახვა (S/1994/674 პარ. 97).

შესაბამისად, უნდა არსებობდეს მკაფიოდ ფორმულირებული, წინასწარ დადგენილი ამოცანა – განადგურდეს, განიდევენოს

სახელმწიფოს, რეგიონის მოსახლეობის შემადგენლობიდან არასასურველი ეროვნული, ეთნიკური და ა.შ. ჯგუფი, ასეთის მთლიანი ფიზიკური განადგურების, ან ჯგუფის ნაწილის ფიზიკური განადგურებისა და დანარჩენების განსაზღვრული რეგიონიდან, რაიონიდან ან მთლიანად სახელმწიფოდან იძულებითი განდევნის გზით.

ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალმა სრულად გაიზიარა მითითებული დებულებები და ხაზი გაუსვა, რომ:

„განზრახვა, რომელიც წარმოადგენს გენოციდის დანაშაულის თავისებურებას, არ არის აუცილებელი მკაფიოდ იყოს გამოხატული... განზრახვა შეიძლება გამომდინარეობდეს განსაზღვრული რაოდენობის ფაქტიდან, როგორცაა ზოგადი პოლიტიკური დოქტრინა, რომელმაც გამოიწვია ქმედებები, რომლებიც შესაძლოა ექცეოდეს მე-4 მუხლში მოცემული განსაზღვრების ქვეშ ან განადგურებისა და დისკრიმინაციის აქტების განმეორება. განზრახვა შეიძლება გამომდინარეობდეს ასევე იმ აქტების განმეორებიდან, რომლებიც არღვევს ან რომლებსაც ბოროტმოქმედები თვითონ განიხილავენ როგორც ჯგუფის საფუძვლების დამრღვევად, ქმედებები, რომლებიც თავისთავად არ არის ჩამოთვლილი მე-4(2) მუხლში, მაგრამ რომლებიც ხორციელდება როგორც ქცევის ერთი და იმავე მოდელის ნაწილი“⁴⁵⁶.

III.4. ეთნიკური წმენდა როგორც გენოციდის ფორმა

ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულების ხასიათის შესწავლის შედეგად ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალის სასამართლო პალატა მივიდა დასკვნამდე, რომ „ეთნიკური წმენდის“ გეგმების რეალიზებისთვის გამოყენებული გარკვეული მეთოდები, როგორც ჩანს, ავლენს დამამძიმებელ გარემოებებს, როგორცაა, მაგალითად, განადგურების ეფექტის მასობრივი მასშტაბი. მსხვერპლის რაოდენობამ, რომელიც არჩეულია მხოლოდ ჯგუფისადამი მათი კუთვნილების მიზეზით, შეიძლება მიგვიყვანოს დასკვნამდე, რომ სახეზეა ჯგუფის განადგურების განზრახვა, ყოველ შემთხვევაში, ნაწილობრივ. ამიტომ, ზოგიერთი ღონისძიების სპეციფიკური არსი, რომლებიც გამოიყენება „ეთნიკური წმენდის“ მიზნების მისაღწევად, იძლევა იმის ხაზგასმის საფუძველს, რომ ქმედებების განმეორება მიზნად ისახავს ჯგუფის საფუძვლების ხელყოფას ან რომ ითვლება ასეთებად...

სასამართლო პალატამ შესთავაზა პროკურორს გაეფართოებინა გენოციდის მახასიათებლების მოცულობა და ჩაერთო სხვა სისხლისსამართლებრივი ქმედებები... გარდა იმ ქმედებებისა, რომლებიც ჩადენილია საკონცენტრაციო ბანაკებში⁴⁵⁷.

456. „Review“, 11 July 1996, par. 94.

457. „Review“, par. 95.

იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალის მოსამართლე ფოად რიადმა, პროკურორის მიერ წარდგენილი გამამტყუნებელი დასკვნის გაცნობის შემდეგ, გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ ზემოთ მოყვანილი ეთნიკური წმენდის „პოლიტიკა“, მის უკიდურეს გამოხატულებაში შეიცავს გენოციდის მახასიათებლებს. გარდა ამისა, ამ შემთხვევაში, ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურების განზრახვა, რაც დამახასიათებელია გენოციდისთვის, შეიძლება მკაფიოდ გამოვლინდეს „ეთნიკური წმენდის“... ე.ი. მასობრივი მკვლევლობების დამამძიმებელი ხასიათიდან. შესაბამისად, გენოციდში ბრალის დადება ნამდვილად არის შესატყვისი“⁴⁵⁸. მოგვიანებით, 1996 წლის 16 მაისს სასამართლო პალატამ, პროკურორის მიერ წარდგენილ დანაშაულთა ხასიათის განხილვის შემდეგ, შემდეგნაირად დააჯგუფა ისინი:

ა) ჯგუფის ან ჯგუფთა წევრების მკვლელობა;

ბ) ჯგუფის ან ჯგუფთა წევრებისთვის სხეულის მძიმე დაზიანების ან ფსიქიკური მოშლილობის მიყენება არაადამიანური მოპყრობის, წამების, გაუპატიურებისა და დეპორტაციის გზით;

გ) ჯგუფისათვის განზრახ ისეთი პირობების შექმნა, რაც მიზნად ისახავს მის მთლიან ან ნაწილობრივ ფიზიკურ განადგურებას საკონცენტრაციო ბანაკების, გატაცების, დაცვის ქვეშ მყოფი ქალაქებისა და რაიონების დაბომბვის გზით“.

სასამართლო პალატამ სავსებით ერთმნიშვნელოვნად დაადგინა, რომ იმ ქმედებების ხასიათის განსაზღვრისას, რომლებიც ექცევა „ეთნიკური წმენდის“ ქვეშ, აუცილებელია იმის დადგენა, რამდენად ავლენს ამგვარ გენოციდურ განზრახვას ქცევის მოდელი, რომელიც გაიგება როგორც „ეთნიკური წმენდა“⁴⁵⁹.

უდავოა, რომ ასეთი დასკვნები დიდწილად განისაზღვრა გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით, რომელმაც ჯერ კიდევ 1992 წელს „ეთნიკური წმენდა“ აღიარა გენოციდის ერთ-ერთ ფორმად (რეზოლუცია 47/121, 1992 წლის 18 დეკემბერი).

ამ რეზოლუციას ხშირად უთითებენ გაეროს ადამიანის უფლებების კომისია და დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და უმცირესობების დაცვის მისი ქვეკომისია. ქვეკომისია (რეზ. 1993/8) „გენოციდის დანაშაულისთვის დასჯის შესახებ“ რეზოლუციაში მიესალმება გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციას, რომელშიც მან განაცხადა, „რომ ეთნიკური წმენდის მცდელობა წარმოადგენს გენოციდის ერთ-ერთ ფორმას“ (გაეროს გენერალური

458. Case N IT 95-18-I The International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia. Before a Judge of Trial Chamber. The Prosecutor V. Radovan Karadzic, Radko Mladic. Review of the indictment. 16th day of November, 1995.

459. „Review“, par. 93.

ასამბლეის 1992 წლის 18 დეკემბრის რეზ. 47/121) და დაბეჯითებით მოუწოდებს გაეროს წევრ სახელმწიფოებს არ დაიშურონ ძალისხმევა სათანადო სასამართლო პროცესის საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად იმ პირების პასიხისგებაში მისაცემად, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად მონაწილეობდნენ ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიის სხვა ნაწილებში ან **მსოფლიოს ნებისმიერ სხვა რაიონში**“ (ხაზგასმა ჩვენია – ლ. ა.) ჩადენილ ამ დანაშაულებში (E/CN4/Sub.2/1995/45).

რეზოლუციაში „ვითარება კოსოვოში“ (1993/9) ქვეკომისია „მტკიცედ გამოხს“ სპეციფიკურ დარღვევებს, „რომელთა უმრავლესობა ჩადენილია „ეთნიკური წმენდის“ სისტემატურ პოლიტიკასა და გენოციდის ქმედებებთან დაკავშირებით ყოფილი იუგოსლავიის რაიონებში, რომელიც იმყოფება თვითაღიარებულ სერბ ხელისუფალთა კონტროლქვეშ, და რომლებიც მოიცავს მასობრივ მკვლელობებს, წამებას, გაუჩინაურებას, გაუპატიურებას და ქალებსა და ბავშვებზე სხვა სექსობრივ ძალადობას, სამოქალაქო პირების გამოყენებას ფარად კონფრონტაციის ხაზზე და განწინააღმდეგების, თვითნებურ დაპატიმრებას, სახლების, რელიგიური ობიექტებისა და კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის განადგურებას, იძულებით და უკანონო გამოსახლებას, დაკავებას, თვითნებურ ჩხრეკას და ძალადობის სხვა აქტებს“ (პარ. 3).

ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში კრიზისის მშვიდობიანი და მყარი გადარწმუნების და ადამიანის უფლებების მდგომარეობის გაუმჯობესების მიღწევის მიზნით, ქვეკომისიამ ასევე კატეგორიულად დაუჭირა მხარი ყველა დევნილისა და გადაადგილებული პირის, „ეთნიკური წმენდის“ მსხვერპლთა, უფლებას, დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში უსაფრთხოდ და ღირსეულად და განაცხადა, „რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება „ეთნიკური წმენდის“ პრაქტიკისა და შედეგების ლეგიტიმაცია“ (პარ. 8).

იგივე ფორმულირებები წითელ ხაზად გასდევს ქვეკომისიისა და კომისიის ყველა მომდევნო რეზოლუციას, რომლებშიც ძირითადად ნახსენებია ქმედებები, რომლებიც ექცევა „ეთნიკური წმენდის“ როგორც ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულის ცნების ქვეშ, რომლებიც ზოგჯერ ახლოსაა, ზოგჯერ კი მთლიანად ემთხვევა „გენოციდის ქმედებებს“.

ასე მაგალითად, კომისიამ თავის 49-ე სესიაზე აღნიშნა, რომ თავის რეზოლუციაში 1992/S/-2/1 მან მოუწოდა ყველა სახელმწიფოს განიხილონ საკითხი იმის შესახებ, ბოსნიასა და ჰერცეგოვინასა და ხორვატიაში ჩადენილი ქმედებები რამდენად წარმოადგენს გენოციდს და „მხედველობაში მიიღო გაეროს გენერალური ასამბლეის 1992 წლის 18 დეკემბრის რეზოლუცია 47/121, რომელშიც

ასამბლეამ განაცხადა, რომ „ეთნიკური წმენდის საზიზღარი პოლიტიკა წარმოადგენს გენოციდის ერთ-ერთ ფორმას“⁴⁶⁰.

ანალოგიურად წყდება საკითხები კომისიის 1995 წლის 8 მარტის 1995/89 რეზოლუციაში – E/CN 4/1995/176 პ. 3,6,8,18,22).

ამგარად, „ეთნიკური წმენდა“ წარმოადგენს არა მხოლოდ ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულის ერთ-ერთ სახეს, რომელიც ექცევა საერთაშორისო ტრიბუნალების იურისდიქციის ქვეშ, არამედ გენოციდის ერთ-ერთ ფორმასაც და მასზე ვრცელდება „გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ კონვენციის“ დებულებები.

მაშასადამე, შეიძლება იმის მტკიცება, რომ „ეთნიკური წმენდა“ მის ყველაზე უკიდურეს, მიძიმე გამოხატულებაში, როდესაც ის შეიცავს ქმედებებს, რომლებიც დასჯადია როგორც ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაული ზოგადად და, კერძოდ, როგორც გენოციდი, ექცევა იმ ქმედებების ქვეშ, რომლებსაც საერთაშორისო სამართლის მიაკუთვნებს საერთაშორისო კომპეტენციის მქონე სასამართლოების იურისდიქციას, მით უფრო, როდესაც სახელმწიფოს არ შეუძლია ბრალდებული პირების დასჯა, რადგან დროებით დაკარგა კონტროლი რეგიონზე, რომელიც იმყოფება „ეთნიკური წმენდის“ – გენოციდის განმახორციელებელი პირების კონტროლქვეშ, და დახმარებისთვის მიმართავს სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობას.

IV. ეთნიკური წმენდა აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის მიმართ – კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაული გენოციდის მკაფიოდ გამოხატული ფორმით

(სეპარატისტების დანაშაულებრივი ქმედებების ფაქტების გადმოცემა ეფუძნება ამ ქმედებების მოწმეებისა და უშუალო მსხვერპლთა 15 ათასზე მეტ ჩვენებას, ასევე ფოტო- და ვიდეომასალის დიდ რაოდენობას, რომლებიც შეგროვებულია საქართველოს პროკურატურის მიერ გამოძიების მსვლელობისას და მოცემულია 100-ზე მეტ ტომში).

IV.1. აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის განადგურების დანაშაულებრივი განზრახვა სეპარატისტთა ოფიციალური იდეოლოგიის კონტექსტში

„ისტორიით მთელი აღზრდა“, რომელიც 1990-1992 წლებში ყოველდღიურად მიმდინარეობდა აფხაზეთურ ნაციონალისტურ პრესაში,

460. კომისიის 1993/7 რეზოლუცია, 1993 წლის 23 თებერვალი.

ავტონომიურ-რესპუბლიკურ რადიოსა და ტელევიზიაში, აფხაზეთის უნივერსიტეტის კათედრიდან, დ. ი. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის აფხაზური ინსტიტუტის აუდიტორიებიდან და კაბინეტებიდან (რომელსაც 1988 წელს სათავეში ჩაუდგა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ვლადისლავ არძინბა), სკოლებშიც კი... მიმართული იყო ეთნოპოლიტიკური ვითარების რყევისკენ, ეროვნებათაშორისი შუღლის გაღვივებისკენ, აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობიდან „გასვლის“ პროვოკაციის იდეოლოგიური უზრუნველყოფისკენ.

ამით სპეციალურად დაინტერესებული პოლიტიკური წრეები მასების შეგნებაში მონდომებით ქმნიდნენ მტრის ხატს: ასეთ „მტრად“ პირველ რიგში გამოდიოდა ქართველი (ნებისმიერი ქართველი, უახლოესი მეზობლის ჩათვლით). მას ედებოდა ბრალი აფხაზი ხალხის ყველა უბედურებაში... მან თითქოს ყველაფერი გაძარცვა, ყველაფერი მიითვისა, ის სვამს აფხაზეთის სისხლს“⁴⁶¹.

მართლაც, აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის მიმართ მიზანმიმართული ბარბაროსული ქმედებების წინასწარგანზრახულობა ნათლად ჩანს სამეცნიერო კვლევების, მწერლებისა და პოლიტიკოსების საჯარო გამოსვლების, ჯერ კიდევ აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის არსებობისას აფხაზი სეპარატისტების მიერ ორგანიზებულ მიტინგებზე სსრკ-ის სახელმწიფო და პარტიული ორგანოებისადმი გაკეთებული „მიმართვების“ შინაარსიდან. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ საერთაშორისო საზოგადოების დეზორიენტაცია დაიწყო ჯერ კიდევ სსრკ-ის არსებობისას, როდესაც საბჭოთა პრესა, ტელევიზია, რადიო ხშირად ეწეოდა ანტიქართულ კამპანიას, რომელიც გაძლიერდა 1989-1992 წლების პერიოდში.

სეპარატიზმის იდეოლოგები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ აფხაზეთი არასდროს ყოფილა საქართველოს ნაწილი და მისი დამოუკიდებლობა საუკუნეებს ითვლის. ისინი აგრძელებენ ფაქტების დამახინჯებას და აცხადებენ, რომ ჯერ საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ (1918-1921 წწ.) მოახდინა აფხაზეთის ოკუპაცია, ხოლო შემდეგ საბჭოთა საქართველომ, რომელსაც დამოუკიდებლობა მიღწეული აფხაზეთი შეუერთდა ხელშეკრულებით, მისი ხელახალი ანექსია განახორციელა 1931 წელს, მოახდინა რა საქართველოს სსრ-თან ურთიერთობის ტრანსფორმირება და სახელშეკრულებოდან აფხაზეთის ცალმხრივად ავტონომიურ ერთეულად გადაქცევა.

უფრო მეტიც, ა.გოგუას მიხედვით⁴⁶², „წინასწარ ამოხოცვა ან დაუძღურა რა ინტელიგენცია, დახურა რა აფხაზური სკოლები,

461. С. Червонная. Абхазия – 1992. Посткоммунистическая вандея. Москва, 1993, с. 82.

462. „Дружба Народов“, 1989, № 5, с. 159.

ჩამოასახლა რა საქართველოს სხვა რაიონებიდან აფხაზეთის საუკეთესო მიწებზე 200 000-ზე მეტი მაცხოვრებელი, ამან გამოიწვია მკვიდრი მოსახლეობის ნაწილის ასიმილაცია, კავკასიის ერთ-ერთი უძველესი ისტორიული ხალხი და მისი კულტურა შოკურ მდგომარეობაში ჩააგდო და მისი ავტონომია სრულიად ცარიელ უბრალო ფირნიშად გადააქცია“. იმავე აზრს გამოხატავენ გ. თარბა და ბ. გურგულია, ასევე ბ. საგარია. მხოლოდ პირველები ასახელებენ ციფრს 100 ათასი, ხოლო მეორე – 60 ათასს! ამ პასკვილების ავტორებს „ავიწყდებათ“, რომ აფხაზეთი საუკუნეების განმავლობაში იყო საქართველოს სახელმწიფოს ნაწილი, მათ შორის საქართველოს დაქუცმაცების პერიოდშიც კი. იჩქმალება ის ფაქტი, რომ აფხაზები და ქართველები საუკუნეების განმავლობაში ერთად ცხოვრობდნენ, აფხაზეთის ტერიტორია სავსეა არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლებით, მატერიალური და სულიერი კულტურის სხვა ძეგლებით, რომლებიც შეიცავენ უძველესი დროის ქართულ წარწერებს. საუკუნეების განმავლობაში აფხაზეთში პოლიტიკური, დიპლომატიური და საეკლესიო ენა იყო ქართული. რუსეთის იმპერატორის სახელზე მფარველობის შესახებ აფხაზეთის მთავრის თხოვნაც კი ქართულ ენაზე იყო დაწერილი.

უტყუარია ის ფაქტი, რომ რეგიონში საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ქართველი მოსახლეობა აღემატებოდა აფხაზურს. „ივინყებენ“ იმას, რომ 1896-დან 1989 წლის ჩათვლით ის გაიზარდა მხოლოდ 7-ჯერ, ხოლო რუსი და სომეხი მოსახლეობა – 65,6-ჯერ და 67,6-ჯერ შესაბამისად.

1992 წელს, კონფლიქტის დაწყებამდე, გამოიცა ცნობარი, რომელშიც მოცემული იყო აფხაზეთში მცხოვრები ყველა ქართველი ოჯახის გვარები და მისამართები. პრაქტიკულად ეს იყო გზამკვლევი, რომელიც აადვილებდა ქართველი ოჯახების განადგურებას.

ყველა პუბლიკაცია გამსჭვალული იყო ლოზუნგით „გენოციდს ვუპასუხოთ გენოციდით“.

IV.2. აფხაზების პოლიტიკური, სამოქალაქო, სოციალური და კულტურული უფლებები შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე (1992 წლის აგვისტო)

აფხაზეთი წარმოადგენდა ავტონომიურ რესპუბლიკას საქართველოს შემადგენლობაში, ე.ი. იყო სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოები, საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციებით განსაზღვრულ ფარგლებში, იყვნენ უმაღლესი

ორგანოები. აფხაზეთის ასსრ-ის კონსტიტუცია ერთადერთი ძირითადი კანონი იყო სსრკ-ში ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის, რომელშიც აფხაზეთი ენა ერთ-ერთ სახელმწიფო ენად იყო დადგენილი.

იმ პირობებში, როდესაც რეგიონში მოსახლეობის 47%-ს შეადგენდნენ ქართველები, 30 პროცენტს – რუსები, სომხები და სხვ., ხოლო აფხაზები – 17 პროცენტზე ოდნავ მეტს, ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო და პარტიულ ორგანოებში აფხაზები ჭარბობდნენ.

უმალეს საბჭოში 57 აფხაზი, 53 ქართველი და 14 რუსი იყო.

საქალაქო და რაიონულ საბჭოებში ყველა ადგილების ერთი მესამედი აფხაზებს ეკუთვნოდათ.

მინისტრთა საბჭოსა და პარტიის საქალაქო კომიტეტში აფხაზები ნახევარზე მეტნი იყვნენ.

12 მინისტრიდან – 8 აფხაზი იყო.

სახელმწიფო კომიტეტის 8 თავმჯდომარიდან – 5 აფხაზი იყო.

8 საქალაქო და რაიონული პროკურატურიდან 5-ს აფხაზები ხელმძღვანელობდნენ.

1990 წლამდე აფხაზები ფართოდ იყვნენ წარმოდგენილი საქართველოს ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის უმაღლეს ორგანოებში. უფრო მეტიც, 1991 წელს პოლიტიკური შანტაჟის გზით სეპარატისტებმა მიაღწიეს კანონის მიღებას, რომელიც 65-ადგილიან ადგილობრივ პარლამენტში აფხაზებს აძლევდა 28, ქართველებს – 26, დანარჩენებს კი – 11 ადგილს.

აფხაზურ ენაზე გამოცემული მხატვრული ლიტერატურის ტირაჟი მოსახლეობის რაოდენობასთან პროცენტული თანაფარდობით პირველ ადგილზე იყო სსრკ-ში. მაშინ, როცა 1970-იანი წლების ბოლოს ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიური რესპუბლიკების ყველა სკოლაში სწავლება მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, აფხაზეთში ფუნქციონირებდა 25 აფხაზური სკოლა, თუ არ ჩავთვლით მრავალრიცხოვან შერეულ, რუსულ-ქართულ-აფხაზურ სკოლებს. ბოლო დრომდე 4 ათასზე მეტი ჭაბუკი და გოგონა სწავლობდა აფხაზურ ენაზე, მათ შორის აფხაზეთის უნივერსიტეტში ქ. სოხუმში.

სახელმწიფო ახდენდა აფხაზური ეროვნული ტელევიზიის, თეატრის, სიმღერისა და ცეკვისა ეროვნული ანსამბლის, კაპელისა და სხვა სამხატვრო კოლექტივების სუბსიდირებას.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის გარდა ავტონომიურ რესპუბლიკაში ფუნქციონირებდა 20-მდე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, სადაც 5 ათასზე მეტი ადამიანი მუშაობდა, მათ შორის 500 დოქტორი და მეცნიერებათა კანდიდატი.

ის, რომ აფხაზეთი იყო და რჩებოდა საქართველოს შემადგენელ ნაწილად, ეჭვს არ იწვევდა არც სსრკ-ის არსებობისას, არც სსრკ-ის

რღვევის პროცესში, არც დსთ-ის დამფუძნებლებში, არც სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობაში. ალმა-ატის 1991 წლის 21 დეკემბრის შეთანხმების თანახმად, საქართველოს, ისევე როგორც სხვა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტი, დადასტურებულ იქნა მის კუთვნილ მთელ ტერიტორიაზე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჩათვლით.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა გარანტირებულ იქნა გაეროს მიერ, რომელმაც საქართველო თავის ნევრად 1992 წლის 31 ივლისს მიიღო. მაგრამ ეს ნაკლებად ანუხებდა სეპარატისტებს, რომლებიც უკვე დიდი ხნის მანძილზე ელოდებოდნენ ხელსაყრელ მომენტს თავიანთი აგრესიული გეგმების განსახორციელებლად. ამ მიზნით გამოყენებულ იქნა ხალხთა თვითგამორკვევის უფლება, რომელსაც დამახინჯებულად განმარტავდნენ.

ცნობილია, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი კრძალავს ერის თვითგამორკვევის უფლების გამოყენებას „იმ სუვერენულ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური ერთობის ხელყოფის მიზნით, რომლებიც იცავენ ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპს და ჰყავთ მთავრობა, რომელიც ყოველგვარი განსხვავების გარეშე წარმოადგენს მთელი ხალხის ინტერესებს მათ ტერიტორიაზე“⁴⁶³.

IV.3. გვემის „აფხაზეთი ქართველების გარეშე“ რეალიზაციისთვის იურიდიული და სამხედრო მომზადება

აფხაზმა სეპარატისტებმა ისარგებლეს რა იმით, რომ სსრკ-ის გარდაუვალ დაშლასთან დაკავშირებით რუსეთის რეაქციულმა ძალებმა თავიანთი ალმის ქვეშ მოუხმეს ყველა სეპარატისტს, რათა შიგნიდან შეერყიათ მოკავშირე რესპუბლიკების ბრძოლა ჭეშმარიტი დემოკრატიული და სუვერენული სახელმწიფოების შესაქმნელად, დაიწყეს თავისი იდეოლოგიის ტრანსფორმირება ე.წ. „სამართლებრივ აქტებში“: გააუქმეს საქართველოს რესპუბლიკის კანონების მოქმედება აფხაზეთის ტერიტორიაზე, ერთმანეთის მიყოლებით იღებდნენ კანონებს, რომლებიც უხეშად არღვევდნენ საქართველოსა და თავად აფხაზეთის კონსტიტუციებს.

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ ჯერ კიდევ 1990 წლის 25 აგვისტოს მიიღო დეკლარაცია „აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ“,

463. Декларация от 24 ноября 1970 года о принципах международного права, касающихся дружественных отношений и сотрудничества между государствами в соответствии с Уставом ООН, а также «Венская Декларация и Программа действий» I, II, принятая в Вене на Всемирной конференции по правам человека 25 июня 1993 года. Док. ООН. A/Conf/157/23 – 12 июля 1993 г.

რომელმაც ცალმხრივად, საქართველოს რესპუბლიკისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციების დარღვევით, ფაქტობრივად გამოაცხადა აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობიდან გასვლის შესახებ. მოცემული დეკლარაციის მიხედვით, „აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლეს საბჭოში უზრუნველყოფილია იმ ერის კონსტიტუციური უპირატესობა, რომელმაც რესპუბლიკას სახელწოდება მისცა“.

სეპარატისტული მიზნები შეთქმულების მიერ აშკარად იყო ხაზგასმული „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ“ 1990 წლის 26 აგვისტოს დადგენილებაში. 1991 წლის 27 აგვისტოს შანტაჟის გზით სეპარატისტებმა ცვლილებები შეიტანეს „უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ“ კანონში. ამ კანონით აფხაზეთმა ხელოვნურად მიიღეს უმრავლესობა უმაღლეს საბჭოში და ხელყვეს ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობის – ქართველების უფლებები.

1991-1992 წლებში აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის მოთხოვნათა დარღვევით მიღებულ იქნა კანონები და დადგენილებები, რომლებიც ფაქტობრივად ზღუდავდა საქართველოს იურისდიქციას და ხელყოფდა მის ტერიტორიულ მთლიანობას. კერძოდ, „საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ“, „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“, „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“, „საქართველოს რესპუბლიკის კანონების შესახებ“ და სხვ., აგრეთვე დადგენილებები საგარეო ეკონომიკური კომიტეტისა და რესპუბლიკებს შორის ურთიერთობის კომიტეტის, საბაჟო სამსახურის, მონოეთნიკური აფხაზური ეროვნული გვარდიის, კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის აფხაზური ბატალიონის, „აიდგილარას“ შექმნის შესახებ, პროკურატურის, საჯარისო და შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის ნაწილების, უშიშროების ორგანოების, სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზაციის კომიტეტებისა და ა.შ. გადაქვემდებარების შესახებ. სამწუხაროდ, თავის დროზე ამ სამართლებრივ დივერსიას ჩვენი მხრიდან სათანადო შეფასება არ მოჰყოლია. უფრო მეტიც, 1992 წლის 23 ივლისს, ელემენტარული კონსტიტუციური ნორმების იგნორირებით, ქართველი დეპუტატების ნების უგულვებელყოფით, სეპარატისტებმა ხმათა უბრალო უმრავლესობით გააუქმეს აფხაზეთის 1978 წლის კონსტიტუცია და „აღადგინეს“ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1925 წლის კონსტიტუცია, რომელიც სპეციალისტების აზრით არასდროს არ მოქმედებდა. თითქოს „მშვიდობიანი გზით“ დემოგრაფიული მდგომარეობის შეცვლისა და აფხაზების რიცხოვნობის მექანიკურად გაზრდის მიზნით სეპარატისტებმა მიიღეს დისკრიმინაციული დადგენილებები „აფხაზეთის ასსრ-ში მოქალაქეთა ჩანერის შეზღუდვის შესახებ“, ხოლო შემდეგ – „გვარებისა და ეროვნული

კუთვნილების შეცვლის შესახებ“, რითაც პრაქტიკულად აკრძალეს რეგიონში არააფხაზი ეროვნების წარმომადგენლების ცხოვრება. ეს დადგენილებები არ ვრცელდებოდა შორეული საზღვარგარეთის ქვეყნების მოქალაქეებზე, რომლებიც შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის გარეშე აფხაზებად აცხადებდნენ თავს. ეს პირები მუდმივ ჩანწერას გამარტივებული წესით იღებდნენ.

მხოლოდ 1992 წლის მარტში სოხუმში, ოჩამჩირესა და სხვა რაიონებში მუდმივი ცხოვრების უფლება მიიღო შორეული საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნიდან ჩამოსულმა ასზე მეტმა კაცმა. უკანანო ჩანწერის პრაქტიკა შემდგომშიც ინტენსიურად გრძელდებოდა, ხოლო კონფლიქტის დაწყებასთან ერთად უფრო ფართო მასშტაბები მიიღო. სეპარატისტები უცხო ქვეყნის ბოვიკებს ჯილდოს სახით ანიჭებდნენ აფხაზეთში ცხოვრებისა და თარეშის უფლებას.

მოსკოვში, სანქტ-პეტერბურგში, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეში, შორეულ აღმოსავლეთში, ჩრდილო კავკასიის ზოგიერთ რეგიონში, განსაკუთრებით ჩეჩნეთში, ორგანიზებული იყო ე.წ. მოხალისეთა შესაკრები პუნქტები, საიდანაც აფხაზეთში უწყვეტი ნაკადით მოედინებოდნენ ბანდიტები და მკვლელები.

დაქირავებული მკვლელების შეკრებასა და დაფინანსებაში განსაკუთრებული როლი კავკასიის ხალხთა კონფედერაციამ შეასრულა, რომელმაც საქართველო და მისი დედაქალაქი უბედურების ზონად, ტერორისტული და დივერსიული აქტების პოლიგონად გამოაცხადა. დადგენილია, რომ სეპარატისტების შეიარაღებული ბანდების შემადგენლობაში ე.წ. მოხალისეების რაოდენობა თითქმის ორ მესამედს აღწევდა. დადგენილია აგრეთვე, რამდენს და როგორ უხდიდნენ მათ.

სწორედ მათ მიმართავდა ვ. არძინა, როდესაც ჰპირდებოდა „მოქალაქეობას და საცხოვრებელს“⁴⁶⁴. ემზადებობნენ რა ომისთვის, სეპარატისტები იძენდნენ იარაღს და სამხედრო ტექნიკას. ამაში მათ განსაკუთრებული დახმარება აფხაზეთში დისლოცირებულმა რუსეთის საჯარისო ფორმირებების კორუმპირებულმა ხელმძღვანელობამ აღმოუჩინა, რომელსაც მხარს რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო სტრუქტურების გარკვეული ნრეები უჭერდნენ. ისინი ფაქტობრივად უსასყიდლოდ უთმობდნენ მათ იარაღისა და საბრძოლო მასალების საწყობებს, ხოლო შემდეგ თავად ჯარისკაცები და ოფიცრები მონაწილეობდნენ საომარ მოქმედებებში.

IV.4. შეიარაღებული კონფლიქტის გაჩაღება

„თუ ვიმსჯელებთ ისტერიის ხარისხზე, რომელსაც აფხაზური მხარე აქტიურად აძლიერებდა, ვფიქრობ, რომ კონფლიქტისთვის

464. Газета Известия, 19 октября 1992 года.

ბრალის სიმძიმე მთლიანად სწორედ აფხაზურ მხარეს ანევს, რადგან სეპარატისტული მოძრაობის მხრიდან შეუწყნარებლობა იმდენად დიდი იყო, რომ უბრალოდ უცნაური იქნებოდა, რაღაც მსგავსი რომ არ მომხდარიყო... რამდენადაც მე შემიძლია ვიმსჯელო, არადა თითქმის მოვლენების ეპიცენტრში ვიმყოფებოდი, ეს შეტაკებები აფხაზური მხარის მიერ იყო დაგეგმილი და პროვოცირებული... კონფლიქტის არსი მდგომარეობს არა ადგილობრივი ხელისუფლების რაიმე პრეროგატივის დარღვევაში, რისი სახეც ფორმალურად ყველაფერს მისცა გუდაუთის რეჟიმმა, არამედ წინასწარგანზრახულ, არა სპონტანურ, არამედ დაგეგმილ, დანვრილებით შემუშავებულ საომარ გამოსვლებში. მისი გეგმები, მიზნები და საშუალებები უშუალოდ ცხელი კერების გაჩაღებამდე დიდი ხნით ადრე იყო შეთანხმებული და განხილული⁴⁶⁵.

სეპარატისტების მიზნების განხორციელება იმითაც იოლდებოდა, რომ დასავლეთ საქართველოში ყოფილი პრეზიდენტის მომხრეები ტერორისა და მატარებლებზე თავდასხმის გზით ცდილობდნენ საქართველოს რესპუბლიკის ახალ, დემოკრატიულ მთავრობასთან ბრძოლას⁴⁶⁶. აფხაზ სეპარატისტებთან ერთად ისინი ცდილობდნენ დესტაბილიზაციისათვის უფრო ფართო მასშტაბები მიეცათ, რაც ორივე მხარისთვის მისაღები იყო და ხელს უწყობდა მათი განზრახვის სისრულეში მოყვანას, ერთობლივად აწყობდნენ დივერსიულ და ტერორისტულ აქტებს, აფეთქებდნენ სარკინიგზო ვაკისს, ხიდებს, სატრანსპორტო კომუნიკაციის სხვა საშუალებებს, ძარცვავდნენ მატარებლებსა და მგზავრებს, იტაცებდნენ ადამიანებს, აწიოკებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას.

1992 წლის პირველ ნახევარში აფხაზეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე პრაქტიკულად შეწყდა სარკინიგზო, საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტის მუშაობა. აფხაზეთის ტერიტორიაზე გახშირდა არა მხოლოდ საქართველოსთვის განკუთვნილი, არამედ სომხეთში მიმავალი სატვირთო მატარებლების ძარცვის შემთხვევებიც. რკინიგზაზე დივერსიული აქტები თითქმის ყოველდღიურ, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

465. Показания взятого в плен резидента Главного Разведывательного Управления Министерства Обороны Российской Федерации Михаила Демьянова «Двух истин не бывает». Тбилиси, 1996. Существует видеозапись этих показаний.

466. საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილისა და 2005 წლის 11 მარტის დადგენილებების მიხედვით, 1991-1992 წლებში ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების დამხობა შეფასებულია როგორც „ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება“. აღნიშნული მოვლენის შედეგად ქვეყნის სათავეში მოვიდა არა დემოკრატიული, არამედ უკანონო ხელისუფლება, რასაც მოჰყვა სამოქალაქო დაპირისპირება და ქვემოთ აღწერილი უმართავი პროცესები. – რედაქტორის შენიშვნა.

აფხაზეთში გაგრის, ბზიფის, განთიადის, გუდაუთის, დრანდის, გალის, აჩიგვარის, სალხინოს, სოხუმის, ეშერის, ოჩამჩირის, ენგურისა და სხვა რკინიგზის სადგურებზე შეიარაღებული თავდასხმების შედეგად გაძარცულ იქნა 1923 ვაგონი, რომლის ტვირთის ღირებულება მაშინდელი კურსით 11 მილიარდ მანეთს შეადგენდა. 1992 წლის მხოლოდ პირველ ნახევარში დაფიქსირებულია 1142 თავდასხმა და აფეთქება.

ტერორისტებისა და დივერსანტების ბანდები ცდილობდნენ მშვიდობიანი მოსახლეობისა და თანამდებობის პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ადამიანის კანონიერი უფლებების ხელყოფას და მიზნად ისახავდნენ სახელმწიფო სტრუქტურების მუშაობის მოშლას, ანარქიისა და ქაოსის გამოწვევას.

1992 წელს გახშირდა სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთა გატაცების შემთხვევები.

გავიხსენოთ ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის ალექსანდრე კავსადის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის რომან გვენცაძის გატაცება და აფხაზეთში გადაგზავნა, ხობის რაიონის ხელმძღვანელის კანდიდ გოგუას განზრახ მკვლელობა და ბევრი სხვა შემთხვევა. ამ ქმედებებს უკიდურესად მძიმე შედეგები მოჰყვა.

წარმოიშვა საქართველოს მთავრობის სამხედრო ფორმირებების დისლოკაციის შეცვლისა და მათი აფხაზეთის ტერიტორიაზე დაბრუნების აუცილებლობა, საიდანაც ისინი გამოყვანილ იქნა 1992 წლის თებერვალში, იქ წესრიგის დასამყარებლად ერთთვიანი ყოფნის შემდეგ. ნაკლებად სავარაუდოა, ვინმემ სადავოდ გახადოს ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების უფლება, მოახდინოს თავისი ჯარის სახელმწიფოს ტერიტორიის ნებისმიერ წერტილში დისლოცირება, მათ შორის ავტონომიურ წარმონაქმნში.

საქართველოს სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე ე. შვეარდნაძე გაფრთხილებით გამოვიდა: „ერთი-ორი თვით ტვირთების უსაფრთხოებასა და მიწოდებაზე პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებს თავდაცვის სამინისტრო. ყველა შემთხვევაში აუცილებელია შემადგენლობების გაცილება. აუცილებელია ლესელიძიდან სამტრედიამდე 2-3 ბანაკის შექმნა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს გამცილებელთა მუდმივი ცვლა. ერთი ბანაკი უნდა იყოს ლესელიძეში. უნდა შეირჩეს კარგი კონტინგენტი. არც ერთი მათგანი არ შევა ქალაქებსა და სოფლებში. ყველა ეს ბანაკი იზოლირებული იქნება ქალაქებისგან. ქალაქებსა და სოფლებში წესრიგის დაცვით დაკავებული იქნება ადგილობრივი მილიცია; სადაც საჭიროება იქნება, იქ დამატებითი ძალები შევლენ (ცენტრიდან), ზოგიერთ ადგილას ეს არ უნდათ. თუ მოსახლეობა მოითხოვს, მაშინ ცენტრიდან

მილიციის დამატებითი ძალები შევლენ...

მაგრამ, ხაზს ვუსვამ, რომ ქალაქებში, სოფლებში, ხალხის თავშეყრის ადგილებში სამხედრო ნაწილები არ იქნება გამოყენებული და ისინი მოსახლეობასთან უშუალო კონტაქტში არ შევლენ. გაძლიერდება ხიდების, რკინიგზისა და სარკინიგზო მოძრაობასთან დაკავშირებული მთელი ინფრასტრუქტურის დაცვა...“ (1992 წლის 10 აგვისტოს სტენოგრაფია).

სახელმწიფო საბჭომ 1992 წლის 10 აგვისტოს დადგენილებით საგანგებო მდგომარეობა შემოიღო, რომლის განხორციელება დაევალით თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების შეიარაღებულ ძალებს, ასევე რესპუბლიკის რკინიგზის სამმართველოს გასამხედროებული დაცვის ნაწილებს. ამასთან, სახელმწიფო საბჭომ ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელებს კატეგორიულად მოსთხოვა არ დაეშვათ შეიარაღებული ძალებისა და ტექნიკის ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში დისლოცირება.

სავსებით ცალსახაა, რომ საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებს არ გეგმავდა. სეპარატისტთა ლიდერებისა და მათი თანამზრახველების მტკიცება „აგრესიისა და ოკუპაციის“ შესახებ უპასუხისმგებლოა და ახდენს ფაქტების ფალსიფიცირებას.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს თავდაცვის მაშინდელ მინისტრს თენგიზ კიტოვანს დაევალია შეეთანხმებინა შეიარაღებული ძალების აფხაზეთში გადაადგილებისა და მოქმედების გეგმა ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან, რომელიც ინფორმირებული იყო ჯარის დისლოკაციის შეცვლის შესახებ. როგორც გაირკვა, კიტოვანმა არ შეასრულა ეს დავალება, რითაც სეპარატისტებს მისცა პროვოკაციის შესაძლებლობა თავიანთი აგრესიული ჩანაფიქრის განსახორციელებლად.

1992 წლის 14 აგვისტოს სეპარატისტებმა ცეცხლი გაუხსნეს აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაადგილებულ ქართულ შეიარაღებულ ძალებს, მოკლეს და დაჭრეს პოლიციის რამდენიმე თანამშრომელი. ამის დასადასტურებლად ძიებას სხვა მასალებთან ერთად ვიდეომასალაც გააჩნია.

IV.5. დანაშაულებრივი ქმედებების სისტემატურობა და მასობრიობა

„ქართველები აქ, აფხაზეთში, უკვე ვერ იცხოვრებენ. მათ შეუძლიათ მხოლოდ მოკვდნენ“.

სეპარატისტთა ფაშისტური იდეოლოგიის განხორციელება, მათი ლიდერების ჩანაფიქრით, შეიძლებოდა მხოლოდ აფხაზეთის

ქართველი მოსახლეობის ნაწილის მასობრივი და სისტემატური განადგურებით და დარჩენილი ნაწილის რეგიონიდან სისხლიანი ტერორისა და იძულებითი დეპორტაციის გზით განდევნით.

„(კონფლიქტის დანყების) საკითხი, როგორი პარადოქსულიც უნდა იყოს – ეთნიკურია. ესაა საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის გუდაუთელი ექსტრემისტების თავის ტკივილი – საკუთარი რეგიონის ეთნიკური წმენდა. ჩვენ ვსაუბრობთ არა მხოლოდ პირების დეპორტაციასა და იძულებით გადაადგილებაზე, არამედ ქართული ეროვნების პირების ფიზიკურ განადგურებაზე, რომლებიც იქ, ობიექტური გარემოებების მიხედვით, მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ“ (მ. დემიანოვის ჩვენებებიდან, იხ. IV, 4).

აფხაზეთში ეს პოლიტიკა ეტაპობრივად ხორციელდებოდა 1992 წლის 14 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე გუდაუთის ზონაში, იმავე წლის 2 ოქტომბრიდან 1993 წლის 15 სექტემბრამდე გაგრის ზონაში, ხოლო 1993 წლის 16 სექტემბრიდან სოხუმის, ოჩამჩირის, გალის რაიონებში და ტყვარჩელში.

საერთო ჯამში ფიზიკურად განადგურდა დაახლოებით 10 ათასი მშვიდობიანი მოსახლე (აქვე ქვეყნდება 5 ათასზე მეტი ადამიანის სია – რედაქტორი) და 200 ათასზე მეტი განდევნილ იქნა თავისი მშობლიური ადგილიდან. თვალში საცემია დამნაშავეთა ქმედებების მსგავსება სხვადასხვა, ერთმანეთთან დაუკავშირებელ ზონებში, რომლებიც სეპარატისტების კონტროლქვეშ ექცეოდნენ.

სეპარატისტები ცეცხლისა და მახვილის ქვეშ აქცევდნენ ქართველებით დასახლებულ პუნქტებს, საიდანაც წინასწარ გაჰყავდათ აფხაზი ეროვნების პირები. გუდაუთის რაიონი გამოცხადებული იყო ადგილად, სადაც უნდა შეკრებილიყვნენ აფხაზები ავტონომიური რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან, რაც ხელს უხსნიდა აგრესორებს აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველი მოსახლეობის ტოტალური ლიკვიდაციის პოლიტიკის გატარებაში. როდესაც ქართულმა სამთავრობო ჯარებმა ქ. ტყვარჩელის ბლოკადა შეაჩერეს და დასთანხმდნენ ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებასა და მშვიდობიანი მოსახლეობის გაყვანაზე, აფხაზმა ლიდერებმა რუსეთის ვერტმფრენებით მხოლოდ აფხაზეთის გაყვანა დაიწყეს.

მხოლოდ საქართველოს მთავრობის პროტესტის შემდეგ ვერტმფრენებში ადგილი ქართველებსაც და სხვებსაც გამოუყვეს, მაგრამ ძალიან მცირე რაოდენობით.

მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის განადგურება ხორციელდებოდა არა მხოლოდ ომით აღებულ დასახლებულ პუნქტებში, არამედ იმ რაიონებშიც, სადაც არც ერთი გასროლა არ მომხდარა. ასე მაგალითად, გალის რაიონში, სადაც თითქმის 100 ათასი ქართველი ცხოვრობდა, არანაირი საომარი მოქმედება არ იყო, და,

მიუხედავად ამისა, 1272 მშვიდობიანი მოსახლე დახვრიტეს, აწამეს, ცოცხლად დანვეს, დანარჩენები კი განდევნეს. დაიღუპა ათობით ხანდაზმული ადამიანი, ბავშვი და ქალი, რომლებმაც მთაზე გადასვლას ვერ გაუძლეს, „სიკვდილის გზა“ მათი ცხედრებით იყო მოფენილი. ქართული ეროვნების დევნილებსა და გადაადგილებულ პირებს დღემდე არ აძლევენ მშობლიურ ადგილებში დაბრუნების უფლებას, ხოლო ისინი, ვინც თავიანთი შიშისა და რისკის ფასად ბრუნდებიან დანარჩენ საქართველოსთან მოსაზღვრე გალის რაიონში, განიცდიან დევნას, დახვრეტის ჩათვლით. ასე ხორციელდებოდა და განხორციელდა ლოზუნგი „აფხაზეთი ქართველების გარეშე“, სადაც „ქართველები ველარ იცხოვრებენ... მათ შეუძლიათ მხოლოდ მოკვდნენ“. ეს სიტყვები ერთ-ერთი უკანონო ფორმირების მეთაურს ვ. სმირს ეკუთვნის, რომელიც მოგვიანებით აფხაზეთის თვითალღარებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გახდა.

ლალი მასხარაშვილი, გაგრის საავადმყოფოს ფერშალი: „აფხაზეთმა საავადმყოფოში გამოგზავნეს შუაზე გახერხილი ქართველი გოგოს ცხედარი წარწერით რუსულ ენაზე: „როგორც ვერ გაამთლიანებთ ამ გოგოს სხეულს, ისე ვერ შეაერთებთ საქართველოს და აფხაზეთს“.

მთელი ღამე მუხლამდე წყალში ჰყავდათ შიშველი შოთა მგელაძე. შემდეგ ერთ-ერთმა ბოევიკმა დანით გაუჭრა მას მარცხენა ხელი, სისხლით გაავსო ჭიქა და შესთავაზა მგელაძეს დაეღია. უარის შემდეგ მან ცინიკურად მოიბოდიშა და თქვა: „რა ვქნათ, ძმაო, არ გენყინოს, მაგრამ მე ვსვამ არა შენს, არამედ ყველა ქართველის სისხლს“, და დალია ჭიქა, ასევე დაემუქრა, რომ თუ ქართველები არ დატოვებდნენ აფხაზეთის ტერიტორიას, თითოეულ მათგანს სიკვდილი ელოდა.

სწორედ ქართველი მოსახლეობისა და მისი დანარჩენი ნაწილის სისტემატური და მასობრივი ფიზიკური განადგურება წარმოადგენდა შეიარაღებული კონფლიქტის ძირითად მიზანს, და არა მის „გვერდით მოვლენებს“.

IV.6. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქართველი ხელმძღვანელობის – სახელმწიფო პოლიტიკური მოღვაწეების, განათლების, ჯანდაცვისა და კულტურის მუშაკების ფიზიკური განადგურება

1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმში ბრძოლების შეწყვეტის შემდეგ აწამეს და დახვრიტეს: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ყიული შარტავა და მთავრობის

სხვა წარმომადგენლები, მინისტრთა საბჭოს აპარატის რიგითი თანამშრომლები, პოლიციის უფროსი თენგიზ რაფავა, ცოტა უფრო ადრე გაგრაში – აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გაგრის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე მიხეილ ჯინჭარაძე და ათობით სხვა თანამდებობის პირი და რიგითი მუშაკი.

სეპარატისტებმა დახოცეს ხელოვნების 100-ზე მეტი მუშაკი, მათ შორის ქალები. სადისტურად მოკლეს გუმისთის კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი, 37 წლის ნატო მილორავა, დრამატული თეატრის მსახიობები: ვასილ ჩხეიძე, თეიმურაზ ჟვანია, გურამ გელოვანი, სოხუმის კულტურისა და დასვენების პარკის დირექტორი იური დავითაია და ბევრ სხვა.

მოკლეს 80-ზე მეტი მედიცინის მუშაკი, რომელთაგან უმეტესობა ქალი იყო: ვერა ყოლბაია, თინა წონორია, ნინო შონია, არიანდა შელია, ოლგა ტყეებუჩავა, მ. ბესელია და სხვები. თავიანთი მოვალეობის შესრულებისას სიცოცხლეს გამოასალმეს ექიმები ზელიმხან დანელია, გია სიჭინავა, რაზმიკ ისპეკჩიანი, გიორგი ბარკალაია, შალვა გვაზავა და სხვები. გულრიფშის რაიონში ტუბსაავადმყოფოს ეზოში ნათესავეების თვალწინ დახვრიტეს მთავარი ექიმი შოთა ჯღამაძე. ასეთივე გზით გაუსწორდნენ რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმს პეტრე სიჭინავას.

სეპარატისტებმა და მათ მიერ დაქირავებულმა მეომრებმა მოკლეს 200-ზე მეტი პედაგოგი, მათ შორის 60-ზე მეტი ქალი: ვენერა სიგუა, იულია გოგობია-ჭითანავა, ცაცა ძანძავა, ეკა ფილფანი, ლია აქუბარდია, ძაბული ფაჩულია, გულნარა ჩალაძე და სხვ.

IV.7. მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი დახვრეტები და მკვლელობა განსაკუთრებით სასტიკი მეთოდებით

ა) მასობრივი დახვრეტები

მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის მასობრივ დახვრეტებს თან ახლდა უმწეო მოხუცების, ქალებისა და ბავშვების წამება.

ქართველების მასობრივი განადგურება და განდევნა დაიწყო სოხუმისა და გუდაუთის რაიონებში, სადაც განლაგებული იყო ბოვეიკების ძირითადი ძალები. დაწყებული კონფლიქტის პირველ ეტაპზე ეშერიდან, ლიხნიდან, არადუდან, ახალსოფლიდან განდევნილ იქნა 5 ათასი ქართველი, ხოლო დანარჩენებს უმოწყალოდ გაუსწორდნენ. ახალსოფელში დახვრიტეს 66 ქართველი, 70 წლის ინდიკო გრძელიძეს გული ამოაჭრეს, ელგუჯა მაისურაძე ნაჯახით დაჩხეს, 65 წლის ნიკოლოზ ქვაბზიანიძე ტრაქტორს მიაბეს, აწამეს და შემდეგ მოკლეს.

განსაკუთრებული სისასტიკე აფხაზმა ბოევიკებმა და მათ მიერ დაქირავებულმა მეომრებმა მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის მიმართ გამოამჟღავნეს ქ. გაგრის დაცემის შემდეგ. 5 ოქტომბერს მათ ლესელიძეში ჯერ ანამეს, ხოლო შემდეგ ელექტრობოძებზე ჩამოახრჩვეს 50 ქართველი. ბოევიკები ასეთივე მეთოდებით უსწორდებოდნენ სალხინოს, განთიადის, ბიჭვინთის, ლიძავას, ალახაძის, ბზიფის მოსახლეობას.

ნ. ჩალაძის ჩვენების თანახმად, თავად სეპარატისტების ხელმძღვანელობის მიერ აფხაზეთის ტელევიზიით გაჟღერდა, რომ ქ. გაგრის ალებისა და ქართველების განადგურების შემთხვევაში აფხაზი ბოევიკები და დაქირავებული მეომრები სანაცვლოდ ფულად ანაზღაურებას და მოკლულების სახლებს მიიღებდნენ. ასე მაგალითად, ტ. ჯინჭარაძის ჩვენებით, აფხაზმა სეპარატისტებმა ქ. გაგრაში 1992 წლის 7 ოქტომბერს ის და სხვა მცხოვრებლები აიძულეს მოეგროვებინათ დაახლოებით 250 ქართველის ცხედარი, რომლებიც შემდეგ დატვირთეს და გაიტანეს „კამაზის“ ოთხი ავტომანქანით და დიდ ორმოში დამარხეს. კ. სიჭინავას ჩვენებით კი, ქალაქის ალების შემდეგ ქართველი მოსახლეობა მასობრივად იხვრიტებოდა ქუჩებში. სოფელ ძველ კინდლთან დაქირავებულმა მეომრებმა დახვრიტეს 72 მშვიდობიანი მოსახლე, ხოლო გულრიფშის რაიონის სოფელ განახლებაში აფხაზი ბოევიკების მიერ დახვრეტილ იქნა 68 ადამიანი.

ლ. ზოიძის ჩვენებით, ქ. სოხუმში აფხაზმა სეპარატისტებმა მოკლეს ო. ფხაკაძის ოჯახის ყველა წევრი, შემდეგ ცხედრები დაანწევრეს, თავები სარებზე წამოაცვეს და დაწვეს.

გ. არზუმანიანის ჩვენებით, სოფელ ახალდაბაში აფხაზმა ბოევიკებმა თავი მოკვეთეს ბევრ მშვიდობიან მოსახლეს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ბოევიკები თავზე წამოაცმევდნენ მათ ავტომობილის საბურავებს და ცოცხლად წვავდნენ. ამგვარად სიცოცხლე მოუსპეს დაახლოებით 60 ქალს. სეპარატისტები არ ინდობდნენ ბავშვებს და ახალგაზრდებს, ხოლო ისინი, ვინც გადარჩა, სტადიონზე შეყარეს და დახვრიტეს. ქალები და თითქმის ყველა ექვს წელზე უფროსი ბავშვი გააუპატიურეს. საერთო ჯამში სოფელ ახალდაბაში განადგურებულ იქნა დაახლოებით 400 ადამიანი.

1995 წლის 10 მარტს სოფელ ლუმურიში, ზემო და ქვემო ბარლებში, ოტობაიასა და სხვა სოფლებში შეიჭრნენ აფხაზი და სხვა ეროვნების ბოევიკები, რომლებიც ოფიციალურად მოქმედებდნენ სოხუმის ხელისუფალთა ხელმძღვანელობით. მათ გაანადგურეს ქართველების სახლები და ადგილზე დახვრიტეს ყველა, ვინც უკმაყოფილება გამოთქვა მოძალადეების მოქმედებებზე.

გ. ბაძალუას ჩვენების მიხედვით, 1995 წლის 12 მარტს სოფელ ნაბაკევში შეიარაღებული ჯგუფები შეიჭრნენ, რომლებმაც ჩაის

პლანტაციებში მშვიდობიანი მცხოვრებლები დახვრიტეს. გ. ხარჩი-
ლავა, რ. ჩერქეზია, ნ. ნარმანია და მ. კვარცხალაია ქვემო ბარლებ-
ში წაიყვანეს და იქვე მოკლეს.

ქ. სოხუმში კულტურისა და დასვენების პარკში სეპარატისტებ-
მა 400-ზე მეტი ქართველი დახვრიტეს. იმავდროულად შეუწყვეტ-
ლივ იბომბებოდა ქალაქის აეროპორტი, სადაც თითქმის ყოველდღე,
თვითმფრინავების მოლოდინში იყო ათასობით ქართველი, რუსი და
სხვა ეროვნების მოქალაქე. სეპარატისტების მიერ პირდაპირი მოხ-
ვედრით ჩამოგდებულ იქნა რამდენიმე სამგზავრო თვითმფრინავი,
რამაც გამოიწვია დიდი ადამიანური მსხვერპლი, რომელთა შორის
იყო 50 ქალი და მცირეწლოვანი ბავშვი.

არსებული მონაცემებით, ქ. სოხუმის ხელში ჩაგდების შემდეგ
სეპარატისტებმა განსაკუთრებული სისასტიკით მოკლეს 1200-ზე
მეტი ქართველი – მოხუცი, ინვალიდი, ქალი და ბავშვი.

ბ) მკვლელობა სხეულის განსაკუთრებით მძიმე დაზიანების მიყე- ნებით, მოკლული მსხვერპლის აბუჩად აგდება

როგორც წესი, მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის მკვლე-
ლობები განსაკუთრებული სისასტიკითა და ცინიზმით ხასიათდე-
ბოდა.

ს. დგებუაძის ჩვენებით, სოფელ კინდლსა და ტამიშში აფხაზმა
ბოვეიკებმა ჯერ მასობრივად გაანადგურეს მშვიდობიანი ქართვე-
ლი მოსახლეობა, შემდეგ კი დაანანევრეს გარდაცვლილთა სხეუ-
ლები და წარწერით „იყიდება ქართული ხორცი“, ბოძებზე დაკიდეს.

ო. გობეჯიშვილის ჩვენების მიხედვით, გაგრის ალებიდან მეო-
რე დღეს მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის მასობრივი განად-
გურება დაიწყო. არ ინდობდნენ ფეხმძიმე ქალებსაც, რომლებსაც
მუცელს უფატრავდნენ და ამოღებულ ნაყოფს ფეხით ტკეპნიდნენ.

განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდნენ გაგრის, სალხი-
ნოს, განთიადის, ლიძავას, ალახაძის, ზიფის მოსახლეობას. ისინი
კლავდნენ მოხუცებს, ქალებს და უმწეო ბავშვებს. სახალხოდ დახ-
ვრიტეს მშვიდობიანი მოსახლეები – ა. ქომეთიანი, დ. კუჭუხიძე,
ნ. ჩარკვიანი, ა. ბობოხიძე, შ. გვაზავა და სხვები. მეუღლისა და
ბავშვების თვალწინ მოკლეს ო. ბჟალავა. ცოლის თანდასწრებით
მოკლეს ბ. კუცია, ხოლო მამის თვალწინ მოკლეს გ. ლლონტი. 65
წლის პედაგოგი ვ. სამხარაძე ქუჩაში დააკავეს და თავი მოჭრეს.
ამასთან, ნათესავებს არ მისცეს მოკლულის დაკრძალვის უფლება
და მისი სხეული ქუჩაში იყო დაგდებული დამშეული ღორებისა და
ძაღვების საჯიჯგნად. გ. ფიფიას ჯერ ყურები და ცხვირი მოაჭრეს,
ხოლო შემდეგ მოკლეს.

თ. ბარკალაიას ჩვენებით, აფხაზებმა მის თვალწინ მოკლეს ბი-
ძაშვილი, დასახლება ლიძავას მკვიდრი ც. ქველიძე, რომელსაც ჯერ
ცხვირი, შემდეგ ყური და ერთი ფეხი მუხლქვეშ მოაჭრეს, შემდეგ
კი დახვრიტეს. ასეთნაირადვე აწამეს, ხოლო შემდეგ დახვრიტეს 70
წლის ანდრო სიმონიშვილი.

როგორც ეთერ ბერულავა მოწმობს, „კომკავშირის ქუჩაძე №22-
ში მცხოვრებ ა. დავითაიას ჯერ სახლი დაუნვეს, აწამეს, შემდეგ
კი ტანჯვით მოკლეს. განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდნენ
ოთარ ბერიას და მისი ოჯახის 5 წევრს. წამებით მოკლეს მიშა გა-
ხარია, ამირან კვარაცხელია, ვალოდია კალანდია და მისი ცოლი,
ჟორა და ბოჩია კალანდიები და ბევრი სხვა“.

როზა გაბედავას ჩვენებით, 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის
აღების შემდეგ, მათთან შეიჭრნენ აფხაზი ბოვეიკები და მათი დაქი-
რავებული მეომრები. მისი ქმარი მურმან თოდუა და შვილი ზურაბი
მეზობლებთან და მილიციის თანამშრომლებთან ერთად საცხოვრე-
ბელ სახლში იმალებოდნენ. ბანდიტებმა მოძებნეს ისინი და 7 ადა-
მიანი დახვრიტეს. მეზობლების დახმარებით გაბედავამ საფლავი
გათხარა და ქმარ-შვილი სხვა მოკლულებთან ერთად დამარხა.

ქ. სოხუმის მეთორმეტე საშუალო სკოლასთან ლუდხანის წინ
აფხაზი და სხვა ბოვეიკები ფეხით აგორებდნენ ქართველების
მოჭრილ თავებს და ხარხარებდნენ.

ქ. სოხუმში აფხაზმა ბოვეიკებმა დახვრიტეს მშვიდობიანი მო-
სახლეები რ. შუბლაძე და გ. კვაშილავა, რის შემდეგაც ხელ-ფეხი-
დან მოაჭრეს ხორცი და იქვე იატაკზე დაადგეს. რ. შუბლაძის
გაოგნებული მეუღლის კითხვაზე – თუ რატომ ჩაიდინეს მხეცური
ქმედება, უპასუხეს, რომ ყველა ქართველს ამგვარად გაუსწორდე-
ბოდნენ, თუ ისინი აფხაზეთს არ დატოვებდნენ.

სეპარატისტები და მათი დაქირავებული მეომრები დიდხანს თა-
რეშობდნენ გალის რაიონში. სოფელ ოქუმში სიცოცხლე მოუსპეს
65 ადამიანს, მათ შორის 20 ქალს, 90 წლის ვენერა ანთიას, 55 წლის
ნელი გერგაიას, 81 წლის ვერა გუნიას, 67 წლის ალა ლაცუზბაიას,
56 წლის ნათელა მელაიას.

ქ. გალში აწამეს და მოკლეს 174 ადამიანი, მათ შორის 38 ქალი.
აჩიგვარაში დახვრიტეს 73 ადამიანი, მათ შორის 18 ქალი. გუდა-
ვაში აწამეს და შემდეგ მოკლეს 43 ადამიანი, მათ შორის 18 ქალი.

ასეთივე ხვედრი ერგოთ წილად მზიურის, რეფი-შეშელეთის, ნა-
ბაკევის და სხვა დასახლებებს. აფხაზმა სეპარატისტებმა ცოცხლად
დანვეს ხანდაზმული უმწეო ქალები – ყ. ნურნუშია, ვ. ჩარგაზია, ჩ.
ჭაავა, ა. ჯოლოგუა, კ. განგია, ლ. ქვაჩახია, ბ. მალიშავა, ვ. თარ-
ბაია და სხვები.

IV.8. მასობრივი გაუპატიურებები, მცირეწლოვანი ბავშვების ჩათვლით

აფხაზი ბოევიკები და მათი დაქირავებული მეომრები თავს დაესხნენ ქ. გაგრის საკურორტო სამმართველოს უფროსის ა. ბარამიას ოჯახს, გააუპატიურეს მისი ცოლი, ქალიშვილი ცისია, შემდეგ ორივეს თავი მოაჭრეს, მერე კი დახვრიტეს თავად ა. ბარამია და მისი ოთხი სტუმარი.

ნ. ბალიშვილის ჩვენებით (ოჩამჩირის რაიონი), აფხაზმა სეპარატისტებმა მათი სოფლის ალების შემდეგ ქალები და ბავშვები ტყვედ წაიყვანეს, ამასთან სახალხოდ გააუპატიურეს 12-16 წლის 25 გოგო. უმწეო ბავშვების ჯგუფური გაუპატიურებები კვირის განმავლობაში გრძელდებოდა. დადგენილია ფაქტები, როცა გაუპატიურების შემდეგ მცირეწლოვან გოგოებს ძუძუსთავები მოაჭრეს. ვ. გურჩიანის ჩვენებით, გულრიფშის რაიონის სოფელ ვარჩეში აფხაზი სეპარატისტები სისტემატურად აუპატიურებდნენ ქალებსა და ბავშვებს. ოჩამჩირის რაიონის სოფელ ახალდაბაში გააუპატიურეს რ. ჩაკვეტაძის ცოლი და ორი შვილი, აგრეთვე რ. სანაიას 13 წლის გოგო, რის შემდეგაც მისი ოჯახი მთლიანად ამოწყვიტეს. ი. ფრუიძის ჩვენებით, იმავე სოფელში ბოევიკებმა გააუპატიურეს ლ. გოლეითანი, მ. ყურაშვილი, ჟ. კუხალაშვილის 11 წლის გოგონა, რის შემდეგაც ისინი დაწვეს.

გ. არზუმანიანის ჩვენებით, სოფელ ახალდაბას ალების შემდეგ აფხაზმა ბოევიკებმა გააუპატიურეს ქალები და 6 წელზე უფროსი თითქმის ყველა ბავშვი. ოჩამჩირის რაიონში სეპარატისტებმა ჯგუფურად გააუპატიურეს დები პოლეთაეები⁴⁶⁷, რის შემდეგაც ისინი დახვრიტეს.

რ. გულუას ჩვენებით, აფხაზმა ბოევიკებმა სოფელ კოჩარაში ქმრის თვალწინ გააუპატიურეს გოგუა, შემდეგ კი მოკლეს.

IV. 9. ქართველი მოსახლეობის იძულებითი დეპორტაცია

1993 წლის 27 ივლისის შეთანხმების შემდეგ აფხაზმა სეპარატისტებმა და მათმა დაქირავებულმა მეომრებმა მშვიდობიან მოსახლეობაზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოახდინეს. სოფელ ბზიფში მოსახლეობას ჩამოართვეს პასპორტები და მასში თვითნებურად ამონერის შტამპები ჩაურტყეს. დახვრეტის მუქარის ქვეშ ადამიანებს აიძულებდნენ ხელი მოეწერათ იმაზე, რომ ისინი თითქოსდა თავიანთი ნებით ტოვებდნენ აფხაზეთს.

1993 წლის 9 აგვისტოს სეპარატისტებმა ფიზიკური განადგურების მუქარით ბზიფის მოსახლეობა ადლერის აეროპორტში (რუსეთის ფედერაცია) გადაიყვანეს, სადაც მათ მუდმივი საცხოვრებელი

467. დები პოლეთაეები გალის რაიონის სოფელ ოქუმიდან იყვნენ. – რედაქტორის შენიშვნა.

ადგილიდან „ნებაყოფლობით“ ამონერის შესახებ დოკუმენტები მისცეს. ამგვარად, მხოლოდ სოფელ ბზიფიდან დეპორტირებულ იქნა 250 ოჯახი – დაახლოებით 3 ათასი პირი. ამავე დასახლების მცხოვრები ს. კიკვილაძე და მისი 12 წლის გოგო დახვრიტეს იმისთვის, რომ მათ უარი განაცხადეს მშობლიური ადგილის დატოვებაზე, იმავე მიზეზით დახვრიტეს სხვა მშვიდობიანი მცხოვრებლები.

სამოქალაქო მოსახლეობის იძულებითი დეპორტაციის მრავალრიცხოვან ფაქტებს ჰქონდა ადგილი დასახლება განთიადში, ლესელიძესა და სხვა დასახლებულ პუნქტებში. ასე მაგალითად, დ. ომანიძის ჩვენებით, მისი ოჯახი ბიჭვინთაში მცხოვრებ სხვა ქართულ ოჯახებთან ერთად, აფხაზმა სეპარატისტებმა იძულებით ამონერეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან და გაუკეთეს აფხაზეთიდან დეპორტაცია, ხოლო მათი კუთვნილი ქონება მიითვისეს.

ანალოგიურ ფაქტებზე მოწმობს გულრიფშის რაიონის მშვიდობიანი მცხოვრებლების, ნ. ნიკოლაძის, ა. კაკაჩიას, ტ. გულუასა და სხვათა ჩვენებები.

დადგენილია, რომ მკვლევლობების, მუქარისა და იძულებითი გასახლების შედეგად ქ. გაგრის ქართველი ეროვნების 17 ათასმა მცხოვრებმა მიატოვა მშობლიური ადგილი და დევნილი გახდა.

IV.10. ჰოსპიტალებზე, სამედიცინო მუშაკებსა და წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ემბლემით მონიშნულ რაიონებზე თავდასხმა

აფხაზმა სეპარატისტებმა და მათმა დაქირავებულმა მეომრებმა, როგორც ზემოთ ითქვა, მოკლეს 80-ზე მეტი სამედიცინო მუშაკი, რომელთაგან უმეტესობა ქალი იყო: ვ. ყოლბაია, შ. ნინორია, ა. შელია, ო. ტყეზუჩავა, მ. ბესელია და სხვები. საექიმო მოვალეობის შესრულებისას სიცოცხლე მოუსპეს ზ. დანელიას, გ. სიჭინავას, გ. ბარკალაიას, შ. გვაზავას და სხვებს.

გამოძიებამ დაადგინა სოხუმში განლაგებული ჰოსპიტალებისა და საავადმყოფოების სეპარატისტების მიერ დაბომბვის, საარტილერიო ცეცხლის გახსნის ფაქტები, რასაც ნგრევა და ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა. ამასთანავე დაიბომბა წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ემბლემით მონიშნული რაიონებიც.

IV.11. ქართველი მოსახლეობის თვითმყოფადობის განმსაზღვრელი კულტურული და რელიგიური ძეგლების, მონუმენტების განადგურება

თვითმხილველი ხარაიშვილის ჩვენებით, ქ. გაგრაში ქართველების ნამებისას, მათი ქონების დატაცებისას და განადგურებისას სეპარატისტები გაჰყვიროდნენ, რომ გაგრა-ლესელიძის ზონაში უნდა

განადგურებულიყო ყველა ქართველი. ხოლო ქართული წიგნები, კულტურის ძეგლები და სახლები უნდა დამწვარიყო. ამ გზით აფხაზი სეპარატისტები და მათი დაქირავებული მეომრები თანამიმდევრულად ანადგურებდნენ კულტურის ძეგლებს, მონუმენტებს, წიგნებს, წვავდნენ სკოლებს და ა.შ.

ქ. სოხუმში სეპარატისტებმა გაანადგურეს შოთა რუსთაველის და აკაკი წერეთლის ძეგლები, კინოთეატრები „აფსნი“, „კომკავშირელი“, „რუსთაველი“, „სოხუმი“; №3 და №4 მუსიკალური სკოლები, ნაწილობრივ იყო დანგრეული აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმი, მთლიანად – ი. პაპასკირის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა, ნაბილწეს ქართველი პოეტებისა და მწერლების საფლავები. სოხუმის რაიონში სეპარატისტებმა დაანგრეს კულტურის სახლი და რაიონული ბიბლიოთეკა; გულრიფშის რაიონში – კულტურის სახლი, ქართველ მწერალთა სახლები, მუსიკალური სკოლა და ქართველების მიერ რესტავრირებული ტაძარი; ოჩამჩირის რაიონში – კინოთეატრი, რაიონული ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი, მოქვის და ნაწილობრივ ილორის ტაძრები; გალის რაიონში – კულტურის სახლი, კინოთეატრი, ეთნოგრაფიული მუზეუმი; გაგრის რაიონში – კ. გამსახურდიას და საბჭოთა კავშირის გმირის გ. კილასონიას ძეგლები, ბიჭვინთაში – მეგობრობის მუზეუმი; გუდაუთის რაიონში – სოფელ ლიხნში ქართველების მიერ XII საუკუნეში აგებული ტაძარი, რომელზეც შემორჩენილი იყო წარწერები ქართულ ენაზე.

სეპარატისტებმა დახოცეს ხელოვნების ასზე მეტი მუშაკი, მათ შორის ქალები. მათ მოკლეს გუმისთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ვ. ჩხეიძე, ტ. ყვანია, გელოვანი, სოხუმის კულტურისა და დასვენების პარკის დირექტორი ი. დავითაია და ბევრი სხვა.

IV.12. ქართველი მოსახლეობისთვის განზრახ ისეთი საცხოვრებელი პირობების შექმნა, რომლებიც მიზნად ისახავს მის მთლიან ან ნაწილობრივ ფიზიკურ განადგურებას

აფხაზი სეპარატისტები განზრახ ქმნიან ისეთ პირობებს, რომლებიც გათვლილია აფხაზეთში დარჩენილი ქართველი მოსახლეობის მთლიან განადგურებასა და მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე მათი დაბრუნების დაუშვებლობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ სეპარატისტების მიერ ასეთი დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების შეყვანის შემდეგაც ხდება. ასე მაგალითად, 1994 წლის 16 ოქტომბერს აფხაზმა სეპარატისტებმა და მათ მიერ დაქირავებულმა მეომრებმა გალის რაიონში დახვრიტეს მშვიდობიანი მცხოვრებლები ტერენტი და ემზარ ლემონჯავები, ხოლო მათი ცხედრები დაწვეს, 1995 წლის მარტში დახვრიტეს გ.

ხარჩილავა, რ. ჩერქეზია, ვ. ინჯია, გ. ლეჟავა, ი. ციკოლია და ბევრი სხვა. მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის მიმართ ხორციელდება სისტემატური ძარცვა და ყაჩაღური თავდასხმები.

დადგენილია, რომ ჯერ კიდევ კონფლიქტის საწყის სტადიაზე აფხაზმა სეპარატისტებმა მთლიანად მოახდინეს გუდაუთის რაიონის იმ სოფლების ბლოკირება, რომლებშიც უპირატესად ქართველები ცხოვრობდნენ, და დანარჩენი სამყაროსგან მოწყვეტის გზით, მათ არსებობის ყოველგვარი საშუალება მოუსპეს.

IV.13. ქალაქებისა და სოფლების ტოტალური განადგურება დაბომბვის გზით, აგრეთვე მათი ერთიანად გადანვა, სახლებისა და შენობების განადგურება მათ მცხოვრებლებთან ერთად

სეპარატისტებმა გაანადგურეს ქართველების კუთვნილი ათობით ათასი სახლი, რათა მოესპოთ მათთვის მშობლიურ ადგილებში დაბრუნების სურვილი და შესაძლებლობა. მშვიდობიანი მოსახლეობის გენოციდისა და ეთნიკური წმენდის პოლიტიკა განსაკუთრებით ფართო მასშტაბებში ხორციელდებოდა გალის რაიონში, სადაც რაიონის მოსახლეობის 97 პროცენტს, 80 ათასზე მეტ მცხოვრებს ქართველი შეადგენდა. 1993 წლის 29 სექტემბერს ოკუპანტებმა ხელში ჩაიგდეს ქ. გალი, რის შემდეგაც შეუდგნენ მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მასობრივ რეპრესიებს.

1994 წლის თებერვლიდან დაწყებული აფხაზი სეპარატისტები არაერთხელ ახდენდნენ სოფლებზე თავდასხმას, ანადგურებდნენ, ატერორებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, მიწასთან გაასწორეს ათობით სოფელი. მათ ნაცარტუტად აქციეს და გაანადგურეს 6800-ზე მეტი სახლი, 40 საშუალო სკოლა, 35 საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების ობიექტი, გაიტაცეს 25 ათასზე მეტი მსხვილფეხა რქოსანი საქონელი. საკონსერვო ქარხნიდან და მეფრინველეობის ფაბრიკიდან, სანარმოებიდან, ხელსაწყოთ- და მანქანათსამშენებლო ქარხნებიდან მთლიანად დაიტაცეს ძვირადღირებული უცხოური მონყობილობა, რითაც გამოუსწორებელი ზიანი მიაყენეს რაიონის ეკონომიკას. მხოლოდ სოფელ ოქუშში მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის კუთვნილი 710 სახლიდან დაანგრიეს 610, სიცოცხლე მოუსპეს 65 ადამიანს, მათ შორის 20 ხანდაზმულ ქალს. ქ. გალში გაანადგურეს 1040 სახლი, აწამეს და მოკლეს 128 ადამიანი, მათ შორის 25 ქალი.

სოფელ აჩიგვარაში დაწვეს და გაანადგურეს 411 სახლი, დახვრიტეს 70 ადამიანი, მათგან 17 ქალი. სოფელ გუდავაში დაწვეს 429 სახლი, აწამეს და მოკლეს 55 ადამიანი, მათ შორის 14 ქალი.

საკუთარ სახლებთან ერთად ცოცხლად დაწვეს ქალები: ყ. წურნუშია, ვ. ჩარგაზია, ჩ. ჭაავა, შ. ჯოლოგუა, გ. განგია, ლ. ქვაჩახია, ბ. მალიშავა, ვ. თარბაია და ბევრი სხვა.

ქ. სოსუმში ა. დავითაია დაწვეს მის კუთვნილ სახლთან ერთად. აფხაზი სეპარატისტები თვეების განმავლობაში ბომბავდნენ სოსუმსა და ოჩამჩირეს. მარტო სოსუმის თავზე ჩამოყარეს ათობით ათასი ბომბი, რასაც ემსხვერპლა 400-ზე მეტი მშვიდობიანი მოსახლე. როგორც წესი, დაბომბვა ხორციელდებოდა ღამლამობით, როდესაც ქალაქს ეძინა, ამასთან, სპეციალურად ბომბავდნენ დასახლებულ კვარტლებს.

IV.14. დევნილებისა და იძულებით გადაადგილებული პირებისთვის თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებაზე უარის თქმა და თვითნებურად დაბრუნებული პირების მიმართ ტერორი

ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდის/გენოციდის განხორციელებით სეპარატისტებმა აფხაზეთში იგი პრაქტიკულად ნულამდე დაიყვანეს. ისინი აკეთებდნენ და აკეთებენ ყველაფერს, რათა არ დაუშვან დევნილების მშობლიურ ადგილებში დაბრუნება აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე გალის რაიონის ჩათვლით, სადაც, 1994 წლის 4 აპრილს საქართველოს, რუსეთის, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის და აფხაზი სეპარატისტების წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი ოთხმხრივი შეთანხმების, ასევე სხვა შეთანხმების მიხედვით, დევნილი პირები უნდა დაბრუნებულიყვნენ პირველ რიგში.

ამასთან დაკავშირებით ცინიკურად ჟღერს ციფრი 311, ვინაიდან ეს არის პირთა ის რაოდენობა, რომლებსაც ოფიციალურად დართეს დაბრუნების ნება. ასეთი ტემპით დევნილთა დაბრუნების პროცესი მხოლოდ გალის რაიონში 200 წელზე მეტხანს გაგრძელდებოდა, ყველა დევნილს კი მშობლიურ კერებში დასაბრუნებლად 800 წელი დასჭირდებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, გაეროს უშიშროების საბჭო აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით მიღებულ ყველა თავის რეზოლუციაში მოითხოვს დევნილთა და გადაადგილებულ პირთა ყოველგვარი წინასწარი პირობების გარეშე დაუყოვნებლივ დაბრუნებას (იხ. კერძოდ ბოლო რეზოლუციები 1065 (1996), 1096 (1997)). დევნილთა საკუთარ სახლებში არდაშვების პრაქტიკა დაგმობილი იქნა ლისაბონის სამიტზეც (დეკლარაცია, პარ. 20), დსთ-ის სახელმწიფოების მეთაურთა საბჭომ ასევე არაერთხელ დაგმო გალის რაიონში დევნილთა დაუშვებლობა.

თუმცა სეპარატისტები არათუ ყურად არ იღებენ საერთაშორისო თანამეგობრობის მოთხოვნებს, არამედ აქტიურად ახორციელებენ დაბრუნებულ დევნილთა და გადაადგილებულ პირთა განზრახ განადგურებისა და დაშინების პოლიტიკას. განმეორებით მოვიტანთ ამონარიდს ეუთოსა და გაეროს თბილისის პერსონალის ანგარიშიდან:

„აფხაზეთის ხელისუფლება აგრძელებს ძალადობრივი ეთნიკური წმენდის პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც მიზნად ისახავს არ დაუშვას გალის რაიონში, ან აფხაზეთის რომელიმე სხვა ადგილას მნიშვნელოვანი რეპატრიაცია. გამოყენებული ტაქტიკა მერყეობს უბრალო სიტყვიერი დაშინებიდან და მოკლევადიანი პატიმრობიდან მკვლევლობამდე... ზოგიერთი ყველაზე საშიში მხეცური საქციელი, როგორც ჩანს, სოხუმიდან ბრძანებით განხორციელდა...“⁴⁶⁸.

საკმარისია ითქვას, რომ უკვე მას შემდეგ, რაც კონფლიქტის ზონაში შეყვანილ იქნა რუსეთის შეიარაღებული ძალებით დაკომპლექტებული დსთ-ის სამშვიდობო ძალები, გალის რაიონში მოკლეს 1300-ზე მეტი მშვიდობიანი მოსახლე, ძირითადად ხანდაზმულები, ქალები, ბავშვები; დაწვეს 6000-ზე მეტი სახლი.

მაგრამ ვერაფერი შეაკავებს სასონარკვეთილ ადამიანებს, ისინი ბრუნდებიან საკუთარი შიშისა და რისკის ფასად; უკვე დაბრუნდა 30 000-ზე მეტი ადამიანი, ზოგიერთები დღესაც ტერორის მსხვერპლს წარმოადგენენ და ხშირად გადაადგილდებიან, რათა თავიდან აიცილონ პარტიზანების ტერორისტულ ქმედებებზე შურისძიების საბაბით ჩატარებული სადამსჯელო ოპერაციები.

სწორედ ასე მოქმედებდნენ ჰიტლერის ვაჟბატონები!

ფაქტი ფაქტად რჩება, რომ სეპარატისტები მთელი ძალებით ცდილობენ არ დაუშვან აფხაზეთის მოსახლეობის დემოგრაფიული შემადგენლობის აღდგენა, მიუხედავად იმისა, რომ გაეროს უშიშროების საბჭომ დაგმო აფხაზეთის მოსახლეობის დემოგრაფიული შემადგენლობის იძულებითი შეცვლის პოლიტიკა და განაცხადა რეგიონში იმ პირების ჩასახლების დაუშვებლობის შესახებ, რომლებიც ადრე იქ არ ცხოვრობდნენ (რეზოლუცია 1065 (1996), 1096 (1997)).

V. დასკვნები და რეკომენდაციები

მოვლენების გამოძიების მსვლელობისას დადგენილი ფაქტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ აფხაზი სეპარატისტების მიერ გაჩაღებული შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე (1992 წ. 14 აგვისტო),

468. Отчет миссии ОБСЕ в Грузии и персонала ООН в Тбилиси «О положении с правами человека в Гальском районе, Республики Грузия», о поездке в Западную Грузию и в Гальский район, контролируемый абхазами, 19-21 апреля 1995 года.

აგრეთვე შეიარაღებული მოქმედებების განმავლობაში (1992წ. აგვისტო – 1993წ. სექტემბერი), მოგვიანებით კი ცეცხლის შეწყვეტა შემდგომში უკანონო სამხედრო ფორმირებების მიერ, ათასობით დაქირავებული მეომრის ჩათვლით, აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე კონტროლის დაწესებით, არის შემდეგი:

V.1. სეპარატისტები აგრძელებენ ქართველების წინააღმდეგ ეთნიკური წმენდის პოლიტიკას გენოციდის ფორმით, რომლებიც მანამდე შეადგენდნენ აფხაზეთის მოსახლეობის 45,76%-ს (244 872 ადამიანი).

V.2. ამ დანაშაულებისთვის მზადება წლები გრძელდებოდა. აფხაზეთის მასობრივი ინფორმაციის როგორც ოფიციალური, ისე არაოფიციალური საშუალებები, პოლიტიკურ პირებთან და მეცნიერებთან ერთად სიძულვილით „ბერავდნენ“ ახალგაზრდებს „ქართველი ოკუპანტების“ მიმართ და მიესალმებოდნენ იმ დღეს, როდესაც აფხაზეთში არც ერთი ქართველი არ იქნებოდა.

V.3. ესმოდათ რა, რომ უმცირესობისთვის (აფხაზები შეადგენდნენ 94 767 ადამიანს, ე.ი. აფხაზეთის მრავალეთნიკური მოსახლეობის 17,73%-ს) არ არსებობს არავითარი „დემოკრატიული“ გზა, რომელიც უზრუნველყოფდა დანარჩენი საქართველოდან რეგიონის გამოყოფას, სეპარატისტებმა კონფლიქტის დასაწყისიდანვე დაიწყეს ქართველი მოსახლეობის განადგურება.

V.4. ქართველი სამოქალაქო მოსახლეობის შეგნებულ გენოციდს თან ახლდა პროვოკაციორებისა და მათი მოკავშირეების დახმარება, რომელთა შორის იყო მრავალი ათასი დაქირავებული მეომარი საზღვარგარეთიდან, რამაც თითქმის ორჯერ გადააჭარბა თავად აფხაზური ფორმირებების რაოდენობას, დაიწყო მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის წინასწარ დაგეგმილი გენოციდის განხორციელება, რაც გამოიხატა ადამიანების მასობრივ განადგურებაში, წამებაში, დანვაში, ჩამოხრჩობაში, გაუპატიურებაში, დასახლებული რაიონების სისტემატურ დაბომბვაში, სამკურნალო დაწესებულებების, ქალაქებისა და სოფლების დანგრევაში; ნადგურდება ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის მრავალსაუკუნოვანი ძეგლები, რომლებიც აფხაზეთის საქართველოსადმი ისტორიულ კუთვნილებას მოწმობს, სადაც გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ აფხაზები და ქართველები. აი ის აქციები, რომლებსაც აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ ფართოდ იყენებდნენ სეპარატისტები.

რეალობად იქცა ფაშისტური ლოზუნგი და მიზანმიმართული პოლიტიკა – „აფხაზეთი ქართველების გარეშე“.

V.5. ეს პოლიტიკა დღესაც გრძელდება – 200 000-ზე მეტ ქართველ დევნილსა და გადაადგილებულ პირს არა აქვს მშობლიურ ადგილებში დაბრუნების ნებართვა, ხოლო ისინი, ვინც საკუთარი შიშისა და რისკის ფასად ბრუნდებიან, მკაცრად იდევნებიან.

V.6. სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობამ (გაერო, ეუთო, დსთ, ევროპარლამენტი) დაგმო „ეთნიკური წმენდის“ პოლიტიკა, რომელიც გამოიხატებოდა აფხაზეთის ძირითადად ქართველი მოსახლეობის მასობრივ განადგურებასა და იძულებით გაძევებაში; განაცხადა აფხაზეთში დევნილების დაბრუნებაზე უარის თქმისა და აფხაზეთის მოსახლეობის დემოგრაფიული შემადგენლობის იძულებითი შეცვლის დაუშვებლობის შესახებ.

V.7. საქართველოს პროკურატურამ დაადგინა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა და აქვს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების უხეშ დარღვევებს, და რომ, უპირველეს ყოვლისა, ჩადენილია ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულები, მათ შორის გენოციდიც, რაც საერთაშორისო ტრიბუნალის იურისდიქციის ქვეშ ექცევა.

V.8. რამდენადაც საქართველოს მთავრობა ამ ეტაპზე ვერ აკონტროლებს აფხაზეთის ტერიტორიას, საქართველოს პროკურატურას არ შეუძლია განახორციელოს ბრალდებულ პირთა დაკავებასა და მართლმსაჯულებისთვის მათ გადაცემასთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი ზომა.

V.9. საერთაშორისო თანამეგობრობა მოწოდებულია ხელი შეუწყოს საქართველოს კომპეტენტურ ორგანოებს მართლმსაჯულებას გადასცენ ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა ყველაზე უფრო ამაზრზენი ფორმის – ეთნიკური წმენდის-გენოციდის ჩადენაში ბრალდებული პირები.

V.10. აუცილებელია, რომ გაეროს კომპეტენტურმა ორგანოებმა საქართველოში მიავლინონ ექსპერტთა ჯგუფი წარსადგენი ბრალდებების დასაზუსტებლად.

V.11. ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ ეთნიკური წმენდის-გენოციდის ფაქტების საერთაშორისო დონეზე დადასტურების შემდეგ, გაერომ უნდა დაიწყოს ქმედებები, რომელთა მიზანი იქნება ამ დანაშაულთა ჩადენაში ბრალდებული პირების სამართალში მიცემა, სათანადო სასამართლო პროცესის საერთაშორისო პრინციპების შესაბამისად.

პროფესორი ლ. ალექსიძე
კომისიის თავმჯდომარე
ქ. თბილისი, 1997 წელი





„გულს ნუ გაიტეხ! მუხა კვლავაც შეიმოსება!“

მუხრან მაჭავარიანი